საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო

მამია დარჩია, ვახტანგ ქარუმიძე,
დავით გეგეშიძე,

საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტი

თბილისი
2000

სარედაქციო კოლეგია:

ოთარ ჯაფარიძე (მთავარი რედაქტორი), ბიორგი ბაბუნაშვილი, ეკა ლარბალი, ედუარდ ფენიქსაძე, თეეურ ჟლენტი, სოლომონ აფლიანშვილი, ნიკოლოზ ხატიაშვილი, ოთარ შონია, გურამ ფოფიაშვილი.

რეცენზენტები:

ბიორგი ბიგაური, ჯანბირ ყაფალაძე

საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტის სახელოვანი იუბილე

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსთან არსებულ საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტს, რომელიც დაარსდა 1966 წლის 20 იანვარს, 35 წელი უსრულდება. მისი დაარსება იმ მეტად რთულ და ბნელ დროში ჩემი ინიციატივით განხორციელდა და ამიტომ ჩემთვის მეტად მახლობელია ეს იუბილე.

ინსტიტუტის საქმიანობის ამსახველი მონოგრაფიის გამოცემასთან დაკავშირებით მინდა გავიმეორო უკვე ერთხელ თქმული:

არასოდეს დამავიწყდება საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტის საქმიანობის პირველი დღეები და წლები, შეხვედრები ინსტიტუტის პირველ შემადგენლობასთან, რომელთა შორის იყვნენ ქართველი ხალხის რჩეული შვილები, მეცნიერები, ლიტერატურისა და ხელოვნების გამოჩენილი მოღვაწეები, ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლები: ირაკლი აბაშიძე, დიმიტრი ალექსიძე, ვერიკო ანჯაფარიძე, დოდო ანთაძე, ანგია ბოჭორიშვილი, პაატა გუგუშვილი, კონსტანტინე გამსახურდია, ვასო გოძიაშვილი, ნოდარ დუმბაძე, სიკო დოლიძე, ავლიპ ზურაბაშვილი, სერგო ზაქარიაძე, ვიქტორ კუპრაძე, რევაზ ლაღიძე, ნიკოლოზ მუსხელიშვილი, რევაზ მარგიანი, იოსებ ნონეშვილი, ბორის ფურცხვანიძე, გურამ ფანჯიკიძე, ვენორ ქვაჩახია, ბორის ჰაიჭაძე, აკაკი შანიძე, იასე ცინცაძე, სულხან ცინცაძე, თინათინ წერეთელი, უჩა ჯაფარიძე, რევაზ ჯაფარიძე და სხვები.

ეს ხომ პირველი ცდა იყო საბჭოთა კავშირში საზოგადოებრივი აზრის შესწავლისა და ფორმირებისა, რასაც არაერთგვაროვანი რეაქცია მოჰყვა ქვეყნის სხვადასხვა ცენტრებში.

მაშინ იწყებოდა საქართველოში ბრძოლა ნეგატიურ მოვლენებთან, მათ შორის, კორუფციასთან.

უნდა აღინიშნოს, რომ რესპუბლიკის მაშინდელმა ხელმძღვანელობამ, გარკვეული ყოყმანის შემდეგ, მხარი დაუჭირა ამ წამოწყებას.

ალბათ იმიტომაც, რომ საზოგადოებრივი აზრის კვლევის ინსტიტუტი აერთიანებდა მთელ ელიტარულ ინტელიგენციას, ყველაზე გამოჩენილ ადამიანებს.

ინსტიტუტის დაარსება მეტყველებდა იმაზე, რომ წესრიგისა და კანონიერებისათვის ბრძოლაში მინისტრს, შინაგან საქმეთა ორგანოებს მხარში ამოუდგა ხალხი, ინტელიგენცია, ახალგაზრდობა.

საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტის შექმნა ნიშნავდა, რომ შინაგან საქმეთა ორგანოები ახალ თვისებრივ საფეხურზე იწყებდნენ მუშაობას, ცდილობდნენ თავიანთი საქმიანობის მეცნიერულ საფუძვლებზე აგებას, რასაც არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა დამნაშავეობასთან ბრძოლისა და პროფილაქტიკური საქმიანობის ძირფესვიანად გაუმჯობესებისათვის.

ეს მუშაობა მოითხოვდა არა მხოლოდ ვაუკაცობას, მამაცობას, რკინის ნებისყოფას, არამედ ღრმა სახელმწიფოებრივ აზროვნებას და სიბრძნეს.

მახსოვს მთავრობის სასახლეში გაიმართა ინსტიტუტის ერთ-ერთი პირველი სხდომა, რომელსაც რესპუბლიკის ხელმძღვანელობაც ესწრებოდა. მაშინ დამნაშავეებთან, მექრთამეებთან, გამომძალველებთან, კორუმპირებულ ფენებთან, ხალხის ქონების დაშტაცებლებთან, ბრძოლა მთელი ფრონტით იშლებოდა.

ამ ბრძოლამ ისეთი შემტევი და უკომპრომისო ხასიათი მიიღო, ხალხში გავრცელდა ხმა, რომ ადრე თუ გვიან მინისტრს (მინისტრი მე გახლდით) ან მოხსნიან, ან "დააწინაურებენ", ან უბრალოდ მოკლავენო.

ეხლაც აღბეჭდილია ჩემს მეხსიერებაში სერგო ზაქარიაძის გამოსვლა. ის შუა დარბაზში იჯდა. კამათი მთავრდებოდა და სიტყვა ითხოვა. რა თქმა უნდა, უარს ვინ გაუბედავდა. სერგო ადგა, მაგრამ ტრიბუნაზე არ ასულა, დარბაზს გადახედა და მერე მე მომმართა: "ედუარდ! აქ, ამ დარბაზში მოაზროვნე საქართველოა წარმოდგენილი. შენ საშვილიშვილო საქმე წამოიწყე. ყველას სახელით მინდა მოგმართოო, არ შეგეშინდეს, პატიოსანი საქართველო შენთანაა! იარე მხოლოდ წინ და წინ!".

დარბაზი, როგორც იტყვიან, ტაშით დაინგრა. იმ შეხვედრამ მეც და ჩემს თანამებრძოლებსაც დიდი ძალა მოგვცა და ბრძოლაც წარმატებით წარიმართა.

შემდეგში, როცა მე ცენტრალურ კომიტეტში გადავედი სამუშაოდ, იქ შევქმენით საზოგადოებრივი აზრის შესწავლისა და ფორმირების ცენტრი. რა თქმა უნდა, სამინისტროში შეძენილი გამოცდილება გამოგვადგა.

ამას კი დიდი ხმაური მოჰყვა მოსკოვში, საკავშირო ცენტრალური კომიტეტის განყოფილებებში, უფრო ზევითაც, ცეკას სამდივნოში.

მოსკოვში, ცეკას რომელიღაც ჯგუფი, დადგენილების პროექტსაც კი ამზადებდა ამ წამოწყების გასაუქმებლად.

საბედნიეროდ, მაშინაც იყვნენ იქ, "ზევით" ადამიანები, რომლებმაც ჩვენს ინიციატივაში, საზოგადოებრივი აზრის შესწავლისა და ფორმირების ცენტრის დაარსებაში მომავლის ერთი პატარა ყლორტი შენიშნეს. ბოლოს, როგორც იქნა, საქართველოში კონკრეტულ-სოციოლოგიური კვლევის ცენტრი ამუშავდა.

ამ საქმის ბევრი აქტიური მონაწილე და ენთუზიასტი დღესაც მწყობრშია. მსურს მადლობა მოვახსენო მათ გაწეული შრომისათვის.

ამ ინიციატივით ფრთაშესხმულებმა შემდეგში ბევრი რამ გავაკეთეთ ისეთი, რაც არსად არ ხდებოდა. ეს გადიზიანებას იწვევდა გარკვეულ წრეებში, მაგრამ ჩვენ მაინც ჩვენი გზით მივდიოდით.

ჩემი ღრმა რწმენით პოლიტიკაში ექსპერიმენტების, შემოქმედებითი სტილის, ახალი გზების ძიების გარეშე წარმოუდგენელია ჭეშმარიტი წარმატებების მიღწევა.

საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტის დაარსება ერთადერთი სიახლე არ იყო.

საქართველოში პირველად შეიქმნა ბუნების დაცვის კომიტეტი, ისტორიული ძეგლების დაცვის რესპუბლიკური ორგანიზაცია აკადემიკოს ირაკლი ციციშვილის ხელმძღვანელობით.

აღარაფერს ვამბობ ათასნაირ ექსპერიმენტებზე ეკონომიკაში, განათლებაში, კულტურის სფეროში.

იქნებ ეს იყო სუსტი, მაგრამ მაინც მიზანმიმართული ნაბიჯები, ეს იყო მომავალი სამოქალაქო საზოგადოების, დემოკრატიული წყობისა და თავისუფალი აზროვნების ჩანასახები.

დღეს პრეზიდენტის აპარატში ნაყოფიერ მუშაობას ეწევა სოციოლოგიური კვლევის სამსახური, ის ცხოვრების სარკეა.

მე დღესაც ვადევნებ თვალყურს შინაგან საქმეთა სამინისტროს საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტის საქმიანობას. გადიან წლები, იცვლებიან თაობები, მაგრამ მუშაობა მიდის.

სამ ათეულ წელზე მეტი ხნის მანძილზე საქართველოში მომხდარი სოციალურ-პოლიტიკური კატაკლიზმების, საზოგადოების ცნობიერებაში კარდინალური ხასიათის ცვლილებების მიუხედავად, შინაგან საქმეთა სამინისტროს საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტის ხელმძღვანელობამ, მის შემადგენლობაში გაერთიანებულმა თვალსაჩინო მეცნიერებმა, კულტურის, ხელოვნების, ლიტერატურის, თეატრისა და კინოს ცნობილმა მოღვაწეებმა, განათლების მუშაკებმა, ახალგაზრდობის გამოჩენილმა წარმომადგენლებმა ერთგულად გააგრძელეს წინამორბედთა მემკვიდრეობა.

ამჟამად ისინი იცავენ და ამკვიდრებენ ზოგადსაკაცობრიო იდეალების პრინციპებს, ჰუმანური აღზრდის ნორმებს, ჯანსაღ საზოგადოებრივ აზრს, ხელს უწყობენ შინაგან საქმეთა სამინისტროს წინაშე მდგარი ამოცანებისა და ფუნქციების შესრულებას.

სამინისტროს შესაბამის დეპარტამენტთან თანამშრომლობით ახორციელებენ ღონისძიებებს ნარკომანიის წინააღმდეგ საზოგადოების ფართო წარმომადგენლების ჩასაბმელად. ამ მუშაობას შედეგად მოჰყვა არასრულწლოვანთა დაცვის, განვითარების, საზოგადოებასთან ადაპტაციისა და ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლის ორი სახელმწიფო პროგრამის მიღება.

საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტი და მისი კომისიები იცავენ პიროვნების უფლებებს, პროფესიული ეთიკის, ზნეობრივი ქცევის პრინციპებს. სამეცნიერო დაწესებულებების პედაგოგებთან, მეცნიერ-თანამშრომლებთან ჯანსაღი, ეროვნული საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბების მიზნით ეხმარებიან შინაგან საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელობას მეცნიერებთან, შემოქმედებით ინტელიგენციასთან, ახალგაზრდებთან და მეწარმეებთან კონტაქტების დამყარებასა და განმტკიცებაში.

შინაგან საქმეთა სამინისტროსთან არსებული საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტი ბევრი სასარგებლო საქმის წამოწყებისა და განხორციელების ორგანიზატორია. ამიტომ მან მოიპოვა აღიარებული ავტორიტეტი.

მისი ავტორიტეტი კიდევ უფრო გაიზრდება, თუ ის აითვისებს საზოგადოებრივი აზრის კვლევისა და ფორმირების თანამედროვე ევროპულ და მსოფლიო გამოცდილებას.

ამჟამად საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტი წარმოდგენილია ორგანიზაციულად ერთიანი, მტკიცე სისტემის სახით. მისი რეგიონალური ინსტიტუტები, კომისიები და მათი სტრუქტურული სრულყოფა იმის საწინდარია, რომ კიდევ უფრო გაიზრდება ინსტიტუტის მნიშვნელობა საქართველოში ღია, დემოკრატიული საზოგადოების მშენებლობაში.

საქართველოს პრეზიდენტი *ედუარდ შევარდნაძე*

ავტორებისაგან

წინამდებარე მონოგრაფიის მომზადებისა და გამოცემის იდეა დაიბადა 90-იანი წლების დამლევს. იმ დროსვე შეირჩა სათაური "საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტი". საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტის ისტორია - ეს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და მისი ორგანოების დამნაშავეობასთან ბრძოლის ისტორიაა, ისტორია დანახული თანამედროვეებისა და ამ ინსტიტუტის მშენებლების მიერ. საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტის ისტორია, მისი მრავალმხრივი საქმიანობა გაშუქებულია მონოგრაფიაში "საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტი: ისტორია, თანამედროვეობა" (ავტორები მამია დარჩია, ვახტანგ ქარუმიძე), რომელიც 1997 წელს გამოიცა. ამ წიგნის შესახებ საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ თქვა: "კეთილი საქმე გაკეთდა, მომზადდა და გამოიცა მონოგრაფია "საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტი: ისტორია, თანამედროვეობა". მისივე სიტყვებით "საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტის შექმნა (დაარსდა 1966 წლის 20 იანვარს) ტოტალიტარიზმის, მბრძანებლურ-ბიუროკრატიული სახელმწიფოს არსებობისა და საზოგადოებრივი აზრის მთლიანად უგულებელყოფის პირობებში, მოითხოვდა დიდ გამბედაობას, სიმტკიცეს, სიმამაცესა და უმაღლეს პასუხისმგებლობას. ამიტომ ინსტიტუტის დაარსება უაღრესად მნიშვნელოვანი მოვლენა იყო".

რა იყო მთავარი საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტის მოღვაწეობაში? ჯერ ერთი, მრავალფეროვანი იყო საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტის მუშაობის ფორმები და მეთოდები, განსაკუთრებით დიდ მუშაობას ეწეოდა იგი არასრულწლოვანთა შორის სამართალდარღვევათა აღმოფხვრისა და ნარკომანიის მიმართ ჯანსაღი საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებისა და ამ, სოციალურად საშიში მოვლენის, დაძლევისათვის, მეორე, ინსტიტუტი თავისი არსებობის მთელ პერიოდში წარმოადგენდა მოსახლეობასთან ურთიერთობისა და საზოგადოებრივი აზრის შესწავლის თვისებრივად სრულიად ახალ, ეფექტიან და სრულყოფილ ფორმას. საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტმა თავისი შემადგენლობით, კომისიებით, მუშაობის მიმართულებებითა და პრინციპულობით დაიმკვიდრა სათანადო სტატუსი საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში. იგი აღიარა საზოგადოებრიობამ.

წინამდებარე მონოგრაფიაში დიდძალი ფაქტობრივი მასალის შესწავლისა და მეცნიერული ანალიზის საფუძველზე შეჯამებულია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტის ოცდათხუთმეტწლიანი მოღვაწეობის შედეგები, მოცემულია შეფასებები და რეკომენდაციები მუშაობის ეფექტიანობის შემდგომი ამაღლებისათვის.

წიგნში განხილულია ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორიცაა საზოგადოებრივი აზრის ადგილი და მნიშვნელობა, საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტის დაარსება და განვითარების ეტაპები; საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტის სტრუქტურა და საქმიანობის მთავარი მიმართულებები; თბილისისა და სამხარეო შინაგან საქმეთა მთავარი სამმართველოების საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტები. დართული აქვს საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტის დებულება, (ქართულ, რუსულ, ინგლისურ ენებზე.).

მონოგრაფია განკუთვნილია ფართო მკითხველისათვის, იგი დაეხმარება პოლიციის ყველა თანამშრომელს, აგრეთვე საზოგადოებრივი აზრის პრობლემების შესწავლით დაინტერესებულ ყველა მკითხველს.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტის რექტორატი გამოთქვამს უღრმეს მადლობას სააქციო საზოგადოება "პირველი სტამბის" კოლექტივის მიმართ (გენერალური დირექტორი ლერი გამგებელი) წიგნის ოპერატიულად და მაღალ პოლიგრაფიულ დონეზე გამოცემისათვის.

თავი პირველი

საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტის დაარსება და განვითარების ეტაპები

1. საზოგადოებრივი აზრის ადგილი და მნიშვნელობა

რა არის საზოგადოებრივი აზრი? როგორია მისი ზემოქმედება სოციალურ გარემოსა და ადამიანთა საქმიანობაზე? აი, კითხვები, რომლებიც პრინციპულად ისმება და დამაჯერებელ, მეცნიერულ პასუხებს მოითხოვს.

თანამედროვე პირობებში, ისე როგორც 60-იან წლებში, განსაკუთრებით დიდი და მნიშვნელოვანია საზოგადოებრივი აზრის ძალა, მისი ზემოქმედება სოციალურ გარემოსა და ადამიანთა მოღვაწეობაზე. ამიტომ დიდი მნიშვნელობა აქვს საზოგადოებრივი აზრის მეცნიერულ შესწავლას და მის შედეგად მიღებული მონაცემების გამოყენებას სოციალური მართვის პრაქტიკაში. საზღვარგარეთის ცივილიზებულ ქვეყნებში პატივს სცემენ და ანგარიშს უწევენ მოქალაქეთა აზრს. იქ საზოგადოებრივი აზრის კვლევის სპეციალური ცენტრები, მასობრივი გამოკითხვების საშუალებით, რეგულარულად სწავლობენ საზოგადოებრივ აზრს. ეს ისეთივე ნორმალურია, როგორც ამინდის ბიუროს ცნობები. ბევრ ქვეყანაში კვირაში რამდენჯერმე ტარდება მასობრივი გამოკითხვები საზოგადოებრივი ცხოვრების აქტუალურ პრობლემებზე ქვეყნის ან საერთაშორისო მასშტაბით. კვლევის შედეგებსა და მიღებულ მონაცემებს ფართოდ აშუქებენ მასობრივი ინფორმაციის საშუალებები.

მაღალი ავტორიტეტით სარგებლობენ გელაპისა და პარიზის საზოგადოებრივი აზრის კვლევის ცენტრები ამერიკის შეერთებულ შტატებში, დემოსკოპიის ინსტიტუტი გერმანიაში, ბრიტანული და ფრანგული საზოგადოებრივი აზრის ცენტრები და მრავალი სხვა. აღნიშნული ცენტრები მხოლოდ და მხოლოდ დამოუკიდებელი სამეცნიერო დაწესებულებებია. გამოკითხვები დემოკრატიის ერთ-ერთი ყველაზე სასარგებლო ინსტრუმენტია.

რა უდევს საფუძვლად საზოგადოებრივი აზრის კვლევას? მისი საფუძველია მეცნიერულად და მეთოდურად დამუშავებული და აპრობირებული მეცნიერული კვლევის ხერხები, რომელთა შორის უპირველესია სოციოლოგიური გამოკითხვები (წერილობითი ან ზეპირი).

საზოგადოებრივი აზრის მეცნიერული კვლევის ისტორია მეოცე საუკუნის პირველი ნახევრიდან იწყება. 1935 წელს შეიქმნა პირველი "საზოგადოებრივი აზრის კვლევის ამერიკული ინსტიტუტი" ჯორჯ გელაპის ხელმძღვანელობით. მალე ამას სხვა ანალოგიური დაწესებულებების დაარსება მოჰყვა. 1957 წელს უილიამსის (მასაჩუსეტსის შტატი) კოლეჯთან დაარსდა გამოკითხვების მასალათა სპეციალური ბიბლიოთეკა. 1967 წელს შეიქმნა გამოკითხვათა ეროვნული საბჭო. 1963 წლიდან თავის ისტორიას იწყებს საზოგადოებრივი აზრის საერთო ეროვნული მასშტაბით კვლევის მეორე მნიშვნელოვანი ცენტრი ამერიკაში - ჰარისის ინსტიტუტი; მალე ანალოგიური დაწესებულებები ჩნდება სხვა ქვეყნებშიც.

1937 წელს გელაპის ინსტიტუტის ფილიალის სახით შეიქმნა "ბრიტანეთის საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტი". 50-60-იან წლებში ინგლისში კიდევ რამდენიმე ანალოგიური დაწესებულება ჩამოყალიბდა. 1938 წელს გაიხსნა საზოგადოებრივი აზრის პირველი ფრანგული ინსტიტუტი. 1939 წელს - მეორე ასეთივე დაწესებულება. 1966 წელს დაარსდა საზოგადოებრივი აზრის კვლევის ფრანგული საზოგადოება, რომელიც საზოგადოებრივი აზრის კვლევის გარდა, მარკეტინგის, ფინანსური ოპერაციების, ელექტორატის და სხვა პრობლემებსაც შეისწავლის.

მეორე მსოფლიო ომის შემდგომ საზოგადოებრივი აზრის შემსწავლელი ცენტრები შეიქმნა სკანდინავიის ქვეყნებში, გერმანიაში, უფრო მოგვიანებით - ესპანეთში, საბერძნეთში, 50-იან წლებიდან საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტები იქმნება ლათინური ამერიკის ქვეყნებში, ინდოეთში, ინდონეზიაში, აფრიკისა და არაბეთის ქვეყნებში.

საზოგადოებრივი აზრის კვლევის კოორდინაციის მიზნით, 1947 წელს, შეიქმნა საზოგადოებრივი აზრის კვლევის მსოფლიო ასოციაცია და საზოგადოებრივი აზრისა და მარკეტინგის კვლევის ევროპული კომისია.

---

1. ნოდარ კერესელიძე, საზოგადოებრივი აზრი, გაზეთი "სიმართლე", 1992 წლის ივლისი.

საზოგადოებრივი აზრის შემსწავლელი დაწესებულებები კერძო კომერციული ორგანიზაციებია, რომლებიც ფართო სპექტრის შეკვეთებს ასრულებენ - დაწყებული პრეზიდენტის თუ პრემიერ-მინისტრის პოპულარობიდან, დამთავრებული რომელიმე წვრილი ფირმის გამოშვებული პროდუქციის პოპულარობამდე. დიდი ფინანსური შემოსავლები აქვთ აგრეთვე პრესიდან, სადაც ქვეყნდება მათი კვლევის შედეგები. საზოგადოებრივი აზრის შემსწავლელი დაწესებულებები ასრულებენ აგრეთვე სამთავრობო ორგანიზაციების, სამეცნიერო ინსტიტუტების, პოლიტიკური პარტიების, საზოგადოებრივი და საერთაშორისო ორგანიზაციების და სხვათა დაკვეთებს.

რა არის საზოგადოებრივი აზრი, ვისი აზრია საზოგადოებრივი? გამოთქმა "საზოგადოებრივ აზრში" იგულისხმება, საზოგადოებრივი შეხედულება, დამოკიდებულება, მოსაზრება. შინაარსობრივად მასში იგულისხმება მთელი საზოგადოების ან ცალკეული დიდი ჯგუფების საერთო, აკუმულირებული დამოკიდებულება სოციალური სინამდვილის რაიმე მოვლენისადმი, ფაქტისადმი, პროცესისადმი. ის არის მთელი საზოგადოების კონცენტრირებული, ზოგადი, კოლექტიური ცნობიერება. მასში მხოლოდ უმრავლესობის აზრია ასახული; თუნდ ჭეშმარიტი არ იყოს იგი. ეს არის ობიექტური სინამდვილის ადეკვატური აზრი, რომელიც გარკვეული ნიშნით (ნიშნებით) შერჩეულ ადამიანთა გამოკითხვით მიიღება (ნოდარ კერესელიძე).

საზოგადოებრივი აზრია მასების ცნობიერების მდგომარეობა, რომელიც გამოხატავს ადამიანთა დაფარულ ან აშკარა დამოკიდებულებას სოციალური სინამდვილის ფაქტებისადმი, განსხვავებული ჯგუფების ან ცალკეულ ინდივიდთა მოღვაწეობისადმი. მასში გაერთიანებულია როგორც ყოფითი, ისე თეორიული ცნობიერების ელემენტები.[1]

საზოგადოებრივ აზრს არა აქვს საკუთარი საგანი, მაგრამ იგი ვლინდება ყოველი საზოგადოებრივი ცნობიერების ფორმაში, როგორც ცალკეული ზოგადში. საზოგადოებრივი აზრი სინამდვილეს ასახავს, როგორც უშუალოდ, ისე გაშუალებულად. უშუალო ასახვაში იგულისხმება ადამიანების ან მასის მსჯელობა ყოფიერებასა და სულიერ ცხოვრებაზე. იგი ყოველთვის შეიცავს

1. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტომი 8, 1984, გვ. 647

ჭეშმარიტების მარცვალს, გაშუალებული ასახვა მაშინ გვაქვს, როცა მსჯელობა ეხება არა იმ სინამდვილეს, რომელსაც აზრი ასახავს, არამედ პროცესებსა და ურთიერთობებს, რომლებიც წარმოშობენ ცნობიერების მოცემულ ტიპს.

საზოგადოებრივი აზრი დინამიურია და იცვლება კონკრეტული პირობების შესაბამისად. იგი სამ ეტაპს გადის: წარმოქმნის, დამკვიდრების და ფუნქციონირების სტადიებს. შეიძლება ჩამოყალიბდეს სტიქიურად ან შეგნებულად. მისი ჩამოყალიბების ძირითადი წყაროებია ინფორმაციის მასობრივი საშუალებები, აგიტაცია, პროპაგანდა, პიროვნებათა შორისურთიერთობები და სხვა. საზოგადოებრივ აზრს აქვს გავლენის, სოციალური და გეოგრაფიული გავრცელების სფეროები.

საზოგადოებრივი აზრის ნიშნებია: 1. ფიქსირებული აზრის მრავალმნიშვნელოვნება, რაც იწვევს ასახულ მოვლენათა სხვადასხვანაირ ინტერპრეტაციას; 2. სიტუაციურობის მომენტი, როცა საზოაგდოებრივი აზრი ყალიბდება ყოფით დონეზე; 3. ტრანზიტულობის მომენტი, როცა სუბიექტის მიერ ფიქსირებული მოვლენის ნიშანი წარმოადგენს მსჯელობის სუბიექტის ნიშანსაც; 4. მოულოდნელობის მომენტი, როცა სუბიექტი ან ინდივიდთა ჯგუფი არ არის მზად იმსჯელოს ამა თუ იმ საკითხზე და გამოთქმული აზრი წარმოგვიდგება როგორც მხოლოდ მსჯელობა მსჯელობისათვის; 5. განწყობის ფაქტი, როცა ადამიანთა ჯგუფები წინასწარ განწყობილნი არიან დადებითად ან უარყოფითად გარკვეულ ღირებულებათა სისტემისადმი.

საზოგადოებრივი აზრის ფუნქციებია: 1. ექსპრესიული (გარკვეული პოზიცია); 2. კონსულტატიური (როცა საზოგადოებრივი აზრი იძლევა რჩევას ამა თუ იმ სიტუაციურ პრობლემათა გადასაწყვეტად); 3. დიქტატორული (იმპერატიული); 4. შეფასებითი; 5. ანალიტიკური და კონსტრუქციული; 6. რეგულატორული (ურთიერთობათა ნიშნების დანერგვა); მრავალფეროვანია აგრეთვე საზოგადოებრივი აზრის გამოხატვა განვითარებულ საზოგადოებაში. საზოგადოებრივი აზრის აქტიურობის ზრდა და ფაქტობრივი მნიშვნელობა საზოგადოების ცხოვრებაში განისაზღვრება საერთო სოციალური პირობებით.

საზოგადოებრივი აზრის კვლევის მეცნიერულ დონეზე აყვანის საქმეში დიდი როლი ითამაშა სოციოლოგიურმა გამოკითხვამ (ინტერვიუმ) და სტატისტიკური შერჩევის თეორიამ. რა არის გამ-

ოკითხვა? იგი არის კონტროლს დაქვემდებარებული მეცნიერული კვლევის პროცესი, რომელიც ობიექტური ინფორმაციის მიღების გარანტიებს იძლევა, სტატისტიკური შერჩევის მეთოდით კი დგინდება გამოსაკითხთა ის რაოდენობა, რომლის საშუალებითაც მთელ ერთობლიობაზე შეიძლება ლაპარაკი.

ნეულებრივ, საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვები, საყოველთაო არ არის, როგორც მოსახლეობის საყოველთაო აღწერა. ამის საშუალება საზოგადოებრივი აზრის ცენტრებს არა აქვთ. იგი არცაა საჭირო. ისინი მიმართავენ შერჩევითს გამოკითხვებს. მეცნიერების მიერ დამტკიცებულია, რომ მთელის შესახებ მისი გარკვეული ნაწილის მიხედვით მსჯელობა, განზოგადება შესაძლებელია: სრულიად დასაშვებია ნაწილით მიღებული დასკვნების განზოგადება მთელზე, მაგალითად, ამერიკის საზოგადოებრივი აზრის კვლევის ცენტრების გამოკითხვებში გამოსაკითხთა ერთობლიობა ქვეყნის მასშტაბის გამოკითხვებში ნეულებრივ 1500-ის ფარგლებშია.[1]

საზოგადოებრივი აზრის შესწავლა ხდება მოსახლეობასთან ფართო მასშტაბის დიალოგით. ამის საშუალებას იძლევა მასობრივი გამოკითხვები. მხოლოდ მეცნიერული კვლევის მეთოდებით მიღებული ობიექტური ინფორმაციაა ის ერთადერთი სანდო წყარო, რითაც საზოგადოებრივი აზრი გაიგება.

მკითხველს გვინდა მივაწოდოთ მოკლე ინფორმაცია ევროპული ცენტრის, გერმანული საზოგადოებრივი აზრის სამსახურის შესახებ. გერმანიაში საზოგადოებრივი აზრის კვლევას დემოსკოპიას უწოდებენ (ბერძნული-დემოს-ხალხი, სკოპია - დაკვირვება, შესწავლა), საზოგადოებრივი აზრის შემსწავლელ დაწესებულებასაც შესაბამისად, დემოსკოპიის ინსტიტუტი ჰქვია. ერთ-ერთი ამგვარი წამყვანი დაწესებულება მდებარეობს ქალაქ ალენსბახში, რომელიც 1947 წელს დაარსდა. მას უცვლელად ხელმძღვანელობდა პროფესორი ელიზაბეთ ნოელე-ნოიმანი. იგი კარგად იყო ცნობილი გერმანიასა და საზღვაგარეთ, როგორც სოციოლოგი და პუბლიცისტი. ინსტიტუტი ერთ-ერთ მსხვილ, კერძო, თავისუფალ სამეცნიერო დაწესებულებად ითვლებოდა. არსებობდა კერძო დაკვეთებითა და კონტრაქტებით. აქ ყოველთვ-

1. მაია დარჩია, ვახტანგ ქარუმიძე, საზოგადოებივი აზრის ინსტიტუტი: ისტორია, თანამედროვეობა, 1997, გვ. 9

ის ცდილობენ დაუარონ საკუთარი პოლიტიკური სიმპათია - ანტიპატიები (ასეა საზოგადოებრივი აზრის ყველა დაწესებულებაში) და დეკიზად აქვთ ქცეული დამოუკიდებლობა და თავისუფლება.

ინსტიტუტი ასრულებდა მთავრობის სხვადასხვა დაწესებულებათა და პარტიათა დაკვეთებს. სისტემატიურად აკეთებდა ბუნდესტაგის არჩევნების პროგნოზებს, სამუშაოთა მნიშვნელოვანი ნაწილი სრულდება ჟურნალ-გაზეთების დაკვეთით. ძირითადად სწავლობენ ინფორმაციის მასობრივი საშუალებების აუდიტორიასა და ეფექტიანობას, საზოგადოებრივ აზრს, საქონლის ბაზარს, კაპიტალდაბანდებათა პერსპექტივებს, მომხმარებელთა მოთხოვნებს და სხვა. ინსტიტუტს გააჩნია არქივი, სადაც ჩატარებულ გამოკითხვათა მონაცემები ინახება. გამოკითხვათა ძირითადი მიზნების გარდა, ინსტიტუტში მეცნიერული მუშაობაც მიმდინარეობს გამოკითხვათა მეთოდიკის სფეროში.

ინსტიტუტში 40-მდე მუდმივი თანამშრომელია. ესენი არიან სოციოლოგები, ფსიქოლოგები, ეკონომისტები, მათემატიკოსები, ინჟინრები და სხვა, დროებით მოწვეულებს არჩევენ შეკვეთის ხასიათის მიხედვით.

ძალიან ბევრი ჰყავთ შტატგარეშე ინტერვიუერები, რომლებიც გერმანიის სხვადასხვა რეგიონებში ცხოვრობენ. იქ, სადაც გამოკითხვა უნდა ჩატარდეს შერჩევის მიხედვით.

ინსტიტუტის სტრუქტურაში რამდენიმე განყოფილებაა: გამოკითხვის შედეგთა დამუშავების და ანალიზის, ინტერვიუებისა და ფსიქოლოგიური ტესტების მომზადების, ინტერვიუერებთან მუშაობის, მონაცემთა მანქანური დამუშავების, ტექნიკური, კადრების მომზადების, ადმინისტრაციულ-ფინანსური და სხვა. აქ კვლევითი მუშაობის დაგეგმვა არ არსებობს. საერთო საქმიანობა და თანამშრომელთა რაოდენობა შეკვეთებზეა დამოკიდებული. უშვებენ პერიოდულ საინფორმაციო ბიულეტენებს.

საზოგადოებრივი აზრის შესწავლა და სოციალურ მართვაში მისი გამოყენება, დასავლური დემოკრატიის მაგალითით, ტრადიციულ პრაქტიკად მკვიდრდება საქართველოში, რაშიც დადებით როლს ასრულებს შინაგან საქმეთა სამინისტროსთან არსებული საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტი, მისი წარსული, კარგი ტრადიციები და შემადგენლობა.

***

დემოკრატიულ ხელისუფლებაში დემოკრატიის ორი მოდელის მაჟორიტარული და პლურალისტური მეთოდების ფუნქციონირება დაკავშირებულია საზოგადოებრივ აზრთან, მისი როლის თვალსაზრისით. მაჟორიტარული მოდელის მიხედვით, ხელისუფლება ვალდებულია აკეთოს ის, რასაც მოითხოვს საზოგადოების უმეტესი ნაწილი. პლურალისტური მოდელის მომხრეები კი ამტკიცებენ: საზოგადოებას, როგორც ერთ მთლიანს, იშვიათად შეუძლია ზუსტი და თანმიმდევრული აზრის გამოხატვა მიმდინარე საკითხებზე.

საზოგადოებრივი აზრის შესწავლა შესაძლებლობას იძლევა უკეთ გავიგოთ განსხვავება ამ ორ მოდელს შორის. საზოგადოებრივი აზრის შესწავლა გულისხმობს მოსახლეობის მცირე ნაწილის გამოკითხვას მთელი საზოგადოების თვალსაზრისის გაგების მიზნით. საზოგადოებრივი აზრი არის კოლექტიური დამოკიდებულება ამა თუ იმ საკითხის ან მოვლენის მიმართ. საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვა თანამედროვე ცხოვრების ორგანული ნაწილია. საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვა აშშ-ის ცხოვრებაში დამკვიდრდა მეოცე საუკუნის 30-იანი წლებიდან, ხოლო გამოკითვის მეთოდი მძლავრ კვლევით საშუალებად იქცა 50-იანი წლებიდან - კომპიუტერის გამოგონების შემდეგ.

დემოკრატიის თითოეულ მოდელს აქვს განსხვავებული დამოკიდებულება საზოგადოებრივი აზრის მიმართ. მაჟორიტარული მოდელის მიხედვით, ითვლება, რომ მოსახლეობის უმეტეს ნაწილს აქვს გარკვეული, თანმიმდევრული აზრი მთავრობის პოლიტიკის შესახებ. პლურალისტური მოდელი თვლის, რომ საზოგადოებრივი აზრი ხშირად გაეოფილია. საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვა ასახავს ამ განსხვავებებს.

აშშ-ში საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვა ყველაზე ადრე დაიწყო ჯორჯ გელაპმა. ეს იყო 30-იან წლებში. გელაპის ინსტიტუტის გამოკითხვები ეხებოდა 1936-1992 წლებში საპრეზიდენტო არჩევნების მაჩვენებლებს. გელაპის პროგნოზები ყოველთვის ზუსტად არ ემთხვეოდა არჩევნების ფაქტობრივ შედეგებს, მაგრამ მონაცემები ძალიან ახლოს იდგა ერთმანეთთან. გამოკითხვის შედეგი ყველაზე მცდარი აღმოჩნდა 1948 წელს, როდესაც გელაპის ინსტიტუტის პროგნოზით რესპუბლიკური პარტიის კანდიდატს თომას დიუის უნდა დაემარცხებინა დემოკრატიული პარტიის კან-

დიდატი ჰარი ტრუმენი. მოხდა პირიქით: ტრუმენის ხმების რაოდენობა 5,4 პროცენტით მეტი აღმოჩნდა, ვიდრე გელაპის პროგნოზი იყო. 1992 წელს გელაპის უკანასკნელმა გამოკითხვამ საპრეზიდენტო არჩევნების წინ ბილ კლინტონს უწინასწარმეტყველა ხმების 49 პროცენტი, ჯორჯ ბუშს - 37, ხოლო როს პეროს 14. სინამდვილეში ქლინტონმა მიიღო 43,ბუშმა - 37, პერომ კი 19 პროცენტი. ამრიგად, გელაპის ინსტიტუტის პროგნოზი ზედმეტად აფასებდა ქლინტონს და ამცირებდა პეროს შანსებს.[1]

პოლიტიკური ფასეულობანი საზოგადოებრივი აზრის საფუძველია. ხალხი ამ ფასეულობებს იძენს პოლიტიკური სოციალიზაციის გზით. ეს რთული პროცესია, რომლის შედეგად პიროვნება იძენს ცოდნას პოლიტიკის შესახებ, სწავლობს პოლიტიკურ ფაქტებს და იქმნის პოლიტიკურ ფასეულობებს.

პოლიტიკური სოციალიზაციის გზები პოლიტიკის შემეცნება, ფასეულობების ჩამოყალიბება - ადამიანების მიხედვით მკვეთრად განსხვავდება, მაგრამ ადამიანთა უმრავლესობა ერთსა და იმავე გავლენას განიცდის სოციალიზაციის აგენტების (სხვანაირად, განმსაზღვრელი სოციალური ინსტიტუტების) მხრიდან, განსაკუთრებით ბავშვობაში და მოზარდ ასაკში. ეს აგენტებია ოჯახი, სკოლა, უბანი, თანასწორები და ტელევიზია.

ოჯახი: აღმზრდელობითი გავლენის მოხდენის საშუალება დიდია მშობლებისა და ბავშვის ურთიერთობის დროს. თუმცა ეს გავლენა შემცირდა ერთმშობლიანი ოჯახების რიცხვის ზრდასთან ერთად. ის ბავშვები, რომლებსაც ორივე მშობელი ჰყავთ ოჯახში, იძენენ უფრო ფართო მასშტაბის სოციალურ, მორალურ, რელიგიურ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ ფასეულობებს, რომელთა საფუძველზე ყალიბდება მათი შეხედულებები. ამდენად არ არის გასაკვირი, რომ მათი ადრეული მოგონებები პოლიტიკაზე ოჯახთანაა დაკავშირებული. პოლიტიკით დაინტერესებული მშობლები ამ კუთხით შვილების ინტერესსაც განაპირობებენ, რადგან ცდილობენ უკეთ გაიცნობიერონ ისინი პოლიტიკურ მოვლენებში.

პოლიტიკურად ყველაზე მნიშვნელოვანი მომენტი, რომელსაც ბავშვები იძენენ მშობლებისაგან, არის პარტიული კუთვნილების საკითხი. ახალგაზრდა ამერიკელ ამომრჩეველთა ნახევარი მიეკ-

---

1. ამერიკული დემოკრატია, აშშ ხელისუფლება და პოლიტიკური პროცესი, ინგლისურიდან თარგმნა რევაზ გაჩეჩილაძემ, 1996, გვ. 111-112

უთვნება იმავე პარტიას, რომელსაც მათი მშობლები მიეკუთვნებიან. ასეთი გაკლენა უფრო ძლიერია, მაშინ, როცა ორივე მშობელი ერთ პარტიას მიეკუთვნება.

სკოლა: ზოგიერთი მკვლევარის აზრით, პოლიტიკური ცოდნის მიღების თვალსაზრისით, ბავშვზე სკოლის გაკლენა მშობლების გაკლენაზე მეტი თუ არა, ნაკლები არ არის. ამ მხრივ დაწყებითი და საშუალო სკოლა განსხვავდება უმაღლესი სკოლისაგან. დაწყებითი სკოლა, ოჯახისაგან დამოუკიდებლად აცნობს ბავშვებს ისტორიულ პიროვნებებს, ასწავლის მათ საშობლოს ერთგულებას, ეროვნულ ჰიმნს, აცნობს ეროვნულ გმირებს, დღესასწაულებს. ამ დროს ყურადღება მახვილდება საზოგადოებრივი ქცევის ნორმებისა და დემოკრატიული აზროვნების ჩამოყალიბებაზე. ამერიკაში და არა მხოლოდ იქ, დაწყებითი სწავლების სისტემა მიმართულია არა იმდენად პიროვნების განათლების, რამდენადაც მის ცნობიერებაში გარკვეული იდეების ჩანერგვისაგან, დაწყებითი სკოლიდან ბავშვების უმრავლესობას უყალიბდება ეროვნულობის (ნაციონალიზმის) გრძნობა და ამერიკის მთავრობაზე იდიალიზირებული წარმოდგენა, მერე კლასის დამთავრებისათვის მათ უკვე შეუძლიათ განასხვავონ მთავრობის ლიდერები და სამთავრობო ინსტიტუტები, ისინი გათვითცნობიერებულნი არიან საზოგადოებრივ ინსტიტუტებში, კონგრესსა და არჩევნებში.

მოსწავლეების "კარგ მოქალაქეებად" აღზრდის პროცესი საშუალო სკოლაშიც გრძელდება. სასწავლო პროგრამებში თავმოყრილია უფრო დაწვრილებითი, ყოვლის მომცველი ინფორმაცია, შეტანილია ამერიკის ახალი და უახლესი ისტორიის კურსი, სპეციალური სასწავლო კურსები მოქალაქეთა უფლებებსა და სამთავრობო სტრუქტურების შესახებ. კარგი მასწავლებლები მოსწავლეებისაგან ამ ეტაპზე ითხოვენ ამერიკის მთავრობისა და პოლიტიკასთან დაკავშირებულ საკითხების კრიტიკულ ანალიზს. სხვები ყურადღებას ამახვილებენ მოქალაქეთა უფლებების შესწავლის საკითხებზე. ამ სასწავლო პროცესის შედეგად მოსწავლე იღებს უფრო მეტ ცოდნას პოლიტიკურ პროცესზე და მასში დაკავებული პიროვნებების შესახებ.

უბანი და თანასწორები: ტერმინი "უბანი" აღნიშნავს: 1. ერთ ადგილზე მცხოვრებ ადამიანთა ჯგუფს, რომელსაც მთლიანობაში განიხილავენ; 2. იმ ადგილს, სადაც ეს ჯგუფი ცხოვრობს;

3. ჯგუფს, რომელსაც აერთიანებს საერთო რელიგია, რასა, ეთნიკურობა, საქმიანობა თუ ინტერესები, თქვენი უბანი, აერთიანებს სხვადასხვა ასაკის ადამიანებს, ისინი ცხოვრობენ ან მუშაობენ თქვენს გვერდით და ამდენად, ურთიერთობა გაქვთ მათთან. თანასწორები არიან თქვენი ამხანაგები, თანაკლასელები და თანამშრომლები,უმეტესად ისინი თქვენი ასაკისანი არიან და ცხოვრობენ თქვენსავე უბანში".[1]

უბნის მოსახლეობის შემადგენლობამ შეიძლება დიდი როლი ითამაშოს პიროვნების პოლიტიკური შეხედულებების ჩამოყალიბებაში. ერთგვაროვანი უბანი, რომლის წევრები ეთნიკური, რასობრივი, რელიგიური თუ პროფესიული სტატუსით მსგავსნი არიან, დიდ გავლენას ახდენს ბავშვების და მოზარდების ძირითადი შეხედულებების ფორმირებაზე. თანასწორების მეშვეობით ახალგაზრდები ხშირად თავს იცავენ უბნის ზემოქმედებისაგან. ადრეულ ასაკში ბავშვები ბაძავენ ერთმანეთს ჩაცმულობითა და ცხოვრების სტილით, ნაკლებად პოლიტიკური შეხედულებით, თანასწორთა გავლენა პოლიტიკურ შეხედულებებზე ძლიერდება კოლეჯის პერიოდში, ხშირად ეს გამოწვეულია იმით, რომ ახლად მიღებული ცოდნა ეწინააღმდეგება მშობლების შეხედულებებს.

პოლიტიკური სოციალიზაცია გრძელდება მთელი ცხოვრების მანძილზე, პოლიტიკური ცოდნის გაღრმავებითა და შეხედულებების ჩამოყალიბებით, მშობლებისა და სკოლის ზეგავლენის შემცირების შემდეგ იზრდება თანასწორთა (მეზობლების, თანამშრომლების, კლუბის წევრების) გავლენა. მოზრდილი ადამიანი ინფორმაციას პოლიტიკური მოვლენების შესახებ, ჩვეულებრივ, მასობრივ საინფორმაციო საშუალებებით იღებენ. ამდენად ეს საშუალებები თვით გახდნენ სოცალიზაციის აგენტები.

ეს პროცესები საფუძვლად უდევს საზოგადოებრივი აზრის ფორმირებას, მისი ადგილისა და როლის განსაზღვრას საზოგადოებაში.

2. საზოგაოებრივი აზრის ინსტიტუტის დაარსება

ნებისმიერი ქვეყნის ხელმძღვანელობის გონიერება გამოიხატება იმაში, თუ რამდენად რეგულარულად ხდება მის მიერ საზოგადოებრივი აზრის შესწავლა. რა ხდება ქვეყანაში. რა განწყობილებაა ხალხში, რას ფიქრობს, რა აღელვებს მოსახლეობას? ეს ყველაფ-

1. ამერიკული დემოკრატია, აშშ ხელისუფლება და პოლიტიკური პროცესი, 1996, გვ. 116

ერი უნდა აინტერესებდეს მთავრობას. მსოფლიოს წამყვან დემოკრატიულ ქვეყნებში, სადაც ხალხის აზრს ანგარიშს უწევენ, დაარსებულია სპეციალური სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები, სადაც რეგულარულად და ფართო სპექტრით ხდება საზოგადოებრივი აზრის შესწავლა. როგორც უკვე აღვნიშნეთ, მსოფლიოში განთქმულია გელაპის, ჰარისის, იანკელოვიჩის ინსტიტუტები ამერიკის შეერთებულ შტატებში, საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტები საფრანგეთში, დიდ ბრიტანეთში, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში, ეს დაწესებულებანი კვირაში რამდენჯერმე ატარებენ მოსახლეობის მასობრივ გამოკითხვებს და ამით თვალყურს ადევნებენ ქვეყნის მაჯისცემას.

მას შემდეგ, რაც რუსეთში მოხდა "ოქტომბრის სოციალისტური რევოლუცია" და დედამიწის ერთი მეექვსედი მოექცა კომუნისტური აზროვნების მოჯადოებულ რკალში, საქართველო საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში მყოფ თოთხმეტ მოკავშირე რესპუბლიკასთან ერთად შეუდგა სოციალიზმის მშენებლობას ერთი მიზნით - შექმნილიყო საზოგადოებრივი განვითარების მარქსისეული უმაღლესი ფორმაცია - კომუნიზმი. ამისათვის საჭირო იყო რკინისებურ რეჟიმს დაქვემდებარებული ერთსახოვანი აზროვნება. ხალხის მასების მიზანმიმართული მიყოლა მმართველი პარტიის კურსისადმი. უნდა ყოფილიყო ყველასათვის სავალდებულო - სიტყვა, რომელსაც იტყოდა პარტია, საქმე, რომელსაც დაავალებდა პარტია და მიზანი, რომელსაც დაუსახავდა პარტია.

ომის შემდგომ წლებში ტოტალიტარულმა აზროვნებამ უფრო ფათო მასშტაბით მოიცვა უზარმაზარი ქვეყანა. განსხვავებული აზრი უბრალოდ მიუღებელი კი არა, სასწრაფოდ აღმოსაფხვრელი იყო. სიმართლის მთქმელს შეკაზმული ცხენიც ვერ უშველიდა. დანარჩენი მსოფლიოსაგან რკინის ფარდით გამოყოფილი ვეებერთელა კომუნისტური ქვეყანა არ დაუშვებდა არავითარ სხვა აზრს და სხვა მიზანს, რომელიც მის სახელმწიფოებრივ სიმტკიცეს ძირს გამოუთხრიდა. ამიტომ იდევნებოდა ყველა და ყველაფერი ანტისაბჭოური, ანტიკომუნისტური. რკინის ფარდის მიღმა საშყარო აქეთა მხარისათვის მიუწვდომელი იყო, ხოლო ის რჩეული უმცირესობა, რომელსაც თავისი პრივილეგიებით ხანდახან უწევდა საზღვარგარეთ გასვლა, უნდა დაეცვა და მაღლა აეწია თავისი ქვეყნის პრესტიჟი. საბჭოთა ქვეყანაში ცდილობდნენ ნაკლები ელაპარაკათ სოციალისტური წყობის მანკიერ

მხარეებზე და რასაც იტყოდნენ ისიც საკმაოდ შელამაზებული უნდა ყოფილიყო. ისეთი სოციალური პრობლემები, როგორებიცაა ნარკომანია და პროსტიტუცია, ქვეყანაში ვითომდა არ არსებობდა. არადა თვალის მოხუჭვა საქმეს არ შველოდა. ზენიტში იყო ასული მომხვეჭელობა, კორუფცია, მექრთამეობა, ნაკომანია, პროსტიტუცია საჭირო იყო დიდი სიმამაცე და გაბედულება, რომ ეს ყველაფერი ხმამაღლა გეთქვა. როგორ შებედავდნენ მაშინდელ პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივნებს შექმნილი მდგომარეობის შესახებ. ყრილობებზე, ცენტრალური კომიტეტის პლენუმებზე, უმაღლესი საბჭოს სესიებზე ფეხამდგარნი საათობით ტაშს უკრავდნენ "დიად მიღწევებს".

ასეთ პირობებში საბჭოთა კავშირის ოხუთმეტი მოკავშირე რესპუბლიკიდან ერთ-ერთში საქართველოში მოხდა უპრეცედენტო შემთხვევა, 1966 წლის 20 იანვარს შინაგან საქმეთა სამინისტროსთან დაარსდა საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტი. დაარსების ინიციატორი და ორგანიზატორი იყო მაშინდელი შინაგან საქმეთა მინისტრი ედუარდ შევარდნაძე.

იმ დროს, როდესაც განსხვავებული აზრის ხსენება, არამცთუ კვლევა, ყოვლად დაუშვებელი იყო, ედუარდ შევარდნაძის ეს ნაბიჯი სანიმუშო მაგალითს წარმოადგენდა. მისივე სიტყვებით "საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსთან არსებული საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტის შექმნა (დაარსდა 1966 წლის 20 იანვარს) ტოტალიტარიზმის, მბრძანებლურ-ბიუროკრატიული სახელმწიფოს არსებობის პირობებში, მოითხოვა დიდ გამბედაობას, სიმტკიცეს, სიმამაცეს და უმაღლეს პასუხისმგებლობას. ამიტომ ინსტიტუტის დაარსება უაღრესად მნიშვნელოვანი მოვლენა იყო".

რატომ მაინც და მაინც შინაგან საქმეთა სამინისტროსთან შეიქმნა საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტი? ამის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი ის იყო, რომ საზოგადოებაში არსებული პრობლემების შედეგად შობილი ზნეობისა თუ უზნეობის ნაყოფის მომკა ყოველთვის შინაგან საქმეთა ორგანოების კისერზე გაადის. საქართველოს შინაგან საქმეთა ორგანოების წინაშე მდგომი პრობლემების წარმატებით გადაწყვეტა, დანაშაულობაია შემდგომი შემცირება შეუძლებელია საზოგადოებრივი მოვლენების ღრმა კვლევის, მეცნიერულად დასაბუთებული რეკომენდაციების შემუშავების გარეშე, დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლაში მთელი საზოგადოების ნაუბმელად ამ მხრივ საზო-

გადოებრივი აზრის ინსტიტუტს დიდი პასუხისმგებლობა დაეკისრა, მას არა მარტო უნდა შეესწავლა საზოგადოებრივი აზრი, არამედ უნდა დაედგინა დანაშაულის გამომწვევი ობიექტური და სუბიექტური მიზეზები. ზოგიერთს შეიძლება მარტივად მოეჩვენოს დროის გარკვეულ მონაკვეთში გარკვეული რაოდენობის რესპოდენტების გამოკითხვა და საერთო აზრის ჩამოყალიბება, მაგრამ თუ დავუკვირდებით, რა ყურადღებას აქცევენ საზღვარგარეთ საზოგადოებრივი აზრის კვლევას, საქმე ძალიან რთული სახით წარმოსინდება, რა თქმა უნდა, ძალიან ძნელია პარალელი გააკეთო განვითარებულ ქვეყნებსა და ჩვენში არსებულ საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტებსა და კვლევითი მეთოდების თაობაზე. საზღვარგარეთ არსებობს აქის ათეული წლობით დაგროვილი გამოცდილება და უმდიდრესი მატერიალური ბაზა, თუნდაც იგივე გელაპის ინსტიტუტი ამერიკის შეერთებულ შტატებში აღჭურვილია თანამედროვე კომპიუტერული და გამოთვლითი ტექნიკით, იგი კოორდინაციას უწევს თავისი ფილიალების საქმიანობას 50 ქვეყანაში, ამ დაწესებულებას შეუძლია რამდენიმე საათში ჩაატაროს გამოკითხვა ნებისმიერ აქტუალურ თემაზე. იგი იღებს შეკვეთებს სხვადასხვა ფირმების და დაწესებულებებისაგან, გაანსია საკუთარი ჟურნალ-გაზეთები, რომლებშიც ქვეყნება სქემები და დიაგრამები, სადაც ასახულია თვეებისა და წლების მიხედვით საზოგადოებრივი აზრის ტენდენციები და ცვლილებები და რაც მთავარია, ინსტიტუტის მიერ ჩატარებული კვლევის შედეგებს გულდასმით სწავლობს ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა, განსაკუთრებით რთული სიტუაციების ან წინასაარჩევნო კამპანიების პერიოდში.

ხაზგასმით გვინდა აღვნიშნოთ, რომ ოდნავი პრეტენზიაც არ არსებობს იმისა, რომ საქართველოში დაარსებული საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტი დაარსებიდანვე ან თუნდაც გვიან ტოლს დაუდებდა ასეთ სახელგანთქმულ ინსტიტუტებს, მაგრამ უბრალოდ მისი დაარსების ფაქტიც კი ტოტალიტარულ ქვეყანაში უპრეცედენტო და უნიკალური იყო.

***

საზოგადოებასთან მუშაობის ახალი ფორმებისა და მეთოდების ძიებისას, გაითვალისწინეს რა ის დიდი შესაძლებლობანი, ტრადიციები, გამოცილება, რომლებიც გაანდათ მოსახლეობას, სასწავლებლებს, საზოგადოებრივ ორგანი-

ზაციებს, საქართველოს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტრომ და რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის სახელმწიფო კომიტეტმა 1966 წლის 20 იანვარს შექმნეს საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტი, რომელიც აერთიანებდა მასებთან კავშირის მეტად მნიშვნელოვან და ეფექტიან საშუალებებს, ახდენდა საზოგადოებრიობასთან მუშაობის სისტემატიზაციას და წარმართავდა მას მეცნიერულ საფუძველზე.

გაზეთი "მებრძოლი გუშაგი" 1966 წლის 31 იანვარს თავის მკითხველს შემდეგს აცნობდა: "საზოგადოებრივი აზრი დიდ ძალას წარმოადგენს წესრიგის დაცვისათვის ბრძოლაში. ამ ცოტა ხნის წინათ (20 იანვარს) საქართველოს სსრ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტრომ და მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა რადიო-მაუწყებლობის და ტელევიზიის კომიტეტმა შექმნეს საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტი. მის შემადგენლობაში, რომელიც საზოგადოებრივ საწყისებზეა ჩამოყალიბებული, შედიან მილიციის ვეტერანები, სწავლულები, პოეტები და მწერლები, წარმოების ნოვატორები.

ამ ინსტიტუტის ხელმძღვანელი ორგანო საბჭო, რომელიც საერთო კრებაზე იქნა არჩეული 7 კაცის შემადგენლობით. მასში შეეიდნენ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორები იასე ცინცაძე, სერგო ჯორბენაძე, გელა ბანძელაძე, პროფესორი ირაკლი ანთელავა, სერგო ქავთარაძე და სხვები.

ინსტიტუტში ჩამოყალიბდა ხუთი სექცია - სისხლის სამართლის დანაშაულისა და ხულიგნობის, საკუთრების დამტაცებელთა, სპეკულაციისა და მექრთამეობის, ბავშვთა უმეთვალყურეობისა და ტრანსპორტზე საზოგადოებრივი წესრიგის დამრღვევთა წინააღმდეგ ბრძოლის სექციები.

თითოეული სექცია ცალკე ადგენს სამუშაო გეგმებს. წინასწარ უთანხმებს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამის განყოფილებებს, რის შემდეგაც ინსტიტუტის საბჭოს წარუდგენს დასამტკიცებლად.

ახლად შექმნილი საზოგადოებრივი დაწესებულების წინაშე დიდი და სერიოზული ამოცანები დგას. ინსტიტუტი მოწოდებულია ჩაატაროს რესპუბლიკის ცნობილი ადამიანების ლექციამოხსენებები, მოაწყოს რადიო და ტელეგადაცემები, ანვენოს სპეციალური პიესები და კინოფილმები.

მნიშვნელოვნად გაფართოვდება მუშაობის მასშტაბები, საუბრებს ჩაატარებენ ფაბრიკებსა და ქარხნებში, ინსტიტუტებსა და

დაწესებულებებში, ინსტიტუტის თანამშრომლები პერიოდულად გამოვლენ რესპუბლიკურ პრესაში სტატიებით, გარკვევებით, მოგონებებით მილიციის გმირული წარსულის შესახებ, ხოლო დღევანდელობიდან ფართოდ გააშუქებენ საზოგადოებრიობის როლს მართლწესრიგის დამრღვევების წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში.[1]

"საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტმა, პრეზიდენტის თქმით,- დაარსების პირველი დღეებიდანვე საქართველოს მოწინავე ადამიანთა საუკეთესო ნაწილი ჩაება მართლწესრიგის განმტკიცებისა და დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების საქმეში. განსაკუთრებით დიდ მუშაობას ეწევა არასრულწოვანთა შორის სამართალდარღვევათა აღმოფხვრისა და ნარკომანიის მიმართ ჯანსაღი საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებისა და ამ, სოციალურად საშიში მოვლენის, დაძლევისათვის.

მე არასოდეს დამავიწყდება საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტის საქმიანობის პირველი დღეები და წლები, შეხვედრები ინსტიტუტის პირველ შემადგენლობასთან".

ინსტიტუტი თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობდა სპეციალური დებულებით, რომლის სრულყოფისათვის მუშაობა შემდგომშიც გრძელდებოდა. ძიების მიზანი იყო მუშაობის ყველაზე სრულყოფილი, ეფექტიანი ფორმებისა და მეთოდების შემუშავება. დებულებაში ასე იყო განსაზღვრული საზოგადოებრივი აზრის ინსტიუტტის უფლება-მოვალეობანი: "ინსტიტუტი მოწოდებულია მოსახლეობას შორის აწარმოოს კონკრეტული სოციოლოგიური კვლევა, შეისწავლოს დანაშაულობათა წარმომშობი მიზეზები, შეიმუშაოს მათი თავიდან აცილების ღონისძიებანი.

საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტი თავის მუშაობაში ეყრდნობა სსრ კავშირის საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტროსთან არსებული სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის, დანაშაულობათა მიზეზების შემსწავლელი და მისი თავიდან აცილების ღონისძიებების შემმუშავებელი საკავშირო ინსტიტუტის, აგრეთვე, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტის სოციოლოგიური კვლევის ჯგუფის, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციოლოგიური კვლევის ლაბორატორიისა და ჩვენი ქვეყნის სხვა სამეცნიერო-კვლევითი ცენტრების მდიდარ გამოცდილებას.

---

1 გაზეთი "მებრძოლი გუშაგი", 1966 წლის 31 იანვარი

ინსტიტუტი მოწოდებულია მოსახლეობას ფართოდ განუმარტოს კანონმდებლობა, საზოგადოებრივი წესრიგის განმტკიცების შესახებ მთავრობის დადგენილებანი, სისხლის სამართლის დანაშაულობები სპეკულაციის, მტაცებლობის, მექრთამეობის, ლოთობის, ხულიგნობისა და სხვა ანტისაზოგადოებრივი გამოვლინებების წინააღმდეგ ბრძოლის საკითხები, ამ თემებზე ჩააწაროს ლექციები, მოხსენებები, საუბრები, მოაწყოს რადიო და ტელეგადაცემები, აჩვენოს კინოფილმები, პროპაგანდა გაუწიოს ტრანსპორტისა და ფეხით მოსიარულეთა უსაფრთხოების წესებს.

გაზეთებისა და ჟურნალების ფურცლებზე გამოაქვეყნოს სტატიები, მოგონებები, რომლებიც ასახავს სისხლის სამართლის დანაშაულობისა და მართლწესრიგის დარღვევების წინააღმდეგ მილიციის ბრძოლის გმირულ წარსულს, ფართოდ გააშუქოს როლი საზოგადოებრიობისა, რომელსაც ის დანაშაულობისა და წესრიგის დარღვევის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში უნდა ასრულებდეს.

ფართოდ გამოიყენოს პრესა, რადიო, კინო, ტელევიზია, კითხვა-პასუხის საღამოები იმისათვის, რომ შექმნას საზოგადოებრივი აზრი იმ პირთა მიმართ, რომელთაც მიდრეკილება აქვთ სისხლის სამართლის დანაშაულის, ხულიგნობის, ლოთობის, აზარტული თამაშობებისა და სხვა ანტისაზოგადოებრივი გამოვლინებებისადმი.

საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტის წევრებს უფლება აქვთ ცალკეულ კონკრეტულ შემთხვევაში რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიონებში გაეცნონ ოპერატიულ მდგომარეობას, მართლწესრიგის დარღვევის ფაქტებს, აიღონ საჭირო მასალები საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტროს შესაბამის ორგანოებში ლექციებისა და საუბრების ჩასატარებლად".[1]

საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტს, როგორც თავისებურ სამეცნიერო კვლევითი ხასიათის უშტატო დაწესებულებას დიდი სარგებლობა მოჰქონდა მართლწესრიგის დარღვევების წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში. ამ მხრივ მისი შესაძლებლობანი უდიდესი იყო.

საზოგადოების წარმომადგენელთა გამოკითხვა მდიდარ მასალას იძლეოდა არა მხოლოდ წმინდა მეცნიერული თვალსაზრი-

1. გაზეთი "მებრძოლი გუშაგი", 1967 წლის 29 მარტი

სით, არამედ პრაქტიკული მნიშვნელობის ნიშნითაც. საზოგადოების ცალკეულ წევრებზე ემპირიული დაკვირვეების ანალიზისა და შეჯამებისას შინაგან საქმეთა ორგანოები მუშაობას აგებდნენ მეცნიერულ საფუძვლებზე.

ინსტიტუტის მოქმედების სფერო იყო განუსაზღვრელი. საზოგადოებრივი აზრი შეისწავლებოდა რესპუბლიკის , ქალაქების, რაიონების, მსხვილი საწარმოების, უმაღლესი სასწავლებლების და სამეურნეო მშენებლობის ცალკეული უბნების მასშტაბით.

საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტი ავლენდა საკუთრების დაცვის არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობის, მატერიალურ ფასეულობათა არასწორი აღრიცხვისა და უკონტრლობის ფაქტებს საწარმოებსა და დაწესებულებებში.

საზოგაოებრივი აზრის ინსტიტუტის პირველი რექტორი იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სისხლის სამართლის კათედრის გამგე, პროფესორი ბორის ფურცხვანიძე. საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტის პირველი მოწვევის წევრები იყვნენ: ირაკლი აბაშიძე, ირაკლი ანთელავა, დიმიტრი ალექსიძე, ნანა ალექსანდრია, ვერიკო ანჯაფარიძე, დოდო ანთაძე, ანგია ბოჭორიშვილი, ვახტანგ ბალავაძე, პაატა გუგუშვილი, კონსტანტინე გამსახურდია, ვასო გოძიაშვილი, ნონა გაფრინდაშვილი, ნოდარ დუმბაძე, სიკო დოლიძე, ილია ვეკუა, ავლიპ ხურაბაშვილი, სერგო ზაქარიაძე, ილია თავაძე, გივი ინწკირველი, ვიქტორ კუპრაძე, მურმან ლებანიძე, რვაზ ლაღიძე, კონსტანტინე ლორთქიფანიძე, ნიკოლოზ მუსხელიშვილი, გიორგი მელიქიშვილი, რევაზ მარგიანი, ნიკო მამაიაშვილი, ვლადიმერ მაჭავარიანი, გიორგი ნატროშვილი, იოსებ ნონეშვილი, ბორის პაიჭაძე, ვასილ პაპინაშვილი, ბესო ჟღენტი, ილია ტაბაღუა, ბორის ფურცხვანიძე, გურამ ფანჯიკიძე, ვენორი ქვაჩახია, აკაკი შანიძე, გივი წითლიძე, ჯანსულ ჩარკვიანი, სულხან ცინცაძე, იასე ცინცაძე, თინაოინ წერეთელი, უჩა ჯაფარიძე, რევაზ ჯაფარიძე, სერგო ჯორბენაძე, გივი ინწკირველი, ნიკო ყოფიაშვილი, საწარმოთა და სოფლის მეურნეობის მოწინავენი.

საზოგაოებრივი აზრის ინსტიტუტი აერთიანებდა მეცნიერებს, ლიტერატურისა და ხელოვნების მუშაკებს, მილიციის ვეტერანებს, წარმოების ნოვატორებს. ინსტიტუტი თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობდა სპეციალური დებულებით, რომლის მიხედვით იგი მოწოდებული იყო ეწარმოებინა კონკრეტული სოციოლოგიური კვლევა, შეესწავლა საამთალდარღვევათა მიზეზები, შეემუშავებინა მათი თავიდან აცილების ღონისძიებები და მუშაობის გაუმჯობესების რეკომენდაციები.

საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტის მიერ გატარებული ღონისძიებების შედეგად ძირეული გადატეხა მოხდა საზოგაოებრივ აზროვნებაში, შეინიშნებოდა საზოგადოებრიობისა და წესრიგის დაცვის მუშაკთა დაახლოების ტენდენცია. მრავალფეროვანი იყო საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტის მიერ თავის მოღვაწეობაში გამოყენებული ფორმები და მეთოდები. ეს იყო საზოგადოებრიბის ანკეტური გამოკითხვები, ინტერვიუები, კითხვა-პასუხის საღამოები, სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციები, ზეპირი ჟურნალების გამოშვება, რადიო და სატელევიზიო გადაცემები. საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტროს ხელმძღვანელები, საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტის წევრები ხშირად გამოდიოდნენ მოხსენებებით მოსახლეობის წინაშე, ანგარიშს აბარებდნენ სატარებულ მუშაობაზე.

***

საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტის მუშაობაში დიდი ყურადღება ეთმობოდა საზოგადოების მობილიზაციას ხულიგნობასთან ბრძოლის საქმეში. ინფორმაციის მასობრივი საშუალებებით საქართველოს გამოჩენილმა ადამიანებმა საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტის სახელით ხმა აღიმაღლეს ხულიგნობისა და დებოშიორების წინააღმდეგ, მთელ საზოგადოებრიობას მოუწოდეს გაეაქტიურებინათ ხულიგნობასთან ბრძოლა და მათ ირგვლივ შეექმნათ შეუწყნარებლობის ატმოსფერო.

კონსტანტინე გამსახურდია: "ახლა ნამეტან ლიბერალობას ვიჩენთ ხულიგნობის, დანებით აღჭურვილი უსაქმურების, უქუდო, უქამრო და უზნეო ახალგაზრდების მიმართ. საჭიროა უფრო ენერგიული ზომების მიღება".

პაატა გუგუშვილი - "მთელი ენერგია უნდა მოხმარდეს საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევების, განსაკუთრებით ხულიგნობის, დანაშაულობათა ამ "დაწყებით სკოლასთან" ბრძოლას, როცა გამვლელთა თვალწინ ხულიგნები სცემენ მოქალაქეს ან რაზმელს, ამის შესახებ მთელ ქვეყანას უნდა შევატყობინოთ".

უჩა ჯაფარიძე: " არ შეიძლება ნამდვილი მოქალაქე გერქვას და შენს გვერდით ითმენდე სპეკულანტს, მექრთამეს, ხულიგანს, ითმენდე - ზნეობრივ მანკიერებებს".

ეგნატე ფიფია: "მეტი სიმკაცრით უნდა მოვექცეთ იმ ახალგაზრდებს, რომლებიც არსად არ მუშაობენ და არც სწავლობენ.

სწორედ ამ უსაქმურობის შედეგია, რომ ისინი შემდეგ მათთვის საბედისწერო გზას ადგებიან“.[1]

***

გამონენილმა ადამიანებმა, საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტის სახელით, ხმა აღიმაღლეს ხულიგნობის წინააღმდეგ, მთელ საზოგადოებრიობას მოუწოდეს გაეაქტიურებინათ ხულიგნობასთან ბრძოლა და მათ ირგვლივ შეექმნათ შეუწყნარებლობის ატმოსფერო.

შალვა ნუცუბიძე: “მილიციის მუშაობას ხულიგნობის წინააღმდეგ უნდა თანაუგრძნობდეს საზოგადოებრიობა და მისი ცალკეული წარმომადგენლები“.

აპლიპ ზურაბაშვილი: “მშრალი, შიშველი ადმინისტრაციული ღონისძიება ვერ გასწვდება საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ფართო მოთხოვნილებებს... ადამიანის საქციელს თვალყურს უნდა ადევნებდეს აბსოლუტურად მოუსყიდავი და უანგარო რევიზია სინდისი, მოვალეობის გრძნობა და უსაზღვრო პატრიოტიზმი“.

ლადო გუდიაშვილი: - “ეე მიზანშეწონილად მიმანნია შეიქმნას კლუბი, საიდანაც, როგორც სახალხო ტრიბუნიდან, ხმა უნდა აღიმაღლონ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მუშაკებმა, გამოთქვან თავიანთი აზრი და მოუსმინონ სხვებს“.

იასე ცინცაძე: - “ საზოგადოებრიობამ განგაში უნდა ატეხოს იმის გამო, რომ უმნიშვნელო უმცირესობა არცხვენს თავის თანადროულებს“.

ნიკო კეცხოველი: - “ყოველმა მოქალაქემ, დიდმა და პატარამ კარგად უნდა გაიგოს, შინაგანად უნდა შეიყვაროს ის ადამიანი, რომელიც მილიციის მუშაკის სახელს ატარებს... მილიციის მუშაკიც განსაკუთრებულ ზრუნვას რომ იგრძნობს, ისიც განიმტკიცებს რწმენას, რომ არა მარტო ფორმალური ვალდებულების გამო ასრულებს თავის მოვალეობას, არამედ შინაგანი მოთხოვნის ძალით“

ლევან გოთუა: “საზოგადოებას თითქმის ყოველთვის ჰყავს ზნეობრივად უმწიფარი, მერყეი ნაწილი. უმრავლეს შემთხვევაში ეს უსწავლელი, უშრომელი პრიმიტიული ლტოლვებისა და აზროვნების ადამიანები არიან. მაგრამ არიან მათ შორის შემთხვევით გზააბნეული პირებიც, საზოგადოება ვალდებულია მათ'ხე

1. გაზეთი “მებრძოლი გუშაგი“, 1966 წლის 6 ივნისი, 1969 წ. 18 აგვისტო, 1970 წლის 14 იანვარი.

იზრუნოს, გზაზე დააყენოს, შეაგონოს, თუ საჭიროება მოითხოვს მკაცრად დასაჯოს კიდევაც, რომ ეს მავნე სენი სხვებსაც , განსაკუთრებით ახალგაზრდობას არ გადაედოს".

ინსტიტუტის წევრთა რნევები და სურვილები საფუძვლად ედო შინაგან საქმეთა სამინისტროს გადაწყვეტილებებს, ბრძანებებს, ღონისძიებათა გეგმებს.

საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტი წარმოადგენდა მოსახლეობასთან ურთიერთობისა და საზოგადოებრივი აზრის შესწავლის სრულიად ახალ, ეფექტიან და სრულყოფილ ფორმას. იგი პრაქტიკაში ნერგავდა დამნაშავეობასთან ბრძოლის მეცნიერულად დასაბუთებულ, ყველაზე ქმედით, დროულ და ოპტიმალურ რეკომენდაციებს. ინსტიტუტმა თავისი შემადგენლობით, სტრუქტურით, სექციებით, მუშაობის მიმართულებებით, ეფექტიანობითა და პრინციპულობით მნიშვნელოვანი ადგილი დაიმკვიდრა შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში. იგი აღიარა საზოგადოებრიობამ.

დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტმა თავისი არსებობის მანძილზე ბევრი დადებითი და სასარგებლო გააკეთა მოსახლეობის საზარალებრივი აღზრდისა და მართლწესრიგის განმტკიცებისათვის, საზოგადოებრივი აზრის შესწავლის უახლესი მიღწევების, ფორმებისა და მეთოდების გამოყენებით პრაქტიკაში დანერგა დამნაშავეობასთან ბრძოლის მეცნიერულად დასაბუთებული, ყველაზე ქმედითი და ოპტიმალური რეკომენდაციები.

თანამედროვე ეტაპზე, საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლისა და ეკონომიკური რეფორმების განხორციელების პირობებში, ინსტიტუტის მიზანია ყოველმხრივი დახმარება აღმოუჩინოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მართლწესრიგის განმტკიცების, დამნაშავეობის წინაარმდეგ ბრძოლის გაძლიერების, სამართალდარღვევათა პროფილაქტიკის, კანონიერების განმტკიცებისა და მოსახლეობაში მართლწესრიგის ამაღლების საქმეში.

ინსტიტუტის მრავალმხრივ საქმიანობას დღენიადაგ აშუქებს პრესა, რადიო, ტელევიზია, თვალს ადევნებს საქართველოს მოსახლეობა, სახელოვანი ახალგაზრდობა, მის საქმიანობაზე დიდ იმედებს ამყარებენ საქართველოს პრეზიდენტი, პარლამენტი, სახელმწიფო კანცელარია, სამინისტროები და დეპარტამენტები, მხარეები, ქალაქები და რაიონები, უმაღლესი სასწავლებლები და სამეცნიერო - კვლევითი ინსტიტუტები.

საქართველოს პრეზიდენტი ეუარდ შევარდნაძე ასე განსაზღვრავს ინსტიტუტის მუშაობის მთავარ მიმართულებებს თანამედროვე პირობებში: "დიდი ამოცანების წინაშე დგას საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტი. მისი უმთავრესი საზრუნავია კიდევ უფრო სრულყოს მუშაობის სტილი, ფორმები და მეთოდები. მეტი კონკრეტული დახმარება გაუწიოს საქართველოს ხელისუფლებას, პარლამენტს და შინაგან საქმეთა სამინისტროს ქვეყნის წინაშე მდგარი რთული, საპასუხისმგებლო და კეთილშობილური ამოცანების განხორციელებაში".

საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტის მიერ განვლილი გზა, მისი ნაყოფიერი საქმიანობა და მდიდარი გამოცდილება იმის გარანტიაა, რომ იგი შეძლებს საქართველოს პრეზიდენტისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელობის მიერ მის წინაშე დასახული ამოცანების შესრულებას.

3. საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტის განვითარების ეტაპები

საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტმა განვლო სახელოვანი გზა, შეიძინა მდიდარი ტრადიციები და გამოცდილება. მის ჩამოყალიბებაში გამოიკვეთა ხუთი ეტაპი. პირველი ეტაპი - ეფუძნება 1966-1972 წლებს. ამ ეტაპზე შეიქმნა საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტი, შემუშავდა და დამტკიცდა დებულება (იგივე წესდება) მისი საქმიანობის შესახებ, განისაზღვრა მისი მუშაობის მთავარი მიმართულებები და პრობლემები, საფუძველი ჩაეყარა ტრადიციებს, გამოცდილებას, მისი საქმიანობის ორგანიზაციულ ფორმებს და მეთოდებს, შეიქმნა კომისიები, სექციები, მტკიცედ დაიმკვიდრა თავისი ღირსეული ადგილი საზოგადოებაში.

მეორე ეტაპი (1972-1988 წლები) დაკავშირებულია საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტის მუშაობის ფორმების შემდგომ სრულყოფასთან, მისი საქმიანობის ეფექტიანობის ამაღლებასთან, ახალი წევრების მოზიდვასთან, კავშირის გამტკიცებასთან საზოგადოებრიობასა და სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებთან, სასჯელაღსრულების დაწესებულებასთან, სკოლებთან, უმაღლეს სასწავლებლებთან. ამ ეტაპზე საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტს მიეცა მოღვაწეობის ფართო ასპარეზი, მეტი იყო

მხარდაჭერა, დახმარება და მზრუნველობა. მისი ინიციატივით ბევრი კეთილი საქმე გაკეთდა.

საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტმა 1973-1985 წლებში გააძლიერა ბრძოლა ნარკომანიასთან, არასრულწლოვანთა შორის სამართალდარღვევებთან, გამოძებნა მუშაობის საინტერესო ფორმები მილიციის ინსპექტორებთან, ბავშვთა ოთახებთან, პატიმრებთან, არასრულწლოვანებსა და სტუდენტ ახალგაზრობასთან.

ამ პერიოდში საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტის წევრები იყვნენ: ნიკო მუსხელიშვილი, ავლიპ ზურაბაშვილი, ვიქტორ კუპრაძე, ირაკლი აბაშიძე, თინაოინ წერეთელი, ვენორი ქვანახია, ბორის ფურცხვანიძე, ირაკლი ანთელავა, ვლადიმერ ჭავჭანიძე, ანგია ბოჭორიშვილი, პაატა გუგუშვილი, კონსტანტინე გამსახურდია, კონსტანტინე ლორთქიფანიძე, გიორგი ნატროშვილი, ბესარიონ ჟღენტი, რევაზ მარგიანი, რევაზ ჯაფარიძე, მურმან ლებანიძე, იოსებ ნონეშვილი, ვლადიმერ მაჭავარიანი, ნოდარ დუმბაძე, ჯანსუღ ჩარკვიანი, გურამ ფანჯიკიძე, ოთარ ეგაძე, ნონა გაფრინდაშვილი, ნანა ალექსანდრია, ბორის პაიჭაძე, ვახტანგ ბალავაძე და სხვები.

მესამე ეტაპი დაიწყო 1986 წელს და გაგრძელდა 1992 წლის მარტამდე. ეს წლები საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტის მუშაობაში თვისებრივად ახალი ეტაპი და ხანაა. ამ წლებში, როდესაც განვითარდა ეროვნული მოძრაობა, ბოლო მოეღო ტოტალიტარულ, მბრძანებლურ-ბიუროკრატიულ ე.წ. კომუნისტურ რეჟიმს, მკაცრი გამოცდა ჩაბარა ინსტიტუტის მთელმა შემადგენლობამ. მრავალფეროვანი იყო საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტის მუშაობის ფორმები და მეთოდები. 1986 წლის 27 ივნისს გამოქვეყნდა შინაგან საქმეთა მინისტრ ის ბრძანება "ინსტიტუტის შემადგენლობის განახლებისა და მისი მუშაობის გაუმჯობესების შესახებ". სამინისტრომ რეკომენდაცია მისცა ავტონომიურ რესპუბლიკებს, ქალაქებსა და რაიონებს შეექმნათ საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტის ფილიალები. ინსტიტუტი დამტკიცდა 45 კაცის შემადგენლობით: კონსტანტინე კეთილაძე (რექტორი), დავით ხხიკვიშვილი, ირაკლი აბაშიძე, ნოდარ ამაღლობელი, ჭაბუა ამირეჯიბი, რევაზ ამაშუკელი, ზაურ ავიძბა, რობერტ ადამია, არჩილ ასათიანი, ვახტანგ ბერიძე, გივი გაჩეჩილაძე, თამაზ გამყრელიძე, არსენ დოლიჯაშვილი, შამია დარჩია, მერაბ ელიოზიშვილი, გურამ მეტონიძე გია მატარაძე, თეიმურაზ ლოლაძე,

გიორგი კურტანიძე, შოთა ყაველაშვილი, ეთერ სოლომონია, რევაზ ინანიშვილი, არმაზ სანებლიძე, ვიქტორ სანეევი, ტარიელ საყვარელიძე, რობერტ სტურუა, კობა სუჯაშვილი, ირაკლი ციციშვილი, თამაზ შავგულიძე, ელდარ შენგელაია, ირაკლი შენგელაია, დავით ხახუტაშვილი, ლამარა ურიდია, გივი ნიქვინიძე, შოთა შურდაია, გიორგი თვაური, რუსუდან ლეკბორაშვილი, ვლადიმერ ყურაშვილი, ნიკოლოზ კორსანტია, ნორა კატუკია, ჯუმბერ ლომინაძე, ჯანსუღ ჩარკვიანი, ვერიკო ანჯაფარიძე, ჯანგირ მამალაძე, ავლიან ზურაბაშვილი, მარიკა ლორთქიფანიძე, მარიკა ბარათაშვილი, გივი ინწკირველი, გურამ ფანჯიკიძე, ზურაბ წერეთელი, ვაჟა აზმაიფარაშვილი და სხვები.

ამ წლებში ინსტიტუტი საზოგადოებრივ აზრს სწავლობდა რესპუბლიკის, ქალაქების, რაიონების, სოფლების, საწარმოების, სასწავლებლების და სამეურნეო მშენებლობის ცალკეული უბნების მასშტაბით. იგი შინაგან საქმეთა ორგანოების თანამშრომლებთან ერთად ავლენდა დანაშაულობებს, მატერიალურ ფასეულობათა არასწორი აღრიცხვისა და უკონტროლობის ფაქტებს, არასრულწლოვანთა შორის სამართალდარღვევებს, ნარკომანიისა და ალკოჰოლიზმის შემოხვევებს, ამასთანავე, შინაგან საქმეთა სამინისტროსთან ერთად იღებდა ზომებს დანაშაულობათა აღმოფხვრისათვის.

80-იანი წლების ბოლოს საქართველომ მოიპოვა ეროვნული დამოუკიდებლობა, იგი დაადგა ეკონომიკური, პოლიტიკური და ზნეობრივი განმტკიცების გზას. ამ წლებში საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტმა ბევრი სასიკეთო საქმე მოაგვარა, მნიშვნელოვანი როლი შეასრულა საზოგადოებრივი აზრის გათვალისწინებით იმ პრობლემების გადაწყვეტაში, რომლებიც საქართველოში მართლწესრიგის განმტკიცების, საქართადარღვევების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების მეტად აქტუალურ საკითხებს ეხებოდა.

მართალია, 80-იანი წლების დამდეგს ნაყოფიერად მუშაობდა შინაგან საქმეთა სამინისტროს საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტი, მაგრამ 1984-1985 წლებში ინსტიტუტმა შეასუსტა, თითქმის შეწყვიტა მუშაობა და იგი ცხადია, დიდ გავლენას ვეღარ ახდენდა საერთო საქმეზე, იმ ფუნქციების შესრულებაზე, რომლებიც მას ჰქონდა დაკისრებული. საჭირო შეიქმნა ინსტიტუტის განახლება. ფაქტობრივად ახლის შექმნა და სამუშაო რეგლამენტის შემუშავება. სწორედ ამიტომ 1986 წლის 3 ივნისს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში შეიკრიბნენ

საქართველოს ინტელიგენციის, შემოქმედებითი ორგანიზაციების, პრესის და სხვა უწყებათა წარმომადგენლები. სხდომაზე განიხილეს ინსტიტუტის განახლებისა და ორგანიზაციული მუშაობის საკითხები. დამტკიცდა ინსტიტუტის წევრთა ახალი შემადგენლობა: კონსტანტინე კეთილაძე, დავით ხიკვიშვილი, ირაკლი აბაშიძე, ნოდარ ამაღლობელი, ჭაბუა ამირეჯიბი, რევაზ ამაშუკელი, რობერტ ადამია, არნილ ასათიანი, ვახტანგ ბერიძე, გიორგი განსილაძე, თამაზ გამყრელიძე, არსენ დოლიჯაშვილი, მამია დარნია, მერაბ ელიოზიშვილი, გურამ მეტონიძე, გია მატარაძე, თეიმურაზ ლოლაძე, გიორგი კურტანიძე, შოთა ყაველაშვილი, არმაზ სანებლიძე, ეთერ სოლომონია, ვიქტორ სანე

წარმომადგენლებს: მეცნიერებს, ლიტერატორისა და ხელოვნების მოღვაწეებს, წარმოების, ეკონომიკის, სოფლის მეურნეობის წარჩინებულ მუშაკებს, დეპუტატებს, განათლების, ახალგაზრდული და პროფკავშირული ორგანიზაციების წარმომადგენებს.

ინსტიტუტის მიზანია ყოველმხრივი დახმარება აღმოუჩინოს და ხელი შეუწყოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მთავრობის იმ დადგენილებათა შესრულებაში, რომლებიც ეხება მართლწესრიგის განმტკიცებისა და დამნაშავეობათა წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერებას, სამართალდარღვევათა პროფილაქტიკას, კანონიერების განმტკიცებას და მოსახლეობაში მართლწესრიგის ამაღლებას. ინსტიტუტის უკმთავრესი ამოცანაა სამინისტროს საქმიანობისადმი ხელისშეწყობის მიზნით მოახდინოს საზოგადოებრივი აზრის მობილიზაცია, წარმართოს იგი მოსახლეობის ფართო ფენებში მილიციის ავტორიტეტის შემდგომი ამაღლებისა და მისი მუშაკების საქმიანობაზე მართებული, სწორი აზრის შესაქმნელად, მონაწილეობდეს დამნაშავეობასთან საბრძოლველად მიმართული მეცნიერულად დასაბუთებული რეკომენდაციების შემუშავებაში, ხელს უწყობდეს სამართადარღვევათა თავიდან ასაცილებელი პროფილაქტიკური მუშაობის ფართოდ გაშლას და სამაგალითო საზოგადოებრივი წესრიგის უზრუნველყოფას.

საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტი თავისი მიზნებისა და ამოცანებიდან გამომდინარე, ჯერ ერთი , ზრუნავდა შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომელთა კულტურის დონის ამაღლებისა და ესთეტიკური გემოვნების განვითარებისათვის, სამართლებრივი ცოდნის სრულყოფისა და მართლშეგნების სათანადო დონის ნამოყალიბებისათვის, მოქალაქეთა კანონიერი უფლებების ყოველგვარი ხელყოფისადმი მკაცრი შეურიგებლობის სულისკვეთებით; მეორე, გამუდმებით ეხმარებოდა სამინისტროს შემოქმედებით ინტელიგენციასთან, მწერლებთან, მხატვრებთან, თეატრისა და კინოს მოღვაწეებთან, კომპოზიტორებთან, ჟურნალისტებთან, მეცნიერებთან, მუშათა კოლექტივებისა და გლეხობის მოწინავე წარმომადგენლებსა და ახალგაზრდობასთან მჭიდრო კონტაქტების დამყარებასა და განმტკიცებაში; მესამე, პროპაგანდას უწევდა და ინფორმაციებს აწვდიდა საქართველოს მოსახლეობას სამინისტროსა და მისი დარგობრივი სამსახურების სისხლის სამართლის საქმებრო, საკუთრების დატაცებისა და სპეკულაციის წინააღმდეგ ბრძოლის,

საგამოძიებო, სახანძრო და არასაუწყებო დაცვის, შრომა გასწორების დაწესებულებათა და სამინისტროს სხვადასხვა სამსახურის, აგრეთვე საქალაქო და რაიონული განყოფილებების ყოველდღიური საბრძოლო და შრომითი საქმიანობის თაობაზე და ამით ხელს უწყობდა სამინისტროს ორგანოების ავტორიტეტის ზრდას და მათ შესახებ დადებითი საზოგადოებრივი აზრის შექმნასა და განმტკიცებას; მეოთხე, სამინისტროს ორგანოების საქმიანობის ნაკლოვან მხარეთა შესახებ მოსახლეობაში არსებული საზოგადოებრივი აზრის შესწავლის საუუქველზე სახავდა კონკრეტულ ღონისძიებებს და ხელს უწყობდა სამინისტროსა და მის კოლეგიას ნაკლოვანებათა გამოაშკარავებაში. საზოგადოებრივი აზრის შესასწავლად ინსტიტუტი, დებულების შესაბამისად, ახორციელებდა ზეპირ ან ანკეტურ გამოკითხვებს, აწყობდა შეხვედრებს შრომით კოლექტივებთან. მას გააჩნდა მჭიდრო კონტაქტი მასობრივი ინფორმაციის საშუალებებთან.

გარდა აღნიშნულისა, დებულების მეხუთე მუხლის თანახმად, ინსტიტუტი მუშაობას წარმართავდა ინსტიტუტის რექტორატისა და სამინისტროს კოლეგიის ჩიერ შემუშავებული და დამტკიცებული წლიური გეგმის მიხედვით; სამინისტროსთან ერთად აწყობდა სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციებსა და სემინარებს მართლწესრიგის განმტკიცებისა და დამნაშავეობასთან ბრძოლის საკითხებზე, აქტიურად მონაწილეობდა აღნიშნულ თემებზე გამართულ დისკუსიებში, აწყობდა სამინისტროს თანამშრომელთა შეხვედრებს შემოქმედებითი ინტელიგენციის, შრომითი კოლექტივებისა და ახალგაზრდული ორგანიზაციების წარმომადგენლებთან, აქვეყნებდა მასალებს რესპუბლიკის პრესაში, აწყობდა რადიო და სატელევიზიო გამოსვლებს დამნაშავეობასთან ბრძოლისა და სამართალდარღვევათა პროფილაქტიკის საკითხებზე. კონსულტაციებსა და მეთოდურ დახმარებას უწევდა სამინისტროს სამართლებრივი საკითხების გადაწყვეტაში; მონაწილეობდა სამინისტროს ღონისძიებებში მის თანამშრომელთა კვალიფიკაციისა და პროფესიული ოსტატობის ამაღლების საქმეში.

დებულების თანახმად, "ინსტიტუტის წევრად შეიძლება გახდეს რესპუბლიკის შემოქმედებითი ინტელიგენციის, ადმინისტრაციული ორგანოების, მუშათა კოლექტივების, გლეხობისა და ახალგაზრდული ორგანიზაციების წარმომადგენლები, რომელნიც ამის სურვილს განაცხადებენ და რომელსაც რეკომენდაციას უწევენ რექტორატი და სამინისტროს კოლეგია".

საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტში ფუნქციონირებდა სექციები: 1. ახალგაზრდებსა და არასრულწლოვანთა შორის დანაშაულობის და ბავშვთა უზედამხედველობის აღკვეთის პრობლემების სექცია; 2. არაშრომითი შემოსავლების, ვაჭრობის წესების დარღვევის, სპეკულაციის, მექრთამეობისა და საკუთრების დატაცების აღკვეთის პრობლემების შემსწავლელი სექცია; 3. ნარკომანიისა და ლოთობის აღკვეთის პრობლემების სექცია; 4. საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების პრობლემების შემსწავლელი სექცია. დებულებაში განსაზღვრულია სექციების უფლებამოვალეობანი და მათი მუშაობის ძირითადი მიმართულებანი. დებულების თანახმად, რექტორატს სამინისტროს ხელმძღვანელობასთან შეთანხმებით, შეეძლო შეექმნა დამატებითი სექციები.

ინსტიტუტის უმაღლესი ორგანოა წევრთა საერთო კრება. იგი იკრიბება კვარტალში ერთხელ. საერთო კრება ისმენს სექციების ხელმძღვანელთა ინფორმაციებსა და მოხსენებებს შესაბამის აქტუალურ საკითხებზე, დამტკიცებული გეგმების მიხედვით წელიწადში ან ორ წელიწადში ერთხელ კრება ისმენს რექტორის მოხსენებას განვლილ პერიოდში გაწეული მუშაობის შესახებ და განსაზღვრავს ინსტიტუტის მუშაობის ძირითად მიმართულებებს უახლოესი ორი წლისათვის. იგი ღია კენჭისყრით ირჩევს და ამტკიცებს ინსტიტუტის რექტორატს (რექტორს, პრორექტორს, პასუხისმგებელ მდივანს, სექციის ხელმძღვანელებს). რიგგარეშე საერთო კრება შეიძლება მოწვეული იქნეს ინსტიტუტის რექტორატის გადაწყვეტილებით სამინისტროს ხელმძღვანელობასთან შეთანხმებით.

საერთო კრებიდან კრებამდე ინსტიტუტის ხელმძღვანელი ორგანო რექტორატი ან მისი შემცვლელი რექტორი წყვეტდა ყოველდღიურ ორგანიზაციულ და მიმდინარე მუშაობის საკითხებს სამინისტროს ხელმძღვანელობასთან შეთანხმებით. ინსტიტუტის ერთ-ერთი პროორექტორი, როგორც წესი იყო სამინისტროს ხელმძღვანელი მუშაკი, ხოლო პასუხისმგებელი მდივანი სამინისტროს თანამშრომელი. ინსტიტუტს საკუთარი ფულადი სახსრები არ გააჩნდა. ყველა ხარჯს, რომელიც ინსტიტუტის საქმიანობასთან იყო დაკავშირებული, გაიღებდა შინაგან საქმეთა სამინისტრო.

საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტის დებულების თანახმად (მუხლი 11) ინსტიტუტს იურუდიული პირის სტატუსი არ გააჩნდა. ინსტიტუტის წარმომადგენლებს უფლება ჰქონდათ მონაწილ-

ეობა მიეღოთ სამინისტროს მიერ გატარებულ ღონისძიებებში, აგრეთვე სამინისტროს კოლეგიის მუშაობაშიც სამინისტროს ხელმძღვანელობის შეხედულებისამებრ; ბ) სამინისტროს ხელმძღვანელობასთან შეთანხმებით გამოეყენებინათ ინსტიტუტის საქმიანობაში სამინისტროს მასალები; გ) გამოსულიყვნენ რადიოთი, ტელევიზიასა და პრესაში საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტის სახელით. დებულებამ მნიშვნელოვანი დადებითი როლი შეასრულა საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტის საქმიანობაში.

***

90-იანი წლების დამდეგს საქართველოს უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს არჩევნები ორჯერ ჩატარდა. 1990 წლის 28 ოქტომბერს და 1992 წლის 11 ოქტომბერს. ამ პერიოდში საქართველომ მოიპოვა დამოუკიდებლობა. 28 ოქტომბრის არჩევნებში გაიმარჯვეს ეროვნულმა ძალებმა. მაგრამ დაშვებული შეცდომების გამო ძალაუფლება ვერ შეინარჩუნეს.

საქართველოს უმაღლესი საბჭოს 1990 წლის 28 ოქტომბრის არჩევნების შემდეგ შეიცვალა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელობა. ახალი ხელმძღვანელობის მოსვლისთანავე დაისვა საკითხი საზოგადოებრივ აზრის ინსტიტუტის მუშაობის შეწყვეტის თაობაზე. მალე გაუქმდა კიდეც. ინსტიტუტმა შეწყვიტა ფუნქციონირება. ეს დიდი შეცდომა იყო. მაგრამ იყო ეს პერიოდი (თითქმის წელიწადნახევარი) საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტის ისტორიაში. ამ მოკლე ეონაკვეთში ბევრი რამ დაიკარგა, ბევრი საინტერესო იდეა და წამოწყება ჩაბარდა არქივსა და ისტორიას, რაც ძთავარია დაიკარგა ავტორიტეტი, რომელიც საკმაოდ სოლიდური და მალალი იყო. ქველაფერი თავიდან იწყებოდა.

მეოთხე ეტაპი საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტის ჩამოყალიბების 1992-1995 წლებს მოიცავს. ამ წლებში აღდგა საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტის საქმიანობა, გამოიკვეთა მისი მუშაობის მთავარი ტენდენციები და მიმართულებები, შეიძინა დადებითი გამოცდილება, დროის შესატყვისი ფორმები და მეთოდები.

საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტის ისტორიაში მნიშვნელოვანი თარიღია - 1992 წლის 23 აპრილი. ამ დღეს საქართველოს პროკურატურის სხდომათა დარბაზში, წელიწადნახევრის შემდეგ,

გაიმართა საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტის წევრთა სხდომა საქართველოს ინტელიგენციის თვალსაჩინო წარმომადგენლების მონაწილეობით. საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტი მეორედ დაიბადა. ამ დღიდან დაიწყო ახალი ეტაპი საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტის ისტორიაში, რომელიც ახლაც გრძელდება. იგი დაკავშირებული იყო დემოკრატიის განვითარებასა და საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის განმტკიცებასთან.

1991-1992 წლების დეკემბერ-იანვრის ცნობილი ამბების შემდეგ, რასაც შედეგად მოჰყვა ნგრევა, ადამიანთა მსხვერპლი, ძალადობა, კანონიერი ხელისუფლების შეცვლა, საქართველოში შეიქმნა მეტად რთული, დაძაბული და წინააღმდეგობრივი მდგომარეობა. ამ მოვლენამ საქართველო თიოქმის ორად გაჰყო: "ზვიადისტებად" და მათ მოწინააღმდეგებად. საგანგებო წესების გამოცხადების პირობებში საქართველოს სოფლებსა და დაბებში, ქალაქებსა და რაიონებში, სასწავლებლებსა და საწარმოებში მკვეთრად შეინიშნებოდა დაძაბულობა, ნერვიულობა, პესიმისტური განწყობილება, თავაშვებულობა, ყაჩაღობა, მკვლელობები და გამოძალვები. საზოგადოებრივი აზრიც ორად გაიყო. ერთნი აშკარად მხარს უჭერდნენ საქართველოში დემოკრატიულ გარდაქმნებს, დისციპლინის დამკვიდრებას და საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლას; მეორენი, საჯაროდ აღიარებდნენ აღნიშნულს, მაგრამ ფარულად ამკვიდრებდნენ ძალადობას, ყაჩაღობას, უზნეობას, შიშს და მორჩილებას. ამ რთულ პირობებში მნიშვნელოვანი ადგილი დაიმკვიდრა საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტმა.

1992 წლის იანვრის პირველი დღეებიდან ინსტიტუტი იწყებს ძალების მოკრებას, ადგენს გეგმებს, ემზადება ფართო და მრავალმხრივი მოღვაწეობისათვის. მისი პირველი ნაბიჯები მიეძღვნა საზოგადოებრივი აზრის შესწავლას, ხალხის განწყობილებისა და მისწრაფებების გამოკვლევას. იგი მხარში ამოუდგა შინაგან საქმეთა სამინისტროს, დროულად ასრულებდა მის მითითებებსა და თხოვნებს, იმართებოდა საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტისა და რექტორატის სხდომები, ეწყობოდა სოციოლოგიური გამოკითხვები, ინსტიტუტის წევრთა შეხვედრები მოსახლეობის სხვადასხვა ფენებთან.

საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტმა მკაფიოდ განსაზღვრა თავისი ადგილი და როლი დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის თვისებრივად ახალი ეტაპის განხორციელებაში, შინაგან საქმეთა

სამინისტროს კონცეფციის შემუშავებაში, მის საფუძველზე მთელი სისტემის ძირეული რეფორმის გატარებაში, ნარკომანიისა და ნარკობიზნესის წინააღმდეგ ბრძოლის ეროვნული პროგრამის მომზადებასა და განხორციელებაში, არასრულწლოვანთა და ახალგაზრდობას შორის სამართალდარღვევათა თავიდან აცილებაში.

1992-1995 წლები ერთ-ერთი რთული პერიოდია საქართველოს ისტორიაში. საქართველოს სახელმწიფოებრიობის მშენებლობის ერთ-ერთი ფუნდამენტური პრობლემა იყო თანამედროვე მაღალეფექტიან მსოფლიო სამეურნეო კავშირებში ორგანულად ინტეგრირებული ეკონომიკის ჩამოყალიბება, რომელიც უზრუნველყოფდა მოსახლეობის ცხოვრების ღირსეულ დონეს და ქვეყნის თავდაცვისუნარიანობას. ამ სტრატეგიული მიზნის მიღწევის ძირითად მიმართულებას წარმოადგენდა რადიკალური ეკონომიკური რეფორმის განხორციელება, ეროვნული მეურნეობის ძირეული, სისტემური და სტრუქტურული რეორგანიზაცია.

საქართველოს დამოუკიდებლობის პირველ წლებში განხორციელებულმა ეკონომიკურმა ღონისძიებებმა პოპულისტური და კონიუნქტურული სახე მიიღეს, რამაც სერიოზულად შეაფერხა სამეურნეო გარდაქმნის პროცესები, საგრძნობი მატერიალური ზარალი მიაყენა ქვეყანას და შელახა თვით რეფორმების იდეის ავტორიტეტი. ასეთი იყო უმიზნოდ დარიგებული მიწები. საქართველოს ეკონომიკა გააჩანაგა სამოქალაქო ომებმა, ომებმა აფხაზეთსა და ცხინვალში. 1993 წელს ბიუჯეტის სარჯები საგადასახადო შემოსავლებს აღემატებოდა 61 პროცენტით. საომარი მოქმედების პირობებში საქართველოში, რომელსაც ფაქტობრივად არ ჰყავდა რეგულარული სამხედრო ძალა და ძლიერი პოლიცია, მეტად გამწვავდა კრიმინოგენური სიტუაცია, რამაც საშიში გახადა სამეწარმეო საქმიანობა. ამის შედეგად არა ერთმა ბიზნესმენმა დატოვა საქართველო, დაჩქარდა კაპიტალის მასობრივი გადინება.

ომისა და კრიმინოგენური სიტუაციის ფონზე საბოლოოდ მოიშალა ტრადიციული სამეურნეო კავშირები რუსეთსა და დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის სხვა ქვეყნებთან, ხოლო დასავლეთის ქვეყნებიდან შეუძლებელი გახდა ინვესტიციების მოზიდვა და სათანადო ეკონომიკური კავშირების დამყარება. ყოველივე ამან საბოლოოდ მოშალა ქვეყნის საფინანსო სისტემა.

ფინანსების მოშლის და კრიმინოგენური სიტუაციის გამწვავების პირობებში შეუბრუნებელი გახდა წარმოების ვარდნის პროცესი. 1992 წელს წინა წელთან შედარებით შიდა ეროვნული პროდუქტი 45 პროცენტით დაეცა, 1993 წელს - 33 პროცენტით და ა.შ. შეიქმნა მეტად რთული სიტუაცია პოლიტიკასა და ეკონომიკაში, სოციალურ ცხოვრებაში.

ეს პერიოდი ხასიათდება - აღნიშნა ე. შევარდნაძემ მოქალაქეთა კავშირის ფორუმზე 1995 წლის 2 ნოემბერს, - საგარეო ეკონომიკის ურთიერთობებში გარკვეული ქაოსით, საბაჟო სამსახურის სრული უმოქმედობით, სასაქონლო მარაგების განიავებით, სახელმწიფო ქონების საზღვარგარეთ უკონტროლო გადინებით, ჩრდილოვანი ეკონომიკის მასშტაბების არნახული გაფართოებით, ჰუმანიტარული დახმარების არადანიშნულებისამებრ გამოყენებით, ამაზე პასუხს აგებს მთელი ხელისუფლება, და რა თქმა უნდა, სახელმწიფოს მეთაური.[1]

შექმნილი უაღრესად კრიზისული და კრიტიკული ვითარებიდან გამოსვლას ბიძგი მისცა 1994 წლის თებერვალში სახელმწიფოს მეთაურის ედუარდ შევარდნაძის მიერ დამტკიცებული მაკროეკონომიკური სტაბილიზაციისა და სისტემური ცვლილებების ანტიკრიზისული პროგრამის პრაქტიკული რეალიზაციის ღონისძიებებმა. ეს იყო პირველი ცდა, სისტემურად მივდგომოდით ქვეყნის ეკონომიკური კრიზისიდან გამოყვანის პრობლემას, რაც შესაძლებელი გახდა სამოქალაქო ომის კერების ჩაქრობის და სახელმწიფოს მეთაურისათვის პარლამენტის მიერ საგანგებო უფლებების მინიჭების წყალობით, მათ შორის ფინანსირებისა და ეკონომიკური რეფორმების სფეროში.

საქართველოში განხორციელდა ფულადი რეფორმა, მყარი სრულფასოვანი ეროვნული ვალუტის - ლარის შემოღება, რომელიც 1995 წლის 2 ოქტომბრიდან ქვეყანაში ერთადერთი კანონიერი საგადამხდელო საშუალება, რეფორმის ახალი ეტაპის დაწყების - ჯანსაღი ფინანსების ბაზაზე წარმოების ზრდის სტიმულირების საფუძველი გახდა , მაგრამ ქვეყნის ეკონომიკა კვლავ მძიმე მდგომარეობაში იყო. საქართველოში 1990 წლის დონესთან შედარებით მთლიანი შიდა პროდუქტის წარმოება 20.6 პროცენტზე დაბალი იყო.

---

1. გაზეთი "საქართველოს რესპუბლიკა", 1995 წლის 8 ნოემბერი.

1990-1995 წლებში საქართველოდან არალეგალური გზებით დიდი რაოდენობით გაედინებოდა ეროვნული სიმდიდრე, კერძოდ, ღვინოების, საკონიაკე და ღვინო-მასალების, შავი და ფერადი ლითონების, მათი ნარჩენებისა და ჯართის და სხვა სასაქონლო მარაგები. 90-იანი წლების შუა პერიოდში, როცა წესრიგის ელემენტარული ნორმები გამოიკვეთა, აღნიშნული არასასურველი პროცესები აღიკვეთა. ამ პირობებში საჭირო გახდა საწარმოო პოტენციალის სრული და ეფექტიანი ამოქმედება.

***

50-იან და 60-იან წლებში , როდესაც დაიმსხვრა კოლონიალიზმის სისტემა, ბევრი ახალი სახელმწიფო გაჩნდა. კაცობრიობის უდიდესი ნაწილი, რომელსაც ადრე მსოფლიოს საქმეების გარჩევისას არაფერს ეკითხებოდნენ, გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში შევიდა.

1989 წლის რადიკალური ცვლილებების შემდეგ სახელმწიფოთა მსოფლიო გაერთიანებას კიდევ ბევრი ხალხი შეემატა. მათ თავიანთი ადგილი დაიკავეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში. დაფუძნებისას - 1945 წელს გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში 50 სახელმწიფო იყო. 1987 წელს 159, 1995 წელს მათი რიცხვი 185-ს შეადგენდა.

1992 წლის 31 ივლისი ქართველი ხალხის მრავალსაუკუნოვან ისტორიაში ოქროს ასოებით ჩაიწერა. საქართველო გახდა მსოფლიოს ერთა ოჯახის წევრი. იგი 179-ე ქვეყანაა, რომელიც გაეროს წევრად მიიღეს. ეს კი საქაროველოს პოლიტიკური დამოუკიდებლობის, მისი საერთაშორისო ცნობის გვირგვინია. საქართველო გახდა აგრეთვე გაეროს სპეციალიზირებული საერთაშორისო ორგანიზაციების, ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის, დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის, საერთაშორისო სავალუტო ფონდის, რეკონსტრუქციისა და განვითარების მსოფლიო ბანკის და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების წევრი.

1993 წლიდან გაიხსნა და ფუნქციონირებს საქართველოს მუდმივი წარმომადგენლობა გაეროსთან, ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციასთან და სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან. განსაკუთრებით აქტუალური იყო საქართველოს მონაწილეობა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის

თითქმის ყველა სტრუქტურაში. საქართველოს პოლიტიკური სტაბილიზაციის პროცესის განვითარებასთან ერთად იზრდებოდა უცხოელ ინვესტორთა დაინტერესება. 1995 წელს შექმნილი იყო 300-ზე მეტი ერთობლივი საწარმო და მათი რიცხვი წრაფად იზრდებოდა.

საქართველოს მიერ ეროვნული დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ წარმოიშვა საქართველოს საერთაშორისო თანამეგობრობაში ინტეგრირების აუცილებლობა. საქართველომ გაიარა უცხოეთის ქვეყნებთან დიპლომატიური ურთიერთობის დამყარების პირველი ეტაპი.

1995 წლისათვის საქართველო აღიარა მსოფლიოს პრაქტიკულად ყველა ქვეყანამ, ორმხრივი დიპლომატიური ურთიერთობები დამყარდა 94 სახელმწიფოსთან, 22 სახელმწიფოსთან შექმნილი იყო სამართლებრივი ბაზა ორმხრივ სახელმწიფოებრივ ურთიერთობათა განვითარებისათვის სხვადასხვა დარგებში.

იმ წლებში გამოიკვეთა საქართველოს საგარეო-პოლიტიკური პრიორიტეტები გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში. ფუნქციონირებდნენ საქართველოს მუდმივი წარმომადგენლობები გაეროში, აგრეთვე ვენაში განლაგებულ საერთაშორისო ორგანიზაციებთან. 1995 წელს საქართველოში მოქმედებდა 20-მდე სახელმწიფოს საელჩო და 40-მდე საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენლობა. ეს საქართველოს ინტერესების უკეთ დაცვის რეალურ შესაძლებლობას იძლეოდა. შემუშავებული იყო გაეროში საქართველოს მიზნები და მათი მიღწევის გზები, სხვადასხვა ქვეყნების მისიებთან მუშაობის პროგრამა, 25-მდე ქვეყანაში მოქმედებდა საქართველოს საელჩო ან წარმომადგენლობა. შედეგებიც დადებითი იყო.

საქართველო უცხოეთის ქვეყნებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობდა ისეთ სფეროებში, როგორიცაა: პოლიტიკა, ეკონომიკა, ადამიანის უფლებათა დაცვა, ეკოლოგია, ტრანსპორტი, ტურიზმი, ჰუმანიტარული სამართალი და სხვა მრავალი. საქართველო გავიდა დიდ საერთაშორისო ასპარეზზე.

***

საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტის დებულება. ინსტიტუტმა 1992 წლის ივნისში ცვლილებები და დამატებები შეიტანა დებულებაში. 29 ივნისს შინაგან საქმეთა სამინისტროს კოლეგიამ დაამტკიცა საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტის

დებულება. იგი შედგება ოთხი განყოფილებისა და 17 მუხლისაგან. მასში განსაზღვრულია საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტის ფუნქციები, ძირითადი ამოცანები და უფლება-მოვალეობები, ხელმძღვანელი ორგანოების კომპეტენცია, მუშაობის მთავარი მიმართულებები, ინსტიტუტის სტრუქტურა და წევრად მიღების წესები.

დებულების შესაბამისად, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსთან არსებული საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტი არის ნებაყოფლობითი საზოგადოებრივი ორგანიზაცია, რომელიც აერთიანებს რესპუბლიკის ფართო საზოგადოებრიობის მოწინავე წარმომადგენლებს.

დებულებაში ასეა განსაზღვრული ინსტიტუტის მიზანი: ყოველმხრივი დახმარება აღმოუჩინოს და ხელი შეუწყოს სამინისტროს იმ ამოცანათა განხორციელებაში, რომლებიც ეხება მართლწესრიგის განმტკიცებისა და დამნაშავეობათა წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერებას, სამართალდარღვევათა პროფილაქტიკის გაუმჯობესებას, კანონიერების განმტკიცებას და მოსახლეობაში მართლშეგნების ამაღლებას, მუშაობაში ხელი შეუწყოს გარდაქმნის, დემოკრატიის და საჯაროების სტრატეგიის სრულყოფას, იყოს მისი პოპულარიზატორი.

ინსტიტუტის უმთავრესი ამოცანაა, სამინისტროს საქმიანობისადმი ხელისშეწყობის მიზნით, მოახდინოს საზოგადოებრივი აზრის მობილიზაცია, წარმართოს იგი მოსახლეობის ფართო ფენებში პოლიციის ავტორიტეტის შემდგომი ამაღლების და მისი მუშაკების საქმიანობაზე მართებული. სწორი აზრის შესაქმნელად, მონაწილეობდეს დამნაშავეობასთან საბრძოლველად მიმართული მეცნიერულად დასაბუთებული რეკომენდაციების შემუშავებაში, ხელს უწყობდეს სამართალდარღვევათა თავიდან ასაცილებელი პროფილაქტიკური მუშაობის ფართოდ გაშლას და საზოგადოებრივი წესრიგის უზრუნველყოფას.

საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტი:

1. ეხმარება სამინისტროს თანამშრომლებს, ზრუნავს მათი კულტურის დონის ამაღლებისა და ესთეტიკური გემოვნების განვითარებისათვის, სამართლებრივი ცოდნის სრულყოფისა და მართლშეგნების სათანადო დონის ჩამოყალიბებისათვის, მოქალაქეთა კანონიერი უფლებების ყოველგვარი ხელყოფისადმი მკაცრი შეურიგებლობის სულისკვეთებით;

2. გამუდმებით ზრუნავს და ეხმარება სამინისტროს შემოქმედებით ინტელიგენციასთან, მწერლებთან, მხატვრებთან, თეატრისა და კინოს მოღვაწეებთან, მუშაობა და გლეხობის მოწინავე წარმომადგენლებსა და ახალგაზრდობასთან მჭიდრო კონტაქტის დამყარებასა და განმტკიცებაში.

3. პროპაგანდას უწევს და ინფორმაციებს აწვდის რესპუბლიკის მოსახლეობას სამინისტროსა და მისი დარგობრივი სამსახურების - სისხლის სამართლის სამმართველო, ეკონომიკურ დანაშაულობასთან და საბოტაჟთან ბრძოლის, საგამოძიებო, სახანძრო დაცვის, სისხლის სამართლის სასჯელთა აღმასრულებელი და სამინისტროს სხვადასხვა სამსახურის, აგრეთვე საქალაქო და რაიონული განყოფილებების ყოველდღიური საბრძოლო და შრომით საქმიანობის თაობაზე და ამით ხელს უწყობს სამინისტროს და მისი სისტემის ორგანოების ავტორიტეტის ზრდას და მის შესახებ დადებითი საზოგადოებრივი აზრის შექმნასა და განმტკიცებას.

4. სამინისტროს ორგანოების საქმიანობის ნაკლოვან მხარეთა შესახებ მოსახლეობაში არსებული საზოგადოებრივი აზრის შესწავლის საფუძველზე სახავს კონკრეტულ ღონისძიებებს და ხელს უწყობს სამინისტროსა და მის კოლეგიას ნაკლოვანებათა გამოაშკარავებაში. საზოგადოებრივი აზრის შესასწავლად ინსტიტუტი ახორციელებს ზეპირ და ანკეტურ გამოკვლევებს, აწყობს შეხვედრებს შრომით კოლექტივებთან, აქვს მჭიდრო კონტაქტი მასობრივი ინფორმაციის საშუალებებთან.

5. მუშაობას წარმართავს ინსტიტუტის რექტორატისა და სამინისტროს კოლეგიის მიერ შემუშავებული და დამტკიცებული წლიური გეგმის მიხედვით, სამინისტროსთან ერთად აწყობს სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციებსა და სემინარებს მართლწესრიგის განმტკიცებისა და დამნაშავეობასთან ბრძოლის საკითხებზე.

6. აქტიურად მონაწილეობს აღნიშნულ თემებზე გაშარიულ დისკუსიებში, აწყობს სამინისტროს თანამშრომელთა შეხვედრებს შემოქმედებითი ინტელიგენციის, შრომითი კოლექტივებისა და ახალგაზრდული ორგანიზაციების წარმომადგენლებთან;

7. აქვეყნებს მასალებს რესპუბლიკის პრესაში, აწყობს რადიო და სატელევიზიო გამოსვლებს დამნაშავეობასთან ბრძოლისა და სამართალდარღვევათა პროფილაქტიკის პრობლემებზე;

8. კონსულტაციასა და მეთოდურ დახმარებას უწევს სამინისტროს საშართალებრივი საკითხების გადაწყვეტაში, მონაწილეობს სამინისტროს ღონისძიებებში მის თანამშრომელთა კვალიფიკაციისა და პროფესიული ოსტატობის ამაღლების საქმეში;

9. ამყარებს კონტაქტებს უცხოეთის ქვეყნებთან მათი გამოცდილების გაზიარების მიზნით, შემდგომ მათი რესპუბლიკის ანალოგიურ სტრუქტურებში დასანერგავად;

10. შეაქვს სათანადო რეკომენდაციები სამინისტროს კოლეგიის სხდომებზე განსახილველად და მათი მოწონების შემთხვევაში, სამინისტროსთან ერთად წინადადებით შედის რესპუბლიკის მმართველ ორგანოებში.

დებულებაში ნაჩვენებია საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტის სტრუქტურა და მისი წევრობის კრიტერიუმები. ინსტიტუტის წევრები შეიძლება გახდნენ რესპუბლიკის შემოქმედებითი ინტელიგენციის, ადმინისტრაციული ორგანოების, მუშათა კოლექტივების, გლეხობისა და ახალგაზრდული ორგანიზაციების წარმომადგენლები, რომელნიც ამის სურვილს განაცხადებენ და რომელთაც რეკომენდაციას უწევენ სექციები, რექტორატი და სამინისტროს კოლეგია.

საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტში ფუნქციონირებს სექციები:

1. ახალგაზრდებსა და არასრულწლოვანთა შორის სამართალდარღვევების პრობლემების შემსწავლელი; 2. ნარკომანიისა და ალკოჰოლიზმის პრობლემების შემსწავლელი; 3. საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების პრობლემების შემსწავლელი; 4. მასობრივი ინფორმაციის საშუალებებთან ურთიერთობის; 5. პარტიებს, საზოგადოებრივ ორგანიზაციებსა და მოძრაობებს შორის ურთიერთობის; 6. სამეცნიერო ორგანიზაციებთან და უმაღლეს სასწავლებლებთან ურთიერთობის; 7. ჰუმანური აღზრდის; 8. პროფესიული ეთიკისა და ზნეობრივი სრულყოფის; 9. საზოგადოებრივი დამცველის; 10. საგარეო ურთიერთობის; 11. ბუნების დაცვის შემსწავლელი სექციები.

დებულების თანახმად, ინსტიტუტის რექტორატს სამინისტროს ხელმძღვანელობასთან შეთანხმებით, შეეძლო შეექმნა დამატებითი სხვა სექციები. სექციებში მომზადებული საკითხები

საჭიროების მიხედვით განიხილებოდა შემდეგი თანმიმდევრობით: სექციის სხდომაზე, რექტორატის სხდომაზე, სამინისტროს კოლეგიის სხდომაზე, საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტის გაფართოებულ სხდომაზე, სექციის ხელმძღვანელთა შეხედულების მიხედვით.

ინსტიტუტის უმაღლესი ორგანოა მის წევრთა საერთო კრება, იგი იკრიბება კვარტალში ერთხელ. საერთო კრება ისმენს სექციების ხელმძღვანელთა ინფორმაციებსა და მოხსენებებს შესაბამის აქტუალურ საკითხებზე დამტკიცებული გეგმების მიხედვით. წელიწადში ერთხელ კრება ისმენს რექტორის მოხსენებას განვლილ პერიოდში გაწეული მუშაობის შესახებ და განსაზღვრავს ინსტიტუტის მუშაობის ძირითად მიმართულებებს უახლოესი ორი წლისათვის. იგი ღია კენჭისყრით ირჩევს და ამტკიცებს ინსტიტუტის რექტორატს. რიგგარეშე საერთო კრება შეიძლება მოწვეულ იქნეს ინსტიტუტის რექტორატის გადაწყვეტილებით სამინისტროს ხელმძღვანელობასთან შეთანხმებით.

საერთო კრებიდან საერთო კრებამდე ინსტიტუტის ხელმძღვანელ ორგანოს წარმოადგენს რექტორატი, რომელიც ამტკიცებდა სამუშაო გეგმას და სახავდა ღონისძიებებს მათი შემდგომი სრულყოფისათვის; ინსტიტუტის რექტორი ან მისი შემცვლელი პროორექტორი წყვეტდა ყოველდღიურ ორგანიზაციულ საკითხებს სამინისტროსთან შეთანხმებით.

ინსტიტუტის ერთ-ერთი პროორექტორი, როგორც წესი, სამინისტროს ხელმძღვანელი მუშაკი უნდა იყოს, ხოლო პასუხისმგებელი მდივანი სამინისტროს თანამშრომელი.

ინსტიტუტს საკუთარი ფულადი სახსრები არ გააჩნია. ყველა ხარჯს, რომელიც ინსტიტუტის საქმიანობასთან არის დაკავშირებული, გაიღებდა შინაგან საქმეთა სამინისტრო.

1992 წლის ივნისში საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტის რექტორატის შემადგენლობა ასეთი იყო:

რექტორი მაია ღარჩია, მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის პედაგოგიკის კათედრის პროფესორი; **პროორექტორები** ხარაბ ფიორაქიშვილი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კათედრის გამგე, პროფესორი; ედუარდ გინაძიაქი, შინაგან საქმეთა სამინისტროს შტაბის უფროსი, პოლკოვნიკი; **რექტორატის წევრები:** ოლეგ ალავიძე, მასწავლებელთა

დახელოვნების ინსტიტუტის კათედრის გამგე, პროფესორი; შალვა ამონაშვილი, აკადემიკოსი; გიორგი ბაბუნაშვილი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დეკანი, პროფესორი; ლაზარე მეგელაძე, სამედიცინო ინსტიტუტის პრორექტორი, პროფესორი; გურამ ლორთქიფანიძე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კათედრის გამგე, პროფესორი; გივი ბელიძიძე, მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის კათედრის გამგე, პროფესორი; მიხეილ ლარიბაშვილი, მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის პრორექტორი, პროფესორი; ნიკოლოზ ჩერქეზიშვილი, საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის თავმჯდომარე, პროფესორი; თამაზ ქანდარელი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტი; რევაზ ძკარცხავა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კათედრის გამგე, პროფესორი; ოთარ ჯაფარიძე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კათედრის გამგე, აკადემიკოსი.

***

მეხუთე ეტაპი. საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტის განვითარების დღეანდელი, მეხუთე ეტაპი დაიწყო 1995 წლის 24 აგვისტოდან, როდესაც საქართველოს პარლამენტმა მიიღო საქართველოს კონსტიტუცია. ეს ეტაპი ახლაც გრძელდება. 1995 წლის 5 ნოემბერს გაიმართა საქართველოს პრეზიდენტისა და პარლამენტის არჩევნები. ეს იყო დიდმნიშვნელოვანი მოვლენა საქართველოს ისტორიაში. არჩევნები საქართველოს კონსტიტუციის შესაბამისად ჩატარდა. საქართველოს კონსტიტუცია მსოფლიო კონსტიტუციონალიზმის თანამედროვე მიღწევების დონეზეა შექმნილი. იგი ერთ-ერთი ყველაზე დემოკრატიული კონსტიტუციაა მსოფლიოში. კონსტიტუცია მეოცე საუკუნის საქართველოს უმთავრესი მონაპოვარია.

საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, პრეზიდენტი სახელმწიფოს მეთაურია. ჩამოყალიბდა ახალი ტიპის უმაღლესი აღმასრულებელი ხელისუფლება. საქართველოს პარლამენტმა 1995 წლის 8 დეკემბერს მიიღო კანონი "აღმასრულებელი ხელისუფლების სტრუქტურისა და საქმიანობის წესის შესახებ". კანონის მიხედვით, აღმასრულებელ ხელისუფლებას საქართველოს პრეზიდენტი ახორციელებდა უშუალოდ, აგრეთვე სამინისტროე-

ბის, სხვა სახელმწიფო უწყებებისა და დაწესებულებების მეშვეობით, რისთვისაც აქტიურად იყენებდა სათაობირო და საკონსულტაციო ინსტიტუტებს, აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოთა კოორდინაციას. ურთიერთობას საკანონმდებლო და სასამართლო ხელისუფლებასთან საქართველოს პრეზიდენტი ახორციელებდა სახელმწიფო კანცელარიის მეშვეობით.

ქვეყნის ისტორიაში პირველად, ახალი კონსტიტუციის საფუძველზე, ახლად არჩეულ პრეზიდენტსა და პარლამენტზე იყო დამოკიდებული უმაღლესი ხელისუფლების ფორმირება, რადგანაც მისი შექმნის კონსტიტუციური მექანიზმი ისეა ჩამოყალიბებული, რომ პრეზიდენტი და პარლამენტი გადამწყვეტ როლს ასრულებენ ამ პროცესში. იმ დროისათვის ჩამოყალიბდა ორი ახალი სახელმწიფო ინსტიტუტი: კონსტიტუციური სასამართლო და უზენაესი სასამართლო.

კონსტიტუციური სასამართლო რესპუბლიკაში ისტორიულად პირველად ჩამოყალიბდა, ახალი ტიპის ინსტიტუტი იყო უზენაესი სასამართლოც სასამართლო ხელისუფლების ასეთ სტრუქტურაში, ამ უფლებამოსილებით მან პირველად დაიწყო ფუნქციონირება.

საქართველოს პოლიტიკურ პარტიებსა და მოძრაობებში გამოიკვეთა ჯანსაღი ტენდენციები: ეროვნული და სახელმწიფოებრივი ინტერესების პარტიულ ინტერესებზე მაღლა დაყენება, გონივრული კომპრომისების უნარი, კონსენსუსის მიღწევისათვის პრაქტიკული ზრუნვა, სუბიექტივიზმის დაძლევისა და ობიექტური მიდგომის ნიშნები და სხვა.

კონსტიტუციის აღიარებული პრინციპების შესაბამისად, საქართველოში ტარდება სასამართლო რეფორმა, რომელიც არსებით გავლენას ახდენს არა მხოლოდ საკუთრივ სასამართლოების, არამედ მთელი სახელმწიფო მექანიზმის ფუნქციონირებაზე, ადამიანის უფლებების დაცვის მდგომარეობაზე, სასამართლო რეფორმა საერთო რეფორმების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ნაწილია, მან მოიცვა მართლმსაჯულების მთელი სისტემის საკანონმდებლო უზრუნველყოფისა და ორგანიზაციულ გარდაქმნათა კომპლექსი.

სახოგადოებრივი აზრის ინსტიტუტი აქტიურად მონაწილეობდა კონსტიტუციის შემუშავებაში, პრეზიდენტისა და პარლამენტის

არჩევნებში, ეკონომიკური და სასამართლო რეფორმების განხორციელებაში. ინსტიტუტის წევრები შედიოდნენ საკონსტიტუციო და საარჩევნო კომისიებში. საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლასთან დაკავშირებით ინსტიტუტის მიერ ჩატარებულია სოციოლოგიური გამოკითხვები, შემუშავებულია კონკრეტული რეკომენდაციები და წინადადებები.

საქართველოს კონსტიტუციის 99-ე მუხლის თანახმად, სამხედრო აღმშენებლობისა და ქვეყნის თავდაცვის ორგანიზაციისათვის იქმნება ეროვნული უშიშროების საბჭო, რომელსაც ხელმძღვანელობს საქართველოს პრეზიდენტი. საქართველოს პარლამენტმა 1996 წლის 24 იანვარს მიიღო კანონი "ეროვნული უშიშროების საბჭოს შესახებ". ამ კანონის მიხედვით, ეროვნული უშიშროების საბჭო არის საქართველოს პრეზიდენტის სათაოიბირო ორგანო სამხედრო აღმშენებლობისა და თავდაცვის ორგანიზაციის, ქვეყნის უშიშროებასთან დაკავშირებული საშინაო და საგარეო პოლიტიკის, სტაბილურობისა და მართლწესრიგის უზრუნველყოფის სტრატეგიულ საკითხებზე გადაწყვეტილებათა მისაღებად.

ეროვნული უშიშროების საბჭო უზრუნველყოფს ეროვნული უშიშროების კონცეფციის შემუშავებას, განიხილავს საშინაო და საგარეო პოლიტიკის უმნიშვნელოვანეს საკითხებს. რომლებიც უშუალოდ უკავშირდება სახელმწიფო თავდაცვისა და უშიშროების უზრუნველყოფას, განიხილავს სამხედრო ძალების მშენებლობის და განმტკიცების პროგრამებს და უზრუნველყოფს მათი განხორციელების ორგანიზაციას, შეისწავლის და აანალიზებს საერთაშორისო კონფლიქტის ზონებში არსებულ მდგომარეობას და პერსპექტივებს, შეიმუშავებს წინადადებებს კოლექტიური უშიშროების სისტემასთან საქართველოს თანამშრომლობის შესახებ, კოორდინაციას უწევს თავდაცვის, სახელმწიფო უშიშროების, დამნაშავეობასთან ბრძოლის და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამსახურების საქმიანობას უშიშროების, მართლწესრიგისა და სტაბილურობის უზრუნველყოფის სტრატეგიულ საკითხებში , აკონტროლებს საქართველოს სამინისტროების, სახელმწიფო დეპარტამენტების, მთავარი სამმართველოების, კორპორაციების და სხვა სახელმწიფო უწყებების, ავტონომიური რესპუბლიკების, სახელმწიფო მმართველობისა და მმართველო-

ბის ადგილობრივი ორგანოების საქმიანობას უშიშროებისა და თავდაცვის სფეროში. ხელშეკრულებით სამუშაოდ იწვევს ორგანიზაციების, სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების, სამართლებრივი, ეკონომიკური , სოციოლოგიური და პოლიტიკური ცენტრების ცალკეულ მეცნიერებსა და სპეციალისტებს; ორგანიზაციას უწევს და აკონტროლებს საქართველოს სასიცოცხლო მნიშვნელობის ობიექტების საიმედო დაცვისა და უსაფრთხო ფუნქციონირებისათვის აუცილებელ ღონისძიებათა შემუშავებასა და განხორციელებას და სხვა.

ამავე პერიოდში დაიწყო საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მთელი სისტემის კარდინალური რეფორმის განხორციელების ახალი ეტაპი. იგი შეეხო სამინისტროს ყველა სამსახურს. კარდინალურმა რეფორმამ გამოიყო სამი ბლოკი სამსახურებისა, რომლებიც ერთმანეთთან ეფიდროდ იყვნენ დაკავშირებული და ერთიან შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემას შეადგენდნენ.

პირველი ბლოკი, რომელიც ჩამოყალიბდა შინაგან საქმეთა სამინისტროში, კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტი იყო. მან გააერთიანა, შეადგენდა სამი უმსხვილესი ოპერატიული სამსახური - სისხლის სამართლის , სამძებრო, ორგანიზებული დანაშაულობისა და კორუფციის წინააღმდეგ მებრძოლი მთავარი სამმართველო, ნარკომანიისა და ნარკობიზნესის წინააღმდეგ ბრძოლის ეროვნული ბიურო, შესაბამისი ცვლილებები განიცადეს შინაგან საქმეთა რაიონულმა, საქალაქო და რეგიონალურმა ქვედანაყოფებმაც. ვიდრე ოპერატიული სამსახურები ცალცალკე არსებობდნენ მათ მუშაობაში ერთგვარი პარალელიზმი შეინიშნებოდა. სუსტი შემაკავშირებელი და მაკოორდინებელი რგოლის გამო, ხშირად ერთსა და იმავე საქმეს ასრულებდნენ, ახლა მოისპო პარალელიზმის საშიშროება, მათთვის სპეციალური აპარატი იღებს, აანალიზებს ყოველგვარ ოპერატიულ ინფორმაციას, გეგმავდა ოპერაციებს. ახლა ყველა ოპერატიული სამსახურის ფუნქციები მკაცრად გამიჯნულია.

მეორე ბლოკი, რომელიც ჩამოყალიბდა შინაგან საქმეთა სამინისტროში, იყო ადმინისტრაციული პოლიციის დეპარტამენტი. ადმინისტრაციული პოლიციის დეპარტამენტში თავმოყრილი იყო სამსახურები, რომელთაც უნდა უზრუნველყონ საზოგადოებრივი წესრიგი, კერძოდ, პირველ რიგში, საგზაო პოლიცია, საზოგად-

ოებრივი წესრიგის დაცვისა და საპასპორტო-საგიზო სამსახურები, სახანძრო დაცვის პოლიციის, ეკოლოგიის და საკუთრების დაცვის სამსახურები.

მესამე ბლოკი აერთიანებდა საგამოძიებო დეპარტამენტს, პარლამენტთან ურთიერთობისა და საქართველოს უზრუნველყოფის, საექსპერტო-კრიმინალისტიკური მოკვლევის სამსახურებს, ინტერპოლის ეროვნულ ბიუროს.

საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტმა ამ წლებშიც ბევრი რამ გააკეთა მოსახლეობის საქართველებრივი აღსრდისა და ყართლწესრიგის განმტკიცების საქმეში. ინსტიტუტი კონკრეტული სოციოლოგიური კვლევა-კიების შახლესი მიღწევების გამოყენებით პრაქტიკაში ნერგავდა დამნაშავეობასთან ბრძოლის მეცნიერულად დასაბუთებულ ყველაზე ქმელით, ოპტიმალურ რეკომენდაციებს. პერიოდულად ეწყობოდა ინსტიტუტის გაფართოებული სხდომები, როელებიც ეძღვნებოდა საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის თანამედროვე პრობლემებს. სხდომებს, ინსტიტუტის წევრებს გარდა, ესწრებოდნენ სასამართლო-პროკურატურის, საწარმოების, სასწავლებლების, სამინისტროების და უწყებების ხელმძღვანელები, ახალგაზრდობის წარმომადგენლები.

თავი მეორე

საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტის სტრუქტურა და საქმიანობის მთავარი მიმართულებები

1. სტრუქტურა, მიზნები, ფუნქციები

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსთან ფუნქციონირებადი საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტი არის არასამთავრობო, არამომგებიანი საზოგადოებრივი ორგანიზაციის სტატუსის მქონე ფართო საზოგადოებრიობის მოწინავე წარმომადგენლების: მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეების, განათლების მუშაკების, სხვადასხვა დარგების გამოჩენილი პირების, საზოგადოებრივი და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლების ნებაყოფლობითი გაერთიანება.

ინსტიტუტი საქმიანობას წარმართავს საქართველოს კონსტიტუციის, მოქმედი კანონმდებლობის, საერთაშორისო ნორმების და საკუთარი წესდების საფუძველზე. ინსტიტუტი უფლებამოსილია ნებაყოფლობის, თანასწორუფლებიანობის, თვითმმართველობის, კანონიერებისა და საჯაროობის პრინციპების შესაბამისად, სამინისტროს ხელმძღვანელობასთან შეთანხმებით, გამოიყენოს სამინისტროს მასალები.

ინსტიტუტი იურიდიული პირის სტატუსს იძენს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის მიხედვით, წესდების რეგისტრაციის მომენტიდან; აქვს დამოუკიდებელი ბალანსი და სხვა სახის ანგარიშები (მათ შორის სავალუტოც), ბეჭედი, შტამპი, საკუთარი ემბლემა, ბლანკი და იურიდიული პირის სხვა რეკვიზიტები, განკერძოებული ქონება, სასაქონლო-მატერიალური ფასეულობანი და ფულადი სახსრები.

სახელმწიფო, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო,, უზრუნველყოფენ ინსტიტუტის უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვას; ინსტიტუტის წარმომადგენლები მონაწილეობენ სამინისტროს მიერ გატარებულ ღონისძიებებში, აგრეთვე სამინისტროს კოლეგიის მუშაობაში.

ინსტიტუტს უფლება აქვს კანონით დადგენილი წესით წარმოადგინოს და დაიცვას თავისი წევრების კანონიერი უფლე-

ბები და ინტერესები სხვა სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანიზაციებში, ინსტიტუტის წევრებზე გასცეს საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტის წევრობის მოწმობა. ინსტიტუტი იქმნება განუსაზღვრელი ვადით. ინსტიტუტის სახელწოდებაა: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსთან ფუნქციონირებადი საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტი.

ინსტიტუტის მიზნებია: ხელი შეუწყოს შინაგან საქმეთა სამინისტროს იმ ამოცანების და ფუნქციების შესრულებაში, რომლებიც:

1. გააძლიერებს დამნაშავეობის გამომწვევი მიზეზების კვლევას, მიიღებს მეცნიერულად დასაბუთებულ ზომებს დამნაშავეობის პრევენციის მიზნით და გააძლიერებს მის წინააღმდეგ ბრძოლას, განამტკიცებს მართლწესრიგს;

2. სისტემატურად შეისწავლის ჰუმანური აღზრდისა და ახალგაზრდებსა და არასრულწლოვანთა შორის სამართალდარღვევების გამომწვევ მიზეზებს, მიიღებს სათანადო ზომებს მათ აღმოსაფხვრელად;

3. შესაბამის სამმართველოსა და იურიდიულ პირებთან თანამშრომლობით განახორციელებს ღონისძიებებს ნარკოტიკული საშუალებებისა და ფსიქოტროპული ნივთიერებების, პრეკურსორების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლას. ამ მიზნით განსაკუთრებულ ყურადღებას მიაქცევს ნარკომანიის პრევენციის, მკურნალობისა და რეაბილიტაციის ერთიანი სისტემის შექმნას;

4. ახსნის საგზაო მოძრაობების უსაფრთხოების აუცილებლობას, დამრღვევთა შესახებ შექმნის განკიცხვისა და დაგმობის ატმოსფეროს;

5. დაიცავს პიროვნების უფლებებს, გაავრცელებს პროფესიული ეთიკისა და ზნეობრივი სრულყოფის პრინციპებს, ითანამშრომლებს სახალხო დამცველის (ობმუდსმენდის) აპარატთან, პატივს სცემს პატიმართა უფლებებს და შეიმუშავებს მათი შეწყალების წინადადებებს;

6. უზრუნველყოფს მასპედიასთან საქმიან, მიზანდასახულ ურთიერთობას და ურთიერთთანამშრომლობას;

7. მჭიდრო კავშირს დაამყარებს უმაღლესი სასწავლებლების და სამეცნიერო ორგანიზაციების მეცნიერ-თანამშრომლებთან ჯანსაღი, ღია, დემოკრატიული საზოგადოების შესაბამისი საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებისათვის;

8. ეკოლოგიის პოლიციასთან, ბუნების დაცვის ორგანიზაციებთან თანამშრომლობით ხელს შეუწყობს ამ უბანზე სამართალდარღვევების აღმოფხვრას;

9. დაეხმარება ეთნოკონფლიქტებში სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულების დროს დაღუპულ, დასახიჩრებულ და სოციალურად გაჭირვებულ ოჯახებს, დაიცავს მათ უფლებებს;

10. ითანამშრომლებს საერთაშორისო და საქართველოში განლაგებულ არასამთავრობო ორგანიზაციებთან, საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის, ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროების რეგიონულ და ადგილობრივ ქვედანაყოფებთან;

11. მონაწილეობას მიიღებს სემინარებში, ადგილობრივ და საერთაშორისო ორგანიზაციებთან ერთად, განათლების, ჯანმრთელობის, სოციალური დაცვის და არასამთავრობო ორგანიზაციების კანონმდებლობასთან დაკავშირებით.

ინსტიტუტის უმთავრესი ამოცანაა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საქმიანობის, მისი ავტორიტეტის ამაღლების მიზნით, საზოგადოების ცნობიერებაში პოლიციის შესახებ დადებითი აზრის ჩამოყალიბება - განმტკიცება, მისი მუშაკების თავდადებული შრომისა და გარჯის დაფასება - უზრუნველყოფის აუცილებლობა.

გარდა ამისა, ინსტიტუტის ამოცანებია:

1. პრაქტიკული და თეორიული ხასიათის დახმარება გაუწიოს თანამშრომლებს, იზრუნოს მათი კულტურის დონის ამაღლებისა და ესთეტიკური გემოვნების განვითარებისათვის, განსაკუთრებული ყურადღება დაუთმოს მათ მიერ სამართლებრივი ბაზისური დოკუმენტების შესწავლის საქმეს;

2. გამუდმებით ზრუნავდეს და ეხმარებოდეს სამინისტროს ხელმძღვანელობას შემოქმედებით ინტელიგენციასთან, მწერლებთან, მხატვრებთან, თეატრისა და კინოს წარმომაგენლებთან, ახალგაზრობასთან, მეწარმეებთან კონტაქტის დამყარებასა და განმტკიცებაში;

3. პროპაგანდა გაუწიოს სამინისტროს, მისი დეპარტამენტებისა და მთავარი სამმართველოების საქმსახურების, აგრეთვე სამხარეო, საქალაქო და რაიონული განყოფილებების ყოველდღიურ საბრძოლო და შრომითი საქმიანობების შედეგებს, განსაკუთრებული ყურადღება დაუთმოს სამართალდაცვისათვის გმირულად

დაღუპული პოლიციელების თავგანწირვის მნიშვნელობის პროპაგანდას;

4. სამინისტროს სხვადასხვა დეპარტამენტების, განყოფილებების მუშაკთა შესახებ საზოგადოებრივ ცნობიერებაში დაფიქსირებული შეხედულებების სოციალოგიური გამოკვლევების შედეგების გათვალისწინებით, დასახოს კონკრეტული ხასიათის ღონისძიებები.

დებულებაში განსაზღვრულია ინსტიტუტის ფუნქციები და უფლებები; ინსტიტუტი მუშაობას წარმართავს რექტორატის მიერ შემუშავებული და დამტკიცებული წლიური სამუშაო გეგმის საფუძველზე; ინსტიტუტი:

ა) აწყობს სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციებს, ატარებს სემინარებს, კოლოკვიუმებს, ბრიფინგებს, გამსვლელ სესიებს და ა.შ.

ბ) ორგანიზაციას უკეთებს სამინისტროს პასუხისმგებელ მუშაკთა და თანამშრომელთა შეხვედრებს მეცნიერებთან, შემოქმედებითი ინტელიგენციის, ახალგაზრდული ორგანიზაციების წარმომადგენლებთან, არასამთავრობო ორგანიზაციების ხელმძღვანელებთან;

გ) აქვეყნებს მასალებს მასმედიის საშუალებებში, აწყობს გამოსვლებს რადიოსა და ტელევიზიაში, აქვეყნებს ბროშურებს, წიგნებს, თემატურ კრებულებს;

დ) ატარებს კონსულტაციებს და მეთოდურად ეხმარება სამინისტროს სამართლებრივი საკითხების გადაწყვეტაში; იღებს მონაწილეობას სამინისტროს ღონისძიებებში მის თანამშრომელთა კვალიფიკაციისა და პროფესიული ოსტატობის ამაღლების საქმეში;

ე) ამყარებს კონტაქტებს უცხოეთის სახელმწიფოებთან მათი დადებითი გამოცდილების გაზიარების მიზნით;

ვ) რეკომენდაციები შეაქვს სამინისტროს კოლეგიის სხდომაზე განსახილველად, წინადადებით შედის საქართველოს საკანონმდებლო ორგანოებში.

როგორია ინსტიტუტის სტრუქტურა?

ინსტიტუტის მართვის ორგანოებია ინსტიტუტის წევრთა კონფერენცია, რექტორატი. მართვის უმაღლესი ორგანოა ინსტიტუტის წევრთა კონფერენცია, რომელიც მოიწვევა რექტორატის გადაწყვეტილების საფუძველზე ან ინსტიტუტის წევრთა არა-

ნაკლებ 1-10 მოთხოვნით, დღის წესრიგის მითითებით. კონფერენცია წელიწადში ერთხელ მაინც უნდა ჩატარდეს.

კონფერენციაზე გადაწყვეტილებების მიღება ხდება ხმათა უმრავლესობით, ღია ან ფარული კენჭისყრით, დამსწრე წევრთა ხმების 2-3-ით. ინსტიტუტის მიზნის, ამოცანების და ფუნქციების შესახებ გადაწყვეტილება საჭიროებს ყველა წევრის ხმათა 4-5. გადაწყვეტილება ნამდვილი იქნება, თუ კონფერენციის მოწვევისას საკითხი დღის წესრიგში იქნება შეტანილი.

თუ ინსტიტუტის წევრები ვერ ესწრებიან კონფერენციას, მათ შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ კენჭისყრაში წერილობით. ისინი უთანაბრდებიან კონფერენციაზე დამსწრე პირებს.

კონფერენცია უფლებამოსილია, თუ მას ესწრება ან წერილობით წარმოდგენილია წევრთა უმრავლესობა.

კონფერენციის განსაკუთრებული უფლებამოსილებაა:

1. მიიღოს დებულება, დაამტკიცოს ცვლილებები და დამატებები დებულებაში;

2. მოისმინოს და დაამტკიცოს რექტორის ან კომისიების ხელმძღვანელების ანგარიში;

3. განსაზღვროს და დაამტკიცოს ინსტიტუტის საქმიანობის მთავარი მიმართულებები და გეგმები;

4. აირჩიოს, განსაზღვროს და დაამტკიცოს რექტორატის წევრები: რექტორი, პრორექტორი, სწავლული მდივანი;

5. კონფერენციას შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ გარკვეული ვადით გადასცეს თავისი უფლებამოსილება რექტორატს ან რექტორს.

კონფერენციებს შორის ინსტიტუტის მუშაობას ხელმძღვანელობს ინსტიტუტის რექტორატი. რექტორატის სხდომები მოიწვევა სისტემატურად. რექტორატი უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება, თუ რექტორატის სხდომას ესწრება წევრთა 2-3. რექტორატის უფლებამოსილება განისაზღვრება ხუთი წლით. მის შემადგენლობაში შედიან რექტორი, პრორექტორები, კომისიის თავმჯდომარეები, სწავლული მდივანი.

რექტორატის განსაკუთრებული უფლებამოსილებაა: - შეიმუშაოს სპეციალური პროგრამები და პროექტები დებულებით განსაზღვრული ძირითადი მიმართულებების მიხედვით, უხელმძღვანელოს მათ განხორციელებას; შექმნას სამხარეო შესაბამისი ინსტიტუტები, უხელმძრვანელოს და გააკონტროლოს მათი მუშაობა; გა-

ნიხილოს ინსტიტუტის საქმიანობის ყველა ასპექტთან დაკავშირებული საკითხი, გარდა იმ საკითხებისა, რომლებიც ინსტიტუტის კომპეტენციას განეკუთვნება, მიიღოს ან გარიცხოს ინსტიტუტის წევრები.

ინსტიტუტის რექტორატთან არსდება კომისიები:

1. ახალგაზრდობის პრობლემების შემსწავლელი კომისია.
2. ნარკომანიისა და ალკოჰოლიზმის პრობლემების შემსწავლელი კომისია;
3. საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების პრობლემების შემსწავლელი კომისია;
4. სამეცნიერო ორგანიზაციებთან და უმაღლეს სასწავლებლებთან ურთიერთობის კომისია;
5. არასრულწლოვანთა და ახალგაზრდობას შორის მუშაობის კომისია;
6. საზოგადოებრივი დამცველის, პროფესიული ეთიკისა და ზნეობრივი სრულყოფის კომისია;
7. საგარეო ურთიერთობის შემსწავლელი და მასობრივი ინფორმაციის საშუალებებთან ურთიერთობის კომისია;
8. ეთნოკონფლიქტებში დაღუპულ, დასახიჩრებულ და სოციალური დახმარების საჭიროების კომისია;
9. ბუნების დაცვის პრობლემების შემსწავლელი კომისია.

კომისიები იქმნება და უქმდება რექტორატის გადაწყვეტილებით ქვეყანაში მიმდინარე სოციალურ-პოლიტიკური პროცესების გათვალისწინებით.

ინსტიტუტის რექტორატი ხელმძღვანელობს შესაბამისი რეგიონული ინსტიტუტების მუშაობას, რომლებიც ფუნქციონირებენ თავიანთი დებულებებით, სპეციფიკური თავისებურებების გათვალისწინებით.

რექტორატი თავის შემადგენლობიდან ირჩევს რექტორს, პრორექტორს და სწავლულ მდივანს. ინსტიტუტის რექტორი ერთპიროვნულად წარმოადგენს ინსტიტუტს მესამე პირებთან ურთიერთობაში. რექტორი ნიშნავს რექტორატის სხდომებს და განსაზღვრავს დღის წესრიგს, არეგულირებს ურთიერთობებს სახელმწიფო და არასამთავრობო სტრუქტურებთან, ხელმძღვანელობს ინსტიტუტის საგარეო პოლიტიკას. რექტორის არყოფნის პერიოდში წარმომადგენლობაზე უფლებამოსილება ენიჭება პრორექტორს.

დებულების მიხედვით (თავი 7), ინსტიტუტის წევრთა გადაწყვეტილებით, ინსტიტუტი შეიძლება გარდაიქმნას სხვა იურიდიულ პირად ან გაერთიანდეს იურიდიულ პირებთან.

ასეთია საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტის მიზნები, ამოცანები, ფუნქციები, უფლებები და სტრუქტურა.

საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტი ხელმძღვანელობს დებულებით, რომელიც დამტკიცებულია ინსტიტუტის გაფართოებულ სხდომაზე 2000 წლის 31 მარტს. იგი რიგით მეოთხე დებულებაა. მასში დაცულია მემკვიდრეობითობის პრინციპი, ყველა პრინციპული დებულება შენარჩუნებული და განვითარებულია საბაზრო ეკონომიკისა და ეროვნული თავისებურებების გათვალისწინებით.

***

საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტი დღეისათვის წარმოადგენს მოსახლეობასთან ურთიერთობისა და საზოგადოებრივი აზრის შესწავლის სრულიად ახალ, ყოველმხრივ დახვეწილ და სრულყოფილ ფორმას, რომელმაც თავისი შემადგენლობით, 450-მდე წევრით, სტრუქტურით, კომისიებით, სამხარეო საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტებით, მუშაობის მიმართულებებით, ეფექტიანობითა და პრინციპულობით მნიშვნელოვანი ადგილი დაიმკვიდრა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში, იგი აღიარა საზოგადოებრიობამ. ინსტიტუტი პრაქტიკაში ნერგავს დამნაშავეობასთან ბრძოლის მეცნიერულად დასაბუთებულ, ყველაზე ქმედით, დროულ და ოტიმალურ რეკომენდაციებს, ეწევა დადებითი გამოცდილების გავრცელებასა და დანერგვას.

საქართველოს პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე ასე ახასიათებს საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტის წარსულსა და დღევანდელობას, მის საქმიანობას: "საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტმა დაარსების პირველი დღეებიდანვე საქართველოს მოწინავე ადამიანთა საუკეთესო ნაწილი ჩაება მართლწესრიგის განმტკიცებისა და დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების საქმეში. განსაკუთრებით დიდ მუშაობას ეწევა არასრულწლოვანთა შორის სამართალდარღვევათა აღმოფხვრისა და ნარკომანიის მიმართ ჯანსაღი საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებისა და ამ, სოციალურად საშიში მოვლენის, დაძლევისათვის.

მე არასოდეს დამავიწყდება საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტის საქმიანობის პირველი დღეები და წლები, შეხვედრები ინსტიტუტის პირველ შემადგენლობასთან, რომელთა შორის იყვნენ: ირაკლი აბაშიძე, დიმიტრი ალექსიძე, ვერიკო ანჯაფარიძე, დოდო ანთაძე, ანგია ბოჭორიშვილი, პაატა გუგუშვილი, კონსტანტინე გამსახურდია, ვასო გოძიაშვილი, ნოდარ დუმბაძე, სიკო დოლიძე, ავლიპ ზურაბაშვილი, სერგო ზაქარიაძე, ვიქტორ კუპრაძე, რევაზ ლაღიძე, ნიკოლოზ მუსხელიშვილი, გიორგი მელიქიშვილი, რევაზ მარგიანი, იოსებ ნონეშვილი, ბორის ფურცხვანიძე, გურამ ფანჯიკიძე, იასე ცინცაძე, სულხან ცინცაძე, თინათინ წერეთელი, უნა ჯაფარიძე, რევაზ ჯაფარიძე და სხვები.

ინსტიტუტის წევრთა რნეკები და სურვილები საფუძვლად ედო შინაგან საქმეთა სამინისტროს გადაწყვეტილებებს, ბრძანებებს, ღონისძიებათა გეგმებს.[1]

***

საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტის მრავალმხრივ საქმიანობას მაღალ შეფასებას აძლევდნენ გამოჩენილი მეცნიერები და საზოგადო მოღვაწეები: ნიკოლოზ მუსხელიშვილი, ილია ვეკუა, ირაკლი აბაშიძე, ნოდარ დუმბაძე, კონსტანტინე გამსახურდია, ავლიპი ზურაბაშვილი, სერგო ჯორბენაძე, ბიბი ინწკირველი, ოთარ ჯაფარიძე, ვახტანგ ბერიძე, თეიმურაზ ღიბრაძე, კოტე კეთილაძე და სხვები.

ოთარ ჯაფარიძე: "საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტი ახალი ტიპის სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებაა, ცხოვრების ნამდვილი აკადემიაა. მისი კვლევის შედეგები გამოყენებითი ღირებულებისაა".

ვახტანგ ბერიძე: "საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტმა თავისი არსებობის 35 წლის მანძილზე ბევრი კეთილი საქმე გააკეთა. ხალხის, მოსახლეობის სხვადასხვა ფენის აზრის გაგება ჭეშმარიტების დადგენის უტყუარი საშუალებაა. ინსტიტუტი არა მარტო სწავლობს საზოგადოებრივ აზრს, არამედ შეიმუშავებს რეკომენდაციებს და ცხოვრებაშიც ნერგავს. მე არ ვიცნობ სხვა, უფრო სასარგებლო სამეცნიერო დაწესებულებას".

---

1. მამია დარჩია, ვახტანგ ქარუმიძე, საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტი: ისტორია, თანამედროვეობა. 1997, გვ. 8

თეიმურაზ ღიბრაძე:

"შინაგან საქმეთა სამინისტროს საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტში დიდი ხანია ვმოღვაწეობ, როდესაც თვალს ვაკვლებ ცნობილ პიროვნებათა გალერეას, რომელთა გვერდით მიხდებოდა ყოფნა წლების განმავლობაში, ჩემს მახსოვრობაში პირველად ამოტივტივდება ხოლმე აწ განსვენებული სულკურთხეული და ნეტარხსენებული ნოდარ დუმბაძე. მე მასთან ძალიან ახლოს არ ვიყავი (თუმცა ჩვენს კავშირს მეუღლეების ახლო ნაცნობობაც განაპირობებდა), მაგრამ ყოველთვის მოხიბლული ვიყავი მასთან ყოფნით და საუბრით. მახსოვს ერთი გზასაცდენილი სრულიად ახალგაზრდა მშვენიერი შესახედაობის გოგონა მოიყვანეს ჩვენთან ინსტიტუტში კოლონიიდან. უნდა გენახა ნოდარ დუმბაძის თვალები - რამდენი მამაშვილური სითბო იღვრებოდა მაოგან, როდესაც გოგონას ესაუბრებოდა, მე ღრმად ვარ დარწმუნებული, იმ გოგონას გამოსწორებაში და კეთილი გზის ძებნაში უმთავრესი როლი ნოდარ დუმბაძის თვალებმა და შთაგონებამ შეასრულა. როდესაც სხდომა დამთავრდა ნოდარს გადავეხვიე (ჩვენ ერთმანეთის გვერდით ვიჯექით) და მახსოვს: ვუთხარი - თუ კი ჩემი ცხოვრების მანძილზე რაიმე დაბრკოლება შემემთხვა, მხოლოდ შენი შთაგონება თუ მიშველის მეთქი. მან სიცილიც კეთილი იცოდა. ასეთი დარჩა იგი ჩემს მახსოვრობაში.

რაც შეეხება აკადემიკოს ნიკო კეცხოველს, მე მას ახლო არ ვიცნობი და მხოლოდ რამდენჯერმე შევხვდი ჩვენი ინსტიტუტის სხდომაზე. მე მხოლოდ ერთი დამამახსოვრდა, რომელზეც, თუ არ ვცდები, გურამ ფანჯიკიძეს გადასცეს საპატიო მილიციელის დიპლომი. საქმე შემდეგში იყო. სანაპიროზე, სადაც მე ვცხოვრობ, საკანალიზაციო ჭა იყო თავახდილი. მე გავაფრთხილე მილიციის ინსპექტორი, რომელიც მის ახლოს მორიგეობდა (მაშინ ასეთ "წვრილმანებსაც" ექცეოდა ყურადღება), მაგრამ მან ყურიც არ შეიბერტყა და განაცხადა, რომ ეს მას არ ეხება, რომ უცხოელთა დელეგაციამ უნდა გამოიაროს და მე მისთვის ვდგავარო. მახსოვს, სხდომაზე ეს ფაქტი რომ მოვყევი, ბოლოში დაუმატე, ჩვენ კიდევ ჰო, მაგრამ წარმოგიდგენიათ რა უბედურება იქნებოდა მასში უცხოელი რომ ჩავარდნილიყო და რაიმე შემთხვეოდა. ბატონმა ნიკომ თითქოს თავისთვის (მაგრამ ისე, რომ ყველას ესმოდა) ჩაილაპარაკა: არ მესმის რატომ იქნებოდა ნაკლები უბედურება მასში ქართველი რომ ჩავარდესო. ჩემშიც და იქ დამსწრეთა

შორისაც ბატონ ნიკოს ამ თითქოს უწყინარმა და კეილგანწყობილმა რეპლიკამ ღიმილი გამოიწვია. სხდომის შემდეგ ბატონმა ნიკომ და მე ცოტახანს ვისაუბრეთ, სამწუხაროდ შემდეგში მე იგი არასოდეს შემხვედრია.

ერთი კურიოზული შემთხვევაც მინდა გავიხსენო. ჩვენი ინსტიტუტის რამოდენიმე წევრი (თუ არ ვცდები 3 თუ 4) შინაგან საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელობასთან ერთად გავემგზავრეთ რუსთავის მეტალურგებთან შესახვედრად. ისე მოხდა, რომ მე მინისტრის მანქანაში მძღოლის გვერდით ვიჯექი. საგზაო ინსპექტორები, რასაკვირველია, ცნობდნენ თავიანთი მინისტრის მანქანას და დიდი ამბით შესალმებოდნენ (ალბათ ვიღაც ცენტრიდან მოვლინებული ჩინოსანი ვეგონეთ). კურიოზულობა კი იმაში გამოიხატებოდა, რომ მეორე დღეს, როდესაც ჩემი მანქანით მივდიოდი, გზაჯვარედინზე გავჩერდი, რომელიღაც ინსპექტორი "სარგადაყლაპული" გამოშეჭიმა, მოძრაობა გადაკეტა და წითელ შუქზე გამატარა. მხოლოდ მერე მივხვდი, რომ მას წინა დღეს ვენახე მინისტრის მანქანაში, მარტო ვიყავი, მარამ კარგა ხანს ვიცინოდი.

და ბოლოს, ეინდა მთელი პასუხისმგებლობით განვაცხადო, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტი ემატად ენიშვნელოვანი და საჭირო ინსტრუმენტია დანაშაულობასთან ბრძოლაში (თუმცა ეს ეისია ლდეესლდეობით საკმაოდ გაკნელიმულია). ინსტიტუტს მეტი დახმარება სჭირდება. ხალხთა ფართო მასებმა უნდა იცოდნენ, რომ არის ისეთი ორგანიზაცია, რომელიც ეწევა საკმაოდ სასარგებლო შრომას და თუ კი ამ მუშაობის შემდეგ თუნდაც ერთი გზააბნეული დაუბრუნდება საზოგადოებას, თუნდაც ერთი უდანაშაულოდ დასჯილი (და ასეთი რამ არც თუ იშვიათია ჩვენს სინამდვილეში) გამართლდება, თუნდაც ერთი პოტენციურად დანაშაულობისაკენ მიდრეკილი ახალგაზრდა აცდება შავი საქყაროს ზეგავლენას, ინსტიტუტის მისია შეიძლება შესრულებულად ჩაითვალოს. მაგრამ ჩვენ კიდევ უფრო მეტს ველით მისგან". ეს მოგონება დაწერილია 1994 წ. 10 ივნისს.

კონსტანტინე კეთილაძე:

"1965 წლის სექტემბერში ჩაეყარა საფუძველი საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტს. იდეა ამ ინსტიტუტის დაარსებისა ეკუთვნის ედუარდ შევარდნაძეს. პირველი ამოცანა იყო საზოგადოებრივი

აზრის ფორმირება ამა თუ იმ დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში, რეკომენდაციების შემუშავება, რომელსაც სამინისტრო გაითვალისწინებდა. ინსტიტუტში სათანამშრომლოდ ვიწვევდით ავტორიტეტებს. ვიზიდავდით მწერლებს, ვისაც ხალხი აღიარებდა, საზოგადო მოღვაწეებს, მსახიობებს, წარმოება-დაწესებულებების ხელმძღვანელებს, სოფლის თავკაცებს. შინაგან საქმეთა სამინისტროს მუშაობაში ინფორმაციაა პირველი, საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტის მეშვეობით ჩვენ ვცდილობდით მოსახლეობამდე მიგვეტანა ჩვენს მიერ განხორციელებული ამა თუ იმ ღონისძების არსი და ასევე მიგვეღო ინფორმაცია მოსახლეობისაგან. საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტი გახლა საზოგადოებისა და შინაგან საქმეთა ორგანოების შემაკავშირებელი რგოლი.

საი-ის (შემოკლებით საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტი) პირველი რექტორი იყო ვოვა ჭავჭავანიძე, კარგახნის განმავლობაში იგი ხშირად დადიოდა მივლინებებში, მისი არ ყოფნის დროს სხდომას ატარებდნენ სხვები. უმეტესად კი მოადგილე, ნათელა ვასაძე, რექტორის არყოფნისას ინსტიტუტის ხელმძღვანელობა მასვე ეკალებოდა.

ინსტიტუტის დაარსების პერიოდს დაემთხვა ის დრო, როდესაც სამინისტრომ გააფთრებული ბრძოლა დაიწყო საკუთრების დატაცების წინააღმდეგ. ყველაფრის გაზეთში დაწერა არ შეიძლება, არადა, როცა საქმე რაიმე ღონისძიებას ეხებოდა, ჩვენი პრობლემა იყო როგორ მიგვეტანა სწორი ინფორმაცია ხალხამდე. ამიტომ ამ ღონისძიებებში ძალიან დიდი დახმარება გაგვიწია საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტმა.

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლა. ეს იყო დამალული, ხმამაღლა ამ პრობლემაზე არავინ არაფერს ამბობდა. მე არ მესმის ვის უმალავდნენ ამას. ფაქტია, რომ სწორედ ჩვენმა რესპუბლიკამ აიმაღლა ხმა პირველად ნარკომანიაზე. ნატარდა საკმაოდ სერიოზული მუშაობა სოციოლოგიური კვლევის საკითხებში. მოეწყო ანკეტირება, თბილისის შინაგან საქმეთა სამმართველოს შენობიდან მოეწყო სატელევიზიო გადაცემა, რომელიც მე მიმყავდა ღია ეთერში. მოვიყვანეთ ნარკომანების მშობლები და ეს ორსაათიანი გადაცემა, რომელიც ინსტიტუტის ძალებით მომზადდა, მოსახლეობამ ნახა, ინსტიტუტში ნარკომანიის სექციას ხელმძღვანელობდა პროფესორი ანზორ გაბიანი. ჩვენს წინაშე იყო საინტერესო სურათი, საიდანაც არასასიამოვნო დასკვნის გაკეთება შეგვეძლო. დანაშაულის დასჯა არ ხერხდება ლიბერალური კანონების გამო.

შეეედით წინადადებით მთავრობასა და უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში კანონების გამკაცრების შესახებ. ძალიან გაგვიჭირდა. მოსკოვმა შეგვზღუდა. ჩვენ მაინც ჩვენი გავიტანეთ. ორი-სამი თვის შემდეგ უკვე თვითონ მოსკოვში მიიღეს დოკუმენტები, რომლითაც გააძლიერეს სანქციები. ნარკომანიის პარალელურად ინსტიტუტში ფუნქციონირებდა არაშრომითი შემოსავლის წინააღმდეგ ბრძოლის სექცია. ჩვენ პირველებმა მივაქციეთ ყურადღება , რომ საქმოსნობა ნომერ პირველი მტერი იყო. სხვადასხვა ხრიკებით და მაქინაციებით სახელმწიფოს ჰპარავდნენ დიდ ფულს წარმოება-დაწესებულებებში გავრცელდა კორუფცია. გადაეხლართნენ ეს საქმოსნები ხელმძღვანელობას. ეს იწვევდა სულ სხვა პროფილაქტიკის გატარებას. კერძოდ, როდესაც რაიმე საქონელი გამოირჩეოდა სიიაფით, წარმოება აშცირებდა მას და სულ სხვა რამეს აწარმოებდა, რაც არ პასუხობდა მოთხოვნილებებს, ან იპარავდნენ მასალას და მარცხენა პროდუქციას უშვებდნენ.

დიდი მუშაობა წარმოებდა არასრულწლოვანთა ხაზით. ამ მხრივ რესპუბლიკაში არც ისე ცუდი მდგომარეობა იყო, მაგრამ ჩვენ ვთვლიდით, რომ თუ ერთი-ორი ბავშვი ციხეშია, ამას უკვე სერიოზული ყურადღება უნდა. განსაკუთრებული ყურადღება სჭირდებათ მოზარდებს, იმიტომ, რომ პრაქტიკულად ამ ასაკში ბავშვის გონება ისეთი პრაქტივიზმითაა შეპყრობილი, რომ ადვილად ექცევა კანონიერი ქურდის გავლენის ქვეშ. ამ გავლენას ვებრძოდით და ეხლაც ასე უნდა იყოს, ვინაიდან კონტიგენტი არ მცირდება. პირიქით, პატიმრებთან ურთიერთობის სექცია ჩემს დროს არ იყო. ციხეში ყალიბდებიან სხვა პიროვნებებად. ამ ჩამოყალიბებას ჩვენ ვერ ვმართავთ. ჩვენ ვერ ვახდენთ მის შემდგომ მოქმედებაზე გავლენას, მოუწესრიგებელია ინსტანციები, რომლებიც მილიციის შემდგომ განაგებენ ადამიანის ბედს. მილიცია ავლენს, სჯიან სხვა ორგანოები. უდანაშაულო კაცის დასჯა უფრო დიდი დანაშაულია, ვიდრე ბევრი დამნაშავის დაუსჯელობა. ამ მხრივ არასრულწლოვანებს სჭირდებათ განსაკუთრებული ყურადღება, ბავშვმა კი არ უნდა იგრძნოს, უნდა გაითავისოს ის, რასაც გულისხმობს მისი დასჯა. მე ხშირად დავდიოდი ბავშვთა კოლონიაში. საათობით ვესაუბრებოდი მსჯავრდებულ მოზარდებს. იქაც გვხვდებიან სხვადასხვა ჯურის პიროვნებები. მახსოვს, ერთი კახელი ბიჭი. ამ ბავშვს რომ ვესაუბრებოდი მივხვდი, რომ სრულიად შემთხვევით იყო მოხვედრილი იქ და რომ მისი ადგილი კოლონიაში კი არა, ვენახში იყო. ეს ბავშვი გავათავისუფლეთ. თუ არსებობს შანსი ბავშვის პირ-

ოვნების გადარჩენისა, ის ციხეში არ უნდა შეიყვანო, სხვა განათლება უნდა მიაღებინო. ამ შემთხვევაში დიდი მნიშვნელობა აქვს მილიციის იმ მუშაკების პედაგოგიზაციის საკითხებს, რომლებსაც არასრულწლოვანებთან უხდებათ მუშაობა. შეცდომა იყო ბავშვთა ოთახის ინსპექტორების შტატის გაუქმება. ბავშვის დაკითხვა მშობლის ან მასწავლებლის გარეშე არ შეიძლება. ყველამ არ იცის, როგორ უნდა დაკითხო ბავშვი. 19 წელი ვიმუშავე შს ორგანოებში და ყოველთვის ვცდილობდი ადამიანური ვყოფილიყავი. ჩემი კრედოა სიკეთის კეთება, ეს ყველა ადამიანის დანიშნულებაა. ყველა ადამიანს უნდა ჰქონდეს უნარი აკეთოს სიკეთე. ეს უნარი თუ არ აქვს, ის ადამიანის სახეს კარგავს და ორფეხა პირუტყვად იქცევა. თუ სიკეთის ქმნა არ შეგიძლია, ზედმეტი ხარ. ყოველთვის ვცდილობდი ვყოფილიყავი მართალი.

ძნელი გასავლებია პარალელი მაშინდელსა და დღეგანედლს შორის. კომუნისტებს ბევრი კარგი ჰქონდათ, არ ვაზვიადებ ალბათ, თუ ვიტყვი, რომ დიდი რაოდენობით გაუხსნელი დანაშაული დაგვიგროვდა. 40-მდე ტერორისტული აქტი მოხდა თბილისში და ორია გახსნილი. ამას ბევრი მიზეზი აქვს. როცა ამბობენ ვიჭერთ და გვაშვებინებენ, ეს არავის სჭირდება. დამნაშავემ უნდა იგრძნოს, რომ დამნაშავეა. ამისათვის საგულდაგულო მუშაობაა საჭირო. ადამიანს პატიება უნდა შეეძლოს, მაგრამ არ შეიძლება კორუმპირებული თანამშრომლის დანდობა. ასეთები ვერ შეებრძოლებიან დანაშაულს. კორუმპირებული და კარიერისტული ზრახვებით შეპყრობილი ხალხისგან უნდა გაიწმინდოს მილიცია. მილიციის თანამშრომელს პროფესიული ოსტატობა მოეთხოვება მილიციის თანამშრომელს საქმე აქვს არა მარტო დამნაშავეებთან, არამედ სახელმწიფოს ინტერესებთან. კარიერისტი არ უნდა მოხვდეს შს ორგანოებში, მას რომ შეუძლია ნებისმიერი საქმის გაფუჭება, ისე არავის.“

***

2001 წლის 20 იანვარს სრულდება ოცდათხუთმეტი წელი საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსთან არსებული საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტის დაარსებიდან. მისი დამაარსებელი და ინიციატორი იყო მაშინდელი შინაგან საქმეთა მინისტრი ედუარდ შევარდნაძე. მან თავის ირგვლივ შემოიკრიბა

გამოჩენილი მეცნიერები, მწერლები, კულტურის მოღვაწენი, წარმოებისა და სოფლის მეურნეობის, სპორტისა და ხელოვნების კორიფეები: ნიკოლოზ მუსხელიშვილი, ილია ვეკუა, კონსტანტინე გამსახურდია, რევაზ ლაღიძე, სულხან ცინცაძე, ვიქტორ კუპრაძე, დიმიტრი ალექსიძე, ვერიკო ანჯაფარიძე, ვასო გოძიაშვილი, სერგო ზაქარიაძე, იოსებ ნონეშვილი, აკლიპ ზურაბაშვილი, ნოდარ დუმბაძე, აკაკი შანიძე, ბორის პაიჭაძე, უნა ჯაფარიძე, ვახტანგ ბალავაძე, ნონა გაფრინდაშვილი და სხვები. ტოტალიტარული, მბრძანებლურ-ბიუროკრატიული სახელმწიფოს არსებობის პირობებში, როდესაც საზოგადოებრივი აზრი მთლიანად უგულებელყოფილი იყო, მისი შექმნა მნიშვნელოვანი მოვლენა იყო. იგი მოითხოვდა დიდ გამბედაობას, სიმამაცეს, სიმტკიცესა და ნამდვილ გმირობას. "საბჭოთა კავშირში პირველად ჩვენს სამინისტროში შეიქმნა საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტი, რომელმაც რესპუბლიკის მოწინავე ადამიანთა საუკეთესო წარმომადგენლები ჩააბა საზოგადოებრივი წესრიგის განმტკიცებისატვის ბრძოლაში" წერდა ედუარდ შევარდნაძე 1967 წლის მარტში.

საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტის ოცდათხუთმეტი წლისთავის აღნიშვნასთან დაკავშირებით ღონისძიებათა გეგმა დაამტკიცა საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრმა კახა თარგამაძემ. ამ გეგმის შემადგენელი ნაწილია წინამდებარე მონოგრაფია-"საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტი": წიგნი გაგრძელებაა მონოგრაფიისა: "საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტი. ისტორია, თანამედროვეობა" (ავტორები მამია დარჩია, ვახტანგ ქარუმიძე), რომელიც 1997 წელს გამოიცა. წიგნმა მაღალი შეფასება დაიმსახურა.

საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტის რექტორებად სხვადასხვა დროს მუშაობდნენ ბორის ფურცხვანიძე, ვლადიმერ ჩავჩანიძე, თამაზ შაგულიძე, კონსტანტინე კეთილაძე. 1988 წლის იანვრიდან ინსტიტუტის რექტორია მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე, პროფესორი მამია დარჩია. მისი ხელმძღვანელობით ინსტიტუტმა ბევრი საჭირო და სასარგებლო საქმე გააკეთა, ბევრი გზასაცდენილი სწორ გზაზე დააყენა. მან დანერგა მუშაობის ეფექტიანი ფორმები და ხერხები.

საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტის საქმიანობაში სხვადასხვა დროს აქტიურად მონაწილეობდნენ შინაგან საქმეთა

მინისტრები ედუარდ შევარდნაძე, კონსტანტინე კეთილაძე, გურამ გვეტაძე, შოთა გორგოძე, რომან გვენცაძე, შოთა კვირაია და სხვები, მინისტრის მოადგილეები ვარლამ შადური, ალექსანდრე კავსაძე, გერმანე სერიოდკინი, გივი კვანტალიანი, დავით სალარიძე, რობიზონ თუშურაშვილი, ჯემალ გორგიაშვილი, ედუარდ ვასილიევი, ჯიმი მიქელაძე, თემურ მურღულია, ჯემალ გახოკიძე, გია ჩეჩელაშვილი, გურამ ქარქაშაძე, დემურ მიქაძე, ემზარ საბანაძე, თბილისის შინაგან საქმეთა სამმართველოს უფროსები მამია ჯაფარიძე, გივი ბაკურაძე, გია გულუა, ნუგზარ ქავთარაძე, დემურ მიქაძე, გივი კვანტალიანი, დავით სალარიძე და სხვები, შტაბის უფროსები დავით მოლაშვილი, კიმი ბუჯიაშვილი, მერაბ ღუდუშაური.

საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტის ბოლო პერიოდის მიღწევები, მისი მაღალი ავტორიტეტი განაპირობა შინაგან საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელობის ყოველდღიურმა და კონკრეტულმა დახმარებამ. ინსტიტუტის მუშაობაში აქტიურად მონაწილეობენ შინაგან საქმეთა მინისტრი კახა თარგამაძე, მინისტრის მოადგილეები ავთანდილ (ზურაბ) ჩხაიძე, გიორგი შერვაშიძე, ვლადიმერ ბაკურაძე, ზურაბ უროტაძე, კობა ნარჩემაშვილი, თენგიზ შოშიაშვილი, შტაბის უფროსი ედუარდ გენძეხაძე, დეპარტამენტების თავმჯდომარეები ზურაბ ხაჟალია, გივი ყვარელაშვილი, ვასილ დავითაია, დავით თოდუა, როინ ლიპარტელიანი, მთავარი სამმართველოების უფროსები რევაზ ფოსხუა, გურამ ახალაია, დემურ მიქაძე, გოჩა სისაური, ლერი გორგოძე, შაქრო წინწკალაძე, დავით კაჭკაჭიშვილი, კონსტანტინე როგავა, ოთარ გონაძე, ამური კვერნაძე, კობა კობიაშვილი, ჯუმბერ სურმავა, ოთარ ტაველიშვილი, დავით კობახიძე, გია აბესაძე, ზაურ ალავიძე, ქუჩუკი სოხაძე, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრები ლავრენტი ნაჭყებია, ენვერ ხალვაში, თბილისის მთავარი სამმართველოს უფროსი იოსებ ალავიძე, პოლიციის აკადემიის უფროსი გურამ ქარქაშაძე, სამმართველოებისა და სხვადასხვა სამსახურების უფროსები გელა გელაშვილი, მამუკა ლიპარტელიანი, ლევან შონია, ავთანდილ ჯაში, რობინზონ თუშურაშვილი, რობერტ ფაილოძე, ანზორ შიოშვილი, ვანო ქარუმიძე, სამხარეო მთავარი სამართველოების უფროსები რუბენ ასანიძე, ვიქტორ გობრონიძე, თამაზ თამაზაშვილი, შაქრო ბერიშვილი, თევდორე სხვიტარიძე, ნოდარ დალაქიშვილი,

ალექსანდრე ბუკია, ივანე ჯიქურაული, თამაზ ბიჭაშვილი, მათი მოადგილეები და თანამშრომლები. ეს არაა სრული სია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემის მუშაკებისა, რომლებიც აქტიურად მონაწილეობენ საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტის საქმიანობაში. მათი რიცხვი საკმაოდ დიდია.

ვსარგებლობთ შემთხვევით და გამოვთქვამთ გულწრფელ მადლობას შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემის იმ თანამშრომლების მიმართ, რომლებიც ნაყოფიერად თანამშრომლობენ ჩვენს ინსტიტუტთან.

***

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსთან არსებული საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტი უდიდესი კმაყოფილებით შეხვდა ედუარდ შევარდნაძის გადაწყვეტილებას, მეორედ ეყარა კენჭი 2000 წლის 9 აპრილის საპრეზიდენტო არჩევნებში. არჩევნებთან დაკავშირებით საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსთან არსებულ საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტმა, თბილისისა და მხარეების შინაგან საქმეთა მთავარ სამმართველოებთან არსებულმა საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტებმა მიიჩნიეს, რომ აღმშენებლობის გზაზე მდგარი ქვეყნისათვის, რომლის მიზანია ერთიანი, დამოუკიდებელი, დემოკრატიული, სამართლებრივი სახელმწიფოს, სამოქალაქო საზოგადოების მშენებლობა, მტკიცე გარანტიაა ისეთი დიდი პოლიტიკოსი, სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწე, როგორიცაა ედუარდ შევარდნაძე. მათ გამოაქვეყნეს გაზეთ "საქართველოს რესპუბლიკაში" მხარის დაჭერის წერილი, რომელშიც ნათქვამი იყო: "ჩვენ გვეამაყება, რომ იგი დამსახურებული ავტორიტეტით სარგებლობს მსოფლიოს წამყვან ქვეყნებში და ამ სახელმწიფოთა მიერ აღიარებულია უდიდეს პოლიტიკოსად, რასაც იგი საქართველოს საკეთილდღეოდ იყენებს. საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტები მუდმივად სწავლობენ საქართველოს მოსახლეობის ყველა ფენის წარმომადგენლების აზრს, მათ სურვილებს, მოთხოვნებს. შედეგების მიხედვით, უალტერნატივოა საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატი ედუარდ შევარდნაძე. იგი უდავოდ 21-ე საუკუნის პირველი პრეზიდენტი იქნება. ეს კი მტკიცე გარანტია

ქვეყნის წარმატებებისა და აყვავებისა, საერთაშორისო ურთიერთობების შემდგომი განვითარებისა.

საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტები, მათი მთელი შემადგენლობა მხარს უჭერენ საქართველოს პრეზიდენტის პოსტზე ედუარდ შევარდნაძის კანდიდატურას და ყველაფერს იღონებენ იმისათვის, რომ პრეზიდენტის არჩევნები გაიმართოს ისე, როგორც ეკადრება დემოკრატიულ, სუვერენულ, სამართლებრივ სახელმწიფოს, ქართულ პოლიტიკურ კულტურას და ცივილიზაციას".

***

საქართველოს საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტის რექტორატის შემადგენლობა აქჟამად ასეთია: მამია დარჩია, სოლომონ პავლიაშვილი, ედუარდ გენძეხაძე, ემა დარგალი, ვახტანგ ქარუმიძე, დავით გეგეშიძე, თემურ ჟღენტი, ოლეგ ალავიძე, ოთარ ჯაფარიძე, თამაზ ყანდარელი, გურამ ლორთქიფანიძე, ნიკოლოზ ხატიაშვილი, ნოდარ ამაღლობელი, შალვა ამონაშვილი, გიორგი ინწკირველი, როინ მეტრეველი, ზაზა სიორიძე, ზურაბ ფორაქიშვილი, რამაზ ხუროძე, რომან შენგელია.

2. არასრულწლოვანთა და ახალგაზრდობას შორის მუშაობის კომისია

არასრულწლოვანებსა და სტუდენტ-ახალგაზრდობას შორის მუშაობის კომისია საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სტრუქტურული ქვეგანაყოფია. მის შემადგენლობაში 60-ზე მეტი ცნობილი მეცნიერი, მწერალი, პედაგოგი და საქართველოს ინტელიგენციის წარმომადგენელია გაერთიანებული. კომისია წელიწადში სამ-ოთხჯერ იკრიბება. სხდომებზე იმართება საქმიანი საუბრები, დისპუტები და ცხარე კამათი არასრულწლოვანთა, სტუდენტთა, ახალგაზრდობის სხვადასხვა ფენის პრობლემებზე, მათთან მუშაობის ხარვეზებსა და ძირითად მიმართულებებზე.

არასრულწლოვანთა და სტუდენტ-ახალგაზრდობას შორის მუშაობის კომისიის მიერ მომზადებული საკითხები ხშირად ხდება საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტის გაერთიანებული სხდომების მსჯელობის საგანი. გარდა აღნიშნულისა, ტარდება გასვლითი სხდომები. ასეთი შეკრებები ჩატარდა ქუთაისში, საქართველოს სახელმწიფო აგრალურ უნივერსიტეტში და სხვა.

კომისიას მჭიდრო კავშირ-ურთიერთობები აქვს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დეპარტამენტებთან და სამმართველოებთან, პირველ რიგში ნარკომანიასა და ნარკობიზნესთან ბრძოლის ეროვნულ ბიუროსა და არასრულწლოვანთა და სტუდენტ-ახალგაზრდობას შორის სამართალდარღვევათა სამმართველოსთან (ხელმძღვანელები გოჩა სისაური და რობერტ ფაილოძე).

კომისიის მუშაობაში მთავარი ადგილი ეთმობა საზოგადოებრივი აზრის შესწავლას, ანალიზს და რეკომენდაციების შემუშავებას არასრულწლოვანთა და სტუდენტი-ახალგაზრდობის პრობლემებზე.

კომისიამ მოამზადა და 1998 წელს გამოსცა მონოგრაფია: "არასრულწლოვანი, დამნაშავეობა და მართლმსაჯულება" (ავტორები ვახტანგ ქარუმიძე და ემა დარგალი). კომისიის განსაკუთრებით აქტიური წევრები არიან: ნაპოლეონ ქარქაშაძე, რომან შენგელია, ლევან სანიკიძე, რევაზ მიშველაძე, თეიმურაზ მაღლაკელიძე, ვახტანგ სართანია, ნუგზარ ალექსიძე, დანიელ ჯიბლაძე, თამაზ კარანაძე, ნუგზარ სხირტლაძე, რატი სხირტლაძე, ავთანდილ ტუკვაძე, ნიკო ჯავახიშვილი, ზურაბ სეფერთელაძე, თამაზ თიგიშვილი, ავთანდილ ციბაძე, აკაკი ვარაზაშვილი, გურამ ლასხიშვილი, ნიკო ბაკაშვილი, ნუგზარ პაიჭაძე, ელგუჯა მექვაბიშვილი, ჰენრი ყარაშვილი, ზურაბ დოლაკიძე, პეტრე კურკაციშვილი, თამაზ ყურკაციშვილი, ბონდო სოფრომაძე, გურამ ჩხაიძე, დიმიტრი ბაბუხადია, მერაბ სანიკიძე, ომარ მუკბანიანი, ომარ ჯიშკარიანი, ბონდო მძინარაშვილი, ვიქტორ ასათიანი, ნორიკ ბაღდასარიანი, გოგი დემეტრაძე, ალიკა კაპანაძე, კლარა სვანიძე, თამაზ ტატიშვილი, თენგიზ ქავთარაძე, ზურაბ ცუცქირიძე და სხვები. კომისიის თავმჯდომარეა პროფესორი ვახტანგ ქარუმიძე.

***

საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტი მუშაობაში სერიოზულ ყურადღებას აქცევს არასრულწლოვანთა შორის სამართალდარღვევათა აღმოფხვრის გზების ძიებას. არასრულწლოვანთა მოქმედების ფარგლები, ზრდადასრულებულ ადამიანებთან შედარებით, ვიწროა, მათ თითქმის არა აქვთ ცხოვრების გამოცდილება, სამაგიეროდ უსაზღვროა მათ მისწრაფებათა და განცდათა სამყარო, მაინ ხასიათი ჯერ კიდევ ჩამოუყალიბებელია, ამიტომ მათ მიერ გარკვეული მიზნის განხორციელებისაკენ მიმართული აქტივობანი გაფანტული და არათანმიმდევრულია. არასრულწლოვანებს საკუთარ ქცევებსა და მის შედეგებზე ზედაპირული წარმოდგენა აქვთ.

მართლსაწინააღმდეგო მოქმედებისადმი დამოკიდებულების მიხედვით, პირობითად შეიძლება გამოიყოს არასრულწლოვანთა სამი ჯგუფი: პირველ ჯგუფს მიეკუთვნებიან მერყევი პიროვნული თვისებების მოზარდები. მათ მიუღებელ განწყობათა გვერდით დადებითი მოტივებიც აქვთ, მაგრამ მოზარდები ვერ ახერხებენ წინ აღუდგნენ და შეაკავონ საკუთარი არასასურველი მიდრეკილებანი და სოციალურად მისაღები ფორმით მოიქცნენ;

მეორე ჯგუფს პირობითად შეიძლება ეწოდოს - უკონფლიქტონი ამ ჯგუფში შემავალი მოზარდები ცდილობენ მოაწესრიგონ თავიანთი პიროვნება ასოციალური შინაარსის მქონე ნორმათა და ღირებულებათა საფუძველზე. ისინი ხშირად ამართლებენ საზოგადოებრივი ქცევის ნორმებთან გადახრილ ქცევებს. მათ არ შესწევთ უნარი დაძლიონ ის მიდრეკილებანი, რომლებიც ხშირად მართლსაწინააღმდეგო მოქმედებას ედება საფუძვლად. მოზარდი, რომელმაც ვერ აითვისა და ვერ მიიღო საზოგადოებრივ ღირებულებათა სტრუქტურა, ღირებულებათა ისეთ სისტემას ითვისებს და ქმნის, რომელიც ეწინააღმდეგება ზნეობრივი ქცევის წესებს. გამოიყოფა არასრულწლოვან დამნაშავეთა მესამე ჯგუფიც, მათი დადებითი პიროვნული თვისებები მთლიანად დეფორმირებულია. მათ ახასიათებთ მორალური სიცარიელე, მთლიანად დაზიანებული აქვთ ზნეობრივი ქცევის მექანიზმი.[1]

აღნიშნულიდან გამომდინარე არასრულწლოვანთა მიმართ აღმზრდელობითი ღონისძიებების გატარება დადებით შედეგს

1. ნ. როგავა, საიდან იწყება მოზარდთა დამნაშავეობა, იხ. გაზეთი "სიმართლე". 1962 წლის თებერვალი.

ვერ მოგვცემს, თუ მათ ყველას ერთნაირად მივუდგებით და ერთი კონტიგენტის დამნაშაველებად მივიჩნევთ. ეს თავისთავად აყენებს არასრულწლოვან დამნაშავეთა ასაკობრივ თავისებურებათა გათვალისწინებისა და თავად პიროვნების დეფორმაციის ხარისხის მიხედვით კლასიფიკაციის აუცილებლობის საკითხს.

ამიტომ საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტი ამუშავებდა რეკომენდაციებს შინაგან საქმეთა ორგანოებისათვის. ინსტიტუტი ეყრდნობა შემდეგ დებულებებს: ახალგაზრდობა ადამიანთა გარკვეული ერთობაა, საზოგადოებრივი ჯგუფია, რომელსაც თავისი ასაკობრივი თავისებურებანი გააჩნია, რაც მას შედარებით დამოუკიდებლობას ანიჭებს. ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო-ორგანიზაციის რეკომენდაციით ახალგაზრდობის ასაკი მოიცავს დაბადებიდან 44-45 წლის ასაკამდე პერიოდს.[1]

ახალგაზრდობა ეს სოციალურ-დემოგრაფიული ჯგუფია, რომლის ასაკობრივი საზღვრები განსაზღვრულია იმ დროით, რაც აუცილებელია საზოგადოებრივ ცხოვრებაში მისი ეფექტიანი ფუნქციონირების მომზადებისათვის. ახალგაზრდობისათვის დამახასიათებელია საერთო ფსიქოლოგიური ნიშნები. მათი გამოვლენა და რეალიზაცია დაკავშირებულია კონკრეტულ ისტორიულ და სოციალურ-ეკონომიკურ პირობებთან.

მეცნიერთა მონაცემებით ახალგაზრდობა ასაკის მიხედვით იყოფა ოთხ ჯგუფად: ბავშვობა, მოზარდი თაობა, სიფაბუკისა და ძალიმკილობის ხანა, ახალგაზრდობა. პირველი სამი ჯგუფის ახალგაზრდობის საერთო სახელწოდებაა - არასრულწლოვანი (მცირეწლოვანი).

ბავშვობა (მცირეწლოვანი) ესაა ადამიანის ცხოვრებაში პერიოდი, როდესაც საფუძველი ეყრება ბუნებისა და საზოგადოების შეცნობას, მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებას. 14 წლამდე ასაკის ბავშვი, ოჯახის, სკოლამდელი აღზრდის სისტემისა და დაწყებითი სკოლის დახმარებით საფუძვლიანად სწავლობას კითხვას, წერას და ანგარიშს. მასში ყალიბდება ელემენტარული შრომითი ჩვევები. სკოლამდელი აღზრდის სისტემა და დაწყებითი სკოლა მოიცავს ბავშვების აბსოლუტურ უმრავლესობას.

ილია ბრძანებდა: "ბავშვი სათავეა. დასაწყისი დიდის - ადამიანისა". "ბავშვის ბუნება საიდუმლოთა საიდუმლოა, "ბავშვი

1. საოჯახო მედიცინა, ე. ალადაშვილის რედაქციით, 1994

იგივ ადამიანია და მით უფრო ძნელი საცნობელია, რომ ძნელ წასაკითხ ქარაგმით დაწერილი. თუ ესე ითქმის და არა სხვილ და სრულ ასოებით, როგორც დამთავრებული კაცი".[1]

მოზარდი თაობა - ახალგაზრდობის მნიშვნელოვანი ჯგუფია. ეს არის ახალგაზრდა ადამიანის თვითშეგნების მძლავრი ზრდის, მსოფლმხედველობის ფორმირებისა და პროფესიული ორიენტაციის განსაზღვრის დაწყების პერიოდი. 14-16 წლის მოზარდები სწავლობენ არასრულ საშუალო სკოლაში. თხუთმეტი წლის ასაკის მოსწავლეები იღებენ არასრულ საშუალო განათლებას. ძირითადად წყდება მოზარდთა საერთო შრომითი მომზადების ამოცანა. პროფესიული ორიენტაციის ღონისძიებებთან შეხამებით იქმნება პირობები, რომლებიც უადვილებენ მათ მომავალი პროფესიის არჩევას, არასრული საშუალო-სკოლა (7-9 კლასი), სხვადასხვა სახის ზოგადი საშუალო და პროფესიული განათლების მიღების ბაზას წარმოადგენს.

მოზარდი თაობა - ესაა ახალგაზრდობის პერიოდი, როდესაც სქესობრივი მომწიფების შედეგად მიმდინარეობს ინდივიდუალურ-ფსიქოლოგიური დიფერენციაციის პროცესი. ამ ასაკში მკაფიოდ ვლინდება ვაჟებისა და ქალიშვილების ინტერესების მთავარი მიმართულებანი, ამასთან ვაჟების ინტერესები გამოხატულია უფრო საგნობრივად. მოზარდებს ახასიათებთ ემოციურობა. ზოგჯერ მას ახლავს დეპრესიული მდგომარეობა. მოზარდებში გამოკვეთილია გონებრივი უნარი; ნიჭი და ცოდნის გარკვეული დარგისადმი მისწრაფება. ბევრი უფრო ღრმად სწავლობს ფიზიკა-მათემატიკას, სხვები ქიმია-ბიოლოგიას, გარკვეული ნაწილი საზოგადოებრივ-ჰუმანიტარულ საგნებს.

მოზარდი თაობის მორალურ-ფსიქოლოგიური იერის დამახასიათებელი თვისებაა აქტიური ცხოვრებისეული პოზიციის ფორმირება და მომავალი საქმიანობის გეგმების განსაზღვრა, თუმცა ამ ასაკისათვის აღსანიშნავია, აგრეთვე ის, რომ ზოგჯერ ნაკლებად ითვალისწინებენ საზოგადოებრივი განვითარების კანონზომიერებებსა და ობიექტურ სიძნელეებს. ბევრი მოზარდი თავისი მომავლის განჭვრეტისას მხედველობაში იღებს მხოლოდ სასურველი შედეგის მიღწევას და არა მისი მოპოვების საშუალებებსა და გზებს, იმ შესაძლებლობებს, რომლებიც საბოლოო შედეგის დამკვიდრებისათვისაა აუცილებელი.

---

1. ილია ჭავჭავაძე. ამას ვამბობ და ვღაღადებ... ქუთაისი, 1997, გვ. 209.

სიჯაბუკისა და ძალიშვილობის ხანა (16-18 წლები)

ესაა პროფესიის შერჩევისა და ცხოვრებისეული გზის განსაზღვრის პერიოდი, როდესაც მთავრდება არასრულწლოვანის ასაკი, ასევე ამ ასაკში გრძელდება მსოფლმხედველობის ფორმირება, ყალიბდება პიროვნების ხასიათი, ახალგაზრდობაში მკვიდრდება გულმოდგინება სწავლაში, პატიოსნება, ნაკლოვანებებისადმი შეურიგებლობა, ახალგაზრდული, ჯანსაღი სითამამე, გულწრფელი სწრაფვა სიკეთისა და სიმართლისაკენ, ჭეშმარიტი პატრიოტიზმი და ინტერნაციონალიზმი, საშობლოსადმი უსაზღვრო სიყვარული. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ახალგაზრდობას ამ ასაკში არ გააჩნია საკმაო ცოდნა და ცხოვრებისეული გამოცდილება. ამიტომ იგი ხშირად იჩენს ზედაპირულ დამოკიდებულებას საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების აქტუალური საკითხების გადაწყვეტისადმი.

კიდევ ერთხელ მოვუსმინოთ ილია ჭავჭავაძეს: "ყმაწვილ-კაცობა უნდა მომზადდეს ბეჯითი და ზედმიწევნილ ცოდნით, უნდა რამდენადაც შესაძლოა, ძირეულად შეისწავლოს ევროპული მეცნიერება, წინ გაიმძღვაროს ევროპის გამოცდილება და ამ თოფიარაღით შეუდგეს ჩვენი ქვეყნის საქმეს". "ყმაყვილ-კაცობამ ხელი წაავლო პირველ ხანშივე მას, რაზედაც შესწყდა ჩვენი ცხოვრება, მან დააყენა ჩვენში ფეხზედ ქვეყნის სიყვარულიც, მამულის-შვილობაც, ერთსაც და მეორესაც, რაც შეეძლო გზა გაუკაფა, ფეხი აადგმევინა, ერთის სიტყვით, ჩვენ, ერომანეთზე ზურგშექცეულნი, კვლავ ერთმანეთისაკენ მოგვახედა. დიახ, ყმაწვილ-კაცობის მადლობელნი უნდა ვიყვნეთ, რომ ჩვენი საერთო საყოველთაო სურვილი გაგვიახლა, საერთო გულის-ტკივილი ნაგვისახა, ჩვენის თავის იმედი მოგვცა და ერთობ გამოგვაღვიძა, გამოგვაფხიზლა".[1]

ახალგაზრდობა ადამიანის ცხოვრების უაღრესად პასუხსაგები, ყველაზე "მხურვალე" და დინამიკური პერიოდია, პიროვნების ჩამოყალიბების დროა, როდესაც დაიძლევა ღირებულებითი ორიენტაციების, ინტერესების, სულიერი მოთხოვნილებების მერყეობა. ამ პერიოდში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საზოგადოების ყველა აღმზრდელობითი ინსტიტუტის მიზანდასახული და კომპლექსური ზემოქმედება.

---

1. ილია ჭავჭავაძე, ამას ვამბობ და ვღაღადებ... რედაქტორი შემდგენლები, გივი ლობჟანიძე და გიორგი გაბუნია, გვ. 912.

ჩვენი დღევანდელი ცხოვრება, საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პერიოდი, ახალგაზრდული რომანტიკის ახალი ხანაა, რომელიც ქმნის ცოდნის გამდიდრების, შემოქმედებითი ძიებისა და პროფესიული დახელოვნების ფართო შესაძლებლობებს. საზოგადოებრივი საქმიანობის შინაარსის სრულყოფისა და პიროვნების ყოველმხრივი განვითარების კეთილმყოფელ გარემოს. ახალგაზრდობა ადამიანის ცხოვრების ის ბედნიერი ასაკია, როცა იგი ყველაზე სრულად გრძნობს დროის სუნთქვას, აქტიურად ეხმაურება მოვლენათა მსვლელობას, ავლენს შემოქმედებითი ენერგიის დიდ ნაწილს.

თანამედროვე პირობებში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ახალგაზრდობის ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებას, სხვანაირად ჩვენ ვერ აღვზრდით მაღალიდეურ, ზნეობრივად სპეტაკ, შრომისმოყვარე და ფიზიკურად სრულყოფილ მოქალაქეებს.

ახალგაზრდა თაობის თავისებურებებს განსაზღვრავს რიგი სპეციფიკური, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი ნიშნები, რომელთაგან აღსანიშნავია: ახალგაზრდობა უფრო მეტად მოძრავია, მას შეუძლია უფრო ადვილად, ვიდრე მოზრდილებსა და მოხუცებს, შეიცვალოს თავისი ადგილსამყოფელი. ახალგაზრდობას ახასიათებს აზრისა და სიტყვის სიახლე, საქმისა და სიტყვის ერთიანობა, მისთვის უცხოა თვითდამშვიდება და თვითკმაყოფილება, თავისი ბუნებით კრიტიკული და თვითკრიტიკულია; ახალგაზრდა თაობის ნიშანთვისებაა სიახლის განსაკუთრებული გრძნობა, ყოველივე ახლის განსაკუთრებული, ზედმიწევნით ამოვისებლობა. ამავე დროს, ის არაჩვეულებრივად გულწრფელი და პირდაპირია. მისწრაფება აქვს იდეალურისაკენ და გააჩნია თავგანწირვის დიდი სურვილი. ახალგაზრდობისათვის დამახასიათებელია ოპტიმიზმი, მომავლის განჭვრეტის უნარი, მაძიებლობა; ამ წლებში ყალიბდება მისი ხასიათი, ნებისყოფა, ცხოვრებისეული პოზიცია, ზნეობრივი თვისებები, ადამიანი სწორედ ახალგაზრდობის წლებში ეზიარება სამშობლოს ჭეშმარიტი სიყვარულის გრძნობას; ამ პერიოდში შეძენილი ცოდნა პრაქტიკული გამოყენების პირველ წარმატებებს ზეიმობს და ბოლოს, ეს არის ასაკი, როდესაც მის გონებაში ჩამოყალიბებას იწყებს და მტკიცდება საზოგადოებაში მიმდინარე პროცესების შეცნობა.

ახალგაზრდობა სოციალურად აქტიური ძალაა. იგი კრიტიკული და თვითკრიტიკულია. მწვავედ განიცდის თავის ნაკლოვანებებს და ცდილობს დაუყოვნებლივ აღმოფხვრას, ეს მისი შესანიშნავი თვისებაა. ახალგაზრდობაში არა მარტო მკლავი და თვალი უჭრის ადამიანს, ტვინიც დიდი ინტენსივობით მუშაობს და პირდაპირ ნთქავს უზარმაზარ ინფორმაციას. ამასთან ერთად ახალგაზრდა თაობა, როგორც სოციალურ-დემოგრაფიული კატეგორია თავის თავში ითვისებს როგორც სოციალურად ძლიერ, ისე სუსტ თვისებებსაც.

ახალგაზრდობა გამბედავი, თავგანწირული, მომაჯლისაკენ მსწრაფი, აქტიური შემოქმედი, რომანტიკული სულისკვეთების ერთობაა, მაგრამ ახალგაზრდობის გარკვეული ნაწილისათვის, დამახასიათებელია ცხოვრებისეული გამოუცდელობა, პოლიტიკური გულუბრყვილობა, სხვისი მოიმედობა; ეს თვისებები მოითხოვს მეცნიერულ შესწავლას და მუშაობაში გათვალისწინებას.

საქართველოს კანონმდებლობაში განსაზღვრულია არასრულწლოვანის ასაკი, ქმედუნარიანობისა და შეზღუდული ქმედუნარიანობის ცნებები.

ქმედუნარიანობა. ფიზიკური პირის უნარი, თავისი ნებითა და მოქმედებით სრული მოცულობით შეიძინოს და განახორციელოს სამოქალაქო უფლებები და მოვალეობები (ქმედუნარიანობა), წარმოიშობა სრულწლოვანების მიღწევისთანავე.

სრულწლოვანის ასაკი. სრულწლოვანია პირი, რომელმაც მიაღწია თვრამეტი წლის ასაკს.

არასრულწლოვანის ასაკი. არასრულწლოვანია პირი, რომელსაც თვრამეტი წელი არ შესრულებია.

ქმედუნარიანია პირი, რომელიც იქორწინებს თვრამეტი წლის ასაკის მიღწევამდე.

შვიდ წლამდე ასაკის არასრულწლოვანი (მცირეწლოვანი) არის ქმედუუნარო.

მცირეწლოვანია პირი, რომელსაც თოთხმეტი წელი არ შესრულებია.

არასრულწლოვანი შვიდიდან თვრამეტ წლამდე შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონეა.

***

საერთაშორისო აქტები და კონვენციები არასრულწლოვანთა შესახებ სათანადო ასახვას ჰპოვებს საქართველოს ეროვნულ კანონმდებლობაში. ამ მიმართულებით მნიშვნელოვანი ადგილი უკავია საქართველოს კანონს "განათლების შესახებ", რომელიც პარლამენტმა დაამტკიცა 1997 წლის 27 ივნისს. ამ კანონით სახელმწიფო აცხადებს განათლების სფეროს პრიორიტეტულობას და ამის საფუძველზე წარმართავს სახელმწიფო საგანმანათლებლო პოლიტიკას. საგანმანათლებლო საქმიანობას სახელმწიფო ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობისა და საერთაშორისო ნორმების შესაბამისად.

საქართველოს კანონი განათლების შესახებ განსაზღვრავს სახელმწიფო საგანმანათლებლო პოლიტიკის ძირითად პრინციპებსა და არასრულწლოვანთა უფლებების სახელმწიფო გარანტიებს განათლების სფეროში. განათლების პოლიტიკის ძირითადი პრინციპებია:

1. ქვეყანაში საგანმანათლებლო სივრცის ერთიანობა;
2. სწავლებისა და აღზრდის ჰუმანისტური ხასიათი;
3. სწავლებისა და აღზრდის ერთიანობა;
4. სულიერი და ფიზიკური აღზრდის ჰარმონიულობა;
5. ზოგადსაკაცობრიო, ეროვნულ-კულტურულ ღირებულებათა და ტრადიციათა აღიარება და პატივისცემა;
6. განათლების მეცნიერული ხასიათი;
7. განათლების ეტაპობრივობა, უწყვეტობა და მემკვიდრეობითობა;
8. საგანმანათლებლო დაწესებულებათა მრავალსახეობა და მათი ავტონომიურობა მოქმედი კანონმდებლობის ფარგლებში;
9. განათლების სისტემის დემოკრატიულობა;
10. საგანმანათლებლო და სააღმზრდელო დაწესებულებათა დამოკიდებულება პოლიტიკურ და რელიგიურ გაერთიანებებთან.

საქართველოში განათლების მიღება გულისხმობს გარკვეული საგანმანათლებლო ცენზის მიღწევას, დამტკიცებასა და შესაბამისი სახელმწიფო სერტიფიკატით დადასტურებას. სახელმწიფო საგანმანათლებლო ცენზი ადასტურებს მოცემული საფეხურისა და სახის საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული განათლების დონის მიღწევას.

საქართველოში დადგენილია სახელმწიფო საგანმანათლებლო ცენზები: ა) დაწყებითი ზოგადი განათლების; ბ) საბაზო ზოგადი განათლების; გ) საშუალო ზოგადი განათლების; დ) სახელობო მომზადების; ე) დაწყებითი პროფესიული განათლების; ვ) საშუალო პროფესიული განათლების; ზ) უმაღლესი განათლების.

სახელმწიფო თავის ხარჯზე უზრუნველყოფს იმ პირთა სახელობო მომზადებას, რომელთაც მიღებული აქვთ მხოლოდ დაწყებითი ზოგადი განათლება და არ მიუღწევიათ 18 წლის ასაკისათვის.

საქართველოში ხორციელდება სკოლამდელი აღზრდისა და ზოგადი და პროფესიული განათლების პროგრამები. ზოგადი განათლების პროგრამა მოიცავს დაწყებით, საბაზო და საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამას. პროფესიული განათლების პროგრამა მოიცავს სახელობო მომზადების, საშუალო, უმაღლეს და უმაღლესის შემდგომ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს. განათლების მიღება შეიძლება საგანმანათლებლო დაწესებულებაში დასწრებული სწავლებისა და ექსტერნატის (საოჯახო განათლების დისტანციური, დაუსწრებელი და სხვა) ფორმით. საქართველოს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სახელმწიფომ შეიძლება დააფინანსოს მხოლოდ დასწრებული სწავლების ფორმით.

სკოლამდელი აღზრდის მიზანია მოამზადოს ბავშვი სკოლისათვის, საფუძველი ჩაუყაროს მისი აზროვნების, ემოციური სამყაროს და ნებისყოფის ფორმირებას, მის ფიზიკურ, გონებრივ, ზნეობრივ და ესთეტიკურ აღზრდას, სხვისი აზრისა და საკუთრების პატივისცემას, ხელი შეუწყოს მოზარდის ჯანმრთელობის განმტკიცებას, სკოლამდელი აღზრდა ხდება ოჯახში ან სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში.

ზოგადი განათლება - ეს არის უწყვეტი საგანმანათლებლო სისტემის ძირითადი რგოლი, ზოგადი განათლების პროგრამის მიზანია მოსწავლეთა მიერ ზოგადი მეცნიერული ცოდნის საფუძვლების შეთვისება, ცოდნის გამოყენების უნარ-ჩვევების ჩამოყალიბება, ზნეობრივ ღირებულებათა შემეცნება, პიროვნული შემოქმედებითი მიდრეკილებებისა და აზროვნების განვითარება. შრომის უნარის გამომუშავება, ნებისყოფის განმტკიცება, სულიერი და ფიზიკური ძალების ჰარმონიული განვითარება, სამოქალაქო-დემოკრატიული და ეროვნულ-კულტურული შეგნების ჩამოყალიბება.

დაწყებითი , საბაზო და საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები ხორციელდება შესაბამისად, ზოგადი განათლების - დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურებზე, სახელმწიფო სტანდარტით დადგენილი სახის სასწავლო დაწესებულებებში (დაწყებითი, საბაზო, საშუალო სკოლები, ლიცეუმები, გიმნაზია).

დაწყებითი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა ექვსწლიანია. საგანმანათლებლო დაწესებულებაში, რომელიც ახორციელებს ამ პროგრამას, პირველ კლასში მიიღებიან ბავშვები, რომელთაც უკვე შეუსრულდათ ან მიმდინარე წელს უსრულდებათ 6 წელი. საგანმანათლებლო დაწესებულებებში ზოგადი განათლების დაწყებით საფეხურზე მოსწავლემ შეიძლება ისწავლოს 14 წლის ასაკამდე. საბაზო ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა სამწლიანია, ზოგადი განათლების საბაზო საფეხურზე პროგრამა დასრულდება მე-9 კლასში . საგანმანათლებლო დაწესებულებაში ამ საფეხურზე მოსწავლემ შეიძლება ისწავლოს 18 წლის ასაკამდე. საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა სამწლიანია.

პროფესიული განათლება: სახელობო მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია შრომის უნარ-ჩვევების გამომუშავება და განსაზღვრული სამუშაოს შესასრულებლად საჭირო ხელობის დაუფლება. სახელობო მომზადება შეიძლება მხოლოდ დაწყებითი ზოგადი განათლების მიღების შემთხვევაში. პირს, რომელსაც მიღებული არა აქვს საბაზო განათლება, 18 წლის ასაკამდე აქვს სახელმწიფოს ხარჯზე ერთხელ მიიღოს სახელობო მომზადება. საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია საშუალო რგოლის სპეციალისტების მომზადება. საშუალო პროფესიული განათლების მიღება შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ პირს მიღებული აქვს საბაზო განათლება, საშუალო პროფესიული განათლების მიღება შეიძლება ზოგადი განათლების მიღებასთან ერთად ან უამისოდ. საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტი მოიცავს საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტს.

რა იგულისხმება სახელმწიფო საგანმანათლებლო სტანდარტში? სახელმწიფო საგანმანათლებლო სტანდარტი ადგენს სასწავლო დისციპლინათა ნუსხას, განსაზღვრავს სასწავლო საგნების ციკლთა შორის თანაფარდობას. სასწავლო დატვირთვის დასაშვებ მაქსიმუმს, სასწავლო პროგრამის შინაარსის სავალდებულო მინიმუმს, კურსდამთავრებულთა მომზადების აუცილებელი დონის კრიტერიუმების საფეხურების მიხედვით და

მოსწავლეთა მიდრეკილების გათვალისწინებით, სწავლების დიფერენციების ზღვრულ ნორმებს, აგრეთვე სასწავლო-მატერიალური ბაზისა და ტექნიკური აღჭურვილობის ნორმატიულ მოთხოვნებს. სტანდარტების შესრულება სავალდებულოა ლიცენზიის მქონე ყველა საგანმანათლებლო დაწესებულებისათვის.

უმაღლესი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია შესაბამისი პროფესიის უმაღლესი კვალიფიკაციის სპეციალისტების, სამეცნიერო და პედაგოგიური კადრების მომზადება და გადამზადება, უმაღლესი განათლების მიღება შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ პირს მიღებული აქვს საშუალო ზოგადი განათლება.

არასრულწლოვანს უფლება აქვს სწავლის პერიოდში ეწეოდეს თავისი ასაკისა და ჯანმრთელობის მდგომარეობის შესაბამის შრომით საქმიანობას, აკრძალულია სასწავლო დროის ხარჯზე მოსწავლეთა (სტუდენტთა) ჩაბმა ისეთ მუშაობაში, რომელიც არ არის დაკავშირებული სასწავლო პროცესთან.

განათლების შესახებ საქართველოს კანონის (მუხლი 40, პუნქტი 5) თანახმად, მშობელთა (კანონიერ წარმომადგენელთა) მზრუნველობას მოკლებული ბავშვების შენახვა და სწავლება სახელმწიფო ზოგადსაგანმანათლებლო, სახელობო მომზადების, დაწყებით და საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში სახელმწიფოს ხარჯზე ხორციელდება 18 წლამდე, წარმატებით სწავლის შემთხვევაში კი საგანმანათლებლო პროგრამის დასრულებამდე.

კანონი განათლების შესახებ (მუხლი 41) ითვალისწინებს იმ ბავშვთა და მოზარდთა სოციალურ დაცვას, რომლებსაც აღზრდისა და განათლების განსაკუთრებული პირობები სჭირდებათ. მაგალითად, იმ მოსწავლეებისათვის, რომელთაც ახასიათებთ საზოგადოებისათვის მიუღებელი ნორმიდან გადახრილი ქცევა, იქმნება სპეციალური დაწესებულებები, სადაც სპეციალური პედაგოგიური მეთოდების გამოყენებით ხორციელდება მოსწავლეთა აღზრდა და სწავლება, სახელობო და დაწყებითი პროფესიული მომზადება, შექმნილია თვითგანვითარების პირობები, ასეთ სასწავლო-სააღმზრდელო დაწესებულებებში მოსწავლეები იგზავნებიან მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილებით 11 წლის ასაკიდან.

საგანმანათლებლო დაწესებულება აღსაზრდელებსა და მოსწავლეებს (სტუდენტებს) უქმნის ჯანმრთელობის დაცვისა და ფიზიკური სრულყოფის პირობებს. საგანმანათლებლო დაწესებულებაში სასწავლო-შრომითი დატვირთვა, შინაგანი წესი, კვების პირობები და სანიტარული ნორმები უნდა შეესაბამებოდეს სახელმწიფო სტანდარტებსა და ნორმებს.

კანონის 44-ე მუხლის მიხედვით, მშობლებს (კანონიერ წარმომადგენლებს) უფლება აქვთ:

ა) მოითხოვონ უფლებების დაცვა;

ბ) თავიანთ არასრულწლოვან შვილს, ბავშვს შეურჩიონ სწავლების ფორმა, აგრეთვე საგანმანათლებლო დაწესებულება;

გ) მოსთხოვონ საგანმანათლებლო დაწესებულების ადმინისტრაციას წესდების დაცვა და ამ წესდების შესაბამისად მონაწილეობა მიიღონ საგანმანათლებლო დაწესებულების მართვაში;

ამასთანავე, მშობლები (კანონიერი წარმომადგენლები) ვალდებულნი არიან:

ა) იზრუნონ ბავშვის ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობისათვის;

ბ) ჩაუნერგონ ბავშვს კანონის, ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა პატივისცემა;

გ) ბავშვს შეუქმნან სწავლებისათვის აუცილებელი პირობები. საოჯახო განათლების შემთხვევაში შეასრულონ დადგენილი მოთხოვნები.

დ) შეასრულონ საგანმანათლებლო დაწესებულებების წესდებითა და მასთან დადებული ხელშეკრულებით განსაზღვრული მოთხოვნები;

საქართველოს განათლების სისტემა აერთიანებს; 1. სახელმწიფო საგანმანათლებლო სტანდარტებს და მათზე დაფუძნებულ ზოგადი და პროფესიული განათლების პროგრამებს; 2. სახელმწიფო სტანდარტით დადგენილი სახისა და საფეხურის საგანმანათლებლო, სამეცნიერო-კვლევით და საალმზრდელო დაწესებულებებს; 3. განათლების სისტემის მართვის ორგანოებს.

ამჟამად განათლების სისტემის ყველა რგოლის უმთავრესი ამოცანაა არასრულწლოვანთა განათლების უზრუნველყოფა, საგანმანათლებლო დაწესებულებებში არასრულწლოვანებთან მუშაობაში არსებული ნაკლოვანებების აღმოფხვრა და მათი ჩაბმა განათლების მიღების ერთ-ერთ მისაღებ ფორმაში.

ორი პროგრამა

1996 წელს ეროვნული უშიშროების საბჭომ მოიწონა და საქართველოს პრეზიდენტმა დაამტკიცა ორი სახელმწიფო პროგრამა, რომლებშიც განსაზღვრულია მუშაობის ძირითადი მიმართულებები არასრულწლოვანთა სოციალური დაცვის, პროფესიული მომზადებისა და სამართალდარღვევათა პროფილაქტიკის, ნარკომანიასა და ნარკობიზნესთან ბრძოლის დარგში.

პირველი არის: საქართველოში ნარკომანიის გავრცელებისა და ნარკოტიების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის ეროვნული სახელმწიფო პროგრამა. იგი ითვალისწინებს ამ სფეროში ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის გატარებას, სხვადასხვა სახელმწიფო ორგანოს, უწყების, სამინისტროსა და არასამთავრობო სტრუქტურების ხანგრძლივ პერსპექტივაში ერთიან, შეთანხმებულ კოორდინირებულ მოქმედებას. ამ მიმართულებით გაწეული მუშაობის მთავარი მიზანი პირველ ეტაპზე ნარკოტიკების უკანონო მოხმარებისა და ბრუნვის ტემპის ზრდის შესერებაა, შემდეგი - მისი ეტაპობრივი შემცირება უნდა გახდეს. საბოლოო ამოცანა კი უნდა იყოს ბრძოლა ამ სენის სალიკვიდაციოდ. ნარკომანიის, ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლა მინნეულია ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის განუყოფელ, ერთ-ერთ უმთავრეს საკვანძო პრობლემად. პროგრამის მიხედვით, საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ორგანოების მიერ ქვეყანაში სამართლებრივი, ეკონომიკური და სოციალური პოლიტიკის ძირითადი სტრატეგიის განსაზღვრისას და განხორციელებისას უმნიშვნელოვანესი ადგილი დაეთმობა ნარკომანიის გავრცელებისა და ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებს.[1]

ეროვნული პროგრამა ითვალისწინებს ორგანიზაციულ-მეთოდოლოგიურ უზრუნველყოფას, სათანადო სამართლებრივი ბაზის შექმნას, საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობას, ნარკომანიის გავრცელების პროფილაქტიკას, ნარკომანიით დაავადებულ პირთა მკურნალობას და სოციალურ რეაბილიტაციას, მუშაობის იდეოლოგიურ უზრუნველყოფას, არასახელმწიფოებრივ ორგანიზაციებთან თანამშრომლობას, პრობლემის მეცნიერულ კვლევას და რეკომენდაციების შემუშავებას. პრეზიდენტმა დავალება მისცა ფინანსთა მინისტრს მომდევნო

1. გაზეთი "საქართველოს რესპუბლიკა". 1996 წლის 23 ივლისი.

ხუთი წლის ბიუჯეტის შედგენისას გაითვალისწინოს ამ პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა.

საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით ეროვნული უშიშროების საბჭოსთან შეიქმნა ნარკომანიის გავრცელებისა და ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის სახელმწიფო კომისია, რომლის თავმჯდომარეებად დამტკიცებული არიან მინისტრები კახა თარგამაძე და ავთანდილ ჯორბენაძე. კომისიაში გაერთიანებული არიან სხვა მინისტრები, სხვადასხვა დაინტერესებული უწყებების, ინტელიგენციის წარმომადგენლები. ეროვნული უშიშროების საბჭო მოისმენს ანგარიშებს ამ პროგრამის შესრულების მიმდინარეობის შესახებ. ამავე ბრძანებულებით მხარეებში პრეზიდენტის რწმუნებულებს დაევალათ თვითონ ჩაუდგნენ სათავეში ანალოგიურ სამთავრობო კომისიებს და უზრუნველყონ პროგრამით გათვალისწინებულ ღონისძიებათა შესრულება. ედუარდ შევარდნაძის სამართლიანი აზრით: ნარკომანიასა და ნარკობიზნესთან ბრძოლაში წარმატების მიღწევის აუცილებელი პირობა კი საქართველოს მთელი მოსახლეობის აქტიური მხარდაჭერაა.

მეორე ესაა არასრულწლოვანთა სოციალური დაცვის, პროფესიული მომზადების და სამართალდარღვევათა პროფილაქტიკის სახელმწიფო პროგრამა, რომელიც ასევე განიხილა ეროვნული უშიშროების საბჭომ და მთავრობის სხდომამ. არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილ კანონსაწინააღმდეგო ქმედებათა რაოდენობა 1995 წელთან შედარებით 20 პროცენტით გაიზარდა.[1] მათ ჩადენილი აქვთ თითქმის ყველა სახის დანაშაული. ამ საგანგაშო ტენდენციებმა წარმოშვა სპეციალური სახელმწიფო პროგრამის შემუშავებისა და მიღების აუცილებლობა.

ოთხმოციანი წლების ბოლოს საქართველოში შექმნილმა რთულმა საზოგადოებრივ-პოლიტიკურმა სიტუაციამ ობიექტურად განაპირობა არასრულწლოვანთა შორის პროფილაქტიკური მუშაობის მოშლა. გაუქმდა არასრულწლოვანთა კომისიები, სპეც. პროფტექნიკური სასწავლებლები, ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე შეწყდა ზემო ავჭალის შრომა-აღმზრდელობითი კოლონიის ფუნქციონირება. მათ დაკარგეს მიზანდასახულობა, გაუარესდა სამუშაო პირობები, გახშირდა კადრების დენადობა.

---

1. გაზეთი "საქართველოს რესპუბლიკა", 1996 წლის 25 ივლისი.

უშიშროების საბჭოს სხდომაზე არასრულწლოვანთა შორის სამართალდარღვევათა პროფილაქტიკის სახელმწიფო პროგრამის მიღებასთან დაკავშირებით შინაგან საქმეთა მინისტრმა კახა თარგამაძემ თქვა:

"შინაგან საქმეთა სამინისტროს მიაჩნია, რომ არასრულწლოვანთა შორის სამართალდარღვევათა და უზედამხედველობის პროფილაქტიკის სახელმწიფო პროგრამის მიღება ხელს შეუწყობს კომპლექსური მიდგომის უზრუნველყოფას ამ მნიშვნელოვანი პრობლემებისადმი.

ჩვენს მიერ უკვე გადაიდგა პრაქტიკული ნაბიჯები პროგრამაში გათვალისწინებული რიგი საკითხების გადასაწყვეტად. სისხლის სამართლის სამმეგბროს მთავარ სამმართველოში შეიქმნა სპეციალური სამმართველო ამ ხაზით მუშაობის ეფექტური ორგანიზაციის უზრუნველყოფის მიზნით.

განსაკუთრებულ ყურადღებას ვუთმობთ არასრულწლოვანთა საქმეების ინსპექციათა სამსახურის აღდგენას, მათი საქმიანობის ახლებურად წარმართვას და განათლების სამინისტროს დახმარებით კვალიფიციური კადრებით დაკომპლექტებას.

დაიწყო არასრულწლოვანთა საქმეების ინსპექციების თანამშრომელთა ატესტაცია. გათვალისწინებულია სპეციალური პედაგოგიზაციის კურსების ჩატარება. გამოსაცემად მზად არის და უკვე იბეჭდება გამოჩენილი მეცნიერებისა და პრაქტიკოსების სტატიების კრებული და სხვა.

აღსანიშნავია, რომ ზემოთ აღნიშნულ ღონისძიებებში, ისევე როგორც საერთოდ მოზარდთა შორის პროფილაქტიკური მუშაობის ორგანიზაციაში აქტიურად მონაწილეობს ჩვენს სამინისტროსთან არსებული სასოგადოებრივი აზრის ინსტიტუტი, რომლის ფეგრთა კომპეტენტური ფინადადებების პრაქტიკული რეალიზაცია ხელს უწყობს პოლიციის ორგანოების საქმიანობის ეფექტურ სრულყოფას ამ მიმართულებით.

მიგვაჩნია, რომ აუცილებლად უნდა აღდგეს არასრულწლოვანთა საქმეების რესპუბლიკური და ადგილობრივი კომისიები, მათი ფუნქციების ახლებური გააზრებით.

სახელმწიფო პროგრამის პროექტი სხვა საკითხებთან ერთად ითვალისწინებს სპეციალური სააღმზრდელო დაწესებულებების შექმნას, რაც საშუალებას მოგვცემს დროულად მოვახდინოთ სამართალდამრღვევი მოზარდების იზოლირება და მათთან სათანადო მუშაობის ჩატარება.

ჩვენ დამუშავებული გვაქვს ბავშვთა კოლონიის ახალი მოდელი, რომლის პრაქტიკული ხორცშესხმა ფინანსურ პრობლემებთან არის დაკავშირებული. ამიტომ ამჟამად დღის წესრიგშია არსებული შრომა-აღმზრდელობითი კოლონიის შენობების შეკეთების დამთავრება და მისი ამოქმედება.

გათვალისწინებული გვაქვს არასრულწლოვანთა მიმღებ-გამანაწილებლის საქმიანობის გაუმჯობესება, მისი ფუნქციების გაზრდა. ის გარდაიქმნება არასრულწლოვანთა დროებით სარეაბილიტაციო ცენტრად, რაც აამაღლებს მისი საქმიანობის ეფექტიანობას მოზარდთა შორის მათხოვრობის, მაწანწალობის, პროსტიტუციისა და სხვა ნეგატიური მოვლენების პროფილაქტიკაში.

სათანადო ყურადღება დაეთმობა არასრულწლოვანთა სამართლებრივი აღზრდის საკითხებს. ჩვენ დაგეგმილი გვაქვს კვირეულებისა და სხვა ღონისძიებების ჩატარება, პოლიციის ორგანოებში აღრიცხვაზე მყოფი მოზარდების სამართლებრივი განათლების უზრუნველსაყოფად.

განსაკუთრებით მოუთმენლად მიგვაჩნია ის ფაქტი, რომ შინაგან საქმეთა ორგანოების სასწავლო დაწესებულებების, სხვა ორგანოების თვალთა ხედვის გარეშე რჩება არასრულწლოვანთა დანაშაულებრივი ჯგუფების შექმნისა და ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე მოქმედების შემთხვევები. ასეთ ფაქტებს არ უპირისპირდება მიზანდასახული ოპერატიული და პროფილაქტიკური ღონისძიებები. ვერ ხერხდებოდა ჯგუფების დროული გამოვლენა. დაშლა და აქტიური წევრების იზოლირება. სხვადასხვა დაჯგუფებებს შორის არსებული კონფლიქტური სიტუაციების განეიტრალება, რასაც ხშირ შემთხვევაში მოჰყვა არასასურველი შედეგი.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ, საქართველოს პროკურატურასთან ერთად შეისწავლა აღნიშნული საკითხი. შემუშავებულია ღონისძიებათა კომპლექსი, რომელიც ითვალისწინებს თანამშრომელთა მიმაგრებას ინსტიტუტებსა და სხვა სასწავლებლებზე., საქმიანი კონტაქტების დამყარებას რექტორატებთან, პედაგოგიურ კოლექტივებთან ინფორმაციის დროული გაცვლისა და ერთიანი პოზიციის ჩამოყალიბების მიზნით და სხვა. ცხადია, რომ ძირითადი ყურადღება ეთმობა პოზიციის ოპერატიული პოტენციალის ამაღლებას, დანაშაულებრივი ჯგუფების ლიდერების, ორგანიზატორების, სრულწლოვანი წამქეზებელი პირების გამოვლენას და დანაშაულში მხილებას.

ჩვენი პოზიცია ამ საკითხში გამოკვეთილია. იგი გულისხმობს შესაბამისი სამსახურების მაქსიმალურად ამოქმედებას, რეგულარული კონტროლის დაწესებას. მათ მუშაობაზე და დაინტერესებულ სახელმწიფო ორგანოებთან საქმიანი ურთიერთმოქმედების განხორციელებას, რითაც შესაძლებელი გახდება არასრულწლოვანთა და ახალგაზრდობას შორის დანაშაულობათა დროული აღკვეთა და აცილება“.

სახელმწიფო პროგრამის მიხედვით ძირითადი პროგრამული ღონისძიებებია: არასრულწლოვანთა, განსაკუთრებით უმეთვალყურეოდ დარჩენილი მოზარდების, პრობლემატიკის მეცნიერული კვლევა, მათი პროფესიული მომზადების და სოციალური ადაპტაციის სისტემის შემუშავება.

პროგრამის მიზნები და ამოცანებია: არასრულწლოვანთა უფლებებისა და ინტერესების დაცვა, არასრულწლოვანთა, განსაკუთრებით უმეთვალყურეოდ დარჩენილ მოზარდთა სოციალურ-ეკონომიკური პირობების უზრუნველყოფა. მოზარდთა თავისუფალი დროის ორგანიზაცია, სამართალდარღვევების პროფილაქტიკა, ძნელად აღსაზრდელ და უმეთვალყურეოდ დარჩენილ მოზარდთა შესახებ ინფორმაციის მოპოვება და მათთან მუშაობა. მოზარდი თაობის აღზრდის საქმეში მშობლებთან ურთიერთობა, თანამშრომლობის ფორმების შემუშავება და გაღრმავება, არასრულწლოვანებთან და უმეთვალყურეოდ დარჩენილ მოზარდებთან მუშაობის სრულყოფისათვის მეცნიერულად დასაბუთებული მეთოდური რეკომენდაციების შემუშავება, სპორტულ და შემეცნებით შემოქმედებით ცხოვრებაში არასრულწლოვანთა ინტენსიურად მონაწილეობისათვის შესაბამისი პირობების შექმნა, არასრულწლოვანთა დამნაშავეობის პროფილაქტიკის მიზნით მუშაობის ორგანიზაცია.

პროგრამის ძირითადი მიმართულებებია:

1. არასრულწლოვანთა შორის სამართალდარღვევათა და უზედამხედველობის პროფილაქტიკურ-გამაფრთხილებელი ღონისძიებათა განხორციელება.

2. არასრულწლოვანთა, უმეთვალყურეოდ დარჩენილ მოზარდთა პროლფესიული სწავლებისა და სოციალური ადაპტაციის პრობლემათა მოგვარება;

3. მოზარდების მხატვრულ შემოქმედებასა და სპორტში ჩაბმა.

საქართველოს პრეზიდენტის სპეციალური ბრძანებულებით შეიქმნა არასრულწლოვანთა საქმეებისა და მათი სოციალური დაცვის სამთავრობო კომისია, რომელსაც ხელმძღვანელობდა განათლების მინისტრი თამაზ კვაჭანტირაძე, ასეთივე კომისიები შეიქმნა მხარეებში, კომისიის თავმჯდომარისა და პრეზიდენტის რწმუნებულების ანგარიშებს პერიოდულად ისმენდა ეროვნული უშიშროების საბჭო. ასეთივე კომისიები პირველ პირთა ხელმძღვანელობით შეიქმნა ქალაქებში, რაიონებში, მსხვილ- დასახლებულ პუნქტებში.

ამ ორი პროგრამის შემუშავებაში თავისი მოკრძალებული , მაგრამ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა შინაგან საქმეთა სამინისტროს საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტმა, რომელიც აქტიურად მონაწილეობდა მათ განხორციელებაში.

პროგრამის მიღებასთან დაკავშირებით ედუარდ შევარდნაძემ თქვა: "დემოკრატიული, სუვერენული საქართველოს აშენების პროცესში ამ ორი პროგრამის განხორციელებას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, რადგან მასზე ბევრადაა დამოკიდებული საქართველოს დღევანდელობაც და ხვალინდელობაც".

ამრიგად, საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტმა დაარსების პირველი დღეებიდანვე საქართველოს მოწინავე ადამიანთა საუკეთესო ნაწილი ჩაება მართლწესრიგის განმტკიცებისა და დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების საქმეში. დღეს იგი წარმოადგენს მოსახლეობასთან ურთიერთობის და საზოგადოებრივი აზრის შესწავლის სრულიად ახალ ეფექტიან და სრულყოფილ ფორმას.

თუ რა მუშაობას ეწეოდა კომისია არასრულწლოვანთა სოციალური დაცვის, პროფესიული მომზადებისა და სამართალდარღვევათა პროფილაქტიკის სახელმწიფო პროგრამის განხორციელებისათვის, ნათელყოფენ საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტის არასრულწლოვანთა და ახალგაზრდობას შორის მუშაობის კომისიის მიერ 1998-2000 წლებში ჩატარებული ღონისძიებები. ზოგიერთი მათგანის შესახებ (ანალიზი, ინფორმაცია, მიმართულება) მკითხველს ვთავაზობთ სათანადო მასალებს.

არასრულწლოვანი - საზოგადოებრიობის ყურადღების ცენტრში

1997 წლის 5 ნოემბერი. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სხდომათა დარბაზი. აქ გაიმართა საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტის გაფართოებული სხდომა, რომელიც მოამზადა ინსტიტუტის არასრულწლოვანთა და სტუდენტ-ახალგაზრდობას შორის მუშაობის კომისიამ. სხდომა შესავალი სიტყვით გახსნა ინსტიტუტის რექტორმა პროფესორმა მამია დარჩიამ. დამტკიცდა დღის წესრიგი: "არასრულწლოვანთა სოციალური დაცვის, პროფესიული მომზადების და სამართალდარღვევათა პროფილაქტიკის სახელმწიფო პროგრამის შესრულების მდგომარეობა და გადაუდებელი ამოცანები". მოხსენებები წარმოადგინეს გელა ქავთარაძემ (საქართველოს შსს არასრულწლოვანთა და სტუდენტ-ახალგაზრდობას შორის დამნაშავეობის წინაღმდეგ მებრძოლი სამმართველოს უფროსი, პოლიციის პოლკოვნიკი) და ვახტანგ ქარუმიძემ (საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტის არასრულწლოვანთა და სტუდენტ-ახალგაზრდობას შორის მუშაობის კომისიის თავმჯდომარე).

სხდომაზე გამოვიდნენ: მზექალა ქარსელაძე, დავით გეგეშიძე, პაატა ამონაშვილი, ბადრი ჩლაიძე, ზურაბ ფორაქიშვილი, ვახტანგ სართანია, გიგი წერეთელი, თემურ მურღულია.

სხდომას დაესწრნენ სახელმწიფო ორგანოების, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და ინტელიგენციის წარმომადგენლები. გაიმართა ფართო მსჯელობა და გულახდილი საუბარი არასრულწლოვანთა პრობლემებზე, იმაზე, თუ როგორ სრულდება არასრულწლოვანთა სოციალური დაცვის, პროფესიული მომზადებისა და სამართალდარღვევათა პროფილაქტიკის სახელმწიფო პროგრამა.

გელა ქავთარაძე. 1996 წელს საქართველოში მიღებული იქნა ორი საპროგრამო დოკუმენტი: არასრულწლოვანთა სოციალური დაცვის, პროფესიული მომზადებისა და სამართალდარღვევათა პროფილაქტიკის სახელმწიფო პროგრამა და ნარკომანიისა და ნარკობიზნესის წინააღმდეგ ბრძოლის ეროვნული პროგრამა.

პროგრამით განისაზღვრა მთავარი ამოცანები, რომლებიც დაკონკრეტდა და მიიღო შს სამინისტროს ბრძანებისა და სამუშაო გეგმების სახე. შესრულებაზე დაწესდა ყოველდღიური კონტროლი. სახელმწიფო პროგრამის მოთხოვნების ეფექტიანი

შესრულების მიზნით გამოიკვეთა რამდენიმე ძირითადი მიმართულება. განხორციელდა კონკრეტული საორგანიზაციო-პრაქტიკული ღონისძიებები, რომლებშიც საწყისი ეტაპიდანვე აქტიურად მონაწილეობდა სამინისტროს საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტი.

პირველ მიმართულებას წარმოადგენდა შს ორგანოებში არასრულწლოვანთა საქმეების ინსპექციების სამსახურის აღდგენა, განმტკიცება და ავტორიტეტის ამაღლება. ამ მიზნით პროგრამის მიღებისთანავე ჩატარდა არასრულწლოვანთა საქმეების ინსპექციების თანამშრომელთა შეკრება, სადაც სამინისტროს ხელმძღვანელობამ კონკრეტული ამოცანები დასახა. ქვეყნის ყველა რეგიონში ჩატარდა აღნიშნული სამსახურის თანამშრომელთა რიგგარეშე ატესტაცია.

მეორე მიმართულება - შესაბამისი სტრუქტურების ამოქმედება და მუშაობის ეფექტიანი ორგანიზაცია. შს სამინისტროში შეიქმნა არასრულწლოვანთა და სტუდენტ-ახალგაზრდობას შორის დამნაშავეობის წინააღმდეგ მებრძოლი სამმართველო, დამტკიცდა მისი დებულება და ფუნქციონალური მოვალეობები; სამინისტრომ მნიშვნელოვანი ღონისძიებები გაატარა ზემო ავჭალის შრომა-აღმზრდელობითი კოლონიის შესაკეთებლად. აღდგენილია საცხოვრებელი და სასწავლო კორპუსები, სპორტული მოედნები, აშენდა ეკლესია. მოგვარებულია სასწავლო პროცესის საკითხი და სხვა. აღნიშნულ დაწესებულებაში სასჯელს იხდის 70 არასრულწლოვანი. კონკრეტული ზომები იქნა მიღებული თბილისის არასრულწლოვანთა მიმღებ-გამანაწილებლის საქმიანობის ძირეული სრულყოფის მიზნით. 1996 წელს დაწესებულებაში მოთავსებული იქნა 600-ზე მეტი უზედამხედველო და სამართალდამრღვევი. შეიქმნა არასრულწლოვანთა საქმეების სამთავრობო, სამხარეო და ადგილობრივი კომისიები. სამთავრობო კომისიასთან ჩამოყალიბდა მუშა ორგანო-საკოორდინაციო ცენტრი. შესაძლებელი გახდა სამტრედიის სპეცსკოლის შენარჩუნება, სადაც იმყოფება 31 აღსაზრდელი. დღის წესრიგში იდგა კაჭრეთში არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო ცენტრის, ხოლო დასაელეთ საქართველოში მეორე მიმღებ-გამანაწილებლის ამოქმედების საკითხი.

მესამე მიმართულება - ნორმატიული აქტებისა და მეთოდური ხასიათის ლიტერატურის მომზადება. შინაგან საქმეთა სამინისტრომ და საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტმა გამოსცეს სტატიე-

ბის კრებული არასრულწლოვანთა სამართალდარღვევების აცილების პრობლემებზე სათაურით: "საქართველო შენ ვინ მოგცა შვილი დასაკარგავი...". მომზადდა არასრულწლოვანთა მიმღებ-გამანაწილებლის საქმიანობის ორგანიზაციის შესახებ ახალი ბრძანება და ინსტრუქცია. სამინისტრომ აქტიური მონაწილეობა მიიღო არასრულწლოვანთა საქმეების კომისიისა და სარეაბილიტაციო ცენტრის დებულებების პროექტების შემუშავებაში.

მეოთხე მიმართულება - სახელმწიფო ორგანოებთან და არასამთავრობო ორგანიზაციებთან საქმიანი კონტაქტების განმტკიცება. შს სამინისტროს ყოველდღიური , საქმიანი ურთიერთობა გააჩნდა დამყარებული განათლებისა და იუსტიციის სამინისტროებთან, პროკურატურასთან, ახალგაზრდობის საქმეთა სახელმწიფო დეპარტამენტთან, სამთავრობო კომისიის საკოორდინაციო ცენტრთან, უსიქიატრიისა და უსიქოლოგიის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებთან და სხვა სახელმწიფო ორგანოებთან.

მიღებული იყო სახელმწიფო და კერძო უმაღლესი სასწავლებლების, კოლეჯებისა და სხვა სასწავლო დაწესებულებების, არასამთავრობო, ახალგაზრდული და საქველმოქმედო ორგანიზაციების სიები, დამყარდა კავშირები ორგანიზაციებთან: "ბავშვთა დაცვის ლიგა", "საქართველოს ბავშვები", "ალგეთი" და ა.შ. აქტიურად ხორციელდებოდა თანამშრომლობა პრესასთან, ტელევიზიასა და რადიო მაუწყებლობასთან. გამოქვეყნდა წერილები, ინტერვიუები, სტატიები 16 დასახელების გაზეთში, მომზადდა 8 სატელევიზიო გადაცემა, 7 რადიოგადაცემა.

მეხუთე მიმართულება პრაქტიკული, ოპერატიულ-პროფილაქტიკური ღონისძიებების ორგანიზაცია უშუალოდ ორგანიზებულ დანაშაულებთან ბრძოლისა და სისხლის სამართლის სამეებრო მთავარი სამმართველოს მიერ, თბილისის შს ორგანოებისა და სატრანსპორტო პოლიციის თანამშრომლებთან ერთად, პერიოდულად ტარდებოდა რეიდები დედაქალაქის ბაზრობებზე, ბაზრებში, სადგურებში, ღამის ბარებსა და კაზინოებში, ახალგაზრდობის მასობრივი თავშეყრის და სხვა ადგილებში, რომელთა შედეგად გამოვლინდა 500-მდე უზედამხედველო და სამართალდამრღვევი მოზარდი , რომელთაგან 300-ზე მეტი გადაყვანილია მიმღებ-გამანაწილებელში, 10 გაგზავნილია სპეცსკოლაში, 173 აყვანილია პროფილაქტიკურ აღრიცხვაზე (შს ორგანოები ინდივიდუალურ-პროფილაქტიკურ მუშაობას წარმართავდნენ აღრიცხვაზე მყოფ 2400 არასრულწლოვანთან);

მეექვსე მიმართულება ოპერატიული ვითარების რეგულარული ანალიზი, პროგნოზი და რეკომენდაციების შემუშავება. შს სამინისტრო ყოველდღიურად აღრიცხავს და აანალიზებს მოზარდთა მიერ ჩადენილ დანაშაულობებს, ყოველთვიურად - დანაშაულების დინამიკას და სტრუქტურას, დამნაშავე პირთა კონტიგენტს, ყოველკვარტალურად ღებულობდა სამხარეო ორგანოების მუშაობისა და მისი შედეგების ანგარიშებს. ყოველი დანაშაულის ფაქტზე ტარდებოდა სამსახურებრივი შემოწმება მიზეზებისა და ხელისშემწყობი ფაქტორების დადგენის მიზნით. მომზადდა და შს ორგანოებს გაეგზავნათ მითითებები. აღნიშნული შემოწმებების ხარისხიანად ჩატარების შესახებ იუნესკოს სახელზე მომზადდა მოხსენებითი ბარათი საქართველოში არასრულწლოვანთა სამართალდარღვევებისა და უზედამხედველობის წინააღმდეგ ბრძოლის მდგომარეობის შესახებ. იგი შეიძლება საინტერესო პროგრამის განხორციელების საფუძველი გახდეს.

მეშვიდე მიმართულება - ადგილობრივ სახელმწიფო ორგანოებთან და სამსახურებთან კონტაქტები, პრაქტიკული დახმარების ორგანიზაცია. შს სამინისტროს ხელმძღვანელობა არასრულწლოვანთა საქმეების სამთავრობო კომისიის სხვა წევრებთან ერთად იმყოფებოდა მიმღებ-გამანაწილებელში, შრომაღმზრდელობით კოლონიაში, ძეგვის ბავშვთა სახლში, სამტრედიის სპეცსკოლაში. აქ ადგილზე შეისწავლეს აღნიშნული დაწესებულებების ფუნქციონირების საკითხი, რაც განხილული იქნა სამთავრობო კომისიის სხდომაზე.

მერვე მიმართულება არასრულწლოვანთა და სტუდენტთა მიერ ჩადენილი დანაშაულების გახსნის მიზნით ოპერატიულ-სამძებრო მუშაობის ორგანიზაცია. პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ ბოროტმოქმედების დროული გამოვლენა დამნაშავეობის პროფილაქტიკის ერთ-ერთ ქმედით საშუალებას წარმოადგენს. გატარებული ღონისძიებები მიუთითებენ იმ ფაქტზე, რომ გარკვეული დადებითი ძვრები შეიმჩნეოდა, სახელმწიფო პროგრამა სრულდებოდა.

შს ორგანოებში აღიცხვაზე აყვანილი იყო 400-ზე მეტი მოზარდი, რომლებიც შემჩნეული იყვნენ მათხოვრობასა და მაწანწალობაში, მაგრამ ამ პრობლემის გადაჭრა მხოლოდ პოლიტიკური მეთოდებით შეუძლებელი იყო. მსოფლიოს მოწინავე ქვეყნების გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ამ საქმეში ჩართულია ფაქტიუ-

რად მოელი საზოგადოება, შემუშავებულია სპეციალური პროგრამები, შექმნილია სპეციალური ფონდები და ცენტრები. ძნელი დასაჯერებელია, რომ ბავშვი ქუჩას მოცილდება მხოლოდ პოლიციის მიერ გატარებული რეიდებისა და მათი მიმღებში მოთავსების შედეგად. პრობლემას უფრო ღრმა ანალიზი და კონკრეტული ზომების გატარება სჭირდება, პირველ რიგში, ალბათ მიზანშეწონილი იქნება, მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოების ბაზაზე შეიქმნას "ბავშვთა უფლებების დაცვის ცენტრები", რომლებიც შს ორგანოებთან ერთად სრულყოფილად აღრიცხავენ ე.წ. "ქუჩის ბავშვებს", შეისწავლიან მათ ოჯახურ გარემოს და შეიმუშავებენ კონკრეტულ რეკომენდაციებს, რომელთა პრაქტიკული განხორციელება ხელს შეუწყობს ამ კონტიგენტის ქუჩიდან მოცილებას და შეუქმნის მათ აღზრდის ნორმალურ პირობებს.

როგორიც იყო სტუდენტთა შორის დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის მდგომარეობა? ქვეყნის 34 ქალაქსა და რაიონში ფუნქციონირებდა 250-ზე მეტი უმაღლესი სასწავლებელი. სტუდენტთა რაოდენობა თითქმის 250 ათასს აღწევდა. სტუდენტთა რიცხვის გაზრდის პროპორციულად წარმოიშვა ამ მიმართებით პროფილაქტიკური მუშაობის გაძლიერების აუცილებლობა, რასაც შექმნილი ოპერატიული ვითარებაც ადასტურებდა. 1997 წელს 103 სტუდენტი მონაწილეობდა 99 დანაშაულის ჩადენაში. რეგისტრირებული იყო 6 მკვლელობა და მისი მცდელობა, 9 სხეულის განზრახ მძიმე დაზიანება, 3 ყაჩაღობა, 5 ძარცვა და ა.შ. აღნიშნულ კონტინგენს შორის აქტუალურად რჩებოდა ნარკომანიის, იარაღის უკანონო ტარების, ხულიგნობის აცილების პრობლემები. შს სამინისტრო გარკვეულ ზომებს ღებულობდა ამ მიმართულებით მუშაობის გასააქტიურებლად. დამყარებული იყო საქმიანი კონტაქტები რიგი უმაღლესი სასწავლებლების რექტორატებთან. მიგვაჩნია, რომ აციელებელია სტუდენტებს შორის არა მარტო დანაშაულის მინიმუმამდე შემცირება, არამედ მათი შესაძლებლობების მაქსიმალური გამოყენება არასრულწლოვანთა შორის პროფილაქტიკის საქმეში.

ამერიკის შეერთებული შტატების ქალაქებში სტუდენტებს ამაგრებენ ქუჩის ბავშვებზე, ამიტომ საქართველოშიც მიზანშეწონილია იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებმა პრაქტიკა გაიარონ შს ორგანოების არასრულწლოვანთა საქმეების ინსპექციებში, მიმღებ-გამანაწილებელში, ან შრომა-აღმზრდელობით კოლონია-

ში, მომავალმა პედაგოგებმა სამტრედიის სპეც სკოლაში და საბავშვო სახლებში, მედიკოსები დაეხმარენენ მიმღების თანამშრომლებს, ფსიქოლოგებმა მონაწილეობა მიიღონ ძნელად აღსაზრდელი მოზარდების გამოკითხვასა და სხვა ღონისძიებებში. თანამშრომლობის ასეთი სახე ხელს შეუწყობს მუშაობის ეფექტიანობის ამაღლებას, სტუდენტების პედაგოგიურ და პროფესიულ დაოსტატებასა და პრაქტიკული გამოცდილების მიღებას.

ჯერ კიდევ გადასაწყვეტი იყო ბევრი პრობლემა, რომელიც დაკავშირებული იყო დაინტერესებული სტრუქტურების საქმიანობასთან, კანონმდებლობის სრულყოფასთან, არასრულწლოვანთა დასაქმებასა და თავისუფალი დროის სწორ ორგანიზაციასთან; ახალგაზრდობაში იარაღის ტარების, ლოთობისა და ნარკომანიის, სხვა ნეგატიური მოვლენების აღკვეთასთან. სახელმწიფო ორგანოების გარკვეული ნაწილი ერთნაირი პასუხისმგებლობის გრძნობით არ ეკიდებოდა პროგრამის შესრულებას, იყო ფორმალიზმის შემთხვევები, ობიექტური სიძნელეები, მუშაობას აკლდა კონკრეტულობა და მიზანდასახულობა.

შეკრების მონაწილეებმა მიიღეს მიმართვა საქართველოს საზოგადოებრიობისადმი, მასში ნათქვამი იყო:

"არასრულწლოვანთა შორის მუშაობა პრობლემათა-პრობლემაა. იგი მთელი ჩვენი საზოგადოებრიობის ყურადღების ცენტრში უნდა მოექცეს. ბავშვებისა და მოზარდების დაცვა მხოლოდ სახელმწიფოებრივ ზრუნვას შეუძლია. მოგიწოდებთ:

1. დავიცვათ არასრულწლოვანები ისეთი მანკიერებებისაგან, რომლებიც მათ სულიერ და ფიზიკურ დეგრადაციას იწვევენ. ეს არის თამბაქოს წევა, ნარკოტიკების და ალკოჰოლის მიღება, პორნოგრაფიული სანახაობანი, პროსტიტუცია, მათხოვრობა, მაწანწალობა და ა.შ.

2. არ დაუშვათ არასრულწლოვანების ხელყოფა კრიმინოგენური სამყაროს მხრიდან. ბავშვები და მოზარდები ხომ ქურდების, მძარცველების, ყაჩაღებისათვის ადვილად გადასაბირებელი შევსებაა. ბევრი არასრულწლოვანი დანაშაულის გზას სწორედ მათი გავლენით ადგება.

3. დროა, ყველა ჩვენგანი დააფიქროს არასრულწლოვანთა ბედმა, მდგომარეობამ, პრობლემებმა, იგი უნდა იყოს ნებისმიერი თანამდებობის პირის, პარლამენტის, სამინისტროების, დეპარტამენტების, უმაღლესი და საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო

სასწავლებლების, პოლიტიკური პარტიებისა და საზოგადოებრივი მოძრაობების ყურადღების ცენტრში;

4. მძაფრი ბრძოლა გამოუცხადოთ წამქეზებელ პირებს, რომლებიც ცდილობენ არასრულწლოვანები ჩააბან დანაშაულში, დაიყოლიონ ისინი პროსტიტუციასა და სხვა სექსუალურ გარყვნილებაზე, მათხოვრობასა და სხვა ანტისაზოგადოებრივ ქმედებაზე. შეურიგებელი ვიყოთ იმათ მიმართ, რომლებიც არასრულწლოვანებით ვაჭრობენ, ყიდიან ან ყიდულობენ მათ, მტკიცედ ვებრძოლოდ არასრულწლოვანების ინტერესების საზიანოდ მეურვეობის, მზრუნველობის, ზედამხედველობის ან აღზრდის მოვალეობის შეუსრულებლობას, ან არაჯეროვნად შესრულებას მშობლის, პედაგოგის ან სხვის მიერ, ვისაც დაკისრებული აქვს ეს საპატიო მოვალეობა;

5. მთავარ ამოცანად დავსახოთ მიღწეულ წარმატებათა განმტკიცება, ბავშვებისა და მოზარდი თაობის ჰარმონიული განვითარებისა და ნაყოფიერი სწავლებისათვის ყოველგვარ პირობების შექმნა. მათი ფართოდ ჩაბმა ფიზკულტურასა და სპორტში, ტექნიკურ და მხატვრულ შემოქმედებაში. განათლების დარგის მუშაკებმა მეტი ყურადღება დაუთმოთ არასრულწლოვანთა სწავლასა და აღზრდას, მოვაწყოთ კვირეულები და სხვა ღონისძიებები პოლიციის ორგანოებში აღრიცხვაზე მყოფი მოზარდების სამართლებრივი განათლების უზრუნველსაყოფად;

6. არასრულწლოვანთა საქმეების ინსპექციებმა, საქალაქო და რაიონულმა კომისიებმა, მიმღებ-გამანაწილებლებმა, ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულებებმა, კოლონიამ ძირეულად გააუმჯობესონ საქმიანობა, დანერგონ პრაქტიკაში ახალი ფორმები და მეთოდები, დახვეწონ ფუნქციები.

7. საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტის წევრები, ქართველი მეცნიერები, ლიტერატურისა და ხელოვნების თვალსაჩინო მოღვაწეები შეხვდნენ არასრულწლოვანებს, მათ მშობლებს, გამოვიდნენ ტელევიზიით, რადიოთი, პრესაში, იმსჯელონ ბავშვთა და მოზარდთა პრობლემების მოგვარებაზე;

8. პრესის, ტელევიზიის, რადიომაუწყებლობის მუშაკებმა, ქართველმა ჟურნალისტებმა, თავიანთი საქმიანობის ცენტრში დააყენონ არასრულწლოვანთა პრობლემები, წაახალისონ მოწინავე ახალგაზრდები და გაკიცხონ სამართალდამრღვევები, გზას აცდენილი არასრულწლოვანები, მშობლები და თანამდებობის

პირები, რომლებიც არაკეთილსინდისიერად ეკიდებიან ბავშვთა აღზრდა-გამოსწორების საქმეს“.

საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტის გაფართოებული სხდომის მონაწილეებმა რწმენა გამოთქვეს, რომ საქართველოს საზოგადოებრიობა ყურად იღებდა მიმართავს და ყველაფერს გააკეთებდა არასრულწლოვანთა პრობლემების გადასაწყვეტად.

***

1998 წლის 18 მარტს შინაგან საქმეთა სამინისტროში ჩატარდა საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტის რექტორატის გაფართოებული სხდომა, რომელიც მიეძღვნა ინსტიტუტის, მისი ცალკეული სექციების, მხარეებში ახლად შექმნილი საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტების მუშაობის სრულყოფისა და მაოი საქმიანობის გაუმჯობესების რეკომენდაციების შემუშავებას.

საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტის სხდომაზე ინფორმაციები გააკეთეს შინაგან საქმეთა სამინისტროს ნარკომანიისა და ნარკობიზნესის წინააღმდეგ ბრძოლის ეროვნული ბიუროს თავმჯდომარემ, პოლიციის პოლკოვნიკმა დავით კაჭკაჭიშვილმა და ამავე სამინისტროს არასრულწლოვანთა და სტუდენტ-ახალგაზრდობას შორის მუშაობის სამართველოს უფროსმა, პრლიციის პოლკოვნიკმა გელა ქავთარაძემ.

დავით კაჭკაჭიშვილი. ნარკომანიისა და ნარკობიზნესის წინააღმდეგ ბრძოლის ეროვნული ბიურო ჩამოყალიბდა 1994 წელს, 1992 წელს შექმნილი ნარკომანიის წინააღმდეგ მებრძოლი სამმართველოს ბაზაზე და ამჟამად ფუნქციონირებს, როგორც საკმაოდ ძლიერი, მობილური, თვისობრივად ახალი , საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი ოპერატიული სამსახური, თანამედროვე მოთხოვნათა დონის სტრუქტურით. ბიურო ერთი მხრივ, თავს ართმევს პროფესიული მუშაობის სირთულეებს, მეორე მხრივ, წარმატებით თანამშრომლობს საზღვარგარეთის ანალოგიურ სამსახურებთან. განსაკუთრებით დიდი ყურადღება ეთმობა კანონმდებლობის და ნორმატიული აქტების შემუშავების საკითხებს.

გაითვალისწინა რა საქართველოში შექმნილი მძიმე ნარკოსიტუაცია, მისი შემდგომი ესკალაციის რეალური პერსპექტივები, 1996 წლის ივლისში ეროვნული უშიშროების საბჭომ დაამტკიცა

"საქართველოში ნარკომანიის გაკრცელების, ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის ეროვნული პროგრამა", რომელმაც გლობალურად მოიცვა პრობლემის ყველა მხარე და ასპექტი, განსაზღვრა ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის არსებითი მიმართულებები, მოახდინა სხვადასხვა უწყებების, სამინისტროების, ორგანიზაციების საქმიანობის კოორდინირება, გაითვალისწინა სტრატეგიისა და ტაქტიკის ტენდენციები.

უშიშროების საბჭოსთან შექმნილმა ნარკომანიის გავრცელების, ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის სახელმწიფო კომისიამ საკმაო მოცულობის მუშაობა ჩაატარა ეროვნული პროგრამის რეალიზაციის მიზნით:

1. ქვეყანაში ნარკოსიტუაციის გაჯანსაღებისა და პროფილაქტიკის მიზნით დაიგეგმა და ჩატარდა ფართო მასშტაბიანი ღონისძიებები, რომლებმაც დადებითი შედეგები გამოიღო, საზოგადოებრივმა ცნობიერებამ ერთგვარად გაითავისა ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლის გააქტიურების აუცილებლობა, საზოგადოების დიდმა ნაწილმა შეიგნო ამ ეროვნული საქმისადმი ნეიტრალური პოზიციის დაჭერის მავნეობა;

2. საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე, პოლიციის გენერალ-მაიორ თემურ მურღულიასთან, წინასწარ შემუშავებული და დამტკიცებული გეგმის შესაბამისად, ჩატარდა საქართველოს რეგიონალური დანაყოფების კრიმინალური პოლიციისა და ნარკომანიისა და ნარკობიზნესის სამსახურების უფროსების უშუალო მონაწილეობით მუშაობის შედეგების მოსმენა, აქ უმთავრესი ყურადღება მიექცა ნაკლოვანებებს, კერძოდ, ამ საერთო საქმეში საზოგადოებრიობის წარმომადგენელთა ჩაბმის აუცილებლობის მიღწევის საჭიროებას;

3. ნარკომანიისა და ნარკობიზნესის წინააღმდეგ ბრძოლის ეროვნული ბუიროს უშუალო ინიციატივითა და სათანადო რეკომენდაციებით ყველა უმაღლეს სასწავლებელში შეიქმნა ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლის პირველადი კომისიები (საზოგადოებრივ საწყისებზე);

4. ბიუროს პასუხისმგებელი მუშაკების მიერ სისტემატურად იკითხება ლექციები შინაგან საქმეთა სამინისტროს პოლიციის აკადემიაში ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლის მეთოდებისა და ფორმების, ნარკოტიკული თრობის ექსპერტიზის, ნარკოტიკული

საშუალებებისა და ფსიქოტროპული ნივთიერებების თავისებურებების შესახებ;

5. წინასწარ შემუშავებული თემატიკის მიხედვით, სისტემატურად ეწყობა საზოგადოებრიობაზე გამიზნული პროფილაქტიკური ხასიათის სატელევიზიო გამოსვლები, გადაცემები, განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ამ მიმართულებით არასრულწლოვანთან მუშაობის მკვეთრი გაუმჯობესების საკითხებს;

6. ჟურნალ-გაზეთებში ("საქართველოს რესპუბლიკა", "ახალი თაობა", "კრიმინალური ქრონიკა", "იმედი" და სხვა) იბეჭდება სტატიები, ნატარებული ღონისძიებების ინფორმაციები და მასალები შედეგების შესახებ;

7. შეიქმნა ნარკომანიისა და ნარკობიზნესის წინააღმდეგ ბრძოლის ეროვნული ბიუროს საქმიანობისა და კონკრეტული ოპერატიული ღონისძიებების ამსახველი ვიდეო-მასალის არქივი, რომელსაც მიზნობრივად იყენებენ პრესისა და ტელევიზიის წარმომადგენლები, საინფორმაციო სამსახურები.

გელა ქავთარაძე არასრულწლოვანთა შორის დამნაშავეობასთან ბრძოლა შინაგან საქმეთა ორგანოების საქმიანობის ერთ-ერთი ძირითადი და მნიშვნელოვანი მიმართულებაა. პრაქტიკული გამოცდილება გვიჩვენებს, რომ კრიმინალური ელემენტების უმეტესმა ნაწილმა სწორედ არასრულწლოვანი ასაკის პერიოდში დაიწყო ანტისაზოგადოებრივ ქმედებათა ნადენა, დაუშვა გადაცდომა კანონიდან. ამ პერიოდში ცნობიერებაში ჩაჭედილი ფეხმოკიდებული მანკიერი თვისებები და ჩვევები ხშირად მთელი ცხოვრების მანძილზე გასდევს ადამიანს და შემდგომში მათი აღმოფხვრა ძალზე ძნელი ხდება. მით უმეტეს, თუ ისინი თავის დროზე შეუმჩნეველი დარჩა კომპეტენტური ორგანოებისა და მშობლების მხრიდან.

დღეისათვის ასეთია არასრულწლოვანთა შორის სამართალდარღვევების მდგომარეობა:

1. საშუალოდ ყოველწლიურად დანაშაულის ჩადენაში მონაწილეობს 600-700 არასრულწლოვანი და 150 სტუდენტი. ამასთან ერთად მათი ნახევარი გაერთიანებულია დანაშაულებრივ ჯგუფებში;

2.სამი ათასამდე არასრულწლოვანს შინაგან საქმეთა ორგანოები ავლენენ სხვადასხვა დარღვევის (ხულიგნობა, იარაღის

უკანონო ტარება, წვრილმანი ქურდობა, ლოთობა და ა.შ.) ჩადენისათვის;

3. გახშირდა ნარკომანიისა და ტოქსიკომანიის, პროსტიტუციის ფაქტები, უდისციპლინობისა და ბავშვებში სიგარეტის წევის შემთხვევები;

4. შინაგან საქმეთა სამინისტროს მონაცემებით 400-მდე მოზარდი სტაბილურად ეწევა მათხოვრობას ან მოხეტიალე ცხოვრებას, ე.ი. ფაქტიურად "ქუჩის ბავშვების" კატეგორიაში ჯდება;

5. არასრულწლოვანები, არცთუ იშვიათად, თვითონაც გამოდიან მსხვერპლის როლში, მაგალითად, ბოლო ოთხი წლის მანძილზე (1994-1997 წლები) მკვლელობის შედეგად გარდაიცვალა 46 არასრულწლოვანი, უბედური შემთხვევისა და თვითმკვლელობის შედეგად 29, გაუპატიურების გამო - 36, მამათმავლობა ჩაიდინა - 6, ხოლო გარყვნილი ქმედება - 5 მოზარდმა, ფულის გამოძალვის მიზნით გატაცებულია 4 არასრულწლოვანი და ა.შ.

6. დამნაშავე პირთა შორის ყოველწლიურად ხუთი ათასამდე ახალგაზრდაა (29 წლის ასაკამდე) , რაც საშუალოდ 70-75 პროცენტს შეადგენს;

7. ბოლო წლებში გაიზარდა მძიმე იარაღის გამოყენებით, სისასტიკით და ცინიზმით არასრულწლოვანთა მონაწილეობით ჩადენილი დანაშაულობები;

8. დამნაშავე მოზარდებს შორის 85 პროცენტი დაუსაქმებელია. ადრე ეს მაჩვენებელი 5-6 პროცენტს არ სცილდებოდა.

დასახელებული ფაქტები ისეთი მცირერიცხოვანი ქვეყნისათვის, როგორიც საქართველოა, ძალზე დამაფიქრებელია, იგი პრობლემის აქტუალობაზე და სიმწვავეზე მიუთითებს.

არასრულწლოვანთა შორის მუშაობა გარკვეული სპეციფიკურობით ხასიათდება. იგი უმთავრესად მიმართულია სამართალდარღვევებისა და უზედამხედველობის აცილებაზე, დროული პროფილაქტიკურ-გამაფრთხილებელი ღონისძიებების განხორციელებაზე.

მუშაობის ეფექტიანი ორგანიზაცია შეუძლებელია მხოლოდ პოლიციური მეთოდებით და პოლიციის ძალებით, აქ განსაკუთრებით საჭიროა შინაგან საქმეთა, განათლების, ჯანმრთელობის დაცვის, იუსტიციის, პროკურატურის, სხვა სახელმწიფო ორგანოების, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და მოქალაქეთა ძალისხმევის კოორდინაცია, მხოლოდ კომპლექსური მიდგომით,

ჯანსაღი საზოგადოებრივი აზრისა და მორალურ-ფსიქოლოგიური ატმოსფეროს შექმნით არის შესაძლებელი პრობლემის დადებითად გადაჭრის შესაძლებლობა.

შინაგან საქმეთა ორგანოებში მოზარდთა შორის მუშაობა ევალებათ არასრულწლოვანთა ინსპექციებს, რომლებიც შედიან სისხლის სამართლის სამმებრო სამსახურის შემადგენლობაში, სულ გამოყოფილი იყო 415 საშტატო ერთეული. თითოეული ინსპექტორი ემსახურება უბანს, სადაც ცხოვრობს 18 წლის ასაკამდე 4-5 ათასი მოზარდი.

საქართველოში ფუნქციონირებენ სპეციალური სტრუქტურები, რომლებიც ახორციელებენ არასრულწლოვანთა შორის პროფილაქტიკურ-აღმზრდელობით მუშაობას, ეს სტრუქტურებია:

1. არასრულწლოვანთა საქმეების სამთავრობო, სამხარეო და ადგილობრივი კომისიები;
2. სამტრედიის სპეცსკოლა;
3. კაჭრეთის არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო ცენტრი;
4. თბილისისა და ბათუმის არასრულწლოვანთა მიმღებ-გამანაწილებელი;
5. ზემო ავჭალის შრომა-აღმზრდელობითი დაწესებულება;
6. ნარკოლოგიური და ვენდისპანსერები;
7. ახალგაზრდობის საქმეთა სახელმწიფო დეპარტამენტი;
8. სკოლები, ტექნიკუმები, კოლეჯები, უმაღლესი სასწავლებლები;
9. ფსიქიატრიული და ფსიქოლოგიური დაწესებულებები;
10. არასამთავრობო ორგანიზაციები; მათ შორის ქუჩის ბავშვთა თავშესაფრები;
11. პრესა, ტელევიზია, რადიომაუწყებლობა.

ძირითადი წარმმართველი დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავდა არასრულწლოვანებთან მუშაობის ამოცანებს და მიმართულებებს იყო "არასრულწლოვანთა სოციალური დაცვის, პროფესიული მომზადებისა და სამართალდარღვევათა პროფილაქტიკის სახელმწიფო პროგრამა".

პროგრამის რეალიზაციის მიზნით განხორციელდა კონკრეტული ღონისძიებები, რომლებიც მიმართული არიან: არასრულწლოვანთა საქმეების სამსახურის განმტკიცებისა და ავტორიტეტის ამაღლებისაკენ; სპეციალური სტრუქტურების ამოქმედებისა და ბაზის განმტკიცებისაკენ, დაინტერესებულ სახელმწიფო ორგანოებთან საქმიანი კონტაქტების დამყარებისაკენ. მომზადდა მთე-

ლი რიგი ნორმატიული აქტები და მეთოდური მითითებები, რეგულარულად ანალიზდება ოპერატიული ვითარება.

თუ პრაქტიკული შედეგების მიხედვით ვიმსჯელებთ სახეზე იყო გარკვეული დადებითი ძვრები, იგი აისახა 1997 წლის ოპერატიულ ვითარებაში. ამასთანავე რთული მდგომარეობა რჩებოდა ქვეყნის დედაქალაქსა და სხვა ქალაქებსა და რაიონებში. აღნიშნულიდან გამომდინარე ჩვენს აზოცანას წარმოადგენდა:

1. დავიცვათ არასრულწლოვანები ისეთი მანკიერებისაგან, რომლებიც მათ ფიზიკურ და სულიერ დეგრადაციას იწვევენ. ესაა თამბაქოს წევა, ნარკოტიკული და ტოქსიკური ნივთიერებების, ალკოჰოლის მიღება, პროსტიტუცია, მათხოვრობა, ძალადობა, სისასტიკე და სხვა;

2. არ დაგუშვათ მოზარდების ხელყოფა კრიმინოგენური სამყაროს მხრიდან, მათი ჩათრევა ანტისაზოგადოებრივ ქმედებაში, სექსუალური და სხვაგვარი ექსპლოატაცია, ბრძოლა გამოვუცხადოთ მშობლებს, რომლებიც ბოროტად ასრულებენ თავიანთ მოვალეობებს, ასევე სხვა სრულწლოვან წამქეზებელ პირებს;

3. შეურიგებელი ვიყოთ იმათ მიმართ, რომლებიც არასრულწლოვანებით ვაჭრობენ, ყიდიან ან ყიდულობენ მათ;

4. განსაკუთრებული ყურადღება გავამახვილოთ დამნაშავეობის მიზეზებისა და ხელშემწყობი პირობების ანალიზზე, მათი აღკვეთის მიზნით კომპლექსური პროფილაქტიკური ღონისძიებების დროულ განხორციელებაზე;

5. დღენიადაგ ვიზრუნოთ არასრულწლოვანთა სულიერ და ფიზიკურ განვითარებაზე, მათი სწავლის, დასაქმებისა და თავისუფალი დროის სწორ ორგანიზაციაზე;

6. ხელი შევუწყოთ ოჯახების გამნტკიცებას, ტრადიციების აღდგენას, ბავშვთა უფლებების დაცვას და ა.შ.

არასრულწლოვანთა შორის დამნაშავეობის აღკვეთის საქმეში დიდი მნიშვნელობა ენიჭება საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტის წევრების, ქვეყნის ინტელიგენციის თვალსაჩინო წარმომადგენლების მხარდაჭერას.

პირველ რიგში - ეს ხელს უწყობდა ჯანსაღი საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებას და შეურიგებლობის ატმოსფეროს შექმნას ბავშვთა სამართალდარღვევებისადმი;

მეორე - განამტკიცებდა კონტაქტებს გამგეობებთან არსებულ არასრულწლოვანთა საქმეების კომისიებთან, რომელთა საქმიანობა სერიოზულ გააქტიურებას მოითხოვდა;

მესამე - შესაძლებელი ხდებოდა საზოგადოებრივი ძალების, არასამთავრობო ორგანიზაციების კონსოლიდაცია და მუშაობის კოორდინაცია;

მეოთხე - ოპერატიული ვითარების ღრმა ანალიზის საფუძველზე მოზარდთა დანაშაულის ყოველი ფაქტი ხდებოდა მკაცრი მსჯელობისა და პრინციპული შეფასების საგანი;

მეხუთე - იქმნებოდა არასრულწლოვანთა საქმეების ინსპექციების კვალიფიცირებული თანამშრომლებით დაკომპლექტებისა და ამ სამსახურის ნორმალური სამუშაო პირობების უზრუნველყოფის წინაპირობები;

მეექვსე შესაძლებელი ხდებოდა მოზარდთა დასაქმების, თავისუფალი დროის სწორი ორგანიზაციის, სოციალური დაცვის პრობლემების წარმოსენა პრესის, ტელევიზიის გამოსვლების საშუალებით და შესაბამისი კონსტრუქციული წინადადებების დასმა კომპეტენტური ორგანოების წინაშე და ა.შ.

1996-98 წლებში საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტის სტრუქტურებში ძირეული ცვლილებები განხორციელდა. ზედიზედ შეიქმნა მხარეებში შინაგან საქმეთა მთავარი სამმართველოების საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტები.

თათბირის მონაწილეებმა თავიანთ გამოსვლებში აღნიშნეს: არასრულწლოვანებთან მუშაობაში არ არსებობს მთავარი და მეორე ხარისხოვანი. სკოლაც მთავარია, ქუჩაც და ოჯახიც. მათი აზრით, დანაშაულის პროფილაქტიკა წარმატებული რომ იყოს, იგი უნდა მიმდინარეობდეს არა მარტო სკოლებში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც, იქ სადაც ყალიბდება შრომისადმი დამოკიდებულება: ოჯახში, საცხოვრებელ ადგილზე, სამუშაოზე. საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტის შესაბამისი კომისიები, რომლებმაც ჩაატარეს 10-დან 14 წლამდე ასაკის ბავშვთა ფართო გამოკვლევა, იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ ბავშვების განვითარების ამ კრიტიკულ ასაკში, როცა თავს იჩენს ნარკოტიკების მოხმარების ჩვევები და სხვა ქცევითი პრობლემები, იმ ძირითადი დამცავი ფაქტორების რიცხვს, რომლებიც საშუალებას აძლევენ ბავშვებს გაუმკლავდნენ გარდამავალი ასაკის სიძნელეებს, მიეკ-

უთვნება კარგი სწავლა სკოლაში, საერთო თანაცხოვრების ჩვეულების გამომუშავება, მეგობრული ურთიერთობები ოჯახში, მასწავლებლებთან და უფროსებთან, აგრეთვე ქცევის მკაფიო, ნათელი წესები.

სხდომაზე გამოვიდნენ გია ბაბუნაშვილი, დავით გეგეშიძე, ლევან სვანაძე, ზურაბ ფორაქიშვილი, ლაუვარდ ბოლქვაძე, ზაურ გოგოლაძე.

სხდომამ შეიმუშავა არასრულწლოვანებთან მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების კონკრეტული ღონისძიებები.

დიდი ფორუმი

1998 წლის 19 ივნისი. იმერეთის მხარის შინაგან საქმეთა მთავარი სამმართველოს უფროსმა რუბენ ასანიძემ ქუთაისის მელიტონ ბალანჩივაძის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრში გახსნა თათბირ-სემინარი, რომელიც მოაწყვეს იმერეთის სამხარეო შინაგან საქმეთა მთავარმა სამმართველომ და მასთან არსებულმა საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტმა.

თათბირ-სემინარმა ორი საკითხი განიხილა: 1. იმერეთის მხარეში არასრულწლოვანთა დამნაშავეობის მდგომარეობისა და ამ პრობლემის მოგვარებისათვის გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ;

იმერეთის მხარეში ნარკომანიისა და ნარკობიზნესის წინააღმდეგ ბრძოლის მდგომარეობისა და აღნიშნულ დანაშაულობათა აღკვეთა-აცილებისათვის გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ.

მოხსენებებით გამოვიდნენ მურმან ლომთაძე (იმერეთის სამხარეო შინაგან საქმეთა მთავარი სამმართველოს კრიმინალური პოლიციის უფროსი) და კოტე ყურაშვილი (საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ნარკომანიისა და ნარკობიზნესის წინააღმდეგ ბრძოლის ეროვნული ბიუროს თავმჯდომარის მოადგილე).

საკითხების განხილვაში პედაგოგებთან და ინტელიგენციის წარმომადგენლებთან ერთად საგანგებოდ მოწვეული 30 არას-

რულწლოვანიც მონაწილეობდა. ამ შეკრებას, რომელიც საქმიანად, მაღალი მომთხოვნელობისა და არასრულწლოვანთა მიმართ მზრუნველობის ნიშნით ჩატარდა, საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაციის რეგიონალური ორგანიზაციის თავმჯდომარემ, სახელმწიფო პრემიის ლაურეატმა ალექსანდრე შენგელიამ საგსებით სამართლიანად "დიდი ფორუმი" უწოდა. სწორედ ეს შეფასება გამოვიყენეთ ნაშრომის ამ მონაკვეთის სათაურად.

თათბირ-სემინარზე გამოვიდნენ: მამია დარჩია, ოტია იოსელიანი, დავით გეგეშიძე, თემურ შაშიაშვილი, ვახტანგ ქარუმიძე, ლევან სვანაძე, დავით ცირეკიძე, თამაზ ფირცხალაიშვილი, თამაზ ჯუმბურიძე, მერი ფანუაშვილი, მიხეილ ხარაბაძე.

მურმან ლომთაძე - მხარეში ორმოცდაათი ათასზე მეტი არასრულწლოვანი ცხოვრობს. მათ ისეთივე პრობლემები აწუხებთ, როგორც სრულიად საქართველოს მოსწავლე ახალგაზრდობას, მხარის ქალაქებსა და რაიონებში არასრულწლოვანთა შორის სამართალდარღვევათა და უზედამხედველობის პროფილაქტიკურ-გამაფრთხილებელი ღონისძიებების გააქტიურების შედეგად მიღწეულია ეროგვარი სტაბილიზაცია, მაგრამ უკანასკნელ ხანს მნიშვნელოვნად შესუსტდა შინაგან საქმეთა ორგანოებისა და სხვა დაინტერესებულ ორგანიზაციების მუშაობის კოორდინაცია. იშვიათად იგეგმებოდა კომპლექსური პროფილაქტიკური ღონისძიებები, საამართალდამრღვევი და უზედამხედველო არასრულწლოვანების შესახებ არ ხდებოდა ინფორმაციის დროული გაცვლა , მათი გამოვლენისა და გამოსწორების მიზნით, არ გამოიყენებოდა ერთობლივი მუშაობის ეფექტიანი ფორმები. აღნიშნული ნაკლოვანებების შედეგად თითქმის საგრძნობლად შემცირდა შინაგან საქმეთა ორგანოებში წარდგენილი და პროფილაქტიკურ აღრიცხვაზე აყვანილი მოზარდების, ასევე შვილების აღზრდაზე უარყოფითი ზეგავლენის მომხდენი მშობლების რაოდენობა,. პრაქტიკულად არ ხორციელდება არასრულწლოვანთა შორის დამნაშავეობის მიზეზებისა და ხელშემწყობი პირობების დეტალური კვლევა და მუშაობა, თვალთახედვის გარეშე რჩებოდა ახალგაზრდობაში მიმდინარე პროცესები, ინტერესთა სფერო, სხვადასხვა ჯგუფების შექმნისა და ურთიერთ ანგარიშსწორების, ანტისაზოგადოებრივი ქმედების ჩადენის მოტივები.

სასწავლო დაწესებულებებში მოიშალა დისციპლინა, ადგილი აქვს გაკვეთილების გაცდენებს, ე.წ. "საქმეების გარჩევების", ფულის გამოძალვის შემთხვევებს.

არასრულწლოვან დამნაშავეთა შემავსებელ წყაროს ძირითადად წარმოადგენენ მათხოვრობაში, მაწანწალობასა და პროსტიტუციაში შემჩნეული პირები. ბოლო წლებში ასეთი კატეგორიის მოზარდთა რიცხვი საგრძნობლად გაიზარდა. მათი თავშეყრის ადგილებია რკინიგზის ვაგზლები, ავტოსადგურები, ბაზრები, ბაზრობები, მათი მიმდებარე ტერიტორიები. მათხოვრობა და მაწანწალობა ხელს უწყობს დანაშაულის ჩადენას და მთელი რიგი მანკიერების, კერძოდ ნარკომანიის, ტოქსიკომანიის, ლოთობის, პროსტიტუციისა და ვენსნეულებათა გავრცელებას. მდგომარეობას ართულებს არასრულწლოვანთა მასობრივი დაუსაქმებლობა და თავისუფალი დროის გამოყენების ორგანიზაციაში არსებული სერიოზული პრობლემები, რის შედეგად იზრდება "ქუჩის" უარყოფითი გავლენა მოზარდების ზნეობრივ ფორმირებაზე. არადამაკმაყოფილებელია პოლიციის ორგანოების როლი იმ პირების გამოვლენაში, რომლებიც არასრულწლოვანებს ითრევენ დანაშაულებრივ საქმიანობაში, იყოლიებენ ლოთობაზე, მათხოვრობაზე, პროსტიტუციასა და სხვა ანტისაზოგადოებრივ საქციელზე.

1998 წლის 20 მაისს მხარის მთავარი სამმართველოს უფროსმა გამოსცა ბრძანება, რომელიც ითვალისწინებდა 21 მაისიდან 31 მაისამდე ოპერატიულ-პროფილაქტიკური ღონისძიებების ჩატარებას. არასრულწლოვანთა შორის მათხოვრობის, მაწანწალობისა და ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების მიზნით ჩატარებული ღონისძიებების ანალიზი გვიჩვენებს, რომ მხარეში საკმაოდ გაიზარდა მაწანწალათა და მათხოვართა რიცხვი, რეგისტრირებულია 50-ზე მეტი არასრულწლოვანი მაწანწალა და მათხოვარი. 3 მოზარდი გადაყვანილია სამტრედიის სპეციალურ სკოლაში, 1 - არასრულწლოვანი მხილებულია ნარკოტიკული საშუალებების მოხმარებაში, 10 - წვრილმან ქურდობაში, 25 - სპირტიანი სასმელების მიღებაში.

ნაკლებად გამოიყენება მოზარდთა გამოსწორების საქმეში სამტრედიის სკოლის შესაძლებლობები, იგი სანახევროდ არის შევსებული (ამჟამად იმყოფება 45 პირი), რაც არასრულწლოვანთა საქმეების, ადგილობრივი კომისიების უმოქმედობისა და პოლიციის შესაბამისი ორგანოების უინიციატივობაზე მიუთითებს.

კოტე ყურაშვილი: საქართველოში, ისე როგორც ყველა სხვა სახის დანაშაული, ნარკომანიის ხაზითაც გამოვლენილი დამნაშავეობის რაოდენობა რეალობას ვერ ასახავს. ჩვენ ვერ ვაკონტროლებთ იმ ფენას, რასაც მშობლების მეთვალყურეობას მოკლებული ახალგაზრდობა ჰქვია. ისინი ქუჩის ანაბარა დარჩენენ, მიგრირებენ და მთელ ქვეყანაში ჰქმნიან უარყოფით ფონს, არასრულწლოვანებში ავრცელებენ ნარკომანიას.

არასრულწლოვანთა შორის გავრცელებულია დანაშაულობების პროცენტიდან ნარკომანიასა და ნარკობიზნესში არასრულწლოვანთა ხვედრითი წილი გაცილებით ნაკლებია, ვიდრე სხვა დანაშაულობებში. არასრულწლოვანები უფრო მეტად წვრილმან ქურდობებზე იმხილებიან, მათ შორის თუნდაც ფულის გამოძალვაში. ამასთანავე, სრულწლოვანები მათ იყენებენ სხვადასხვა დანაშაულობებში.

ნარკომანიის თვალსაზრისით განსაკუთრებით საგანგაშოა ტოქსიკომანია. იგი განაპირობა მისმა სიიაფემ. ტოქსიკომანები იყენებენ სხვადასხვა სპეციალურ ქიმიურ, მომწამვლელ საშუალებებს, რომლებიც მათ ეიფორულ მდგომარეობას უქმნის. ამისათვის ხმარობენ სხვადასხვა წებოს, ბენზინს, კრემს და სხვა საშუალებებს.

ტოქსიკომანიის ფიზიკურ-მორალურად დამანგრეველი ეფექტი პიროვნებისათვის გაცილებით მეტია, ვიდრე ნებისმიერი ნარკოტიკისა.

არასრულწლოვანთა შორის ნარკომანიის გავრცელება ოჯახიდან იწყება. ოჯახი, თუ შვილს სათანადო ჩარჩოებში ვერ მოაქცევს, სათანადოდ ვერ აღზრდის და ვერც სასწავლებელი მოახდენს ზემოქმედებას, მოზარდის გზა მრუდდება; მათ ცხოვრებაში ბოლო სტადია ჩვენ ვართ, ამიტომ მეც და მთელი სამინისტროც ძალიან დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ დღევანდელ ღონისძიებას, ვინაიდან საზოგადოების დარაზმვას, საერთო ურთიერთდგომას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს არასრულწლოვანთა შორის დანაშაულისა და ნარკომანიის გავრცელების აღმოფხვრაში.

მაქვს მონაცემები 1994 წლიდან, იმ წელიწადს ნარკოტიკების უკანონო გამოყენებაში მხილებულია 47 არასრულწლოვანი, მათ შორის 43 ვაჟი და 4 გოგონა. მათგან 39 ქართველი იყო, 2 აზერბაიჯანელი, ერთი რუსი და ექვსი ოსი. ეს დანაშაული

ხდებოდა 26 ქალაქში. მათ შორის 18 წლის ასაკამდე იყო 15, 17 წლისა - 19, 16 წლის - 8 და 15 წლის -5.

1997 წელს გამოვლინდა 29 დანაშაული. ყველა ვაჟი, მათგან 26 ქართველი, სამი სომეხი, ყველა ესენი 13 ქალაქში იყვნენ განთავსებული, მათგან 18 წლისა იყო - 14, 17 წლისა 7, 16 წლისა - 5, 15 წლისა -1, ხოლო 14 წლისა - 2.[1]

მამია დარჩია - პროფესორი, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტის რექტორი, პარლამენტის წევრი: ჩვენთან, შინაგან საქმეთა სამინისტროს საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტში დამუშავდა არასრულწლოვანთა სახელმწიფო პროგრამა, რომელსაც პრეზიდენტმა მოაწერა ხელი. სამწუხაროდ, გაოცებული დავრჩი იმით, რაც ვნახე, რომ პროგრამის მიხედვით შინაგან საქმეთა სამინისტრომ, უფრო მეტი გააკეთა, ვიდრე განათლებამ, თუმცა ეს ქუთაისსა და ქუთაისელებს არ ეხებათ. პირიქით მინდა ვოქვა, რომ განათლებისა თუ პოლიციის მუშაობის კუთხით ყველაზე კარგი მაჩვენებლები ქუთაისსა და იმერეთის მხარეშია. აშკარად შეიმჩნევა, რომ თქვენთან განათლების დარგში გამოკვეთილია გარკვეული ინტერესი, გარკვეული ძვრები.

მოგაწოდებთ რამდენიმე მონაცემს: ქვეყნის მასშტაბით, მთელი დანაშაულიდან 29 წლის ასაკამდე მოდის 85 პროცენტი, 25 წლის ასაკამდე - 74.4 პროცენტი.

მინდა ერთი სტატისტიკური მონაცემიც გაგაცნოთ. 1997 წელს არასრული საშუალო სკოლა 61300 ბავშვმა დაამთავრა. მათგან ზედა კლასებში რომ არ მიიღეს, დაახლოებით 24 ათასი, სკოლის გარეთ დარჩა. საგშუალო სკოლა 31 ათასმა დაამთავრა. იგივე მდგომარეობაა წლეულსაც. ამ ხალხს ინკუბატორივით ვუშვებთ გარეთ და არავინ ზრუნავს მასზე. ჯერჯერობით, თუნდაც იმიტომ, რომ სოციალური მდგომარეობა კვლავ მძიმეა, ეკონომიკა და სოფლის მეურნეობა იმ ბრუნვებს ვერ აკეთებს, რასაც უნდა აკეთებდეს, რათა ხალხი დასაქმდეს, ამიტომ ახალგაზრდობის ამოდენა არმია, რომელსაც საშუალო თუ არასრულ საშუალო სკოლას ვამთავრებინებთ, ქუჩაში გვრჩება. ისმის კითხვა, რა უნდა ვუყოთ ამდენ ახალგაზრდას, ვინ უნდა იზრუნოს მათზე, ვის უნდა შესტკიოდეს მასზე გული?

ორიოდე სიტყვა დანაშაულის ასაკობრივ ცენზზე. დღეს დანაშაულს 13-15 წლის ახალგაზრდები ნადიან. ამასთან იმატა

---

1. გაზეთი "ბექთარი", 1998 წლის ივნისი - თიბათვე.

დამნაშავე გოგონათა რაოდენობამ. სამწუხაროდ, ისინი უფრო სასტიკი ფორმით ჩადიან დანაშაულს, ვიდრე ვაჟები, ამას დავიქრება სჭირდება. დღეს ახალგაზრდა, ვინც დანაშაულს ჩადის, გიჟისათვის დამახასიათებელი სისასტიკით იქცევა. ამას განსაკუთრებული ყურადღება სჭირდება. ამასთან აუცილებელია ეეძებოთ ახალგაზრდობის დასაქმების გზები.

მე, როგორც პედაგოგს, ღრმად მჯერა და მწამს: თუ კი საქართველოს ვინმე გადაარჩენს, ეს ჩვენი ახალგაზრდობაა, ხოლო თუ ჩვენს ახალგაზრდობას გზაზე ვინმე დაგვიყენებს, ეს ჩვენი პედაგოგებია.

დავით გეგეშიძე. პროფესორი, შინაგან საქმეთა სამინისტროს საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტის ნარკომანიისა და ნარკობიზნესთან ბრძოლის კომისიის თავმჯდომარე: დღეს ორი პრობლემა გამოიკვეთა - არასრულწლოვანებისა და ნარკომანიისა. უნდა გამოვიდეთ ალბათ, იმ პრინციპიდან, რომ არც არასრულწლოვანი და ზოგადი აზრით, არც ნარკომანი საბოლოო ჯამში არ არის დანაშავე. დანაშავეა საზოგადოება მთლიანად და ამ კითხვაზე ასეთი დასკვნა აუცილებელია. სხვათაშორის ილია ჭავჭავაძე სწორედ ასე სვამდა ამ საკითხს. კერძოდ, რა მაქვს მხედველობაში: შექმნილი სიტუაცია, სუბიექტური და ობიექტური ფაქტორები, ადამიანის მარტო დატოვება, მისი რწმენის შელახვა, ძირითადი სულიერი ღირებულებების გაუფასურება და ის, რომ ჩვენ ბავშვებისათვის აღარ გვცალია. ყველა ეს ფაქტორი აპირობებს იმას, რომ არასრულწლოვანი არ მიდის იმ გზაზე, რომელიც ტაძრამდე მიიყვანს.

თეიმურაზ შაშიაშვილი. პრეზიდენტის რწმუნებული იმერეთის მხარეში: დღეს ვისაც ნარკომანს ვხედავთ, უფრო მეტად მდიდრის შვილია. და ამას უნდა მიაქციოს ყურადღება საზოგადოებამ, რომელიც ამდიდრებს იმ ადამიანს, ვის ოჯახშიც არ არის ზნეობა. განსაკუთრებული ყურადღება ესაჭიროება ნარკობიზნესის გზების ამოქოლვას. საჩხერიდან და რაჭიდან ძალიან დიდი რაოდენობით შემოდის ნარკოტიკი და სამწუხაროდ, ამ საქმეში არა ერთი დიდი რანგის პიროვნება იღებს მონაწილეობას. როდესაც ასეთ პირს მანქანით გადააქვს ნარკოტიკი, იმას ვერავინ აჩერებს. აი, აქ არის საჭირო პრინციპულობა პოლიციისა და მისგან კანონის დაცვა. მოურიდებლად უნდა გააჩერონ, გაჩხრიკონ, გამოავლინონ. ეს იქნება პოლიციის ყველაზე დიდი ღირსება. ნარკომანია ავადმყოფობაა, მაგრამ ამ ავადმყოფობის გავრცელება, რაც ნარკობიზნესის დახმარებით ხდება, სიკვდი-

ლით მოვაჭრეთა გამდიდრების ერთ-ერთი სერიოზული წყაროა. ქუთაისსა და იმერეთში ძალიან ბევრია ასეთი და არა მარტო აქ, მთელს საქართველოში იმათი არნახული მასშტაბებია, ვინც ნარკომანია დიდ ბიზნესათ აქცია.

მივესალმები იურისტთა იმ ჯგუფს, რომელიც შეძლებს და გახსნის. ვინ არიან ესენი? ნარკოტიკების ბიზნესში როგორ არიან დაკავშირებული ერთმანეთთან სახლვარგარეთ წასული ქურდები, ჩვენს ქვეყანაში დარჩენილები და ზოგიერთი მაღალი თანამდებობის პირი. თუ სათანადოდ არ მოვემზადეთ, თუ შესაბამისი ინსტიტუტები არ ჩამოყალიბდება ქვეყანაში და ისეთი საქმე, როგორიც არასრულწლოვანთა დანაშაულია, მხოლოდ პოლიციის ბეჯებზე იქნება, პრობლემა ვერ გადაწყდება.

ხსნა წიგნიერებაშია, მწერალი ქუჩაში არ უნდა დასდევდეს არასრულწლოვანს. მწერლები, მეცნიერები, განათლებული ხალხი უნდა მიდიოდეს სკოლაში. სკოლა უნდა იყოს საზოგადოების საყრდენი. სოციალიზაცია რასაც ჰყქვია, იმის ლიბო-საძირკველი სწორედ განათლება უნდა გახდეს. ამასთან გასათვალისწინებელია ბევრი დეტალი, მით უფრო, როდესაც არასრულწლოვანის პოლიციასთან ურთიერთობაზეა საუბარი.

მე მიმაჩნია, რომ სიმძიმის ცენტრი განათლებასთან ერთად უნდა მუნიციპალიტეტებში უნდა იყოს გადატანილი, როცა სკოლიდან გამოვა ბავშვი, მათზე ზემოქმედების ღონისძიებებს, სულ ერთია, კულტურული იქნება ეს, სპორტული თუ სხვა სახის სათავეში მუნიციპალიტეტის ის ახალგაზრდა ძალა უნდა ჩაუდგეს, რომელიც საქართველოში პირველად ჩვენთან შეიქმნა. მუნიციპალიტეტის თავმჯდომარეს და იმერეთში ყველა გამგებელს ერთი მოადგილე ჰყავს ახალგაზრდებთან მუშაობის საკითხებში, უკეთესი სისტემა შეუძლებელია არსებობდეს. ოღონდ მისი სრული ძალით ამოქმედებაა საჭირო.

ახალგაზრდები მოსვენებას არ უნდა აძლევდნენ მწერალს, შემოქმედს, ხელოვანს, რომ მოვიდნენ მათთან, არ არის ამისათვის საჭირო დიდი აუდიტორია - 100-200 კაციანი სრულიად საკმარისია. ნებისმიერი მწერლისათვის უკეთესია სალონურ გარემოში ყოფნა, ერთ-ერთი ასეთი ლიტერატურული სალონი 29-ე სკოლაშია შექმნილი.

ჩვენ ვლაპარაკობთ, ვებრძოლოთ ახალგაზრდებში დანაშაულობასო. საერთოდ არ უნდა ვლაპარაკობდეთ ამაზე, უნდა ვლაპარაკობდეთ ახალგაზრდების განათლებაზე, წიგნიერებაზე, სულიერებაზე, სიყვარულის სწორედ იმ პრინციპებზე, რაზეც

დღეს აქ იყო საუბარი, მაშინ არაფერ შუაშია დანაშაული, აღარ დაგვჭირდება პროცენტები, საერთოდ არ იქნება დანაშაული არასრულწლოვანთა და ახალგაზრდებს შორის.

თამაზ ჯუმბურიძე - იმერეთის მხარის პროკურორი: მთლიანად საზოგადოების და მათ შორის საამრთალდამცავი ორგანოების მხრიდან მეტ ყურადღებას მოითხოვს არასრულწლოვანთა შორის მათხოვრობის, მაწანწალობისა და პროსტიტუციის პრობლემა. სწორედ არასრულწლოვანთა აღზრდის საქმეში დაშვებული ნაკლოვანებების შედეგია ის, რომ ამ კატეგორიის პირებმა 1996 წელს იმერეთში ჩაიდინეს 106, 1997 წელს - 86, ხოლო წლევანდელი წლის ხუთ თვეში 40-მდე დანაშაული. იმერეთის მხარეში დღეისათვის გამოვლენილი და აღრიცხულია 100-მდე არასრულწლოვანი, რომლებიც მათხოვრობენ და მაწანწალობენ.

ამ დღეებში მივიღეთ გენერალური პროკურორის და შინაგან საქმეთა მინისტრის ერთობლივი წერილობითი მითითება არასრულწლოვანთა შორის მათხოვრობის, მაწანწალობისა და პროსტიტუციის წინააღმდეგ ბრძოლის შემდგომი გაძლიერების შესახებ, რომელშიც დასახულია პროკურატურის და შინაგან საქმეთა ორგანოების უახლოესი ამოცანები.

ოტია იოსელიანი - მწერალი: მთელი უბედურება იმაშია, რომ ახალგაზრდა, რომელსაც დამნაშავეთა სამყარო გვართმევს, საქართველოს ხვალინდელი დღეა, ჩვენი ხვალინდელი ქვეყანაა, დამერწმუნეთ: თუ კი უწიგნურობის საშინელი სიმპტომი არ მოვსპეთ საქართველოში, ვერაფერთან მისვლას ვერ მოვახერხებთ. წიგნს თუ არ წაიკითხავენ, ისევ დავბრუნდებით უკან, გამოქვაბულისაკენ. თუმცა აქვე უნდა ვთქვათ ისიც, გამოქვაბულსაც ჰქონდა თავისი კანონები და ზნეობა, რაც შეუვალი გახლდათ. ამიტომ უნდა გვახსოვდეს : მემკვიდრეობით ცოდნა არ გადადის, მემკვიდრეობით მხოლოდ ნიჭი გადაიცემა.

რა მდგომარეობაა დღეს ჩვენს ბიბლიოთეკებში? აქ არ იხედებიან და ბიბლიოთეკარი მეტი გვყავს, ვიდრე მკითხველი. ასე, ძალიან გაგვიჭირდება. იმასთან მისვლა, რაზეც ვოცნებობთ, განათლების, ცოდნის გარეშე, ზნეობის გარეშე ვერ შეეძლებთ. ზნეობა თვითონაა წიგნი. ამიტომ არა მგონია, მოაზროვნე უზნეო იყოს. უწიგნურობას დავუმატეთ ისიც, რომ შემოვყარეთ რაღაც საშინელი ფილმები. სამწუხაროდ დღეს ჩვენში სხვას არაფერს უყურებენ, გამკონტროლებელი კი არავინაა.

მერი ფაჩუაშვილი - აკაკი წერეთლის სახელობის საბავშვო ფონდის ქუთაისის ზონის რეგიონალური ორგანიზაციის თა-

ვმჯდომარე: დღეს უპირველესად ყოველისა, ეხედავ შინაგან საქმეთა ორგანოებისა და საბავშვო დაწესებულებების ერთობლივი მუშაობის გეგმის შემუშავების აუცილებლობას, მასში აუცილებლად უნდა შეეიდეს ბავშვთა უზედამხედველობასთან დაკავშირებული აქტუალური საკითხები. პირველ რიგში იმ ბავშვებით უნდა დავინტერესდეთ, რომლებიც საყოველთაო სავალდებულო კანონის უქონლობამ ქუჩის ბინადრებად აქცია, ხოლო მათი ერთი ნაწილი, ლუკმა პურის საშოვნელად, წვრილმანი საგნებით ვაჭრობს, რასაც დღეს საუბედუროდ, მცირე ბიზნესი ჰქვია.

დღეს, თვით სამხარეო და ქალაქის ადმინისტრაციები, შინაგან საქმეთა ორგანოები, არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად, სერიოზულად უნდა დაინტერესდნენ ამ ბავშვების ოჯახებით - ვინ არიან ისინი. ვინ განაგებს მათ ბედს.

დღევანდელ რთულ ცხოვრებაში, სადაც ფაქტობრივად ადგილი არ რჩება სულიერებისა და ადამიანური გრძნობებისათვის, ბავშვების უდიდესი უმრავლესობა, მარტო დარჩა, ბავშვმა არ იცის ვის მიმართოს, ვის სთხოვოს თანადგომა, არა აქვს არავითარი შეღავათი, მისგან ყველაფერს ისე ითხოვენ, როგორც დიდისაგან.

საბავშვო ფონდს აქვს ერთობლივი მუშაობის ეროგვარი გამოცდილება. 1997 წელს არასამთავრობო ორგანიზაცია "ძლევაის", ქუთაისის წისქვილკომბინატის და ცეკავშირის ბაზის ხელმძღვანელის, ახალგაზრდა ბიზნესმენის დახმარებითა და თანადგომით კვერეთში უფასოდ დაეასვენეთ 25 ობოლი და მზრუნველობას მოკლებული ბავშვი. ეს იყო ჩვენი ერთობლივი თანამშრომლობის პირველი მერცხალი.

თამაზ ფირცხალაიშვილი - იმერეთის მხარის სასკოლო ოლქის სამმართველოს უფროსი: უნდა აღსდგეს კავშირები სკოელბსა და არასრულწლოვანთა საქმეების ინსპექციას შორის. უნდა მოწესრიგდეს მოხეტიალე ბავშვების ე.წ. ძნელადაღსაზრდელებისა და არაკეთილსაიმედო ოჯახების აღრიცხვა . ეს მასალები ერთდროულად უნდა ჰქონდეს არასრულწლოვანთა ინსპექციას, სკოლას და პედაგოგ ორგანიზატორს, რომელთა ინსტიტუტი ჩვენ უკვე აღვადგინეთ. განსაკუთრებული საზრუნავია, რომ სკოლებში რეალურად ამოქმედდეს პროფილაქტიკური საბჭოები. შექმნილია ინტერესების მიხედვით მოსწავლეთა არაპოლიტიკური გაერთიანებები. მათი თავისუფალი დროის სწორად ორგანიზაციის მიზნით აუცილებლად გადასაწყვეტია მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა ინტერნატული მოწყობა.

ვინ უნდა გააკეთოს ეს, თუ არა სკოლამ, მასწავლებელმა და ოჯახმა. ამიტომ მივდივართ იქითკენ, რომ სკოლამ უნდა შეძლოს მოსწავლის ყველა ინტერესის ძირითადად დაკმაყოფილება, მით უფრო, რომ სკოლა საზოგადოების სარკეა და მასში უტყუარად აისახება საზოგადოებრივი ცხოვრების აეიც და კარგიც.

ალექსანდრე შენგელია საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაციის იმერეთის რეგიონალური ორგანიზაციის თავმჯდომარე: შემთხვევითი არ არის იმერეთის სამხარეო შინაგან საქმეთა მთავარ სამმართველოსა და საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტის თათბირ-სემინარის დღის წესრიგი არასრულწლოვანთა დანაშაული და ნარკომანია ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული ორი ის ავთვისებიანი სიმსივნეა, რომლებსაც დროულად და ძალზე სერიოზულად თუ არ ვუმკურნალეთ, სრული განადგურებით ემუქრება ჩვენს ქვეყანას და კვლავაც რეალური გახდება 90-იანი წლების იმ ქაოსისაკენ დაბრუნების საფრთხე, როცა სახელმწიფოს ყველა სადავის ხელში ჩაგდებას ქურდული კლანი ცდილობდა.

განსაკუთრებული სიფრთხილე არის საჭირო ნარკომანიასთან დამოკიდებულებაში. ნარკოტიკების მომყვანი, დამამზადებელი, შემნახავი და გამსაღებელი, სხვისი უბედურებით მოვაჭრე არა მარტო ჩვენი ქვეყნის, არამედ ადამიანთა მთელი მოდგმის მოღალატეა.

არასრულწლოვანთა დანაშაულის აღმოფხვრის და ნარკომანიის დაძლევისათვის ერთ მუშტად შეკვრის მიზნით, იმერეთის სამხარეო შინაგან საქმეთა მთავარი სამმართველოსა და მასთან არსებული საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტის თათბირ-სემინარის მონაწილეებმა ერთხმად მიიღეს მიმართვა სრულიად საქართველოს ყველა მოქალაქისადმი.

მიმართვაში ნათქვამია:

იმერეთის სამხარეო შინაგან საქმეთა მთავარი სამმართველოსა და საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტის თათბირ-სემინარის მონაწილეები მოგმართავთ თქვენ - სრულიად საქართველოს ერსა და ბერს, ვისაც ბედნიერება გვხვდა, მეორე ათასწლეულის ბოლო ათწლეულში მოგვეპოვებინა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა და გვაქვს პატივი ლიბო-საძირკველი შევუმზადოთ 21-ე საუკუნის საქართველოს ძლიერებას, მის ერთიანობასა და აღმასვლას.

ძლიერი ქვეყანა გვექნება მაშინ, როცა გვეყოლება ძლიერი პიროვნებები და ძლიერი ოჯახები. ეს კი იმას ნიშნავს, რომ უნდა განვიწმინდოთ იმ ცოდვებისაგან, რომლებიც ამძიმებენ ჩვენს სულს, აფერხებენ ცხოვრების ნორმალურ რიტმს, ხელს უშლიან ქვეყნის ეკონომიკურ გაჯანსაღებასა და საქართველოს რეალურ დამოუკიდებლობას.

ქართველი კაცის მიერ ქურდობის პირველი შემთხვევის ნიშნად გასულ საუკუნეში ორბელიანთა და ჭავჭავაძიანთა ქალებმა ძაძები ჩაიცვეს.

ორი საუკუნის მანძილზე თავს მოხვეულმა უცხო იდეოლოგიამ და ჩვევებმა მტკივნეული დაღი დაასვა თავისუფლებაწართმეული ქვეყნის მოსახლეობას. დავიწყებას მიეცა ძალზე ბევრი საყურადღებო ეროვნული ტრადიცია.

ჩვენი წინაპრები სახელშერცხვენილ კაცს ნაძრახ მიწაში ფლავდნენ. მეოცე საუკუნის მეორე ნახევრიდან კი ქურდებისათვის სულდ უფრო აშკარად შენდებოდა პომპეზური სასაფლაოები და მავზოლეუმები, უნთებდნენ მარადიულ ცეცხლს, ბოლო წლებში კი უშენებდნენ ეკლესიებსაც, რამაც გამოიწვია საზოგადოებრივი ცნობიერების დეფორმირება, განსაკუთრებით მოზარდებს შორის.

წარმოუდგენელია ზემოთქმულზე უფრო დიდი მკრეხელობა. არადა ყველაფერი ეს თითოეული ჩვენგანის - ერისა და ბერის თვალწინ უკეთურებისადმი ჩვენი დანაშაულებრივი შემგუებლობის გამო ხდებოდა.

ამ ინდიფერენტიზმის გამო მრავალი ჩვენგანის კარზე დააკაკუნა უბედურებამ. ბევრი მოზარდი ასცდა გზას, მრავალი ახალგაზრდა გამოგვტაცა ხელიდან ქურდული ტრადიციების ყალბმა პრესტიჟულობამ.

ქურდობასთან, ძარცვასთან, ბანდიტიზმთან, უმჭიდროეს კავშირშია ისეთი უმძიმესი სოციალური სენი, როგორიც ნარკომანიაა. სტატისტიკა ადასტურებს , რომ უზნეობით და უნებისყოფობით გამოწვეული ეს დაავადება ასაკობრივად გაახალგაზრდავდა. ამას მნიშვნელოვანწილად შეუწყო ხელი გარდამავალი პერიოდის სიძნელეებმა და მოსახლეობის უფართოესი ფენების უკიდურესმა სიღატაკემ.

დღეს უკვე გამოინახა სიდუხჭირისაგან გამოსვლის რეალური გზა. საქართველო ფაქტობრივად მსოფლიოსათვის ორმხრივი მიმართულების დიდი დერეფანი ხდება. სამწუხაროდ, მრავალ სიკეთესთან ერთად, ამ გზას ნარკოტიკების ფართო გავრცელების

საურთხე ახლავს. ამიტომ არის აუცილებელი მთელი საზოგადოების ერთ მუშტად შეკვრა და ამ დიდი გამოცდილების გამოყენება, რაც სხვადასხვა უკეთურებასთან ბრძოლისას ჩვენმა ქვეყანამ წინა ათწლეულებში დააგროვა.

ნარკომანია მხოლოდ პიროვნების რღვევა როდია. ყველა სხვა დანაშაულის პოხიერი ნიადაგია. ამასთან ავადმყოფი შთამომავლობაა - განწირული შვილები, შვილიშვილები, შვილთაშვილები, რომელთა ერთადერთი, ამასთან მათთვის სრულიად უსებლიე დანაშაული ნარკომანიისაგან წარმომავლობაა.

ღრმად გაუაზრებლად, შიშველი ხელით, მით უფრო დილეტანტის დონეზე და გაუპიროვნებლად შეუძლებელია ამ ორი უმწვავესი წყლულის განკურნება. თუ სულიერი და ფიზიკური სიჯანსაღისათვის უმძიმეს ბრძოლაში ოჯახს თავის ადგილი არ ექნა, სკოლასა და მეცნიერს თავისი პოლიციელსა და სამართალდამცავს - თავისი, თუ არ გვეცოდინება, კონკრეტულად ვინ რაზე ვაგებთ პასუხს, რომელ მოზარდზე, რომელ პიროვნებაზე, მხოლოდ პასუხისმგებლობის სფეროს დაკონკრეტება და თითოეულის სამოქმედო უბარზე ყველა ჩვენგანის საერთო ძალისხმევა შეგვაძლებინებს მართლები ვიყოთ ღმერთთან, საკუთარ სინდისთან და ქვეყნის ხვალინდელ დღესთან.

შვილების და შთამომავლობის, ისევე როგორც 21-ე საუკუნის საქართველოს ბედი, საზოგადოების თითოეული წევრის - ჩვენი ოჯახების, სკოლების, მეცნიერთა, კანონშემოქმედი, ძალოვანი და სამართალდამცავი ორგანოების ხელშია, მართებულად ბრძანა პოეტმა: "საქართველო, შენ ვინ მოგცა შვილი დასაკარგავი"?

მაშ, ვუსმინოთ მაძაზეციერსა და დედა-სამშობლოს, გვახსოვდეს ძე-შეუცდომელიც და ძე შეცდომილიც, ვიზრუნოთ თითოეული მათგანის სულის გადარჩენისათვის. ეს საქართველოს გადარჩენაა, მისი რეალური დამოუკიდებლობაა, ქვეყნის ხვალინდელი ნათელი დღეა!

თათბირ-სემინარის მონაწილეებმა 30-მდე ძნელადაღსაზრდელ არასრულწლოვანს დაუნიშნეს მზრუნველი შეუვები. მაგალითად, რუბენ ასანიძე - იმერეთის სამხარეო შინაგან საქმეთა მთავარი სამმართველოს უფროსი, პოლიციის პოლკოვნიკი, სამი შვილის მამა მზრუნველობას გაუწევს 14 წლის ქუთაისელ იაგო როხვაძეს. მზრუნველებისა და აღსაზრდელების სია გამოაქვეყნა გაზეთმა "ბექთარმა" 1998 წლის ივნის-თიბათვის ნომერში.

გადავარჩინოთ 21-ე საუკუნის საქართველო

ამ დეკადით 1999 წლის 26 თებერვალს გაიმართა საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტის გაფართოებული სხდომა. იგი მოამზადა არასრულწლოვანთა და ახალგაზრდობას შორის მუშაობის კომისიამ.

საქართველოს შსს საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტის არასრულწლოვანთა და სტუდენტთა ახალგაზრდობას შორის მუშაობის კომისიის თავმჯდომარის, პროფესორ ვახტანგ ქარუმიძისა და შსს კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ორგანიზებულ დანმნაშავეობასთან ბრძოლის და სისხლის სამართლის სამეცნიერო მთავარი სამმართველოს არასრულწლოვანთა და სტუდენტ-ახალგაზრდობას შორის დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველოს უფროსის, პოლიციის პოლკოვნიკ რობერტ ფაილოძის სრული და ამომწურავი მოხსენებების შემდეგ არასრულწლოვანთა მდგომარეობაზე, პრობლემის გადაჭრის გზებზე იმსჯელეს საქართველოს სახელმწიფო კანცელარიის საზოგადოებრივი აზრის კვლევის განყოფილების უფროსმა დოდო ყარაულაშვილმა, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორმა, პროფესორმა რამაზ ხუროძემ, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანმა, პროფესორმა რომან შენგელიამ, პროფესორმა ზურაბ ჭილაძემ, თბილისის შსს მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილემ, პოლიციის პოლკოვნიკმა უშანგი მგელაძემ, კინორეჟისორმა კარლო ღლონტმა, პარლამენტის წევრმა, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის ქალთა და ბავშვთა დაცვის და ოჯახის განვითარების საკითხთა ქვეკომიტეტის თავმჯდომარემ მარიამ მირიანაშვილმა, საქართველოს განათლების მინისტრის პირველმა მოადგილემ გია შერვაშიძემ, საქართველოს შს მინისტრის პირველმა მოადგილემ ჯიმი მიქელაძემ. ოჯახის ინსტიტუტი, დემოგრაფიული პრობლემები, არასრულწლოვანთა დასაქმება, საბავშვო სახლები, ნარკომანიასა და ნარკობიზნესთან, პორნოგრაფიასა და პორნობიზნესთან ბრძოლა. მოკლედ ასე შეიძლება ჩამოყალიბდეს მომხსენებელთა და კამათში გამომსვლელთა საუბრის თემა.

მესამე ათასწლეულის დამდეგის გლობალური საკითხი, თანამედროვეობის უდიდესი პრობლემა - არასრულწლოვანთა სოცი-

ალური დაცვა, პროფესიული მომზადება, სამართალდარღვევათა პროფილაქტიკის მდგომარეობა და მისი გაუმჯობესების ღონისძიებების შემუშავება იყო საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტის გაფართოებულ სხდომაზე მოხსენებების მთავარი თემა.

საუკუნის მიწურულს დამნაშავეობის აღზევებამ, განათლების სისტემის მოშლამ, სხვა ნეგატიურმა მოვლენებმა არასრულწლოვანებსაც მძიმე დაღი დაასვა. არასრულწლოვანთა დანაშაული მკვეთრად გაიზარდა. ამიტომაც აუცილებელი გახდა სპეციალური სახელმწიფო პროგრამის შემუშავება. საქართველოს პრეზიდენტმა 1996 წლის 1 ივლისს დაამტკიცა უშიშროების საბჭოს მიერ მოწონებული არასრულწლოვანთა შორის მუშაობისა და სამართალდარღვევათა პროფილაქტიკის სახელმწიფო პროგრამა, რომლის შემუშავებაში დიდი წვლილი შეიტანეს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ და მასთან არსებულმა საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტმა.

პროგრამის მიღების შემდეგ გადაიდგა პრაქტიკული ნაბიჯები მდგომარეობის გამოსასწორებლად: აღდგა არასრულწლოვანთა საქმეების ინსპექციების სამსახური, საქალაქო და რაიონული კომისიები. პროგრამამ ხელი შეუწყო ამ მნიშვნელოვანი პრობლემის განხორციელებისადმი კომპლექსური მიდგომის უზრუნველყოფას.

საქართველოში გრძელდებოდა არასრულწლოვანთა სოციალური დაკისა და სამართალდარღვევათა პროფილაქტიკის სახელმწიფო პროგრამით განსაზღვრული ღონისძიებების შესრულება. ამის შედეგად მდგომარეობა ერთგვარად გაუმჯობესდა თბილისში, შიდა ქართლში, მცხეთა-თიანეთში, კახეთსა და სხვა რეგიონებში; ქვეყნის 15-მდე ქალაქსა და რაიონში არ დაფიქსირებულა არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილი დანაშაული.

თბილისის ყველა რაიონში გამგეობებთან შექმნილია არასრულწლოვანთა საქმეების კომისიები; მოქმედებენ შინაგან საქმეთა სამმართველოს არასრულწლოვანთა ინსპექციები; მუშაობა მიმდინარეობს სამართალდამრღვევ არასრულწლოვანთა და მიუსაფარ ბავშვთა გამოვლენისათვის. თბილისის მერიასთან არსებულმა არასრულწლოვანთა კომისიამ გამოავლინა და აღრიცხა 600-ზე მეტი სამართალდამრღვევი, მაწანწალა და მათხოვარი არასრულწლოვანი. რეიდების შედეგად აღრიცხვაზე აიყვანეს 180 არასრულწლოვანი სამართალდამრღვევი, მაწანწალა, 325 მიუსაფარი მოზარდი.

ძნელადაღსაზრდელთა მშობლების უმეტესობა უპასუხისმგებლოდ ეკიდება შვილების აღზრდას, თავს არიდებს სკოლასთან ურთიერთობას, ცნობილია ისიც, რომ სამართალდამრღვევი მოზარდების 50 პროცენტი ობოლია ან ნახევრადობოლი, 70 პროცენტი სოციალურად დაუცველია.

საქართველოში 2500 უზედამხედველო და მზრუნველობას მოკლებული არასრულწლოვანია რეგისტრირებული. მათი ბედი უამრავი სამთავრობო თუ არასამთავრობო ორგანიზაციის, კომისიისა და ოფიციალური სტრუქტურის ხელთაა. ბავშვებზე მზრუნველობის ერთ-ერთი რგოლია გამგეობებთან არსებული არასრულწლოვანთა საქმეების კომისიები, რომლებსაც მჭიდრო კავშირი აქვთ ასეთივე სახის სამთავრობო კომისიასთან, სკოლებთან, იმ დაწესებულებებთან, რომელთაც ამ კატეგორიის მოზარდებზე ზრუნვა აქვთ მინდობილი ან თავად კისრულობენ დახმარებას.

საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტების მუშაობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულებაა საქართველოში არსებული არასრულწლოვანთა შორის პროფილაქტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის სპეციალური სტრუქტურების სრულყოფაში აქტიური მონაწილეობის მიღება.

საქართველოში მცხოვრებ უდედმამო ბავშვთა სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრრივი მხარდაჭერის ნათელი დადასტურებაა საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 2 აგვისტოს ბრძანებულება, ამ ბრძანებულებით საქართველოში მცხოვრებ იმ ოჯახებს, რომლებიც ზრუნვისა და მეურვეობისათვის იშვილებენ სახელმწიფო-აღმზრდელობით დაწესებულებებში მყოფ უდედმამო ბავშვებს, მიეცემათ საქართველოს პრეზიდენტის ერთჯერადი დახმარება 500 ლარის ოდენობით თითოეულ ბავშვზე. გარდა ამისა, დაწესებულია სოციალური დახმარება ბავშვის სრულწლოვანებამდე თვეში ორმაგი მინიმალური ხელფასის ოდენობით შესაბამისი ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტიდან.

არასრულწლოვანთა პრობლემებს განსაკუთრებით დიდ ყურადღებას უთმობს საქართველოს პარლამენტი. ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტში 1996-1998 წლებში რამდენჯერმე გაიმართა საკომიტეტო მოსმენა იმის თაობაზე, თუ როგორ ხორციელდება არასრულწლოვანების სამართალდარღვევათა პროფილაქტიკის სახელმწიფო პროგრამა. ასეთი

მოსმენა 1998 წლის 15 დეკემბერსაც გაიმართა ქალთა და ბავშვთა დაცვის და ოჯახის განვითარების საკითხთა ქვეკომიტეტში.

საქართველოს პარლამენტის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტმა დადებითად შეაფასა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს და მასთან არსებული საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტის მუშაობა სახელმწიფო პროგრამის განხორციელებისათვის. ამასთან, კომიტეტმა აღნიშნა სახელმწიფო პროგრამის შესრულებაში ჯერ კიდევ არსებული ნაკლოვანებები: "არ არის მკვეთრად გამიჯნული პასუხისმგებელი სამინისტროების ფუნქციებიც. გარდა ამისა, შეიქმნა ახალი რეალიები: "ქუჩის ბავშვები", ბავშვთა თავშესაფრები და სხვ., არ არსებობს ერთიანი კომპლექსური მართვის სისტემა, რის გამოც საჭირო გახდა ახლებური მიდგომა აღნიშნული საკითხისადმი.

სხდომამ მხარი დაუჭირა საქართველოს პარლამენტის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის წინადადებას, შეიქმნას მსოფლიო სტანდარტების შესაბამისი, ეფექტიანი, ერთიანი საკანონმდებლო აქტი - "არასრულწლოვანთა შორის სამართალდარღვევათა პროფილაქტიკის სახელმწიფო სისტემის საფუძვლების შესახებ". როგორც ითქვა, კანონპროექტმა ზუსტად და მკაფიოდ უნდა განსაზღვროს ყველა იმ სამინისტროსა და უწყების უფლება-მოვალეობანი, რომლებსაც ევალებათ არასრულწლოვანთა პრობლემების გადაწყვეტა, მოხდეს მათი კოორდინაცია, ერთიანი ძალისხმევა საერთო მიზნის მისაღწევად.

სახელმწიფო პროგრამის არსებობის მიუხედავად, ისიც აღინიშნა, რომ კონკრეტული მუშაობა დღემდე სასურველი მასშტაბით არ გაშლილა. ამ პროგრამის ხორცშესხმაში თანაბარი დონით და მიზანმიმართულად ვერ მონაწილეობენ რაიონული და საქალაქო რგოლები, განათლების ორგანოები, სკოლები, კოლეჯები, გიმნაზიები, ლიცეუმები, უმაღლესი სასწავლებლები. სახელმწიფო და კერძო სტრუქტურები, ძალისმიერი დაწესებულებები.

არასრულწლოვანთა შორის სამართალდარღვევები ფართო მასშტაბს და არასასურველ მიმართულებებს იძენს. ამის დასამტკიცებლად მოიყვანეს რამდენიმე ციფრი: 1996 წელს არასრულწლოვანთა მონაწილეობით საქართველოში რეგისტრირებული იყო 668 დანაშაული, 1997 წელს 614, ხოლო 1998 წელს 689. არასრულწლოვანები მონაწილეობენ ისეთ დანაშაულობებ-

ში, როგორიცაა მკვლელობა, ყაჩაღობა, ქურდობა, ძარცვა, გაუპატიურება, ხულიგნობა და სხვა. ამ მხრივ, განსაკუთრებით რთული მდგომარეობა იყო თბილისში, წყალტუბოსა და ჭიათურაში.

პრობლემის სიმწვავეს ადასტურებდა საქართველოს პრეზიდენტის სიტყვებიც: "შემაშფოთებელი მასშტაბი შეიძინა მცირეწლოვანთა მათხოვრობამ, დამნაშავეობამ, პროსტიტუციამ. თუ ასე გაგრძელდა, ეს ბავშვები მომავლის დაკარგვის წინაშე აღმოჩნდებიან".

სხდომა მიესალმა მიუსაფარი ბავშვებისათვის ოჯახური გარემოს შექმნას. მისი აზრით, გაამართლა თბილისში შექმნილმა თავშესაფარმა, რომელსაც საზოგადოებრივი ორგანიზაცია "ბავშვი და გარემო" ხელმძღვანელობდა, - ეს არის ნიმუში იმისა, თუ როგორ შეიძლება სახელმწიფო და საზოგადოებრივი სტრუქტურების თანადგომის შემთხვევაში მოკლე დროში და ეფექტიანად მივაღწიოთ სასურველ შედეგს.

ასევე დადებით მუშაობს ეწევა ობოლ და მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა ფონდი "მრევლი", ასეთი თანამშრომლობის საფუძველზე, საქართველოს განათლების სამინისტრომ, პარლამენტარ ქალთა კლუბმა, სხვა სახელმწიფო და საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა, გარკვეულ წარმატებებს მიაღწიეს.

სერიოზულ შეშფოთებას იწვევდა საქართველოში ალკოჰოლიზმის დინამიკის ზრდა და მწეველთა ასაკის საგრძნობი გაახალგაზრდავება. არასრულწლოვანებში თამბაქოს წევა და ალკოჰოლიზმისადმი მიდრეკილდება ნარკოტიკული საშუალებების მოხმარებისკენ გადადგმული პირველი ნაბიჯია. დადგენილია, რომ ყოველი მეორმოცე მწეველი მოზარდი შემდგომში ნარკომანიის მსხვერპლი ხდება სიგარეტის წევა და ალკოჰოლის სისტემატური მიღება ახალგაზრდებს, უმთავრესად არასრულწლოვანებს, დამნაშავეთა სამყაროსაკენ, მათხოვრობის, მაწანწალობის, პროსტიტუციისა და გარყვნილებისაკენ უბიძგებს.

საზოგადოებრიობას დიდად აწუხებს, რომ ირღვევა ბავშვთა უფლებები. ბავშვებთა უფლებათა დეკლარაციის და სხვა საერთაშორისო აქტების მიხედვით ბავშვი ყველა ვითარებაში უნდა იყოს იმათ შორის, ვისაც უპირველესად ევალება დაცვა და დახმარება, ბავშვი არ უნდა იქცეს ვაჭრობის ობიექტად, ასაკობრივი მინიმუმის მიღწევამდე არ შეიძლება ბავშვის მიღება სამუშაოზე. მას არავითარ შემთხვევაში არ უნდა დაევალოს და არც

ნება დაერთოს შეასრულოს ისეთი სამუშაო, რომელიც საზიანო იქნება მისი ჯანმრთელობისა და განათლებისათვის, ანდა შეაფერხებს მის ფიზიკურ, გონებრივ და ზნეობრივ განვითარებას.

თათბირმა ამჯერად ბენზინგასამართი სადგურების, ბაზრების, საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტების, მაღაზიების, ბაზრობებისკენ მიგვითითა. აქ ცხადი ხდება, თუ როგორ ირღვევა არასრულწლოვანთა უფლებები.

არასრულწლოვანთა დამნაშავეობის პროფილაქტიკის საკითხებზე მუშაობენ თბილისისა და სამხარეო შინაგან საქმეთა მთავარი სამმართველოები, მათთან არსებული საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტები. საზოგადოებრივი აზრის სამხარეო ინსტიტუტები მართავენ სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციებს, განათლების განყოფილებებთან ერთად შეისწავლიან სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის საკითხებს, აანალიზებენ არასრულწლოვანთა სამართალდარღვევებს, შეიმუშავებენ რეკომენდაციებს მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის; მათი მუშაობის პრაქტიკაში დაინერგა მზრუნველობა, შეფობა ძნელადაღსაზრდელ არასრულწლოვანებზე.

არასრულწლოვანთა პრობლემების მიმართ საზოგადოებრივი აზრის ფორმირებაში დადებით როლს არსულებენ საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტების საოლქო გაზეთები. ამ მხრივ თათბირმა მოიწონა თბილისის, იმერეთის, შიდა ქართლის, ქვემო ქართლის, მცხეთა-თიანეთის, კახეთის საოლქო გაზეთების რედაქტორებისა და სარედაქციო საბჭოების მუშაობა.

გაწეული მუშაობის გაანალიზებისას, სხდომაზე ისიც ითქვა, რომ არასრულწლოვანებთან მუშაობაში, ნარკომანიასა და ნარკობიზნესის წინააღმდეგ ბრძოლაში დადებითი გამოცდილება დაგროვეს თბილისის, იმერეთის, შიდა და ქვემო ქართლის, მცხეთა-მთიანეთის, კახეთის, სამცხე-ჯავახეთის, გურიის, სამეგრელო-ზემო სვანეთის საოლქო შინაგან საქმეთა მთავარმა სამმართველოებმა და მათთან არსებულმა საზოგადოებრივი აზრის ინსტიუტუტებმა. განსაკუთრებით აღინიშნა თბილისის შინაგან საქმეთა მთავარ სამმართველოსთან არსებული საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტის საქმიანობა, რომელსაც პროფესორი ზურაბ ფორაქიშვილი ხელმძღვანელობდა.

შეკრებამ მიმართა საქართველოს საზოგადოებრიობას, გაიცნობიეროს, ყურადრების ცენტრში დააყენოს არასრულწლოვანთა

შორის სამართალდარღვევათა პროფილაქტიკის საკითხები, ხოლო პრესამ, რადიომაუწყებლობამ, ტელევიზიამ, უმთავრესი ყურადღება დაუთმონ ამ პრობლემას.

გაფართოებული სხდომის მონაწილეებმა მიიღეს მიმართვა საქართველოს საზოგადოებრიობისადმი.[1] მასში ნათქვამი იყო: 90-იანი წლების დამდეგს ქვეყანაში შექმნილმა რთულმა საზოგადოებრივ-პოლიტიკურმა სიტუაციამ, ეკონომიკის დაქვეითებამ, ქაოსისა და განუკითხაობის დამკვიდრებამ არასრულწლოვანებსაც დარია ხელი. გამძაფრდა კრიმინოგენული ვითარება, გაფართოვდა დამნაშავეთა არე და ამ წრეში სულ უფრო მეტი ახალგაზრდა აღმოჩნდა. არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილ კანონსაწინააღმდეგო ქმედებათა რაოდენობა მკვეთრად გაიზარდა. მოიშალა მოზარდებს შორის პროფილაქტიკური მუშაობა, გაუქმდა არასრულწლოვანთა საქმეების კომისიები, სპეციალური პროფტექნიკური სასწავლებელი; ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე შეწყდა ზემო ავჭალის შრომა-აღმზრდელობითი კოლონიის ფუნქციონირება მათ დაკარგეს მიზანდასახულობა, გაუარესდა სამუშაო პირობები და გახშირდა კადრების დენადობა არასრულწლოვანთა საქმეების ინსპექციებში.

ამ საგანგაშო ტენდენციებმა წარმოშვა სპეციალური სახელმწიფო პროგრამების შემუშავების აუკცილებლობა. არასრულწლოვანთა სოციალური დაცვის, პროფესიული მომზადებისა და სამართალდარღვევათა პროფილაქტიკის სახელმწიფო პროგრამა მოიცავდა 1996-1999 წლებს. პროგრამამ ხელი შეუწყო ამ მნიშვნელოვანი პრობლემებისადმი კომპლექსური მიდგომის უზრუნველყოფას, რისი დადებითი შედეგები სახეზეა.

ამასთან ერთად, არასრულწლოვანთა შორის დამნაშავეობის პროფილაქტიკის საქმეში ბევრი პრობლემა გადაუჭრელი რჩება. აღნიშნულ კონტინგენტს სრულწლოვანებთან ერთად ჩადენილი აქვს ყველა სახის დანაშაული. ასეულობით არასრულწლოვანი ნარკომანია, მათხოვრობს, მაწანწალობს; შემზარავია მოზარდთა პროსტიტუცია, ვენერიულ დაავადებათა არსებობა; ფართოდ გავრცელდა ალკოჰოლიზმი, გაიზარდა თამბაქოს მწეველთა რაოდენობა; გამოიკვეთა სწავლისადმი არაკეთილსინდისიერი დამოკიდებულება; შეინიშნება მოზარდის გაუხეშების, ზნეობის მოშლის, რწმენის დაკარგვის ტენდენციები.

---

1. გაზეთი "საქართველოს რესპუბლიკა", 1999 წლის 17 მარტი

არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილი დანაშაულობანი 1998 წელს 12.2 პროცენტით გაიზარდა, დამნაშავეთა 65 პროცენტი 14-დან 30 წლამდე ასაკისაა. საგრძნობლად იმატა არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილმა მძიმე დანაშაულობებმა: განზრახ მკვლელობებმა (11), სხეულის განზრახ მძიმე დაზიანებებმა (16), ყაჩაღობებმა (51), ქურდობებმა (420), ხულიგნობამ (21), ავტომანქანის გატაცებამ (35), ნარკომანიის ფაქტებმა (13) და სხვ.

მიგვაჩნია, რომ დადგა ზარის შემოკვრის, განგაშის ატეხვის, პრობლემის გაცნობიერების, საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბების, ამ დარგში სახელმძღვანელოდ მეცნიერული პრინციპების შემუშავებისა და განხორციელების დრო.

ძვირფასო თანამემამულენო!

არასრულწლოვანთა შორის მუშაობა პრობლემათა პრობლემაა. იგი მთელი ჩვენი საზოგადოებრიობის ყურადღების ცენტრში უნდა მოექცეს. ბავშვებისა და მოზარდების დაცვა მხოლოდ სახელმწიფოებრივ ზრუნვას შეუძლია.

მოგიწოდებთ:

1. დავიცვათ არასრულწლოვანები ისეთი მანკიერებებისაგან, რომლებიც მათ სულიერ და ფიზიკურ დეგრადაციას იწვევს. ეს არის თამბაქოს წევა, ნარკოტიკების და ალკოჰოლის მიღება, პროსტიტუცია, მათხოვრობა, მაწანწალობა და ა.შ.

2. არ დავუშვათ არასრულწლოვანების ხელყოფა კრიმინალური სამყაროს მხრიდან; ბავშვები და მოზარდები ხომ ქურდების, მძარცველების, ყაჩაღებისათვის ადვილად გადასაბირებელი შეგსებაა. ბევრი არასრულწლოვანი დანაშაულის გზას სწორედ მათი გავლენით ადგება.

3. დროა ყველა ჩვენგანი დააფიქროს არასრულწლოვანთა ბედმა, მდგომარეობამ, პრობლემებმა; იგი უნდა იყოს ნებისმიერი თანამდებობის პირის, პარლამენტარის, უმაღლესი და საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სასწავლებლების, პოლიტიკური პარტიებისა და საზოგადოებრივი მოძრაობების ყურადღების ცენტრში.

4. მძაფრი ბრძოლა გამოვუცხადოთ წამქეზებელ პირებს, რომლებიც ცდილობენ არასრულწლოვანები ჩააბან დანაშაულში, დაიყოლიონ ისინი პროსტიტუციასა და სხვა სექსუალურ გარყვნილობაზე, მათხოვრობასა და სხვა ანტისაზოგადოებრივ ქმედებაზე;

5. შეურიგებელი ვიყოთ იმათ მიმართ, რომლებიც არასრულწლოვანებით ვაჭრობენ, ყიდიან ან ყიდულობენ მათ.

6. მტკიცედ ვებრძოლოთ არასრულწლოვანის ინტერესების საზიანოდ მეურვეობის, მზრუნველობის, ზედამხედველობის, ან აღზრდის მოვალეობის შეუსრულებლობას ან არაჯეროვნად შესრულებას მშობლის, პედაგოგის ან სხვის მიერ, ვისაც დაკისრებული აქვს ეს საპატიო მოვალეობა;

7. მთავარ ამოცანად დავისახოთ მიღწეულ წარმატებათა განმტკიცება, ბავშვებისა და მოზარდი თაობის ჰარმონიული განვითარებისა და ნაყოფიერი სწავლისათვის ყოველგვარი პირობების შექმნა, მათი ფართოდ ჩაბმა ფიზკულტურასა და სპორტში, ტექნიკურ და მხატვრულ შემოქმედებაში;

8. განათლების დარგის მუშაკებმა მეტი ყურადღება დავუთმოთ არასრულწლოვანთა სწავლასა და აღზრდას, მათ პროფესიულ მომზადებას, გაიმართოს კვირეულები და სხვა ღონისძიებები პოლიციის ორგანოებში აღრიცხული მოზარდების სამართლებრივი განათლების უზრუნველსაყოფად;

9. არასრულწლოვანთა საქმეების ინსპექციებმა, საქალაქო და რაიონულმა კომისიებმა, მიმღებ-გამანაწილებლებმა, ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულებებმა, კოლონიამ ძირეულად გააააუმჯობესონ საქმიანობა, პრაქტიკაში დანერგონ ახალი ფორმები და მეთოდები, დახვეწონ ფუნქციები;

10. საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტის წევრები, ქართველი მეცნიერები, ლიტერატურისა და ხელოვნების თვალსაჩინო მოღვაწეები შეეხვდეთ არასრულწლოვანებს, მათ მშობლებს, პედაგოგებს - ვიმსჯელოთ ბავშვთა და მოზარდთა პრობლემების მოგვარებაზე;

11. პრესის, ტელევიზიის, რადიომაუწყებლობის მუშაკებმა, ქართველმა ჟურნალისტებმა თავიანთი საქმიანობის ცენტრში დააყენონ არასრულწლოვანთა პრობლემები.

მოვუსმინოთ ჩვენი სამშობლოს მომავლის ძახილს, გვახსოვდეს ძე-შეუცდომელიც და ძე-შეცდომილიც, ვიზრუნოთ თითოეული მათგანის სულის გადარჩენისათვის. ეს კი საქართველოს გადარჩენაა, მისი რეალური დამოუკიდებლობა, ქვეყნის ხვალინდელი, ნათელი დღეა, 21-ე საუკუნის საქართველოა.

სამტრედიის სპეციალური სკოლა

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და მასთან არსებული საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტის მუდმივი ყურადღების ცენტრში დგას სამტრედიის სპეციალური სკოლა. ინსტიტუტის შესაბამისი კომისიები სწავლობდნენ სპეცსკოლის კონტიგენტს, სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის მიმდინარეობას, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მდგომარეობას და სხვა.

რას წარმოადგენს სამტრედიის სპეციალური სკოლა?

პრაქტიკა ადასტურებს, რომ სამართალდამრღვევი და უზედამხედველო მოზარდების ზოგიერთ კატეგორიას აღზრდის განსაკუთრებული პირობები ესაჭიროება. აღნიშნული ამოცანის რეალიზაციას ემსახურება სამტრედიის სპეციალური სკოლა. მას 80-მდე მოზარდის მიღების საშუალება გაანია.

სამტრედიის სპეცსკოლაში და ამ სახის სხვა დაწესებულებებში შეიძლება გაიგზავნოს: 1. არასრულწლოვანთა საქმეების ინსპექციებში პროფილაქტიკურ აღრიცხვაზე მყოფი პირები, რომელთა მიმართ ადგილზე გატარებულმა ღონისძიებებმა ვერ მოგვცეს დადებითი შედეგები და ისინი აგრძელებენ სამართალდარღვევების ჩადენას; 2. მოზარდები, რომლებიც არ იმყოფებიან აღრიცხვაზე, მაგრამ მონაწილეობენ დანაშაულის ან სხვა მძიმე სამართალდარღვევის ჩადენაში და იმსახურებენ სპეციალურ სკოლაში გაგზავნას.

რას წარმოადგენს სპეციალური სკოლა? იგი დახურული, სასწავლო-აღმზრდელობითი დაწესებულებაა იმ სამართალდამრღვევი არასრულწლოვანებისათვის, რომლებსაც ჩადენილი აქვთ საზოგადოებრივად საშიში ქმედებები; სისტემატურად, ბოროტი განზრახვით, არღვევენ საზოგადოებრივი ქცევის ნორმებს, საჭიროებენ ხელახლა აღზრდას და მკაცრ პედაგოგიურ რეჟიმს. სპეციალური სკოლა სოციალური რეაბილიტაციის ცენტრია. იგი მოწოდებულია განახორციელოს მაპროექტირებელი მუშაობა, არასრულწლოვანთა ხელახლა აღზრდა და სწავლება, მათი აქტიური საზოგადოებრივ-შრომითი მოღვაწეობისათვის მომზადება.

სპეციალური სკოლის ამოცანებია: არასრულწლოვანთა ხელახლა აღზრდა და გამოსწორება, მათი სწავლება, აქტიური შრომითი და საზოგადოებრივი საქმიანობისათვის მომზადება. ფიზიკური, სულიერი, შრომითი, ესთეტიკური და სამართლებრივი აღზრდა.

სპეციალურ სკოლაში აღზრდისა და პედაგოგიური რეჟიმის თავისებურებები განისაზღვრება:

1. დღის რეჟიმით : სასწავლო, აღმზრდელობითი და სხვა ღონისძიებების ერთიანი სისტემით, რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლეების სრულ დასაქმებას, საზოგადოებრივად სასარგებლო შრომაში ჩაბმას, აგრეთვე გონებრივი დასვენების ორგანიზაციას;

2. მოსწავლეებზე მუდმივი ზედამხედველობითი და პედაგოგიური კონტროლით;

3. ადმინისტრაციის სათანადო ნებართვის გარეშე სპეციალური სასწავლო-აღმზრდელობითი დაწესებულების ტერიტორიის ფარგლებს გარეთ მოსწავლეთა თავისუფალი გასვლის შესაძლებლობის აღკვეთით (დაუშვებლობით, გამორიცხვით);

სპეცსკოლაში მეოთხე-მეცხრე კლასებია, მოსწავლეთა რაოდენობა კლასში (საღამოზრდელო ჯგუფში) არ უნდა აღემატებოდეს ათს. სპეციალურ სკოლაში მოსწავლეების შენახვის ხარჯების ნაწილობრივი ანაზღაურება, დადგენილი წესით, ეკისრებათ მშობლებს, ბავშვები, რომლებსაც არ ჰყავთ მშობლები, იმყოფებიან სრულ სახელმწიფო კმაყოფაზე.

სპეცსკოლაში იქმნება ჯანმრთელობის დაცვის პუნქტი ექიმი-სპეციალისტებისა და სამედიცინო პერსონალის შემადგენლობით, პუნქტი მუშაობს ჯანმრთელობის დაცვის ადგილობრივი ორგანოს ხელმძღვანელობით, საჭიროების მიხედვით, სპეცსოკლა უფლებამოსილია გამოიყენოს სხვა სამკურნალო-პროფილაქტიკური დაწესებულებების სპეციალისტები.

სპეცსკოლაში იღებენ 11-15 წლების ასაკის სამართალდამრღვევ მოზარდებს, არასრულწლოვანთა საქმეების კომისიის დადგენილების საფუძველზე, საქართველოს განათლების სამინისტროს შესაბამისი განყოფილების მიერ გაცემული საგზურით.

სპეცსკოლაში არასრულწლოვანთა ყოფნა დასაშვებია 16 წლის ასაკამდე. გამონაკლის შემთხვევაში (კლასის სასწავლო კურსის დამთავრების აუცილებლობის, მშობლების გარდაცვალების, საცხოვრებელ ადგილზე მომხდარი სტიქიური უბედურების) სპეცსკოლაში ყოფნის ვადა არასრულწლოვანთა საქმეების კომისიის თანხმობით, მოსწავლეს შეუძლია გაუგრძელოს სკოლის უფროსმა . სპეცსკოლაში მოსწავლეები იმყოფებიან არანაკლები ერთი წლისა და არაუმეტეს სამი წლის ვადით.

სპეციალურ სკოლაში მოსწავლეთა მიღება წარმოებს მთელი წლის განმავლობაში. არასრულწლოვანების სკოლაში მოყვანა

ხორციელდება დადგენილი წესის მიხედვით, შინაგან საქმეთა სამინისტროს არასრულწლოვანთა მიმღებ-გამანაწილებლების მეშვეობით, ასევე მშობლების ან მათი შემცველელი პირების მიერ.

სპეციალურ სკოლაში არ შეიძლება გაიგზავნონ ყრუმუნჯები, უსინათლოები, სულით ავადმყოფები, გონება ჩამორჩენილები, ფიზიკური ნაკლის მქონე არასრულწლოვანები, აგრეთვე, ავადმყოფი ბავშვები, რომელთა დაავადებები ჩამოთვლილია განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებულ და ჯანმრთელობის სამინისტროსთან შეთანხმებულ ინსტრუქციაში.

სასწავლო მეცადინეობა და არდადეგები სპეციალურ სკოლაში იწყება და მთავრდება ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლის წესებით დადგენილ ვადებში. საქართველოს განათლების სამინისტროს გადაწყვეტილებით სასწავლო წელი სპეცსკოლაში შეიძლება გაგრძელდეს, მაგრამ არა უმეტეს ორი კვირისა, სასწავლო-საალმზრდელო პროცესის აგება სპეცსკოლაში ხდება საზოგადოებრივად სასარგებლო შრომასთან სწავლების თანმიმდევრული შეერთების საფუძველზე.

სპეცსკოლას ურთიერთობა აქვს არასრულწლოვანთა საქმეების კომისიებთან, შინაგან საქმეთა ორგანოებთან, საწარმოებთან და სხვა იმ ორგანიზაციებთან, ვინც სპეცსკოლას ეხმარება მატერიალური ბაზის განმტკიცებაში, შრომითი სწავლების ორგანიზაციაში, აღმზრდელობითი ხასიათის მასობრივი ღონისძიებების ჩატარებაში, მოსწავლეებთან ინდივიდუალური მუშაობის ორგანიზაციასა და სპეცსკოლის კურსდამთავრებულთა შემდგომი მოწყობის საქმეში.

მოზარდის სპეცსკოლაში გასაგზავნად, არასრულწლოვანთა საქმეების ინსპექტორი, სათანადო წესით, ქმნის მისი ანტისაზოგადოებრივი ქმედების დამადასტურებელ მასალებს, უზრუნველყოფს პირადი საქმის მომზადებას და მოზარდს სათანადო დადგენილებით აბარებს არასრულწლოვანთა მიმღებ-გამანაწილებელში.

პირად საქმეში ინახება შემდეგი მასალები: 1. არასრულწლოვანთა საქმეების კომისიის დადგენილება მოზარდის სპეცსკოლაში გაგზავნის შესახებ; 2. დაბადების მოწმობა (დედანი ან დამოწმებული ასლი); 3. მოსწავლის პირადი საქმე; 4. დახასიათება ბოლო სასწავლო ადგილიდან: 5. სკოლის, კლასის ან სხვა სასწავლო დაწესებულების კურსის დამთავრების ცნობა, ბოლო

ან მიმდინარე სასწავლო წლის მოსწრების ცხრილი; 6. ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან, დაკავებული ფართობისა და ოჯახის შემადგენლობის შესახებ; 7. შინაგან საქმეთა ორგანოს არასრულწლოვანთა ინსპექციის დასკვნა მოზარდის უკანონო ქმედების და მის მიმართ პროფილაქტიკური ზემოქმედების ზომების გამოყენების შესახებ; 8. ბავშვის სამედიცინო ბარათი; 9. პროფილაქტიკური აცრების ბარათი და ლაბორატორიული ანალიზის მონაცემები; 10. ექიმ-ფსიქონევროლოგის, ექიმ-დერმატოვენეროლოგის ცნობები (14 წელზე უფროსი ასაკის მოზარდებისათვის).

ობოლი და მშობლების მზრუნველობის გარეშე დარჩენილი ბავშვების პირად საქმეებში დამატებით მოთავსებულ უნდა იქნას შემდეგი მასალები: 1. მშობლების გარდაცვალების მოწმობა ან დოკუმენტები მშობლების უფლების ჩამორთმევის, თავისუფლების აღკვეთის, გადასახლების, გასახლების, უგზო-უკვლოდ დაკარგვის შესახებ; ან სხვა მასალები, რომლებიც ამტკიცებენ, რომ არასრულწლოვანი დარჩა მშობლის ან მათი შემცვლელი პირის გარეშე (დედანი ან დამოწმებული ასლი); 2. საქალაქო (რაიონული) მმართველობის ორგანოს გადაწყვეტილების ასლი, მზრუნველის ან მეურვის დანიშვნის შესახებ; 3. ცნობა, ობლობამდე მოზარდის საცხოვრებელი ადგილის, ოჯახის შემადგენლობის და დაკავებული ფართობის შესახებ; 4. იმ ქონების აღწერა, რომელიც ეკუთვნის მოზარდს, მოწმობა (ცნობა) მემკვიდრეობაზე და დაკავებულ ფართობზე უფლების შესახებ; 5. დოკუმენტები, რომლებიც მოწმობენ, რომ მიღებულია ზომები მოზარდის ქონების და საცხოვრებელი ფართის შენახვის უზრუნველსაყოფად; 6. ცნობა მოზარდისათვის პენსიის ან ალიმენტის დანიშვნის შესახებ, მიმღები პირის აღნიშვნით.

მოინონეს ახალი პროგრამა

არასრულწლოვანთა და ახალგაზრდობას შორის მუშაობის კომისიის ინიციატივით 2000 წლის 31 მარტს გაიმართა საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტის ფრიად წარმომადგენლობითი სხდომა. მონაწილეობდა 165 კაცი.

სხდომა მიეძღვნა არასრულწლოვანთა სოციალური დაცვის, პროფესიული მომზადებისა და სამართალდარღვევათა პროფი-

ლაქტიკის 1996-1999 წლების სახელმწიფო პროგრამის შესრულების შედეგებს და არასრულწლოვანთა დაცვის, განვითარებისა და საზოგადოებასთან ადაპტაციის 2000-2002 წლების სახელმწიფო პროგრამის მიღებას. მოხსენებებით გამოვიდნენ რობერტ ფაილოძე და ვახტანგ ქარუმიძე. საინტერესო წინადადებები და მოსაზრებები წამოაყენეს ზურაბ ფორაქიშვილმა,დავით გეგეშიძემ, მერაბ სანებლიძემ, ანზორ თოთაძემ, თემურ ჭეიშვილმა, ლია პაპიაშვილმა, ბონდო მძინარაშვილმა, ოთარ ბერიშვილმა, ნოდარ დამბაშიძემ, რევაზ ფონხუამ, მამია დარნიამ.

აი, რა ითქვა საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტის სხდომაზე:

პირველი სახელმწიფო პროგრამა მოიცავდა 1996-1999 წლებს. მის განხორციელებაში დადებითი გამოცდილება დააგროვეს საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებმა, ქალაქების მერებმა, რაიონების გამგებლებმა და არასრულწლოვანთა კომისიებმა, განათლებისა და ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებებმა, პოლიციის სამმართველოებმა და მათთან არსებულმა ინსპექციებმა. ისიც ითქვა, რომ სახელმწიფო პროგრამის არსებობის მიუხედავად, კონკრეტული მუშაობა დღემდე სასურველი მასშტაბით არ გაშლილა. ამ პროგრამის ხორცშესხმაში თანაბარი დონით და მიზანმიმართულად ვერ მონაწილეობდნენ რაიონული და საქალაქო რგოლები, განათლების ორგანოები, სკოლები, ტექნიკუმები, კოლეჯები, გიმნაზიები, ლიცეუმები, უმაღლესი სასწავლებლები, სახელმწიფო და კერძო სტრუქტურები, ძალისმიერი დაწესებულებები.

სერიოზულ შეშფოთებას იწვევს საქართველოში ალკოჰოლიზმის დინამიკის ზრდა, კერძოდ, მის მომხმარებელთა "გაახალგაზრდავება". განსაკუთრებით იმატა თამბაქოს მწეველთა რაოდენობამ. ბოლო თხუთმეტი წლის განმავლობაში საქართველოში მათი რიცხვი მამაკაცებში - 1,4-ჯერ, ხოლო ქალებში - 9,4-ჯერ გაიზარდა.

საქართველოში შეიმჩნევა მწეველთა ასაკის საგრძნობი "გაახალგაზრდავება". საქართველოს ქალაქებსა და რაიონებში მოზარდი ვაჟები სიგარეტის მოხმარებას 9-10 წლის ასაკში იწყებენ, გოგონები შედარებით გვიან - 12-14 წლის ასაკში. თბილისში მოსწავლე ვაჟების 84 პროცენტი და გოგონების 74 პროცენტი თამბაქოს მომხმარებელია.

სხდომამ მიიჩნია, რომ არასრულწლოვანებში თამბაქოს წევა და ალკოჰოლიზმისადმი მიდრეკილება ნარკოტიკული საშუალებ-

ებისაკენ პირველი ნაბიჯია. დადგენილია, რომ ყოველი მეორმოცე მოზარდი მწეველი შემდგომში ნარკომანიის მსხვერპლი ხდება.

სიგარეტის წევა და ალკოჰოლის სისტემატიური მიღება ახალგაზრდებს, უმთავრესად არასრულწლოვანებს, დამნაშავეთა სამყაროსაკენ, მათხოვრობის, მაწანწალობის, პროსტიტუციისა და გარყვნილებისაკენ უბიძგებს.

***

საქართველოს მთავრობის გაფართოებულ სხდომაზე, 2000 წლის 30 იანვარს ხა ზგასმით ითქვა: 1999 წელს მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა მოზარდთა მიერ სამართალდარღვევების თავიდან ასაცილებლად. ამის შედეგად, 1998 წელთან შედარებით, 9 პროცენტით შემცირდა დამნაშავეობა ამ კატეგორიის პირებს შორის. ასეთი ტენდენციის პირობებში კვლავ მაღალი რჩება და ზრდის ტენდენცია აქვს დამნაშავეობას არასრულწლოვანთა შორის ქვეყნის 15 ქალაქსა და რაიონში, მათ შორის მარნეულში, ყვარელში, ზუგდიდში, იმერეთსა და რაჭა-ლეჩხუმში, თბილისის ვაკის რაიონში.

მოზარდების მხრიდან მოიმატა აგრესიულობამ და სისასტიკემ, მიდრეკილებამ მძიმე დანაშაულის ჩადენისაკენ. 1999 წელს არასრულწლოვანებმა ჩაიდინეს 6 განზრახ მკვლელობა, 8 მკვლელობის მცდელობა, 15 სხეულის განზრახ მძიმე დაზიანება, ორი გაუპატიურება, 31 ყაჩაღობა, 20 ძარცვა, 9 ავტოტრანსპორტის გატაცება და სხვა.

სხდომის მონაწილენი ფართოდ შეჩერდნენ მეორე პროგრამაზე. სახელმწიფო პროგრამის მიხედვით, არასრულწლოვანთა სამართალდარღვევებისა და უზედამხედველობის აცილების პრობლემა მსოფლიო პრობლემაა. პრობლემის განსაკუთრებულ აქტუალობასა და მსოფლიო სიმძაფრეზე მეტყველებს ის გარემოება, რომ დღითიდღე იზრდება ე.წ. "ქუჩის ბავშვების" ფენა. სწორედ ქუჩა აიძულებს ბავშვებს დროზე ადრე დათმონ ბავშვობა, სწავლა, სულიერი განვითარება, იარსებონ გარიყულად, უფროსების კონტროლისა და პატრონობის გარეშე, იბრძოლონ სიცოცხლისა და ჯანმრთელობის შესანარჩუნებლად.

არასრულწლოვანთა ეს კონტიგენტი ყველაზე ხშირად ხდება ფიზიკური და მორალური ძალმომრეობის მსხვერპლი, გაავებული და საზოგადოების მხრიდან მზრუნველობას მოკლებული ადვილად ექცევა კრიმინოგენური სამყაროს გავლენის ქვეშ და მათი რიგების შევსების იოლ წყაროს წარმოადგენს.

პრაქტიკა ნათელყოფს, რომ ბოლო წლებში საქართველოშიც გავრცელდა მიუსაფარ ბავშვთა გარკვეული ფენა, რომელიც ქუჩის მხრიდან ნეგატიურ ზემოქმედებას განიცდის, ერთიანდება არაჯანსაღი მიმართულების ჯგუფებში, მონაწილეობს სხვადასხვა სახის სამართალდარღვევათა ჩადენაში. ეს უარყოფითად მოქმედებს ქვეყანაში შექმნილ ოპერატიულ ვითარებაზე, ხელს უწყობს პოლიტიკურ და სოციალურ სტაბილიზაციას.

უმეთვალყურეოდ დარჩენილ არასრულწლოვანთა ბედი განუყოფლად არის დაკავშირებული ქვეყნის მომავალთან. სწორედ აღნიშნული საკითხის აქტუალობამ მიზანშეწონილად მიიჩნია შესაბამისი სახელმწიფო პროგრამის შექმნის აუცილებლობა, რომლის ეტაპობრივი რეალიზაცია საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების მხრიდან ხელს შეუწყობს მიუსაფარ ბავშვთა დაცვას, მოწყობას და საზოგადოებასთან ადაპტაციას.

სახელმწიფო პროგრამა მომზადდა განათლებისა და შინაგან საქმეთა სამინისტროებში მინისტრების ალეკო კარტოზიასა და კახა თარგამაძის ხელმძღვანელობით. მის მომზადებაში დიდი წვლილი შეიტანეს იუსტიციის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის, ლტოლვილთა და განსახლების, ფინანსთა, კულტურის, მრეწველობის, თავდაცვის, ეკონომიკის სამინისტროებმა, სპორტის, სასაზღვრო ჯარების, ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტებმა, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტმა, ცალკეულმა მეცნიერებმა, პედაგოგებმა, სოციოლოგებმა, ფსიქოლოგებმა, იურისტებმა, ფსიქიატრებმა, სპორტსმენებმა.

სახელმწიფო პროგრამის შესრულებაზე პასუხისმგებელია არასრულწლოვანთა საქმეებისა და მათი სოციალური დაცვის სამთავრობო კომისია. მის განხორციელებაში აქტიურად მონაწილეობს საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტი, რომელმაც უკვე შეიმუშავა ღონისძიებათა კომპლექსური გეგმა.

პროგრამა ითვალისწინებს ისეთი ღონისძიებების გატარებას, რომლებიც ხელს შეუწყობენ არასრულწლოვანთა დაცვის, განვ-

ითარებისა და საზოგადოებასთან ადაპტაციის სახელმწიფო პროგრამის სამართლებრივ უზრუნველყოფას, პრობლემისადმი საზოგადოების დამოკიდებულების შესწავლას და არსებული ვითარების ანალიზს, სარეაბილიტაციო ცენტრების ქსელის გახსნას, სპეციალიზირებული ინტერნატული ტიპის სასწავლო დაწესებულებების მოდერნიზაციას და ახლის შექმნას, მიუსაფართა მოწყობის პრობლემის მოგვარებას.

სახელმწიფო პროგრამის მიღებასთან დაკავშირებით საჭიროდ მიიჩნიეს მიემართათ: საქართველოს საზოგადოებრიობამ გააცნობიეროს არასრულწლოვანთა მუშაობაში არსებული ვითარება, ყურადღების ცენტრში დააყენოს არასრულწლოვანთა შორის სამართალდარღვევათა პროფილაქტიკის საკითხები, ხოლო პრესამ, რადიომაუწყებლობამ, ტელევიზიამ, უმთავრესი ყურადღება დაუთმოს ამ პრობლემებს. იოქვა, რომ დღეს ყველა ფიზიკური და იურიდიული პირის, სამთავრობო თუ არასამთავრობო ორგანიზაციის, სახელმწიფო თუ არასახელმწიფო დაწესებულების, საერო თუ საეკლესიო მოღვაწის უმთავრესი საზრუნავია აღზარდოს არასრულწლოვანებში ერთგულება ისეთი ცნებებისა, როგორიცაა "პატივ-ეც მამასა შენსა და დედასა-შენსა, რათა კეთილი გეყოს შენ და დღეგრძელ იყო ქვეყანასა ზედა.

არა კაც ჰკლა
- არა იმრუშო
არა იპარო
არა ცილი ჰსწამო მოყვასსა შენსა წამებითა ცრუითა".

***

თანამშრომლობის სამაგალითო ურთიერთობა ჰამოყალიბდა საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტსა და გაზეთ "საქართველოს რესპუბლიკას" (მთავარი რედაქტორი არმაზ სანებლიძე, მოადგილე გურამ გოგიაშვილი, პასუხისმგებელი მდივანი ბონდო მძინარაშვილი) შორის. ეს შემთხვევითი არაა. არმაზ სანებლიძე წლების განმავლობაში საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტის რექტორატის წევრი და აქტიური მოღვაწე იყო. ბონდო მძინარაშვილი ახლადშექმნილი ახალგაზრდობის საქმეთა კომისიის თავმჯდომარეა. იგი ყველა ფორუმის მონაწილეა.

გაზეთი სისტემატურად აშუქებს თავის ფურცლებზე არასრულწლოვანთა, სოციალური დაცვისა და სამართალდარღვევათა

სამხარეო საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტების რექტორები

ქვემო ქართლისა და მცხეთა-მთიანეთის შინაგან საქმეთა მთავარი სამართველოების უფროსები

ალექსანდრე ბუკია და ჯემალ ჯიქურაული

პროფილაქტიკისა, ნაკომანიისა და ნარკობიზნესთან ბრძოლის პრობლემებს; ამ პრობლემებს მიეძღვნა გაზეთის გვერდები. გაზეთში ქვეყნდება საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტის სხდომების ანგარიშები, ნარკვევები, მიმოხილვები, ინტერვიუები. ამასთან ყველაზერი ეს ხდება ძალზე ოპერატიულად. საქართველოს პრეზიდენტის 2000 წლის 2 მარტის ბრძანებულების "არასრულწლოვანთა დაცვის, განვითარებისა და საზოგადოებასთან ადაპტაციის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ" მიღებისთანავე გაზეთმა მთელი გვერდი მიუძღვნა სახელმწიფო პროგრამას; გამოაქვეყნა წერილი სათაურით: "განგაშის, ზარის შემოკვრის დრო". სახელმწიფო პროგრამისა, და, საერთოდ, არასრულწლოვანთა პრობლემებზე თავიანთი მოსაზრებები გამოთქვეს მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების გამოჩენილმა მოღვაწეებმა.[1]

მარიამ ლორთქიფანიძე: "არასრულწლოვანთა მათხოვრობა და პროსტიტუცია ურთულესი და უმძიმესი პრობლემაა, რაც ჩვენი სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობითაცაა გამოწვეული. ამას მხოლოდ სახელმწიფოს ძალიან ფართო და გლობალური ხასიათის ღონისძიებამ (პოლიციის დახმარებით) შეიძლება უშველოს".

რამაზ ხიკვაძე: არასრულწლოვანთა პრობლემის წინააღმდეგ ბრძოლა, უპირველესად, სამართალდამცავი ორგანოების პრეროგატივაა... ძალიან მაღელვებს მათი ბედი, რომელიც ჩემი აზრით, უპირველესად ფართო მასების თანადგომით ხელისუფლებამ უნდა გადაწყვიტოს და შესაბამისი საკანონმდებლო ბაზით განამტკიცოს".

სოფიკო ჭიაურელი: "ხელისუფლებამ ყველაფერი უნდა იღონოს ამ პრობლემის გადასაჭრელად, - ნუ მოვჭრით იმ ტოტს, რომელმაც ხვალ ჯანსაღი, ნაყოფი უნდა მოგვცეს".

ნოდარ ანდღულაძე: "სახელმწიფომ, საზოგადოებამ, ყველა ღონე უნდა მიმართოს, რათა ქუჩაში მოხეტიალე უსახლკარო ბავშვებს დაეხმაროს - უპირველესად უპატრონო ბავშვთა სახლების დიდი ქსელის შექმნით, შესაბამისი განათლების მიცემით და შემდგომში სამუშაოთი უზრუნველყოფით".

გია ბულაძე: - არასრულწლოვანთა მაათხოვრობა და პროსტიტუცია, ჩვენი სოციალური და ეკონომიკური პირობების, ანარქიის ბრალია. კერძო ინიციატივებითა და სურვილებით ამ პრობლემის მოგვარება თითქმის შეუძლებელია - საჭიროა სახელმწიფოს არამარტო მხარდაჭერა, არამედ კონკრეტული ნაბიჯები".

---

1. გაზეთი "საქართველოს რესპუბლიკა", 2000 წლის 31 მარტი

ასევე კარგი ტრადიციები დამკვიდრდა გაზეთ "მედიცინასა" (რედაქტორი ჯანგირ მამალაძე) და საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტის ურთიერთობაში. გაზეთში რეგულარულად ქვეყნდება ცნობილ მეცნიერთა და პრაქტიკოსთა წერილები, სტატიები, სხვადასხვა მასალები არასრულწლოვანთა საზოგადოებასთან ადაპტაციისა და ნარკომანიის პრობლემებზე.

საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტი ნაყოფიერად თანამშრომლობს განათლების, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის, იუსტიციის, კულტურისა და სხვა სამინისტროებთან, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო, ტექნიკურ, პედაგოგიურ, აგრალურ უნივერსიტეტებთან, კულტურის ინსტიტუტთან, სპორტის აკადემიასთან. შეხვედრები გაიმართა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, სულხან საბა-ორბელიანის პედაგოგიურ უნივერსიტეტში და სხვა. რექტორები როინ მეტრეველი, რამაზ ხუროძე, ვახტანგ სართანია, ნაპოლეონ ქარქაშაძე, იური მოსიძე, თემურ ეღენტი, ომარ გოგიაშვილი, გედეონ ხელაია და სხვები აქტიურად მონაწილეობენ საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტის საქმიანობაში. ამის მაგალითია 2000 წლის 1 ივლისს საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტის გამსვლელი სხდომის ჩატარება აგრალურ უნივერსიტეტში.

***

2000 წლის 23 ივნისი. საქართველოს სახელმწიფო აგრარული უნივერსიტეტის სხდომათა დარბაზი. აქ თავი მოიყარეს საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტის წევრებმა, უმაღლესი სასწავლებლების ხელმძღვანელებმა, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა; შინაგან საქმეთა და განათლების სამინისტროების სპეციალისტებმა. დღის წესრიგში .ერთი საკითხი იდგა: "სტუდენტ-ახალგაზრდობაში სამართალდარღვევათა მდგომარეობა და მისი გაუმჯობესების ღონისძიებები". მოხსენება გააკეთა საქართველოს შს სამინისტროს არასრულწლოვანთა და ახალგაზრდობას შორის მუშაობის სამმართველოს უფროსმა რობერტ ფაილოძემ. საინტერესო მოსაზრებები წამოაყენეს ნაპოლეონ ქარქაშაძემ - აგრარული უნივერსიტეტის რექტორმა, გაზეთ "მედიცინის" რედაქტორმა ჯანგირ მამალაძემ,

თბილისის შს მთავარი სამმართველოს საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტის რექტორმა ზურაბ ფორაქიშვილმა, არასრულწლოვანთა სამთავრობო კომისიის პასუხისმგებელმა მდივანმა მერაბ სანიკიძემ, თერაპიის ინსტიტუტის განყოფილების გამგემ გურამ დიღმელაშვილმა, საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემიის პროფესორმა ავთანდილ ციბაძემ, სამკურნალო კომბინატის მთავარი ექიმის მოადგილემ თენგიზ თევზაძემ, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა ნუგზარ ალექსიძემ, საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტის რექტორმა მამია დარჩიამ.

აღინიშნა, რომ 1992-2000 წლებში უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტთა მიერ ჩადენილია 150-ზე მეტი დანაშაული, რომელთა 50 პროცენტი ქონებრივი დანაშაულია. შინაგან საქმეთა სამსახურებმა აღრიცხვაზე აიყვანეს 32 არასრულწლოვანი სტუდენტი.

სხდომაზე მწვავედ დაისვა სტუდენტთა დამნაშავეობის საკითხები, გამოითქვა შეშფოთება და გამოიკვეთა გადასაწყვეტი პრობლემები, შემუშავდა მათი გადაჭრის გზები და კონკრეტული ღონისძიებები.

აღსანიშნავია საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტის მონაწილეობა არასრულწლოვანთა კანონმდებლობის სრულყოფასა და შექმნაში. ამ ბოლო წლებში მიღებულია საქართველოს კანონები:

"ბავშვთა და ახალგაზრდული კავშირების სახელმწიფოებრივი მხარდაჭერის შესახებ", "ობოლ და მშობელთა მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა შვილად აყვანის შესახებ" (1999 წლის 22 ივნისი), "ბავშვთა ბუნებრივი კვების დაცვისა და ხელშეწყობის, ხელოვნური საკვების მოხმარების შესახებ" და სხვა.

არასრულწლოვანთა დაცვის, განვითარებისა და საზოგადოებასთან ადაპტაციის სახელმწიფო პროგრამა

"საქართველოს საკანონმდებლო მაცნე" 2000 წლის 13 მარტს (№21) გამოაქვეყნა საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება №80 - "არასრულწლოვანთა დაცვის, განვითარებისა და საზოგადოებასთან ადაპტაციის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ". მასში აღნიშნულია "მშობელთა მზრუ-

სველობას მოკლებულ, ასოციალური ქცევის, მიუსაფარ არასრულწლოვანთა სოციალური დაცვის, მათი განვითარებისა და საზოგადოებასთან ადაპტაციის ორგანიზაციის სრულყოფის მიზნით: 1. დამტკიცდეს საქართველოს განათლების სამინისტროსა და შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ შემუშავებული "არასრულწლოვანთა სოციალური დაცვის, განვითარებისა და საზოგადოებასთან ადაპტაციის სახელმწიფო პროგრამა".

2. არასრულწლოვანთა საქმეების და მათი სოციალური დაცვის საშთავრობო კომისიამ (ა. კარტოზია) განახორციელოს პროგრამით გათვალისწინებული ღონისძიებები".[1]

სახელმწიფო პროგრამის შემუშავებაში აქტიური მონაწილეობა მიიღო საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტმა. პროგრამა მიზანმიმართული, კომპლექსური და ყოვლისმომცველი დოკუმენტია, რომელშიც განსაზღვრულია არასრულწლოვანთა სოციალური დაცვის, განვიტარებისა და საზოგადოებასთან ადაპტაციის სრულყოფის გზები, ამ სფეროში მუშაობის მთავარი მიმართულებები და ფორმები.

პროგრამის პრეამბულაში აღნიშნულია, რომ არასრულწლოვანთა შორის სამართალდარღვევებისა და უზედამხედველობის აცილების პრობლემა აქტუალურია მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში. პრობლემის განსაკუთრებულ აქტუალობასა და სიმძაფრეზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ დღითი დღე იზრდება ე.წ. "ქუჩის ბავშვების" ფენა. სწორედ "ქუჩა" აიძულებს მოზარდებს დროზე ადრე დათმონ ბავშვობა, სწავლა, სულიერი განვითარება, იარსებონ გარიყულად. უფროსების კონტროლისა და პატრონობის გარეშე, იბრძოლონ სიცოცხლისა და ჯანმრთელობის შესანარჩუნებლად.

პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ ბოლო დროს საქართველოშიც გარეცელდა მიუსაფარ ბავშვთა გარკვეული ფენა, რომელიც "ქუჩის" მხრიდან ნეგატიურ ზემოქმედებას განიცდის, ერთიანდება არაჯანსაღი მიმართულების ჯგუფებში, მონაწილეობს სხვადასხვა სახის სამართალდარღვევის ჩადენაში. ეს უარყოფითად მოქმედებს ქვეყანაში შექმნილ ოპერატიულ ვითარებაზე, ხელს უწყობს საზოგადოების პოლიტიკურ და სოციალურ დესტაბილიზაციას.

1996-1999 წლებში განხორციელდა საქართველოს პრეზიდენტის მიერ დამტკიცებული "არასრულწლოვანთა სოციალური დაცვის, პროფესიული მომზადებისა და სამართალდარღვევათა

1. საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 2000, №21, გვ. 8

სახელმწიფო პროგრამა", რამაც გარკვეულწილად დადებითი შედეგები მოგვცა და წარმოაჩინა თემატიკის გაგრძელების აუცილებლობა. საკითხის აქტუალობა მიზანშეწონილს ხდის ახალი შესაბამისი სახელმწიფო პროგრამის შექმნის აუცილებლობას, რომლის ეტაპობრივი რეალიზაცია საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების მხრიდან ხელს შეუწყობს მიუსაფარ ბავშვთა დაცვას, მოწყობას და საზოგადოებასთან ადაპტაციას.

პროგრამის სახელწოდებაა - არასრულწლოვანთა დაცვის, განვითარებისა და საზოგადოებასთან ადაპტაციის სახელმწიფო პროგრამა.

პროგრამის შესრულების ვადაა: 1.01.2000 წელი 31.12.2002 წელი.

პროგრამის შესრულებისათვის პასუხისმგებელია არასრულწლოვანთა საქმეების და მათი სოციალური დაცვის სამთავრობო კომისია (თავმჯდომარე საქართველოს განათლების მინისტრი ალეკო კარტოზია). პროგრამის ხელმძღვანელია მერაბ სანიკიძე, არასრულწლოვანთა საქმეების და მათი სოციალური დაცვის სამთავრობო კომისიის პასუხისმგებელი მდივანი, არასრულწლოვანთა საქმეების საკოორდინაციო ცენტრის დირექტორი; შემსრულებლები არიან: 1. ფსიქოლოგ-კონსულტანტთა ჯგუფი; 2. სოციოლოგიური ჯგუფი; 3. პედაგოგ-კონსულტანტები; 4. იურისტ-კონსულტანტები: 5. კონსულტანტები კლინიკური და სოციალური პედიატრიის დარგში; 6. ეკონომისტ-კონსულტანტები; 7. კონსულტანტები სპორტისა და კულტურის დარგში; 8. ტექნიკური მუშაკები. პროგრამის ბიუჯეტი შეადგენს - 3000000 (სამი მილიონი) ლარს.

პროგრამა ითვალისწინებს ისეთ ღონისძიებათა განხორციელებას, რომლებიც ხელს შეუწყობენ არასრულწლოვანთა დაცვის, განვითარებისა და საზოგადოებასთან ადაპტაციის სახელმწიფო პროგრამის სამართლებრივ უზრუნველყოფას, პრობლემისადმი საზოგადოების დამოკიდებულების პერიოდულ შესწავლას და არსებული ვითარების ანალიზს, სარეაბილიტაციო ცენტრების ქსელის გახსნას, სპეციალიზებული ინტერნატული ტიპის სასწავლო დაწესებულებების მოდერნიზაციას და ახლის შექმნას, მიუსაფართა მოწყობის პრობლემის მოგვარებას.

როგორია დღეისათვის არსებული მდგომარეობა? დღეისათვის საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მონაცემებით,

აღრიცხვაზე იმყოფება 2000-ზე ასოციალური ქცევის ბავშვი, რომლებიც თავიანთი ცხოვრების უმეტეს ნაწილს ატარებენ ქუჩაში, ეწევიან წვრილმან ქურდობას, პროსტიტუციას, ტოქსიკომანიას, მაწანწალობას, მათხოვრობას, არიან თამბაქოსა და ალკოჰოლის მომხმარებლები. 1997-98 წლების მონაცემებით კი 4000 ბავშვია სკოლიდან განთესილი.

საქართველოს პრეზიდენტის 1996 წლის 1 ივლისის №431 ბრძანებულებით დამტკიცდა "არასრულწლოვანთა სოციალური დაცვის, პროფესიული მომზადებისა და სამართალდარღვევათა პროფილაქტიკის სახელმწიფო პროგრამა" და შეიქმნა "არასრულწლოვანთა საქმეების და მათი სოციალური დაცვის სამთავრობო კომისია".

პროგრამის ფარგლებში ანალოგიური სტრუქტურებია შექმნილი შესაბამისად მხარეებში, ქალაქებსა და რაიონებში. ამოქმედდა არასრულწლოვანთა ინსპექციები და ბავშვთა ოთახები. შინაგან საქმეთა და განათლების სამინისტროებში შეიქმნა სპეციალური სამსახურები.

კვალიფიციური ფსიქოლოგების მიერ მოეწყო და ეწყობა "ქუჩის ბავშვების" ანკეტური გამოკვლევის გზით დანაშაულის სოციალური პირობების შესწავლა-გაანალიზება, დანაშაულებრივი ფაქტორების დადგენა, ღირებულებათა ორიენტაციის, პიროვნულ თავისებურებათა და დანაშაულებრივი ტენდენციების შესწავლა, დამნაშავე არასრულწლოვანის ფსიქოლოგიური და განწყობისეული პორტრეტის შედგენა; ხდება დიაგნოსტიკური მეთოდების აპრობირება ქართულ პოპულაციაზე; ასოციალური ქცევის პროგნოზი და პროფილაქტიკური მეთოდების დანერგვა არასრულწლოვანებში.

ჩატარებული გამოკვლევების ანალიზზე დაყრდნობით მომზადდა კითხვარები და ტესტები, როგორც ასოციალური ქცევის, ისევე ნორმაში მყოფი მოზარდებისათვის, რომელიც საშუალებას მოგვცემს დადგენილ იქნეს მათი პროფესიული ორიენტაცია, კრიმინალური ქცევის ტენდენცია და განხორციელდეს შესაბამისი პროფილაქტიკური ღონისძიებები. ტესტები და კითხვარები მომზადებულია აღნიშნული კონტინგენტის მოზარდებთან მომუშავე პედაგოგ-აღმზრდელებისათვის. მოეწყო ტრენინგები გამოყენებით ფსიქოლოგიაში და "სოციალური მუშაკების" მომზადებისათვის. იხვეწება და ივსება საკანონმდებლო ბაზა ბა-

ვშვთა უფლებების დაცვისა და მათი სრული რეალიზაციის მიზნით: ჯანდაცვის სამინისტროს პროგრამებით სახელმწიფო ხარჯზე ხდება ქუჩის ბავშვთა სამედიცინო გამოკვლევა და მკურნალობა. ხორციელდება არსებულ სპეციალურ სასწავლო-აღმზრდელობითი დაწესებულებათა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება და რეორგანიზაცია. შეიქმნა ახალი სარეაბილიტაციო ცენტრები (კაჭრეთის სარეაბილიტაციო ცენტრი, თბილისის "მომავლის სახლი"). 2000 წელს დასავლეთ საქართველოში, კერძოდ, ქუთაისსა და აჭარაში დაგეგმილია ანალოგიური ცენტრების შექმნა. აღნიშნულ ცენტრებში ბავშვებს აქვთ შექმნილი ცხოვრების, სწავლისა და განვითარების ოჯახურთან მიახლოებული პირობები.

დღეისათვის საქართველოში არსებულ სპეციალურ დაწესებულებებში ცხოვრობს და რეაბილიტაციას გადის 200-ზე მეტი ბავშვი. ე.წ. "ქუჩის ბავშვები" მონაწილეობას ღებულობენ შემეცნებით-გამაჯანსაღებელ და დასასვენებელ ბანაკებში (ურეკი, ქობულეთი, ბორჯომი, ბაკურიანი), ტურისტულ ლაშქრობებსა და ისტორიული ძეგლების მოვლა-პატრონობაში.

პრესითა და ტელევიზიით ხდება "ქუჩის ბავშვთა" პრობლემების გაშუქება, საზოგადოებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების ჩართვა აღნიშნული პრობლემის გადაჭრაში. განსდა იმის აუცილებლობა, რომ შეიქმნას ცხოვრებისაგან გარიყული, მზრუნველობას მოკლებული, მიუსაფარი ბავშვებისათვის სასწავლო-აღმზრჯელობითი და ფსიქოკორექციულ დაწესებულებათა კომპლექსი (სარეაბილიტაციო ცენტრი, სკოლა-ბაღი, გასამხედროებული, კულტურულ-სპორტული და ფერმერული ტიპის სპეციალური სასწავლებლები), სადაც ყოველგვარი პირობა შეიქმნება აღნიშნული კატეგორიის მოზარდთა, გონებრივი და ფიზიკური განვითარებისა და საზოგადოებასთან ადაპტაციისათვის, მათი შემდგომი დასახლება-დასაქმების მიზნით.

პრობლემა იმდენად გლობალურია, რომ მისი გადაჭრა ერთი ან ორი უწყების ძალისხმევით ნამდვილად ვერ მოხერხდება. საქმე ეხება ქვეყნის მომავალს და იგი სახელმწიფო პოლიტიკის რანგში იქნება აყვანილი.

სახელმწიფო პროგრამის მიზანია:

1. შეიქმნას სამართლებრივი ბაზა არასრულწლოვანთა უფლებების სრული რეალიზაციისათვის, რაც ხელს შეუწყობს მათ

სწრაფ და სრულყოფილ საზოგადოებრივ ადაპტაციას და ამ პროცესის მარეგულირებელი სახელმწიფო მექანიზმების ჩამოყალიბებას;

2. მიუსაფარ ბავშვთა პრობლემის სხვადასხვა ასპექტის შესწავლა, მათი პროფესიული ორიენტაციისა და სოციალური ადაპტაციის ჩამოყალიბება;

3. სახელმწიფოებრიობის განვითარების პროცესის ცალკეულ ეტაპებზე მიუსაფარ ბავშვთა პრობლემისადმი საზოგადოებაში არსებული ტენდენციების გაშუქება;

4. არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო ცენტრებისა და სპეციალიზირებული სასწავლო დაწესებულებების : სკოლა-ბაღის, სპეციალური სასწავლებლების (გასამხედროებული, კულტურულ-სპორტული, ფერმერული) დაარსება, ინდივიდუალური სასწავლო-აღმზრდელობითი პროგრამების შემუშავება და დანერგვა;

5. მიუსაფარ ბავშვთა შემდგომი მოწყობის პრობლემის მოგვარება.

სახელმწიფო პროგრამის ძირითადი ამოცანებია:

1. მიუსაფარ ბავშვთა მდგომარეობის ამსახველი სტატისტიკური მონაცემების შეგროვება და ანალიზი (მონიტორინგი და არსებული მასალების დისტრიბუცია);

2. სემინარების, დებატებისა და ფორუმების მოწყობა მიუსაფარ ბავშვთა მდგომარეობის, არსებული ვითარებისა და რეალური ტენდენციების განხილვისა და ანალიზისათვის;

3. არასრულწლოვანთა და მათ შორის მიუსაფარ ბავშვთა უფლებების შესახებ საკანონმდებლო ბაზის შექმნა;

4. მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით ფართო ინფორმაციული, პროპაგანდისტული მუშაობის წარმართვა, რომელიც ორიენტირებული იქნება მოზარდი თაობისა და მათ შორის მიუსაფარ ბავშვთა პრობლემებზე; მათ გადაწყვეტასა და აღმოფხვრაზე;

5. მიუსაფარ ბავშვთა მიმართ ძალადობისა და წამქეზებლობის წინააღმდეგ ქმედით ღონისძიებათა განხორციელება, ამ მიმართებით არსებული საკანონმდებლო ბაზის შესწავლა და საჭიროების შემთხვევაში ცვლილებების შეტანა;

6. ტრენინგები სასკოლო ასაკის მიუსაფარი ბავშვებისათვის საკუთარი თავის პატივისცემის, უხეშობისა და ძალადობის მიუღებლობის გამოსამუშავებლად;

7. ტრენინგები ძალადობის მსხვერპლი ბავშვებისათვის რეალურ გარემოსთან ადაპტაციური უნარ-ჩვევების ჩამოსაყალიბებლად და კორექციული ცენტრის შექმნა;

8. მიუსაფარ ბავშვთა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესწავლა და გაუმჯობესება;

9. აღნიშნული კონტინგენტის მოზარდთა მოზიდვა ურთიერთობის საფუძველზე, მათი უფლებების სრული დაცვით და ნებაყოფლობითი ანკეტირება;

10. სასწავლო-აღმზრდელობითი და ფსიქოკორექციულ დაწესებულებათა კომპლექსის (სარეაბილიტაციო ცენტრი, სკოლა-ბანდი, გასამხედროებული, კულტურულ-სპორტული და ფერმერული ტიპის სპეციალური სასწავლებლები) დაარსება, საჭირო შენობა-ნაგებობების შერჩევა-მოწყობა, მატერიალურ-ტექნიკური ბაზით აღჭურვა, მათთვის ინდივიუდალური სასწავლო-აღმზრდელობითი პროგრამების შემუშავება და დანერგვა;

11. სამტრედიის სპეციალური სკოლის ბაზაზე სამართალდამრღვევი გოგონებისათვის დახურული ტიპის სპეციალური სასწავლებლის დაარსება;

12. დასავლეთ საქართველოში (ქ. ქუთაისი) არასრულწლოვანთა მიმღებ-გამანაწილებლის გახსნა;

13. კრიმინალური პოლიციის ბლოკში დამოუკიდებელი სამსახურის არასრულწლოვანებსა და სტუდენტ-ახალგაზრდობას შორის დამნაშავეობის წინააღმდეგ მებრძოლი სამმართველოს შექმნა და შესაბამისი დებულებისა და სტრუქტურის შემუშავება. მისი ფუნქციონირებისათვის შს სამინისტროსთან არსებული საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტის და შს სამინისტროს აკადემიის ბაზაზე მეთოდური რეკომენდაციების მომზადება. არასრულწლოვანთა შორის პროფილაქტიკურ-გამაფრთხილებელი მუშაობის სრულყოფის მიზნით, ცენტრალური აპარატისა და შს ორგანოებში ამ ხაზით მომუშავე თანამშრომელთა ატესტაცია, ადგილებზე სამსახურის ნორმალური ფუნქციონირებისათვის შესაბამისი ფართობის გამოყოფა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზით აღჭურვა;

14. სპეციალური 2-კვირიანი კურსების ორგანიზება შს სამინისტროს ბაზაზე არასრულწლოვანთა საქმეების ინსპექციების, შრომა-აღმზრდელობითი კოლონიის, საგამოძიებო იზოლატორის და მიმღებ-გამანაწილებლის თანამშრომლებისათვის მათი პროფესიული დონის ამაღლების მიზნით;

15. აღნიშნული ტიპის სასწავლებლებში აღსაზრდელთა პროფესიული დიფერენციაცია მათი სურვილისა და გონებრივი შესაძლებლობების გათვალისწინებით;

16. კედაგოგთა ატესტაცია, მომზადება (გადამზადება) სპეციალიზებული პროგრამების შესაბამისად;

17. აღნიშნულ დაწესებულებებთან საპატრიარქოს ლოცვა-კურთხევით და დახმარებით საკვირაო სკოლებისა და სამლოცველოების მოწყობა მოზარდთა სულიერი განვითარებისათვის;

18. 18 წელს მიღწეული აღნიშნული კონტინგენტის დასაქმებისათვის საჭირო: - საკანონმდებლო ბაზის შემუშავება; საცხოვრებელი სახლებისა და საკარმიდამო მიწის ნაკვეთების გამოყოფა; - დამოუკიდებელი ცხოვრების დასაწყებად აუცილებელი გრანტების, ინვესტიციების (ან გრძელვადიანი უპროცენტო კრედიტების) გაცემა;

19. საამთავრობო სტრუქტურების, საერთაშორისო საზოგადოებრივი ორგანიზაციების, საბანკო ინსტიტუტების, კერძო სტრუქტურების დაინტერესება აღნიშნული პრობლემის აქტუალურობით (სპეციალური საგადასახადო პოლიტიკის შემუშავება) და პროგრამის რეალიზაციისათვის საჭირო თანხების მოზიდვა.

როგორია მოსალოდნელი შედეგები?

1. სახელმწიფო პროგრამის განხორციელება შეაჩერებს სოციალურად დაუცველი ოჯახებიდან არასრულწლოვანთა ქუჩაში მასიური გამოდინების პროცესს;

2. შეიქმნება საინფორმაციო ბანკი მიუსაფარ ბავშვთა კონტინგენტის შესახებ, მათი ძირითადი მონაცემებით (პარამეტრებით);

3. მიუსაფარი ბავშვები ჩამოცილდებიან ქუჩას და შესაბამისად დამნაშავეთა სამყაროს, მათ მიეცემათ სრულფასოვანი განვითარების შესაძლებლობა;

4. შეიქმნება ასოციალური ქცევის მოზარდთათვის ისეთი ახალი ტიპის სპეციალური სასწავლო-აღმზრდელობითი დაწესებულებები, სადაც მოხდება მათი ფსიქოლოგიური რეაბილიტაცია, სახელდობრ განათლების მიცემა და საზოგადოებრივი რეაბილიტაცია;

5. კოორდინაცია გაეწევა მათი შემდგომი ცხოვრების მოწყობას და საზოგადოებასთან ადაპტაციას.

პერსპექტივაში ფართოდ გაიშლება მუშაობა მიუსაფარ ბავშვთა კონტინგენტის დასადგენად, სათანადო სამართლებრივი ბაზის შესაქმნელად, თავშესაფრებისათვის, სპეციალიზებული სახელობო სასწავლებლებისათვის ინდივიდუალური სასწავლო-

აღმზრდელობითი პროგრამების შესამუშავებლად, პედაგოგთა კადრების მოსამზადებლად, სხვადასხვა ეტაპზე საზოგადოებრივი აზრის შესასწავლად. ამ საქმეში აქტიურად ჩაებმებიან სახელმწიფო მმართველობის ორგანოები, განათლების, სოფლის მეურნეობის, თავდაცვის, კულტურის, ფინანსთა და სხვა სამინისტროები, ძალოვანი სტრუქტურისა და სამართალდაცვის ორგანოების წარმომადგენლები, სპორტის, მიწათმოწყობის, სახღვრის დაცვის დეპარტამენტები და სხვა უწყებები, საზოგადოებრივი ორგანიზაციები. მოხდება არასრულწლოვანთა ზნეობრივი აღზრდის ახალი ფორმების ჩამოყალიბება-დადგენა ფსიქოკორექციული მეთოდების გამოყენების საფუძველზე, ექსპერტთა რეკომენდაციებით.

მიღებული შედეგების გათვალისწინებით გაგრძელდება სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის სრულყოფის სამუშაოები, პრაქტიკული, ცხოვრებისეული მოთხოვნების შესაბამისად მოხდება მოზარდთა პროფესიული სწავლების ორგანიზება და მათი შემდგომი დასახლება-დასაქმება. სახელმწიფო პროგრამას დართული აქვს საორიენტაციო სამოქმედო და კალენდარული გეგმა, რომელშიც დასახელებულია ღონისძიებები და მათი შესრულების ვადები.

გათვალისწინებულია ნორმატიული აქტების მომზადება: უმეთვალყურეოდ დარჩენილ ბავშვთა შესახებ; მიუსაფარ ბავშვთა პროფესიული სწავლების შესახებ; მიუსაფარ ბავშვთათვის სპეციალური სკოლების დებულების შესახებ, სპეციალური პროფესიული სასწავლებლების დებულების შესახებ; სწავლებისაგან თავისუფალ დროს მოსწავლეთა ნებაყოფლობითი მუშაობის წესისა და პირობების შესახებ; მიუსაფარ ბავშვთა სარეაბილიტაციო ცენტრების შესახებ და სხვ.

პროგრამაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია სახელობო სასწავლებლებისათვის მცირე საწარმოების შექმნას; მცირე საწარმოების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის აღჭურვას; სარეაბილიტაციო ცენტრებისათვის შენობა-ნაგებობებისა და მიმდინარე ტერიტორიის შერჩევას; არსებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზის რეაბილიტაციას.

სახელმწიფო პროგრამაში გათვალისწინებულია დასავლეთ საქართველოში (ქ. ქუთაისი) არასრულწლოვანთა მიმღებ-გამანაწილებლის გახსნა; სამტრედიის სპეციალური სკოლის ბაზაზე

საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტის სპეციალური სასწავლებლის დაარსება და სხვა.

სახელმწიფო პროგრამა ავალებს საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტს 2000-2003 წლებში: მეთოდური რეკომენდაციების მომზადებას არასრულწლოვანთა შორის პროფილაქტიკურ-გამაფრთხილებელი მუშაობის სრულყოფის მიზნით; ცენტრალური აპარატისა და შს ორგანოებში არასრულწლოვანთა ხაზით მომუშავე თანამშრომელთა ატესტაციას; ორკვირიანი სპეციალური კურსების ორგანიზებას შს სამინისტროს ბაზაზე არასრულწლოვანთა საქმეების ინსპექციების, შრომა-აღმზრდელობითი კოლონიის, საგამოძიებო იზოლატორისა და მიმღებ-გამანაწილებლის თანამშრომლებისათვის მათი პროფესიული დონის ამაღლების მიზნით.

არასრულწლოვანთა საქმეების სამთავრობო კომისია

არასრულწლოვანთა საქმეების სამთავრობო კომისია ხელმძღვანელობს საქართველოს პრეზიდენტის მიერ დამტკიცებული დებულებით (1999 წლის 20 მაისი, №265). არასრულწლოვანთა საქმეების სამთავრობო კომისიის დებულებაში განსაზღვრულია არასრულწლოვანთა საქმეების სამთავრობო კომისიის ამოცანები და მუშაობის ორგანიზაცია. არასრულწლოვანთა საქმეების სამთავრობო კომისიის ამოცანაა:

1. არასრულწლოვანთა სოციალური დაცვის, პროფესიული მომზადებისა და მოწყობისათვის გამიზნული მუშაობის ორგანიზაცია;

2. არასრულწლოვანთა შორის სამართალდარღვევებისა და უმეთვალყურეობის აცილება;

3. არასრულწლოვანთა უფლებების დაცვა, მათი ნორმალური სულიერი, გონებრივი და ფიზიკური განვითარებისათვის სათანადო პირობების შექმნის უზრუნველყოფა;

4. დაინტერესებული სახელმწიფო ორგანოების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების, მოქალაქეების მიერ ამ მიზნით განხორციელებულ ღონისძიებათა კოორდინაცია;

5. შრომა-გასწორების, სასწავლო, სპეციალური სასწავლო-აღმზრდელობითი და სხვა დაწესებულებებისადმი კონტროლის განხორციელება არასრულწლოვანთა ნორმალური ცხოვრების,

სწავლის, დასვენების პირობების შექმნისა და მათთან პროფილაქტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის სწორად წარმართვის მიზნით;

6. არასრულწლოვანთა, მათ მშობელთა ან შემცველელ პირთა საკითხების განხილვა.

არასრულწლოვანთა საქმეების კომისიები იქმნება: მთავრობასთან (სამთავრობო კომისია), აჭარისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკების მთავრობებთან, მხარეებში საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულებთან, ქალაქების მერიებთან და რაიონების გამგეობებთან.

არასრულწლოვანთა საქმეების სამთავრობო კომისიას ქმნის საქართველოს პრეზიდენტი, ავტონომიურ რესპუბლიკაში - მისი უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე, მხარეში - საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებული, ქალაქში - მერი, რაიონში - გამგებელი.

არასრულწლოვანთა საქმეების კომისიები პასუხისმგებელი და ანგარიშვალდებული არიან შესაბამისად სამთავრობო კომისიის, მხარეში საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულის, მერისა და გამგებლის წინაშე.

არასრულწლოვანთა საქმეების კომისიის შემადგენლობაში შედიან თავმჯდომარე, მოადგილე, განთავისუფლებული პასუხისმგებელი მდივანი და 6-14 წევრი. მათ შორის: განათლების, შინაგან საქმეთა, შრომისა და სოციალური დაცვის, ჯანმრთელობის დაცვის, კულტურის, სპორტის, ეკლესიის, სხვა ორგანოებისა და ორგანიზაციების წარმომადგენლები. მის შემადგენლობას ამტკიცებს შესაბამისად: საქართველოს პრეზიდენტი, ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე, მხარეში საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებული, მერი, გამგებელი.

არასრულწლოვანთა საქმეების კომისია თავისი კომპეტენციის ფარგლებში იღებს გადაწყვეტილებებს, რომელთა შესრულება სავალდებულოა სახელმწიფო დაწესებულებების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების, თანამდებობის პირების (რომლებიც ვალდებული არიან 15 დღის განმავლობაში აცნობონ კომისიის გადაწყვეტილების შესრულების მიზნით მიღებული ზომები) და მოქალაქეებისათვის.

არასრულწლოვანთა საქმეების კომისია დაინტერესებული სახელმწიფო ორგანოებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციე-

ბის დახმარებით შეიმუშავებს და ახორციელებს ღონისძიებებს მოზარდთა მოწყობისა და თავისუფალი დროის გონივრული ორგანიზაციისათვის, შეისწავლის არასრულწლოვანთა შორის საამართალდარღვევების გამომწვევ მიზეზებს და იღებს ზომებს მათ თავიდან ასაცილებლად; განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს დევნილთა, ობოლთა, უმეთვალყურეოდ დარჩენილთა, ძნელადაღსაზრდელ მოზარდთა ზნეობრივ აღზრდას და აღნიშნულ კონტინგენტთან ინდივიდუალური მუშაობის ორგანიზაციას.

არასრულწლოვანთა საქმეების საქალაქო (რაიონული) კომისიები შინაგან საქმეთა, განათლების, ჯანმრთელობის დაცვის, სოციალური დაცვის, შრომისა და დასაქმების სხვა სახელმწიფო ორგანოების საზოგადოების წარმომადგენელთა მონაწილეობით გამოავლენენ და აღრიცხვაზე აჰყავთ: მოზარდები, რომლებსაც არ ჰყავთ მშობლები ან ჰყავთ ისინი, მაგრამ ეს უკანასკნელნი ვერ უზრუნველყოფენ ბავშვთა ნორმალური აღზრდის სათანადო პირობებს, საამართალდამრღვევი, დანაშაულის ჩამდენი, ძნელადაღსაზრდელი და უმეთვალყურეოდ დარჩენილი მოზარდები; არასრულწლოვანნი, რომლებმაც მიატოვეს სკოლა, არ არიან დასაქმებული, აგრეთვე სხვა მოზარდები, რომლებიც სახელმწიფოსა და საზოგადოების დახმარებას საჭიროებენ.

კომისიის გადაწყვეტილებები, რომლებშიც მითითებულია არასრულწლოვანთა მოწყობის ფორმები, ეგზავნებათ განათლების, სოციალური დაცვის, შრომისა და დასაქმების სხვა ორგანოებს, კერძო თუ სახელმწიფო საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების ხელმძღვანელებს შესაბამისი ზომების მისაღებად.

არასრულწლოვანთა საქმეების საქალაქო (რაიონული) კომისიები კონტროლს უწევენ სამომსახურეო ტერიტორიაზე განლაგებულ სპეციალურ სასწავლო-აღმზრდელობით და სასჯელაღსრულების დაწესებულებებში, არასრულწლოვანთა მიმღებ-გამანაწილებლებში, სასწავლო და სხვა დაწესებულებებში არასრულწლოვანთა მოვლა-პატრონობის მდგომარეობას, შრომისა და სწავლის სწორ ორგანიზაციას, პროფილაქტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის მიმდინარეობას; საჭიროების შემთხვევაში ეხმარებიან აღნიშნულ დაწესებულებებს.

არასრულწლოვანთა საქმეების საქალაქო (რაიონული) კომისიები შინაგან საქმეთა ორგანოებთან ერთად მეთვალყურეობას

უწევენ იმ არასრულწლოვანთა ყოფაქცევას, რომელთა მიმართ გამოყენებული იყო აღმზრდელობითი ან ადმინისტრაციული ზემოქმედების ზომები, აგრეთვე სასჯელი, რომელიც არ არის დაკავშირებული თავისუფლების აღკვეთასთან, განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ არასრულწლოვანებს, რომლებიც დაბრუნდნენ სპეციალური სასწავლო-აღმზრდელობითი დაწესებულებებიდან ან მოიხადეს სასჯელი შრომა-გასწორების კოლონიებში, კონტროლს უწესებენ პირობით მსჯავრდებულ და სასჯელის გადავადების მქონე არასრულწლოვანთ; აღრიცხავენ აღნიშნულ კონტინგენტს და კოორდინაციას უწევენ დაინტერესებული ორგანოების საქმიანობას მათი გამოსწორების მიზნით.

დებულების თანახმად, არასრულწლოვანთა საქმეების საქალაქო (რაიონული) კომისიას უფლება აქვს:

1. შეამოწმოს ბავშვთა და მოზარდთა განთავსებისა და აღზრდის პირობები სკოლა-ინტერნატებში, საბავშვო სახლებში, სპეციალურ სასწავლო-აღმზრდელობით და სამკურნალო-აღმზრდელობით დაწესებულებებში, შრომა-გასწორების კოლონიებში, მიმღებ-გამანაწილებლებში, აგრეთვე შეამოწმოს არასრულწლოვანთა საქმეების ინსპექციის მიერ გაწეული პროფილაქტიკური მუშაობის მდგომარეობა;

2. შეამოწმოს, თუ როგორ არის ორგანიზებული აღმზრდელობითი მუშაობა საბავშვო სახლებსა და სკოლებში, აგრეთვე სხვა სასწავლო-აღმზრდელობით დაწესებულებებში;

3. მოითხოვოს საწარმოების, ორგანიზაციების, დაწესებულებების ადმინისტრაციისაგან კომისიის მუშაობისათვის საჭირო მონაცემები;

4. მოაწყოს არასრულწლოვანთა მიღება-გასაუბრება, განიხილოს მათი საჩივრები და განცხადებები, გაეცნოს მათ პირად საქმეებს;

5. ჩააბას საზოგადოებრიობა არასრულწლოვანთა შორის აღმზრდელობით საქმიანობაში;

6. შინაგან საქმეთა ორგანოსთან ერთად მონაწილეობა მიიღოს სასამართლო პროცესში. მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, შეიტანოს წარდგინება განაჩენის აღსრულების გადავადების გაუქმებისა და განაჩენით დადგენილი თავისუფლების აღკვეთის მოსახდელად მსჯავრდებულის გაგზავნის შესახებ, ხოლო გადავადების ვადის გასვლის შემდეგ მსჯავრდ-

ებულის სასჯელისაგან განთავისუფლების ან განანილით დადგენილი თავისუფლების აღკვეთის მოსახდელად მსჯავრდებულის გაგზავნის შესახებ თანხმობა მისცეს შრომა-გასწორების კოლონიის ადმინისტრაციას, შეიტანოს წარდგინება სასამართლოში თავისუფლებააღკვეთილ არასრულწლოვანთათვის სასჯელის მოხდის დროს მოთავსების შესახებ, სადაც მასზე საბოლოოდ გაფორმდება პირადი საქმე და არასრულწლოვანი გაიგზავნება სპეციალურ სასწავლო-აღმზრდელობით დაწესებულებაში. გამონაკლის შემთხვევაში არასრულწლოვანის მიმღებ-გამანაწილებელში ყოფნის ვადა შეიძლება გაგრძელდეს, მაგრამ არა უმეტეს 15 დღისა იმავე კომისიის გადაწყვეტილებით.

არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილი სამართალდარღვევის მიზეზებისა და პირობების შესწავლისა და აღმოფხვრის მიზნით არასრულწლოვანთა საქმეების კომისია აღრიცხავს სხდომებზე განხილულ საქმეებს, ყოველ კვარტალში განაზოგადებს ამ მონაცემებს რაიონებში, ქალაქებში, მხარეებში, ავტონომიურ რესპუბლიკაში, საქართველოს მთელ ტერიტორიაზე.

არასრულწლოვანთა საქმეების კომისიის გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოტანიდან 10 დღეში გამგებელთან, მერთან.

არასრულწლოვანთა საქმეების კომისიის გადაწყვეტილება ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის შესახებ შეიძლება გასაჩივრდეს 10 დღეში ადმინისტრაციულ სახდელშეფარდებული პირის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით გამგეობაში, მერიაში, სასამართლოში, რომელთა გადაწყვეტილება საბოლოოა. დადგენილ ვადაში საჩივრის შეტანა შეაჩერებს ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ გადაწყვეტილების აღსრულებას, გარდა გაფრთხილების სახით სახდელის დადების შესახებ.

არასრულწლოვანთა საქმეების კომისიის საშტატო ერთეულებით და ფულადი ანაზღაურებით უზრუნველყოფა, აგრეთვე მატერიალურ-ტექნიკური მომსახურება ეკისრებათ შესაბამისად ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების თავმჯდომარეებს, მხარეებში საქართველოს პრეზიდენტის რწმუნებულებს, ქალაქების მერებს, რაიონების გამგებლებს;

8. თანხმობა მისცეს შრომა-გასწორების კოლონიის ადმინისტრაციას შრომა-აღმზრდელობით კოლონიაში დატოვოს 18 წლის ასაკს მიღწეული მსჯავრდებული;

9. დასვას საკითხი შესაბამისი ორგანოების ან საზოგადოებრივი ორგანიზაციების წინაშე დისციპლინური ან საზოგადოებრივი ზემოქმედების ზომების გამოყენების შესახებ იმ თანამდებობის პირთა მიმართ, რომლებიც არ ასრულებენ კომისიის გადაწყვეტილებას.

არასრულწლოვანთა საქმეების საქალაქო (რაიონული დაყოფის მქონე ქალაქებში), სამხარეო კომისიები; აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების არასრულწლოვანთა საქმეების კომისიები;

შეიმუშავებენ და სათანადო სახელმწიფო ორგანოების, საწარმო-დაწესებულებებისა და სხვა ორგანიზაციების მეშვეობით ახორციელებენ ღონისძიებებს არასრულწლოვანთა შორის უმეთვალყურეობისა და სამართალდარღვევების აცილების, მათი გამომწვევი მიზეზების აღმოფხვრის, ბავშვთა და მოზარდთა მოწყობისა და უფლებების დაცვის უზრუნველსაყოფად;

- ამოწმებენ და წარმართავენ არასრულწლოვანთა საქმეების რაიონული (საქალაქო) კომისიების მუშაობას, ახდენენ ამ მუშაობის კოორდინაციას და უწევენ მათ მეთოდურ დახმარებას, განაზოგადებენ დადებით გამოცდილებას;

ამოწმებენ რაიონული (საქალაქო) კომისიების გადაწყვეტილებებს სპეციალურ სასწავლო-აღმზრდელობით დაწესებულებებში არასრულწლოვანთა გაგზავნის შესახებ და აუქმებენ ამ გადაწყვეტილებებს, თუ ისინი მიიჩნიეს უკანონოდ ან დაუსაბუთებლად;

არასრულწლოვანთა საქმეების სამთავრობო კომისია:

1. აერთიანებს და წარმართავს მუშაობას არასრულწლოვანთა შორის უმეთვალყურეობისა და სამართალდარღვევათა ასაცილებლად, მათი წარმომშობი მიზეზების აღმოსაფხვრელად, ბავშვთა და მოზარდთა მოსაწყობად და უფლებების დასაცავად;

2. ამოწმებს და კოორდინაციას უწევს რაიონის (ქალაქის), მხარისა და ავტონომიური რესპუბლიკის არასრულწლოვანთა საქმეების კომისიების მუშაობას მათთვის მეთოდური დახმარების გაწევის მიზნით, განაზოგადებს მუშაობის დადებით გამოცდილებას.

დებულების მიხედვით (მუხლი 3), არასრულწლოვანთა საქმეების რაიონული (საქალაქო) კომისია განიხილავს იმ არასრულწლოვანთა საქმეებს, რომელთაც 14 წლის ასაკამდე

ჩაიდინეს საზოგადოებრივად საშიში ქმედობა; რომელთაც 14-დან 16 წლამდე ასაკში ჩაიდინეს ისეთი საზოგადოებრივად საშიში ქმედობა, რისთვისაც აღნიშნული ასაკის პირნი სისხლის სამართლის წესით არ აგებენ პასუხს; რომელთაც 14-დან 18 წლამდე ასაკში ჩაიდინეს ისეთი ქმედობა, რომელიც შეიცავს დანაშაულის ნიშნებს, მაგრამ მათ მიმართ არ აღიძრა სისხლის სამართლის საქმე ან იგი შეწყვეტილია სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მოთხოვნათა შესაბამისად, ჩაიდინეს ადმინისტრაციული სამართალდარღვევები; სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების წვრილმანი დატაცება, წვრილმანი ხულიგნობა, ცეცხლსასროლი იარაღის, საბრძოლო მასალის შეძენის, შენახვის და გამოყენების წესების უგულებელყოფა. კომისიები განიხილავენ მხოლოდ იმ შემთხვევებს, როდესაც ადმინისტრაციული სახდელის დადების უფლების მქონე ორგანო (თანამდებობის პირი) კომისიას განსახილველად გადასცემს შესაბამის მასალებს; რომელთაც ჩაიდინეს სხვა ანტისაზოგადოებრივი ქმედობანი (ლოთობა, პროსტიტუცია, ნარკოტიკული ან ტოქსიკური ნივთიერების ხმარება, მათხოვრობა, მაწანწალობა, სწავლისათვის ბოროტად თავის არიდება, აზარტული თამაშები და სხვ.).

არასრულწლოვანთა საქმეების რაიონულ (საქალაქო—) კომისიას არასრულწლოვანთა მიმართ შეუძლია გამოიყენოს ზემოქმედების შემდეგი ზომები:

ა) დაავალდებულოს საჯაროდ ან სხვა ფორმით, ბოდიში მოუხადოს დაზარალებულს;

ბ) მისცეს გაფრთხილება;

გ) გამოუცხადოს საყვედური ან სასტიკი საყვედური;

დ) არასრულწლოვანს, რომელმაც მიაღწია 15 წლის ასაკს, თუ მას აქვს დამოუკიდებელი შემოსავალი და ზარალის თანხა შრომის ანაზღაურების მინიმალურ ოდენობას არ აღემატება, დააკისროს მატერიალური ზარალის ანაზღაურება ან დაავალდებულოს, რომ საკუთარი შრომით აანაზღაუროს იგი;

ე) არასრულწლოვანს, რომელმაც მიაღწია 16 წლის ასაკს, თუ მას აქვს დამოუკიდებელი შემოსავალი, დააკისროს ჯარიმა იმ ოდენობით, რომელიც გათვალისწინებულია კანონით;

ვ) გადასცეს არასრულწლოვანი მშობლებს, მათ შემცვლელ პირებს ან სახელმწიფო ორგანოებს სამეთვალყურეოდ;

ზ) თავდებქვეშ გადასცეს არასრულწლოვანი მშრომელთა კოლექტივს ან საზოგადოებრივ ორგანიზაციებს ამ უკანასკნელთა შუამდგომლობით;

თ) გაგზავნოს სპეციალურ სამკურნალო-აღმზრდელობით დაწესებულებაში;

ი) საზოგადოებრივად საშიში ქმედობის ჩადენის ან საზოგადოებრივი ქცევის წესების ბოროტად და სისტემატურად დარღვევისათვის მოათავსოს სპეციალურ სასწავლო-აღმზრდელობით დაწესებულებაში (11-დან 14 წლამდე ასაკის არასრულწლოვანი შეიძლება გაგზავნოს სპეციალურ სკოლაში, ხოლო 14-დან 18 წლამდე ასაკისა - სპეციალურ პროფტექნიკურ სასწავლებელში);

კ) არასრულწლოვანთა საქმეების კომისიას უფლება აქვს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოში შეიტანოს წინადადება 15-დან 18 წლამდე ასაკის არასრულწლოვანიათვის იმ უფლების შეზღუდვის შესახებ, რომ მან დამოუკიდებლად განაგოს თავისი შემოსავალი (ხელფასი);

ლ) სასჯელის გადავადების მქონე და პირობით მსჯავრდებულ მოზარდებს დაუწესოს გარკვეული შეზღუდვები, დაავალდებულოს პერიოდულად სარეგისტრაციოდ გამოცხადება შს ორგანოში;

მ) მოათავსოს ერთ თვემდე ვადით არასრულწლოვანთა მიმღებ-გამანაწილებელში;

არასრულწლოვანთა საქმეების რაიონულ (საქალაქო) კომისიას მშობლების ან მათი შემცველელი პირების მიმართ, თუ ისინი არასწორ დამოკიდებულებას ინსენენ ბავშვებისადმი ან ბოროტად არიდებენ თავს თავიანთი მოვალეობის შესრულებას ბავშვთა აღზრდისა და სწავლების საქმეში, შეუძლია გამოიყენოს შემდეგი ზომები:

1. დააკისროს არასრულწლოვანის მიერ მიყენებული ზარალის ანაზღაურება თუ იგი არ აღემატება შრომის ანაზღაურების მინიმალურ ოდენობას;

2. დააკისროს ჯარიმა მინიმალური ხელფასის ათმაგი ოდენობით.

არასრულწლოვანთა საქმეების კომისიებს შეუძლიათ გადასცენ საქმეები სამართალდამცველ ორგანოებს იმ მშობლების ან მათი შემცველელი პირების მიმართ, რომლებმაც არასრულწლოვანი ჩააბეს დანაშაულებრივ საქმიანობაში (სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლი) ან იმ სამკურნალწამლო და

სხვა საშუალებათა არასამედიცინო მოხმარებაში, რომლებიც გაბრუებას იწვევენ (სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლი).

არასრულწლოვანთა საქმეების კომისიებს უფლება აქვთ სასამართლოებში შეიტანონ განცხადება მშობლებისათვის მშობლის უფლების ჩამორთმევის, მშობლებისათვის მშობლის უფლების ჩამორთმევის გარეშე ბავშვის ჩამორთმევის შესახებ, აგრეთვე სხვა საცხოვრებელი სადგომის მიუცემლად მშობლის უფლებაჩამორთმეული პირების ბინიდან გამოსახლების შესახებ, თუ მათი ბავშვებთან ერთად ცხოვრება შეუძლებელია.

სპეციალურ სასწავლო-აღმზრდელობით და სპეციალურ სამკურნალო-აღმზრდელობით დაწესებულებაში არასრულწლოვანი შეიძლება ბაიგზავნოს არასრულწლოვანთა საქმეების კომისიის გადაწყვეტილებით მშობლის ან მათი შემცვლელი პირების თანხმობის გარეშე, ასეთ შემთხვევებში საქმის განხილვაში აუცილებლად მონაწილეობს პროკურორი.

თუ არასრულწლოვანთ ჰყავთ მშობლები ან მათი შემცვლელი პირები, საბავშვო სახლებში ან სკოლა-ინტერნატებში ამ უკანასკნელთა თანხმობის გარეშე გაგზავნა შეიძლება მოხდეს მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში (თუ მშობლები ან მათი შემცვლელი პირები ხანგრძლივად სხვაგან იმყოფებიან, არიან დასნეულებულნი, მსჯავრდებულნი და ა.შ.). ამავე დროს კომისია იღებს გადაწყვეტილებას, რომ ბავშვის შენახვასთან დაკავშირებული ხარჯების ასანაზღაურებლად მშობლებს კანონით დადგენილი წესით გადაახდევინოს საჭირო თანხა. განსაკუთრებულ შემთხვევაში კომისიის შუადმგომლობით ეს თანხა შეიძლება შემცირდეს.

არასრულწლოვანთა საქმეების კომისიას წარდგინებანი შეაქვს შესაბამის სახელმწიფო ორგანოებში ან საზოგადოებრივ ორგანიზაციებში იმ მშობლების ან მათი შემცვლელი პირების მიმართ ზემოქმედების ზომების გამოყენების შესახებ, რომლებიც არასწორად ზრდიან შვილებს ან აფერხებენ კომისიის გადაწყვეტილების შესრულებას, აგრეთვე იმ პირთა პასუხისგებაში მიცემის შესახებ, რომლებიც ქმნიან ისეთ პირობებს, რომ ბავშვებმა და მოზარდებმა ადვილად ჩაიდინონ სამართალადარღვევა, ხოლო ზოგჯერ აიყოლიონ ისინი დანაშაულის ან სხვა ანტისაზოგადოებრივი საქციელის ჩადენაში.

არასრულწლოვანთა საქმეების კომისიის გადაწყვეტილება გაფრთხილების, საყვედურის ან სასტიკი საყვედურის გამოცხადების

შესახებ მოქმედებს ერთი წლის განმავლობაში; ზემოქმედების ზომა გაქარწყლებულად ითვლება, თუ არასრულწლოვანი, რომლის მიმართაც გამოყენებული იყო იგი, ამ ხნის განმავლობაში კვლავ არ ჩაიდენს სხვა სამართალდარღვევას, არასრულწლოვანთა საქმეების კომისიას, რომელმაც გამოიყენა ზემოქმედების ზომა, შეუძლია თავისი გადაწყვეტილებით გააუქმოს იგი ერთი წლის ვადის გასვლამდე, თუ არასრულწლოვანმა, რომლის მიმართაც გამოყენებული იყო ზემოქმედების ზომა, სანიმუშო ყოფაქცევით გამოიჩინა თავი.

არასრულწლოვანთა საქმეების საქალაქო (რაიონული) კომისიის გადაწყვეტილება დაჯარიმების შესახებ დაჯარიმებულმა პირმა უნდა შეასრულოს მისთვის გადაწყვეტილების ჩაბარებიდან 15 დღის განმავლობაში, ხოლო მისი გასაჩივრების ან გაპროტესტების შემთხვევაში საჩივრის ან პროტესტის დაუკმაყოფილებლად დატოვების შესახებ შეტყობინების დღიდან ასევე არა უგვიანეს 15 დღისა.

თუ 16-დან 18 წლამდე ასაკის პირებს, რომლებმაც წვრილმანი ხულიგნობა ჩაიდინეს, არ გააჩნიათ დამოუკიდებელი ხელფასი, ჯარიმას გადაახდევინებენ მშობლებს ან მათ შემცვლელ პირებს.

15 დღეში ჯარიმის გადაუხდელობის შემთხვევაში კომისიის გადაწყვეტილება დაჯარიმებულის ხელფასიდან ან სხვა შემოსავლიდან ჯარიმის თანხის იძულებითი წესით დასაქვითად გადაეგზავნება სასამართლოს ამ პირის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით ქონებაზე გადახდევინების მისაქცევად.

სპეციალურ სკოლებში არასრულწლოვანები შეიძლება იმყოფებოდნენ 15 წლის ასაკამდე, ხოლო სპეციალურ პროფტექნიკურ სასწავლებელში - 18 წლამდე ასაკამდე. გამონაკლის შემთხვევაში მოსწავლეთა სპეციალურ სკოლაში ყოფნა შეიძლება გაგრძელდეს 16 წლის ასაკამდე. არასრულწლოვანები სპეციალურ სასწავლო-აღმზრდელობით დაწესებულებაში იმყოფებიან გამოსწორებამდე, მაგრამ არა უმეტეს 3 წლისა.

სპეციალურ სასწავლო-აღმზრდელობითი დაწესებულების ადგილსამყოფელის მიხედვით, არასრულწლოვანთა საქმეების კომისიას შეუძლია ნება დართოს მოსწავლეს დარჩეს სპეციალურ სკოლაში ან სპეციალურ პროფტექნიკურ სასწავლებელში 3 წლის გასვლის შემდეგაც - მიმდინარე, სასწავლო წლის დამთავრებამდე.

სპეციალური სკოლების მოსწავლეები, რომლებსაც შეუსრულდათ 15 წელი, მაგრამ არ გამოსწორდნენ, ასეთი სკოლის ადგილსამყოფელის მიხედვით არასრულწლოვანთა საქმეების კომისიამ შეიძლება გაგზავნოს სპეციალურ პროფტექნიკურ სასწავლებელში.

სპეციალურ სასწავლო-აღმზრდელობით დაწესებულებაში მოსწავლეთა ყოფნის ხარჯების ნაწილობრივ ასანაზღაურებლად მშობლებს ეკისრებათ გადასახდელი კანონმდებლობით განსაზღვრული წესით.

არასრულწლოვანთა სპეციალურ სასწავლო-აღმზრდელობითი და სამკურნალო-აღმზრდელობითი დაწესებულებებში შემდგომი ყოფნის მიზანშეწონილობის საკითხს პერიოდულად, წელიწადში ორჯერ მაინც, განიხილავენ არასრულწლოვანთა საქმეების კომისიები ამ დაწესებულებების ადგილსამყოფელის მიხედვით, კომისიის ინიციატივით, ამ დაწესებულების წარდგინებით, მშობლის ან მისი შემცველელი პირის შუამდგომლობით.

არასრულწლოვანთა სპეციალურ სასწავლო-აღმზრდელობით დაწესებულებაში არ შეიძლება გაიგზავნონ ყრუ-მუნჯები, სმენადაქვეითებულნი , უსინათლოები, სულით ავადმყოფები, გონებრივად ჩამორჩენილი ან გადამდები ინფექციური და ვენერიული სნეულებით დაავადებული არასრულწლოვანები, აგრეთვე ბავშვები და მოზარდები ისეთი ფიზიკური ნაკლით და დაავადებით, რომლებიც სპეციალური ნუსხის მიხედვით არ მიიღებიან სკოლა-ინტერნატებსა და პროფტექნიკურ სასწავლებელში.

არასრულწლოვანის სპეციალურ სასწავლო-აღმზრდელობით ან სამკურნალო-აღმზრდელობით დაწესებულებაში ყოფნა შეწყდება დასახელებული დაწესებულების ადგილსამყოფელის მიხედვით არასრულწლოვანთა საქმეების კომისიის გადაწყვეტილებით პედაგოგიური საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე, რომელსაც დირექტორი ამტკიცებს, ამას არასრულწლოვანის გამოშვებამდე არა უგვიანეს 1 თვისა ატყობინებენ არასრულწლოვანთა საქმეების კომისიას არასრულწლოვანის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. კომისია ვალდებულია მიიღოს ზომები არასრულწლოვანის შრომითი მოწყობის ან მისი სასწავლებელში გაგზავნის და მისთვის საჭირო მატერიალურ-საყოფაცხოვრებო პირობების შექმნისათვის.

თუ არასრულწლოვანი გაგზავნილია აღსაზრდელად საბავშვო სახლში ან სკოლა-ინტერნატში, მაშინ გადაწყვეტილებას სა-

ბავშვო სახლიდან ან სკოლა-ინტერნატიდან მისი გამოშვების შესახებ იღებს იმ რაიონის (ქალაქის) კომისია, სადაც მდებარეობს საბავშვო სახლი ან სკოლა-ინტერნატი.

იმ შემთხვევაში, როდესაც აღსაზრდელი სპეციალურ სასწავლო-აღმზრდელობითი ან სამკურნალო-აღმზრდელობითი დაწესებულებიდან, საბავშვო სახლიდან, სკოლა-ინტერნატიდან გამოშვების შემდეგ არ შეიძლება გაიგზავნოს მშობლებთან ან მათ შემცვლელ პირებთან კანონით დადგენილი წესით მათთვის მშობლის ან მეურვის უფლების სამართომევასთან დაკავშირებით, აგრეთვე როდესაც შეუძლებელია აღსაზრდელის წინანდელ საცხოვრებელ ადგილზე დაბრუნება სხვა მიზეზების გამო (არ ჰყავს მშობლები ან მათი შემცვლელი პირები, არ არსებობს საყოფაცხოვრებო, შრომითი მოწყობისა და აღზრდის სათანადო პირობები), რაიონული (საქალაქო) კომისია ამ დაწესებულებების ადგილსამყოფელის მიხედვით მიიღებს ზომებს არასრულწლოვანის მოწყობისათვის. ამასთან უფლება აქვს შეიტანოს წარდგინება მეურვის, მზრუნველის დანიშვნის შესახებ.

თვრამეტი წლის ასაკის მიღწევამდე შრომა-გასწორების კოლონიებიდან განთავისუფლებულნი იგზავნებიან მშობლებთან ან მათ შემცვლელ პირებთან, იმ შემთხვევაში, თუ ეს შეუძლებელია, არასრულწლოვანთა საქმეების კომისია განთავისუფლებულის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით კოლონიის ადმინისტრაციის წარდგინებით მიიღებს ზომებს არასრულწლოვანის მოსაწყობად სამუშაოზე ან სასწავლებელში, აგრეთვე მისივის სათანადო საბინაო-საყოფაცხოვრებო პირობების შესაქმნელად. არასრულწლოვანს, რომელსაც არ ჰყავს მშობლები, არასრულწლოვანთა საქმეების კომისია საჭიროების შემთხვევაში გზავნის სკოლა-ინტერნატში ან გადასცემს სამეურვეოდ.

დებულებაში განსაზღვრულია არასრულწლოვანთა საქმეების კომისიაში საქმის მომზადებისა და განხილვის წესები. არასრულწლოვანთა საქმეების კომისია განიხილავს საქმეებს: რომლებიც გადაცემულია სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული წესით; - გამგეობის, შინაგან საქმეთა, განათლების, სხვა ორგანოებისა და წარმოება-დაწესებულებების წარდგინებით; - მოქალაქეთა განცხადებით; საკუთარი ინიციატივით.

არასრულწლოვანთა საქმეების კომისია საქმეებს განიხილავს მათი შემოსვლიდან არა უგვიანეს 15 დღისა.

საქმის მასალებს, რომელთა განხილვა ეკუთვნება საქალაქო (რაიონულ) კომისიას, წინასწარ შეისწავლის კომისიის თავმჯდომარე ან მისი მოადგილე და იღებს გადაწყვეტილებას, რომ საქმე განიხილონ კომისიის სხდომაზე, დამატებით შეისწავლოს საქმის მასალების შემოსული განცხადებების ან წარდგინებების მიხედვით; კომისიის სხდომაზე საქმის განხილვამდე მიიღონ ზემოქმედების ზომები არასრულწლოვანის მიმართ.

კომისიაში საქმის განხილვამდე არასრულწლოვანი შეიძლება გადაეცეს მშობლებს ან მათ შემცვლელ პირებს სამეთვალყურეოდ, ხოლო არასრულწლოვანი, რომელიც საბავშვო დაწესებულებაში იზრდება, ზედამხედველობისათვის გადაეცეს ამ დაწესებულების ადმინისტრაციას.

თუ მოზარდი 11-დან 14 წლამდე ასაკში ჩაიდენს საზოგადოებრივად საშიშ ქმედობას და ამასთან დაკავშირებით აუცილებელია მისი დაუყოვნებლივ იზოლაცია, იგი შეიძლება მოთავსდეს არასრულწლოვანთა მიმღებ-გამანაწილებელში კომისიის თავმჯდომარის ან მისი მოადგილის წერილობითი მითითების საფუძველზე, თუ კომისიას აქვს ეჭვი, რომ არასრულწლოვანი, რომლის საქმეც განიხილება, ფსიქიკურად არასრულფასოვანია, იგი უნდა გაიგზავნოს სამედიცინო შემოწმებაზე.

საქმეების მომზადებისა და განხილვის დროს არასრულწლოვანთა საქმეების კომისიამ ზუსტად უნდა დაადგინოს არასრულწლოვანის ასაკი, საქმიანობა, ცხოვრებისა და აღზრდის პირობები, სამართადარღვევის ფაქტი და მისი დამადასტურებელი მონაცემები, იყვნენ თუ არა მოზრდილი წამქეზებლები და სამართალდარღვევის სხვა მონაწილენი. იყო თუ არა წინათ არასრულწლოვანის მიმართ გამოყენებული ზემოქმედების ზომები.

კომისია მოვალეა გამოავლინოს არასრულწლოვანის მიერ ჩადენილი სამართალდარღვევის გამომწვევი მიზეზები და ხელშემწყობი პირობები.

არასრულწლოვანთა საქმეების კომისიას შეუძლია გამოითხოვოს საჭირო დოკუმენტები და ცნობები, აგრეთვე გამოიძახოს თანამდებობის პირები და მოქალაქეები, რათა მიიღოს ახსნა-განმარტება იმ საკითხებთან დაკავშირებით, რომლებსაც კომისია განიხილავს. თუ კომისიის მიერ გამოძახებული თანამდებობის პირები და მოქალაქეები არ გამოცხადდებაინ და ამასთან საპატიო მიზეზი არ ექნებათ, კომისიას შეუძლია გადადოს

საქმის განხილვა და უზრუნველყოს მათი გამოცხადება. ისინი შეიძლება მოყვანილ იქნენ იძულებითი წესით.

მას შემდეგ, რაც კომისიის თავმჯდომარე, თავმჯდომარის მოადგილე ან კომისიის წევრი, რომელსაც ეს დაკალებული აქვს, მიიჩნევს, რომ საქმე განსახილველად მომზადებულია, იგი არასრულწლოვანს, მშობელს ან შემცვლელ პირს, ხოლო საჭიროების შემთხვევაში - აღმზრდელობითი დაწესებულების წარმომადგენელსაც საქმის განხილვამდე აცნობს ყველა მასალას და ადგენს, თუ ვინ გამოიძახოს კომისიის სხდომაზე, ნიშნავს საქმის განხილვის დროს და ადგილს.

არასრულწლოვანთა საქმეების კომისიის სხდომა უფლებამოსილია თუ მას ესწრება კომისიის წევრთა ნახევარი.

არასრულწლოვანთა საქმეების კომისიას აუცილებლად უნდა დაესწროს არასრულწლოვანი, რომლის საქმეც იხილება, მშობელი ან შემცვლელი პირი, ხოლო საჭიროების შემთხვევაში - აღმზრდელობითი დაწესებულების წარმომადგენელი.

არასრულწლოვანი მსჯავრდებულის სასჯელისაგან ვადამდე პირობით განთავისუფლების შესახებ შუამდგომლობის აღძვრის, დანიშნული სასჯელის უფრო მსუბუქი სასჯელით შეცვლის საკითხებისა და მსჯავრდებულთა მიმართ სხვა შუამდგომლობების განხილვისას კომისიის სხდომას აუცილებლად უნდა ესწრებოდეს შრომა-გასწორების კოლონიის ადმინისტრაციის წარმომადგენელი და თვითონ მსჯავრდებული. კომისიას უფლება აქვს სხდომიდან გაიყვანოს არასრულწლოვანი იმ ხნის განმავლობაში, როდესაც განიხილება გარემოებანი, რომელთა შესახებ მსჯელობას შეუძლია ცუდი გავლენა მოახდინოს მასზე.

არასრულწლოვანთა საქმეების კომისია განიხილავს მასალებს, რომლებიც შეკრებილია არასრულწლოვანის საქმესთან დაკავშირებით. მოისმენს არასრულწლოვანის, მისი მშობლების ან მათი შემცვლელი პირების, დაზარალებულის, მოწმეების განმარტებას და საქმის ყველა გარემოების ყოველმხრივი გარნევის შემდეგ მიიღებს ზემოქმედების შემდეგ ზომებს: 1. გამოყენებულ იქნეს ზემოქმედების ერთ-ერთი ზომა; 2. შეწყდეს საქმე; 3. გადაიდოს საქმის განხილვა და მოეწყოს დამატებითი შესწავლა; 4. საქმე გადაეცეს ქვემდებარეობით სხვა ორგანეობს.

კომისიის სხდომაზე შედგება ოქმი, რომელშიც აღინიშნება სხდომის თარიღი და ადგილი, განსახილველი საქმის შინაარსი,

ცნობები საქმის განხილვის მონაწილე პირთა გამოცხადების შესახებ, მათი ახსნა-განმარტებების მოკლე ჩანაწერი, საქმესთან დაკავშირებული სხვა მონაცემები, აგრეთვე ცნობები გამოტანილი გადაწყვეტილების საჯაროდ წაკითხვის, მისი გასაჩივრების წესისა და ვადების განმარტების შესახებ. ოქმს ხელს აწერენ თავმჯდომარე და პასუხისმგებელი მდივანი. კომისიას შეუძლია გამაროს გამსვლელი სხდომა იმ პირის მუშაობისა და საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, რომლის საქმეც ირჩევა. კომისიის მიერ გადაწყვეტილების მიღება ხდება მონაწილე წევრთა ხმის უმრავლესობით.

კომისიის გადაწყვეტილება ჩამოყალიბდება წერილობით და უნდა იყოს მოტივირებული. მასში ზემოქმედების ზომის გამოყენების შესახებ მიეთითება კომისიის დასახელება, საქმე, განხილვის თარიღი; ცნობები იმ პირის შესახებ, რომლის საქმეც განიხილება, საქმის განხილვისას დადგენილი გარემოებები; ნორმატიული აქტი; რომელიც ითვალისწინებს პასუხისმგებლობას მოცემული სამართალდარღვევისათვის და საქმეზე მიღებული გადაწყვეტილება. გადაწყვეტილებას ხელს აწერენ თავმჯდომარე, პასუხისმგებელი მდივანი და მიღებისთანავე გამოქვეყნდება საჯაროდ.

თუ არსებობს საკმარისი საფუძველი, რომ არასრულწლოვანი, რომელიც კომისიის გადაწყვეტილების შესაბამისად მოთავსებული უნდა იქნეს სპეციალურ სასწავლო-აღმზრდელობით დაწესებულებაში, განაგრძობს დანაშაულებრივ ან სხვა ანტისაზოგადოებრივ საქმიანობას, აგრეთვე თავისი გადაწყვეტილების შესრულების უზრუნველსაყოფად, კომისიას უფლება აქვს მიიღოს გადაწყვეტილება არასრულწლოვანის დროებით, 30 დღემდე არასრულწლოვანთა მიმღებ-გამანაწილებელში დატოვების შესახებ.

3. ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების და პრეკურსორების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის კომისია

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტის კომისიის (თავმჯდომარე, პროფესორი დავით გეგეშიძე) მუშაობის შედეგები, ერთი მხრივ, გამოავლენს

ნარკომანიის საქართველოში გავრცელების ტენდენციებს და მახასიათებლებს, მეორე მხრივ, მოგვცემს იმის საშუალებას, რომ დავსახოთ ნარკომანიის გავრცელების, პრევენციის და ნარკომანთა რეაბილიტაციის ღონისძიებები.

ნარკომანიის სამედიცინო-ბიოლოგიურ, სოციალურ, იურიდიულ, უსიქოლოგიურ ასპექტებზე მსჯელობა ყოველთვის იყო საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტის საქმიანობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი უბანი. ამ პრობლემებზე მსჯელობა წითელი ზოლივით გასდევს ამ ინსტიტუტის მოღვაწეობას, რომლის ძირითადი მანვენებლები იყო:

- საზოგადოების განგაში ამ სენის გავრცელების მასშტაბების და ხასიათის შესახებ;
- კონკრეტული ზომების მიღება ნარკომანიის გავრცელების საწინააღმდეგოდ;
- ახალგაზრდობაში, განსაკუთრებით სტუდენტ ახალგაზრდობაში, ნარკოტიკული საშუალებების და ფსიქოტროპული ნივთიერებების უკანონო ბრუნვის მდგომარეობის სოციოლოგიური გამოკვლევების ჩატარება და მისი შედეგების გათვალისწინება;
- პროგნოზირება ნარკომანიის შესაძლო გავრცელების და გაფართოების შესახებ;
- პრესის, რადიოს და ტელევიზიის მობილიზება ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლის ორგანიზირებაში.

საქართველოში ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში ეტაპობრივი მნიშვნელობა ჰქონდა 60-იან წლებში ნარკომანიის, როგორც თემის ლეგალიზაციას, რომელიც უშუალოდ დაკავშირებულია იმჟამად საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ედუარდ შევარდნაძის ინიციატივასა და გამბედაობასთან. ტოტალიტარული რეჟიმის პირობებში ითვლებოდა, რომ ნარკომანია როგორც სხვა სახის ნეგატიური მოვლენები (ლოთობა, ხულიგნობა, მეძავეობა, მექრთამეობა, პროტექციონიზმი და სხვა) კაპიტალისტური სამყაროს გადმონაშთებია და სოციალისტურ საზოგადოებაში მას საფუძველი არა აქვს. ამდენად, ამ პრობლემაზე მაჯელობა აკრძალული იყო, მას "ტაბუ" ედო. აღნიშნული ინიციატივის შედეგად დაიწყო ნარკომანიის გავრცელების როგორც რეალური ფენომენის შესახებ მსჯელობა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მოხდა ნარკომანიის თემის ლეგალიზაცია, რაც მეტად გაბედული აქტი იყო.

მაშასადამე, ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლის პირველ ეტაპზე "გაიხსნა" ნარკომანიაზე მსჯელობა, მისი გამომწვევი მიზეზების კვლევა.

1976 წლის 25 ივნის საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტის გაფართოებულ სხდომაზე განხილული იყო ნარკომანიის გავრცელების და მასთან ბრძოლის საკითხები. განხილვაში აქტიური მონაწილეობა მიიღეს მეცნიერებმა, პედაგოგებმა, მედიცინის მუშაკებმა, პრესის, რადიოს, ტელევიზიის წარმომადგენლებმა. ბევრი საინტერესო აზრი, წინადადება, რეკომენდაცია გამოითქვა. მათგან აღვნიშნავთ შინაგან საქმეთა მინისტრის კონსტანტინე კეთილაძის მოხსენების მნიშვნელობას. კერძოდ მინისტრი აღნიშნავდა: "ნარკომანიის პრობლემა ახალია. ბევრ სახელმწიფოში ნარკომანიის წინააღმდეგ საგანგებო ზომებს იღებენ, მაგრამ შედეგებს ვერ აღწევენ. ამერიკელებმა გამოიანგარიგეს: 1973 წელს ქვეყანას თექვსმეტი მილიარდი დოლარის ზარალი მოუვიდა ნარკომანიის გამო. ჩვენ ვთხოვთ სახელოვან მეცნიერებს, საზოგადო მოღვაწეებს, წარჩინებულ ადამიანებს, იფიქრონ ამ საკითხზე. ნარკომანია იოლად არ დაიძლევა. ამას სისტემატიური ზრუნვა, შესწავლა და საოანადო რეკომენდაციების მიცემა, გადაწყვეტილებების გამოტანა სჭირდება".

მაშასადამე, იმხანად უკვე ატეხილი იყო განგაში, ნარკომანიის გავრცელების შედეგების შესახებ. საინტერესოა სტატისტიკური მონაცემები: 1970-1974 წლებში ნარკოტიკული ნივთიერებების გამოყენებისათვის ადმინისტრაციული წესით დაისაჯა 259 ადამიანი, 1975 წელს დაისაჯა 487 პირი. 1976 წელს ნარკომანიასთან დაკავშირებული დანაშაულის შედეგად აღძრულმა სისხლის სამართლის საქმემ 80 პროცენტით მოიმატა.

1976 წლის ივნისისათვის საქართველოში ოფიციალურ აღრიცხვაზე 1600-ზე მეტი ჰაშიშის მომხმარებელი ირიცხებოდა.

ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლის სისტემატური ხასიათის დამადასტურებელია თითქმის ყოველ წელს ამ პრობლემახე მსჯელობის პრაქტიკა - ნარკომანიის მდგომარეობის ანალიტიკური ანალიზი და მისი შედეგების მიხედვით მოქმედების სტრატეგიული გეგმის დასახვა.

ნარკოტიკული საშუალებების და ფსიქოტროპული ნივთიერებების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის შემდეგი ეტაპი

80-იან წლების დასასრულს დაფიქსირდა. ამ ეტაპის დამახასიათებელი იყო:

- ფსიქოტროპული, ტოქსიკური ნივთიერებების არასამედიცინო მიზნებით ხმარებისადმი ყურადღების გამახვილება;
- ნარკომანების იძულებითი მკურნალობისადმი აქცენტირება;

საზოგადოებრიობის ფართო ფენების წარმომადგენლების ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლაში ჩაბმის მეთოდების და ფორმების გამრავალფეროვნება.

1988 წლის 18 მარტს შედგა საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტის გაფართოებული სხდომა, რომელმაც განიხილა ორი ურთიერთდაკავშირებული საკითხი:

1. ნარკომანია, როგორც სოციალური ბოროტება და;
2. შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით გაწეული მუშაობის შედეგები რესპუბლიკაში შექმნილი ოპერატიული ვითარების მიხედვით.

ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლის ამ ეტაპზე დაფიქსირდა საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტის მიერ შინაგან საქმეთა სამინისტროსადმი პასუხისმგებლობის მოთხოვნის გაზრდა, რაც ნარკომანიის პრობლემებზე მსჯელობის ახალ ეტაპად წარმოგვიდგა. არაპირდაპირ დაისვა საკითხი ნარკომანიის სამართლებრივი ბაზის შექმნის აუცილებლობაზე. ყოველივე ამან სხდომის მონაწილეებს იმის საშუალება მისცა, რომ მათ დაავალეს საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტის რექტორატს მთავრობის მეთაურისადმი წერილის მომზადება და მკაცრი პასუხისმგებლობა. ეს დავალება შესრულდა.

საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტმა წერილი გაუგზავნა საქართველოს მთავრობას, რომელშიც ნათქვამი იყო;: რესპუბლიკაში ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლის სწორი ორგანიზაციისა და ეფექტიანობის ამაღლებისათვის, საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტი მიზანშეწონილად თვლის გატარდეს შემდეგი ღონისძიებები:

"1. გაუმჯობესდეს მოსწავლე და სტუდენტი - ახალგაზრდობის სამედიცინო შემოწმების მეთოდები, სავალდებულო გახდეს მათი ყოველწლიური დისპანსერიზაცია; 2. დაჩქარდეს ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლის კანონმდებლობის სრულყოფის საკითხის დადებითად გადაწყვეტა პროკურატურის, იუსტიციისა და შინაგან საქმეთა სამინისტროების ადრე შემოტანილი წინადადე-

ბების მიხედვით; 3. რესპუბლიკაში ნარკოტიკულ ნივთიერებათა უკანონო შემოტანის არხების გადაკეტვის მიზნით შემუშავდეს ჩრდილოეთ კავკასიისა და ამიერკავკასიის ტერიტორიულ და სატრანსპორტო შინაგან საქმეთა ორგანოების ძირითადი კომპლექსური ღონისძიებების განხორციელების გეგმა ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლის გასაძლიერებლად; 4. დაევალოს საქართველოს სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების სახელმწიფო კომიტეტს ყოველწლიურად გაუკეთოს ორგანიზაცია სასოფლო-სამეცნიერო ფართობებში ნარკო-შემცველი სარეველა მცენარეების და მისი ველური ჯიშების დროულ სავეგეტაციო პერიოდში განადგურებას. აღნიშნული საკითხის შესრულებაში შინაგან საქმეთა ორგანოების მუგშაკებთან ერთად აქტიური მონაწილეობა მიიღონ სოფლის მეურნეობის სპეციალისტებმა და ფარიო საზოგადოებამ. 5. შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ შემუშავებული სპეციალური გეგმის მიხედვით თვეში ერთხელ რესპუბლიკაში ჩატარდეს ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლის ორდღიანი-ოპერატიულ პროფილაქტიკური ღონისძიებები შინაგან საქმეთა ყველა საქალაქო, რაიონული და ტრანსპორტის მილიციის ერთდროული მონაწილეობით; 6. შეიქმნას ნარკომანიის გავრცელების წინააღმდეგ მებრძოლ სახალხო რაზმელთა სპეციალური ჯგუფები ყველა მსხვილ დაწესებულებაში და ორგანიზაციაში, სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში; 7. ყველა საშუალო სკოლის და პროფტექნიკური სასწავლებლის, პედაგოგიურ კოლექტივთან შეიქმნას მებრძოლი ჯგუფები, რომელთაც დაევალებათ მოსწავლე-ახალგაზრდობაში ინდივიდუალური პროფილაქტიკური მუშაობის გაძლიერება, არასრულწლოვან ნარკომანთა გამოვლენა და მათ გამოსწორებაზე ზრუნვა.

საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტი სთხოვდა მთავრობას:

8. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაში ან ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროში შეიქმნას სპეციალური ლაბორატორია, რომელიც მეცნიერულ საფუძველზე დაყრდნობით შეისწავლიდა ადამიანის ორგანიზმში ნარკოტიკულ ნივთიერებათა აღმოჩენის დიაგნოსტიკის სრულყოფილ მეთოდიკას. ასევე შეიმუშავებდა ნარკომანთა მკურნალობის მეთოდებსა და საშუალებებს; 9. მიღებულ იქნეს ზომები, რესპუბლიკის ყველა რაიონულ ცენტრსა და ქალაქში ნარკოლოგიური დაწესებულებების, დისპანსერების და კაბინეტების შექმნისათვის. განსაკუთრებული

ყურადღება მიექცეს იმ ადგილებს, სადაც ისინი არ არსებობენ, აგრეთვე ყველა ნარკოლოგიური დაწესებულების კვალიფიციური კადრების დაკომპლექტების უზრუნველყოფისა და მათთვის აუცილებელი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის უზრუნველყოფისათვის; 10. ჩრდილოეთ კავკასიიდან ნარკოტიკების შემოტანის არხების გადაკეტვის მიზნით ყაზბეგის რაიონის სოფ. ქველეთში აშენდეს სათანადოდ აღჭურვილი საგუშაგო-შენობა, ოპერატიული ჯგუფების სადღეღამისო მუშაობისათვის; 11. საშინაო-საქიმო კომისიების შემადგენლობაში გათვალისწინებული იქნას ჭიმ-ნარკოლოგების მონაწილეობა წვეულებათა შორის ნარკომანიით დაავადებულ პირთა გამოვლინების მიზნით; 12. დაისვას საკითხი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წინაშე შეიტანოს სათანადო ცვლილებები კანონმდებლობის იმ ნაწილში, სადაც არასამედიცინო დანიშნულებით ნარკოტიკული ნივთიერებების მიღებისათვის აღრიცხვაზე აყვანილ პირებს აეკრძალოთ ყოველგვარი ტრანსპორტის მართვის უფლება სრულ განკურნებამდე. 13. ოფიციალური მონაცემებით დადგენილია, რომ რესპუბლიკაში უკანასკნელ წლებში გარკვეულად გაიზარდა ნარკომანი ქალების რაოდენობა, რის გამო ვერ ხორციელდება კანონით გათვალისწინებული ღონისძიებები, საჭიროდ მიგვანნია საგარეჯოს სამკურნალო შრომით პროფილაქტორიუმებთან გაიხსნას ალკოჰოლიზმითა და ნარკომანიით დაავადებულ ქალთა ცალკე განყოფილება ან ფილიალი, სადაც მათი შრომითი დასაქმებისა და სათანადო მკურნალობის მიზნით".

წინადადებები მომზადებული იყო საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტის მიერ შინაგან საქმეთა სამინისტროს, სისხლის სამართლის სამძებრო სამმართველოს შესაბამის სამსახურთან ერთად, იგი განიხილეს მთავრობამ, უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმმა და შესაბამისმა სამინისიტროებმა, მიიღეს შესაბამისი დადგენილებები და გადაწყვეტილებები, რამაც კიდევ უფრო სრულყო ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლა.

ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლის შემდგომ ეტაპად უნდა ჩაითვალოს ნარკომანიის პრობლემებზე ყოველმხრივი მსჯელობა საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტის გაფართოებულ სხდომებზე 1992 წლის 23 აპრილს და 1994 წლის 12 აგვისტოს. 1992 წლის 23 აპრილის სხდომამ ყურადღება გაამახვილა ნარკომანიის თემატურ საკითხებზე: "ნარკომანია და მასთან ბრძოლის საკითხები"

(რუბენ ასანიძე - შინაგან საქმეთა სამინისტროს სამმართველოს უფროსი), საჭიროა თუ არა ნარკომანიის ლეგალიზაცია?" (დავით გეგეშიძე პროფესორი), "ნარკომანია ავადმყოფობაა თუ დანაშაული" (ბიძინა ნანეიშვილი - აკადემიკოსი). 1994 წლის 12 აგვისტოს გაფართოებულ სხდომაზე მოსმენილი იყო შემდეგი საკითხები: 1. ნარკომანიისა და ნარკობიზნესის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების შესახებ. 2. კანონპროექტის "ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ" განხილვა.

აღნიშნულ სხდომებზე დაფიქსირდა საქართველოში არსებული მძიმე სოციალურ-პოლიტიკური ვითარება და პოლიტიკური მდგომარეობის შესაბამისად ნარკომანიის პრობლემების გამძაფრება, რასაც ადასტურებს შემდეგი მონაცემები:

1991 წლისათვის პროფილაქტიკურ აღრიცხვაზე იმყოფებოდა 2347 პიროვნება, რაც, რასაკვირველია არ ასახავდა რეალურ მდგომარეობას. უკანასკნელ წლებში მკვეთრად გაიზარდა ნარკომანიის საფუძველზე ჩადენილი სისხლის სამართლის დანაშაული. განსაკუთრებით გაიზარდა ნარკომანთა რიცხვი ახალგაზრდებს შორის.

ამ ეტაპზე აღინიშნა კიდევ ერთი მეტად საყურადღებო ტენდენცია - სამედიცინო ნარკომანია აღარ წარმოადგენდა წამყვან-მნიშვნელოვან პრობლემას, ნარკომანიის საგანგაშო გავრცელება დაუკავშირდა არა სამკურნალო საშუალებას, არამედ სოციალურ დეფორმაციებს (თავშეუკავებლობა, მიმბაძველობა, ჰედონისტური მიდრეკილებანი, უსაქმურობა, უმუშევრობა, ნარკობიზნესის გავრცელება და ა.შ.) ე.ი. ნარკომანიის სოციალური ფაქტორი ამ ეტაპზე ყველაზე მეტად მოქმედებდა მის გავრცელებაზე. ცოტა ხნის შემდეგ მის პარალელურად "ამოქმედდა" ფსიქოლოგიურ-ემოციური მოტივაცია. აფხაზეთის დაკარგვამ, მსხვერპლმა, იმედის გაცრუებამ, გაუცხოებამ, თავისი მახვრალი ხელი დაადო ადამიანთა სულს. ადამიანთა სულიერებაში გააჩინა ვაკუმი.

ამ პერიოდის მეორე დამახასიათებელი თავისებურება იყო ნარკომანიის ლიბერალიზაციის, (მისი სრული ლეგალიზაციამდე) საუბრის, კამათის, საპირისპირო მოსაზრებების გამოკვეთა, რაც მთავარია, სწორედ ამის საფუძველზე შედგა საქართველოს პრეზიდენტისადმი ნარკოსიტუაციის ამსახველი

დოკუმენტი, რომლის ტექსტი დაამტკიცა საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტის გაფართოებულმა სხდომამ. ამ დოკუმენტმა ეტაპობრივი როლი შეასრულა, ამიტომ მის ტექსტს მთლიანად დავაფიქსირებთ:

"ჩვენს ქვეყანაში მძიმე მდგომარეობაა. სახეზეა პოლიტიკური, ეკონომიკური და რაც ყველაზე სამწუხაროა, ზნეობრივი კრიზისი, რაც მწვავედ აისახება ადამიანის ფსიქიკაში. ომის მდგომარეობას, შიმშილობის მოახლოებას, ყაჩაღობას, ქურდობას და ბევრ სხვა უბედურებას გადაეჯაჭვება ნარკომანიის, ლოთობის, პროსტიტუციის გაძლიერება. მართალია ეს დაავადებები არც ადრე გვაკლდა, მაგრამ ეხლა მათი ნამდვილი ბუმია. ამას თან სდევს სხვა დაავადებათა და დანაშაულობათა ზრდაც. ამჯერად ჩვენ ყურადღება გვინდა გავამახვილოთ ნარკომანიაზე, მეოცე საუკუნის ამ უსაშინელეს სენზე - "თეთრ სიკვდილზე".

როგორ აღვუდგეთ წინ ამ უდიდეს უბედურებას?! საზოგადოებრივი აზრის შესწავლა ადასტურებს, რომ ადამიანთა უმრეველესობა მოითხოვს უმკაცრესი ზომების გატარებას, ნამდვილი ჯვაროსნული ომის გამოცხადებას. კანონის გამკაცრებას, სპეციალური სამსახურების ქმედითუნარიანობის ამაღლებას. მთელი საზოგადოების დარაზმვას, არის მეორე ალტერნატული აზრიც, რომელიც ნაროკომანიის ლეგალიზაციას უჭერს მხარს.

არსებული ვითარების ანალიზი გვიჩვენებს, რომ ხალხი გადაღლილი და გულგრილია. კანონი ისედაც მკაცრია, ხოლო სპეციალური სამსახურის რიგი წარმომადგენელი, ჩვენდა სამწუხაროდ, თვითონაა ჩაბმული ნარკობიზნესში. ასეთი ვითარებაც რომ არ გვქონდეს, მორალური თუ სამართლებრივი სანქციებით ამ პრობლემების გადაჭრა შეუძლებლად მიგვანნია. საერთოდ, ამკრძალავი ღონისძიებების გაძლიერების მოთხოვნა ხალხის თავისუფლებაა ლამის საშიშ ბოროტებად იყო გამოცხადებული, ამდენად უმრავლესობის აზრი ამ შემთხვევაში გადამწყვეტი მნიშვნელობის არ უნდა იყოს. უფრო არსებითია პრობლემათა არსში დღევანდელ დონეზე მოაზროვნე ღრმად ჩახედული სპეციალისტების პოზიცია.

შინაგან საქმეთა სამინისტროს საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტი სხვა საკითხებთან ერთად სწავლობს ნარკომანიის გავრცელების მიზეზებს და მისი გავლენის შედეგებს. ამჟამად ნარკომანიის ჩამოყალიბების საშიშროებამ ზღვრულ მა-

ჩვენებელს მიაღწია, თუ ამ "თეთრი სიკვდილის" საწინააღმდეგოდ უმოკლეს ვადებში არ გატარდება ქმედითი ხასიათის ღონისძიებები, ნარკომანია სულ მოკლე დროში ეროვნულ ტრაგედიად გადაიქცევა.

ნარკომანია მარტო ჩვენი ეროვნული უბედურება არ არის, ასევე იგი არ არის ახალი მოვლენა, ნარკომანიას კაცობრიობა უძველესი დროიდან იცნობს. ისტორიის ანალები გვაწვდიან ცნობას, რომ ნარკოტიკულ ნივთიერებებს - ხმარობდნენ ჯერ კიდევ ძველ საბერძნეთში, რომსა და ეგვიპტეში. უფრო მოგვიანებით მან შეაღწია და ფეხი მოიკიდა ჩინეთსა და ინდოეთში. მაგრამ ნარკომანიის ფართო გავრცელება იწყება მეცხრამეტე საუკუნიდან, სწორედ მაშინ მიაქცია მეცნიერებამ ყურადღება იმას, რომ ნარკომანია სოციალური ძვრების შედეგია. ამის დამადასტურებელი იყო "ნარკომანიის ეპიდემია" საფრანგეთ-პრუსიის ომის დროს 1890 წელს, ხოლო მისმა არეალმა აპოგეას მიაღწია პირველი მოსფლიო ომის დროს, როდესაც ის მოედო მსოფლიოს ისეთ უდიდეს კონტინენტს, როგორიცაა ევროპა და ამერიკა.

ხალხი გადაღლილი და გულგრილი გახდა. ალბათ ძნელი დასაჯერებელია ერთი თაობის ისტორიაში ერის აზვირთება მებრძოლი, დაუმორჩილებელი რადიკალიზმიდან პასიურ უნებისყოფო ინდეფერენტიზმამდე, როდესაც დღევანდელ დღეზე ფიქრს, ხვალ როგორ იშოვოს ლუკმა-პური, უპირატესობა ეძლევა, როდესაც ერის სინამდვილეში დაისადგურა პასიურობამ, უნებისყოფობამ, გულცივობამ, უპასუხისმგებლობამ, რომელიც ფრიად საშიში სიმპტომია ერის განვითარების ისტორიაში, რომლის წყალობითაც ფართო შარა გზა მიეცა ყაჩაღობას. ამას გარკვეულწილად ხელი შეუწყო სოკოებივით აღმოცენებულმა სხვადასხვა სახისა და ტიპის პარტიათა ზოგიერთი წარმომადგენლის დემაგოგიურმა გამოსვლებმა. მათმა პოლიტიკურმა მოუმწიფებლობამ. აი, სად და როდის ეძლევა მწვანე შუქი და ნოყიერი ნიადაგი ნაოკომანიას, როდესაც ერი ყოფნა-არყოფნის ზღვარზეა მისული და სულიერი საზრდოს უკმარისობას განიცდის.

ვიყოთ გულწრფელნი და რეალური ფაქტებიდან გამოვიდეთ. გავიხსენოთ ოთხი-ხუთი წლის წინათ შექმნილი მწყობრი სისტემა ნარკომანიასთან საბრძოლველად: მთავრობაში, სამინისტროებში, რაიონებში, უწყებებსა და დაწესებულებებში ფუნქციონირებდნენ შესაბამისი რგოლები, ე.ი. არსებობდნენ გარკვეული ერთეულები,

რომლებიც აღნიშნული საკითხებით იყვნენ დაკავებულნი. ჩვენ არ ვიცით რა შედეგებს მიიღებდნენ აღნიშნული ღონისძიებების გამტარებლები, არც იმას ვამტკიცებთ, რომ ვარსკვლავებს მოსწყვეტდნენ, არც სისტემის ნოსტალგიაში გვინდა დაგვდონ ბრალი, არა და არა. მაგრამ უგულებელყოფა იმისა, რომ არსებობდა გარკვეული სისტემა და რგოლები, რომლებიც ამ საქმისათვის იყვნენ მომართული, არ იქნებოდა სწორი და ობიექტური.

სამწუხაროდ ბოლო ორმა წელმა ამ მიმართულებით უარყოფითი შედეგები მოგვცა. მოიშალა ძველი რგოლები, ხოლო ახლის შექმნაზე საქმიანად, უფრო მეტიც, სერიოზულად არავის არ უფიქრია და არც უზრუნია. შეიქმნა ვაკუუმი, სადაც ფართო ასპარეზი მიეცათ მედროვეებს, მომხვეჭელებს, ფულის არაკანონიერი გზით მშოვნელებს. აი ნიადაგი, სადაც ისაზრდოვა და აყვავდა ნარკომანია და ნარკომაფია, რომლის შედეგადაც მივიღეთ ის, რომ ერთი მხრივ, ერის გენოფონდის მტრები - ნარკოტიკული ნივთიერებების გამავარცელებლები და რეალიზატორები და მეორე მხრივ, უნებისყოფო, სუსტი ხასიათის მქონე, სულიერ საზრდოს მოკლებული, ძალიან ხშირად ნიჭიერი ახალგაზრდები.

სწორედ პიროვნების ეს სულიერი და მორალური დეგრადაცია არის ძირითადი მიზეზი იმისა, რომ ნარკომანია გახდა უდიდესი სოციალური უბედურება და მას განსაკუთრებული საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი ყურადღება ესაჭიროება."

ამ მიზნით გაიმართა შინაგან საქმეთა სამინისტროს საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტის გაფართოებული სხდომა 1992 წლის 18 დეკემბერს, რომელსაც დაესწრნენ სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი ილია მეორე, რესპუბლიკის თავაცვისა და სახელმწიფო უშიშროების საბჭოს წარმომადგენლები, მეცნიერების, ხელოვნების, მედიცინის თვალსაჩინო წარმომადგენლები, პროკურატურის, სამართალდამცავი ორგანოების, პოლიციის ხელმძღვანელი მუშაკები.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ანალოგიური სახის თათბირი საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტმა 1988 წელსაც მოიწვია. უფრო მეტიც, ჩატარდა საკავშირო თათბირ-სემინარი, რომელსაც სხვადასხვა რესპუბლიკების მეცნიერ-მუშაკები ესწრებოდნენ, გარკვეული ნაბიჯებიც გადაიდგა, რომელსაც სამწახაროდ რეალური შედეგები არ მოჰყოლია.

18 დეკემბერს მოწვეულ თათბირს გარკვეული წინაისტორია გააჩნია, მას წინ უძღოდა წერილები პრესაში და გადაცემები რა-

დიო-ტელევიზიაში, რომელთაგან ყურადღებას იმსახურებენ პროფესორ დავით გეგეშიძის სტატია გაზეთ "სიმართლეში" (1992, №10), თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის პროფესორ-მასწავლებელთა წარმომადგენლების მიმართვა საქართველოს მოსახლეობისადმი, რომელიც გაზეთებში "საქართველოს რესპუბლიკასა" და "სიმართლეში" დაიბეჭდა (1992, №12) და პროფესორ გ. შერაბიშვილის სტატია გაზეთ "სიმართლეში" (1992, №19). ასევე საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტის ხელმძღვანელობამ საჭიროდ ჩათვალა აღნიშნულ საკითხზე წერილით მიემართა საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარის ბატონ ედუარდ შევარდნაძისადმი (1992, 15 ივნისი). აღნიშნულ განგაშს, ჩვენდა სამწუხაროდ, კონკრეტული შედეგები არ მოჰყოლია. დარჩა ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა.

რა იყო თათბირის ჩატარების ძირითადი მიზანი? საზოგადოებრივი აზრის აზვირთება. რა თქმა უნდა, ჩვენ ღრმად ვართ დარწმუნებული, რომ ეკონომიკური გაჭირვების ჟამს, ძნელია იმედი იქონიო რაიმე თანხების გამოყოფაზე, რომლის საშუალებითაც აშენდებოდა საავადმყოფოები, სტაციონარები ან საყრდენი პუნქტები ნარკომანთა სამკურნალოდ. გვესმის არსებული სიძნელეები, ჩვენი ძირითადი მიზანი იყო დადუმებული საზოგადოებრივი აზრის აბობოქრება, რომელიც როგორც აზვირთებული ტალღა ან მთიდან მოწყვეტილი ზვავი წალეკავდა ყველას, რომლებიც ვალდებული არიან მაქსიმალურად იზრუნონ ნარკომანიის წინააღმდეგ საბრძოლველად და არაფერს არ აკეთებენ ერის გენოფონდის გადასარჩენად.

ამდენად, ჩვენ ყურადღება არ მივაქციეთ ზოგიერთ ჩვენს ოპონენტს, რომლებიც თათბირის გადატანას მოითხოვდნენ. ჩვენ გვჯერა, რომ ანალოგიური შეხვედრები საზოგადოების ყველა ფენებთან რეგულარულად უნდა ტარდებოდეს. ერმა უნდა შეიგნოს და გაითავისოს თუ რა საშიში სენი ემუქრება მის გენოფონდს, მის არსებობს.

არ შევცდებით თუ ვიტყვით, რომ არავითარი სტიქიური უბედურება, კატაკლიზმები, თუნდაც პერიოდული ეთნოკომფლიქტები, იმდენად საშიში არ არის ერისათვის, როგორც ჩვენს საუკუნეში აბობოქრებული უსაშინელესი სენი "თეთრი სიკვდილი". ამიტომაცაა საჭირო საზოგადოების რეგულარული ინფორმირება, პროპაგანდირება (ამ სიტყვის თანამედროვე გაგებით)

ბრძოლა, დაუნდობელი ბრძოლა ნარკომანიისა და ნარკომაფიის წინააღმდეგ. მიწა უნდა იწვოდეს ნარკოტიკული ნივთიერებების გამარჯცელებლების ფეხქვეშ.

ამდენად არ მივიღეთ ოპონენტების წინადადება ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მეთოდური ცენტრიდან, რათა ჯერ დაინტერესებულ პირთა თათბირები ნაგვეტარებინა. "მოვიფიქროთ, განვიხილოთ, დავსახოთ გეგმები". არ არის ეს ცუდი, სასარგებლოცაა და მისასალმებელიც, მაგრამ ჩვენ ხომ დიდი ხანია ამ საკითხზე გაუთავებლად ვთათბირობთ, თითქოსდა ვწუხვართ კიდევაც. საინტერესო აზრებსაც გამოვთქვამთ... და კვლავ ვთათბირობთ, მოკლედ ერთ ადგილას ვტკეპნით მიწას. ჩვენ ამის უფლება არა გვაქვს. უკვე აზვირთებულმა საზოგადოებრივმა აზრმა არ უნდა მისცეს საშუალება და უფლება წყნარად ყოფნისა იმ უწყებებს და დაწესებულებებს, რომლებიც ამ საშური საქმის სათავეში უნდა იდგნენ. დადგა მოქმედების დრო და ჟამი. გასათვალისწინებელია პოეტის ბრძნული სიტყვები:

"როგორმე უნდა გადავარჩინოთ გენიდან გენი,
საქართველო და საფლავი ჩვენი".

დიახ! დღეს ეს უნდა იყოს ერის სამოქმედო დევიზი.

ჩვენდა სამწუხაროდ, უკანასკნელი ორი-სამი წლის განმავლობაში გარკვეული მიზეზების გამო მნიშვნელოვნად შეფერხდა და დაირღვა ნარკოლოგიური სამსახური; შეწყვიტა ფუნქციონირება სამთავრობო და სარაიონო კომისიებმა. გაუქმდა ჯანდაცვის სამინისტროსთან არსებული ნარკოლოგიური განყოფილება. დაიხურა შინაგან საქმეთა სამინისტროს იძულებითი მკურნალობის ნარკოლოგიური სამკურნალო შრომითი პროფილაქტორიუმი, სრულიად დაირღვა ურთიერთკავშირი სხვადასხვა უწყებათა ნარკოლოგიურ სამსახურებს შორის, შეფერხდა ჯანდაცვის სამინისტროს ხელმძღვანელობისაგან მეთოდური დახმარება ნარკოლოგიური სამკურნალო-პროფილაქტიკური დაწესებულებების მიმართ, ამრიგად, დაირღვა და დაიშალა საკმაოდ სისტემა, რომელიც არსებობდა ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში. ეს ერთი მხარე.

მეორე: ნარკომანია საქართველოში უმძაფრესი პრობლემა გახდა, მან კრიტიკულ ზღვარს მიაღწია. თუ 10-15 წლის წინათ შესაძლებელი იყო ნარკოტიკული ნივთიერებების მომხმარებლების და ნარკომანების რაოდენობის მიახლოებითი აღრიცხვა, რაც

დაახლოებით რამდენიმე ასეული ადამიანით შემოისაზღვრებოდა, ამჟამად მათი აღრიცხვიანობა არ ხერხდება. მათ რიცხვმა, ვთქვათ გულახდილად ათეულ ათასებს გადააჭარბა, ოფიციალური მონაცემებით 1985 წელს საქართველოში აღრიცხული იყო 1869 ნარკომანი, 1987 წელს - 760, 1990 წელს - 1089, 1991 წელს კი - 921, 1999 წელს 1000 გადააჭარბა. ეს ნიმუში ყალბი სტატისტიკისა, ე.ი. თუ წინა წლებში რამდენადმე მაინც თუ ხერხდებოდა ნარკომანიის გავრცელებისა რეალური სურათის წარმოდგენა, უკანასკნელ წლებში ეს შეუძლებელია. სოციალური ცხოვრების სხვა სფეროების მსგავსად ამ სფეროშიც სრული ქაოსი და გაურკვევლობა არის გაბატონებული.

ნარკომანიის გავრცელების სიღრმისეული შესწავლა ადასტურებს, რომ ნარკომანია საგრძნობლად "გაახალგაზრდავდა", ნარკოტიკული ნივთიერებების მომხმარებლები და ნარკომანები, ძირითადად, ახალგაზრდები არიან. მათში შესამჩნევია სტუდენტების, მოსწავლეების (არასრულწლოვანეთა) ქალების პროცენტული მაჩვენებლების მკვეთრი ზრდის ტენდენცია.

გაფართოვდა, ნარკომანიის გავრცელების გეოგრაფია. თუ წინათ ნარკომანია ძირითადად ქალაქის პრობლემა იყო, ამჟამად იგი რესპუბლიკის რაიონების და სოფლების პრობლემაცაა. ნარკომანთა შორის მატულობს ინტელიგენციის , მედიცინის დარგის და რაც ყველაზე სამწუხაროა, პოლიციის წარმომადგენლები. ე.ი. ბოლო წლებში ნარკოტიკული ნივთიერებების ზოგიერთი მოყვარული დამკვიდრდა იმ სახელმწიფო სტრუქტურებში, რომლებიც ვალდებული არიან ებრძოლონ ამ სენს.

ნარკომანია მკვეთრად აუარესებს კრიმინალურ სიტუაციას. იგი კრიმინოგენულ ფაქტორად გადაიქცა. რესპუბლიკაში მომხდარ დანაშაულობათა დიდი ნაწილი (72 პროც) ნარკომანიის ფონზე არის ჩადენილი. ოფიციალური მონაცემებით 1992 წლის 11 თვის განმავლობაში გამოვლენილია ნარკომანიის მიზეზით 453 სისხლის სამართლის დანაშაული, რომელთაგან მძიმე კატეგორიას განეკუთვნება 37, რაც ჩვენის ღრმა რწმენით, რეალურ სინამდვილეს არ შეესაბამება.

ფართოვდება ნარკობიზნესის წყაროები და ნარკოტიკების რესპუბლიკაში შემოზიდვის გზები, პოლიციის მიერ მოპოვებული მასალებიდან ირკვევა, რომ საქართველოში ნარკოტიკული ნივთიერებების შემოტანა ხდება აზერბაიჯანიდან, ჩრდილოეთ

კავკასიის რესპუბლიკებიდან, უკრაინიდან, შუა აზიიდან, რუსეთიდან.

საქართველოში დაიწყო არალეგალურად ნარკოტიკული ნივთიერებების წარმოება: ჰაშიშის, ყაყაჩოსა და კანაფის ნათესები გაჩნდა ქვემო ქართლის, კახეთისა და სვანეთის რეგიონებში, ყალიბდება შიდა ბაზარი, ფულის მომხვეჭელობამ ეროვნული თავმოყვარეობა დააკარგვინა გენოფონდის მტრებს.

გახშირდა სამედიცინო დაწესებულებებზე ნარკოტიკული პრეპარატების დატაცების მიზნით შეიარაღებულ ფორმირებათა თავდასხმის შემთხვევები. აღნიშნულია მედიცინის მუშაკების მიერ თავდასხმის ინსცენირების და ნარკოტიკული საშუალებების გაყიდვის რამდენიმე ფაქტი (ბაღდათის რაისაავადმყოფოში ყალბი დოკუმენტების გაფორმება, ქუთაისის სააუთიაქო საწყობიდან 1400 ამპულა მორფინის მითვისება, თბილისის რკინიგზის საავადმყოფოში ნარკოტიკული ნივთიერებების დატაცების იმიტაცია და ა.შ.).

საქართველოს რესპუბლიკის ნარკოლოგიური სამსახური ვერ აკმაყოფილებს ნარკომანიის პრობლემების გადაჭრის ელემენტარულ მოთხოვნებს: ფაქტიურად არ მუშაობენ ნარკოლოგიური საავადმყოფოები და დისპანსერები, ისინი მზად არ არიან ნარკოტიკული ნივთიერებების სახესხვაობების ნომენკლატურული ცვლილებებისადმი რესპუბლიკაში, არ არსებობს ნარკოტიკების და მათი მეტაბოლიტების დიაგნოსტიკური მეთოდები.

მკვეთრ გააქტიურებას საჭიროებს ნარკობიზნესის წინააღმდეგ ბრძოლის საშუალებები. საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტში შემოსული მრავალრიცხოვანი წერილების ავტორები ერთსულოვნად და პრინციპულად მოითხოვენ ნარკოტიკული ნივთიერებებით მოვაჭრეების მიმართ ადმინისტრაციული ზომების გამკაცრებას. თუმცა აზრთა სხვადასხვაობასთანაც გვაქვს საქმე.

მოვიყვანთ რამდენიმე მაგალითს. ნარკომანიით დაავადებულის დედას თბილისელ მეგი დიასამიძეს მიანნია, რომ "მთელი აქცენტი გამახვილებულია ავადმყოფზე, და არა სიკვდილით მოვაჭრეებზე. დაგვეხმარეთ ამ მძიმე სენის დაძლევაში, იხსენით ჩვენი შვილები". თბილისელი ელზა ჯაფარიძე გვწერს: "ავადმყოფთან მილიციას არ უნდა ჰქონდეს არავითარი საქმე, მითუმეტეს ბარბაროსული და ანტიჰუმანურია მათი დასჯა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობით... გამსაღებელთა მიმართ კი უნ-

და გატარდეს უმკაცრესი ზომები, საიმედოდ უნდა დაიგმოს ნარკოტიკების შემოტანის ყველა გზა". ინჟინერ-ქიმიკოსი ნანა ჯაფარიძე აღნიშნავს: "ავიმაღლოთ ხმა უკანონობის წინააღმდეგ. ეს უკანონობა იმაში გამოიხატება, რომ სასტიკად იდევნებოდა მილიციის მიერ ნარკომანი. ადამიანი, რომელმაც იგვემა სული და სხეული, გაამწარა მშობლები, ახლობლები". მადლენა არეშიძე პედაგოგი: "სიკვდილით მოვაჭრეებს დაუნდობელი ბრძოლა უნდა გამოვუცხადოთ, სხვაგვარად ჩვენს ახალგაზრდობას ვერ ვუშველით". იგივეს იმეორებს პედაგოგი ელენე ხიდაშელიც, ნანიკო კიკანეიშვილი გვწერს: "ეგებ დროზე ორგანიზაცია გაუკეთდეს სამკურნალო ცენტრს და ჩემს საყვარელ ძმასაც მოუსწროს, ვიდრე დაგვეღუპება". "საჭიროა საზოგადოების და სახელმწიფო აპარატის თანადგომა ამ მძიმე სენით დაავადებულთა მიმართ, ნარკოტიკებით მოვაჭრეებს კი დაუნდომელი ბრძოლა"- გვირჩევს ინჟინერი ნათელა ნათაძე და ა.შ.

შეკრებაზე აზრთა ურთიერთგაცვლის შედეგად შემუშავდა აზრი იმის შესახებ, რომ ნარკომანიას, როგორც როულ სოციალურ მოვლენას სხვადასხვა ასპექტი აქვს. აქედან ნარკომანია, როგორც ასეთი არის დაავადება და იგი მეცნიერების სფეროს განეკუთვნება. ნარკომანს, როგორც ავადმყოფს მედიცინამ უნდა უმკურნალოს, ხოლო ნარკობიზნეს პოლიცია უნდა ებრძოდეს. შევეხეთ რა მეცნიერების დამოკიდელულებას ნარკომანიისადმი უნდა აღვნიშნოთ ფსიქოლოგების შეხედულებაც ამ დაავადებისადმი. ფსიქოლოგების განმარტებით ნარკომანია არის ნერვულ-ფსიქიკური აშლილობის ნაყოფი. მისი გამოვლენის ერთ-ერთი სახე და მკურნალობაც წმინდა ფსიქოლოგიური უნდა იყოს. ისინი გამოიცხავენ ფარმაკოლოგიურ ნარევას და აპარატურის გამოყენებას. ცნობილია, რომ ფსიქიკური აშლილობა აუტანელ სულიერ ტკივილს აყენებს ადამიანს. მას უჩნდება არასრულფასოვნების და უნდობლობის განცდა, ეუფლება შიში, ემატება იზუმორული ტკივილები სომატურ სფეროში, ეძებს ხსნის გზებს, ეს "ხსნა" შეიძლება ნახოს ქურდობაში, ლოთობაში, პროსტიტუციაში, ნარკომანიაში. ფსიქოლოგები აღნიშნავენ, რომ უნდა უმკურნალოთ სულიერი აშლილობის მიზეზებს, ვფიქრობთ ნარკომანიის პრობლემების განხილვისა და გადაჭრის დროს ფსიქოლოგების აზრი გარკვეულ ადგილს დაიჭერს ერთიან სისტემაში.

ცნობილია, რომ ნარკომანია სხვადასხვაგვარია. იმის შესაბამისად, თუ რომელ ნარკოტიკულ პრეპარატთან გვაქვს საქმე:

ოპიუმი, მორფინი, საძილე და მასტიმულირებელი საშუალებები, ჰაშიში, კოკაინი და სხვა. მაგრამ ყველა ნაკომანისათვის დამახასიათებელია სამი ძირითადი ნიშანი:

პირველი - ნარკოტიკული ნივთიერებების მიმართ ამტანიანობის (ტოლერანტობა) გაცელა, როდესაც ჩვეული ეფექტის მისაღებად საჭირო ხდება ნარკოტიკული საშუალებების დოზების თანდათანობით ზრდა.

მეორე ნარკოტიკების მიმართ ფსიქიკური დამოკიდებულების გამომუშავება, როდესაც ნარკომანს უნდება ნარკოტიკების განმეორებითი მიღების დაუძლეველი მოთხოვნილება, ეს ლტოლვა ფარავს ყველა სხვა სურვილს და მისწრაფებას, ადამიანი ამ ლტოლვის მონა ხდება.

მესამე ფიზიკური ანუ ბიოლოგიური დამოკიდებულება, როდესაც ავადმყოფს ფსიქიურ დამოკიდებულებასთან ერთად უნდება ფიზიკური ლტოლვა ნარკოტიკული ნივთიერებებისადმი და მის გარეშე ვითარდება უმძიმესი მოშლილობა: გულისცემის აჩქარება, არტერიული წნევის აწევა, უსიამოვნო შეგრძნებები, სახსრების ტკივილი, ოფლიანობა, შემცივნება, ზოგჯერ კრუნჩხვები, ფსიქიკური დაძაბულობა, შფოთვა, მოუსვენრობა, უძილობა, უმადობა და სხვა. ყოველივე ეს აუტანელს ხდის ნარკომანის ავადმყოფის მდგომარეობას, იგი მზადაა (ზოგჯერ იძულებითაც კი) მძიმე დანაშაულიც ჩაიდინოს, ოღონდ გამოვიდეს ამ უმძიმესი მდგომარეობიდან - მიიღოს ნარკოტიკული საშუალება.

აქ ურიგო არ იქნება აღვნიშნოთ, ერთი საინტერესო დეტალი, რომელიც თათბირზე პროფესორმა გელა ლეჟავამ მოიყვანა: ამერიკის შეერთებულ შტატებში ნარკომანი ერთი წლის განმავლობაში 100.000 დოლარს იპარავს, მისი მკურნალობა კი სახელმწიფოს 5000 დოლარი უჯდება. განა ეს დამაფიქრებელი არ არის?

მაშასადამე, ნარკომანია უმძიმესი სამედიცინო-ბიოლოგიური ფენომენია. ნარკომანი კი ავადმყოფი, რომელსაც კვალიფიციური, ხანგრძლივი მკურნალობა ესაჭიროება. მაგრამ ნარკომანია მოიცავს არა მარტო სამედიცინო-ბიოლოგიურ ასპექტებს, არამედ ფსიქოლოგიურ ზნეობრივ, სოციალურ, პედაგოგიურ, სამართლებრივ, ადმინისტრაციულ-ორგანიზაციულ, პოლიტიკურ-ეკონომიკურ და სხვა მხარეებს. ამ კომპლექსური პრობლემის გამწვავებაში

გადამწყვეტ როლს თამაშობს ისეთი პირობები, როგორიცაა: პასუხისმგებლობის გრძნობის უკიდურესი დაქვეითება, ეგოცენტრიზმის განვითარება, ისეთი სახის ფსიქიკური გამოფიტვა, რომელიც ნებისყოფის სრულ დაკარგვაში გადაიზრდება. ადამიანურ გრძნობათა და სულიერ, კულტურულ ღირებულებათა სრული დევალვაცია, სიცოცხლის საზრისის გაუფასურება, სოციალური დაუცველობა, ეკონომიკური სიდუხჭირე, ხვალინდელი დღისადმი იმედის სრული დაკარგვა და ა.შ. აღნიშნული და სხვა სახის სოციალური დეფორმაციები (თავშეუკავებლობა, ცუდის მიმბაძველობა, ჰედონიტური მიდრეკილებანი, უსაქმურობა, უმუშევრობა და სხვა) ნარკომანიის გავრცელებას ნაყოფიერ ნიადაგს უქმნიან.

ემპირიული მასალის ანალიზმა დაადასტურა, რომ საზოგადოებრიობის წარმომადგენელთა გარკვეულმა ნაწილმა გაითვალისწინა რა საქართველოში შექმნილი მდგომარეობა და ადამიანთა უფლებების დაცვის საერთაშორისო ნორმები, მხარი დაუჭირა ნარკომანიის ლეგალიზაციის იდეას, რეკომენდაცია გაუწია მისი მეცნიერული გააზრების და განხორციელების აუცილებლობას. შეკრების მონაწილეებმა დააზუსტეს "ნარკომანიის ლეგალიზაციის" ცნებაში გააზრებული შინაარსი. მის ამოსავალ პრინციპად მიიჩნიეს ნარკომანიის დაავადებად და ნარკომანის ავადმყოფად მიჩნევა. აქედან გამომდინარე, საჭიროდ ჩათვალეს მათთან დამოკიდებულების შეცვლა, მათთან კონტაქტების დამყარება, მათი ნდობის დამსახურება. ამიტომ უნდა შემუშავდეს ნარკოტიკული ნივთიერებების მომხმარებლებისა და ნარკომანების კვალიფიცირებული, ხანგრძლივი, ღია, ფარული, ფასიანი, ანონიმური მკურნალობის მეცნიერულად დასაბუთებული ფორმები. ამ მიზნით კი უნდა გაიხსნას თანამედროვე ტექნიკით და საშუალებებით აღჭურვილი ნარკოლოგიური საავადმყოფოების, დისპანსერებისა და ფსიქოლოგიური ზემოქმედების კაბინეტების ფართო ქსელი. ნარკომანიის ლეგალიზაცია არ ნიშნავს ნარკობიზნესის ნებართვას, არავითარ შემთხვევაში და პირობებში. პირიქით, ლეგალიზაციის პირობებში კიდევ უფრო უნდა გადაიკეტოს ნარკოტიკების გავრცელების ყველა საშუალება. ნარკოტიკებით მოვაჭრეები და გამსაღებლები ერის და სამშობლოს მტრებად უნდა გამოცხადდნენ.

შეკრების მონაწილეების მიერ მოსმენილი მოხსენებებისა და გამოთქმული მოსაზრებების, წინადადებების, აგრეთვე

სხვადასხვა შეხედულებების შეჯერების საფუძველზე შემუშავდა გარკვეული სახის რეკომენდაციები. დაისახა ნარკომანიის, როგორც პოლიკაუზალური მოვლენის შესწავლის და გადაწყვეტის კომპლექსური პროგრამა, რომელიც ოთხ ძირითად მიმართულებას შეიცავს:

1. სამთავრობო. მან უნდა უზრუნველყოს ნარკომანიის პრობლემების გადაჭრისათვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური ბაზის საკითხი. მისი სათანადო აღჭურვილობით მომარაგება, მედიკამენტებით უზრუნველყოფა და ა.შ. ამ მიზნით უნდა დამყარდეს სამთავრობო კავშირები ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო და რეგიონალურ ორგანიზაციებსა და ასოციაციებთან, ნარკობიზნესის წინააღმდეგ მებრძოლ სამსახურებთან. ხელი შეუწყოს საერთაშორისო მეცნიერული კონტაქტების განვითარებას, სამთავრობო და სხვა სახის კომისიათა შორის მჭიდრო ურთიერთკავშირის დამყარების საფუძველზე აამაღლოს საშემსრულებლო მოთხოვნები. ამისათვის გადაუდებლად საჭიროა:

ა) მთავრობის მეთაურთან შეიქმნას სპეციალური სტრუქტურული დანაყოფი, რომელსაც დაევალება რესპუბლიკაში ნარკომანიის პრობლემებთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტისათვის მუშაობის ორგანიზაცია. ანდა მთავრობის მეთაურმა სპეციალური განკარგულებით რომელიმე ვიცე-პრემიერს დაავალოს ნარკომანიის პრობლემებთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტისათვის მუშაობის ორგანიზაცია, რომელიც ამავე მიზნისათვის შექმნის მუშა ჯგუფს, კომისიას, დანაყოფს, განყოფილებას) დაკომპლექტებულს მაღალი დონის სპეციალისტებით;

ბ) უახლოეს პერიოდისათვის შემუშავდეს და დამტკიცდეს ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლის მეცნიერულად დასაბუთებული კომპლექსური გეგმა, რომლის რეალიზაცია სავალდებულო იქნება ყველა დაინტერესებული სტრუქტურისათვის;

გ) უმოკლეს ვადაში ჩატარდეს რესპუბლიკის პროკურატურის, შინაგან საქმეთა, იუსტიციის, ჯანმრთელობის, სოცუზრუნველყოფის, განათლების სამინისტროებისა და უზენაესი სასამართლოს ერთობლივი კოლეგია, სადაც განხილული იქნება ნარკომანიასთან ბრძოლის პრობლემები და დაისახება მათი ოპერატიულად გადაწყვეტის გზები;

დ) გამოიყოს თანხები, რომელიც აანაზღაურებს საკონტროლო შესყიდვისათვის გაწეულ ხარჯებს;

ე) ნარკოტიკების რეალიზატორებთან ბრძოლის გააქტიურების მიზნით მიღებული იქნას კანონი, რომელიც ნარკოტიკების შემსყიდველ მომხმარებელ პირს გაათავისუფლებს პასუხისმგებლობისაგან თუ ეს უკანასკნელი ამის შესახებ ნებაყოფლობით განაცხადებს პოლიციის ორგანოებში;

ვ) ნარკომანიის ლეგალიზაციის საკითხთან დაკავშირებით ნატარდეს ფაროომასშტაბიანი სოციოლოგიური გამოკითხვა;

ზ) ნარკომანიის პროფილაქტიკის საკითხებზე გააქტიურდეს მასობრივი ინფორმაციის საშუალებები, შესაძლებლობის ფარგლებში გამოშვებული იქნას სპეციალური გაზეთიც.

2. მეცნიერული. იგი უნდა მოიცავდეს, უპირველეს ყოვლისა, სამედიცინო, სოციალურ, ფსიქოლოგიურ, სოციოლოგიურ, პედაგოგიურ, ზნეობრივ და სხვა ასპექტებს. უზრუნველყოფილ უნდა იქნეს მათი მუშაობის კოორდინაცია, კერძოდ:

- განხორციელდეს ნარკოლოგიის დარგში სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის კომპლექსური დაგეგმვა, ფსიქიატრების, ნარკოლოგების, ბიოქიმიკოსების, ნევროპათოლოგების, ფარმაკოლოგების, ფარმაცევტული ქიმიის, სასამართლო მედიცინის და სხვა მომიჯნავე მეცნიერებათა წამყვანი სპეციალისტების მონაწილეობით;

დამუშავდეს ნარკოტიკული ნივთიერებების ხმარების გამოკვლევის დიაგნოსტიკური მეთოდები;

- მომზადდნენ ექიმი-ნარკოლოგები, ფსიქიატრ-ნარკოლოგები, პროვიზორ-ნარკოლოგები და ა.შ.

- რესპუბლიკის რაიონების და სოფლების კვალიფიცირებული ნარკოლოგების უზრუნველყოფის მიზნით დაარსდეს ამ დარგში კვალიფიკაციის ამაღლების კურსები;

- შემუშავდეს და განხორციელდეს სკოლამდელი, სასკოლო ასაკის, სტუდენტების, ახალგაზრდობის ანტინარკოლოგიური აღზრდის პროგრამები. ამ მიზნით ფართოდ დაინერგოს საზღვარგარეთის მოწინავე სახელმწიფოებში დაგროვილი უმდიდრესი გამოცდილება. დამუშავდეს ნარკომანთა შორის რელიგიური, ზნეობრივი შეხედულებების გავრცელების საშუალებები, გამოყენებულ იქნას კულტურული ცენტრები.

ყველა დასახელებულ და სხვა სახის სტრუქტურებს უხელმძღვანელებს რესპუბლიკური ნარკოლოგიური სამედიცინო-

ბიოლოგიური ცენტრის ბაზაზე შექმნილი ნარკოლოგიის ეროვნული ინსტიტუტი - პროფესიული სასწავლო-სამეცნიერო საკვლევი ცენტრი.

აღნიშნულ ცენტრთან უნდა ითანამშრომლოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სამეცნიერო ცენტრმა.

3. სამართლებრივი. უნდა უზრუნველყოს ნარკომანიის შესახებ საკანონმდებლო კანონებისა და აქტების მიღება. მათ განხორციელებაში უმკაცრესი კონტროლის დაწესება, ნარკობიზნესის წინააღმდეგ ბრძოლის გააქტიურება და სხვა.

4. სასულიერო. სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ თათბირზე ბრძანა: "ნარკომანია უპირველეს ყოვლისა სულიერი პრობლემაა. ნარკოტიკების მიღების დროს ადამიანი კარგავს კონტროლს სულზე, ამიტომ ეკლესიას არა აქვს უფლება მხოლოდ მაყურებლის როლში იყოს". ამდენად მაქსიმალურად გამოყენებულ უნდა იქნას ადამიანისათვის ესოდენ საჭირო სულიერი საზრდო - დამუშავდეს ნარკომანთა შორის რელიგიური-ზნეობრივი შეხედულებების გავრცელების საშუალებები; გამოყენებულ იქნას ეკლესია-მონასტრები.

ვის უნახავს სამშობლო ერის გარეშე (ეგვიპტეც გეყოფა სამაგალითოდ). ამიტომ თვალის წინივით უნდა გავუფრთხილდეთ იმას, რაც განგებამ შემოგვინახა. გავუფრთხილდეთ ყველაზე საუთუს - ადამიანს, ერის გენოფონდს.

ჭეშმარიტებას ღაღადებს პოეტის მჭევრმეტყველური სიტყვებში:

"საქართველოვ შენ ვინ მოგცა შვილი დასაკარგავი". უნდა გვახსოვდეს, ღვთისმშობლის წილხვდომილი ქვეყნის შვილები ვართ და ღმერთი არ გვაპატიებს ერის გადაგვარებასა და გადაგვიშებას.

თქვენ ხელთ არის ერის გადარჩენისათვის საჭირო ღონისძიებების გატარების შესაძლებლობა და უფლება. დრო არ ითმენს.

"ღმერთი იყოს ჩვენი მფარველი".

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტის ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლის კომისიის ნაყოფიერი მუშაობის შედეგად:

1. ეს არასახელმწიფოებრივი სტრუქტურა საქართველოში ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლის საზოგადოებრიობის მიერ აღიარებულ ერთ-ერთ ცენტრად გახდა. მისი ავტორიტეტი იმდე-

ნად ამაღლდა, რომ ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების და პრეკურსორების უკანონო ბრუნვის საკითხებზე მსჯელობა ამ კომისიის გარეშე არ იმართება.

2. ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლის კომისიამ კავშირი დაამყარა ამ ნოზოლოგიით დაკავებულ ორგანოებთან, საზოგადოებებთან, გაერთიანებებთან.

3. ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლის კომისიამ, ერთი მხრივ, ოპონენტის ფორმით მჭიდრო კავშირი დაამყარა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ნარკომანიისა და ნარკობიზნესის წინააღმდეგ ბრძოლის ეროვნულ ბიუროსთან, მეორე მხრივ, მასთან თანამშრომლობის გაფართოების მიზნით შეუდგა ერთობლივი ღონისძიებების ჩატარების ორგანიზაციას.

უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლის კომისია აგრძელებდა რა წინა სამ-ათეულ წელს ჩატარებული მუშაობის შედეგების ტრადიციებს, დროს მოთხოვნილებების შესაბამისად, გარდაქმნიდა პრობლემებისადმი მიდგომას, ეცნობოდა სხვა სახელმწიფოებში დაგროვილ დადებით გამოცდილებას, აფართოებდა მოქმედების სფეროს. ამ ახალი ამოცანების შესრულების მიზნით, უპირველეს ყოვლისა გადაისინჯა კომისიის შემადგენლობა, მასში გაერთიანდნენ ახალგაზრდობის წარმომადგენლები, სპეციალისტები, თვალსაჩინო ადამიანები.

უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში ნარკომანიის წინააარმდეგ ბრძოლის კომისიის მიერ ჩატარებული მუშაობის შედეგებში, უპირველეს ყოვლისა აღსანიშნავია საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტის მიერ ჩატარებული ორი გაფრთოებული სხდომა, რომლებიც ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებებისა და პრეკურსორების უკანონო ბრუნვის პრობლემებისადმი იყო მიძღვნილი.

იმის ნათელსაყოფად თუ როგორი ხასიათის და მოცულობის იყო აღნიშნული სხდომები, წარმოვადგენთ მათი მიმდინარეობის შინაარსს.

1997 წლის 26 ივნისს დიმიტრი ალექსიძის სახელობის თეატრში გაიმართა ნარკოტიკების ბოროტად გამოყენების წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი შეკრება, რომელსაც ესწრებოდნენ ქ. თბილისის საზოგადოებრიობის წარმომადგენლები, მწერლები, ხელოვნების, კულტურის,

კინოს, საქართველოს ჯანდაცვის და შინაგან საქმეთა სამინისტროების პასუხისმგებელი მუშაკები.

მოხსენება "ნარკომანია და საზოგადოება" გააკეთა ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტის ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლის კომისიის თავმჯდომარემ, საზოგადოება "სასოება"-ს ვიცე-პრეზიდენტმა დავით გეგეშიძემ.

თანამოხსენებებით გამოვიდნენ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ნარკომანიისა და ნარკობიზნესის წინააღმდეგ ბრძოლის ეროვნული ბიუროს უფროსი, პოლიციის პოლკოვნიკი დავით კაჭკაჭიშვილი. თემა: "ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის ეროვნული პროგრამა; რეალობა და პერსპექტივები" და საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ნარკოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი გელა ლეჟავა. თემა: "ნარკომანების რეაბილიტაციის პრობლემები საქართველოში".

სიტყვით გამოვიდნენ: გურამ ფანჯიკიძე - საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარე, გელა ხუციშვილი - საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტის უფროსის მოადგილე; ნაპოლეონ ქარქაშაძე - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის რექტორი, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი; გურამ მაჩაცაშვილი - საზოგადოება "სასოება"-ს პრეზიდენტი; ანზორ გაბიანი - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის პრობლემების სამეცნიერო კვლევითი ცენტრის უფროსი, ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი; გიორგი წერეთელი ქ. თბილისის მერიის ვიცე-პრემიერი; ავთანდილ ჯორბენაძე საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის მინისტრი; თემურ მურღულია - საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე და სხვები.

შეკრებას უძღვებოდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტის რექტორი, პროფესორი, მამია დარჩია.

შეკრების მიზანი: ნარკომანიასთან, ნარკომაფიასთან ბრძოლის საშუალებების გააქტიურება.

შეკრების ამოცანები: საქართველოში ნარკომანიის მდგომარეობის წარმოსახვა; ნარკოტიკული თრობის ექსპერტიზის გაუმჯობესებისათვის ღონისძიებების დასახვა; ნარკობიზნესის წინააღმდეგ საზოგადოებრიობის მობილიზაცია; ნარკომანიის პროფილაქტიკისათვის, სამედიცინო და სოციალური რეაბილიტაციისათვის ხელშეწყობა, დაგროვილი გამოცდილების გაზიარება.

შეკრების ორგანიზატორები: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტი, ამავე სამინისტროს ნარკომანიისა და ნარკობიზნესის წინააღმდეგ ბრძოლის ეროვნული ბიურო, საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო, ნარკომანიის პროფილაქტიკის, სამედიცინო და სოციალური რეაბილიტაციის ხელშემწყობი საქართველოს საზოგადოება "სასოება". გამომსვლელებმა აღნიშნეს:

დავით გეგეშიძე: ნარკომანია მრავალპლანოვანი, მრავალასპექტიანი ფენომენია. სამედიცინო-ბიოლოგიურ ასპექტთან ერთად მას აქვს სოციალური, იურიდიული, ფსიქოლოგიური, ფილოსოფიურ-ზნეობრივი მხარეები.

ნარკომანია ადამიანის პრობლემაა. ადამიანი კი ურთულესი არსება, მოაზროვნე ცხოველია. იგი ურთიერთობას ამყარებს გარე სამყაროსთან, სხვა ადამიანებთან, საზოგადოებასთან და თავის საკუთარ "მე"-სთან. ნარკომანთან ეს ურთიერთობანი თავისებურად წარმოჩინდებიან.

სოციოლოგიური გამოკვლევები ადასტურებენ ნარკომანიის, ნარკომაფიის და ნარკობიზნესის საშიშროებისადმი საქართველოს საზოგადოებრიობის ნეიტრალური, ხშირ შემთხვევაში , გულგრილი დამოკიდებულების ტენდენციების ზრდას. აღნიშნული მდგომარეობის გამომწვევი ფაქტორების ფსიქოლოგიური ტესტების ანალიზი საშიშ, საგანგაშო შედეგების რეალობას ავლენს.

შეიმჩნევა ნარკოტიკების ხმარებისადმი შემგუებლობის დასაბუთების თეორიული პარადიგმების შემუშავების ცდები, რომლებსაც თავისი თეორეტიკოსები ჰყავთ. ე.ი. იმის ნაცვლად, რომ საზოგადოებრივმა აზრმა განგაში ატეხოს, იგი შემგუებლურ ტენდენციებს ემხრობა.

საქართველოში საზოგადოების და ნარკომანის ურთიერთობა, ნარკომაფიის ბუმი, ნარკომანიის გაფართოების ესკალაცია, სულიერი დაცემის, სულიერ ღირებულებათა გაუფასურების

პერიოდს დაემთხვა. დღის წესრიგში მთელი სიმძაფრით წარმოჩინდა ეკლესიასტეს თეზისის: "ამაოება ამაოებათა და ყოველივე ამაოა"-ს რეალობა.

უკანასკნელ წლებში საქართველოში შექმნილმა უმძიმესმა პირობებმა, ეკონომიკურმა სიდუხჭირემ, უიმედობამ, ურწმუნოებამ, სასოწარკვეთამ, უზნეობის გამეფებამ და ა.შ. ხელი შეუწყო ნარკომანიის ფართოდ გავრცელების ისეთი ფაქტორების გამძაფრებას, როგორებიცაა: პასუხისმგებლობის გრძნობის უკიდურესი დაქვეითება, ეგოცენტრიზმის განვითარება. ისეთი სახის ფიზიკური და მორალური გამოფიტვა, რომლებიც ნებისყოფის სრულ დაკარგვაში გადაიზარდა, ადამიანური გრძნობების გაუხეშება, სულიერი, კულტურული ღირებულებების კრიტერიუმების წაშლა, სოციალური დაუცველობის გამო აგონიაში ჩავარდნა, ხვალინდელი დღისადმი იმედის სრული დაკარგვა და ა.შ.

საჭიროა ზარების დარისხვა. ყველა საშუალების შეკავშირება იმისათვის, რომ საზოგადოებამ გაითავისოს ერის გენოფონდის მოსპობის საშიშროება, არ დაუშვას ნარკომანიასთან ნეიტრალური დამოკიდებულების შედეგები.

ნარკოტიკების დაძლევა უნდა მოხდეს ჯანსაღი საზოგადოებრივი აზრის შემუშავებით, სამშობლოს ფანატიკური სიყვარულით, მამაშვილური გრძნობის გაძლიერებით, სულიერ-ეროვნულ ფასეულობათა ამაღლებით.

დავით კაჭკაჭიშვილი: საქართველოში არსებული ნარკოსიტუაციის დახასიათება სათანადო დასკვნების გამოტანას საჭიროებს, უკანასკნელ წლების განმავლობაში დამკვიდრებული მოსაზრებების კრიტიკულ განხილვას მოითხოვს და პრობლემის ახლებურად გადაწყვეტის აუცილებლობაზე მიუთითებს;

- შინაგან საქმეთა სამინისტროს კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ნარკომანიისა და ნარკობიზნესის წინააღმდეგ ბრძოლის ეროვნულ ბიუროს, თავის ძირითად პროფესიულ ფუნქციებთან ერთად, მოუწევს ნარკომანიის სამედიცინო-ბიოლოგიური პრობლემების გასარკვევად სამეცნიერო ცენტრებთან, ნარკომანიის პროფილაქტიკისა და რეაბილიტაციის არასამთავრობო საზოგადოებებთან და ორგანიზაციებთან თანამშრომლობის გაფართოება. უპირველეს ყოვლისა, უნდა შეიქმნას ნარკოლოგიური თრობის ექსპერტიზის უტყუარი და სანდო სისტემა.

ეროვნულმა ბიურომ უნდა გამოიძებნოს დამატებითი სახსრების მოპოვების საშუალებები. ერთ-ერთ ასეთ საშუალებად გვესახება ამოღებული საჯარიმო თანხებიდან მატერიალური უზრუნველყოფის დარეგულირება, რომლებიც ნორმატიული აქტებით და დებულებებით უნდა იქნას გათვალისწინებული.

- აუცილებელია ეროვნული პროგრამით გათვალისწინებული ღონისძიებების შესრულების მიზნით დამატებითი ზომების გატარება, რადგან ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლა ხანგრძლივი პროცესია და მეტად სათუთ და გულისხმიერ დამოკიდებულებას მოითხოვს. საზოგადოებრიობის მხარდაჭერის გარეშე დასახული მიზნები არ განხორციელდება.

- ნარკომაფიის და ნარკობიზნესის სინდიკატები და სხვა კრიმინალური დაჯგუფებები უფრო სწრაფად პოულობენ ერთმანეთს შორის "საერთო ენას", უფრო ოპერატიულად ითვისებენ ახალ მეთოდებს, ვიდრე სპეცსამსახურები.

სერიოზული სიტყვა უნდა თქვან არასამთავრობო ორგანიზაციებმა, სწორედ ისინი უნდა გამოვიდნენ მრავალი არასტანდარტული, ახალი წამოწყების ინიციატორებად, საჭიროა ყოველივე ამის შესწავლა და პრაქტიკაში დანერგვა.

გელა ლეჟავა: ნარკომანიის პროფილაქტიკის და სოციალური რეაბილიტაციის ასობით "რეცეპტია" შექმნილი, რაც იმას მოწმობს, რომ არც ერთი მათგანი თავისთავად არ არის საიმედო და ამომწურავი. საერთაშორისო ექსპერტთა მიერ შემუშავებული პროგრამა, რომელიც გაეროს მიერ არის რეკომენდირებული, ოთხ ძირითად მიმართულებას მოიცავს:

ა) ნარკოტიკული და ფსიქოტროპული ნივთიერებების მოთხოვნილების პროფილაქტიკა და შემიცირება. იგი მიზნად ისახავს ნარკოტიკული ნივთიერებების კანონსაწინააღმდეგო გამოყენების მასშტაბებისა და ნარკოტიკების მომხმარებელთა საერთო რაოდენობის განსაზღვრას. მონაცემების შეკრების ყოვლისმომცველი სისტემის შექმნას, პროფილაქტიკას აღზრდის საშუალებით, თავისუფალი დროის ორგანიზაციას, ინფორმაციის მასობრივი საშუალებების გამოყენებას.

ბ) ნარკოტიკულ და ფსიქოტროპულ ნივთიერებებზე კონტროლი. ეს მიმართულება მოიცავს ყველა სახის კონტროლს,

ნარკოტიკული და ფსიქოტროპული ნივთიერებების ბრუნვაზე და მიმოქცევაზე სახელმწიფოში, დაწესებული სამედიცინო დაწესებულებებით და დამთავრებული ნარკოტიკული ნივთიერებების შემცველი მცენარეების კანონსაწინააღმდეგო არალეგარული ნათესებით.

გ) კანონსაწინააღმდეგო მიმოქცევასთან ბრძოლა. ეს მიმართულება მოიცავს ბრძოლას ნარკომაფიასთან, ნარკობიზნესთან, საბაჟოებზე კონტროლის გაძლიერებას, საკანონმდებლო ბაზის შექმნას და ა.შ.

დ) მკურნალობა და შრომისუნარიანობის აღდგენა. ეს მიმართულება მოიცავს მკურნალობის პოლიტიკის შემუშავებას. მკურნალობის და შრომისუნარიანობის აღდგენის მეთოდების აღნუსხვას. შესაბამისი პროგრამების შერჩევას, პერსონალის მომზადებას, ნარკოტიკების მომხმარებელთა და ნარკომანთა შემცირების მიღწევას, სამართალდამრღვევ წამალთდამოკიდებულთა მკურნალობის ორგანიზაციას, მაშასადამე, წამალთდამოკიდებულებასთან ბრძოლა ადამიანის ცხოვრების მოგვარებას მოითხოვს. საჭიროა, მათი კომპლექსური გადაწყვეტისათვის კონკრეტული ხასიათის ზომების გატარება.

გურამ ფანჯიკიძე: ნარკომანიის და ნარკომაფიის ნარკობიზნესის წინააღმდეგ ბრძოლის პროცესში ოპერატორული სიტყვებით გამოსვლა ბევრს არაფერს მოგვცემს, საჭიროა კონკრეტული ხასიათის ღონისძიებების გატარება. მათ შორის სადამსჯელო ზომების გამკაცრება.

- განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს პოლიციის იმ მუშაკების პატიოსნების საკითხს, რომლებიც ნარკომანიის და ნარკომაფიის წინააღმდეგ ბრძოლის ეროვნულ ბიუროში მუშაობენ. ამ მიმართულებით ერთი პოლიციელის მიერ კანონსაწინააღმდეგო მოქმედება ასჯერ უარყოფით მოქმედების ფონს ქმნის, რომლის გამოსწორება შეუძლებელია.

ნაპოლეონ ქარქაშაძე: წლების განმავლობაში ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლის პრობლემების შესახებ მსჯელობები, ხშირ შემთხვევაში ერთი და იგივეს გამეორებაა. ამ მიმართულებით საქმე არ უმჯობესდება. მდგომარეობა კიდევ უფრო იძაბება, თუ ასე გაგრძელდა, იგი შეუქცევად ხასიათს მიიღებს.

- განსაკუთრებულ ყურადღებას ახალგაზრდების, კერძოდ სტუდენტი ახალგაზრდობის, ნარკომანიისაგან თავის დაცვის მექანიზმის შემუშავებას უნდა დაეთმოს. ერთი მხრივ, ჩვენ დავივიწყეთ ამ მიმართულებით დაგროვილი გამოცდილების ის ფორმები და მეთოდები, რომლებსაც დადებითი შედეგების მოტანა შეეძლო, და მეორე მხრივ, ვერ შევქმენით მისი ადექვატური პროგრამები.

სტუდენტ ახალგაზრდობაში ანტინარკოტიკული პროპაგანდა უნდა ვაწარმოოთ როგორც პირდაპირი, ასევე არაპირდაპირი საშუალებით. ამ უკანასკნელში ვგულისხმობ აღზრდის საერთო სისტემის აღდგენას და თანამედროვეობის მოთხოვნების დონეზე მის წარმართვას.

გელა ხუციშვილი: საქართველოს საერთაშორისო კონტაქტების გაფართოება, განსაკუთრებით ტრასეკას რეალური პერსპექტივები ჩვენს სახელმწიფოში ნარკობიზნესის გაზრდას გამოიწვევს, რაც დამატებითი და გონივრული პოლიტიკის გატარების აუცილებლობას ქმნის.

საქართველოში ნარკოტიკების შემოზიდვის, ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში თავისი განსაკუთრებული როლის შესრულება შეუძლია საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტს.

აუცილებელია უმოკლეს დროში შემუშავებულ იქნას საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტის ნარკომანიის, ნარკომაფიის, ნარკობიზნესის წინააღმდეგ ბრძოლაში ჩაბმული სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან, საზოგადოებებთან ერთობლივი პროგრამების შედგენა და მათ განხორციელებაზე მკაცრი კონტროლის დაწესება.

***

საქართველოს პარლამენტის, საზოგადოებრივ ურთიერთობათა სამსახურისა და საქართველოს მოქალაქეთა კავშირის ინიციატივით, 1997 წლის 8 ივლისს გაიმართა სემინარი თემაზე: "ნარკომანიის პრობლემები საქართველოში".

სემინარის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს პარლამენტის შესაბამისი კომისიების და ქვეკომისიების ხელმძღვანელებმა, აღმასრულებელი სტრუქტურების, არასამთავრობო ორგანიზაციე-

ბის, საერთაშორისო ორგანიზაციების, მასმედიის წარმომადგენლებმა, შინაგან საქმეთა სამინისტროს პასუხისმგებელმა მუშაკებმა და სხვა დაინტერესებულმა პირებმა.

სემინარის მუშაობას ხელმძღვანელობდა საქართველოს პარლამენტის საზოგადოებრივ ურთიერთობათა სამსახურის უფროსი, ირაკლი გოგავა.

სემინარზე წარმოდგენილი იყო მოხსენებები:

1) ნარკომანიის სამედიცინო ასპექტები საქართველოში.

ძირითადი თეზისები:

ა) ნარკომანია გუშინ და დღეს;

ბ) ნარკომანიის სახეობები;

გ) ნარკომანის მკურნალობა;

დ) ნარკომანთა სოციალური რეაბილიტაცია;

2) საზოგადოება "სასოება" და ნარკომანია

ძირითადი თეზისები:

ა) არასამთავრობო ორგანიზაციების როლი;

ბ) საზოგადოება "სასოება"-ს მიზნები და ამოცანები;

გ) საერთაშორისო ორგანიზაციებთან ურთიერთობა;

დ) საზოგადოება "სასოება" - საკონსულტაციო, პერსონალური და სარეაბილიტაციო ცენტრი;

ე) საზოგადოება "სასოება" დაფინანსების წყაროები და პრობლემები.

საზოგადოება "სასოება"-ს პრეზიდენტის, გურამ მამაცაშვილის მოხსენების შემოკლებული ტექსტი:

ნარკოტიკების ბოროტად გამოყენების წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო დღე მსოფლიო მასშტაბით პირველად აღინიშნა 1988 წლის 26 ივნისს, როდესაც გაეროთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა ასამბლეამ მსოფლიოს ნარკოტიკების გამოყენების წინააღმდეგ გადამწყვეტი მოქმედებისა და ყველა დონეზე თანამშრომლობის გაძლიერებისაკენ მოუწოდა.

ამ საერთაშორისო დღის ოფიციალური დევიზია "ნარკომანიის პროფილაქტიკისათვის საზოგადოებრიობის მობილიზება".

გაეროს ნარკოტიკებზე კონტროლის პროგრამა მოუწოდებს სახელმწიფოს ოფიციალურ წარმომადგენლებს გააერთიანონ ძალები არასამთავრობო ორგანიზაციებთან და კერძო სექტორთან ნარკოტიკების ბოროტად გამოყენების ბრძოლის საქმეში.

ჩვენს მიერ საზღვარგარეთიდან შეკრებილი ინფორმაციის საფუძველზე ნათლად ჩანს: იქ, სადაც სახელმწიფო ხელს უწყობს არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელის გაშლას, ეს ორგანიზაციები აქტიურად არიან ჩაბმულნი ამ საშინელი სენის წინააღმდეგ ბრძოლაში.

იმის გამო, რომ საქართველოში არ არსებობდა ამ ტიპის არასამთავრობო ორგანიზაციის მუშაობის გამოცდილება, ამიტომ ჩვენ მიზნად დავისახეთ დავკავშირებოდით საზღვარგარეთის ანალოგიურ ორგანიზაციებს მათი გამოცდილების შესწავლა-გაანალიზების და მისი ჩვენს პირობებთან მისადაგების მიზნით. საქმიანი კავშირები დავამყარეთ ზოგიერთ მათგანთან და ჩამოვაყალიბეთ ნარკომანიის პროფილაქტიკის, სამედიცინო და სოციალური რეაბილიტაციის ხელშემწყობი საქართველოს საზოგადოება "სასოება", რომელიც გასული წლის მარტიდან ფუნქციონირებს.

ჩვენი საზოგადოება მიზნად არ ისახავს გახდეს ზეორგანიზაცია, რომლისგანაც მოელიან წინასწარ განჭვრეტოს ყველა შესაძლო უარყოფითი შედეგი. ან გადაწყვიტოს ყველა პრობლემა. საზოგადოება მიზნად არ ისახავს რაიმე ფინანსური მოგების მიღებას. მისი დაფინანსება ხდება მხოლოდ და მხოლოდ საზოგადოებრიობის კეთილი სურვილებით, რომლებიც ინდივიდუალურ და კოლექტიურ წევრებად ერთიანდებიან და იხდიან გარკვეულ თანხას, საზოგადოების მიზანია ნარკომანიის პრობლემასთან წინადგომის თანამედროვე საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი სისტემის შექმნა და დანერგვა, ამ საკითხზე შემუშავებული სახელმწიფო პროგრამის განხორციელებისათვის ხელის შეწყობა.

საზოგადოებას შემუშაებული აქვს ათწლიანი პროგრამა და ამჟამად მიმდინარეობს მისი ცხოვრებაში განხორციელება.

საზღვარგარეთიდან მიღებული ინფორმაციის შესწავლა-გაანალიზებით და საქართველოს თავისებურებიდან გამომდინარე, 1997 წელს ექსპერიმენტის სახით დავიწყეთ საინფორმაციო, პატერნალური და სარეაბილიტაციო ცენტრის საქმიანობა. ჯერ-ჯერობით თბილისში და შემდეგ, საქართ ველოს სხვა რეგიონებში.

პოლიტიკური სისტემის რღვევამ, სამოქალაქო ომმა, ანარქიამ, ეგზისტენციურმა კრიზისმა, სოციალური და მატერიალური პირობების მკვეთრმა გაუარესებამ, ქვეყანაში ნარკოტიზმის ეპ-

იდეიისათვის ხელსაყრელი პირობები შექმნა. მკვეთრად გაიზარდა ნარკომანთა და ტოქსიკომანთა რიცხვი როგორც ქალაქის, ისე სოფლის მოსახლეობაში, ქალებში და მოზარდებში. მოიმატა ნარკომანიის ნიალაგზე ჩადენილი დანაშაულობებისა და უბედური შემთხვევების რაოდენობამ.

ვითარებას ამძიმებს უკანასკნელ წლებში ნარკომანიასთან ბრძოლის დარღვეული სისტემა. შეწყვეტილია თითქმის ყველა ნარკოლოგიური კაბინეტის ფუნქციონირება ქალაქებსა და რაიონებში.

ყოფითი პრობლემების მორევში "ჩაძირულმა" საზოგადოებამ მკვეთრად შეასუსტა წინააღმდეგობა ამ სოციალური დაავადების მიმართ. საზოგადოებრივი აზრი თითქმის შეურიგდა ნარკომანიის არსებობას.

სიდუხჭირისა და უმუშევრობის პირობებში ნარკომანთა უმრავლესობას არ შეუძლია მკურნალობის საფასურის გადახდა.

არ არსებობს ნამკურნალევ ნარკომანთა სოციალური რეაბილიტაციის რეალური საშუალება.

შექმნილი მდგომარეობის სირთულეს ადასტურებს საგანგებო სამთავრობო კომისიის შექმნისა და სპეციალური სახელმწიფო პროგრამის შემუშავების ფაქტიც.

სახელმწიფო პროგრამის განხორციელების ხელის შეწყობის ერთ-ერთ საშუალებად საზოგადოება "სასოება"-ს ესახება საინფორმაციო, პატერნალური და სარეაბილიტაციო ცენტრის შექმნა.

სპს ცენტრის მიზანია: დაეხმაროს ნარკომანებს და მათ ახლობლებს რჩევებით, კონსულტაციებით, კომპეტენტური წყაროებიდან შეკრიბოს და მოსახლეობაში გაავრცელოს ნარკოლოგიის პრობლემასთან დაკავშირებული აქტუალური ინფორმაცია; მოიზიდოს ნარკომანიით დაავადებულნი სამკურნალოდ; საჭიროების შემთხვევაში ფინანსურად უზრუნველყოს მათი მედიკამენტოზური მკურნალობა; ხელი შეუწყოს ნამკურნალევ ნარკომანთა სოციალურ რეაბილიტაციას და, სურვილის შემთხვევაში, დაეხმაროს მათ ახალი პროფესიის შეძენაში.

ამ მიზნების შესაბამისად ცენტრი აერთიანებს სამ სექტორს: საინფორმაციო, პატერნალურ და სარეაბილიტაციო სექტორებს, პროგრამაში ჩართულ პაციენტს სარეაბილიტაციო პერიოდში საშუალება ექნება , სურვილის მიხედვით, გაერთიანდეს უცხო ენებისა და კომპიუტერის შემსწავლელ ჯგუფებში.

სპს ცენტრის ყველა სექტორის დაფინანსება მოხდება საზოგადოება "სასოება"-ს ხარჯზე.

სოციალური რეაბილიტაციის პროცესში ჩართულმა ყველა პაციენტმა და მისმა ოჯახმა უნდა იკისროს საზოგადოებასთან თანამშრომლობა 3 წლის განმავლობაში, რათა მეთვალყურეობა გაეწიოს პაციენტის სტაბილური რეაბილიტაციის პროცესს, ხოლო საჭიროების შემთხვევაში აღმოუჩინოს სათანადო დახმარება და სულიერი თანადგომა.

საზოგადოებასთან შეიქმნა ლექტორთა ჯგუფი, რომელიც უფასოდ "სასოება"-ს ხარჯზე ჩაატარებს ლექციებს, საუბრებს, დიალოგებს, კითხვა-პასუხის საღამოებს, თემატურ ღონისძიებებს, დაინტერესებულ ორგანიზაციებში , სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში.

მომზადდა და გამოიცა პოპულარული ბროშურა "მარიხუანა - როგორ ღუპავს იგი ადამიანს". ყოველთვიურად გამოდის სპეციალური გაზეთი "ნარკომანია". გამოსაცემად მზადდება პოპულარული ბროშურები ახალგაზრდობის, მასწავლებლებისა და მშობლებისათვის ანტინარკოტიკული პროპაგანდის მიზნით დაისტამბება თვალსაჩინოებანი, მეთოდური ხასიათის მასალები. ყველა ეს "პროდუქცია" უფასოდ ვრცელდება და გავრცელდება საზოგადოებრიობაში.

საზოგადოების დაფინანსება ხდება, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მხოლოდ და მხოლოდ ინდივიდუალური და კოლექტიური წევრების წლიური საწევრო გადასახადებით და შემოწირულობებით. იგი ინდივიდუალური წევრებისათვის შეადგენს ერთ ლარს წელიწადში, ხოლო საწარმოების, ფირმების, დეპარტამენტების, უმაღლესი სასწავლებლების, კონცერნების, დაწესებულებების და ორგანიზაციებისათვის კოლექტიური საწევრო გადასახადის ოდენობა განისაზღვრება შეთანხმებისა და სათანადო ხელშეკრულების საფუძველზე.

აქვე მინდა მადლობა გადავუხადო საერთაშორისო ორგანიზაციებს: გაეროს ნარკოტიკებზე კონტროლის საერთაშორისო პროგრამას და აისა-ჯორჯიას, რომელმაც დახმარების ხელი გამოგვიწოდეს და საზოგადოების ტექნიკური აღჭურვის მიზნით გამოგვიყვეს რამდენიმე ათასი დოლარი.

მაგრამ რა მდგომარეობაა საზოგადოების ფინანსირების ხელის შეწყობაში ჩვენს რესპუბლიკაში? სამწუხაროდ უნდა ითქვას, რომ არც თუ ისე სახარბიელო, დღესდღეობით საზოგადოებაში გაერთიანებულია მხოლოდ 480 ინდივიდუალური წევრი და 30 ორგანიზაცია.

მადლობის მეტი რა გვეთქმის ისეთ ორგანიზაციებზე, რომლებმაც გულთან მიიტანეს ერის სატკივარი და მცირე, მაგრამ თავისი წვლილი შეაქვთ ამ საშვილიშვილო საქმეში.

მაგრამ ნავიხედოთ უფრო ღრმად; შეიძლებოდა თუ არა ხუთ მილიონიან რესპუბლიკაში მხარში ამოგვდგომოდა თუნდაც ნახევარი მილიონი მოსახლეობა?! მე ვფიქრობ შესაძლებელი იყო და ეს უკვე ნახევარი მილიონი ლარია წელიწადში. საზოგადოების მხარში დგომისგან ჯერ კიდევ შორს არიან ჩვენი მეწარმენი, ბიზნესმენები, ბანკირები, ფირმები, ზოგიერთი ფასიანი თუ უფასო სასწავლებლები და სხვანი, ისინი, ვისაც აქვთ უფრო მეტი მატერიალური საშუალება და შესაძლებლობა იზრუნონ ახალგაზრდობის გადასარჩენად.

დასასრულს, მინდა მივმართო ყველას, ვისაც კი ხელეწიფება და გული შესტკივა ქვეყნის და ერის კეთილდღეობაზე, ჩვენი მომავალი თაობის ბედ-იღბალზე ამოგვიდექით მხარში და შეძლებისდაგვარად გაიღეთ თქვენი ყალი ამ საშინელი სენის - "თეთრი სიკვდილის" წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში.

ხათუნა ხოფერია - პარლამენტის წევრი: მეტი პასუხისმგებლობა უნდა დავაკისროთ და შესაბამისად მოვთხოვოთ პოლიციას, კერძოდ, ნარკომანიისა და ნარკობიზნესის წინააღმდეგ ბრძოლის ეროვნულ ბიუროს. მკაცრი შეფასება უნდა მივცეთ პოლიციის მუშაკის კანონსაწინარმდეგო ქმედებას. არ შეიძლება იმის უარყოფა, რომ ასეთი სახის ფაქტები ხშირად გვხვდება.

შეძახილი დარბაზიდან: გვხვდებოდა.

პასუხი: დიახ, გვხვდებოდა და დღესაც გვხვდება.

გონა სისაური საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გარკომანიისა და ნარკობიზნესის წინააღმდეგ ბრძოლის ეროვნული ბიუროს უფროსის მოადგილე;

- როდესაც ნარკომანიის საკითხებზე მსჯელობისას პოლიციის წარმომადგენლებს ვადანაშაულებთ, აუცილებელია კონკრეტული პიროვნებების დასახელება. არ უნდა შეიქმნას შთაბეჭდილება, თითქოსდა კორუფციაში მთელი პოლიცია იყოს ჩართული. პოლიციაში ბევრი კეთილსინდისიერი და თავდადებული მუშაკია. ამ ბოლო დროს გადახალისდა კადრები, არკომანიის, გარკომაფიისა და ნარკობიზნესის წინააღმდეგ განხორციელდა: ფართომასშტაბიანი ღონისძიებები.

ნატო თევზაძე - საზოგადოება "სასოება"-ს აჭარის რეგიონალური ორგანიზაციის თავმჯდომარე:

- აუცილებელია ნარკოტიკული თრობის ექსპერტიზის თანამედროვე მოთხოვნათა დონეზე უზრუნველყოფილი კონკრეტული ღონისძიებების გატარება, რადგან სამართლებრივი და ზნეობრივი კოლიზიები და გაუგებრობები სწორედ ამ მიმართებით არაობიექტური დასკვნების შედეგად ვითარდებიან.

ავთანდილ კუპატაძე - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ნარკომანიისა და ნარკობიზნესის წინააღმდეგ ბრძოლის ეროვნული ბიუროს თბილისის განყოფილების უფროსი:

მთელი პირდაპირობით უნდა აღინიშნოს, რომ პოლიციის რიგებში, კერძოდ ჩვენი ბიუროს თანამშრომელთა შორის დაფიქსირდა ნარკომანთა არსებობა. დღეისათვის ეს აღმოფხვრილია. საკადრო ცვლილებების განხორციელების მიზნით გატარებულია ზომები. ამ თვალსაზრისით საჭიროა შემდგომი სიფხიზლე.

გიორგი ჭარაქაშვილი - მოქალაქეთა კავშირის სათათბიროს ვიცე-სპიკერი:

ძირითადი ყურადღება უნდა დავუთმოთ ახალგაზრდებთან ანტინარკოტიკული მუშაობის მეთოდების და ფორმების გამოყენებას, დადებითი გამოცდილების გაზიარებას.

ზურაბ ფორაქიშვილი - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის განყოფილების საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტის რექტორი, პროფესორი:

- საჭიროა ანტინარკოტიკული საქმიანობის წარმართვა არასრულწლოვანტა შორის. სწორედ აქედან იწყება ნარკოტიკული საშუალებების არასამედიცინო მიზნით გამოყენების ჩვევების ჩასახვა და მისი შემდგომი განმტკიცება.

სხდომის დამთავრების შემდეგ პრესის წარმომადგენლებმა ინტერვიუები აიღეს ნარკომანიის და ნარკომაფიისა წინააღმდეგ მებრძოლი სტრუქტურების თანამშრომლებისაგან, არასამთავრობო საზოგადოება "სასოება"-ს ხელმძღვანელებისაგან.

სხდომის შედეგები შეაჯამა საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტის რექტორმა, პროფესორმა მამია დარჩიამ, მან სხდომის მონაწილეებს გააცნო გაეროს გენერალური მდივნის კოფი ანანის

მიმართვა მსოფლიო საზოგადოებისადმი "ნარკოტიკების ბოროტად გამოყენების აღსაკვეთად", ასევე გაეროს ნარკოტიკებზე კონტროლის პროგრამის აღმასრულებელი დირექტორის ჯორჯიო ჯიაკომელის მიმართვა "საზოგადოებრიობის მობილიზება ნარკოტიკების ბოროტად გამოყენების აღსაკვეთად".

ნარკოტიკების ბოროტად გამოყენების წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო დღე მსოფლიო მასშტაბით პირველად აღინიშნა 1998 წლის 26 ივნისს, როდესაც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა ასამბლეამ მოუწოდა მსოფლიოს ნარკოტიკების გამოყენების წინააღმდეგ გადამწყვეტი მოქმედებისა და ყველა დონეზე თანამშრომლობის გაძლიერებისაკენ.

გასულ წლებში ამ დღის აღნიშვნა ეძღვნებოდა თემებს: "საზოგადოების აქტივობით ნარკოტიკების მოთხოვნის შემცირება", "ნარკომანიის პროფილაქტიკა განათლების მეშვეობით", "ქალები, ნარკომანია და ნარკოტიკების კონტროლი", "სპორტი ნარკოტიკების წინააღმდეგ"".

1998 წელს ამ საერთაშორისო დღის ოფიციალური დევიზი იყო "ნარკომანიის პროფილაქტიკისათვის საზოგადოებრიობის მობილიზება". მშობლები, მასწავლებლები, რელიგიური და საერო ლიდერები - საზოგადოების ყველა წევრი - უნდა შეკავშირდეს ახალგაზრდებისა და მოზარდების მიერ ნარკოტიკების გამოყენების მზარდი ტენდენციის შესამცირებლად.

საერთაშორისო დღე უნიკალურ შესაძლებლობას აძლევს სახელმწიფოს ოფიციალურ წარმომადგენლებს გააერთიანონ ძალები არასამთავრობო ორგანიზაციებთან და კერძო სექტორებთან ნარკოტიკების ბოროტად გამოყენების ბრძოლის საქმეში.

გაეროს ნარკოტიკებზე კონტროლის პროგრამა მოგიწოდებთ ყველას ჩაერთოთ 26 ივნისის აღნიშვნაში. თქვენი პირადი მონაწილეობა და წვლილი იქნება ახალი ნაბიჯი ამ საქმეში!

გთხოვთ, ნარკოტიკების ბოროტად გამოყენების წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო დღე გამოაცხადოთ და დაგვეხმაროთ ამ ინფორმაციის გავრცელებაში, სადაც ხელი მიგიწვდებათ.

ნარკოტიკების ბოროტად გამოყენების წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით

კოფი ანანის მიმართვა 1997 წლის 26 იანვისი

ამჟამად მსოფლიოში, სამწუხაროდ, ადგილი არ დარჩა, რომელსაც ნარკომანიის დამსჯელი ხელი არ შეხებოდეს; ნარკომანია მზარდი პრობლემაა თითქმის ყველგან. ამ გლობალური პრობლემის ერთ-ერთი უსასტიკესი ასპექტი ის არის, რომ იგი უმეტესად აზიანებს ყველაზე სათუთს - ახალგაზრდობას.

ამ წელს ჩემი მოწოდებაა, გავაერთიანოთ ჩვენი გამოსვლები ყველგან ეროვნული და ადგილობრივი დონიდან თითოეულ ოჯახამდე და ერთიანი ძალით შევუტიოთ ამ საფრთხეს, რომელიც კაცობრიობის სიცოცხლესა და უშიშროებას ემუქრება.

საგანგაშოა, რომ ბევრი პიროვნება ნარკოტიკების გასინჯვას ძალზე ადრეულ ასაკში იწყებს. იზრდება ახალი ნარკოტიკების პოპულარობა, რამდენადაც მრავალ საზოგადოებაში ახალგაზრდებს მცდარი წარმოდგენა აქვთ, თითქოს ისინი უფრო უსაფრთხონი იყვნენ, ვიდრე ტრადიციული ჰეროინი ან კოკაინი. ამიტომ ჩვენ აბსოლუტურად უნდა ცხადვყოთ, რომ ნებისმიერი ნარკოტიკის გამოყენება დიდ რისკთან არის დაკავშირებული.

გაერთიანებული ერების ორგანიზაცია დაუღლელად მუშაობს ნარკომანიის მზარდ პრობლემასთან საბრძოლველად. სწორედ გაეროს ნარკოტიკებზე კონტროლის საერთაშორისო პროგრამისა და სხვა სააგენტოების მეშვეობით ახორციელებენ სახელმწიფოთა მთავრობები ნარკოტიკულ ნივთიერებათა წარმოების შეწყვეტის, საზღვრებზე მათი კონტრაბანდის აღკვეთისა და ნარკომანიის თანამდევ ყველა სხვა კომპლექსურ პრობლემასთან ბრძოლის ღონისძიებებს. მომავალი წლის ივნისში გაეროს გენერალური ასამბლეის საგანგებო სესია მიეძღვნება საერთაშორისო დონეზე მიღწეული შედეგების შეჯამებას და მომავალი მოქმედების გზების დასახვას.

მაგრამ, ისევე, როგორც მედიცინაში, მკურნალობას პროფილაქტიკა სჯობია. ჩვენი უპირველესი ამოცანა უნდა იყოს იმ ახალგაზრდების რიცხვის შემცირება, რომლებიც ნარკოტიკების გავლენის ქვეშ ექცევიან. ამისათვის კი ყველამ ერთად უნდა ვიმუშაოთ. წამყვანი როლი ამ საქმეში ჩვენს საზოგადოებრიობას ეკისრება.

ამიტომ ჩემი დღევანდელი განცხადებით მივმართავ ყველა ქვეყნის საზოგადოებებს, არ დააყოვნოთ მოქმედება - მიუხედავად იმისა, რამდენად სერიოზულია ნარკომანიის პრობლემა თქვენში. სწორედ საზოგადოებებსა და საზოგადოებრივ ინსტიტუტებში უნდა დაინერგოს ნარკომანიის პროფილაქტიკის ღონისძიებები.

გჯეროდეთ სიკეთის და გამოუცხადეთ ბრძოლა ნარკოტიკებს, რადგან საეჭვოა, რომ ბოროტების ამ მოციქულთა ზემოქმედება ხანგრძლივი იყოს. მხოლოდ ფაქტების პატიოსნად წარმოჩინებაც კი უკვე დიდი საქმეა. საგანგებო ყურადღებას მოითხოვენ განსაკუთრებით დაუცველი ადამიანები - ემიგრანტები და ლტოლვილები, რომელთაც ცხოვრება დაენგრათ და ზედამხედველობას მოკლებული ახალგაზრდები.

ყოველი ჩვენგანის ვალია, მადლობა ვუძღვნათ იმ სკოლებს, მშობლებს, არასამთავრობო ორგანიზაციებს, ფირმებსა და სხვა საზოგადოებრივ ჯგუფებს, რომლებიც უკვე ემსახურებიან ნარკომანიის პროფილაქტიკის უმნიშვნელოვანეს საქმეს. მათ კი, ვინც ჯერ კიდევ განზე დგას, ვეტყოდი: "ნუ იცილებთ პასუხისმგებლობას, ნუ დგახართ მოწმეებივით მაშინ, როცა სხვები საქმეა აკეთებენ".

ნარკომანია უზარმაზარი პრობლემაა, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ ცალკეული პიროვნებების, საზოგადოებრიობისა და მთავრობების ერთობლივი მოქმედება ამ საქმეში გარდატეხას შეიტანს.

ნარკოტიკების ბოროტად გამოყენების წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით

გაეროს ნარკოტიკებზე კონტროლის საერთაშორისო პროგრამის აღმასრულებელი დირექტორის ჯორჯიო ჯაკომელის მიმართვა

ნარკოტიკებით გამოწვეულ შედეგებს ხალხის წარმოდგენაში გარკვეული ბურუსით მოსავს მხატვრულ ლიტერატურასა და პოპულარულ დრამებში მათი აღწერის გავრცელებული ფორმა. დრო და დრო სატელევიზიო გადაცემებში და მხატვრულ ფილმებში იგი წარმოდგენილია როგორც პრობლემა, რომელსაც ენერგიულად შეებრძოლენ გარკვეული სახელმწიფო მოხელეები, განსაკუთრებით ძალოვანი სტრუქტურის წარმომადგენლები. სინამდვილეში ნარკოტიკების ბოროტად გამოყენების სცენარი გაცილებით რთული და ფართოა, რომელშიც ჩვენ ყველა მსახიობები ვართ და ჩვენი გარკვეული როლი გვაკისრია.

ნარკომანია, უპირველეს ყოვლისა და უმთავრესად ინდივიდუალური ტრაგედიაა. იგი ხელყოფს პიროვნების ჯანმრთელობასა და კეთილდღეობას, მის ღირსებასა და საკუთარი თავის პატივისცემას, მის უნარს გული დაუდოს მუშაობას ან სწავლას. იგი იწვევს ოჯახური, მეგობრული და სამსახურებრივი ურთიერთობების მოშლას. ახლა მოდაშია, რომ ნარკოტიკების მიღება განხილულ იქნას, როგორც ახალგაზრდა კაცის ნორმალური განვითარების შემადგენელი ნაწილი, რათა იგი გახდეს "მაგარი ბიჭი" და გამბედავი. რეალურად კი ნარკოტიკებით ექსპერიმენტირება არის პირველი ნაბიჯი მოლიპულ გზაზე, რომელსაც ადამიანი მიყავს დეგრადაციისა და თვითგანადგურებისაკენ.

მაგრამ პიროვნული ტრაგედია მხოლოდ ნაწილია ამბისა. ნარკოტიკები საზოგადოების მთლიანობის დამრღვევი ძალაა. ის არის დანაშაულის შედეგიც და გამომწვევიც ერთდროულად. ეს ისეთი დაავადებაა, რომელიც ასნებოვნებს სახელმწიფო ინსტიტუტებს, წარმოშობს კორუფციასა და არასტაბილურობას, საფუძველს უქმნის ტერორიზმსა და სახელმწიფო გადატრიალებებს,

იარაღით ვაჭრობას, მოკლედ რომ ვთქვათ, ნარკოტიკი ის ფენომენია, რომელიც საზოგადოებას ყოველ დონეზე უქმნის საფრთხეს ცალკეულ ინდივიდებს, საზოგადოებრიობას, სახელმწიფოთა და საერთაშორისო მშვიდობასა და უშიშროებას.

ნარკოტიკებით მოვაჭრეთა ჯგუფები იმდენი წყაროებიდან მარაგდებიან, რომ მოთავრობებს უჭირთ წინ აღუდგნენ მათ. გარდა ამისა, ვაჭრობას აცხოველებს ნარკოტიკებზე მოთხოვნა. ამიტომ არის, რომ როგორც გაეროს გენერალურმა მდივანმა ხაზგასმით აღნიშნა თავის საანგარიშო მოხსენებაში, ფაქტიურად ბევრი რამის გაკეთება შეიძლება საღი აზრითა და კეთილი ნებით ამ უმარტივესი იარაღით, რომელიც ხელმისაწვდომია ნებისმიერ დონეზე. ამას ემატება ისიც, რომ ნარკოტიკების მომხმარებელთა სამკურნალოდ და სარეაბილიტაციოდ მრავალი სახის ნინებული სამსახური არის შემოთავაზებული ნებაყოფილობითი, საქველმოქმედო ორგანიზაციებისა და სხვა კერძო მოღვაწეთა მიერ.

ნარკოტიკების ბოროტად გამოყენებისა და მათ უკანონო ბრუნვასთან ბრძოლის ამ მეათე საერთაშორისო დღეს მსურს მადლიერების გრძნობით აღვნიშნო ყველა ეს მნიშვნელოვანი და აუცილებელი საზოგადოებრივი ინიციატივა. გაეროს ნარკოტიკებზე კონტროლის საერთაშორისო პროგრამა, ახორციელებს რა წევრი ქვეყნების მიერ მინიჭებულ გლობალურ მანდატს, ერთმანეთთან აკავშირებს არასამთავრობო ორგანიზაციებსა და სხვა ჯგუფებს და ქმნის ურთიერთ თანამშრომლობის მრავალფეროვან შესაძლებლობებს, რაც ჩვენ ყველას მეტ სიმტკიცეს გვანიჭებს, როდესაც ინიციატივა, ჩვენი აზრით, მხარდაჭერას იმსახურებს, ჩვენ ასეც ვიქცევით. ხოლო როდესაც ორგანიზაციებს შეუძლიათ ჩვენ დაგვეხმარონ, ისინი სიამოვნებით გვთავაზობენ თავის დაკვირვებებს, ერთობლივი მოქმედების მიღწევებს და შემოწირულობებსაც კი გვაძლევენ. ჩვენ ხელი შევუწყეთ არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელის შექმნას, მათი იდეებისა და ნოუ-ჰაუს კომბინირებას და გამოცდილების ურთიერთგაზიარებას. ჩვენ უნდა შევინარჩუნოთ თანამშრომლობის ეს მიმართულება და გავაძლიეროთ ჩვენი ძალისხმევა რეზერვების შევსების მეშვეობით.

ნარკოტიკებზე კონტროლი პასუხისმგებლობაა, რომელიც უნდა გაიზიაროს მსოფლიო საზოგადოების ყველა ნაწილმა. გაეროს

გენერალური ასამბლეის სპეციალური სესია შეიკრიბება 1998 წლის ივნისში, რომელზეც წევრი ქვეყნები შეაჯამებენ ამ ხნის მანძილზე მიღწეულ შედეგებს და ამ გამოცდილების შუქზე განსაზღვრავენ საერთაშორისო თანამშრომლობის საუკეთესო სტრატეგიებს. არასამთავრობო ორგანიზაციებსა და სხვა დაინტერესებულ ჯგუფებს ეძლევათ შესაძლებლობა თავისი წვლილი შეიტანონ ამ დებატებში დარჩენილი დროის განმავლობაში. ამ სესიის შედეგი არ უნდა იყოს მხოლოდ ამაღლებული გრძნობების გამომჟღავნება ჩვენ უნდა დავრწმუნდეთ, რომ დაპირებები კონკრეტულ საქმედ იქცნენ. მე იმედი მაქვს, რომ საზოგადოებები კიდევ უფრო განვითარდებიან და არ დაარღვევენ მიცემულ პირობებს.

ჩვენ ვიცით, რომ ნარკომანიის მოსპობა პლანეტაზე ძალიან ძნელი ამოცანაა. მაგრამ ხალხის ოპოზიცია ნარკოტიკების ხმარებისა და მისი თანამდევი ყველა პრობლემის მიმართ იმედის საფუძველს იძლევა.

ყველა დონის საზოგადოებრივი ორგანიზაციის ძალისხმევითა და მცდელობათა გაერთიანებით, დარწმუნებული ვარ, ჩვენ შეგვიძლია და კიდეც უნდა მივაღწიოთ წარმატებებს.

1999 წლის 13 მაისს გაიმართა საქართველოს უშიშროების საბჭოს ნარკომანიის გავრცელების, ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის სახელმწიფო კომისიისა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტის ერთობლივი გაფართოებული სხდომა შემდეგი დღის წესრიგით: "საქართველოში ნარკომანიისა და ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის 1998-2000 წლების სახელმწიფო პროგრამის განსახორციელებელ კომპლექსურ ღონისძიებათა სამუშაო გეგმის შესრულების მიმინარეობა და ამოცანები". ეს ღონისძიება ხელს შეუწყობს ნარკომანიის საშიშროებისადმი საზოგადოების მობილიზაციას.

1998 წელს ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის ხაზით აღძრულია სისხლის სამართლის 1218 საქმე. აქედან: 27- ნარკოტიკების კონტრაბანდის, ხოლო 175 - რეალიზაციის ფაქტთან დაკავშირებით. გასულ წელს ნარკოდანაშაულის გახსნის პროცენტმა 99,9 ერთეულს მიაღწია. მიმდინარე წელს აღძრულია სისხლის სამართლის 370 საქმე. რომელთაგან

9 კონტრაბანდის , 65 ნარკოტიკების რეალიზაციის უაქტთანაა დაკავშირებული. გახსნის მაჩვენებელმა 100 პროცენტს მიაღწია.

ნარკოლოგიურ დისპანსერში აღრიცხვაზე მყოფ პირთა რაოდენობა 1993 წელს 2000-ს შეადგენდა, (მათ შორის 1457 - დიაგნოზით "ნარკომანი"). 1998 წელს ამ ციფრმა 10045-ს მიაღწია (მათგან 3372 პირი - დიაგნოზით "ნარკომანი".) ზუსტი გათვლებით ეს ციფრები არ ასახავს რეალურ მდგომარეობას.

კახა თარგამაძე - საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი,. საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს ნარკომანიის გავრცელების, ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის სამთავრობო კომისიის თანათავმჯდომარე

ნარკომანიის პრობლემა მეტად აქტუალურია საქართველოსთვის, რომელმაც უკანასკნელ წლებში სისხლიანი კონფლიქტები, სამოქალაქო ომი, ქაოსი და განუკითხაობა გადაიტანა. მძიმე სოციალურ-ეკონომიკურმა მდგომარეობამ, პოლიტიკურმა, არასტაბილურობამ, კრიმინოგენური ვითარების გამწვავებამ, სასაზღვრო და საბაჟო კონტროლის შესუსტებამ ნარკომანიის გავრცელებას ფართო ასპარეზი მისცა. ეროვნული უშიშროების საბჭომ, საქართველოს პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის ინიციატივით, 1996 წლის დაამტკიცა "საქართველოში ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის ეროვნული პროგრამა", ხოლო 1998 წელს "საქართველოში ნარკომანიისა და ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის 1998-2000 წლების პროგრამა" და მის მოთხოვნათა განსახორციელებელი ღონისძიებების სამუშაო გეგმა, რომელიც სამთავრობო კომისიის წევრთა უშუალო მონაწილეობით, შინაგან საქმეთა სამინისტროს ნარკომანიისა და ნარკობიზნესის წინააღმდეგ ბრძოლის ეროვნული ბიუროს და ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ერთობლივი სამუშაო ჯგუფის მიერ მომზადდა.

მეცნიერულად დასაბუთებულ ამ დოკუმენტებში გათვალისწინებულია საქართველოში შექმნილი ნარკოსიტუაცია და მისი შემდგომი ესკალაციის რეალური შედეგები. პროგრამაში გამოიკვეთა თვრამეტი ძირითადი მიმართულება, რომლებმაც სრულად მოიცვა პრობლემის ყველა მხარე და ასპექტი. განსაზღვრა ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის ში-

ნაარსი და ხასიათი, სტრატეგია და ტაქტიკა, დააზუსტა სამუშაოს მოცულობა, დააკონკრეტა თითოეული პუნქტის შემსრულებლები და ვადები, განსაზღვრა დაფინანსების წყაროები.

საქართველოში ნარკომანიისა და ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის 1998-2000 წლების სახელმწიფო პროგრამის შესრულების გარანტია საქართველოს უშიშროების საბჭოსთან შექმნილი ისეთი სტრუქტურის ფუნქციონირება, როგორიცაა, ნარკომანიის გავრცელების, ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის კომისია", რომელშიც გაერთიანებული არიან: შინაგან საქმეთა და ჯანმრთელობის დაცვის მინისტრები (კომისიის თანათავმჯდომარეები), განათლების მინისტრი, გენერალური პროკურორის მოადგილე, სახელმწიფო უშიშროების, საგარეო საქმეთა და ფინანსთა მინისტრების მოადგილეები, მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, სახელმწიფო საზღვრის დაცვისა და ახალგაზრდობის საქმეთა სახელმწიფო დეპარტამენტების, საბაჟო და სპორტის დეპარტამენტების თავმჯდომარეები, ტელე-რადიო კორპორაციის თავმჯდომარე, ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ნარკოლოგიური სამსახურის უფროსი, ნარკომანიის და ნარკობიზნესის წინააღმდეგ ბრძოლის ეროვნული ბიუროს უფროსი, ჟურნალისტთა კავშირის თავმჯდომარე, ეროვნული უშიშროების საბჭოს აპარატის სამართალდამცავ ორგანოებთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი.

სამთავრობო კომისიის წევრებს ნიშნავს ქვეყნის პრეზიდენტი

სამთავრობო კომისიასთან ფუნქციონირებს ორი სამუშაო ჯგუფი: 1. ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლისა და 2. ნარკომანების მკურნალობის, მათი სამედიცინო და სოციალური რეაბილიტაციის. სამუშაო ჯგუფის წევრებს, უშიშროების საბჭოს წარდგინებით, ნიშნავს ქვეყნის პრეზიდენტი.

სამთავრობო კრომისია ახდენს ნარკოტიკებზე კონტროლის სფეროში მოქმედი ყველა დაინტერესებული სამინისტროს და უწყების მუშაობის კოორდინაციასა და ხელმძღვანელობას, ინფორმაციის შეკრებასა და ანალიზს, სიტუაციის შემდგომ მონიტორინგს, ეროვნული უშიშროების საბჭოზე საკითხებისა და პრობლემების განსახილველად მომზადებას, ხელმძრვანელობს ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის წინააარმდეგ ბრძოლისა და

ნარკომანების მკურნალობას, მათ სამედიცინო და სოციალურ რეაბილიტაციას.

შედარებით დაწვრილებით აღნიშნული სტრუქტურის ხასიათი იმიტომ გადმოვეცით, რომ ცხადი გამხდარიყო მისი სრულყოფილება. ეს არის სრულიად ახალი, შეიძლება ითქვას, უნიკალური სისტემა, რომელსაც ურთულესი ამოცანების გადაწყვეტა ხელეწიფება.

ავთანდილ ჯორბენაძე - საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის მინისტრი, საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს ნარკომანიის გავრცელების, ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის სამთავრობო კომისიის თანათავმჯდომარე

ნარკომანია კაცობრიობის უბედურებაა. იგი გაიგივებულია ერის მომავლის ახალგაზრდობის ფიზიკურ და მორალურ უკუგანვითარებასთან, გენოფონდის გადაგვარებასთან, ერის ინტელექტუალური და ზნეობრივი პოტენციალის მკვეთრ შემცირებასთან. ფსიქიკურად და ფიზიკურად დეფექტურ ბავშვთა რაოდენობის მნიშვნელოვან ზრდასთან. დღეს ნარკომანია, საქართველოში, დამატებით, სოციალურად საშიშ თვისებებს იძენს, თუნდაც იმიტომ, რომ უმძიმესი ინფექციური დაავადებების (შიდსი, ჰეპატიტები, ტუბერკულოზი და სხვა) გავრცელების წყაროა. ეს კი, ჩვენს ინტენსიურ თანამშრომლობას აუცილებელსა და საეალდებულოს ხდის საერთაშორისო ორგანიზაციებთან, სახელმწიფოთა კოალიციებთან, საზოგადოებებთან.

უკიდურესად მძიმე პროგნოზია მოსალოდნელი შიდსის გავრცელების თვალსაზრისით. 1999 წლის პირველი მაისისათვის ოფიციალურად რეგისტრირებულია შიდსის ვირუსით ინფიცირების 85 შემთხვევა. ინფიცირებულთაგან 10 ქალია, 75 მამაკაცი. მათგან 25 შიდსით დაავადებულია, 13 გარდაიცვალა. აივინფიცირებულთაგან 58 ინტრავენური ნარკომანია. მაშასადამე, საქართველოში ნარკომანია აივინფექციის გავრცელების ძირითადი ფაქტორია.

საქართ ელოს გეოგრაფიული მდებარეობა, საერთაშორისო და საკავჭრო ურთიერთობების გლობალურ მასშტაბებში გადასვლა (უახლოეს პერიოდში საშუალო წლიური ტვირთბრუნვა 20 მილიონ ტონას მიაღწევს), ევრაზიის დერეფნად გადაქცევა,

სახელმწიფო საზღვრის დაცვის სირთულეები, სუსტი საბაჟო კონტროლი, მოსახლეობის დიდი მიგრაცია და სხვა ფაქტორები აღნიშნული დაავადებების გავრცელების საშიშროებას კიდევ უფრო ზრდის.

საქართველოში ნაპრკოტიკების წინააღმდეგ მიმართული ეროვნული პროგრამის შესასრულებლად საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრომ გარკვეული მუშაობა გასწია, რამაც განაპირობა ნარკოლოგიური სიტუაციის სტაბილიზაცია. სამწუხაროდ, სტაბილიზაცია მიღწეულია არა საზოგადოების შეგნების ამაღლებით, არამედ, ძირითადად, რეპრესიული ღონისძიებების გაძლიერებით. შეიქმნა ნარკოტიკების ლეგალური ბრუნვისადმი კონტროლის რესპუბლიკური ინსპექცია; შემუშავდა და დამტკიცდა ნარკოტიკული საშუალებებისა და ფსიქოტროპული ნივთიერებების ნუსხა; გატარდა მკაცრი ღონისძიებები ნარკოტიკული და ძლიერმომქმედი პრეპარატების შენახვის, აღრიცხვის, გაფორმების მოწესრიგებისათვის; ვითარდება საქმიანი და სამეცნიერო კონტაქტები საზღვარგარეთის შესაბამის ცენტრებთან მკურნალობის, პრევენციისა და რეაბილიტაციის ახალი მეთოდების შესწავლისა და საქართველოში დანერგვის მიზნით.

მუშაობის ჩატარებისას ჩვენ არ გვავიწყდებოდა ის მოთხოვნა, რომ თითოეულ ადამიანს რეალურად უნდა შეექმნას საქართველოს კონსტიტუციით შექმნილი დეკლარირებული მყარი გარანტია, რომ დაცული იქნება მისი ჯანმრთელობის, ჯანსაღ გარემოში ცხოვრების, ავადმყოფობისა და ტრავმებისაგან ეფექტიანი დაცვის უფლებები, რომ თითოეული პიროვნების სულიერი და ფიზიკური გაჯანსაღება სახელმწიფოს უმთავრეს პოლიტიკურ ამოცანას წარმოადგენს, რომელშიც ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს გადამწყვეტი როლი აქვს მიკუთვნებული.

საქართველოში ნარკომანიისა და ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის 1998-2000 წლების სახელმწიფო პროგრამის სტრატეგიაში ყურადღებას იპყრობს ნარკოლოგიური სამსახურის განვითარებითა და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა ხელშეწყობით ნარკომანიით დაავადებულ პირთა მკურნალობისა და სოციალური რეაბილიტაციის უზრუნველყოფის მოთხოვნა. სახელმწიფო პროგრამის მე-16 მუხლში განსაკუთრებული ყუ-

რადღება ეთმობა ნარკომანიის გავრცელების წინააღმდეგ მიმართულ პრევენციული ღონისძიებების შემუშავებასა და განვითარებას, ნარკომანიის პირველად და მეორად პროფილაქტიკას. ფართომასშტაბიან სოციალურ-ეპიდემიოლოგიურ გამოკვლევებს, ნარკოლოგიური ქსელის განვითარებას, სკოლებში ამ სენის წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებებისათვის პედაგოგთა და მშობელთა ყურადღების მიპყრობას, პრობლემის გარშემო საზოგადოებრივი აზრის გააქტიურებასა და მის კონსოლიდაციას. გათვალისწინებულია ნარკოლოგთა და ყველა დაინტერესებული ორგანიზაციის თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლების მუდმივმოქმედ სისტემის შექმნა, ქართულ ენაზე პირველი სახელმძღვანელოს გამოშვება, ბავშვთა და ქალთა სამკურნალო განყოფილების გახსნა, ნარკომანთა ნებაყოფლობითი (ანონიმური) უფასო მკურნალობის ჩვენებების გაზრდა, მკურნალობის ახალი ფორმებისა და მეთოდების ექსპერიმენტული დანერგვის შესაძლებლობების შესწავლა. საქართველოში პირველად დაიწყება ნარკომანიის გავრცელების ეპიდემიოლოგიური შესწავლა, გაგრძელდება ნარკოლოგიური სამსახურის სამართლებრივი ბაზის შექმნა თანამედროვე მოთხოვნათა შესაბამისად.

მხოლოდ საზოგადოების, მთავრობისა და ცალკეულ ადამიანთა ერთიანი ძალისხმევით შეიძლება დავძლიოთ ნარკომანია საქართველოში.

ავთანდილ ხხაიძე - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის თავმჯდომარე, პოლიციის გენერალ-მაიორი

საქართველოში ღია, დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობის პროცესში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ქვეყნის ხვალინდელი დღის მომავალი თაობის აღზრდას, რომელიც სახელმწიფოს პოლიტიკის სხვა პრიორიტეტულ მიმართულებათა შორის, ერთ-ერთ მნიშვნელოვან ამოცანად არის გამოცხადებული.

არასრულწლოვანთა შორის ნარკოტიკების ხმარება, ტოქსიკურ ნივთიერებათა ბოროტად გამოყენება უკანასკნელ დროს შეშფოთებას იწვევს. ნარკომანია საგრძნობლად გაახალგაზრდავდა. სისხლის სამართლის დანაშაულში ეჭვმიტანილ ახალგაზრ-

დათა დიდი ნაწილი ნარკოტიკების და ტოქსიკური ნივთიერებების მომხმარებლები არიან.

როგორ აღვუდგეთ ამ პროცესს?

სპეციალურ ლიტერატურაში, მეცნიერული ხასიათის გამოკვლევებში, შემუშავებულია სხვადასხვა მეთოდი. მათ შესახებ ბევრია ნათქვამი მაგრამ მთელი პრინციპულობით, უნდა ითქვას, რომ მოზარდთა ასაკში განსაკუთრებით აქტუალურია არა ნამოყალიბებული ნარკომანია (ტოქსიკომანია), არამედ ნარკოტიკული საშუალებების ბოროტად გამოყენება, რაც ამ საშუალებათა მიმართ საბოლოოდ არ არის გამოხატული ეგრეთწოდებული ფსიქიკური დამოკიდებულება და დაავადება ჯერ არ არის განვითარებული. სწორედ ამ დროს უნდა ვუშველოთ ახალგაზრდას მშობლებმა, პედაგოგებმა, საერთოდ საზოგადოებამ. შეიტანენ რა ეჭვს მოზარდის ქცევაში, დროულად უნდა მიმართონ სპეციალისტებს - ფსიქოლოგებს, სოციოლოგებს, ნარკოლოგებს სათანადო კონსულტაციების მისაღებად, ასეთ შემთხვევაში შესაძლებელია თავიდან იქნეს აცილებული ნარკოლოგიურ-ტოქსიკურ საშუალებათა და ნივთიერებათა ბოროტად გამოყენება, ახალგაზრდის ნარკომანად როგორც ავადმყოფად ნამოყალიბება.

დღევანდელ ეტაპზე აუცილებელია სკოლამ, ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტმა, საბავშვო დაწესებულებებმა, საერთოდ განათლების სისტემამ, განსაკუთრებული ყურადღება გააშახვილონ არსებული პრობლემის მითითებულ ასპექტზე.

მიზანშეწონილად მიგვაჩნია, ამჯერად გაზეთ "მედიცინის" საშუალებით, მივმართო საქართველოს საზოგადოებრიობას, გაიცნობიეროს არასრულწლოვანთა მუშაობაში არსებული საგანგაშო მდგომარეობა, ყურადღების ცენტრში დააყენოს არასრულწლოვანთა შორის საამართალდარღვევათა პროფილაქტიკის საკითხები, ხოლო პრესამ, რადიომ, ტელევიზიამ უმთავრესი ყურადღება დაუთმოს ამ პრობლემას.

ამას იმიტომ აღვნიშნავ, რომ ერთხელ კიდევ ხაზგასმით მინდა გამოვხატო პრევენციის მნიშვნელობა და როლი არასრულწლოვანთა დამნაშავეობის საკითხში.

ყველასათვის ცნობილია ამ თვალსაზრისით არსებული ობიექტური მდგომარეობა. აუარებელი ხელისშემშლელი პირობები. განა უბრალო ფაქტია ის, რომ ახალგაზრდების ერთი ნაწილი

განგებ იკეთებს, ეგრეთწოდებულ "პრაკოლებს" ნემსის ნახვლეტებს, რათა თავისი ვაჟკაცობა დამტკიცოს, სინამდვილეში კი ნარკოტიკებს არ იკეთებს, წამბაძველობით შეისუნთქავენ ტოქსიკურ ნივთიერებებს, ამაკე მოტივით წევენ ანაშას და ა.შ.

თბილისის საზოგადოებრიობა შეაშფოთა მიმდინარე 1999 წლის 4 მარტს, დაბა გუდაურში, კერძო სასტუმრო "შინოს" ბარში ახალგაზრდობის წარმომადგენელთა ორი ჯგუფის ურთიერთშელაპარაკების შედეგმა - "მაკაროვის" და "ასმ" -ის სისტემის ცეცხლსასროლი იარაღებიდან 1975 წელს დაბადებული გიორგი შავგულიძის (დიდი გიორგი შავგულიძის შვილიშვილის) მკვლელობამ. ამ საშინელი მკვლელობის ერთ-ერთი მიზეზი ის იყო, რომ სასტუმროს ბარმენი ახალგაზრდებს, მათ შორის არასრულწლოვანებს მაგარ სასმელებს განუკითხავად და უზომოდ აძლევდა. იგი მხოლოდ ფინანსურ მოგებაზე ფიქრობდა და არა იმაზე, თუ რა შედეგი მოჰყვებოდა ყოველივე ამას.

ვთქვათ პირდაპირ, კაზინოებითა და ბარებით სავსეა თბილისი, ვართ კი დაზღვეული ანალოგიური შემთხვევების განმეორებისაგან?! - რასაკვირველია, არა.

ოპერატიულ-საგამომძიებლო ჯგუფის მიერ მოკვლეულმა მასალამ დაადასტურა, რომ ახალგაზრდები შეაიარღებული იყვნენ, ერთ-ერთს კი აღმოაჩნდა ნარკოტიკული საშუალება.

სიცოცხლეს გამოასალმეს პერსპექტიული ქართველი ახალგაზრდა ალბათ, საჭიროა დედოზარის შემოკვრა, ისე როგორც რამდენიმე წლის წინათ მოხდა კაკაბეთში. ეს საზოგადოებრიობამ უნდა გააკეთოს.

შინაგან საქმეთა სამინისტროს კრიმინალური პოლიციის მუშაობას მხოლოდ მაშინ ექნება სასურველი შედეგი, თუ მას გვერდში ამოუდგება საზოგადოებრიობა.

დავით გეგეშიძე ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის კათედრის გამგე. შინაგან საქმეთა სამინისტროს საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტის ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლის კომისიის თავმჯდომარე

ამ ცოტა ხნის წინ, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტმა დაარსებისა და ნაყოფიერი საქმიანობის 30-ე წლისთავი აღნიშნა. ამ თარიღთან

დაკავშირებით, საქართველოს პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე მისასალმებელ წერილში აღნიშნავდა: " საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტი წარმოადგენს მოსახლეობასთან ურთიერთობისა და საზოგადოებრივი აზრის შესწავლის სრულიად ახალ, ეფექტიან და სრულყოფილ ფორმას... თანამედროვე პირობებში, როდესაც წინა პლანზეა საქართველოს დამოუკიდებლობის განმტკიცების, ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისა და მართლწესრიგის დაცვის პრობლემები, დიდი ამოცანების წინაშე დგას საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტი. მისი უმთავრესი საზრუნავია კიდევ უფრო სრულყოს მუშაობის სტილი, ფორმები და მეთოდები, მეტი კონკრეტული დახმარება გაუწიოს საქართველოს ხელისუფლებას, პარლამენტს და შინაგან საქმეთა სამინისტროს ქვეყნის წინაშე მდგარი რთული, საპასუხიმგებლო და კეთილშობილური ამოცანების განხორციელებაში."

როგორც იტყვიან, ყველაფერი ნათქვამია. აღვნიშნავთ, რომ დაარსების პირველივე დღეებიდან საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტი მნიშვნელოვან ყურადღებას აქცევდა ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლის საშუალებების დახვეწას, როდესაც განვლილი სამი ათეული წლის მანძილზე აანალიზებთ საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტის მიერ ნარკომანიის პრობლემატიკის განხილვის ამსახველ მასალებს, თვალნათლივ იკვეთება ამ დაავადების დინამიკის ხასიათი, მისადმი საზოგადოებრიობის დამოკიდებულების ცვლილებების მოტივაციები, ნარკომანებთან სამედიცინო და სახელმწიფო დაწესებულებების ურთიერთობების ცვლილებები.

1976 წლის 25 ივნისს საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტის მიერ ჩატარებული გაფართოებული სხდომა მთლიანად მიეძღვნა ნარკომანიის ესკალაციის საშიშროების საკითხებს. "ირკვევა, რომ ბოლო ხანებში, აღნიშნულია სხდომის ოფიციალურ დოკუმენტში, - ერთგვარად საგანგაშო ხასიათი მიიღო ნარკომანიის გავრცელებამ. საქართველოში - ნარკომანთა რიცხვი წლითი-წლობით მატულობს... თუ 1970-74 წლებში ნარკოტიკული ნივთიერებების გამოყენებისათვის ადმინისტრაციული წესით დაისაჯა 859 ადამიანი, მარტო 1975 წელს დასჯილ იქნა 487 კაცი; 1976 წლის ხუთ თვეში აღიძრა სისხლის სამართლის 102 საქმე, 127 პირის მიმართ, რაც 1975 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 77 პროცენტით მეტი იყო. 1976 წლის ივნისში, საქართველოში, აღრიცხვაზე იყო ჰაშიშის მომხმარებელი 1600-ზე მეტი ნარკომანი".

თითქმის ყველა წელს შეჯამებულია საქართველოში შექმნილი ნარკოსიტუაცია, გათვალისწინებულია მისი სპეციფიკა და ხასიათი; მიღებულია შესაბამისი გადაწყვეტილებები, შემუშავებულია პრაქტიკული ხასიათის ღონისძიებები.

აღნიშნული თვალსაზრისით დაფიქსირებულია მეტად მნიშვნელოვანი მასალები, რომლებიც მკვლევარსა და შემსწავლელს მოელის. ამ მასალების თანამედროვე მონაცემების შეჯერების შედეგად დგინდება, რომ ნარკომანიის მასშტაბები საგრძნობლად გაფართოვდა. თუ წინათ ნარკომანია, ძირითადად, მამაკაცთა პრობლემა იყო, ამჟამად საგრძნობლად იმატა ნარკოტიკების არასამედიცინო მიზნებით მომხმარებელ და ნარკომან ქალთა რიცხვმა. საკმაოდ გაახალგაზრდავდა ნარკომანების ასაკი. ქალაქის პრობლემიდან ნარკომანია სოფლის მოსახლეობის, ძირითადად ახალგაზრდების, პრობლემად გადაიქცა - გაფართოვდა მისი გავრცელების გეოგრაფია, ხმარებაში შემოვიდა ხელოვნური (სინთეზიკური) ნარკოტიკები თავის უარყოფით შედეგებს იკვლევს ნარკობიზნესი და ა.შ. რაც მთავარია, თუ წინა პერიოდში ნარკომანიის წინააღმდეგ საზოგადოებრივი აზრი აქტიური და მებრძოლი იყო, თანამედროვე პირობებში იგრძნობა საზოგადოების ნეიტრალური დამოკიდებულება, რაც საგანგაშოა, დეედოზარების რეკვაზე აღარ გვეხმაურებიან.

საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტის ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლის კომისიის მისია იმაში მდგომარეობს, რომ საზოგადოებას შეაგნებინოს ის საშიშროება, რომელიც ნარკომანიის გავარცელებას, ნარკოტიკების უკანონო ბრუნვას მოჰყვება.

სადღეისოდ, ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლის მდიდარი გამოცდილება, ახალი ამოცანების გადაწყვეტის შეგნება და საჭიროება, საერთაშორისო გამოცდილების გაზიარება იმის გარანტიას იძლევა, რომ ეს რთული ამოცანა შესრულებული იქნება.

დავით კაჭკაჭიშვილი - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ნარკომანიისა და ნარკობიზნესის წინააღმდეგ ბრძოლის ეროვნული ბიუროს უფროსი, საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს ნარკომანიის გავრცელების, ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის სამთავრობო კომისიის მუდმივი სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელი

უკანასკნელი სამი წლის მანძილზე გატარებული ორგანიზაციულ მეთოდური ღონისძიებების შედეგად, საქართველოს შინაგან

საქმეთა სამინისტროს კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ნარკომანიისა და ნარკობიზნესის წინააღმდეგ ბრძოლის ეროვნული ბიურო ფუნქციონირებს, როგორც ძლიერი, მობილური, თვისობრივად ახალი და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი ოპერატიული სამსახური, რომელიც დაკომპლექტებულია ახალგაზრდა, გამოცდილი პროფესიონალებით.

ობიექტური გათვლით, ეროვნული ბიურო და მისი ადგილობრივი დანაყოფები წარმატებით არომევს თავს პროფესიული მუშაობის სირთულეებს, აღწევს სათანადო შედეგებს. გატარდა ფაროიმასშტაბიანი ღონისძიებები, რომელთა შედეგად უკანონო ბრუნვიდან დიდი ოდენობით სხვადასხვა სახის ნარკოტიკული საშუალება და ფსიქოტროპული ნივთიერებაა ამოღებული; შინაგან საქმეთა და ჯანმრთელობის დაცვის სამინისიტროების ერთობლივი კომისიის მიერ, გასული წლის განმავლობაში, შერჩევის წესით, შემოწმდა სამედიცინო დაწესებულებებში ნარკოტიკების აღრიცხვის, შენახვისა და გაცემის წესები. გამოვლინდა სერიოზული ნაკლოვანებები, გატარდა ღონისძიებები მის აღმოსაფხვრელად; ეროვნული ბიურო აქტიურად თანამშრომლობს პრესასა და ტელევიზიასთან, მონაწილეობს ტელე-რადიო გადაცემებში, თანამშრომლობს არასამთავრობო ორგანიზაციებთან, ახალგაზრდულ გაერთიანებებთან; შეინიშნება პოზიტიური ძვრები საბაჟო დეპარტამენტთან და უშიშროების სამინისტროებთან ურთიერთთანამშრომლობაში: ერთობლივი ღონისძიებების შედეგად აღკვეთილია ნარკოტიკების კონტრაბანდისა და რეალიზაციის ფაქტები; ყოველწლიურად ტარდება ნარკოტიკული საშუალებების შემცველი მცენარეების უკანონო ნათესებისა და ველურად მზარდი რაყების აღმოჩენის და განადგურების კომპლექსური ოპერატიულ-პროფილაქტიკური ღონისძიებები, რის შედეგადაც აღმოჩენილი და განადგურებულია ასეული ტონა კანაფის მცენარე; პრაქტიკულ მნიშვნელობას იძენს მსოფლიოში დაგროვილი მდიდარი პრაქტიკული გამოცდილებისა თუ თეორიული მასალის შესწავლა, განზოგადება და საერთაშორისო ნორმების შესაბამისი, საქართველოსათვის მისაღები სამართლებრივი ბაზის ჩამოყალიბება.

ჩვენ ეროვნული ბიუროს მუშაობის ზოგიერთი შედეგი აღვნიშნეთ. გასაკეთებელი ბევრია. ნარკომანიის გავრცელების, ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებებისა და პრეკურსორების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის სა-

მართლებრივი რეგულირებისათვის გადაუდებელ საკითხად რჩება ისეთი საკანონმდებლო აქტების მიღება, როგორიცაა: "საქართველოს კანონი ნარკოტიკული საშუალებებისა და ფსიქოტროპული ნივთიერებების ბრუნვის შესახებ", რომლის პროექტსაც ნარკომანიისა და ნარკობიზნესის წინააღმდეგ ბრძოლის ბიურო ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროსთან ერთად ამუშავებს და ერთი თვის ვადაში წარადგენს განსახილველად; დღის წესრიგში მთელი სიმწვავით დგას ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის მსოფლიოში ისეთი აღიარებული მეთოდების გაზიარება და პრაქტიკულ საქმიანობაში დანერგვა, როგორიცაა: "კონტროლირებადი მიწოდება". კონტროლირებადი მიწოდების ღონისძიებები სცილდება ერთი ქვეყნის ფარგლებს, ამიტომ ნატარებულ საქმიანობაში წინააღმდეგობის გამოსარიცხად მიმდინარეობს კონტროლირებადი მიწოდების სფეროში პრაქტიკული გამოცდილების მქონე ქვეყნების მიერ შემუშავებული და აპრობირებული მეთოდების შესწავლა და გაზიარება. ამ მიზნით, მუშავდება შესაბამისი ნორმატიული აქტი. იგი ჰარმონიზებული იქნება საერთაშორისო სამართლებრივ ნორმებთან. ასევე, მისაღებია უწყებრივი და უწყებათაშორისი ნორმატიული აქტები ქვეყანაში ანტინარკოტიკული კონტროლის შემოღებითა და მისი გავლის წესის, ნარკოტიკების ექიმის დანიშნულების გარეშე მომხმარებელი პირების გამოვლენის, სატრანსპორტო საშუალებების, ტვირთების, მოქალაქეთა პირადი ნივთების დათვალიერების წესებისა და სხვათა შესახებ.

ნარკომანიისა და ნარკობიზნესის წინააღმდეგ ბრძოლის ეროვნულმა ბიურომ აქტიური მონაწილეობა მიიღო სისხლის სამართლის ახალი კოდექსის , სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის და "საქართველოს კანონის ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ" პროექტების მომზადებაში.

საგრძნობლად ფაროოვდება საერთაშორისო კონტაქტები, ნარკომანიისა და ნარკომაფიის წინააღმდეგ ბრძოლაში სახელმწიფოთა ერთობლივი თანამშრომლობის მასშტაბები.

გატარებული ღონისძიებების ეფექტურობის შესახებ ქვეყნის შავ ბაზარზე ნარკოტიკების ფასების მკვეთრი ზრდაც მეტყველებს. მაგალითად 1გ ჰეროინის ფასი თბილისში 300 აშშ დოლარის ექვივალენტია. ბაქოში, იგივე 1გ ჰეროინის ფასი 25 აშშ დოლარს შეადგენს; 1გ ოპიუმი (ავღანური წარმოშობის) თბილისში 50 აშშ დოლარი ღირს. როდესაც ბაქოში მისი ღირებულება 3 აშშ დოლარს არ აღემატება.

***

მიმდინარე 1999 წლის ოთხ თვეში ნარკოტიკების კონტრაბანდისა და რეალიზაციის ფაქტზე დაკავებულ იქნა 70 პირი. მათგან 24 ქალი. რაც მიუთითებს რეალიზატორთა შორის ქალთა პროცენტულ ზრდაზე.

გატარდა ფართომასშტაბიანი ღონისძიებები, რომელთა შედეგად უკანონო ბრუნვიდან დიდი ოდენობით სხვადასხვა სახის ნარკოტიკული საშუალება და ფსიქოტროპული ნივთიერებაა ამოღებული. კერძოდ, 177.9 გ ჰეროინი, 9.8კგ ოპიუმი. 2.2 გ მარიხუანა. 7,6 კგ კოკნარი და სხვა.

საქართველოს უშიშროების საბჭოს ნარკომანიის გავრცელების , ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის წინაარმდეგ ბრძოლის სამთავრობო კომისიის და შინაგან საქმეთა სამინისტროს საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტის 1999 წლის 13 მაისის ერთობლივი გაფართოებული სხდომის მონაწილეთა მიმართვა

"ძვირფასო თანამემამულენო!

საქართველოში შექმნილმა მძიმე სოციალურ-ეკონომიკურმა მდგომარეობამ, სულიერ ღირებულებათა გაუფასურებამ, აღზრდის საკითხში არსებულმა სერიოზულმა ნაკლოვანებებმა, სასაზღვრო კონტროლის მოუწესრიგებლობამ, სათანადო სამართლებრივი საკანონმდებლო ბაზის უქონლობამ ხელი შეუწყვეს ნარკომანიის გავრცელებას, ნარკოტიკების უკანონო ბრუნვას. შეშფოთებას იწვევს ის, რომ ნარკომანიამ მოიცვა მთა და ბარი, სოფელი და ქალაქი, კაცი და ქალი, არასრულწლოვანი და ახალგაზრდა, მოსწავლე და სტუდენტი. საქართველოში ჩნდება მცენარეული სახეობის ნარკოტიკების წარმოებისა და გასაღების შიდა ბაზარი. ნარკომანიისა და ნარკობიზნესის წარმომადგენლები ინტერესს იჩენენ საქართველოსადმი. მძიმე დანაშაულობათა საკმაოდ დიდი პროცენტი ნარკომანიის მიზეზით არის ჩადენილი. ინგრევა ოჯახები, აგონიაში არიან ჩავარდნილნი ნარკომანთა მშობლები, მეუღლეები, ახლობლები. სწორედ მათ ცრემლებსა და ოხვრაზე მდიდრდებიან ნარკოტიკული ნივთიერებების გამსაღებლები.

საზოგადოებას არა აქვს გათვითცნობიერებული ის საყალალო შედეგები, რომლებიც ქართულ გენოფონდს ნარკომანიის შემდგომი ესკალაცია უქადის. ნარკომანიის, ნარკომაფიის, ნარკობიზნესის წინააღმდეგ ბრძოლაში მონაწილეობა ჯერ კიდევ არ

გაუხდია თავის მოვალეობად ყველა მეცნიერს, მწერალს, ხელოვანს, კულტურისა და სპორტის მუშაკს.

არ არის შექმნილი ნარკომანიის პროფილაქტიკისა და სოციალური რეაბილიტაციის ერთიანი სისტემა. ამ მიზნით არ გამოიყენება ცივილიზებული სახელმწიფოების გამოცდილება, არ არის მიღწეული მათი თანადგომა.

დროა:

- დედოზარი ავაგუგუნოთ!
- მხარში ამოვუდგეთ შეჭირვებულ ადამიანებს, ახალგაზრდებს!

  თვალისჩინივით გავუფრთხილდეთ იმას, რაც განგებამ შეგვინარჩუნა - ძირძველ ტრადიციებსა და წესჩვეულებებს, ქართულ სინდისსა და ნამუსს!
- დაუნდობელი ომი გამოვცცხადოთ ნარკოტიკების გამსაღებლებს!
- დადგა მოქმედების დრო და ჟამი!

"როგორმე უნდა გადავარჩინოთ გენიდან გენი,
საქართველო და საფლავი ჩვენი".

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტის ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლის კომისიის მუშაობის ანალიზის შედეგად შეიძლება გავაკეთოთ საერთო ხასიათის დასკვნა, რომლის თანახმად ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების და პრეკურსორების უკანონო ბრუნვის აღსაკვეთად აღნიშნულ კომისიას დიდი წვლილი მიუძღვის, პარალელურად კომისია ფართო მოცულობის საქმიანობას ეწეოდა ნარკომანიის პრევენციის და ნარკომანთა რეაბილიტაციის ორგანიზაციისათვის.

***

გაზეთ "საქართველოს რესპუბლიკაში" (1998 წლის 12 სექტემბერი) გამოქვეყნდა საქართველოს პრეზიდენტის, ედუარდ შევარდნაძის, 1998 წლის 21 აგვისტოს ბრძანებულება "საქართველოში ნარკომანიისა და ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის 1998-2000 წლების სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ".[1]

---

1 ვახტანგ ქარუმიძე, ემა დარგალი, არასრულწლოვანი, დამნაშავეობა და მართლმსაჯულება, 1998, გვ. 203-204

ნარკოტიკული საშუალებების და ფსიქოტროპული ნივთიერებების ბოროტად გამოყენება, მათი უკანონო ბრუნვა, უკანასკნელი ათწლეულების გლობალურ პრობლემად გადაიქცა. გაერომ გაითვალისწინა რა ნარკოტიკების ზემოქმედებისაგან საზოგადოების ადამიანის სიცოცხლის და ჯანმრთელობის დაცვის ინტერესების აუცილებლობა, 1961 წელს შეიმუშავა "ნარკოტიკული საშუალებების შესახებ 1961 წლის ერთიანი კონცეფცია", 1971 წელს მიიღო ერთიანი კონცეფცია: "ფსიქროტპორპული ნივთიერებების შესახებ", 1988 წელს - შემაჯამებელი დოკუმენტი: "ნარკოტიკული საშუალებების და ფსიქოტროპული ნივთიერებების უკანონო ბრუნვის შესახებ". ეს დოკუმენტი რატიფიცირებულია მსოფლიოს 150 ქვეყნის მიერ გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ ნარკოტიკული საშუალებების და ფსიქოტროპული ნივთიერებების უკანონო წარმოების და გავრცელების წინააღმდეგ ბრძოლის გააქტიურების მიზნით 1990 წელს მიიღო პოლიტიკური დეკლარაცია - მოქმედების მსოფლიო პროგრამა, რითაც მიმდინარე ასწლეულის 90-იანი წლები ნარკომანიასთან ბრძოლის აიწლეულად გამოაცხადა.

აღსანიშნავია, აგრეთვე, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ 1995 წელს მიღებული "ახალგაზრდობასთან დაკავშირებული მსოფლიო სამოქმედო პროგრამა 2000 წლამდე და შემდგომი პერიოდისათვის", რომელშიც ცალკე თავი აქვს დათმობილი ახალგაზრდობის მიერ ნარკოტიკების ბოროტად მოხმარების პრობლემას.

სახელმწიფო პროგრამაში აღნიშნულია: "ნარკომანიის პრობლემა მეტად აქტუალურია საქართველოსათვის. ქვეყანამ, რომელმაც 90-იანი წლების დამდეგს სისხლიანი კონფლიქტები, სამოქალაქო ომი, ქაოსი და განუკითხაობა გადაიტანა, მძიმე სოციალურ-ეკონომიკურმა მდგომარეობამ, პოლიტიკურმა არასტაბილურობამ, კრიმინოგენური ვითარების გამწვავებამ, სასაზღვრო და საბაჟო კონტროლის შესუსტებამ ნარკომანიის გავრცელებას ფართო ასპარეზი მისცა. საკმაოდ მოკლე პერიოდში ნაკროტიკების უკანონო ბრუნვის სფეროში მძიმე სიტუაცია შეიქმნა. ბოლო ხუთი წლის განმავლობაში ნარკოტიკებთან დაკავშირებული დანაშაულისათვის აღძრულია 5 ათასამდე სისხლის სამართლის საქმე, ხოლო პასუხისგებაში მიცემულთა რიცხვმა 5500-ს მი-

აღწია. ამავე პერიოდში ამოღებულია 5 ტონამდე სხვადასხვა სახის ნარკოტიკული საშუალება".[1]

უკანასკნელ წლებში შეინიშნება ნარკოშემცველი მცენარეების უკანონო წარმოების შიდა ბაზრის ჩამოყალიბება. განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ის ფაქტი, რომ საქართველოს მთელ ტერიტორიაზე გეოკლიმატური პირობები ამ მცენარეთა კულტივაციისათვის ხელსაყრელია. ამის გამო, საგრძნობლად ფართოვდება ასეთი ნათესების გეოგრაფიული არეალი. მხოლოდ 1997 წელს განადგურებულია 205.183 ძირი ყაყაჩოს უკანონო ნათესი. ეს კი რეალური ვითარების მხოლოდ ნაწილია.

საქართველოში ნარკომანების განკურნებასა და მათზე საზოგადოებრივი ზემოქმედების მიზნით ამ სფეროში არსებული საერთაშორისო გამოცდილებისა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შესაბამისად სამსახურის რეკომენდაციების საფუძველზე უნდა განხორციელდეს 1. ანონიმური ნებაყოფლობითი; 2. გამქღავნებული ნებაყოფლობითი და 3. იძულებითი მკურნალობა.

საქართველოში ნარკომანების ნებაყოფლობით მკურნალობას ახორციელებენ, როგორც სახელმწიფო ჯანმრთელობის დაცვის ორგანოები, ასევე ამ საქმიანობაზე ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მიერ გაცემული ნებართვის საფუძველზე საერთაშორისო და საზოგადოებრივი ორგანიზაციები, ნარკომანთა იძულებით მკურნალობაზე დადგენილი წესით, უფლებამოსილები არიან მხოლოდ ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებები, შინაგან საქმეთა ორგანოებთან ერთად.

ნარკომანთა ნებაყოფლობითი სტაციონალური მკურნალობის უზრუნველყოფის მიზნით, სახელმწიფო პროგრამის შესაბამისად საჭიროა : 1. ნარკოლოგიურ დაწესებულებათა ქსელის გაფართოება და მატერიალური ბაზის განმტკიცება; 2. ნარკომანების მკურნალობის ახალი მეთოდების შემუშავება, მოწინავე საერთაშორისო გამოცდილების დანერგვა გამოჯანმრთელების გზაზე მდგარ პირთათვის სოციალური რეაბილიტაციის ცენტრების შექმნა; 3. ნარკოლოგიური დაწესებულებების და ნარკომანთა სოციალური რეაბილიტაციის ცენტრებისათვის ფსიქოთერაპევტების, ფსიქოლოგების და სოციალური სფეროს სპეციალისტების

1. „საქართველოს რესპუბლიკა". 1998 წლის 12 სექტემბერი.

მომზადება; 4. ნარკომანების მკურნალობისათვის საჭირო მეცნიერული გამოკვლევების ორგანიზება და დაფინანსება, საქართველოსათვის ხელმისაწვდომი საჭირო თანამედროვე სამკურნალო პრეპარატების წარმოების მოწყობა. სახელმწიფო პროგრამა საჭიროდ მიიჩნევს აღსრულების დაწესებულებებში ნარკოტიკების მომხმარებელ და ნარკოტიკებთან დაკავშირებულ დანაშაულობებზე განსჯილ პირთა მკურნალობის პრაქტიკის შესწავლას.

პროგრამაში გათვალისწინებულია "აშენდეს თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი იძულებითი ტიპის სამი სამკურნალო-აღმზრდელობითი დაწესებულება, თითო 50 ადგილზე, სადაც ნარკომანიით დაავადებულ პირთათვის შექმნილი იქნება შრომისა და სამკურნალო რეაბილიტაციის პირობები".[1]

სახელმწიფო პროგრამის მიღება განაპირობა იმანაც, რომ საერთაშორისო ნარკობიზნესის განვითარების მხრივაც საქართველოს წინაშე საშიში პერსპექტივა იშლება. ამჟამად ნარკოტიკების აბსოლუტურად უდიდესი ნაწილი მის ფარგლებს გარედან შემოდის. ქვეყნის გეოგრაფიული მდგომარეობა, საერთაშორისო და სავაჭრო კონტაქტების გლობალურ მასშტაბებში გადასვლა, მისი ევროაზიის დერეფნად გადაქცევა, სახელმწიფო საზღვრის დაცვის სირთულეები, სუსტი საბაჟო კონტროლი, მოსახლეობის დიდი მიგრაცია და სხვა ფაქტორები, საქართველოს ნარკოტიკების, სატრანზიტო ქვეყნად გახდომის საშიშროებას უქმნის. ნარკობიზნესის საერთაშორისო სინდიკატები საქართველოსადმი გარკვეულ დაინტერესებას იჩენენ. ისინი შუდმივად ეძებენ აზიიდან ევროპაში ნარკოტიკების შემოზიდვის უმოკლეს, ნაკლებად კონტროლირებად გზებს. ამას ხელს უწყობს ისიც, რომ ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლის სამართლებრივი ბაზა საქართველოში თანამედროვე მსოფლიოს სტანდატრებს საგრძნობლად ჩამორჩება.

ნარკომანიის, ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლა საქართველოში განიხილება, როგორც ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის განუხრელი ნაწილი. იგი გულისხმობს: საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ორგანოების მიერ ქვეყანაში სამართლებრივი, ეკონომიკური და სოციალური

1. „საბჭოთა საქართველოს რესპუბლიკა", 1988 წლის 12 სექტემბერი.

პოლიტიკის ძირითადი სტრატეგიის განსაზღვრისა და განხორციელებისას, ნარკომანიის გავრცელებისა და ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებმა დაიკავოს მნიშვნელოვანი ადგილი.

სახელმწიფო პროგრამაში წამოყენებულია ოთხი უმთავრესი ამოცანა:

1. საქართველო აქტიურად უნდა ჩაებას ნარკობიზნესის გაფართოების და ნარკომანიის გავრცელების, ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების და პრეკურსორების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო სისტემაში;

2. საჭიროა მყარი, სამართლებრივი , ფინანსური და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნა. ამ მიმართულებით მსოფლიოში დაგროვილი

გამოცდილების, საერთაშორისო პრაქტიკის და თანამედროვე მეცნიერების მიღწევების გათვალისწინება;

3. ნარკომანიასთან და ნარკობიზნესთან ბრძოლაში წარმატების მისაღწევად აუცილებელი პირობაა საქართველოს მთელი მოსახლეობის აქტიური მხარდაჭერა, რაც უნდა დაეფუძნოს საზოგადოების მხრიდან ამ მოვლენის აშკარა მიუღებლობას, მისადმი გამოხატულ მხოლოდ უარყოფით დამოკიდებულებას;

4. საგანმანათლებლო დაწესებულებების მთელმა სისტემამ ფართოდ უნდა მოიცვას ბავშვებისა და ახალგაზრდების ჩაბმა ფიზკულტურულ-სპორტულ გაძაჯანსაღებელ საქმიანობაში, რათა მომავალში ჯანსაღი ცხოვრების წესი გადააქციოს თითოეულის ყოველდღიურ მოთხოვნად.

4. საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების პრობლემების შემსწავლელი კომისია

სასარგებლო მუშაობას ეწევა საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტის საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების შემსწავლელი კომისია, რომელსაც ხელმძღვანელობენ თემურ ჟღენტი - თბილისის სახელმწიფო კულტურის ინსტიტუტის რექტორი, და ოლეგ ალავიძე, ამავე ინსტიტუტის კათედრის გამგე, პროფესორი.

თანამედროვე საზოგადოების არსებობა, მისი სოციალური ინსტიტუტების სრულფასოვანი ფუნქციონირება წარმოუდგენელია ტრანსპორტის გარეშე. სწორედ ამიტომ მთელს მსოფლიოში და მათ შორის ნეგ თანაც, უდიდესი ყურადღება ეთმობა სატრანსპორტო ინდუსტრიის განვითარებას.

ეჭვსგარეშეა, რომ ტრანსპორტი თავისთავად, მართლაც უდიდესი სიკეთეა, მაგრამ, სამწუხაროდ იგი საზოგადოებას საკმაოდ სერიოზულ პრობლემებსაც უქმნის. მათ შორის - ორი უმთავრესი მომენტი უნდა გამოიყოს, კერძოდ, ჯერ ერთი ტრანსპორტის მოძრაობა ადამიანთა სიცოცხლის ზიანის მიყენების მომეტებული საფრთხის წყაროა და მეორეც, ტრანსპორტს ლომის წილი ეკუთვნის იმ ეკოლოგიური წონასწორობის რღვევაში, რომლის შედეგებიც დღეს მთელს დედამიწას, მთელს ბიოსფეროს ემუქრება.

ცხოვრების მდინარება ადასტურებს, რომ იქ, სადაც ამ საფრთხეს და მასთან დაკავშირებულ პრობლემებს სათანადოდ არ ითვალისწინებდნენ , შედეგსაც, როგორც წესი, საკალალოს იმკიან. აღნიშნულიდან გამომდინარე საგზაო მოძრაობის უსაფრთხოებისა და ტრანსპორტის მიერ გარემოს დაბინძურების საკითხი სადღეისოდ სერიოზული სამეცნიერო პრობლემების რანგში ამაღლდა. მის შესწავლას, მოვლენათა შესაძლებელი განვითარების მიმართულებათა გამოცნობა-პროგნოზირებას და აქედან გამომდინარე შესაბამისი პრაქტიკული რეკომენდაციების შემუშავებას, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები ემსახურება; შექმნილია სერიოზული გამოკვლევების, პოპულარული ლიტერატურის სერიები, მაგრამ თვითონ პრობლემაა იმდენად მასშტაბური, რომ მისი გადაჭრა იოლად, თანაც უახლოეს ხანში ვერ მოხერხდება. ამის ერთ-ერთი მიზეზი ისიცაა, რომ განვითარების ყოველ ახალ ეტაპზე თავს იჩენენ სხვადასხვა კატეგორიის

პრობლემები. ეს გარემოება მეცნიერულ აზრს მუდმივი დაძაბულობის ქვეშ ამყოფებს და მას ახალი რაკურსების ძიებისაკენ წარმართავს. ზემოაღნიშნულ პრობლემას სხვა მრავალასპექტთან ერთად აქვს ერთი მეტად მნიშვნელოვანი წახნაგი. მას პირობითად საგზაო მოძრაობის, უფრო ზოგადად ტრანსპორტის პრობლემებისადმი მუდმივი საზოგადოებრივი ყურადღების გამოჩენისა და მისი მობილიზების აუცილებლობის პრობლემა შეიძლება ეწოდოს.

ცხოვრებამ კარგა ხანია დაადასტურა, რომ ვერც ერთი საკითხი, რომელიც საზოგადოებრივი ნიშნითაა გამორჩეული და სოციალური სიმწვავითაა დაღდასმული, ვერ გვარდება მხოლოდ ხელისუფლების მოწადინებით, ან თუნდაც ადმინისტრაციული ორგანოების გულმოდგინე მუშაობით. მასშტაბურ პრობლემებს კომპლექსური გადაწყვეტა ესაჭიროება, აქ კი საზოგადოებას, მის დარაზმულობას, ერთსულოვნებას, საზოგადოებრივ აზრს გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება. გამონაკლისი აღნიშნული პროცესიდან, ცხადია, ვერც ტრანსპორტის პრობლემა იქნება. შეუძლებელია საზოგადოების რომელიმე წევრმა იმგვარი ილუზიით იცხოვროს, რომ ცალკეული პირის საკუთრებაში მყოფი გაუმართავი ტრანსპორტი, ან კიდევ მის მიერ მოძრაობის უსაფრთხოების ნორმების უხეში დარღვევა დააზარალებს სხვას, ვიღაც უცხოს, ხოლო თვითონ და მისი ახლობლები უვნებელნი დარჩებიან. ტრანსპორტის მოქმედების არეალი სოციალურ გარემოში ისეთი მასშტაბის მქონეა, რომ მისგან მოტანილი სიკეთეცა და მავნეობაც თანაბრად ვრცელდება სოციუმის ნებისმიერ წევრზე. აქედან გამომდინარე ყოველმა ინდივიდმა უნდა შეიგნოს საჭიროა ერთობლივი დარაზმულობა საიმისოდ, რომ გარემო იყოს ჯანსაღი, ირგვლივ სუფევდეს წეს-რიგი და კანონიერება.

სწორედ ამ მიმართებით საზოგადოებრივი შეგნების მობილიზებას, მის ფორმირებას ემსახურება საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტის საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების კომისია და მისი მუშაობა. კომისიაში გაერთიანებულნი არიან ჩვენი ქვეყნის ინტელიგენციის, კულტურის, ხელოვნების სფეროს, საინჟინრო და პედაგოგიური აზრის საუკეთესო წარმომადგენლები. კომისია მჭიდროდ თანამშრომლობს საგზაო პოლიციის მთავარ სამმართველოსთან, საავტომობილო ტრანსპორტის საქინისტროს მოძრაობის და ეკოლოგიური უსაფრთხოების დეპარტამენტთან, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საავტომობილო გზების კათედრასთან, ზონალური ინსტიტუტების შესაბამის ქვე-

დანაყოფებთან, და, ბუნებრივია, თვით შს სამინისტროს საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტის სხვა კომისიებთან.

საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების კომისია თავის მუშაობას წარმართავს რამდენიმე ძირითადი მიმართულებით.

1. ახსნა-განმარტებითი და პროპაგანდისტული საქმიანობა. კომისიის წევრები ხვდებიან შრომით კოლექტივებს, ინდივიდუალურ ავტომფლობელებს, მოსწავლე და სტუდენტ ახალგაზრდობას. ყოველი თვის დასაწყისში, კერძოდ 5 რიცხვში სექციის წევრები სისტემატურად ესწრებიან საგზაო პოლიციის მთავარ სამმართველოში გამართულ ტრადიციულ თათბირებს. აქ ისინი ღებულობენ აუცილებელ ინფორმაციას იმ სიახლეების თაობაზე, რომელიც დაგეგმილია შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში საგზაო პოლიციის ხაზით, ასევე ეცნობიან ახალ საკანონმდებლო აქტებსა თუ სხვა ნორმატიულ დოკუმენტებს, რომელთა მეშვეობითაც რეგულირდება საგზაო მოძრაობა მთელს ქვეყანაში. კომისიის წევრები აქტიურ მონაწილეობას ღებულობენ საგზაო პოლიციის მთავარი სამმართველოს მიერ ორგანიზებულ რეიდებსა და სხვა მასობრივ ღონისძიებებში. ამ დროს ისინი ხვდებიან საზოგადოების სხვადასხვა ფენის წარმომადგენლებს, ატარებენ მათთან გასაუბრებას, სწავლობენ საზოგადოებრივ აზრს, ადგილებზე არსებულ გამოცდილებას და სახავენ მომაყალი მოქმედების პროგრამას.

2. კომისიის მუშაობის მეორე და უმთავრეს მიმართულებას წარმოადგენს მასშტაბური სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციების ორგანიზება. სამეცნიერო ძალების, ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენელთა ფართო თავმოყრა კომისიაში ამის საშუალებას იძლევა. სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციებზე განიხილება პრობლემასთან დაკავშირებული საკითხები.

კონფერენციაზე, რომელიც კომისიამ გამართა, ხაზგასმით აღინიშნა, რომ ატმოსფერული ჰაერი ისეთივე ბუნებრივი რესურსია, როგორც წყალი, მცენარეული საფარი, ნიადაგი და წიაღისეული. ატმოსფეროს სტრუქტურა იცვლება დროსა და სივრცეში. ატმოსფერო წარმოადგენს აირთა ნარევს, რომლის შემადგენლობა იცვლება სიმაღლის მიხედვით, თუმცა ტრანსპორტში იგი შედარებით მუდმივია. ატმოსფეროს ძირითადი კომპონენტებია: აზოტი და ჟანგბადი - (№2-78,09, 02-20,95), აგონი - 0,93, ნახშირორჟანგი - 0,03 და სხვა.

აღნიშნული ელემენტებიდან ადამიანისათვის მთავარია ჟანგბადი, მის გარეშე ადამიანს მხოლოდ 3-4 წუთი თუ შეუძლია არსებობა.

თანამედროვე მეცნიერული გაანგარიშებით ირკვევა, რომ ატმოსფეროში ჟანგბადის ოდენობა გარკვეულწილად იკლებს. ამას ემატება და გარკვეულწილად აპირობებს ის გარემოება, რომ ჰაერი განუხრელად ჭუჭყიანდება ორი ძირითადი მიზეზის გამო. პირველია ბუნებრივი, მეორე კი ტექნიკური მიზეზი. ვულკანებისა და ქარების მოქმედების გამო, რაც ადამიანის ნება-სურვილზე არაა დამოკიდებული, ჰაერში ძალიან ბევრი მტვერი და მომწამლავი გაზი ხვდება. არანაკლები მასშტაბი აქვს ჰაერის ტექნიკურ დაბინძურებას, რომელიც მხოლოდ ადამიანის საქმიანობასთანაა დაკავშირებული და რისი რეგულირებაც გარკვეულწილად შესაძლებელია. აი, სწორედ აღნიშნულ კონტექსტში წარმოჩინდება ავტომობილის, როგორც გარემოს ერთ-ერთი ძირითადი გამჭუჭყიანებლის, ფენომენი.

დადგენილია, რომ ერთი საშუალო სიმძლავრის ავტომანქანა, ყოველი 1000 კმ-ს გავლისას ხარჯავს ერთი ადამიანისათვის საჭირო ჟანგბადის წლიურ ნორმას. თუ გავითვალისწინებთ, რომ დღეისათვის მსოფლიო სააავტომობილო პარკი 400 მილიონის ფარგლებში მერყეობს, აშკარად გამოინდება კაცობრიობის თავზე გაჩენილი საფრთხე და მისი მასშტაბები.

ავტომანქანების გამონაბოლქვ აირებში 200-ზე მეტი სხვადასხვა ქიმიური ნაერთია. პრობლემას განსაკუთრებით ართულებს ის გარემოება, რომ ავტოტრანსპორტის გამონაბოლქვი აირები ატმოსფეროში მიწის ზედაპირთან ახლოს ხვდება, ამიტომ ქარს უჭირს მათი სრული განიავება ვიწრო ქუჩებისა და მაღლივი ნაგებობების არსებობის პირობებში.

საგულისხმოა, რომ ტრანსპორტი ჰაერს მარტო გამონაბოლქვი აირებით არ აჭუჭყიანებს. აქ გარკვეულ როლს თამაშობს საბურავების ცვეთისგან წარმოქმნილი სპეციფიკური მტვერი, რომელიც შეიცავს მაგნიუმს, ტყვიას, დარიშხანს, თუთიას, სტრანსციუმსა და სხვა მომწამვლელ ნივთიერებებს.

ატმოსფეროში გაბნეული ეს და სხვა მაგნე ნივთიერებები მარტო ჰაერს კი არ აჭუჭყიანებენ, არამედ მიწასა და წყალსაც, მომაკვდინებლად მოქმედებენ ცოცხალ ორგანიზმებზე, მათ შორის ადამიანსა და მის ჯანმრთელობაზე. აღსანიშნავია, რომ ავტომობილების ძრავებში მიმდინარე არასრული წვით გამოყო-

ფილი ნახშირწყალბადები მზის სინათლის გავლენისა და სხვა გამჭუჭყიანებლებთან რეაქციის საფუძველზე წარმოქმნიან ერთგვარ ბურუსს, რომელიც "სმოგის" სახელწოდებითაა ცნობილი. იგი აზიანებს მხედველობის ორგანოებს, სასუნთქ გზებს, შლის შენობათა ფასადს, აძლიერებს კოროზიულ პროცესებს და ა.შ.

რა ღონისძიებები უნდა გატარდეს და საერთოდ, რა უნდა გაკეთდეს საიმისოდ, რომ მანქანური ინდუსტრიის მიერ მოტანილი ეს უარყოფითი პროცესები შენელდეს?

მეცნიერთა აზრით, საჭიროა რამდენიმე არსებითი ხასიათის ღონისძიებათა კომპლექსის განხორციელება. კერძოდ:

1. აუცილებელია ქუჩებში ავტოსატრანსპორტო ნაკადების ოპტიმიზაცია. ცნობილია, რომ შიდაწვის ძრავა განსაკუთრებულად დიდი ოდენობის ტოქსიკურ გამონაბოლქვს გამოყოფს, მანქანის ადგილიდან დაძვრის დროს და დაბალი სიჩქარით მოძრაობისას. აქედან გამომდინარე გამონაბოლქვი აირების ოდენობა პირდაპირ პროპორციულ მიმართებაშია, გამტარუუნარო ქუჩების, მოუწესრიგებელი გადასასვლელებისა თუ შუქნიშნების დიდი ოდენობით არსებობასთან. ამ უკანასკნელთა მოწესრიგება ავტომატურად ამცირებს მავნე აირების გამოყოფის ალბათობას.

2. ქუჩაში სამოძრაოდ არ უნდა დაიშვას გაუმართავი ტრანსპორტი. ეს ერთის შეხედვით აქსიომური და, თითქოს, მარტივი დებულება ჩვენში არ სრულდება, რადგან ფორმალური ხასიათი აქვს მანქანათა ტექნიკურ დათვალიერებას;

3. სახელმწიფო გაძლიერებით უნდა ზრუნავდეს ელექტროტრანსპორტის განვითარებისათვის;

4. მსოფლიო ბევრი ქვეყნის მსგავსად, ჩვენშიც უნდა აიკრძალოს ეთილირებული ბენზინით სარგებლობა;

5. უმკაცრესი კონტროლი უნდა დაწესდეს მანქანების ასაკზე, მთელს მსოფლიოში მოქმედებს გარკვეული, ზღვრული ასაკის მქონე მანქანების ამკრძალავი კანონები. ჩვენში ამ მხრივაც სრული განუკითხაობაა. ქუჩები სავსეა მოძველებული ტრანსპორტით. უფრო მეტიც, ბოლო წლებში საქართველო გაიცსო უცხოეთის ქვეყნებიდან ამორტიზაციის ასაკის ამოწურვის მიზეზით გამოძეებული სატრანსპორტო საშუალებებით.

იგივე ითქმის ნახმარ საბურავებზე, რომელიც უცხოეთში მხოლოდ განადგურებას ექვემდებარება, ჩვენში კი ჩვეულებრივად იყიდება და შესაბამისად ექსპლუატაციისას გარემოს მომწამვლელ ნივთიერებებს აფრქვევს.

6. ტრანსპორტისა და ადამიანის ჯანმრთელობის საკითხი სისტემატურად უნდა შუქდებოდეს პრესით, რადიოთი და ტელევიზიით, მან უნდა მოამზადოს საზოგადოებრივი აზრი, რაც შესაბამისად გავლენას იქონიებს საკანონმდებლო ბაზის ცვლილებათა აუცილებლობის შეგნების გამომუშავება-ნამოყალიბებაზე.

სწორედ აღნიშნული (და სხვა საკითხები) განიხილა კონფერენციამ. მომზადდა წინადადებათა პაკეტი, რომელიც მიეწოდა ქვეყნის პარლამენტსა და აღმასრულებელ ხელისუფლებას. შეხვედრამ აჩვენა, რომ ამგვარ კონფერენციებს შეიძლება მართლაც მოჰყვეს გარკვეულად დადებითი შედეგები, თუ კი იგი სისტემატურად გაიმართება და განიხილავს ცხოვრების საჭირბოროტო საკითხებს.

ამჟამად კომისიის წევრთა ძალებით მზადდება და მოკლე ხანში ნატარდება სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია თემაზე: "მძღოლი და საგზაო პოლიციელი - კონფრონტაცია თუ დიალოგი". ვფიქრობთ, იგი საინტერესო იქნება არა მარტო ჩვენი კომისიის წევრებისათვის, არამედ საკუთრივ ადმინისტრაციული ორგანოების და, მთლიანად, მთელი საზოგადოებისათვის.

5. ბუნების დაცვის პრობლემების შემსწავლელი კომისია

ბუნების დაცვის შემსწავლელი კომისიის თავმჯდომარეა მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ნიკო ხატიაშვილი. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსთან არსებული საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტის დებულების ერთ-ერთი მთავარი მოთხოვნაა, ინსტიტუტმა მოახდინოს საზოგადოებრივი აზრის მობილიზაცია და ამით ხელი შეუწყოს შსს-ს იმ ამოცანათა განხორციელებაში, რომლებიც ეხება მართლწესრიგის განმტკიცებასა და დამნაშავეობათა წინააღმდეგ ბრძოლას. ამისათვის ის იყენებს "რესპუბლიკის ფართო საზოგადოების მოწინავე წარმომადგენლებს".

თუ ვინმეს შეუძლია იამაყოს თავის წევრთა ცენზით, განათლებით და ტიტულებით, ერთ-ერთი ასეთი ბუნების დაცვის შემსწავლელი კომისიაა. მას თამამად შეიძლება ეწოდოს მეცნიერებათა აკადემიის "მცირე ფილიალი", რომლის წევრთა უდიდესი ნაწილი კეთილსინდისიერად ასრულებს მათზე დაკისრებულ მოვ-

ალეობას. აი ისინიც: გივი სანაძე - საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვიცე პრეზიდენტი, ოთარ ნათიშვილი აკადემიის პრეზიდიუმის წევრი, აკადემიკოსი; გურამ გველესიანი - აკადემიის პრეზიდიუმის წევრი, აკადემიკოსი; გიორგი გიგაური - აკადემიკოსი; კიაზო ნადარეიშვილი - აკადემიკოსი; თენგიზ ურუშაძე აკადემიის წევრ კორესპონდენტი; ვლადიმერ ბახუტაშვილი- აკადემიის წევრ-კორესპონდენტი; დარგობრივი აკადემიის წევრები: როზეტა ასათიანი, დავით მეტრეველი, ალექსი რობაქიძე. პროფესორები: მეტყევეობის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე - ელდარ ლობჟანიძე, რადიოლოგიის ს-კ ინსტიტუტის დირექტორი ზაურ ჩარქსელიანი, მეცნიერებათა კანდიდატები: გივი მაჭარაშვილი, ფარნაოზ მახარაძე, ტარიელ ლოლაძე. სტომატოლოგიურ პოლიკლინიკის მთავარი ექიმი ენგუზ იაშვილი, ბავშვთა კლინიკური საავადმყოფოს მთავარი ექიმის მოადგილე ვიქტორ გეგეშიძე, სექციაში გაერთიანებული არიან აგრეთვე ფერმერთა წარმომადგენლები: ალაზნის ველის ფერმერთა ასოციაციის პრეზიდენტი - ჯუმალ ხატიაშვილი, მემამულეთა კავშირის ვიცე-პრეზიდენტი - თეიმურაზ მარგველაშვილი.

თავისი მოღვაწეობის პერიოდში კომისიამ მძიმე დანაკლისი განიცადა, მას გამოაკლდენ ისეთი აქტიური და ცნობილი წევრები, როგორებიც იყვნენ - დიდი მომღერალი და ყველა ქართველისათვის საყვარელი პიროვნება ზურაბ ანჯაფარიძე და საქართველოს სამედიცინო მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი გივი დუმბაძე. კომისია სათუთად ინახავს მათ ნათელ ხსოვნას.

კომისიამ თავიდანვე მიზნად დაისახა გლობალური საკითხების განხილვა, რომელთაც ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობა აქვთ. ამიტომ შედარებით მოკლე დროის განმავლობაში რამდენიმე ასეთი საკითხი შეისწავლა და განიხილა. პირველი სხდომა მიეძღვნა საქართველოს მთის ტყეების მრავალფეროვნების თავისებურებებს. ამ საკითხზე მოხსენება გააკეთა სექციის წევრმა, აკადემიკოსმა გიორგი გიგაურმა. კერძოდ მან თქვა:

1. საქართველო მთაგორიანი ქვეყანაა, მთებსა და მთისწინებს მისი ტერიტორიის 87 პროცენტი უკავიათ. ტყეების დიდი უმეტესობა (98 პროცენტი) მთის ფერდობებზეა გავრცელებული. ქვეყნის ტყეების თითქმის 40 პროცენტი ტყითაა დაფარული.

საქართველოს ტყეები ბიოლოგიური, ეკოლოგიური, გეოგრაფიული გადაადგილებისა და სხვა მაჩვენებლების თვალსაზრისით

ძლიერ მკვეთრი მრავალფეროვნებით ხასიათდება. ეს პირველ რიგში განპირობებულია ტყეების ზრდა-განვითარების ბუნებრივი პირობების (რელიეფი, ნიადაგები, კლიმატი და სხვ.) დიდი ნაირგვარობით, მაგალითად, ტყეები გავრცელებულია ზღვის დონედან 2300-2500 მეტრს სიმაღლემდე. მათ შორის 501 მეტრი და ზევით იზრდება მთელი ტყეების 76,5 პროცენტი, ხოლო დიდი დაქანების მთის ფერდობებზე თითქმის 80 პროცენტი. აქ მეღავნდება ტყემცენარეულობის გავრცელების ვერტიკალური სარტყელების არაერთგვაროვნება ტყის ფორმაციათა ფარგლებში, აგრეთვე ტყეების ცალკეული ბიოცენოზების მიხედვით. ტყეების ბიოლოგიურ მრავალფეროვნებას აგრეთვე განსაზღვრავს მათი გავრცელების ხასიათი ფერდობთა ექსპოზიციების მიხედვით, ისინი წარმოდგენილია როგორც ჩრდილოეთის, ისე სამხრეთის რუმბის ექსპოზიციებზე.

2. ყოველივე ზემოაღნიშნულის შედეგად, ფრიად მრავალფეროვანია ტყეების სახეობრივი შემადგენლობა. აქ იზრდება დაახლოებით 400-მდე სხვადასხვა სახეობის ხე და ბუჩქი. ტყეების 81 პროცენტს უკავია აღმოსავლეთ წიფლის, ქართული და მაღალმთის მუხის, რცხილის, წაბლის, ჩვეულებრივი იფნის, სხვადასხვა ნეკერჩხლებისა და სხვა სახეობების წმინდა თუ შერეულ კორომებს. დანარჩენი 19 პროცენტი ტყეებისა წიწოვანების (კავკასიური სოჭი, აღმოსავლეთის ნაძვი, კავკასიური ანუ სოსნოვსკის ფიჭვი) კორომებს უჭირავთ. ტყეების ბიოლოგიურ მრავალფეროვნებაზე, ტყის ეკოსისტემათა ნაირგვარობაზე, მათ რთულ სტრუქტურაზე მიუთითებს, როგორც წმინდა, ისე შერეული შემადგენლობის კორომების არსებობა. კერძოდ, მთის ტყეების ძირითადი ნაწილი წარმოდგენილია წიფლნარების, წიფლნარ-სოჭნარ-ნაძვნარების, წიფლნარ-მუხნარ-რცხილნარების, მუხრან-რცხილნარ-იფნარების, სოფნარების, სოჭნარ-ნაძვნარ-წიფლნარების, ნაძვნარების, სოჭნარ-წიფლნარების, ფიჭვნარების, ფიჭვნარ-ნაძვნარების, წიფლნარების, არყნარებისა და სხვა სახეობათა შერევის ბიოცენოზებით. თითოეული მათგანი თავისთავად არის მცენარეებისა და ცხოველეთა მრავალრიცხოვან სახეობათა ერთობლიობა, გაერთიანებულ დამოუკიდებელ ტყის ეკოსისტემაში.

3. მთის ტყეების ბიოლოგიურ მრავალფეროვნებაზე მეტყველებს მათი ტიპოლოგიური ნაირგვარობა. თითოეული გაბატონე-

ბული მერქნიანი სასეობის ტყეებში ფიტოცენოლოგიური თვალსაზრისით მრავლად მოიპოვება სხვადასხვა ჯგუფის ტიპის კოროომები, რომელნიც გამოირჩევიან მათთვის დამახასიათებელი სტრუქტურითა და მეტყველებით - სატაქსაციო მანიშვნებლებით.

4. საქართველოს მთის ტყეების ეკოსისტემების ბიოლოგიური მრავალფეროვნების კლასიკური ნიმუშია წიფლის, სოჭის, ნაძვის და სხვათა გაბატონებით წარმოდგენილი ხელუხლებელი ბუნებრივი ტყის ტოფოცენოზები. ხელუხლებელი, პირველქმნილი ტყეების ბუნების უნიკალური, განუმეორებელი ქმნილებაა: აქ მუდმივად მიმდინარეობს ორგანული ნივთიერებების წარმოქმნისა და დაშლის ცალკეული (პერიოდული)ცვალებადობა, ტყის ბიოცენოზის ძველი თაობები იცვლება ახალი ბიოლოგიურად უფრო მდგრადი თაობებით. ხელუხლებელი ტყეების საერთო ფართობი დაახლოებით 500-600 ათას ჰექტარია, რომლებიც ძირითადად გადაადგილებული არიან დიდი და მცირე კავკასიონის ვიწრო, დასერილი რელიეფის მქონე, უმთავრესად მიუდგომელ ხეობებში.

5. ეს ტყეები ხასიათდებიან ტყის კალთის ნაირგვარი ვერტიკალური შეკრულობითა და ხეების სიმაღლისა და სიმსხოს ნაირსაფეხურიანობით. სხვაობა ხეების უმცირეს და მაქსიმალურ სიმაღლეთა შორის ხშირად 50-60 მეტრს, სიმსხოზე 2-2,5 მეტრს, ხოლო ხეთა ხნოვანებას შორის 500-700 წელს შეადგენს. ეს ტყეები ძირითადად წარმოდგენილია ნაირხნოვანი, რთული აღნაგობის მაღალპროდუქტიული კოროომებით, სადაც თითოეულ ხესა და ჯგუფებს მისოვის დამახასიათებელი ბიოლოგიურ-ფიტოცენოლოგიური თავისებურებები გააჩნიათ და მკვეთრად განსხვავდებიან მათ მიმდებარედ განლაგებული ხეებისა თუ მათი ჯგუფებისაგან. ასეთ ტყეებში, იშვიათი არაა ცალკეული ხეები თუ მათი ჯგუფები, რომელთა სიმაღლე 50-70 მეტრს, ხოლო სიმსხო (1,3 მეტრს სიმაღლეზე 1-2,0-2,5 მეტრსა და მეტს შეადგენს, მერქნის მარაგი 1 ჰა-ზე ხშირად 1600-2800 კუბომეტრს, ხოლო მერქნის ყოველწლიური ნამატი - 10-15 კბმ-ს აღწევს). ტყის ეკოსისტემების ბიოლოგიური მრავალფეროვნება მჟღავნდება მათი ხნოვანებითი და მეტყველურ-სატაქსაციო აღნაგობის ნაირგვარობაში. პროდუქტიულობის ასეთი მაღალი მანიკენებლები, პირველ რიგში, აიხსნება მათი ზრდა-განვითარების ოპტიმალური ბუნებრივი პირობებით (კლიმატი, ნიადაგი) და აგრეთვე მათი ფორმირების ბიოლოგიური თავისებურებებით (გენეზი-

სი, ზრდა-განვითარების ბიოპოტენციალური ენერგიის შენარჩუნება, ბუნებრივი განახლების პროცესის თავისებურება და სხვა).

6. აღმოსავლეთ საქართველოში (ახმეტის ნაკრძალი; მდინარე ბაწარასხეობაში) დაახლოებით 400 ჰექტარზე გავრცელებულია უნიკალური თავისი ბიოლოგიური მრავალფეროვნებითა და ზრდა-განვითარების თავისებურებებით უთხოვრის კორომი, რომელსაც ევროპა-აზიის მასშტაბით ალბად ანალოგი არ გააჩნია. აქ ტყე-მცენარეულობა წარმოდგენილია ბიოლოგიური მრავალფეროვნების ფართო სპექტრით. აქ უთხოვართან ერთად იზრდება ნვეულებრივი წაბლი, აღმოსავლეთის წიფელი, ქართული მუხა, კავკასიური რცხილა, არყი ლიტვინოვის, ნეკერჩხლები, ცაცხვი კავკასიური, ვერხვი შავი, მურყანი ბუსუსიანი, ტირიფები, პანტა, მაჟალო, ჭნავი კავკასიური, ხღმარტლი, შინდი, ჭანჭყატი და სხვა მრავალი.

7. საქართველოს მთის ტყის ეკოსისტემების ბიოლოგიური მრავალფეროვნება თავის მხრივ განსაზღვრავს, ამ ეკოსისტემების სოციალურ-ეკოლოგიური და საპეურნეო-ეკონომიკური მნიშვნელობის ხასიათსა და ხარისხს. ისინი ასრულებენ ნიადაგდაცვითი, წყალმაწესრიგებელ, კლიმატმარეგულირებელ, რეკრეაციულ, სანიტარულ-ჰიგიენურ და სხვა სასარგებლო ფუნქციებს, რითაც განისაზღვრება მათი, როგორც რთული ბუნებრივი კომპლექსის მრავალფეროვნება.

8. ბიოლოგიური მრავალფეროვნებით განსაკუთრებით გამოირჩევიან ნვენი ნაკრძალები და კომპლექსური სატყეო-სამონადირეო მეურნეობები, რომლებიც შესანიშნავი ბუნებრივი კომპლექსური ობიექტებია, სადაც ფლორისა და ფაუნის მრავალი, მათ შორის ენდემური სახეობაა წარმოდგენილი. ამ მხრივ, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ისეთი უნიკალური კომპლექსური ნაკრძალები, როგორიცაა ვაშლოვანი, ლაგოდეხის, ბორჯომის, კონტრიშის, ფსხუ-ჰუმუსტის ნაკრძალები და გარდაბნისა და ყორულის სატყეო სამონადირეო მეურნეობები.

9. მთის ტყეების ცალკეული ეკოსისტემების ბიოლოგიური მრავალფეროვნების შენარჩუნებისა და გამრავლების, აგრეთვე მათი სოციალურ-ეკოლოგიური ფუნქციების გაძლიერების უზრუნველსაყოფად, საჭიროა დამუშავდეს და პრაქტიკაში დაინერგოს სათანადო ბიოლოგიური, ეკოლოგიური და მეტყევეობითი ღონისძიებები, უწინარეს ყოვლისა, საჭიროა თითოეული ეკოსისტემის

თავისებურებათა გათვალისწინებით შეეშუშავდეს მათი ბიოლოგიური მრავალფეროვნების დაცვისა და გამრავლების, აგრეთვე სოციალურ-ეკოლოგიური მნიშვნელობის ამაღლების მეცნიერულად დასაბუთებული კლასიფიკაცია.

ტყე სამედიცინო თვალსაზრისით ეფექტური სამკურნალო-პროფილაქტიკური საშუალებაა. თუნდაც იმითაც, რომ უტყეობა წყლის გაქრობას ნიშნავს. განა ცოტაა ჩვენს ქვეყანაში მტრებისაგან ტყეების განადგურების შედეგად ქვა-ღორღად ქცეული ადგილები. ადამიანისათვის წყალს სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს, მისი ორგანიზმის დიდი ნაწილი ხომ წყლისაგან შედგება. ცნობილია, რომ 70 კგ წონის ადამიანის სხეულის შემადგენლობის 40 კგ. წყალია. ეგეც, რომ არ იყოს უწყლობა სიბინძურეა, რაც მრავალი სახის ინფექციური დაავადებების გავრცელებას უწყობს ხელს, ხშირად ეპიდემიების სახით ვრცელდება.

ამ ჩამონათვალში მთავარი მაინც ის არის, რომ წყალი მიწის წიაღში ბუნების აფთიაქებს ქმნის, რომელშიაც დამზადებულ წამალს ხშირ შემთხვევაში მეტოქეობას ვერ უწევს აფთიაქებში დამზადებული წამლები. იგი ხალხმა უკვდავების წყაროებად მონათლა. ეს, რომ სინამდვილეა. ამის საუკეთესო მაგალითი არსებობს. წყლების დარგის საუკეთესო სპეციალისტს პროფესორ აბიხს მინერალური წყლით მკურნალობა დასჭირდა, იცოდა რა იმ წყლის ქიმიური შემადგენლობა, რომელიც უნდა გამოეყენებინა თავისი დაავადების სამკურნალოდ, გადაწყვიტა იგი ლაბორატორიაში დაემზადებინა ასეც მოიქცა, მაგრამ სანამ ბუნებრივი წყლით არ იმკურნალა, მანამ შედეგს ვერ მიაღწია.

გარდა თქმულისა, ტყე არის ჟანგბადის წარმოების ბუნებრივი ფაბრიკა. დამტკიცებულია, რომ ერთი საშუალო ზომის ხის ფოთლები იმდენ ჟანგბადს გამოჰყოფს, რაც სამ კაცს მთელი სიცოცხლის განმავლობაში ეყოფა.

ტყის სამკურნალო თვისებებზე ჯერ კიდევ ჩვენმა შორეულმა წინაპრებმა გაამახვილეს ყურადღება. მათ შორის იყვნენ მედიცინის მამად წოდებული ჰიპოკრატე და დიდი მკურნალი გალენი. ისინი ტუბერკულოზით დაავადებულებს ფიჭვნარის ტყის ჰავით მკურნალობას ურჩევდნენ.

ცნობილია, რომ არსებობენ ე.წ. "მეტეოლაბილური" ავადმყოფები, ანუ ისეთები, რომლებსაც დაავადება უმწვავდებათ ამინ-

დის ცვლილებების დროს. განსაკუთრებით ბევრია ასეთი ავადმყოფები გულ-სისხლძარღვთა სისტემით დაავადებულთა შორის. ამ შემთხვევაში სტენოკარდიის გამწვავება ხშირად ინფარქტში გადადის, ჰიპერტონია - ინსულტში, რაც ხშირად მძიმე და გამოუსწორებელ შედეგით მთავრდება. ტყე კი ისეთი ფაქტორია, რომელიც ამინდის სტაბილურობას უწყობს ხელს.

ტყეს უდიდესი თერმორეგულატორის ფუნქცია აკისრია. მას შეუძლია მაღალი ტემპერატურა დაბლა დასწიოს და პირიქით დაბალი მაღლა ასწიოს. მაგალითად, ტყის გარე ტერიტორიაზე ტემპერატურა ცელსიუსით თუ 17.7 გრადუსია, მაშინ ნაძვნარში მხოლოდ 12 გრადუსი იქნება. ტყე გიგანტური ფილტრია. იგი წმენდს ჰაერს მტვრისაგან, აეროზოლისაგან და სხვა მავნე ნივთიერებებისაგან. მათ შორის ავტომობილების გამონაბოლქვისაგან. ყოველივე ამის შემდეგ რაოდენ დასანანია ტყის მტაცებლური ჩეხვა, რასაც არა იშვიათად აქვს ადგილი ჩვენს ქვეყანაში.

კამათში მონაწილეობა მიიღეს და თავიანთი აზრი გამოთქვეს ტყის დაცვის დეპარტამენტის სამმართველოს უფროსმა რომან მამალაძემ, აკადემიკოსებმა გ. გველესიანმა, ო. ნათიშვილმა, შსს ეკოლოგიის უფროსმა დ. კობახიძემ და სხვებმა. მიიღეს დადგენილება. ზემდგომ ორგანოების წინაშე დაისვა მრავალი საჭირბოროტო საკითხი, რომელთა გადაჭრამ საგრძნობი შედეგი გამოიღო ტყის განადგურებისაგან გადასარჩენად.

***

1999 წლის ივნისში გაიმართა შინაგან საქმეთა სამინისტროს საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტის ბუნების დაცვის პრობლემებისა და საგზაო უსაფრთხოების შემსწავლელი კომისიების ერთობლივი სხდომა დღის წესრიგით - "ავტომობილი და ჯანმრთელობა". სხდომაზე სიტყვით გამოვიდა საქართველოს კურორტოლოგიის, ფიზიოთერაპიისა და რეაბილიტაციის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი ნიკო ხატიაშვილი, რომელმაც გულისტკივილით თქვა: ჩვენს ქვეყანაში ავტომობილის გამონაბოლქვით ატმოსფერული ჰაერის გაჭუჭყიანების ხვედრითი წონა 60-65 პროცენტია, რაც ყველა სხვა დაბინძურებაზე

მაღალი ციფრია. განსაკუთრებით დიდი რაოდენობით ჭვარტლი და კანცეროგენული ფისოვანი ნივთიერებები გამოიყოფა ძრავის გაუმართაობის დროს - ასეთ მანქანას უკან მუდმივ ზოლად მისდევს შავი ბოლი. ძალზე სახიფათოა ჯანმრთელობისათვის ეთილირებული ბენზინის შემადგენლობაში ტყვიის არსებობა. ცხოველებზე ჩატარებულმა ცდებმა აჩვენა, რომ იგი მცირე დოზითაც კი იწვევს გენეტიკურ აპარატზე ზემოქმედებას. ის დამპლუპველად მოქმედებს ადამიანზე, განსაკუთრებით ბავშვებზე. აშშ-ში საფუძვლიანმა გამოკვლევებმა აჩვენა, რომ 2-6 წლამდე ბავშვებში ტყვიის მცირე რაოდენობა იწვევს მალე დაღლის შეგრძნებას, ნერვული სისტემის სერიოზულ დაავადებებს, გონებრივ ჩამორჩენილობას, ამან აიძულა ამერიკელები უარი ეთქვათ ეთილირებულ ბენზინზე.

თუ სიგარეტის ბოლში შემავალი ნახშირორჟანგი ინფარქტის წარმოშობას უწყობს ხელს, ადვილი წარმოსადგენია, ავტომობილის უხვად გამონაბოლქვი ეს ნივთიერება რა "სიკეთეს" დამართებს ადამიანს. აი, რა დაავადებებს იწვევს იგი: თავის ტვინში სისხლის მიმოქცევის მოშლას, ანემიას, გულის კუნთის ინფარქტს, უარყოფითად მოქმედებს ფარისებრი ჯირკვლის ჰიპერფუნქციით დაავადებულ ავადმყოფებზე.

მეტად ტოქსიკური ნივთიერებაა ბენზოპერინი, ის კანცეროგენულია და პირდაპირ კავშირშია ფილტვის კიბოსთან.

საქართველოს სანიტარიისა და ჰიგიენის ინსტიტუტის გამოკვლევებმა კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ ატმოსფერული ჰაერის გაბინძურების მძლავრ წყაროს წარმოადგენს ავტომანქანის გამონაბოლქვი აირები, რომლებიც თბილისის ჰაერის საერთო გაბინძურებაში 80 პროცენტს აღემატება.

სპეციალისტებმა შეისწავლეს ორი მაგისტრალური რაიონი, სადაც ავტომობილთა ინტენსიური მოძრაობაა: წერეთელისა და დავით აღმაგშენებლის გამზირები. გამოირკვა, რომ ორივეგან აღინიშნება გოგირდის ანჰიდრიტის მაღალი კონცენტრაცია, რომელიც 20-ჯერ აღემატება ნორმას. მაღალი იყო საბურავების მტვრის და აზოტის ორჟანგის რაოდენობა. ტყვიის შემცველობა წერეთელზე 3.55-ჯერ, ხოლო აღმაშენებელის გამზირზე 1,6-ჯერ აღემატებოდა ზღვრულად დასაშვებ ნორმას. უშუალოდ გამზირზე მცხოვრებ მოსახლეობაში აღინიშნება ავთვისებიანი სიმსივნეების მაღალი მაჩვენებელი.

მომხსენებელმა დამსწრეთ შეახსენა, რომ საქართველო კურორტების ქვეყანაა, მაგრამ იქაც აღინიშნება ჰაერის დაბინძურება. განსაკუთრებით ბორჯომში, მისეული - ისევ ავტომობილთა გამონაბოლქვი.

სხდომაზე დაისვა კითხვა: - მაშ, რა გვეშველება უახლოეს მომავალში, როდესაც საქართველო "აბრეშუმის გზად" იქცევა და უამრავ სატვირთო ავტომობილს გაატარებს? მხედველობაშია მისაღები ისიც, რომ საქართველო მთაგორიანია, ეს კი ხელს უწყობს ქვაბულების დიდი რაოდენობით წარმოქმნას, რაც აძნელებს ადგილმდებარეობის განიავებას და ამის გამო ავტომობილების გამონაბოლქვი გროვდება ერთ ადგილზე, რამაც შესაძლოა კატასტროფულ შედეგამდე მიგვიყვანოს.

ხსნა ისევ ბუნებაშია: ტრასებზე და ქალაქებში მწვანე ნარგაობა უნდა გაშენდეს; თბილისის გამწვანება დღეს ძალზე მწირია. გაბინძურებული ჰაერის უნივერსალურ შთანმთქმელად ითვლებიან: ჭადარი, ცაცხვი, ნეკერჩხალი და ფშატი (თუმცა, ფშატი თბილისში არც შეგხვდებათ).

ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატმა გიგლა ცირეკიძემ აღნიშნა, რომ განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაშია ის მოსახლეობა, რომელიც ცენტრალური მაგისტრალების გასწვრივ ცხოვრობს, მაგალითად, ავსტრიაში მაგისტრალთან 50 მეტრის რადიუსში ძროხებსაც კი არ აბალახებენ, რადგან იქ ამოსული მცენარე ნიადაგიდან იწოვს იმ გამონაბოლქვ ტოქსიდებს, რომლებიც შემდეგ რძის პროდუქტების სახით ისევ ადამიანის ორგანიზმში ხვდებიან.

რაც შეეხება თბილისის ცენტრალურ მაგისტრალებს, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, დიდი მგზავრტევადობის სატრანსპორტო საშუალებების გამოყენება, რომლებიც რამდენიმე ათეულ სამარშრუტო ტაქსს შეცვლის, განიტვირთება და ამოისუნთქავს ქალაქის ცენტრში მცხოვრები მოსახლეობა, გასუფთავდება ეკოლოგიური ფონიც.

ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორმა გიგი სვანიძემ მსმენელთ წარმოუდგინა მასალა ჰაერის მძიმე ლითონებით: ტყვიით, თუთიით,. კადიუმით და სპილენძით დაბინძურების შესახებ.

სიტყვით გამოვიდნენ ეკოლოგები, პარლამენტარები, შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლები: გიორგი აბრამიშვილი, სულიკო პაველიაშვილი, გია გამრეკელი, კოტე ბარქაია და სხვები.

ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორის როზეტა ასათიანის თქმით, აუცილებელია ამ მნიშვნელოვანი პრობლემის ირგვლივ ჩამოყალიბდეს საზოგადოებრივი აზრი, საზოგადოებამ აღიაროს კანონის უზენაესობა, რომ გზა გაგვეხსნას სოციალურად განვითარებული საბაზრო ეკონომიკისაკენ.

სხდომაზე მიიღეს რეზოლუცია, რომელშიც ნათქვამია: რომ ეკოლოგიურმა პოლიციამ სატყეო დეპარტამენტთან ერთად ბრძოლა გამოუცხადოს ტყის უკანონო ჭრას - კურორტებზე და საკურორტო ადგილებში აიკრძალოს ტყის ყოველგვარი ჭრა, გარდა სანიტარიულისა. შსს საგზაო და ეკოლოგიურმა პოლიციამ ადგილობრივ გამგეობებთან შეთანხმებით აკრძალონ კურორტებზე ავტომობილების შეშვება გარდა სპეცდანიშნულების მანქანებისა.

ეთხოვოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს, საქსტანდარტს და სანიტარია-ჰიგიენის და ეპიდემიოლოგიური ზედამხედველობის დეპარტამენტს, რათა შეისწავლონ ავტოგასამართი სადგურების რეზერვუარებიდან ბენზინის ორთქლის გარემოში მოხვედრის საკითხი.

დაისვას საკითხი მოავრობის წინაშე, რათა ტყვიის შემცველი ბენზინის მოხმარების მთლიანად აკრძალვამდე შელავათები მიეცეთ ეკოლოგიურად უსაფრთხო ნავთობპროდუქტების მწარმოებლებს, შემომტანებსა და რეალიზატორებს, აგრეთვე, მეორადი პროდუქტების მწარმოებლებს.

ეთხოვოს საავტომობილო ტრანსპორტის დეპარტამენტს, რათა თანდათანობით შეზღუდოს სამეწარმეო საქმიანობაში დაშვებული ავტომობილების ზღვრული ასაკი.

ეთხოვოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს შეისწავლოს ე.წ. ნამუშევარი ზეთების უტილიზაციის და ნავთობპროდუქტების შემცველი ჩამონადენი წყლების გაუვნებელყოფის საკითხი.

ეკოლოგიურმა პოლიციამ გაამახვილოს ყურადღება ნამუშავარი ზეთების გარემოში დაღვრის აღკვეთის საკითხებზე.

ითქვა, რომ ნაშუადღევს ავტოტრანსპორტით ისეა გადაჭედილი ეროვნულ სტადიონთან მისასვლელი გზები, კოსტავას ქუჩა და სხვა ადგილები, რომ გავლა შეუძლებელია. მათი გამონაბოლქვის გამო სუნთქვაც ჭირს. იგივე მდგომარეობაა რესპუბლიკის მოედანზე, საღამო ჟამს, როცა ლამპიონებს ანთებენ, სინათლეზე

მღვრიე ბურუსი ირეკვა, თითქოს ჯანღია ჩამოწოლილი. ავტომობილები კი ხმაურით მიჰქრიან, უკან ტოვებენ ათასგვარ ჭირს...

დროა ადამიანი დაუბრუნდეს თავის წიაღს: გაურეთხილდეს თავის პატარა სამყაროს, თითოეულმა მათგანმა დარგოს ხე, ბაღნარად აქციოს საცხოვრისი, დაიცვას შთამომავლობა გადაშენებისაგან და გადაარჩინოს სიცოცხლე დედამიწაზე.

ეს ძალზე საჭიროა ახლა, როცა ქალაქებში ბენზინგასამართი სადგურების ბუმია, როცა ჯერ არ არის მკაცრი კონტროლი დაწესებული თითოეულ ავტომობილზე, როცა ფინანსურად შეჭირვებულ მძღოლებსაც არ ესმით, გაუმართავი ძრავებით რამდენ ვნებას აყენებენ გარემოს.

6. მასობრივი ინფორმაციის საშუალებებთან ურთიერთობის კომისია.

ინსტიტუტის საქმიანობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულებაა ურთიერთობა მასობრივი ინფორმაციის საშუალებებთან. ამ საქმიანობას წლების მანძილზე ხელმძღვანელობს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი - გიორგი ბაბუნაშვილი. სხვადასხვა პერიოდში მასმედიასთან ნაყოფიერად მუშაობდნენ საქართველოს რადიოს, ტელევიზიის, კინოსა და ჟურნალ-გაზეთების, აგრეთვე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლები: შალვა ადომლიშვილი, ზურაბ კანდელაკი, კარლო ღლონტი, მერაბ კოკოჩაშვილი, ნიკოლოზ ყანდიაშვილი, ისლამ ალიევი, მერაბ ზედგინიძე, ივანე შოთაძე, პალადი ჯინჯოლავა, გრიზელდი ბერკაცაშვილი და სხვები.

ინსტიტუტის საქმიანობა ამ მიმართულებით მიზნად ისახავს პერიოდულად წარმოაჩინოს და საზოგადოებისათვის ცნობილი გახადოს მთლიანად ინსტიტუტისა და მისი ცალკეული კომისიების საქმიანობა. ამ მიზნით, პერიოდულად გამოიცემოდა გაზეთის სპეციალური ნომრები საზოგადოებრივი ცხოვრების ისეთ აქტუალურ თემებზე, როგორიცაა: ნარკომანია, საგზაო მოძრაობის უსაფრთხოება, არასრულწლოვანთა პრობლემები და სხვ.

პერიოდულ გამოცემებში ვრცლად აისახა ჩვენი ქვეყნის ისეთი უმნიშვნელოვანესი პრობლემები, როგორიცაა არას-

რულწლოვანთა სოციალური დაცვის, პროფესიული მომზადებისა და სამართალდარღვევათა პროფილაქტიკის სახელმწიფო პროგრამის შესრულების მდგომარეობა და მისი გაუმჯობესების ღონისძიებები.

გაზეთის სპეციალური ნომერი მიეძღვნა საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტის, რესპუბლიკის ავტომოყვარულთა საზოგადოებისა და თბილისის საზოგადოებრივი საგზაო პოლიციის შეხვედრას მასმედიის წარმომადგენლებთან.

მასმედიასთან ურთიერთობის, ინფორმაციისა და ტექნიკურ საშუალებათა გამოყენების კომისიის მიერ პრესაში, რადიოსა და ტელევიზიის საშუალებით პერიოდულად შუქდებოდა საქართველოს მოქალაქეების მიერ უცხოეთში და უცხოეთის მოქალაქეების მიერ საქართველოში ჩადენილი კრიმინალური ქმედებები და მისდამი საზოგადოების დამოკიდებულება.

1998-2000 წლებში რამდენჯერმე ჩატარდა შსს და საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტის რექტორატის შეხვედრა მასმედიის წარმომადგენლებთან. შეხვედრაზე მოწვეული იყვნენ წარმომადგენლები და რედაქტორები ჟურნალ-გაზეთებიდან: "7 დღე", "ალია", "სოფლის ცხოვრება", "ახალი თაობა", "საქართველოს რესპუბლიკა", "კვირის პალიტრა", "დრონი", "თბილისი", "მედიცინა", "ასაკალ-დასავალი", "რეზონანსი", ჟურნალ "ეკონომიკიდან" და სხვ; რადიოსა და ტელევიზიის წარმომადგენლები საქართველოს ტელევიზიის 1 არხიდან, "რუსთავი 2"-დან, სტუდია "აუდიენციიდან", "ვიდეოპატრულიდან" და სხვ. შეხვედრაზე გაიმართა მსჯელობა იმაზე, თუ როგორ უნდა ვებრძოლოთ იმ აურაცხელ ყვითელ პრესას, რომლებიც ეწევიან ძალადობის, ბოროტების, პორნოგრაფიისა და სხვა ანტისაზოგადოებრივი მოვლენების პროპაგანდას. ასეთი შინაარსის ჟურნალ-გაზეთები, (ხანდახან საშუალო სკოლებისა და სხვა სასწავლო დაწესებულებების გვერდითაც კი იყიდება), აგრეთვე ტელეგადაცემები, რყვნის ახალგაზრდობას, ამახინჯებს მათ სულიერ სამყაროს და ხელს უწყობს საზოგადოებისათვის არასრულფასოვან წევრად ჩამოყალიბებას.

კომისიის საქმიანობიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტის რექტორის - პროფესორ მამია დარჩიას და სექციის წევრების: თ. კოკოჩაშვილის, კ. ღლონტის, გ. ბაბუნაშვილის, ზ. კანდელაკის, შ. ადომლიშვილის, მ. რატი-

შვილის და სხვათა შეხვედრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებთან, თანამშრომლებთან და სტუდენტებთან. შეხვედრა ჩატარდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაღლივ კორპუსში. მას ესწრებოდნენ უნივერსიტეტის ეკონომიკური პროფილის ფაკულტეტების (საერთაშორისო ბიზნესის, ეკონომიკის, მიკროეკონომიკისა და მენეჯმენტის, მარკეტინგისა და კომერციის) სტუდენტები, პროფესორ-მასწავლებლები და თანამშრომლები. აღნიშნულმა შეხვედრამ დიდი ინტერესი გამოიწვია; განხილულ იქნა ჩვენი ქვეყნის ისეთი საჭირბოროტო საკითხები, რომლებიც არსებობს დღეს ჩვენი მასმედიის, აგრეთვე კინო და ტელეჟურნალისტიკის სფეროში.

შეხვედრაზე სტუდენტებისა და პროფესორ-მასწავლებლების შეკითხვებზე ამომწურავი პასუხები გაეცა არასრულწლოვანთა სოციალური დაცვის, პროფესიული მომზადების, აღზრდის, განათლებისა და სამართალდარღვევათა პროფილაქტიკის ყველა საკითხსა და პრობლემას.

შეხვედრაზე მოსმენილ იქნა მერაბ კოკოჩაშვილისა და კარლო ღლონტის შეხედულებები და ანალიზი აღნიშნულ საკითხებზე. სხდომის თავმჯდომარემ - გიორგი ბაბუნაშვილმა აღნიშნა სტუდენტი ახალგაზრდობის დამოკიდებულება ამ ერთობ საჭირბოროტო საქმესთან დაკავშირებით. მისი თქმით, შეუძლებელია არსებობდეს მდარე დონის ბულვარული პრესა, რომელიც მორალურად შლის ახალ თაობას. მის მოხსენებაში აღნიშნულ იქნა ტელევიზიის სხვადასხვა არხის მიერ წარმოდგენილი სარეკლამო კლიპები და წარმოუდგენლად მდარე დონის ეროტიკული და ძალადობის ფილმები, რომელთა გაშვება ეკრანზე ხორციელდება საზოგადოებისათვის ყოვლად მიუღებელ საეთერო დროში.

შეხვედრაზე აღიძრა შუამდგომლობა ჟურნალისტთა კავშირისა და საქ-ტელე-რადიო დეპარტამენტის წინაშე, რათა განხილული იქნეს საზოგადოებრივი ა'ხრის ინსტიტუტის მიერ წარმოდგენილი წინადადებები და მიეწოდოს რეკომენდაციები მასმედიის ზოგიერთ წარმომადგენელს, რათა გაითვალისწინონ საზოგადოების შეხედულებები; ხოლო საქართველოს რადიომ და ყველა სატელევიზიო მაუწყებლობამ მდარე ეროტიკული ფილმებისა და რეკლამების ჩვენებას დაუთმოს ეთერის გვიანი საათები, რათა მათი ნახვა მოახერხონ მხოლოდ სპეციალურად დაინტერესებულმა პირებმა...

შეხვედრაზე განხილულ იქნა მთელი რიგი საკითხები. მოისმინეს ჟურნალისტთა გულისწყრომა შინაგან საქმეთა სამინისტროს მუშაობის ზოგიერთი სფეროს მიმართ. საკითხების განხილვისას გაზიარებული იქნა ჟურნალისტთა შეხედულებები, კერძოდ, პენიტენციალურ სისტემაში არსებულ არასახარბიელო მდგომარეობასთან დაკავშირებით. გამოითქვა მოსაზრება, რომ არასრულწლოვანთა საკითხების პრესაში გაშუქება უნდა მოხდეს კომპეტენტურად, საზოგადოებისათვის სასარგებლო ჭრილში, ვინაიდან არაკომპეტენტურ პირთა მიერ ამ საკითხებისადმი ნიჰილისტური დამოკიდებულება უარყოფითად მოქმედებს ჩვენი ახალი თაობის აღზრდაზე.

მასმედიასთან ურთიერთობის, ინფორმაციისა და ტექნიკურ საშუალებათა კომისიის საქმიანობაში განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს სექციის მიერ მომზადებული და გამოცემული წიგნი "ცხოვრება სოფლის საკვირველია...", რომელიც მიძღვნილია შინაგან საქმეთა სამინისტროს აწ გარდაცვლილი, დამსახურებული გენერლის - ვარლამ შადურისადმი. წიგნის მთავარი რედაქტორი და წინასიტყვაობის ავტორია საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტის რექტორი, პროფესორი მამია დარჩია. მის წინასიტყვაობაში აღნიშნულია ღვაწლმოსილი გენერლის - ვარლამ შადურის ადამიანური ღირსებები:

"ზოგი ცხოვრობს ლაღად და დიდხანს, შვილიშვილებსაც გუნდად დაიხვევს, მაგრამ მისი ამ ქვეყნიდან წასვლის შემდეგ მკრთალი მოგონებები და კედელზე სათუთად დაკიდებული ფოტოები რჩება.

არიან ადამიანები, რომლებიც სიცოცხლის შემდეგაც აგრძელებენ არსებობას. საზოგადოებას უბრალოდ არ ძალუძს დაივიწყოს "საქმენი მისნი". ასეთი იყო ვარლამ შადური. კაცი-ლეგენდა, კაცი-კაცური, ადამიანი, რომელიც მთელი თავისი შეგნებული ცხოვრების მანძილზე უსამართლობისა და ბოროტების წინააღმდეგ იბრძოდა. მან ასევე ღირსეულად განვლო გზა რიგითი ჯარისკაციდან გენერლობამდე. მთის ტრადიციებზე გაზრდილმა კაცმა მოხევეებისათვის დამახასიათებელი ვაჟკაცობითა და სისპეტაკით იცხოვრა..."

ვარლამ შადური მთელი ცხოვრების მანძილზე ზრუნავდა, რათა შინაგან საქმეთა ორგანოებში ღირსეული თაობა მოსულიყო. ამ მიზნით მან ბევრი ახალგაზრდა აღზარდა და ჩაუნერგა

სიყვარული და ერთგულება შინაგან საქმეთა ორგანოებისადმი, ისინი დღესაც წარმატებით აგრძელებენ მუშაობას შინაგან საქმეთა ორგანოებში და სათუთად ინახავენ აღმზრდელისა და მასწავლებლის ნათელ ხსოვნას".

აღნიშნული გამოცემის პრეზენტაცია, საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტის ინიციატივით, ხატარდა ყაზბეგის რაიონში. დაბა ყაზბეგის სამხარეო მუზეუმში გაიხსნა ვ. შადურის საპატიცემულო მემორიალური დაფა. შეხვედრაზე სიტყვა წარმოთქვეს ხეების დამსახურებულმა შვილებმა, მასმედიის წარმომადგენლებმა, ვ. შადურის ოჯახის წევრებმა, საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტის საპატიო წევრებმა, შინაგან საქმეთა სამინისტროს ღვაწლმოსილმა მუშაკებმა და საზოგადოების სხვა წევრებმა. შეხვედრა ყაზბეგის რაიონის საზოგადოებრიობასთან ფართოდ იქნა გაშუქებული პრესაში, ტელევიზიითა და რადიოთი.

შინაგან საქმეთა სამინისტროს საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტის მასმედიასთან ურთიერთობის, ინფორმაციისა და ტექნიკურ საშუალებათა გამოყენების სექციის საქმიანობის ერთერთ ძირითად მიმართულებას წარმოადგენს საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტის ყველა სექციის მუშაობის უზრუნველყოფა ინფორმაციის თანამედროვე ტექნიკური საშუალებებით.

ამ მიზნით გამოიყენება უახლესი "პენტიუმის" ტიპის კომპიუტერული ბაზა, რომელიც ჩართულია ინტერნეტის ქსელში და გააჩნია ლაზერული პრინტერები და გასამრავლებელი ტექნიკა. კომპიუტერული ბაზა მოთხოვნილების მიხედვით უზრუნველყოფს ინსტიტუტის ცალკეული სექციებისათვის საჭირო ყველა ინფორმაციული მასალის მოპოვებას და დამუშავებას. აღნიშნული ფუნქციონალური დანაყოფის მეშვეობით მიმდინარეობს ინფორმაციის მოძიება მსოფლიოს ყველა კუთხეში არსებული ანალოგიური ტიპის ინსტიტუტების მუშაობის შესახებ. მუშავდება მონაცემთა ბაზა შინაგან საქმეთა სამინისტროს ,საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტის შესახებ, რომელიც მუშაობის გამოცდილების გაზიარების მიზნით შეტანილი იქნება გლობალურ კომპიუტერულ ქსელში (ინტერნეტში).

ამავე ტექნიკის საშუალებით გამოსაცემად მზადდება შსს საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტის დაარსების 35 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო გამოცემები.

კომისიაში ინფორმაციის მოპოვებას და ტექნიკური საშუალებების გამოყენებას უზრუნველყოფენ თბილისის სახელმწიფო

უნივერსიტეტის ახალგაზრდა მეცნიერმუშაკები, ასპირანტები და თანამშრომლები.

მასმედიასთან ურთიერთობის, ინფორმაციისა და ტექნიკურ საშუალებათა გამოყენების სექცია თავის საქმიანობას წარმართავს კოლეგიალურ საწყისებზე, რომელიც დადებითად აისახება მის სამომავლო საქმიანობაში.

7. ეთნოკონფლიქტებში დაღუპულ, დასახიჩრებულ და სოციალური დახმარების საჭიროების კომისია

საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტის სასახელო საქმეების 90-იანი წლებიდან სრულიად ახალი და განსხვავებული სპეციფიკის საქმეები შეემატა. საძანაბლოში მომხდარმა მოვლენებმა, სამოქალაქო დაპირისპირებამ 1991-92 წლებში და აფხაზეთის სისხლიანმა ტრაგედიამ ქვეყანაში სრულიად ახალი ვითარება შექმნა. ამ კონფლიქტებში აქტიური მონაწილეობა მიიღეს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებმა, რომელთა შორის მრავალი დაიღუპა, ბევრი დაიჭრა და დასახიჩრდა.

ინსტიტუტის ხელმძღვანელობამ შინაგან საქმეთა სამინისტროსთან შეთანხმებით დროულად მოახდინა რეაგირება და შექმნა სპეციფიკური კომისია, რომლის უმთავრეს ამოცანად განისაზღვრა ამ კონფლიქტების შედეგად დაღუპულთა ოჯახების დახმარება, ასევე დაჭრილთა და დასახიჩრებულთათვის გარკვეული შემწეობის აღმოჩენა შესაძლებლობების ფარგლებში.

კომისია 1995 წელს ცალკე გამოიყო და მას სათავეში ჩაუდგა ოლეგ კიკოშვილი. კომისიაში გაერთიანდნენ როგორც საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტის წევრები, ასევე ქართული საზოგადოების ცნობილი წარმომადგენლები, სხვადასხვა პროფესიის ადამიანები, რომლებმაც გულთან მიიტანეს დასახული ამოცანა და თავდადებით შეუდგნენ კეთილშობილურ და საპატიო საქმიანობას.

კომისიის განსაკუთრებული დახმარება აღმოუჩინა საქართველოს საპენსიო ფონდის ხელმძღვანელობამ (ყოფილი გენერალური დირექტორი ოთარ ხუციშვილი, მოადგილე - სოლომონ პავლიაშვილი). აღსანიშნავია, რომ სოლომონ პავლიაშვილი იმავდროულად იყო საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტის პროექტორი, რამაც

კეთილნაყოფიერი გავლენა მოახდინა როგორც ინსტიტუტის ასევე აღნიშნული კომისიის სასარგებლო საქმიანობაზე.

1995 წელს საპენსიო ფონდმა კომისიას გამოუყო 200 საგზური კონფლიქტებში დაღუპული შსს თანამშრომლების ოჯახებისათვის, დაჭრილთა და დასახიჩრებულთა დასვენებისა და მკურნალობისათვის. 1996 წელს საპენსიო ფონდის მიერ შეძენილი და კომისიისათვის გადაცემულ იქნა 320 საგზური, რომელიც ასევე გადაეცათ აღნიშნული კატეგორიის ადამიანებს. საგზურებით მკურნალობისა და დასვენების ორგანიზაციაში კომისიას დიდი დახმარება გაუწია შინაგან საქმეთა სამინისტროს სამედიცინო დეპარტამენტის უფროსმა, პოლიციის პოლკოვნიკმა გია აბესაძემ და ამავე დეპარტამენტის მთავარმა ბუჰხალტერმა , პოლკოვნიკმა ციალა ხარატიშვილმა, რომლებმაც არ დაიშურეს ენერგია და ყურადღება იმ პირთა მიმართ, ვისთვისაც განკუთვნილი იყო ეს საგზურები. კომისიის საქმიანობა გაფართოვდა და მრავალფეროვანი გახდა 1997 წლიდან.

1997 წელს საპენსიო ფონდის ხელმძღვანელობამ ინსტიტუტს გადაურიცხა 30 ათასი ლარი, 1998 წელს - ასევე 30 ათასი, 1999 წელს კი 25 ათასი ლარი. ეს თანხები მთლიანად მოხმარდა კონფლიქტებში დაღუპულთა ოჯახების, დაჭრილთა და დასახიჩრებულთა, როგორც დასვენებისა და მკურნალობის, ასევე მათი დახმარების საქმეს.

1997-99 წლებში, წელიწადში ორჯერ აღნიშნული კატეგორიის პირთათვის დარიგებულ იქნა 100-100 ყუთი (თითო ყუთში 16 კგ ნობათი იყო) დახმარება. ყოველ ახალ წელსა და აღდგომას აღნიშნულ ნობათების დარიგებამ ტრადიციული სახე მიიღო და მთელს საქართველოში გახმაურდა. აღნიშნულმა ჰუმანურმა ღონისძიებამ ამ ადამიანებს გაუძლიერა რწმენა, რომ ისინი მარტო არ არიან ცხოვრების სირთულეებთან ჭიდილში და მათ'ხე ვიღაც ზრუნავს და ფიქრობს.

ტრადიციად იქცა 10 ნოემბერს ქართული პოლიციის დღეს ომის და კონფლიქტების ვეტერანებთან შეხვედრები და მათთვის წამახალისებელი ჯილდოებისა და სახუქრების გადაცემა. ახალ ტრადიციას საეყარა საფუძველი 1999 წელს. კომისიამ შეფობა აიღო არასრულწლოვან დამნაშავეთა ავჭალის კოლონიის აღსაზრდელებსა და ქალთა კოლონიის მკვიდრებზე. სა'ხოგადოებრივი აზრის ინსტიტუტის კომისიამ სასჯელთა აღსრულების დეპარ-

ტამენტთან (ყოფილი თავმჯდომარე გენერალი გიორგი ყვარელაშვილი, შტაბის უფროსი ავთანდილ თიკანაძე) ერთად მოაწყვეს ერთობლივი ღონისძიებანი ბავშვთა და ქალთა კოლონიებში (1999 წ. მაის-ივნისი).

აღსანიშნავია, რომ კომისიის წევრებმა პირადი დანაზოგებით შეიძინეს 12 ტონამდე პროდუქტები (შაქარი, ფქვილი, ბურღულეული, წვენები, ზეთი და სხვ.) და უსასყიდლოდ გადასცეს ავჭალის კოლონიაში მყოფ მოზარდებს, დაათვალიერეს მათი სამყოფელი, დაინტერესდნენ მათი აღზრდისა და კვების პირობებით, კოლონიის ადმინისტრაციისა და მოზარდთა ურთიერთობით.

პროფესორმა ვაჟა შუბითიძემ კოლონიის ყველა მკვიდრს და თანამშრომელს სანუქრად გადასცა თავისი წიგნი "საქართველოს დიდი მეფეები", მოზარდებს ჩაუტარა ლექცია მათთვის საინტერესო საკითხებზე საქართველოს ისტორიიდან. ბავშვებს სიტყვებით მიმართეს პროფესორებმა მაია დარჩიამ და სოლომონ პავლიაშვილმა. შეხვედრამ ძალზე საინტერესოდ ჩაიარა, მოზარდები კმაყოფილები დარჩნენ და გამოთქვეს იმედი, რომ ასეთი ურთიერთობა ტრადიციული გახდება. შეხვედრის მონაწილეებმა ერთობლივად აანთეს სანთლები იქვე აშენებულ ეკლესიაში, რომელშიც ბავშვები ყოველდღიურად ლოცულობენ. გენერალმა გივი ყვარელაშვილმა აღნიშნა, რომ ბავშვებს ყველა პირობა აქვთ როგორც ფიზიკური, ასევე გონებრივი და მორალური განვითარებისათვის, მათ კარგად კვებავენ, აქვთ ტელევიზორი და ვიდეო, სპორტული მოედნები და ინვენტარი, რომ ადმინისტრაციის წევრები ახლო და მეგობრულ ურთიერთობაში არიან ერთმანეთთან. მანვე აღნიშნა, რომ პირველად საქართველოს ისტორიაში, შედგენილ და გამოცემულ იქნა პატიმართა ლექსების ვრცელი კრებული, სადაც შევიდა ავჭალის კოლონიის ზოგიერთი მკვიდრის ნაწარმოებიც.

ქალთა კოლონიაში 1999 წელს წარმატებით განხორციელდა თეატრალური სპექტაკლის "ექვსი შინაბერა და ერთი მამაკაცი" დადგმა, რომლის პრემიერაც აღინიშნა გრიბოედოვის თეატრში და აქ მთავარ როლში მაყურებელმა იხილა ცნობილი მსახიობი გივი ბერიკაშვილი. ამ ღონისძიებებმა ქართული საზოგადოების დიდი ინტერესი და კმაყოფილება გამოიწვია და მათ ფართო რეზონანსი შეიძინეს.

დადებით მუშაობას ეწევიან სამეცნიერო ორგანიზაციებთან და უმაღლეს სასწავლებლებთან ურთიერთობისა და საზოგადოებრივი დამცველის, პროფესიული ეთიკისა და ზნეობრივი სრულ-

ყოფის კომისიები (თავმჯდომარეები აკადემიკოსი ოთარ ჯაფარიძე, პროფესორები გურამ ლორთქიფანიძე, ოთარ შონია, თემურ ჯაგოდნიშვილი, დოცენტი თამაზ ყანდარელი).

8. სახალხო დამცველის, პროფესიული ეთიკისა და ზნეობრივი სრულყოფის კომისია

კომისიას ხელმძღვანელობს საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთ აღიარებული მეცნიერი, გამოჩენილი არქეოლოგი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრი ოთარ ჯაფარიძე. თანათავმჯდომარეა დოცენტი თამაზ ყანდარელი.

კომისიის მუშაობა ერთგვარად გამსჭვალავს მთელი ინსტიტუტის მუშაობას. აქ წაყენებულ პრობლემათა ფართო გამა მოითხოვს სხვადასხვა სექციათა ერთობლივ ძალისხმევას. განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს კომისიის მუშაობა შემდეგი მიმართულებებით: 1. სახალხო დამცველის არაუწყებრივი ფუნქცია; 2. შსს სხვადასხვა რგოლებში კადრებთან მუშაობა პროფესიული ეთიკის კუთხით; 3. საპატიმროებსა და სასჯელის აღსრულების სხვა ადგილებში არსებული მდგომარეობის შესწავლა და შესაბამისი რეკომენდაციების მომზადება.

საქართველო ერთერთია იმ რამდენიმე სახელმწიფოთაგან, რომელსაც გააჩნია სახალხო დამცველის ინსტიტუტი. უნდა აღინიშნოს, რომ სანამ ჩვენთან ეს საკითხი მიიღებდა საბოლოო გადაწყვეტას, მანამდე მსგავს პრობლემებს ამუშავებდა შსს საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტი. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ინსტიტუტის და კერძოდ სახალხო დამცველის, პროფესიული ეთიკისა და ზნეობრივი სრულყოფის კომისიის ძალისხმევა მსჯავრდებულთა შეწყალების წესის შემუშავებასა და მისი პრაქტიკაში გატარების საქმეში. ინსტიტუტი და შესაბამისი კომისია აქტიურად ჩაება ამ მამულიშვილურ წამოწყებაში, რასაც მოწმობს საქაროველოს სსრ უზენაესი საბჭოს 1990 წლის 17 თებერვლის №2505 XI დადგენილებიდან გამომდინარე წინადადებები. იქ სხვა პუნქტებთან ერთად გარკვევით წერია: "შეწყალების შესახებ მასალებში შინაგან საქმეთა სამინისტროსთან არსებული საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტის შუამდგომლობა გათანაბრებული იქნას ადგილობრივ საბჭოებთან არსებული სამეთვალყურეო კომისიების გადაწყვეტილებებთან". ეს სამთავრობო დოკუმენტი იქცა იმ საწყის ეტაპად, რომელიც

დღესაც გრძელდება. ამ პერიოდში კომისიის წევრებმა დიდი შრომა გასწიეს.

საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტის არქივში ინახება ყოვილი მსჯავრდებულების ცრემლიანი, სიხარულითა და მადლობის გრძნობით გამსჭვალული წერილები.

საქართველოს ისტორიის უახლესი პერიოდი, მისი დამოუკიდებლობისა და სამართლებრივი სახელმწიფოს შენების პერიოდი უმტკივნეულოდ როდი მიმდინარეობს. ეს პროცესი ასევე შეეხო შინაგან საქმეთა სამინისტროს და მის მრავალათასიან კოლექტივს. საჭირო გახდა ახალი დროისა და ახალი მოთხოვნების მიხედვით კადრების შერჩევა. შინაგან საქმეთა სამინისტრომ დაიწყო თავისი რიგების წმენდა. ამ რთულ აქციაში ჩაება შსს საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტის სახალხო დამცველის, პროფესიული ეთიკისა და ზნეობრივი სრულყოფის კომისიაც. კომისიის წევრთა მეცნიერული, მაღალპროფესიული და ინტელექტუალური პოტენციალი მაქსიმალურად ამოქმედდა, რათა ეს მტკივნეული პროცესი მეტი ობიექტურობით წარმართულიყო. ინსტიტუტის რექტორატის აზრი გათვალისწინებული იყო არაერთი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების გამოტანისას.

ადრე სასჯელის აღსრულების ადგილებში, როგორც წესი აუცილებელი იყო შრომითი საქმიანობა. კოლონიებში ფუნქციონირებდნენ ტექნიკურად კარგად აღჭურვილი საწარმოები. დღეისათვის, კი ყოველივე ეს, დანგრეული, გაძარცული და გაპარტახებული აღმოჩნდა. და აი, შსს საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტის რექტორატი გამოვიდა ინიციატივით და გააკეთა მიმართვა ბიზნესმენებისადმი, სადაც ნათქვამი იყო, რომ "გზასაცდენილსაც სჭირდება სპონსორი და ბიზნესსაც შეუძლია იქ იპოვოს ბაზა", საქმიან ხალხს მოუწოდებდნენ აღედგინათ საწარმოები სასჯელის აღსრულების ადგილებში და უმოქმედო მასა ჩაბმულიყო შრომით საქმიანობაში. ზოგიერთი ბიზნესმენი მართლაც აყვა ამ მოწოდებას. ეს პროცესი იმედია გაგრძელდება. საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტის კომისიამ სპეციალურად მოამზადა საქართველოში მოქმედი პენიტენციალური დაწესებულებების დღევანდელი მდგომარეობის კომპლექსური შესწავლისათვის დამხმარე კითხვარი - ანკეტა. ანკეტის შედგენაში მონაწილეობდნენ როგორც იურისტები, ასევე ეკონომისტები, სოციოლოგები და ფსიქოლოგები. მას დახმარება უნდა გაეწია შსს ხელმძღვანელობისათვის უკეთ გაეანალიზებინა პენიტენციალურ სისტემაში არსებული ხარვეზები, მოეხდინა იქ არსებული საწარმოო პოტენციალის ინვენტარიზა-

ცია, სათანადოდ შეეფასებინა მსჯავრდებულთა და მომსახურე პერსონალის ურთიერთდამოკიდებულების საკითხი. აღნიშნულ ანკეტა-კითხვარს თავისი აქტუალობა არ დაუკარგავს. შსს საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტს შეუძლია იგი გადასცეს იუსტიციის სამინისტროს, რომელიც დღეს პირველ ნაბიჯებს დგამს პენიტენციალური დაწესებულებების მოვლა-პატრონობისა და რეფორმირებაში. იმედია, ჩვენი მასალები მათ დიდ დახმარებას გაუწევენ.

9. პრესცენტრი და საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტი

1990 წლის სექტემბერში შინაგან საქმეთა სამინისტროში ფუნქციონირებას შეუდგა მასობრივი ინფორმაციის საშუალებებთან და საზოგადოებრიობასთან ურთიერთობის განყოფილება, რომელიც დღეს ფართოდ არის ცნობილი შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესცენტრის სახელწოდებით. შინაგან საქმეთა ორგანოებში ამგვარი სამსახურის შექმნის ინიციატორები იყვნენ საქართველოს მინისტრთა საბჭოს იმდროინდელი თავმჯდომარე ნოდარ ჭითანავა და შინაგან საქმეთა სამინისტროს საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტი.

ამ პერიოდში ჩვენს რესპუბლიკაში უაღრესად დაძაბული იყო საზოგადოებრივი და პოლიტიკური ვითარება, აშკარად გამოიკვეთა კრიმინალური სამყაროს პოლიტიზაციისა და პოლიტიკური მოძრაობის კრიმინალიზაციის პროცესი. პოლიტიკურ ორგანიზაციებში მასობრივად დაიწყეს შესვლა კრიმინალებმა. ე.წ. ეროვნული მოძრაობის შირმით თავიანთი ძველი საქმეების კეთება. ცალკეულმა პოლიტიკურმა ძალებმა, უპირისპირდებოდნენ რა არსებულ ხელისუფლებას თავიანთი საბრძოლო პოტენციალის გასაზრდელად ფართოდ გაუღეს თავიანთი ორგანიზაციის კარები კრიმინალებს.

ასეთ ვითარებაში უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა მოსახლეობის სწორ ინფორმაციას, პრესით, ტელევიზიისა და რადიოს მეშვეობით დამნაშავეთა სამყაროს ნამდვილი სახის და მათ წინააღმდეგ ბრძოლის ობიექტური სურათის ჩვენებას. ეს არც ისე ადვილი საქმე იყო, ტოტალიტარულ რეჟიმს დაპირისპირებულ ძალებს ხალხი უაპელაციოდ უჭერდა მხარს, ვერ ხედავდა ან არ უნდოდა დაეჯერა ამ ძალებს მიტმასნილი კრიმინალების კანონსაწინააღმდეგო ქმედებანი.

ამ სიტუაციაში შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესცენტრი ერთადერთი ჟურნალისტური ჯგუფი იყო, რომელიც ცდილობდა ობიექტური ინფორმაცია გაეგრცელებინა უკანონო ქმედებების შესახებ. ამის პარალელურად, შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესცენტრმა დაიწყო აქტიური მონაწილეობა იმ აქციებსა და ღონისძიებებში, რომელსაც სამინისტროს საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტი ახორციელებდა იმ პერიოდში. ეს აქციები და ღონისძიებები მიზნად ისახავდა საზოგადოებრივი და პოლიტიკური კონფრონტაციის თავიდან აცილებას.

ფრიად დროული და მნიშვნელოვანი იყო ამავე პერიოდში ცხინვალში მოწყობილი შეხვედრა, საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტის და პრესცენტრის ხელმძღვანელობა შეხვდა სამხრეთ ოსეთის სამეცნიერო და შემოქმედებითი ინტელიგენციის თვალსანინო წარმომადგენლებს, ადგილობრივ ჟურნალისტებს, საერთო შეშფოთება გამოითქვა იმის გამო, რომ რეგიონში ცალკეული პირები და ძალები აღვივებდნენ სეპარატისტულ განწყობილებას, რაც სერიოზულ საფრთხეს უქმნიდა ქართველი და ოსი ხალხების კეთილმეზობლობას, ქმნიდა ფეთქებად საშიშ სიტუაციას, ასევე შეშფოთებას იწვევდა საქართველოს ცალკეული პოლიტიკური ძალებისა და მათი ლიდერების ულტრანაციონალისტური პოზიციები და პოლიტიკური დემარშები. ორივე მხარის ამ ძალების დესტრუქციულ ქმედებებს მოხდენილად იყენებდნენ იმპერიული ძალები და სპეციალური სამსახურები ორი ხალხის დაპირისპირების პროვოცირებისათვის, რაც სამწუხაროდ მოხდა.

ქართველი და ოსი ინტელიგენციის , ჟურნალისტების ერთსულოვანი აზრი იყო გაგრძელებულიყო დიალოგი გადაგვერჩინა ჩვენი ხალხი მოახლოებული უბედურებისაგან. კარგად დაწყებულმა დიალოგმა, რომელიც ურთიერთგაგებისა და პატივისცემის ატმოსფეროში მიმდინარეობდა, სამწუხაროდ, გაგრძელება ვეღარ ჰპოვა.

1990 წლის ოქტომბრის ბოლოს ხელისუფლების სათავეში მოვიდნენ ზვიად გამსახურდია და ის პოლიტიკური ძალები, რომლებმაც საჭირო მოქნილობა და წინდახედულება ვერ გამოიჩინეს ამ ურთულესი დელიკატური პრობლემების გადაჭრისათვის,. ისინი ადვილად წამოეგნენ სეპარატისტული და იმპერიული ძალების ანკესს და ჩათრეული იქნენ შეიარაღებულ კონფლიქტში. კონფლიქტს შედეგად მოჰყვა ათეულ ათასობით ლტოლვილი,

მსხვერპლი, რეალური საფრთხე შეექმნა საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას.

ოსურ-ქართული შეიარაღებული დაპირისპირების მთელი პერიოდის განმავლობაში კონფლიქტის ზონაში იმყოფებოდა შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესცენტრი. კერძოდ, მისი ხელმძღვანელი ვალერიან გოგოლაშვილი, პრესცენტრის თანამშრომლები არტემ ცატუროვი, გია კენჭოშვილი, უნა მიშველაძე და სხვები.

თითქმის მთელი ინფორმაცია, რომელიც ქვეყნდებოდა საქართველოს ტელევიზიის, რადიოსა და პრესის საშუალებით ეკუთვნოდა პრესცენტრს. ერთი შეხედვით ინფორმაცია იყო მშრალი, აკლდა ემოციური დატვირთვა, წარმოადგენდა მოვლენათა ყოველდღიურ ქრონიკას, ერთობ მკაცრსა და შეუბრალებელს, პრესცენტრის ინფორმაციებში მოცემული იყო მხოლოდ ციფრები და ფაქტები, დაპირისპირებული ორივე მხარისათვის ტრაგიკული ციფრები და ფაქტები, მშვიდობიანი მოსახლეობის დარბევის, მკვლელობის, სახლკარის გადაწვის, აფეთქებების შესახებ. ამინდს ორივე მხრიდან ქმნიდნენ ე.წ. ბოევიკები, რომლებიც საოცრად გვანდნენ ერთმანეთს სისასტიკით და დაუნდობლობით.

ასახავდა რა ამ მწარე სინამდვილეს, პრესცენტრი ყოველნაირად ერიდებოდე ემოციებს, მოსახლეობაში ომის ფსიქოზის გაძლიერებას, დაუშვებლად მიაჩნდა ანტიოსური განწყობილების შექმნა, თითოეული ინფორმაციას წითელ ხოლად გასდევდა ფიქრი და ზრუნვა მშვიდობიანობისა და თანხმობის აღდგენაზე.

ყველა ომს ჰყავს თავისი გმირები. ამ ომს გმირები არ ჰყოლია, გარდა იმათი, ვინც იარაღით ხელში დაიღუპა საკუთარი სოფლისა და ოჯახის დაცვისას. ასეთები იყვნენ ქართველებშიც და ოსებშიც.

შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესცენტრის თანამშრომლები მხოლოდ მათ უძღვნიდნენ თბილ სტრიქონებს. მათ შორის იყვნენ სამანაბლოს სოფლების, შესანიშნავი ვაჟკაცები, უბრალო მშრომელი გლეხკაცები და პოლიციელები, რომლებიც წესრიგისა და მოსახლეობის დასაცავად იყვნენ რეგიონში ნასული.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს პოლიცია ფაქტობრივად საბრძოლო მოქმედებებში იყო ჩართული, მათი მხრიდან არ ყოფილა მშვიდობიანი მოსახლეობის დარბევის, სასტიკი მოპყრობის, ძარცვისა და მოროდიორობის არც ერთი შემთხვევა.

პრეცენტრის მიერ მომზადებულ ინფორმაციებში, საგაზეთო წერილებსა და ტელესიუჟეტებში სათანადოდ აისახა საქარ-

თველოს პოლიციის რაინდული სული. იმ ხანად ცხინვალში ჩამოდიოდა ბევრი რუსი და უცხოელი ჟურნალისტი. პრესცენტრის თანამშრომლები დიდ დახმარებას უწევდნენ თავიანთ კოლეგებს მათთვის საჭირო ობიექტური ინფორმაციის მოპოვებაში. ეს სრულიადაც არ მოსწონდათ სეპარატისტულად განწყობილ ოსებს და რუსეთის შინაგან ჯარის სპეც. სამსახურების წარმომადგენლებს.

ესეც გახდა მიზეზი იმისა, რომ ცხინვალში 1990 წლის 27 დეკემბერს თავს დაესხნენ და მძევლად აიყვანეს პრესცენტრის უფროსი ვალერიან გოგოლაშვილი, მაგრამ მოხდა საინტერესო ამბავი. შეიარაღებულმა პირებმა, რომელთა შორის ძირითადად ახალგაზრდები იყვნენ დატყვევებულ ჟურნალისტს არ დაუკარგეს სიკეთე, გაიხსენეს, რომ 1989 წელს, როცა იგი გაზეთ "სოფლის ცხოვრების" რედაქტორი იყო რედაქციის მთელი კოლექტივით ჩამოვიდა ცხინვალ'ში, შეხვდა ოს კოლეგებს და მოუწოდა, არც ოსური და არც ქართული გაზეთების ფურცლებზე არ დაეშვათ ორი ხალხის დამაპირისპირებელი გამოსვლები, გაიხსენეს ისიც, რომ პირადად იგი და შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესცენტრი, რომელსაც იგი 1990 წლის სექტემბერში ჩაუდგა სათაყვ'ში ამავე პოზიციაზე იდგა შეიარაღებული კონფლიქტის დღეებში, მძეკალი მეორე დღესვე გაანთავისუფლეს.

საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაციამ 1991 წელს შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესცენტრს მიანიჭა სპეციალური პრემია "სამაჩაბლოში გამოჩენილი პატრიოტული და მოქალაქეობრივი პოზიციისათვის".

ისე, როგორც მთლიანად საქართველოს პოლიცია, უაღრესად რთულ ვითარებაში მოექცა შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესცენტრი. 1991 წლის ზაფხულიდან მოყოლებული პოლიტიკური დაპირისპირება თანდათან გაძლიერდა, პრეზიდენტმა ზ. გამსახურდიამ პოლიცია, საბოლოოდ მოწყვიტა თავისი ძირითადი ფუნქციის შესრულებას - დამნაშავეობასთან ბრძოლას და მთლიანად გადაიყვანა უზენაესი საბჭოს შენობის დაცვაზე, რომლის წინა მოედანზეც მისი მომხრეების, ხოლო რუსთაველის პროსპექტის დანარჩენ ნაწილში ოპოზიციის მხარდამჭერი მიტინგები მიმდინარეობდა.

მიუხედავად იმისა, რომ ისე როგორც შინაგან საქმეთა სამინისტროს მთელი ხელმძღვანელობა, პრესცენტრიც გადაყვანილ იქნა უზენაესი საბჭოს შენობაში, იგი არ ჩარეულა ძალთა დაპი-

რისპირებაში. რადიოთი და ტელევიზიით, რომელიც ასევე უზენაესი სასჯელის შენობაში იყო მოწყობილი, არ გადაცემულა პრესცენტრის არც ერთი ინფორმაცია, რომელიც ხელს შეუწყობდა ჩვენი საზოგადოების კიდევ უფრო გახლეჩას და დაპირისპირებას, პრესცენტრი ამავე პოზიციაზე დარჩა თბილისის სამოქალაქო ომის დღეებშიც.

შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესცენტრის თანამშრომლები 1992-93 წლებში მუდმივად იმყოფებოდნენ სამეგრელოს რეგიონში, სადაც ექსპრეზიდენტის მომხრე შეიარაღებული ფორმირებები სისტემატურად ახორციელებდნენ დივერსიულ და ტერორისტულ აქტებს, მათი საქმიანობის აღსაკვეთად მხედრიონის მიერ მოწყობილმა ორმა "ლაშქრობამ" უარესი უბედურება დაატეხა თავს სამეგრელოს მოსახლეობას და მთლიანად საქართველოს. უკიდურესად დაძაბული საზოგადოებრივ-პოლიტიკური და კრიმინოგენული ვითარების შემდგომი ესკალაციის თავიდან ასაშორებლად რეგიონში ჩავიდა საქართველოს პოლიციის დამატებითი ძალები.

პოლიციის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მიუხედავად მძიმე პირობებისა და სისტემატური შეიარაღებული თავდასხმებისა, პოლიციამ დაკისრებული მისია პირნათლად შეასრულა, მან დაიცვა სასიცოცხლო ობიექტები და სარკინიგზო მაგისტრალები, თავისი დისციპლინით, წესიერებით მოსახლეობის ნდობა დაიმსახურა, რაც ცენტრალური ხელისუფლებისადმი ნდობის დაბრუნებასაც წარმოადგენდა.

ამ რთულ, ჩვენი ქვეყნისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობის პროცესს თავისი პუბლიკაციების, რადიო და სატელევიზიო გადაცემებით ხელს უწყობდა შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესცენტრი. პრესცენტრმა დიდი მუშაობა გასწია 1993 წლის შემოდგომაზე სამეგრელოში სამოქალაქო ომის დღეებში, საქართველოს ტელევიზიას იგი ყოველდღიურად აწვდიდა საბრძოლო მოქმედებების ამსახველ სიუჟეტებს, ამზადებდა რეგიონში კანონიერების აღდგენის ამსახველ გადაცემებს, მოურიდებლად ამხელდა მოროდიორებს და მძარცველებს.

1993 წლის 8 ნოემბერს აღდგენილ იქნა ტელეგადაცემები ზუგდიდში. ზუგდიდისა და მეზობელი რაიონების მოსახლეობა ყოველ საღამოს იღებდა ახალ ინფორმაციას მიმდინარე მოვლენების შესახებ. გადაიცემოდა ცოცხალი ტელერეპორტაჟები ქალაქის ქუჩებიდან და სოფლებიდან.

სატელევიზიო გადაცემები აღადგინა და მიჰყავდა შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესცენტრს, მის ხელმძღვანელს პოლიციის პოლკოვნიკს ვალერიან გოგოლაშვილს, უფროს ინსპექტორს ზაზა ბილიხოძეს, ტელეოპერატორს გია ვაწაძეს და კორესპონდენტს ვასილ კავილაძეს. პრესცენტრის თანამშრომლებს უკვე ჰქონდათ საბრძოლო და ექსტრემალურ პირობებში მუშაობის გამოცდილება, სამაჩაბლოში და აფხაზეთში ისინი ყოველთვის მოწინავე პოზიციებზე იმყოფებოდნენ.

შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესცენტრისათვის ყველაზე ნაყოფიერი გამოდგა ბოლო წლები. 1993 წლის დეკემბრიდან შინაგან საქმეთა სამინისტრომ დაიწყო დამნაშავეობაზე ფაროომასშტაბიანი შეტევა, უკანონო შეიარაღებული ფორმირებებისაგან საქართველოს რეგიონების, საავტომობილო და სარკინიგზო მაგისტრალების გათავისუფლება, კრიმინალური ბანდების განადგურება. ყველა ფართომაშტაბიან ოპერაციაში, რომელიც განხორციელდა შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ, მონაწილეობდა პრესცენტრის მთელი შემადგენლობა, პრესცენტრის ოთხიხუთი ვიდეოკამერა აფიქსირებდა შეიარაღებული ბანდების განიარაღებას, მათ გააფთრებულ წინააღმდეგობას, თითოეული ფაროომასშტაბიანი ოპერაციის შედეგები მისი ამსახველი რეპორტაჟები გადაიცემოდა საქართველოს ტელევიზიით, რადიოთი, ქვეყნდებოდა პრესაში, გადაეცემოდა უცხოეთის საინფორმაციო საშუალებებს.

ამის პარალელურად შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესცენტრს საქართველოს ტელევიზიით მიჰყავდა ნახევარსსათიანი გადაცემა "ადამიანი და კანონი". ამ გადაცემებმა თავისი პრობლემატურობითა და სიმწვავით ჩვენი საზოგადოებრიობის დიდი ინტერესი და მოწონება დაიმსახურა.

საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაციამ 1994 წელს პრესცენტრს მიანიჭა ფრიად პრესტიჟული პრემია "ექსტრემალურ სიტუაციებში პროფესიონალიზმისა და თავდადების გამოჩენისათვის". 1995 წელს კი აღიარა ქვეყნის სამ საუკეთესო საინფორმაციო საშუალებას შორის (გაზეთი "კავკასიონი", პროგრამა "ალიონი") შსს პრესცენტრიც, ამავე წელს პრესცენტრის უფროსი პოლიციის პოლკოვნიკი ვალერიან გოგოლაშვილი დაჯილდოვდა "ღირსების მედლით", ჯილდოები დაიმსახურეს პრესცენტრის სხვა თანამშრომლებმაც.

ფრიად მნიშვნელოვანი და გაბედული იყო პრესცენტრის ინიციატივით განხორციელებული რამდენიმე ოპერატიული ჟურნალისტური აქცია. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საქართველოს ავტომაგისტრალებს 1992-94 წლებში ფაქტობრივად აკონტროლებდნენ უკანონო შეიარაღებული ფორმირებები და კრიმინალური ბანდები. ისინი ძარცვავდნენ, ავტომანქანებს ართმევდნენ ჩვენი ქვეყნის და უცხოეთის მოქალაქეებს, გზებზე შიშიანობისა და საფრთხის გამო ჩვენს ქვეყანაში შემოსვლას ერიდებოდნენ უცხოელი ბიზნესმენები. ამავე მიზეზით სერიოზული პრეტენზიების წამოყენება დაიწყეს თურქეთის, სომხეთის, აზერბაიჯანის და სხვა მეზობელი ქვეყნების ოფიციალურმა წრეებმა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესცენტრმა ასეთ სიტუაციაში განახორციელა რამდენიმე რეიდი ავტომაგისტრალებზე. დანაშაულის ფაქტზე აიხილა მრავალი უკანონო შეიარაღებული ჯგუფი, ბანდა, გვარდიის რაიონული ბატალიონები, მხედრიონის, სამხედრო პოლიციის წარმომადგენლები, რომლებიც ვითომდა წესრიგის დასაცავად, სინამდვილეში კი საყანაღოდ იყვნენ გამოსული ტრასაზე.

პრესცენტრის მიერ მომზადებული ზემოთაღნიშნული ამბების ამსახველ ტელეგადაცემებს დიდი რეზონანსი მოჰყვა. სახელმწიფოს მეთაურმა ედუარდ შევარდნაძემ გამოსცა სპეციალური ბრძანებულება, რომლითაც ავტომაგისტრალებზე წესრიგის დაცვა დაეკისრა მხოლოდ საგზაო პოლიციას, სხვა შეიარაღებულ ფორმირებებს სასტიკად აეკრძალათ ტრასაზე გამოსვლა.

სახელმწიფოს მეთაურის ამ ბრძანებულების შესრულების მიმდინარეობას სისტემატურად აშუქებდა პრესცენტრი. აშუქებდა მანამდე, სანამ ეს პრობლემა ბოლომდე არ გადაიჭრა, პრესცენტრი თავიდანვე შეურიგებელ ბრძოლას აწარმოებდა დამნაშავეთა სამყაროსთან. მისთვის სულერთი იყო, რომელი პოლიტიკური ორგანიზაციის, სტრუქტურის წარმომადგენელი იყო პიროვნება, რომელმაც ჩაიდინა სისხლის სამართლის დანაშაული.

ამ შეურიგებლობის გამო შინაგან საქმეთა სამინისტროს და მის პრესცენტრს ხშირად უყენებდნენ პრეტენზიებს სხვადასხვა პარტიების, სამხედრო დანაყოფების და მხედრიონის ლიდერები, მაგრამ პრესცენტრი არ ღალატობდა თავის პრინციპს, თუმცა იყო შანტაჟიც, მუქარაც, პრაქტიკული დესტრუქციული ქმედებანიც.

ჩვენს საზოგადოებრიობაში არასწორად არის გავრცელებული აზრი იმის თაობაზე, თითქოს პოლიციამ მხედრიონის (მაშველთა კორპუსის) წევრების დაკავება დაიწყო მხოლოდ 1995 წლის 29 აგვისტოს სახელმწიფოს მეთაურის ედუარდ შევარდნაძის მიმართ განხორციელებული ტერორისტული აქტის შემდეგ.

მიუხედავად იმისა, რომ წლების მანძილზე მხედრიონი და მისი ლიდერი შეუზღუდავი უფლებებით სარგებლობდნენ, პოლიციამ, ორგანიზებული დანაშაულის, კორუფციის, რეკეტის და ეკონომიკური დივერსიის წინააღმდეგ ბრძოლის დეპარტამენტის თავმჯდომარედ კახა თარგამაძის დანიშვნის შემდეგ დააკავა ამ კრიმინალური სტრუქტურის ასობით წარმომადგენელი. მაგრამ ისინი დააკავეს არა როგორც მხედრიონის წევრები, არამედ როგორც კონკრეტული სისხლის სამართლის დანაშაულის ჩამდენნი. 29 აგვისტოს ტერორისტულ აქტამდე მოხდა კახეთის, სამეგრელოს, სამტრედიის, ბორჯომის მხედრიონის წევრების განიარაღება და დაკავება ბანდიტობის, გამოძალვის მიზნით ადამიანთა გატაცების ჩადენისათვის. ყველა ეს ფაქტი ჩვენი მოსახლეობისათვის ძირითადად ცნობილი გახდა შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესცენტრის მიწოდებული ინფორმაციით, სატელევიზიო და რადიო გადაცემებით, საგაზეთო პუბლიკაციებით; თავისი პირდაპირობითა და სიმწვავით განსაკუთრებით გამოირჩეოდა პრესცენტრის უფროსი ინსპექტორის, პოლიციის მაიორის ჟურნალისტ ზაზა ბილიხოძის საგაზეთო პუბლიკაციები.

მაშველთა კორპუსის საპატიო თავმჯდომარემ, პარლამენტის დეპუტატმა ჯაბა იოსელიანმა, რომელიც ჯერ კიდევ თავისი ძალაუფლების ზენიტში იყო, გაზეთ "ალიასათვის" მიცემულ ინტერვიუში აღშფოთება გამოთქვა ზ. ბილიხოძის და პრესცენტრის სხვა თანამშრომელთა პუბლიკაციების გამო, ხოლო პრესცენტრის უფროსს ვალერიან გოგოლაშვილს დაემუქრა ანგარნიშსწორებით. ჯ. იოსელიანი თვლიდა, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესცენტრი წლების მანძილზე ეწეოდა მხედრიონის დისკრედიტაციას, სინამდვილეში პრესცენტრს ერთი სტრიქონიც კი არ გამოუქვეყნებია მხედრიონის როგორც პოლიტიკურ ორგანიზაციის წინააღმდეგ. მაგრამ უკან არ იხევდა, როცა ამ ორგანიზაციის წევრები ჩადიოდნენ სისხლის სამართლის დანაშაულს. ასე იყო 1990 წლის ნოემბერში, როცა მხედრიონის შეიარარებულმა წევრებმა დაარბიეს კახეთის თითქმის ყველა რა-

ონის პოლიციის განყოფილება, გაიტაცეს ცეცხლსასროლი იარაღი, წინასწარი დაკავების საკნებიდან გაუშვეს ათობით საშიში ბოროტმოქმედი, პრესცენტრი არ ერიდებოდა ემხილებინა მსედრიონის ის წევრები, რომლებიც 1993 წლის შემოდგომაზე უმოწყალოდ ძარცვავდნენ და არბევდნენ სამეგრელოს მოსახლეობას.

შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესცენტრი არ იფარგლება მხოლოდ თავისი პუბლიკაციებით. საშუალოდ ერთ კვირაში ქვეყნდება პრესცენტრის თანამშრომელთა 25 საგაზეთო წერილი, 30 ტელესიუჟეტი, 15 რადიო სიუჟეტი.

პრესცენტრის თანამშრომლები ორგანიზაციას უკეთებენ მათ შეხვედრებს სამინისტროს პასუხისმგებელ მუშაკებთან, სთავაზობენ პრობლემურ თემებს, ეხმარებიან საჭირო ინფორმაციის მოპოვებაში.

პრესცენტრს დიდი ავტორიტეტი აქვს უცხოეთში, საჭირო ინფორმაციის მოპოვებისა და ფაქტების გადამოწმებისათვის სისტემატურად უკავშირდებიან ისეთ ავტორიტეტულ სააგენტოებს და კომპანიებს შტაბბინებიდან, როგორიც არის "რეიტერი", "ფრანც პრესი", რადიო "თავისუფლება", "გერმანიის ტალღა", "ამერიკის ხმა" და სხვა. პრესცენტრი და მისი ხელმძღვანელი შეტანილია მრავალ საერთაშორისო საინფორმაციო კატალოგსა და ცნობარში.

პრესცენტრის საქმიანობით აქტიურად არიან დაინტერესებული და მასთან მუდმივი კონტაქტები აქვთ ამერიკის შეერთებული შტატების, რუსეთის, ისრაელის, გერმანიის, წითელი ჯვრის, საქართველოში მოღვაწე სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებს.

შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესცენტრი სისტემატურად აწყობს პრესკონფერენციებს ქართველი და უცხოელი ჟურნალისტებისათვის, აქტიურად მონაწილეობს იმ ღონისძიებებში, რომლებსაც აწყობს შინაგან საქმეთა სამინისტროს საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტი.

შს სამინისტროს სტრუქტურაში პრესსამსახური ის დანაყოფია, რომელიც უზრუნველყოფს აუცილებელ და საჭირო კავშირს მას-მედიასთან, საზოგადოებასთან, სხვადასხვა საინფორმაციო საშუალებებთან.

შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში პრესსამსახური სხვადასხვა ფორმითა და სახით 70-იანი წლებიდან არსებობდა. თუმცა

მაშინ მისი ფუნქციონირება მხოლოდ სტრუქტურის შიგნით გამომავალ გაზეთ "მებრძოლი გუშაგი" - ზედამხედველობით შემოიფარგლებოდა. ყველა ინფორმაცია და მასალები, რაც პრესჯგუფის მიერ მზადდებოდა ძირითადად შინაუწყებრივ ხასიათს ატარებდა, ან მხოლოდ ვიწრო სფეროსათვის იყო განკუთვნილი.

მას შემდეგ, რაც უწყება დემოკრატიულ პრინციპებზე გადავიდა, დროის მოთხოვნებთან ერთად დღის წესრიგში პრესასთან ურთიერთობის გაღრმავების და გააქტიურების საკითხიც დადგა. შეიძლება ასე ითქვას, განახლებულ პრესცენტრს სათავეში ჩაუდგა გამოცდილი , ნიჭიერი და ენერგიული პიროვნება, პროფესიონალი ჟურნალისტი ვალერიან გოგოლაშვილი. სწორედ მისი თაოსნობით ნამოყალიბდა შს სამინისტროს სინამდვილეში ჟურნალისტთა მობილური ჯგუფი პრესისა და ტელევიზიის განხრით.

ფუნქციონირება დაიწყო რადიოჯგუფმა, რომელიც სისტემატურად აწვდიდა საქართველოს პირველ რადიოს ინფორმაციებს ქვეყანაში მიმდინარე კრიმინოგენურ პროცესებზე.

მოყოლებული 1990 წლიდან შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესსამსახური აქტიურადაა ჩაბმული პოლიციურ ცხოვრებაში. ის სკურპულოზურად აღწერს უწყებებში მიმდინარე პროცესებს, არის ინფორმაციის ძირითადი ბაზა, საიდანაც ნეისმიერ საკითხებზე, პროცესზე, ფაქტზე ხდება ამომწურავი მასალების, როგორც ვიზუალური, ასევე ინფორმაციულის - მიღება.

პრესსამსახური უშუალოდ მონაწილეობდა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის გამართულ ბრძოლებში, სადაც ვიდეომასალაზე ფიქსირდებოდა პოლიციელთა ერთუზიაზმი და თავგანწირვა. ეს უნიკალური კადრებია, რომელიც მათ გმირობას ასახავს. ის დღეს ისტორიის კუთვნილებაა და პოლიციის მატიანის საუკეთესო ფურცლებს წარმოადგენს.

ბოლო წლებში შს სამინისტროს პრესსამსახურში მოღვაწეობდნენ ნიჭიერი, საქმიანი და შემოქმედი ახალგაზრდები. თანამშრომელთა გულისხმიერება და მაღალი პროფესიონალიზმი არაერთხელ ყოფილა შს სამინისტროს ხელმძღვანელობის მხრიდან წახალისების საბაბი. საქართველოში მოქმედი სააგენტოები, ტელემაუწყებლობები, ძირითადი გაზეთები სისტემატიურად თანამშრომლობენ პრესსამსახურთან. 100-ზე მეტ ჟურნალისტს მიღებული აქვს პრესსამსახურის სააკრედიტაციო ბარათი.

ვალერიან გოგოლაშვილმა შეძლო პრესსამსახურის სრულად ამოქმედება-კომპეტენციის ფარგლებში. მისი წასვლის შემდეგ პრესსამსახურს მისივე აღზრდილი, პოლიციის მაიორი მაია მოსიძე ხელმძღვანელობდა.

მთავარი სამოქმედო პრინციპი არ შეცვლილა. მეტი კონტაქტი და ურთიერთობები დამყარდა თავისუფალი პრესის წარმომადგენლებთან.

ინფორმაცია მათთვის ნებისმიერ დონეზე, პრესსამსახურის მეშვეობით ხელმისაწვდომი ხდებოდა და საერთოდაც ეს ის სამსახურია, რომელსაც თამამად შეიძლება ეწოდოს ინფორმაციული ღერძი, საყრდენი შს სამინისტროსა და ჟურნალისტებს შორის. არაერთი გამოკითხვით დადასტურებულა, რომ ყველაზე რეიტინგული დღეს საქართველოში პრეზიდენტის პრესსამსახურის შემდეგ შს სამინისტროს პრესსამსახურია. ეს იმითაცაა განპირობებული, რომ საზოგადოების ინტერესი კრიმინალური მოვლენებისადმი იმთავითვე დიდი იყო.

ანალიზი, კოორდინაცია, კონტაქტები - ეს ის პრინციპებია, რომელიც დღემდე რჩება პრესსამსახურის სამოქმედო ფორმულად.

ამჟამად პრესსამსახურს ზაზა ხელაია ხელმძღვანელობს, საკმაოდ ენერგიული და ნიჭიერი პიროვნება. 15 კაციან კოლექტივს გააზრებული და გათვითცნობიერებული აქვს სამოქმედო პრინციპი. ოპერატიულად მიაწოდოს ამომწურავი ინფორმაცია სისტემაში მიმდინარე პროცესებზე მას-მედიას. მოაწყოს პრესკონფერენციები, გამართოს ბრიფინგები და სხვა სახის შეხვედრები.

ხშირად პრესსამსახური თავადვე გამოდის ამგვარი შეხვედრების ინიციატორად. არის მჭიდრო კავშირები სხვა ძალოვანი სტრუქტურების თუ არაპროფილის პრესსამსახურებთან.

ზ. ხელაიას ხელმძღვანელობის პერიოდში პრესსამსახურში შეიქმნა პრესსტუდია, სადაც ხდება გადაცემების მონტაჟი, სიუჟეტების სრულყოფა და შემდეგ სხვადასხვა ტელეეფირებზე გაცემა.

პრესსამსახურის მეშვეობით ხდება გადაცემა "ვიდეოპატრული 02" სათვის ოპერატიულად, სიუჟეტების მიწოდება. სამსახურის ოპერატორები უშუალოდ მონაწილეობენ ოპერლონისძიებებში. გადიან შემოსვლის ადგილზე და აფიქსირებენ კადრებს,

რომელიც ხშირად გამოიყენებისათვის ნივთმტკიცების საგნად გამოიყენება და ერთ-ერთი ხელისშემწყობი ფაქტორია დანაშაულის გახსნისას.

შს სამინისტროს პრესსამსახური, როგორც შტაბის ერთ-ერთი მობილური დანაყოფი, იყო, არის და იქნება ის სამსახური, რომელიც პოლიციური ცხოვრების საინტერესო, ფათერაკიან და მთავარ მომენტებს შთამომავლობას შემოუნახავს.

ალბათ მართებულიცაა, საზოგადოება ამ სამსახურს, პოლიციის მემატიანეებს რომ უწოდებს.

ამრიგად, საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტმა დაარსების პირველი დღეებიდანვე საქართველოს მოწინავე ადამიანთა საუკეთესო ნაწილი ჩააბა მართლწესრიგის განმტკიცებისა და დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების საქმეში. დღეს იგი წარმოადგენს მოსახლეობასთან ურთიერთობის და საზოგადოებრივი აზრის შესწავლის სრულიად ახალ ეფექტიან და სრულყოფილ ფორმას.

დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტმა თავისი არსებობის მანძილზე ბევრი დადებითი და სასარგებლო გააკეთა მოსახლეობის სამართლებრივი აღზრდისა და მართლწესრიგის განმტკიცებისათვის. საზოგადოებრივი აზრის შესწავლის უახლესი მიღწევების, ფორმებისა და მეთოდების გამოყენებით პრაქტიკაში დანერგა დამნაშავეობასთან ბრძოლის მეცნიერულად დასაბუთებული, ყველაზე ქმედითი და ოპტიმალური რეკომენდაციები.

თანამედროვე ეტაპზე, საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლისა და ეკონომიკური რეფორმების განხორციელების პირობებში, ინსტიტუტის მიზანია ყოველმხრივი დახმარება აღმოუჩინოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მართლწესრიგის განმტკიცების, დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების, სამართალდარღვევათა პროფილაქტიკის, კანონიერების განმტკიცებისა და მოსახლეობაში მართლწესრიგის ამაღლების საქმეში.

ინსტიტუტის მრავალმხრივ საქმიანობას დღენიადაგ აშუქებს პრესა, რადიო, ტელევიზია, თვალს ადევნებს საქართველოს

მოსახლეობა, სახელოვანი ახალგაზრდობა. მის საქმიანობაზე დიდ იმედებს ამყარებენ საქართველოს პრეზიდენტი, პარლამენტი, სახელმწიფო კანცელარია, სამინისტროები და დეპარტამენტები, მხარეები, ქალაქები და რაიონები, უმაღლესი სასწავლებლები და სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტები.

საქართველოს პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე ასე განსაზღვრავს ინსტიტუტის მუშაობის მთავარ მიმართულებებს თანამედროვე პირობებში: "დიდი ამოცანების წინაშე დგას საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტი. მისი უმთავრესი საზრუნავია კიდევ უფრო სრულყოს მუშაობის სტილი, ფორმები და მეთოდები, მეტი კონკრეტული დახმარება გაუწიოს საქართველოს ხელისუფლებას, პარლამენტს და შინაგან საქმეთა სამინისტროს ქვეყნის წინაშე მდგარი რთული, საპასუხისმგებლო და კეთილშობილური ამოცანების განხორციელებაში".

საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტის მიერ განვლილი გზა მისი ნაყოფიერი საქმიანობა და მდიდარი გამოცდილება იმის გარანტიაა, რომ იგი შეძლებს საქართველოს პრეზიდენტისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელობის მიერ მის წინაშე დასახული ამოცანების შესრულებას.

თავი მესამე

საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტები

1. თბილისი

ბავშვობა-ადამიანის სიცოცხლის უმნიშვნელოვანესი პერიოდია, კაშკაშა თვითმყოფადი, განუმეორებელი ცხოვრება.

მარცვალი, რომელსაც ბავშვის ბუნებაში ჩადებ, წლების შემდეგ აღმოცენდება. ამიტომ, უდიდესი მნიშვნელობა აქვს, ვინ ჩაჰკიდებს მოზარდს ხელს და გაატარებს ურთულეს ლაბირინთს, რომელსაც ბავშვობა ჰქვია, საიდანაც ადამიანის გულსა და ბუნებაში უნდა შემოვიდეს ცხოვრებისეული რეალობა.

სიცოცხლის ყოველი წუთი, ყოველი ადამიანი, რომელიც ცოტა ხნით მაინც შედის მოზარდის ცხოვრებაში, მისი პიროვნების ფორმირების უშუალო მონაწილე ხდება. ბავშვის ზღაპრულ სამყაროში, სადაც სიკეთისა და ბოროტების, ღირსებისა და უღირსობის, სილამაზისა და სიმახინჯის უსვეულო კრიტერიუმებია, არ უნდა შეაღწიოს პიროვნებამ, ვისთვისაც სულ ერთია, თუ რა ხდება სიკეთისა და პოეტურობის ბროლის კოშკში - ბავშვის სულში.

ბავშვს თავისი პატარა და დიდი გულისწყვეტა, დარდი, ფიქრი და ცრემლი აქვს. ემოციების კულტურის მქონე აღმზრდელი განსაკუთრებული დელიკატურობით მიუდგება ბავშვის პრობლემას და მას ისე გადაუწყვეტს, რომ ზედმეტი სიმკაცრით ახალ ტრავმას არ მიაყენებს.

ბავშვისთვის მთავარია თანაგრძნობა, გულითადობა, მისი თვალებით დანახვა წყენისა, რომელიც უფროსებისათვის უმნიშვნელოა, ხოლო მისთვის სულისშემძვრელი.

თუ ბავშვი უგულო ატმოსფეროში იზრდება, თვითონაც გულგრილი ხდება სიკეთისა და სილამაზის მიმართ. იმისათვის, რომ ნამდვილ ადამიანად აღიზარდოს, ბავშვს საკუთარი ღირსების გრძნობა უნდა ჩამოუყალიბდეს. თავმოყვარეობის უქონლობა განაპირობებს სულიერი სიმდიდრის და ზნეობრივი სიწმინდის დეფიციტს. საკუთარი თავის პატივისცემა, ღირსების, სიამაყის, პატიოსნების გრძნობა - ის სალესი ქვაა, რომელზედაც გრძნობათა სიფაქიზე იკვეთება.

საქართველოში მიმდინარე პროცესებმა ჩვენ სულიერებაში იმდენი ცვლილება შეიტანა, რომ დღითი დღე მზარდი პრობლემების არათუ გადაჭრას, ხშირ შემთხვევაში გაცნობიერებასაც ვერ ვასწრებთ. ძნელია, განჭვრიტო მომავალი, რომელიც ათი წლის შემდეგ დაუდგება ჩვენს მოზარდ თაობას. მესამე ათასწლეულის ბინადარნი უკვე იზრდებიან, ვითარდებიან, სწყინთ და უხარიათ, სწამთ, რომ მამების თაობა გაუკვალავს გზას ცხოვრების ლაბირინთში.

კაცობრიობამ ყველაზე ნაკლებად ბავშვობის ფენომენი შეისწავლდა. სულ ერთი საუკუნეა, რაც მეცნიერება ამ საკითხით დაინტერესდა, ბავშვობის დაუწერელი ისტორია გაცილებით საინტერესოა და მრავლისმომცველია, ვიდრე ყველა მოზრდილისა ერთად აღებული.

ბავშვის აღზრდა კაცობრიობის უპირველესი და უმთავრესი მოვალეობაა. მასზე უფრო დიდი მნიშვნელობა ადამიანებს არც ჰქონიათ და არც არასოდეს ექნებათ.

აღზრდის ჰარმონიული მთლიანობა მოიცავს სულიერ სიმდიდრეს, ფიზიკურ სრულყოფას და კეთილ ზნეობას. ამ ჰარმონიის მიღწევა ისეთივე რთულია, როგორი რთული და მდიდარიც ადამიანის ბუნება.

აღზრდა მრავალწახნაგოვანი პროცესია, იგი წარმოუდგენელია სამი ძირითადი კომპონენტის გარეშე: მეცნიერება, ხელოვნება, პროფესიონალიზმი.

ბავშვის წესიერი აღზრდა - ჩვენი ბედნიერი სიბერის გარანტიაა; ცუდი აღზრდა ჩვენი მწუხარება, დარდი და ცრემლია, ჩვენი დანაშაულია ერისა და ქვეყნის წინაშე. ბავშვს ვერ ჩაგაგონებთ, წესიერი იყოს, თუ ჩვენ არ ვიქნებით წესიერნი, რამეთუ ადამიანს სჯერა იმის, რასაც ხედავს. მომავალი თაობის სულიერი და ფიზიკური სიჯანსაღე ჰარმონიულად უნდა იყოს შერწყმული ინტელექტის და ერუდიციის ფორმირებასთან. სწორედ ამისათვის, საზოგადოების ნებისმიერი წევრი ვალდებულია, მოქალაქეობრივი, პატრიოტული, რაც მთავარია , ადამიანური ვალი მოიხადოს და მინიმუმი მაინც გაიღოს მომავალი თაობის სწორი აღზრდისათვის.

ჩვენს ქვეყანაში მომხდარმა გარდაქმნებმა, ომმა, ეკონომიკის რღვევამ, უთავბოლო ანარქიებმა თავისი კვალი დაასვა საქართველოს საზოგადოებრიობას. დამნაშავეობის ზრდამ არნახულ

მასშტაბს მიაღწია. შინაგან საქმეთა ორგანოების წინაშე რთული ამოცანა დადგა, უნდა ალაგმულიყო მავიოზური კლანებისა და ბანდიტური დაჯგუფებების განუკითხავი თარეში, ტერორი და რეკეტი. პოლიციის წინაშე მდგარი პრობლემების გადაჭრა შეუძლებელი იყო საზოგადოებრივი მოვლენების კვლევის, მეცნიერული, დასაბუთებული რეკომენდაციების შემუშავების, დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლაში მთელი საზოგადოების ნაბმის გარეშე.

1994 წელს, შინაგან საქმეთა სამინისტროს რეკომენდაციით, ქალაქ თბილისის შინაგან საქმეთა მთავარ სამმართველოში შეიქმნა საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტი, რომელსაც სათავეში ნაუდგა პროფესორი ზურაბ ფორაქიშვილი. მანამდე იგი წლების განმავლობაში საქართველოს შს სამინისტროს საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტის პროექტორი იყო.

ამ პერიოდში, ქალაქ თბილისში შეიმნნეოდა მოზარდთა მიერ ნადენილი, ადამიანთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა მატება, ქურდობა, მაწანწალობა და მათხოვრობა, რამაც დედაქალაქის მოსახლეობის სამართლიანი შეშფოთება გამოიწვია. ქალაქ თბილისის შინაგან საქმეთა მთავარი სამმართველოს საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტმა მიიღო გადაწყვეტილება, თავისი მუშაობა წარემართა სწორედ ამ მიმართულებით.

შეიქმნა არასრულწლოვანთა პრობლემების შემსწავლელი სექცია, სექციის შემადგენლობაში შევიდნენ დედაქალაქის ინტელიგენციისა და პედაგოგიური საზოგადოების თვალსაჩინო წარმომადგენლები: გურამ თავართქილაძე, ვლადიმერ ჭანუყვაძე, ჯონდო გაბაშვილი, გია ბაბუნაშვილი, ირაკლი ციციშვილი, ნოდარ ნებიერიძე, თემურ ფანჯიკიძე, გურამ რეხვიაშვილი, ჯემალ შანშიაშვილი, გიორგი წულეისკირი, ლევან ჭილაშვილი, ომარ გოგიაშვილი და სხვები. სექციის წევრებს დიდი პასუხისმგებლობა დაეკისრათ. მათ არა მარტო უნდა შეესწავლათ საზოგადოებრივი აზრი, არამედ უნდა დაედგინათ დანაშაულის გამომწვევი სუბიექტური და ობიექტური მიზეზები, შეემუშავებინათ ბავშვებთან აღმზრდელობით-პროფილაქტიკური მუშაობის გაუმჯობესების მეთოდები.

უდაო ფაქტია, რომ არასრულწლოვანთა შორის დამნაშავეობა ღრმად სპეციფიკური მოვლენაა. არასრულწლოვანთა შორის დამნაშავეობის ანალიზმა დაადასტურა, რომ მართლწესრიგის დამრ-

ღვევ მოზარდთა 60 პროცენტი ცხოვრობდა ისეთ ოჯახებში, სადაც სწავლისა და აღზრდის პირობები არ არსებობდა, შშობლები ყურადღებას არ აქცევდნენ ბავშვის აღზრდას. ცხოვრების დონის გაუარესებამ ყველაზე მეტად ხელმოკლე ოჯახების ბავშვებზე იმოქმედა, სწორედ ეს გახდა ბავშვის გამათხოვრების მიზეზი, იმატა ბავშვთა პროსტიტუციამ.

არსებული პრობლემების ფონზე, ახლადშექმნილ ინსტიტუტს კოლოსალური შრომის გაწევა დასჭირდა, რათა სისტემაში მოეყვანა მის წინაშე მდგარი ამოცანები და შეემუშავებინა გასატარებელ ღონისძიებათა ხანგრძლივი პროგრამა.

პროფესორ ზურაბ ფორაქიშვილის ავტორიტეტმა და მისი თანამოაზრეების ენთუზიაზმმა სასურველი შედეგი გამოიღო. ინსტიტუტმა შეიმუშავა სამუშაო გეგმა და შეუდგა თავის საქმიანობას.

ინსტიტუტის წევრები, შესაბამის სამსახურებთან ერთად , მუდმივად მონაწილეობდნენ მაწანწალა და მათხოვარი ბავშვების გამოსაგლენად მოწყობილ რეიდებში, მათი ჯანმრთელობის მდგომარეობის შესწავლა-გამოკვლევის პროცესებში. ინსტიტუტის რექტორატი იხილავდა კონკრეტული მსჯავრდებული არასრულწლოვანის მიერ ჩადენილ დანაშაულს და ითვალისწინებდა რა მის ქცევას თავისუფლების აღკვეთის ადგილზე ჩადენილი დანაშაულის მიმართ პიროვნების დამოკიდებულებას (მონანიებას), შუამდგომლობას აყენებდა სათანადო ინსტანციებში, დანაშაულის ვადის შემცირების ან შეწყალების თაობაზე.

ინსტიტუტის ფორმირების ადრეულ სტადიაში განსაკუთრებული როლი ითამაშა თბილისის შინაგან საქმეთა მთავარი სამმართველოს უფროსმა, გენერალ-მაიორმა დემურ მიქაძემ, რომელიც პირადად იღებდა მონაწილეობას არასრულწლოვანთა პრობლემებისადმი მიძღვნილ სხდომებსა და შეხვედრებში, სატელევიზიო დიალოგებსა და რადიოგადაცემებში.

აღნიშნულ პერიოდში საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტის რექტორატს ქმედით დახმარებას უწევდნენ შინაგან საქმეთა მთავარი სამმართველოს სხვა ხელმძღვანელები: ნუგზარ ღამბაშიძე, მიხეილ სალაძე, ნიკოლოზ ივანიშვილი, ვალერიან ცინცაძე, შალვა იოსელიანი, ზურაბ გვაზავა, ვასილ მანაგაძე, ოთარ მიქაძე, გონა სისაური, დავით კაჭკაჭიშვილი, ილია შონია და სხვები. განსაკუთრებულ ყურადღებას და თანადგომას ინენდა შინაგან საქმეთა მთავარი სამმართველოს შტაბის უფროსი, პოლიციის პოლკოვნიკი გიორგი ნაცვლიშვილი.

არასრულწლოვანთა პრობლემების შემსწავლელი სექციის წევრებმა, არასრულწლოვანთა შორის დანაშაულის ხელის შემწყობი მიზეზების ღრმად და საფუძვლიანად შესწავლის მიზნით, ჩაატარეს დედაქალაქში, ინსპექციაში აღრიცხვაზე მყოფ არასრულწლოვანთა ანკეტური გამოკითხვა. შედეგები განხილულ იქნა ინსტიტუტის რექტორატის სხდომაზე. ქ. თბილისის შინაგან საქმეთა მთავარი სამმართველოს საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტის რექტორატი თავის უმთავრეს ამოცანად თვლიდა სტატისტიკური მონაცემების დაგროვებას არასრულწლოვან დანაშავეთა ხაზით. შინაგან საქმეთა რაიონულ სამმართველოებზე მიმაგრებული ინსტიტუტის თანამშრომლები მუდმივად აკონტროლებდნენ არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილი დანაშაულის აღრიცხვიანობას.

თბილისის შინაგან საქმეთა მთავარი სამმართველოს საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტის რექტორატმა შეიმუშავა სამოქმედო პროგრამა, რომლის მიხედვითაც გასატარებელ ღონისძიებათა კომპლექსი შემდეგ საკითხებს მოიცავდა:

1. ქ. თბილისის შინაგან საქმეთა რაიონული განყოფილებების მიხედვით, შემოწმების შედეგად დაზუსტებულ ძნელად აღსაზრდელთა და მაწანწალა ბავშვთა აღრიცხვა და სტატისტიკური მონაცემების შეკრება;

2. ძნელადაღსაზრდელი და უზედამხედველო ბავშვების ზნეობრივი და სამართლებრივი აღზრდის საკითხებზე პრესითა და ტელევიზიით გამოსვლებისათვის სათანადო მასალების მომზადება და გაშუქება;

3. მათხოვარი ძნელადაღსაზრდელი ბავშვების შრომაში ჩაბმის დარეგულირება;

4. ხელმოკლე, მათხოვარ, ძნელადაღსაზრდელ არასრულწლოვანთათვის საშეფო სპორტულ-სანახაობრივი ღონისძიებების ორგანიზება;

5. უზედამხედველო და მათხოვარი ბავშვების ჯანმრთელობის მდგომარეობის შესწავლა-გამოკვლევა, მათთვის უფასო მკურნალობის ჩატარება;

6. არასრულწლოვანთა კოლონიის ბინადართათვის საშეფო სპორტულ-სანახაობრივი ღონისძიებების ორგანიზება;

7. ქალაქ თბილისის საშუალო სკოლებში სამართლებრივი აღზრდის თვალსაზრისით, პრაქტიკოს იურისტთა ჯგუფების შედგენა და ლექცია - სემინარების ჩატარება.

ამგვარად, გამოიკვეთა ორი ძირითადი მიმართულება, რომლის მიხედვითაც წარმართა ინსტიტუტმა მოღვაწეობა: 1. პოლიცია ბავშვებს; 2. პოლიცია და სკოლა.

ქ. თბილისის შინაგან საქმეთა მთავარი სამმართველოს საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტის რექტორატის მიერ ნატარებულ იქნა 8 გაფართოებული და 20 გამსვლელი სხდომა. ყველა მათგანი არასრულწლოვანთა პრობლემების გადაჭრის გზების ძიებას მიეძღვნა.

შინაგან საქმეთა ორგანოების წარმომადგენლები მიზანმიმართულად მოქმედებდნენ, რამაც პოლიციას პოპულარობა მოუხვეჭა მოსახლეობის თვალში, ამას გარკვეულწილად ხელი შეუწყო საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტის კოორდინირებულმა მუშაობამ. საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტი თავის საქმიანობას შინაგან საქმეთა მთავარი სამმართველოს ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცებული გეგმის მიხედვით წარმართავდა. ამ პერიოდში ბევრ სასიკეთო საქმეს ჩაეყარა საფუძველი, მათ შორის უმნიშვნელოვანესი, მთავარი სამმართველოს ყოველკვირეული გაზეთის დაფუძნება იყო. ქ. თბილისის შინაგან საქმეთა მთავარ სამმართველოს 1994 წლამდე საკუთარი გაზეთი არ გააჩნდა. პროფესორ ზურაბ ფორაქიშვილის მეცადინეობით დაფუძნდა ყოველკვირეული გაზეთი "იმედი", რომელსაც სათავეში ჩაუდგა ტარიელ ტრაპაიძე. მისი ხელშეწყობით და უშუალო მონაწილეობით მთავარი სამმართველოს საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტის რექტორატმა არა ერთი მნიშვნელოვანი ღონისძიება ჩაატარა. ყველა მათგანი ფართოდ გაშუქდა გაზეთ "იმედის" ფურცლებზე. "იმედი" მზრუნველობით ეკიდებოდა გზასაცდენილ მოზარდ თაობას, შეძლებისდაგვარად მონაწილეობდა იმ ღონისძიებებში, რომლებიც მიმართული იყო მათ გამოსასწორებლად და საზოგადოებისათვის სასარგებლო ადამიანებად ჩამოსაყალიბებლად. სამწუხაროდ, ეს გაზეთი დღეს აღარ ფუნქციონირებს.

არასრულწლოვანთა დანაშაულთან ბრძოლის ძირითადი პირობა მისი პროფილაქტიკაა. ყველანაირ პრფილაქტიკაზე საუბარი ზედმეტია, ვიდრე მოზარდთა უმრავლესობა სოციალურად დაუცველია: შიმშილობენ ინვალიდი, ავადმყოფი, ობოლი ბავშვები.

საქართველოს რესპუბლიკის კანონი "ინვალიდთა სოციალური დაცვის შესახებ", ითვალისწინებს განსაკუთრებულ პირობებს ინვალიდთა აღზრდისა და პროფესიული მომზადების უზრუნველ-

საყოფად. კერძოდ, ინვალიდებს სახელმწიფო უქმნის აუცილებელ პირობებს განათლების, სამედიცინო მომსახურეობის და სოციალური უზრუნველყოფის მისაღებად. თუ შეუძლებელია ინვალიდ ბავშვთა აღზრდა და სწავლება სასწავლო დაწესებულებებში, მათი სწავლება ხდება ოჯახში, განათლებისა და სხვა სახელმწიფო ორგანოები ვალდებულნი არიან უზრუნველყონ აღნიშნული ღონისძიებების ორგანიზაცია, რათა ამ კატეგორიის ბავშვებმა მიიღონ აუცილებელი განათლება, საყოფაცხოვრებო და შრომით ადაპტაციასთან ორგანულ კავშირში. ნორმალური განვითარებიდან გადახრილ, ფიზიკური ნაკლის მქონე ბავშვებისათვის იქმნება სპეციალური საგანმანათლებლო დაწესებულებები, სადაც წარმოებს მათი მკურნალობა, აღზრდა, სწავლება და საზოგადოებრივ ცხოვრებაში ინტეგრაცია. ამგვარი დაწესებულებების დაფინანსება ხდება მაღალი ნორმატივებით.

სამწუხაროდ, ჩვენი ქვეყნის დღევანდელი ფინანსური მდგომარეობა ვერ უზრუნველყოფს აღნიშნული კანონის მოქმედებას. შინაგან საქმეთა მთავარი სამმართველოს საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტი აცნობიერებდა რა საკუთარ როლს აღნიშნული პრობლემის შესწავლისა და მოგვარების გზების ძიებაში, შეძლებისდაგვარად აწარმოებდა მუშაობას ამ მიმართულებით.

1996 წელს სათნო ქალბატონის, 6 შვილის დედის მარინე სვანიძის ინიციატივით დაიწყო მოძრაობა "პოლიცია - ახალგაზრდებსა და ბავშვებს". მოძრაობას. მხარი დაუჭირა ქალაქ თბილისის შინაგან საქმეთა მთავარი სამმართველოს საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტის რექტორატმა. ჩამოყალიბდა საინიციატივო ჯგუფი, რომელმაც სამოქმედო პროგრამის შემუშავება დაიწყო. საინიციატივო ჯგუფის წევრებმა საჭიროდ ჩათვალეს თბილისის პოლიციის მთავარი სამმართველოს საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტთან ერთად შეექმნათ "არასრულწლოვანთა და ბავშვთა უფლებების დაცვის საკოორდინაციო საბჭო", რომელსაც, როგორც ინიციატორნი, "საქართველოს ბავშვების" ხელმძღვანელები ჩაუდგნენ სათავეში. საბჭოს ხელმძღვანელობა "საქართველოს ბავშვების" გამგეობის თავმჯდომარეს ნათია სვანიძეს დაევალა. საბჭოს წევრები გახდნენ დაინტერესებული ორგანიზაციების წევრები.

მოძრაობას გამოეხმაურნენ:

საპატრიარქოსთან არსებული ახალგაზრდული ცენტრი "ძლევაი", ხელმძღვანელი გიორგი ანდრიაძე;

- მანდილოსანთა საკრებულო "დედათა საკანე" ნინო სვანიძის ხელმძღვანელობით;

- ქალაქ თბილისის ახალგაზრდობის დეპარტამენტი - გიორგი ტაბატაძის ხელმძღვანელობით.

მოძრაობას გამოეხმაურა მოქალაქეთა ახალგაზრდული კავშირი, მრავალი არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაცია. ნატარდა რამოდენიმე სხდომა, შედგა პროგრამა. საბჭომ მიიღო მიმართვა, რომელიც გამოქვეყნდა პრესითა და ტელევიზიით. მოძრაობა საზეიმოდ გაიხსნა 1996 წლის 23 ოქტომბერს, ქალაქ თბილისის პოლიციის მთავარი სამმართველოს სხდომათა დარბაზში . შინაგან საქმეთა მთავარი სამმართველოს ხელმძღვანელ მუშაკთა და საზოგადო მოღვაწეთა გამოსვლების შემდეგ სცენა ანსაბმელ "საქართველოს ბავშვებს" დაეთმო. ჯანმრთელ ბავშვებთან ერთად თავისი სიმღერებით დარბაზი დაატკბეს უსინათლო მომღერალთა ვაჟთა ფოლკლორულმა ანსაბმელმა, 9 აპრილს მონაწილე ქალთა ტრიომ. პოლიციის სამმართველოს ხელმძღვანელობამ ფულადი სანუქრები გადასცა კონცერტის მონაწილეებს.

კონცერტი მიჰყავდა მოძრაობა "პოლიცია - ახალგაზრდებსა და ბავშვებს" მთავარ კოორდინატორს თამაზ ბერუნაშვილს. ღონისძიებამ, რომელიც სევდანარევი სიხარულით იყო სავსე, კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა, რომ დროა კვლავ შეამოვკრათ "კაკაბეთის ზარებს" და ერთობლივი ძალისხმევით გადავარნინოთ საქართველოს მომავალი თაობის მერმისი. "საქართველოს ბავშვების" მიერ დაწესებული საპატიო წოდება "საქართველოს ბავშვების რაინდი" მიენიჭათ და სიგელები გადაეცათ დემურ მიქაძეს და ზურაბ ფორაქიშვილს.

ახალგაზრდების, ბავშვების, ასევე მათი მშობლების და სხვა დაინტერესებული პირების ინტერესების გათვალისწინებით დაიგეგმა შეხვედრათა ციკლი, სახელწოდებით - "გულახდილი დიალოგი". დიდუბის რაიონის ახალგაზრდების ინიციატივით, პირველი შეხვედრა მოეწყო 1997 წლის 21 მარტს, დიდუბის რაიონის გამგეობის შენობაში. მიუხედავად იმ ბარიერისა, რომელიც არსებობდა პოლიციელებსა და ძნელადაღსაზრდელ მოზარდებს შორის, შეხვედრამ გულთბილ ვითარებაში ჩაიარა. ახალგაზრდების შეკითხვებზე უპასუხა დიდუბის რაიონის არასრულწლოვანთა ინსპექციის უფროსმა ალექსანდრე გვენცაძემ. ითქვა, რომ საჭიროა არასრულწლოვანებს გაარნდეთ თავშეყრის ადგილები.

მეტი ყურადღება უნდა მიექცეს მათ ესთეტიკურ აღზრდას. ადრეულ წლებში მჭიდრო კავშირი იყო პოლიციასა და ახალგაზრდულ ორგანიზაციებს შორის. ისინი ერთობლივ მუშაობას ატარებდნენ და შედეგიც უკეთესი იყო. პოლიტიკური ვითარების შეცვლის გამო, მოიშალა სტრუქტურები. სიხში მოექცა არასრულწლოვანთა დასაქმებისა და მათი ხედამხედველობის პრობლემა. დაისახა გზები პრობლემების გადასაჭრელად. ითქვა, რომ საზოგადოება უნდა დაახლოვდეს პოლიციასთან, რათა ერთობლივად გადაიჭრას მრავალი მტკივნეული საკითხი, ვინაიდან ხსნა მხოლოდ ერთობლივ ძალისხმევაშია. გადაწყდა, რომ უახლოეს ხანში თბილისის პოლიციის მთავარი სამმართველოს საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტთან ერთად შეიქმნას "ახალგაზრდათა და ბავშვთა კულტურულ-საგანმანათლებლო და სპორტულ-პატრიოტული აღზრდის ცენტრი", რომელიც განთავსდება მედიცინის მუშაკთა პროფკავშირის კულტურის ცენტრის შენობაში. ახალგაზრდებს შეეძლებათ სურვილის მიხედვით გაწევრიანდნენ მათთვის სასურველ წრეებში და სპორტულ სექციებში.

კრწანისის გამგეობის თამჯდომარემ, ირაკლი მეძმარიაშვილმა დაინტერესება გამოიჩინა ამ საკითხის მიმართ. 11 აპრილს ხუთას კაციანი დარბაზი სავსე იყო რაიონის მოსწავლეახალგაზრდობით. სტუმრად მოწვეულთა შორის იყვნენ ქალაქის ვიცე-მერი გიორგი წერეთელი, შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელი გიორგი ერქომაიშვილი, შს სამინისტროს არასრულწლოვანთა ინსპექციის სამმართველოს უფროსი გელა ქავთარაძე, რომელიც წლების მანძილზე იბრძვის "რისკის შვილების" მდგომარეობის გაუმჯობესებაზე.

ხურაბ ფორაქიშვილმა ახალგაზრდებს ყოველგვარი დაძაბულობა მოუხსნა და მამა-შვილურად დამოძღვრა ისინი. ახალგაზრდა სპორტსმენებმა მატერიალური დაინტერესების გარეშე დარბაზში მყოფ ძნელადაღსაზრდელებს სპორტულ სპექციებში გაწევრიანება შესთავაზეს. ახალგაზრდებთან შეხვედრის და "გულახდილი დიალოგის" ტრადიცია კრწანისის რაიონის პოლიციის სამმართველომ შემდგომშიც გააგრძელა.

უჩვეულო ღონისძიება მოეწყო თბილისის მედიცინის მუშაკთა პროფკავშირის კულტურის ცენტრში, რომლის დირექტორის ამირან მესხიშვილის დამსახურებაა მრავალი სასიკეთო წამოწყების წარმატებით დაგვირგვინება. "საქართველოს ბავშვე-

ბის“ ანსამბლის გამოსვლის შემდეგ, სცენაზე გაიმართა დიალოგი შინაგან საქმეთა ხელმძღვანელებსა და დარბაზში მყოფ ახალგაზრდებს შორის. ბოლოს, ზურაბ ფორაქიშვილმა სცენაზე მოიწვია სამი ახლადდაქორწინებული წყვილი. ახლადდაქორწინებულებს შინაგან საქმეთა მთავარი სამმართველოს ხელმძღვანელობისაგან საქორწილო ბეჭდები გადაეცათ საჩუქრად. ბატონი ზურაბის მოლოცვას ვაჟთა ანსამბლის მრავალეამიერი მოჰყვა.

1997 წლის 17 ივნისს მედიცინის მუშაკთა კულტურის ცენტრის საკონცერტო დარბაზში შედგა ქალაქის ყველა რაიონის ძნელადაღსაზრდელებისა და პოლიციის მთავარი სამმართველოს ახალი ხელმძღვანელობის შეხვედრა. აღსანიშნავია, რომ თბილისის პოლიციის შეფმა იოსებ ალავიძემ დახმარება აღუთქვა მასპინძლებს. ღონისძიებას დაესწრო სახელმწიფო მინისტრის მოადგილე ზაზა შენგელია, რომელსაც წლების მანძილზე ახალგაზრდების, ბავშვებისა და ინვალიდების მიმართ გაწეული ღვაწლისათვის გადაეცა “საქართველოს ბავშვების რაინდის“ სიგელი.

მოძრაობამ უმასპინძლა ამერიკელ ექიმს ლაშა თოფურიძეს, რომელიც უფასოდ მკურნალობდა ქართველ ბავშვებს. განსაკუთრებით აღსანიშნავია სამკურნალო ცენტრ “პირამიდას“ დირექტორის, მეცნიერებათა კანდიდატის, თამაზ ნანიტაშვილის დამსახურება. მიუხედავად სიძნელეებისა, მოძრაობის ხელმძღვანელობა, მრავალ საქველმოქმედო ღონისძიებას გეგმავს სამომავლოდ. ისინი ხომ ჩვენი მომავალი თაობის საკეთილდღეოდ იღწვიან.

ქალაქ თბილისის შინაგან საქმეთა მთავარი სამმართველოს საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტის საგზაო პოლიციის დამხმარე სექცია, პროფესორ გიორგი წულეისკირის ხელმძღვანელობით, არაერთი წამოწყების ინიციატორად მოგვევლინა. საგზაო წესების დაცვის შესრულების საქმეში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მომავალი თაობის ადრეული პერიოდიდან აღზრდას, პრობლემის გადასაწყვეტად, საგზაო პოლიციის დამხმარე სექციამ სპეციალური პროგრამა შეიმუშავა, რომელიც განკუთვნილია ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში მოძრაობის უსაფრთხოების წესების შესასწავლად. თაობას, რომელიც უახლოეს მომავალში ქვეყნის მმართველობის სათავეში უნდა ჩადგეს, სჭირდება სათუთი მოვლა და დაცვა იმ უბედური შემთხვევებისაგან, რომლებიც სააეტომობილო მოძრაობის ინტენსიური განვითარების გამო ხშირია ნებისმიერ ქვეყანაში. ამ მოვლენის

თაკიდან ასაცილებლად, საგზაო პოლიციის დამხმარე სექციის ხელმძღვანელობას აუცილებლად მიანნია ქვეყნის ყველა მოქალაქისათვის ქუჩაში მოძრაობის წესების დაცვის აუცილებლობის შთანერგვა. ეს ღონისძიება შეიძლება შემდეგ ეტაპებად დაიყოს:

1. ოჯახი. როგორც კი ბავშვი ფეხს აიდგამს, მარტივი სათამაშოების გამოყენებით, შეიძლება ნაგუნერგოთ მას ქუჩაში მოძრაობის უსაფრთხოების ანბანი - წითელი, ყვითელი და მწვანე ფერის სათამაშობეის შენაცელებით და მათი დანიშნულების ზოგადი ათვისებით;

2. საბავშვო ბაღი. აქ უკვე სასწავლო საშუალებების ბაზა ბეკრად მდიდარია. შეიძლება უმარტივესი საგზაო ნიშნების ათვისება. ხატვაში ან ქარგვაში მეცადინეობის დროს შეიძლება მარტივი საგზაო ნიშნების გამოსახვა. ბაღის ტერიტორიაზე ელემენტარული პოლიგონის შექმნა, რამოდენიმე გზაჯვარედინით და ნიხით.

3. სკოლა. მიზანშეწონილად და აუცილებლად მიგვანნია სკოლის პროგრამაში საგზაო მოძრაობის წესების შეტანა მინიმალური კურსით მაინც

სკოლის მოსწავლეთა შორის საგზაო მოძრაობის წესების დაცვის დანერგვის და პროპაგანდის მიზნით, თბილისის შინაგან საქმეთა მთავარი სამმართველოს ადმინისტრაციული პოლიციის საგზაო პოლიციასთან არსებული საზოგადოებრივი სამსახურის (უფროსი - მ. ტულუში) სტრუქტურაში მოქმედებს სასკოლო ჯგუფი (უფროსი - თ. კობახიძე). ჯგუფის ნამოყალიბებისთანავე გაიშალა ფართო მუშაობა ქალაქის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში, მოსწავლეთა (უმეტესად დაწყებითი კლასები) შორის საგზაო მოძრაობის წესების შესწავლისათვის.

შედგენილია და 1997 წელს გამოცემულია საგზაო მოძრაობის წესების შემსწავლელი კლასგარეშე მუშაობის პროგრამა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისათვის (ავტორები: რ.ნარგეიშვილი, მ. ტულუში, ზ. მარუაშვილი, გ. წულეისკირი და თ. კობიძე). პროგრამაში მოცემულია (1-4 და 5-9) კლასებისათვის) სასაუბრო თემატიკა, პროგრამა, თემატური გეგმები. გეგმების შესაბამისად შემუშავებული იქნა მასალა დანართითა და პასუხებით.

პროგრამა განათლების სამინისტროს განკარგულებით გაგზავნილია ქალაქის ყველა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში, მის განხორციელებას კურირებენ ქალაქის საგზაო პოლიციასთან

არსებული საზოგადოებრივი საქსახურის ლექტორთა ჯგუფები (კ. აბულაძის და თ. კობიძის ხელმძღვანელობით). ყველა ეს ღონისძიება არ იქნებოდა სრულყოფილი, რომ არა მათი პრაქტიკული განხორციელება. სწორედ ამ მიზანს ემსახურებოდა 1997 წელს ვერის ბაღის კალათბურთის მცირე დარბაზში ქუჩაში მოძრაობის წესების ცოდნის გამოსამჟღავნებლად ჩატარებული თბილისის ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლების მოსწავლეთა პირველი ვიქტორინა.

სექციის მიერ ჩატარებული იქნა:

1. თბილისის ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლებში მოძრაობის უსაფრთხოების რაიონული 7 ვიქტორინა;

2. სააგიტაციო ერთობლივი ღონისძიება - აუტოგადარბენა "წესრიგი ქუჩებში და გადასასვლელებზე";

3. რაიონების საგზაო პოლიციისა და საზოგადოებრივი საქსახურის ერთობლივი ღონისძიება "წესრიგი ყველასათვის";

4. ქალაქის ქუჩებში სავალი ნაწილის და შუქნიშნების მოწესრიგების ღონისძიება;

5. საგზაო პოლიციასთან ერთად ჩატარდა ღონისძიება "სირენა";

6. სექციამ მონაწილეობა მიიღო (და თანააავტორად მოგვევლინა) ბროშურების "საგზაო მოძრაობის წესები", "კლასგარეშე მუშაობის პროგრამა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისათვის" და "უსაფრთხოების ანბანი", მომზადებაში, რომელიც შემუშავდა სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებისათვის.

დემოკრატიული სახელმწიფოს ჩამოყალიბების საწყის ეტაპზე, მომავალ თაობაზე განსაკუთრებული ზრუნვა სახელმწიფო პოლიტიკის პრიორიტეტულ მიმართულებად გამოცხადდა. საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით, დამტკიცდა სახელმწიფო პროგრამა, რომელიც ითვალისწინებს არასრულწლოვანთა შორის საქართალდარღვევათა პროფილაქტიკას, მათი პროფესიული მომზადებისა და სოციალური ადაპტაციის სისტემის შემუშავებას. რაც უფრო ძლიერდება ჰუმანიზაციის პროცესი, მოზარდს აღარ აკმაყოფილებს მხოლოდ თავს მოხვეული იდეის შემსრულებლის ფუნქციები, იგი ცდილობს, ნებისმიერ საზოგადოებრივ ეტაპზე იყოს მოვლენების შუაგულში. მისი ამგვარი მდგომარეობა ცხადყოფს, რომ მიმდინარეობს პიროვნების თვითრეალიზაციის, მისი ინდივიდუალურობის, პოტენციური შესაძლებლობების,

ძლიერი და სუსტი მხარეების ჩამოყალიბების პროცესი. ბავშვთა და მოზარდთა აქტიურობას ყოველმხრივი წახალისება სჭირდება, მათ ენერგიას კი - სწორი გზით წარმართვა. ეს განსაკუთრებით აქტუალურია, როდესაც ქვეყანა გარდამავალი პერიოდის სტადიაშია და აღმსრდელობითი და პროფილაქტიკური ღონისძიებები განსაკუთრებულ ძალისხმევას მოითხოვს.

ქ. თბილისის შინაგან საქმეთა მთავარ სამმართველოში ღრმად აცნობიერებენ, რომ საქართველოს მომავალი თაობა არის ქვეყნის, მისი ძლიერების ხვალინდელი დღე. 1997 წელი ქ. თბილისის შინაგან საქმეთა მთავარი სამმართველოს საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტისათვის გარდამტეხი აღმოჩნდა მუშაობის გააქტიურების თვალსაზრისით. ამის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი ინსტიტუტისადმი სამმართველოს ახალი ხელმძღვანელობის ცალსახად დადებითი დამოკიდებულებაა. ინსტიტუტის საქმიანობისადმი დიდი ინტერესი გამოიჩინა სამმართველოს ახალმა უფროსმა იოსებ ალავიძემ. როდესაც შინაგან საქმეთა მთავარი სამმართველოს საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტის მუშაობის ამ პერიოდს მიმოვიხილავთ, შეუძლებელია არ აღვნიშნოთ, თბილისის კრიმინალური პოლიციის შეფის, უშანგი მგელაძის სრული თანადგომა.

აღნიშნულ პერიოდში არასრულწლოვანთა სოციალური დაცვის, პროფესიული მომზადებისა და სამართალდამრღვევთა პროფილაქტიკის სახელმწიფო პროგრამის შესაბამისად, რაიონულ გამგეობებთან შეიქმნა არასრულწლოვანთა პრობლემების შემსწავლელი კომისიები, ჩატარდა ზემოხსენებულ საქმეების ინსპექციის თანამშრომელთა ატესტაციები, შემუშავდა მათი მუშაობის გეგმა

არასრულწლოვანთა ინსპექციის მუშაობის ეფექტურობის გაზრდისა და კონტროლის მიზნით, საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტის მიერ შემუშავებული იქნა პატაკის ,ყოველკვირეული ფორმა, რომელიც პოლიციის მთავარი სამმართველოს ხელმძღვანელობის მიერ მოწონებული და დამტკიცებულია. 2000 წლიდან პატაკი იქნება არასრულწლოვანთა ინსპექციის ინსპექტორის ყოველკვირეული მუშაობის შეფასების ერთ-ერთი ძირითადი ფორმა. პატაკის შევსებას კონტროლი გაეწევა როგორც განყოფილების უფროსის მხრიდან, ასევე საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტის არასრულწლოყანთა სექციის რაიონზე მიმაგრებული მუშა ჯგუფის ხელმძღვანელის მიერ.

საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტი აქტიურად ჩაება ქ. თბილისის ქუჩებში მოზღვავებული პორნოგრაფიული ჟურნალ-გაზეთების აკრძალვისათვის ჩასატარებელი ღონისძიებების საქმეში. საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტის მიერ მოზიდული იქნა განათლების, პროკურატურის, პოლიციის, არასრულწლოვანთა რაიონული გამგეობების, სამღვდელოების წარმომადგენლები, ჩატარებული იქნა სხდომა და სხდომის გადაწყვეტილების შესაბამისად ქ. თბილისის გამგეობას გაეგზავნა თხოვნა სასწრაფო ღონისძიებების გატარების შესახებ.

საქართველოს დღევანდელი მძიმე სოციალურ-პოლიტიკური ყოფის ფონზე თანდათან მძაფრდება ტრადიციული ქართული და ქრისტიანული ზნეობისათვის შეუფერებელი ფსევდოდემოკრატიული ტენდენციები, რომლებიც სრულიად უსაფუძვლოდ , დასავლური კულტურის ერთ-ერთ ძირითად მიმართულებად მიიჩნევა. ამგვარი ანტიზნეობრივი პროპაგანდის ავანგარდში სქესობრივი გარყვნილების ქადაგებაა.

ქ. თბილისის გამგეობის გადაწყვეტილების მიღების შემდეგ დედაქალაქის პოლიციის მთავარი სამმართველოს კრიმინალური პოლიციის კორუფციასთან და ეკონომიკურ დანაშაულთან ბრძოლის თანამშრომლების მიერ ჩატარებული იქნა ოპერატიული ღონისძიება, რის შედეგადაც პორნოგრაფიული ნაბეჭდი პროდუქციის დამზადების და რეალიზაციის ფაქტზე მხილებული იქნა გაზეთების "ძინ-ძინ"-ის და "დაიმონეთ მამაკაცი"-ის მთავარი რედაქტორი. მისი დაკავების პროცესში აღმოჩნდა სარეალიზაციოდ გამზადებული ზემოხსენებული გაზეთების 700 ნომერი. ჩატარდა ამოღებული მასალის საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ექსპერტიზა, რომელმაც დაადასტურა გაზეთების პორნოგრაფიული ლიტერატურისადმი მიკუთვნების ფაქტი. ამის შემდეგ მოსაკვლევი მასალები გადაეგზავნა საქართველოს გენერალური პროკურორის საგამოძიებო სამსახურს, სადაც აღიძრა სისხლის სამართლის საქმე.

არასრულწლოვანთა შორის დანაშაულის აღკვეთისა და მისი პროფილაქტიკის გაუმჯობესების მიზნით, განათლების მთავარი სამმართველო და ქ. თბილისის შს მთავარი სამმართველოს საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტი ატარებენ მრავალფეროვან ერთობლივ ღონისძიებებს, როგორიცაა არასრულწლოვანთა შორის დანაშაულის პროფილაქტიკის ერთობლივი რეიდები სასწავლო

დაწესებულებებსა და საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში, შეხვედრები სამართლებრივი ორგანოების წარმომადგენლებთან, ერთობლივი კოლეგია არასრულწლოვანთა დანაშაულის პრობლემებზე. განსაკუთრებით აღსანიშნავია 1999 წლის 12 მარტს, ქ. თბილისის შს მთავარი სამმართველოს სააქტო დარბაზში ჩატარებული პრესკონფერენცია, რომელიც გაემართა ქ. თბილისის შს მთავარი სამმართველოს ხელმძღვანელობამ ქ. თბილისის განათლების მთავარ სამმართველოსთან არსებული მოსწავლეთა კლუბის წევრების მონაწილეობით. პრესკონფერენცია (თემა: მოზარდი და სამართალი) ფართოდ გაშუქდა ტელევიზიით და პრესის საშუალებით, რაშიც საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტს, როგორც შეხვედრის ორგანიზატორს აქტიური დახმარება გაუწია ქ. თბილისის შს მთავარი სამმართველოს პრესცენტრმა.

1999 წლის 18 მარტს შს მთავარი სამმართველოს საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტის და შს მთავარი სამმართველოს სპეციალური დანიშნულების რაზმის (ხელმძღვანელი თ. მღებრიშვილი) საერთო ძალისხმევით, საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის მიერ გამოყოფილი საბავშვო ლიტერატურა გადაეცა დედაქალაქის უპატრონო ბავშვთა ერთ-ერთ თავშესაფარს "მომავლის სახლს" (დირექტორი ქ. ცირა ლანჩავა) ბიბლიოთეკის შესაქმნელად და ქ. თბილისის არასრულწლოვანთა მიმღებ-გამანაწილებელს. ამ აქტის ორგანიზატორი, საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტი მადლობას უცხადებს ეროვნული ბიბლიოთეკის ხელმძღვანელობას, შს მთავარი სამმართველოს უფროსს და სპეცდანიშნულების რაზმის უფროსს გამოჩენილი გულისხმევისათვის.

დაძაბულმა, ფათერაკებით აღსავსე ცხოვრებამ ჩვენი ახალგაზრდობა "ტაძრისკენ მიმავალ გზას" მოწყვიტა. როდის დამთავრდა ჩვენი შვილების ბავშვობა? ალბათ მაშინ, როცა ისინი პირველად გავატარეთ დამწვარ-დანგრეულ რუსთაველზე! მაშინ როცა ტალონებით ხელში პურის რიგში ჩავაყენეთ! მაშინ, როცა აღმოაჩინეს, როგორი მოჩვენებითი გულგრილობით არიდებდნენ თვალს ხელგამოწვდილ მათხოვრებს, მათი სააპაყო მამები!

დღეს ჩვენი ბავშვები უკვე დიდები არიან! ჩვენსავით სწუხან, ეცოდებათ, სწყინთ და უხარიათ. ვერ დავიცავით ჩვენი შვილების ბავშვობა. ჩვენ მათ ვარდისფერი საოვალე ჩამოვხსენით, შიმშილი, სიცივე და შიში ვაჩვენეთ, ოცნებას გადავაჩვიეთ, ტყუილს მიეჩვიეთ! ვერ გავუფრთხილდით... და აი, მომრავლდნენ ქუჩის

კუთხეში მორცხვად და ურცხვად ხელგაწვდილნი... კოლონიებში ნაღვლიანთვალებიანი თავგადაპარსულნი... ყველა ტკივილი დაამდება, ყველა ჭრილობა მოშუშდება, ჩვენი შვილების მომავალი ისეთი იქნება, როგორსაც ჩვენ შევუქმნით, ჩვენ - მთელი საზოგადოება. საზოგადოების აქტიური ჩარევა აღმზრდელობითი პროცესის მიმდინარეობაში, მნიშვნელოვანად შეამცირებს ბოროტმოქმედ ელემენტთა რიცხვს, რაც უფრო მეტ ყურადღებას იგრძნობს მოზარდი, მით უფრო მეტად ბედნიერი იქნება, პირად ცხოვრებაში არ გაუჭირდება ადგილის პოვნა და შეგნებული მოქალაქის სახელის დამკვიდრება. როგორ იპოვოს ბავშვმა თავისი ადგილი ცხოვრებაში - ეს არის არსი, რასაც აღმზრდელი უნდა ასწავლიდეს მოზარდს.

ძნელადაღსაზრდელად ჩამოყალიბების მიზეზთა აღმოფხვრისათვის ბრძოლა მთელი საზოგადოების, თითოეული მოქალაქის ვალია, ამ ურთულესი პრობლემის გადაჭრაში ყველამ უნდა შეიტანოს წვლილი თავისი შესაძლებლობების მიხედვით.

შს მთავარი სამმართველოს საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტის მიერ დაგეგმილ ღონისძიებებში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობოდა ავჭალის ბავშვთა კოლონიის ბინადრებთან სისტემატურ შეხვედრებსა და საუბრებს. ინსტიტუტის წევრებს, შინაგან საქმეთა მთავარი სამმართველოს ხელმძღვანელთა დახმარებითა და ხელის შეწყობით, ფასიანი საჩუქრები და ტანსაცმელი მიჰქონდათ არასრულწლოვანი დამნაშავეებისათვის, იმართებოდა კონცერტები და სანახაობრივი წარმოდგენები.

შს მთავარი სამმართველოს საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტს აქვს სურვილი ავჭალის კოლონიაში ჩამოაყალიბოს კერამიკული საამქროები, სადაც მსჯავრდებული მოზარდები შეისწავლიან ფერწერას, ქარგვას, გრავიკას, მოეწყობა შექმნილი კერამიკული ნაწარმის გამოფენა-გაყიდვა და შემოსული თანხა მოხმარდება სოციალურად დაუცველ პატიმართა ოჯახებს. ასევე კოლონიაში მყოფი მოზარდებისათვის უნდა შეიქმნას სარეაბილიტაციო ცენტრი, რომელიც ფსიქოლოგიურ და სოციალურ დახმარებას გაუწევს მსჯავრდებულთ, ინსტიტუტის ამ წინადადებას გაგებით და თანამშრომლობის სურვილით შეხვდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტი. 2000 წლის მეორე ნახევრისათვის ავჭალის კოლონიას თავისი სარეაბილიტაციო ცენტრი და სასწავლო საამქრო ექნება.

არ არსებობენ ობლები, არიან ბავშვები, რომელთა მშობლები ღვთის ნებით და განგებით შესაფერის დრო-ჟამზე ადრე შეუერთდნენ ანგელოზთა ციურ დასს. მათი შვილები ჩვენი, ყველას, თითოეულის შვილებია. ჩვენი ვალია, რაც შეიძლება გავულამაზოთ ბავშვებს ბავშვობა, ვინ სიტყვით, ვინ საქმით, ვისაც რა შეგვიძლია იმით.

1996 წელს ჩამოყალიბდა ობოლ ბავშვთა დახმარების ახალგაზრდული ასოციაცია, რომლის პრეზიდენტიცაა მისი დამფუძნებელი ლია პაპიაშვილი. ქ. თბილისის შს მთავარი სამმართველოს საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტის და ობოლ ბავშვთა დახმარების ახალგაზრდა ფონდის თაოსნობით, ქ. თბილისის შს მთავარი სამმართველოს კადრებისა და პირად შემადგენლობასთან მუშაობის სამსახურმა (ხელმძღვანელი ზ. ბურჯანაძე) და სპეცდანიშნულების რაზმის ხელმძღვანელობამ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს დაღუპულ პოლიციელთა სახელზე გაშენებულ ხსოვნის ხეივანს ჩაუყარა საფუძველი. ვინ იცის, რამდენი ფიქრის, ოცნების თუ შრომის ნაყოფია იგი. საქართველოში, სამწუხაროდ, ბევრი ობოლი ბავშვია, მათი რიცხვი განსაკუთრებით ბოლო დროინდელი ომების შემდგომ გაიზარდა ამ ბავშვებს სულიერი საზრდო ისე სჭირდებათ, როგორც სხვა ყველაფერი დანარჩენი. "ხსოვნის ხეივანის" საზეიმო გახსნას ესწრებოდნენ ქ. თბილისის შს მთავარი სამმართველოს ხელმძღვანელობა. ობოლ ბავშვთა დახმარების ფონდთან არსებული ანსამბლის მიერ ჩატარებულ საზეიმო კონცერტზე იყვნენ დაღუპულ და გარდაცვლილ პოლიციელთა შვილები, შვილიშვილები. პოლიციის პოლკოვნიკმა ზ. ბურჯანაძემ და პოლიციის პოლკოვნიკმა თ. მღებრიშვილმა ბავშვებს გადასცეს ფასიანი საჩუქრები.

შს მთავარი სამმართველოს საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტის და ობოლ ბავშვთა დახმარების ფონდის ინიციატივით 3 ივნისს, თბილისის ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში ჩატარდა ვოკალურ-ინსტრუმენტულ ანსამბლ "იმედი"-ს კონცერტი. კონცერტში მონაწილე ბავშვებს საჩუქრები გადასცა ამერიკაში არსებული ქართული დიასპორის ხელმძღვანელმა ზ. ეაშაკიძემ.

1999 წლის 25 სექტემბერს თერჯოლის რაიონში ჩატარდა საქველმოქმედო აქცია სოციალურად დაუცველ და ობოლ ბავშვ-

თა დახმარების მიზნით. აქციის ორგანიზატორი იყო ქ. თბილისის შს მთავარი სამმართველო, საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტი, ობოლ ბავშვთა ახალგაზრდული ფონდი. აქციაში მონაწილეობდა ექიმთა ჯგუფი (პედიატრი, ქირურგი, ენდოკრინოლოგი, დერმატოლოგი,ნეიროლოგი). აქცია გრძელდებოდა ერთი დღე. გამოკვლეულ იქნა 80-მდე პაციენტი.

შს მთავარი სამმართველოს საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტის და ობოლ ბავშვთა ახალგაზრდული ფონდის თაოსნობით 1999 წლის 25 დეკემბერს რკინიგზელთა სახლში ჩატარდა წინა საშობაო კონცერტი "წელი 2000". საზეიმო კონცერტზე იყვნენ სამსახურეობრივი მოვალეობის დროს დაღუპული პოლიციელების შვილები, შვილიშვილები. რკინიგზელთა სახლის დირექტორმა თენგიზ მაისურაძემ, საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტმა სამსახურეობრივი მოვალეობის დროს დაღუპულ ობლებისათვის დაარიგა ფასიანი საჩუქრები.

ადამიანურ ურთიერთობათა კოსმოსი ყველგან შემდწეი და ყველგან არსებულია, ადამიანურ დამოკიდებულებას ნებისმიერი უკეთმართობის დადებითად შემობრუნება შეუძლია. შეგონებასულის კარიბჭეა; გულის გადაშლა-რწმენის, ნდობის დამამკვიდრებელია. მხოლოდ შთაგონებას შეუძლია მოზარდი შეაგუოს გარემომცველ პირობებს და აქციოს თავისი დროის სრულფასოვან ადამიანად. უმწიფობისა და გამოუცდელობის გამო ბავშვის რეალური გონებრივი შესაძლებლობები გარკვეული დროის მანძილზე დაფარულია . ამის მიზეზია ბავშვის დამოკიდებულება მშობლებზე. მასწავლებლებზე, უფროსებზე, რის გამოც მას არ შეუძლია დამოუკიდებელი გადაწყვეტილების მიღება. გულუბრყვილობა მოზარდს მალე გადაუვლის და შეძლებს, რეალურად შეაფასოს გარშემო მყოფთა საქციელის ავკარგიანობა, სწორედ მაშინ ხდება ბავშვის გაუცხოება, ჩვეულ კალაპოტიდან ამოვარდნა, ინდივიდუალიზმისკენ მისეული სვლა. აქ იწყება კონფლიქტი მოზარდსა და აღმზრდელს შორის. აღმზრდელში იღვიძებს უკმაყოფილება და ბრაზი. ხშირად ადგილი აქვს დასჯის, აკრძალვის, ისეთი მეთოდების გამოყენებას, რომლებიც კიდევ უფრო აღრმავებენ მოზრდილსა და მოზარდს შორის ბზარს. არ შეიძლება მოზარდის ჯერ კიდევ ჩამოუყალიბებელი, განვითარებადი უსიქიკა ისე გადაგვარდეს, რომ მისი შვილის იმედი გადავიწუროთ და ნაადრევი განანენი გამოეუტანოთ.

მომავალი თაობის აღზრდას საზოგადოებისა და სახელმწიფო სტრუქტურების ერთობლივი ძალისხმევა სჭირდება. 1999 წლიდან საფუძველი ჩაეყარა საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტსა და თბილისის განათლების რაიონულ განყოფილებებში არასრულწლოვანთა შორის დანაშაულისა და ფსიქოლოგიური სამსახურის ურთიერთთანამშრომლობას.

გარდატეხის ასაკში მოზარდებს ეტყობათ ფიზიოლოგიურ-ფსიქოლოგიური ცვლილებები. ამ ასაკში ეყრება საფუძველი ძირითადად მომავალი პიროვნების ფორმირებას, მაგრამ სწორედ ამ ასაკში რთულდება ყველზე მეტად მოზარდთა საერთო ენის გამონახვა. მოზარდები მშობლებსა და სკოლას ხშირად მტრებად მიიჩნევენ; უნდობლობას უცხადებენ და თავის სამყაროში იკეტებიან, ან არასასურველი პირების გავლენის ქვეშ ექცევიან. არადა, სწორედ ამ ასაკში სჭირდებათ მათ ნამდვილი მეგობარი. გამოცდილი, ერთგული, ვისაც ენდობიან, ვინც უპასუხებს მათ შეკითხვებს, რომლებზეც პასუხს უფროსები ან თავს არიდებენ ან ცრუობენ და მოზარდები ამას ხვდებიან.

ფსიქოლოგიური საქმიანობის მიზანია, მოევლინოს სწორედ ასეთ მეგობრად მოზარდებს. ურთიერთობის ფორმა მრავალფეროვანია: ლექციები, კითხვა-პასუხის საღამოები, დიალოგები მცირერიცხოვან ჯგუფებთან, ინდივიდუალური დიალოგები.

შს მთავარი სამმართველოს საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტის თანადგომით მოზარდები მიიღებენ იმ აუცილებელ სწორ ინფორმაციას, რაც მათ დაეხმარებათ გარდატეხის ასაკის სირთულეების გადალახვაში, ჩამოუყალიბდებათ ჯანსაღი აზრი და დამოკიდებულება საკუთარი პიროვნების და საზოგადოების მიმართ. თავიდან ავაცილებთ სტრესებისა და კომპლექსების განვითარებას, დავიცავთ მოზარდებს გზიდან აცდენისგან. შედეგად მივიღებთ სრულფასოვან, ჩამოყალიბებულ, საღად მოაზროვნე პიროვნებებს, რომლებიც ღირსეულ ადგილს დაიკავიდრებენ ახალ დემოკრატიულ, ჰუმანურ პრინციპებზე აშენებულ სახელმწიფოში, სულაც თვითონ ააშენებენ მას და ბოლოს და ბოლოს შექმნიან ბედნიერ და მყარ ოჯახებს.

ქ. თბილისის შინაგან საქმეთა მთავარი სამმართველოს საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ახალგაზრდობაში, და განსაკუთრებით არასრულწლოვანთა შორის, პოლიციელის მიმართ ნეგატიური დამოკიდებულების აღმოფხვრას.

ბავშვი პოლიციაში უნდა ხედავდეს არა მხოლოდ წესიერებისკენ მომწოდებელ ადამიანს, არამედ პირველყოვლისა პიროვნებას, რომელიც მას ყველა შემთხვევაში ამოუდგება მხარში და შეეცდება მის განვითარებას სწორი, ქვეყნისათვის სასიკეთო მიმართულება მისცეს. არასამთავრობო ორგანიზაციებთან ტარდება მოლაპარაკება, რათა ქალაქის განაოლებისა და პოლიციის ორგანოში ერთობლივი მუშაობა გაანალიზონ ამ მიმართულებით.

კიდევ ერთხელ გვინდა ხაზი გავუსვათ იმ გარემოებას, რომ საზოგადოებრივი აღზრდის მოშლილი სისტემა, ერს დიდ უბედურებას უქადის. ჯანსაღი თაობის აღზრდა ერის სულიერების გარანტიაა. თუ სახელმწიფოს ბავშვებისათვის არა სცალია, საზოგადოების ზნეობრიობა განუკურნებლად დაავადდება. ქართველი ერის უდიდესი მოამაგე, ილია ჭავჭავაძე მოგვიწოდებს: "ერის წარმატება, ქონებრივი თუ გონებრივი, შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როცა ერი წოდებათა დაუყოფლად, დიდ-პატარობის განურჩევლად და დამოუკლებლად, ერთიანის მეცადინეობითა და გარჯით ცდილობს ცხოვრების გზა გაიკვალოს. ცალ-ცალკე წევა უღელისა, ცალ-ცალკე ხვნა და მკა, ცალ-ცალკე თლა ლხინის თავისკენ და ჭირის სხვისაკენ, მარტო თავის თავის ხსოვნა და სხვისი დავიწყება, მომაკვდინებელია კაცთა საურთიერთო ცხოვრებისა. საცა ეგ ურთიერთობა არ არის, იქ არც იგი კრებულია, რომელსაც ერი ჰქვია. ერს ერთი სული, ერთი გული აქვს. ხოლო ხორცი იმდენი, რამდენიც ცალკე ადამიანია". ასლა უნდა დადგეს ფეხზე ერი და ბერი, მთელი საქართველო, გავერთიანდეთ და გადავარჩინოთ ხვალის იმედი.

2. სამეგრელო- ზემო სვანეთი

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო პოლიციასთან არსებული საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტი დაფუძნდა 1998 წლის 20 ოქტომბერს. დამფუძნებელ კრებაზე დამტკიცდა დებულება (წესდება). კრებამ აირჩია საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტის რექტორატი ოცდახუთი კაცის შემადგენლობით. საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტთან ჩამოყალიბდა დარგობრივი სექციები. მხარის ქალაქებსა და რაიონულ ცენტრებში შეიქმნა საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტის ფილიალები, აირჩიეს მათი ხელმძღვანელები.

მხარის მოსახლეობის ტრადიციების გათვალისწინებით საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტთან ჩამოყალიბდა უხუცესთა სადარბაზო, რომელიც აერთიანებს მხარისა და ქალაქებში ცნობილ, ღვაწლმოსილ პიროვნებებს. ანალოგიური სადარბაზოები შეიქმნა მხარის რაიონებსა და ქალაქ ფოთში.

დებულების მიხედვით, საქართველოს შსს სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო პოლიციის მთავარ სამმართველოსთან არსებული საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტი არის ნებაყოფლობითი საზოგადოებრივი ორგანიზაცია, რომელიც თავის რიგებში აერთიანებს მხარის ფართო საზოგადოებრიობის მოწინავე ადამიანებს.

ინსტიტუტის ძირითად მიზანს წარმოადგენს დახმარება აღმოუჩინოს და ხელი შეუწყოს სამხარეო პოლიციას იმ ამოცანების განხორციელებაში, რომელიც ეხება მართლწესრიგის განმტკიცებისა და დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერებას, სამართალდარღვევის პროფილაქტიკას, კანონიერების დაცვას და მოსახლეობაში მართლშეგნების ამაღლებას. ადმინისტრაციული ორგანოების მუშაობაში დემოკრატიისა და საჯაროობის სტრატეგიის სრულყოფას, იყოს მისი პოპულარიზატორი და აქტიურად ჩაებას ამ საქმეში საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტის ყოველი წევრი.

ინსტიტუტის ძირითადი ამოცანაა სამხარეო პოლიციის საქმიანობისადმი ხელშეწყობის მიზნით მოახდინოს საზოგადოებრივი აზრის კოორდინირება, დამუშავება-ანალიზი და წარმართოს იგი მოსახლეობაში პოლიციის აკტორიტეტის ამაღლების და პოლიციის მუშაკების საქმიანობაზე მართებული, ჯანსაღი, სწორი აზრის შესაქმნელად, მონაწილეობდეს დამნაშავეობასთან საბრძოლველად მიმართული მეცნიერულად დასაბუთებული რეკომენდაციების შემუშავებაში და ხელს უწყობდეს საზოგადოებრივი წესრიგის უზრუნველყოფას.

საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტი ეხმარება სამხარეო პოლიციის თანამშრომლებს კულტურის დონისა და ესთეტიკური გემოვნების ამაღლებაში, სამართლებრივი ცოდნის სრულყოფის საქმეში, მართლშეგნების თანამედროვეობის მოთხოვნათა დონეზე ჩამოყალიბებაში.

ინსტიტუტი:

1. მუშაობას წარმართავს რექტორატისა და სამხარეო პოლიციის ხელმძღვანელობის მიერ შემუშავებული და დამტკიც-

ებული წლიური გეგმის მიხედვით. სამხარეო პოლიციის ხელმძღვანელობასთან ერთად აწყობს სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციებს და სემინარებს მართლწესრიგის განმტკიცებისა და დანაშაულობასთან ბრძოლის საკითხებზე.

2. აქვეყნებს მასალებს ადგილობრივი და რესპუბლიკურ პრესაში, აწყობს რადიო და სატელევიზიო გამოსვლებს დანაშაულობასთან ბრძოლისა და სამართალდარღვევათა პროფილაქტიკის პრობლემებზე, მონაწილეობს სამხარეო პოლიციის ღონისძიებებში თანამშრომელთა კვალიფიკაციისა და პროფესიული ოსტატობის ამაღლების საქმეში;

3. ინსტიტუტის რექტორატი აქტიურად მონაწილეობს სამხარეო პოლიციის საკადრო პოლიტიკის გატარებაში, მისი პირადი შემადგენლობის შერჩევისა და განაწილების საქმეში;

4. ამყარებს კონტაქტებს უცხოელებთან გამოცდილების გაზიარების მიზნით, შემდგომ ამ გამოცდილების მხარის ანალოგიურ სტრუქტურებში დასანერგად;

5. შეაქვს საათანადო რეკომენდაციები სამხარეო პოლიციის ოპერატიულ სხდომაზე განსახილველად და მათი მოწონების შემთხვევაში სამხარეო პოლიციასთან ერთად სათანადო წინადადებით შედის რესპუბლიკისა და მხარის მმართველ ორგანოებში.

სამეგრელო - ზემო სვანეთის პოლიციის სამმართველოსთან შექმნილ საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტს მეთოდურ ხელმძღვანელობას უწევს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსთან არსებული საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტი. სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარის ქალაქებში და რაიონულ ცენტრებში იქმნება საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტის ფილიალები, რომელთა მუშა ხელმძღვანელ ორგანოს წარმოადგენს დირექტორატი; ინსტიტუტის ფილიალებს მეთოდურ ხელმძღვანელობას უწევს სამხარეო საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტი. საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტში ფუნქციონირებს სექციები.

ინსტიტუტის უმაღლესი ორგანოა მის წევრთა საერთო კრება. იგი იკრიბება კვარტალში ერთხელ. საერთო კრება ისმენს სექციების ხელმძღვანელთა ინფორმაციებსა და მოხსენებებს შესაბამის აქტუალურ საკითხებზე. დამტკიცებული გეგმის შესაბამისად წელიწადში ერთხელ კრება ისმენს რექტორის საანგარიშო მოხსენებას განვლილ პერიოდში გაწეული მუშაობის შესახებ და განსაზღვრავს ინსტიტუტის მუშაობის ძირითად მი-

მართულებას უახლოესი ორი წლისათვის. საერთო კრება ღია კენჭის ყრით ირჩევს და ამტკიცებს ინსტიტუტის რექტორატს (რექტორს, პრორექტორს, მდივანს, სექციების ხელმძღვანელებს). რიგგარეშე საერთო კრება შეიძლება მოწვეულ იქნეს ინსტიტუტის რექტორატის გადაწყვეტილებით საიხარეო პოლიციის ხელმძღვანელობასთან შეთანხმებით.

საერთო კრებიდან მორიგ საერთო კრებამდე ინსტიტუტის ხელმძღვანელ ორგანოს წარმოადგენს რექტორატი, რომელიც ამტკიცებს სამუშაო გეგმას და სახავს ღონისძიებებს მათი შემდგომი სრულყოფისა და ცხოვრებაში გატარებისათვის.

საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტის რექტორია, ზუგდიდის დამოუკიდებელი უნივერსიტეტის პროფესორი, საქართველოს ეკოლოგიურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს მდივანი მურმან არდია; ინსტიტუტის პრორექტორებია საქართველოს პარლამენტის ზუგდიდის ბიუროს თავმჯდომარე - კლიმენტი კიკალეიშვილი და შსს სამეგრელო ზემო სვანეთის საიხარეო მთავარი სამმართველოს კადრებისა და პირად შემადგენლობასთან მუშაობის განყოფილების უფროსი - თემურ საჯაია; ინსტიუტტის სწავლული მდივანია, პოლიციის გადამდგარი პოლკოვნიკი - გიორგი ბულია; რექტორატის წევრებია: ნინო ავალიანი, ილია ანთელავა, გონელი არახამია, ნაზი არონია, ბორის ბარამია, ბონდო თოდუა, ემზარ კვარაცხელია, ვახტანგ კვარაცხელია, რობერტ კოტია; შახი ლატარია; ბეჟან ნადარაია, ნელი პაპასქირი, ჯემალ პაჭკორია, ვახტანგ სალაყაია, ოთარ ფაცაცია, იგორ ფინხაია, გრიგოლ ქობალია, ანზორ ქუსულორია, გიორგი ხუფენია, ავთანდილ ცანავა, თამაზ ცანავა.

საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტის ფილიალები და მათი დირექტორებია:

1. აბაშის ფილიალი - ავთანდილ ცანავა, რაიონის განათლების განყოფილების გამგე;

2. მარტვილის ფილიალი - რობერტ კოტია, რაიონის გამგებლის მოადგილე;

3. მესტიის ფილიალი - ნინო ავალიანი , ზუგდიდის დამოუკიდებელი უნივერსიტეტის დეკანი, დოცენტი;

4. სენაკის ფილიალი ვახტანგ სალაყაია, სახელმწიფო თეატრის დირექტორი;

5. ფოთის ფილიალი ბორის ბარამია, სოხუმის ი. ვეკუას სახელობის ინსტიტუტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანი;

6. წალენჯიხის ფილიალი შახი ლატარია, სააქციო საზოგადოება "ხლვაიას" დირექტორი;

7. ჩხოროწყუს ფილიალი - იგორ ფიხხაია, რაიონის გამგებლის მოადგილე;

8. ხობის ფილიალი - ბეჟან ნადარაია, რაიონის გამგებლის მოადგილე.

საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტის სექციები და მათი ხელმძღვანელებია:

1. ჰუმანური აღზრდისა და ახალგაზრდობასა და არასრულწლოვანთა შორის სამართალდარღვევების პრობლემების შემსწავლელი სექცია - ნაზი არონია, სახალხო მოსამართლე;

2. ნარკომანიისა და ალკოჰოლიზმის პრობლემების შემსწავლელი სექცია - ემზარ კვარაცხელია, ექიმი;

3. სოციალური დაცვისა და ლტოლვილთა პრობლემების შემსწავლელი სექცია - ჯემალ პაჭკორია, ეკონომიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი;

4. პროფესიული და ზნეობრივი სრულყოფის სექცია გონელი არახამია, ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი;

5. ბუნების დაცვისა და ეკოლოგიური პრობლემების შემსწავლელი სექცია ბონდო თოდუა, ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუგდიდის ფილიალის დირექტორის მოადგილე;

6. საგზაო უსაფრთხოების პრობლემების შემსწავლელი სექცია ანზორ ქუჩულორია, ინჟინერი, ზუგდიდის მექანიკური ქარხნის დირექტორი;

7. მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა სექცია - გრიგოლ ქობალია, ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი, პოლიციის პოლკოვნიკი;

8. სამეცნიერო ორგანიზაციებთან და უმაღლეს სასწავლებლებთან ურთიერთობის სექცია - თამაზ ცანავა, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ზუგდიდის დამოუკიდებელი უნივერსიტეტის პრორექტორი.

საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტის უხუცესთა სადარბაზოს წევრები არიან:

გრიგოლ არანაია; თეოდორე ხელაია; შოთა კაჭარავა; ვალიკო კეშულარია; მათე კვარაცხელია; კაპიტონ კვირკველია; შოთა

კვირკველია; ილია კუტალია; გრიგოლ ნარმანია; ყარლამ ნაჭყებია; მამანტი პაჭკორია; ვარლამ როდონაია; კალისტრატე სამუშია; ტიხონი ქორთუა; ბორის მელია; ტიტე მელია; ლუიზა ციმინტია; გიორგი ხუფენია.

სამეგრელო-ზემო სვანეთის საშხარეო საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტი და მისი ფილიალები თავიანთ საქმიანობაში სახელმძღვანელოდ იყენებენ მეთაურ ინსტიტუტისა და თავიანთ დებულებებს, წინასწარ შემუშავებულ და რექტორატის მიერ დამტკიცებულ სამუშაო გეგმებს.

საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს რეგიონის მოსახლეობის საზოგადოებრივი აზრის შესწავლა. ამ მიზნით ადგილობრივი და საპარლამენტო არჩევნების წინა პერიოდში შედგენილ იქნა შესაბამისი პოლიტიკური და სოციალური შინაარსის გამოკითხვის ანკეტები, რომლებიც საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტის საქალაქო და რაიონული ფილიალების მეშვეობით გავრცელდა მხარის მოსახლეობაში. მონაცემების დამუშავების შედეგად გამოიკვეთა მთელი რიგი მტკივნეული საკითხები, როგორც პოლიტიკურ სფეროში, ასევე ყოვით სივრცეში. დამუშავებული მასალების შედეგები ინსტიტუტის მიერ გამოყენებულ იქნა საზოგადოებასა და ხელისუფლებას შორის დამოუკიდებლობის დარეგულირებისათვის.

შემუშავდა და რეგიონის მასშტაბით გავრცელდა ნარკომანიასთან და ნარკობიზნესის საკითხებთან დაკავშირებული ანკეტები. გამოკითხვის შედეგებმა გამოავლინა მთელი რიგი აქტუალური საკითხები, რაც დაყენებული იქნა ადგილობრივი ხელისუფლების და სამართალდამცავი ორგანოების შესაბამისი სამსახურების წინაშე. შემუშავდა და გატარდა შესაბამისი ღონისძიებები. ამ მიმართულებით გაწეული მუშაობა განსაკუთრებით აღინიშნა მხარის შსს წლიურ ანგარიშში.

საზოგადოებრივი აზრის საშხარეო ინსტიტუტის რექტორატი რეგულარულად აწყობს გამსვლელ სესიებს და შეხვედრებს მხარის აქტივთან რაიონულ ცენტრებსა და ქ. ფოთში. 1999 წელს სამხარეო საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტის რექტორატმა მთლიანად მოიარა რეგიონის ყველა რაიონი და ქალაქი. შეხვედრები ეწყობოდა ადგილობრივი საზოგადოების და ინტელიგენციის წარმომადგენლებთან აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების მონაწილეობით, საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუ-

ტის ფილიალების დირექტორატის და ადმინისტრაციული ორგანოების აქტიური დახმარებითა და ხელშეწყობით. იმართებოდა გულდია საუბრები ყველა მტკივნეულ საკითხზე. განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა ახალგაზრდობის აღზრდის, ნარკოტიკების გავრცელების და მისი მოხმარების აღკვეთის საკითხებს. ამ საქმიანი შეხვედრების დაფიქსირების მიზნით რექტორატს გაანია მასალები ოქმების სახით.

საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტის რექტორატს ყურადღების მიღმა არ დარჩენია პოლიციელთა შრომის, უძილო ღამეების და თავდადების შეფასება. ამის მაგალითია 2000 წლის 12 აპრილს წალენჯიხის რაიონის პოლიციის ეზოში ხალხმრავალი მიტინგის მოწყობა, მოსახლეობასთან ერთად აქ იყვნენ პოლიციის რაიგანყოფილების მუშაკები, რაიონის ინტელიგენციის წარმომადგენლები, მხარის საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტის განყოფილების ხელმძღვანელები და საკრებულოს წევრები, რომლებმაც პატივი მიაგეს ძმათამკვლელ ომში დაღუპული წალენჯიხის პოლიციის თანამშრომლებს: გოგი კალანდიას, ჯამბულ თოლორდავას, ჯემალ გელანტიას და გოსა ლემონჯავას ხსოვნას.

სამხარეო საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტის რექტორატს, ისე როგორც მხარის პოლიციის სამმართველოს ხელმძღვანელობას და მხარის სამთავრობო უწყებებს ყველაზე ძირეულ პრობლემად მიაჩნიათ ნარკომანიის პროფილაქტიკის საკითხი. ამ მიზნით რექტორატის მიერ მხარის მოსახლეობაში, რეგიონის ყველა ქალაქსა და რაიონში პერიოდულად ეწყვლდება საქართველოს საზოგადოება "სასოების " გაზეთი "ნარკომანია"-ს ყველა გამოცემა. ამის მიზანია მთელი მოსახლეობა, როგორც ნარკოტიკის მომხმარებელი, ისე ნარკოტიკის არამომხმარებელიც კარგად იცნობდეს ნარკოტიკების მავნებლობის სოციალურ და ეროვნულ მნიშვნელობას.

უნდა ვაღიაროთ, რომ საზოგადოებას ჯერ კიდევ არა აქვს ბოლომდე გაცნობიერებული ის უბედურება, რასაც ქართულ გენოფონდს ნარკომანიის შემდგომი ესკალაცია უქადის. ეს განსაკუთრებულად სამეგრელო-სვანეთის რეგიონს ეხება, სადაც ე.წ. "აბრეშუმის გზასთან" დაკავშირებით ნოყიერი ნიადაგი იქმნება ნარკომანიისა და ნარკობიზნესის განვითარებისათვის. უკვე დღეისათვის რეგიონში და კერძოდ ზუგდიდში შექმნილია საგანგებო მდგომარეობა. სამწუხარო ისაა, რომ როგორც ფაქტები მეტყველებენ, ქართველმა დედებმაც კი მოჰკიდეს ხელი ნარკობიზნესს.

საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს ნარკომანიის გავრცელების, ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის კომისია ქ. ზუგდიდს მიჩნევს ნარკომანიის ერთ-ერთ კერად. რეგიონის შინაგან საქმეთა საქალაქო და რაიონულ განყოფილებებში არსებული ნარკომანიისა და ნარკობიზნესის წინააღმდეგ ბრძოლის მაჩვენებლები შორსაა რეალურ მდგომარეობასთან. საილუსტრაციოდ საკმარისია, რომ მესტიის რაიონში ნარკოტიკული ნივთიერებების არც ერთ მომხმარებელი და რეალიზატორი ბოლო ხუთი წლის მანძილზე აყვანილი არაა აღრიცხვაზე. ეს იმის შედეგია, რომ ნარკომანიისა და ნარკობიზნესის წინააღმდეგ ბრძოლა არ არის საოანადო დონეზე დაყენებული პოლიციის შესაბამის სტრუქტურებში, არ არის შექმნილი ნარკომანიის პროფილაქტიკისა და სოციალური რეაბილიტაციის ერთიანი სისტემა, შეწყვეტილია თითქმის ყველა ნარკოლოგიური კაბინეტის ფუნქციონირება ქალაქებსა და რაიონებში. ეს მდგომარეობა უკარნახებს საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტს თავისი სიტყვა თქვას ამ ეროვნულ საქმეში. სწორედ ამ მიზნით ინსტიტუტმა რეგიონის ყველა ფილიალს დაუგზავნა და მოსახლეობაში გაავრცელა ნარკომანიის პროფილაქტიკის სამედიცინო და სოციალური რეაბილიტაციის ხელშემწყობი საზოგადოების მიერ გამოცემული ბუკლეტები: "ოპიატები-ჯოჯოხეთის ყაყაჩოები", "ექსტაზი", მხატვარ ნოდარ სულემენაშვილის პლაკატები: "უფრთხილდი ნარკომანიას" და ა.შ.

ქალაქ ზუგდიდსა და მოლიანად რეგიონში შექმნილმა უაღრესად რთულმა სიტუაციამ აუცილებელი გახადა ადგილობრივი ხელისუფლების წინაშე დაეყენებინა საკითხი, რათა ზუგდიდში გაიხსნას საზოგადოება "სასოების" ფილიალი და ნარკომანიისა და ნარკობიზნესთან ბრძოლის სარეაბილიტაციო ცენტრი. სამეგრელოს სამხარეო ადმინისტრაციამ და ზუგდიდის რაიონის გამგეობამ ყურად იღო ეს წინადადება და უახლოეს დროში მოხდება მისი რეალიზაცია.

რექტორატი დანაშაულის პროფილაქტიკის მიზნით იყენებს უხუცესთა სადარბაზოს, რომლის ქვეგანაყოფები ადგილებზე შემრიგებლის როლს ასრულებენ ურთიერთგანაწყენებულ და ერთმანეთს გადამტერებულ ოჯახებს შორის. ამ ინსტიტუტს, როგორც ტრადიციულს, ბევრი საჭირბოროტო საკითხის მოგვარება შეუძლია რეგიორში. ამით მრავალი დანაშაული შეიძლება

იქნეს აცილებული, დარეგულირდეს კონფლიქტები. უხუცესთა საბჭომ შეიძლება სერიოზული როლი ითამაშოს ქართულ-აფხაზური კონფლიქტის მოწესრიგების საქმეში. ამ მიზნით გათვალისწინებულია ქართველ (სამეგრელოს რეგიონისა) და აფხაზ უხუცესთა შეხვედრა.

სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტი განსაკუთრებული სერიოზულობით უყურებს მომავალი თაობის აღზრდის პრობლემებს, მოზარდ თაობასა და ახალგაზრდობასთან მუშაობას, მათი სწორი ორიენტაციის საკითხს. მიუხედავად გაწეული მუშაობისა, განსაკუთრებულ შეშფოთებას იწვევს ის გარემოება, რომ რეგიონში 1998 წელთან შედარებით 1999 წელს არასრულწლოვანთა დანაშაული შესამჩნევად გაიზარდა.

ახალგაზრდობის აღზრდის პრობლემები მტკივნეულად დაისვა ფოთის საზოგადოებასთან შეხვედრაზე 1999 წლის 7 აპრილს. დანაშაულის ძირითადი ნაწილი სხვისი ქონების ქურდობებზე მოდის. მიუხედავად ზემდგომი ორგანოების მითითებისა, ადგილობრივი შინაგან საქმეთა, სამთავრობო, აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების მხრიდან სათანადო ყურადღება არ ექცეოდა ისეთი უარყოფითი ქმედებების წინააღმდეგ ბრძოლას, როგორიცაა არასრულწლოვანების დაყოლიება მათხოვრობაზე, მაწანწალობაზე, ქურდობაზე, ლოთობაზე, პროსტიტუციაზე და სხვა, შესაბამისად, მათთან ინდივიდუალური პროფილაქტიკური ღონისძიებების გატარებას. ამ თვალსაზრისით სამხარეო საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტს დაგეგმილი აქვს შსს ადგილობრივ ორგანოებთან ერთად ჩაატაროს ღონისძიებები ქ. ფოთისა და მხარის რაიონულ ცენტრებში.

სამხარეო საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტი მნიშვნელოვან დროს უთმობს ბუნების დაცვის საკითხებს. 1999 წლის საგზულში ინსტიტუტის მეცნიერებმა მისი რექტორის, ეკოლოგიურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს-მდივნის პროფესორ შურმან არდიას ხელმძღვანელობით კოლხეთის დაბლობის ნაკრძალებში, ღია ცის ქვეშ, მოსწავლე ახალგაზრდობას ნაუტარეს გაკვეთილები ბუნების დაცვის საკითხებზე, რაც ადგილობრივი ტელევიზიითაც გადაიცა. მათივე მონაწილეობით სისტემატურად ტარდება ლექცია-საუბრები მოსწავლე ახალგაზრდობასთან გიმნაზიებში, სკოლებში, ლიცეუმებში. ნატარდა გამწვანების და სანიტარული

სამუშაოები სასწავლო დაწესებულებათა ეზოებში, ქალაქის სკვერებში, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ზუგდიდის ბოტანიკურ ბაღში.

სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარის საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტმა სოლიდური შრომა ნადო ადგილობრივი და საპარლამენტო არჩევნების ნორმალურად ჩატარების საქმეში. რექტორატის ხელმძღვანელმა ჯგუფმა ინსტიტუტის ფილიალების წევრებთან და ადგილობრივ აქტივთან ერთად ახსნა-განმარტებითი მუშაობა ჩაატარა ამომრჩევლებთან შეხვედრებზე, რამაც საარჩევნო კამპანიას შეუქმნა სასურველი პოლიტიკური ფონი. შედეგად, საარჩევნო ბატალიები უმტკივნეულოდ, ექსცესების გარეშე ჩატარდა.

საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტის სამომავლო პროგრამა და გეგმები სოლიდურია და თუ იქნა სათანადო მატერიალური მხარდაჭერა, მას ბევრი სასიკეთო საქმეების გაკეთება შეუძლია მხარისა და მოლიანად ქვეყნის საკეთილდღეოდ.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სამეგრელოსა და ზემო სვანეთის სამხარეო მთავარი სამმართველოსა და მასთან არსებული საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტის გაზეთი "კოლხეთის ფარი" გამოდის 1997 წლის იანვრიდან, თვეში ერთჯერადი პერიოდულობით. იგი რვა გვერდიანია, ტირაჟი 1500.

როგორც ცნობილია, საქართველოს არცერთ კუთხეს ისე არ განუცდია კრიმინალური სამყაროს უკანონო შეიარაღებული ფორმირებების, გაყაჩაღებული "კანონიერი" სტრუქტურების, ყველა ჯურის მძარცველისა და მოძალადის ტოტალური შემოსევა და ვანდალიზმი, როგორც ამ კუთხეს. აღნიშნულის გამო შიშმა და უიმედობამ მოიცვა მოსახლეობა, უნდობლობის გამო პოლიციას არც კი მიმართავდა.

შს სამინისტროს, ადგილობრივი პოლიციისა და სხვა სამართლებრივი ორგანოების დიდი ძალისხმევით მოსახლეობა გამოიყვანეს ამ კოშმარიდან. მხარის პოლიციის ჯანსაღმა, საქმისა და ქვეყნის ერთგულმა ნაწილმა თითქმის შიშველი ხელებით შესძლო ეს. სტაბილურობის შესანარჩუნებლად საჭირო იყო მოსახლეობასა და პოლიციას შორის ჩატეხილი ხიდის აღდგენა, პოლიციისადმი მხარდაჭერა და ხელშეწყობა, სწორედ ამ სურვილით დაიბადა იდეა იმ უმძიმესსა და რთულ პირობებში რეგიონის პოლიციას ჰქონოდა საკუთარი გაზეთი, რომლის ინიციატორები

იყენენ მხარის პოლიციის ყოფილი თანამაცი, პოლიციის პოლკოვნიკი ალექსე კუხალაშვილი და ჟურნალისტი ნელი პაპასკირი.

გაზეთის პირველი ნომრის გამოსვლა მართლაც ღირსშესანიშნავი და მეტად რეზონანსული მოვლენა გახდა არა მარტო მხარის პოლიციისათვის, არამედ მთლიანად რეგიონისათვის. მაშინ სხვა რეგიონული გაზეთი არ გამოდიოდა. შემთხვევით არ იყო შერჩეული სახელწოდებაც "კოლხეთის ფარი" მხარის პოლიცია ხომ ფარივით მცველად, იმედად და ნუგეშად მოეკლინა ძნელბედობის ჟამს კოლხეთსა და კოლხელებს.

გაზეთის მიზნები და ამოცანები კარგადაა გააზრებული პირველი ნომრის სარედაქციო წერილში, რომელშიაც მოყვანილია დიდი ილიას სიტყვები:

"... ამ ძნელბედობისას ქვეყანას ძლიერი და ერთგული პოლიცია სჭირდება. მისი ძლიერება კი მთელი საზოგადოების, თითოეული ჩვენთაგანის საზრუნავია. საზოგადოებრივი აზრი და რწმენა კი პრესის საშუალებით უნდა აღორძინდეს, აღიზარდოს, დაფუძნდეს და გამშვენიერდეს" (ილია). გვინდა თბილი და მადლიერების სიტყვები ვუთხრათ მათ, ვინც საკუთარი სიცხლისა და სიცოცხლის რისკის ფასად, ბევრჯერ მშიერმა და უძილომ განვლო ხუთათითა და განსაცდელით სავსე გზა და დაიცვა ადამიანთა სიმშვიდე. უნდა ვამხილოთ ისინიც, ვინც პოლიციის მუნდირს ამოფარებულნი, პირადი კეთილდღეობის მანიით შეპყრობილი სახელს უტეხენ და არცხვენენ მათ რიგებს.

ჩვენი მიზანია გაზეთმა დააკმაყოფილოს პოლიციის პროფესიული ინტერესები და მან გაზეთიდან მიიღოს ისეთი ინფორმაცია და გამოცდილება, რომელიც საქმეში გამოადგება, ნეიულებრივი მკითხველი კი უნდა დავაინტერესოთ იმით, რომ რეალურად დავანახოთ, თუ რას აკეთებენ პოლიციელები, რაოდენ მძიმე, რთული და საინტერესო სამუშაო აქვთ მათ..."

უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად სიძნელეებისა, გაზეთი დღემდე კარგად ართმევს თავს დასახულ მიზანს დამნაშავეობის წინააღმდეგ კანონიერების დაცვისათვის ბრძოლაში გვერდით დაუდგეს რეგიონის პოლიციას და ობიექტურად ასახოს მისი საქმიანობა, შექმნას და ჩვამოაყალიბოს სწორი საზოგადოებრივი აზრი ჩვენი ცხოვრების სხვადასხვა პრობლემურ საკითხებზე და მკითხველს გამოუმუშაოს სწორი პოლიტიკური ორიენტაცია.

გაზეთში წინა პლანზეა წამოწეული ისეთი მნიშვნელოვანი პრობლემები, როგორიცაა არასრულწლოვანთა, ნარკომანიის,

ეკოლოგიის, ეკონომიკური დანაშაულისა და კორუფციის წინააღმდეგ და სხვა აქტუალური საკითხები, რომლებიც ყველა ნომერში მაღალპროფესიონალურად და საინტერესოდ შუქდება შუქმიფ რუბრიკებში: "მომავალი ნარკომანიის გარეშე", "არასრულწლოვანი - ყველას საფიქრალი", "კრიმინალური ქრონიკა", "გადავარჩინოთ დედამიწა- ჩვენი საერთო სახლი", "გვახსოვდეს სამშობლოს ისტორია" და ა.შ. გაზეთში დიდი ყურადღება ეთმობა შს ადგილობრივ ორგანოებისა და სხვადასხვა სამსახურების საქმიანობას. ხშირად ქვეყნდება ჩვენი კუთხის სახელოვან ადამიანთა ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი მასალები.

მკითხველია დიდ მოწონებას იმსახურებენ ავტორების: ნელი პაპასკირის, მერი ლაგვილავას, ლამარა პაპასკირის, თამარ და თეა ჭეჟიების, ლია ღვამბერიას პუბლიკაციები და მათ მიერ მომზადებული მასალები.

გაზეთი დიდი ავტორიტეტით სარგებლობს რეგიონში, რასაც ხელს უწყობს ისიც, რომ მასში აქტიურად თანამშრომლობენ მხარის შს მთავარი სამმართველოსა და საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტის ხელმძღვანელები: შ.ბერიშვილი, მ. გერგაია, თ. სიჭინავა, მ. არდია, კ. კიკალიშვილი, თ. საჯაია, ო. მალანია, ზ. გულუა, ვ. გაბედავა, რეგიონში ცნობილი მეცნიერები და საზოგადო მოღვაწეები: ილია ანთელავა, გივი ელიავა, მამანტი პაჭკორია, ბეჟან ნადარაია და სხვა.

რეგიონში, პოლიგრაფიული ბაზის უქონლობისა და არასახარბიელო ფინანსური მდგომარეობის მიუხედავად, გაზეთის გამოშვების ორგანიზაცია რეგულარულად პერიოდულობის დაცვით უზრუნველყოფილი იყო სამხარეო პოლიციის მთავარი სამმართველოს ყოფილი უფროსის, პოლიციის პოლკოვნიკ შაქრო ბერიშვილის მხარდაჭერითა და დახმარებით.

მხარის საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტი მოელს თავის პროპაგანდისტულ საქმიანობას ძირითადად "კოლხეთის ფარის" მეშვეობით ანხორციელებს, რაც დიდად უწყობს ხელს პოლიციის მიმართ ჯანსაღი-საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებას. გაზეთი "კოლხეთის ფარი" დამსახურებული ავტორიტეტით სარგებლობს არა მარტო რეგიონში, არამედ ფართო საზოგადოებრიობაშიც. ამიტომაც 2000 წლის მაისში საქართველოს ჟურნალისტთა ეროვნულმა ფედერაციამ გაზეთ "კოლხეთის ფარის" მთავარი რედაქტორი ნელი პაპასკირი "აქტიური, ნაყოფიერი შემოქმედებითი მოღვაწეობისათვის" დააჯილდოვა საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაციის საპატიო სიგელით.

3. იმერეთი

იმერეთის სამხარეო შს მთავარი სამმართველოს საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტის დებულებიდან:

საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტი არის ნებაყოფლობითი საზოგადოებრივი ორგანიზაცია, რომელიც აერთიანებს იმერეთის მხარის ფართო საზოგადოებრიობის მოწინავე წარმომადგენლებს. ინსტიტუტის მიზანია ყოველმხრივი დახმარება აღმოუჩინოს და ხელი შეუწყოს მთავარ სამმართველოს იმ ამოცანათა განხორციელებაში, რომლებიც ეხება მართლწესრიგის განმტკიცებისა და დამნაშავეობათა წინაარმდეგ ბრძოლის გაძლიერებას, სამართალდამრღვევთა პროფილაქტიკის გაუმჯობესებას, კანონიერების განმტკიცებას და მოსახლეობაში მართლშეგნების აამაღლებას, ხელი შეუწყოს აგრეთვე ადმინისტრაციული ორგანოების მუშაობაში, გარდაქმნის, დემოკრატიის და საჯაროობის სტრატეგიის სრულყოფას, იყოს მისი პოპულიზატორი, აქტიურად ჩაებას თანამედროვეობის ამ ისტორიულ მოვლენაში საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტის ყოველი წევრი.

საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტი:

1. ეხმარება მთავარ სამმართველოს თანამშრომლებს, ზრუნავს მათი კულტურის დონის აამაღლებისა და ესთეტიკური გემოვნების განვითარებისათვის, საერთლებრივი ცოდნის სრულყოფისა და მართლშეგნების სათანადო დონის ჩამოყალიბებისათვის, მოქალაქეთა კანონიერი უფლებების ყოველგვარი ხელყოფისადმი მკაცრი შეურიგებლობის სრულისკეთებით;

2. გამუდმებით ზრუნავს და ეხმარება მთავარ სამმართველოს შემოქმედებით ინტელიგენციასთან, მწერლებთან, მხატვრებთან, თეატრისა და კინოს მოღვაწეებთან, მუშათა და გლეხობის მოწინავე წარმომადგენლებთან და ახალგაზრდობასთან მჭიდრო კონტაქტების დამყარებასა და განმტკიცებაში;

3. პროპაგანდას უწევს და ინფორმაციებს აწვდის მოსახლეობას მთავარი სამმართველოსა და მისი სამსახურების, აგრეთვე საქალაქო და რაიონული განყოფილებების ყოველდღიური საბრძოლო და შრომით საქმიანობის თაობაზე და ამით ხელს უწყობს მთავარი სამმართველოს ავტორიტეტის ზრდას და მის შესახებ დადებითი საზოგადოებრივი აზრის შექმნასა და განმტკიცებას;

მთავარი სამმართველოს ორგანოების საქმიანობის ნაკლოვან მხარეთა შესახებ მოსახლეობაში არსებული საზოგადოებრივი

ასრის შესწავლის საფუძველზე სახავს კონკრეტულ ღონისძიებებს და ხელს უწყობს მთავარ სამმართველოს ნაკლოვანებათა გამოაშკარავებაში, საზოგადოებრივი აზრის შესასწავლად ინსტიტუტი ახორციელებს ზეპირ ან ანკეტურ გამოკვლევებს, აქვს მჭიდრო კონტაქტი მასობრივი ინფორმაციის საშუალებებთან.

ინსტიტუტის უმაღლესი ორგანოა მის წევრთა საერთო კრება. იგი იკრიბება კვარტალში ერთხელ. საერთო კრება ისმენს სექციების ხელმძღვანელთა ინფორმაციებსა და მოხსენებებს შესაბამის აქტუალურ საკითხებზე. წელიწადში ერთხელ კრება ისმენს რექტორის საანგარიშო მოხსენებას განვლილ პერიოდში გაწეული მუშაობის შესახებ და განსაზღვრავს ინსტიტუტის მუშაობის ძირითად მიმართულებას. იგი ღია კენჭის ყრით ირჩევს და ამტკიცებს ინსტიტუტის რექტორატს, რექტორს, პრორექტორს, პასუხისმგებელ მდივანს, სექციების ხელმძღვანელებს.

საერთო კრებიდან საერთო კრებამდე ინსტიტუტის ხელმძღვანელ ორგანოს წარმოადგენს რექტორატი, რომელიც ამტკიცებს სამუშაო გეგმას და სახავს ღონისძიებებს მათი შემდგომი სრულყოფისათვის.

ინსტიტუტის რექტორი ან მისი შემცვლელი პრორექტორი წყვეტს ყოველდღიურ ორგანიზაციულ მიმდინარე მუშაობის საკითხებს მთავარ სამმართველოსთან შეთანხმებით.

ჰარმონიული სული, ჰარმონიული სხეული - არის კაცობრიობის დიდი ხნის ნატვრა და დიდი სურვილი. საზოგადოების სიჯანსაღესა და კაცთა მოდგმის სრულყოფილებას ოდითგანვე თაყვანს სცემდნენ იმავე საზოგადოების წარმომადგენლები, იქნებოდნენ ესენი ხელოვნების მუშაკები თუ ელიტარული წრეების სხვადასხვა წარმომადგენლები. უნდა აღინიშნოს, რომ იგივე იდეალებს ემსახურებიან დღეს სამართალდამცავი ორგანოების მესვეურებიც, რომლებიც უპირველესად თვითონვე ცდილობენ ყოველგვარი ჰარმონიისა და ნათელი იდეალების დამკვიდრებას საზოგადოებაში. სწორედ, ამიტომაცაა, რომ ჩვენს სინამდვილეში ესოდენ მომრავლდა საზოგადოებრივი აზრის შემსწავლელი ინსტიტუტები, რომელთაც ფრიად მნიშვნელოვანი სარგებლობა მოაქვთ ადამიანის შეხედულებების ფსიქოლოგიური ანალიზისა და სოციოლოგიური შესწავლისათვის.

დარგობრივ უწყებებში დაფუძნებულ ინსტიტუტებს განსაკუთრებით გამოკვეთილი მისია აქვთ დაკისრებული, მათ ღრმად

უნდა გაანალიზონ ამა თუ იმ დარგში შექმნილი მდგომარეობა, შეისწავლონ დადებითი თუ უარყოფითი ტენდენციები, რომელიც მავანი და მავანი უწყებისათვის არის დამახასიათებელი. ისინი აგრეთვე ცდილობენ არსებული პრობლემებისა და სიძნელეების სკურპულიოზური ანალიზით ხელი შეუწყონ უწყების სწორი მიმართულებით განვითარებას.

ძნელია დაასახელო ისეთი ძლიერი და დიდი ტრადიციების მქონე საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტი, როგორიცაა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 35 წლის წინ შექმნილი საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტი. აღსანიშნული ინსტიტუტის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ იქ მოღვაწეობენ რესპუბლიკის კულტურის, მეცნიერების, ხელოვნების და იურისპრუდენციის სფეროს ოვალსანინო წარმომადგენლები, რომელთა შრომა და ძალისხმევა მიმართულია იქით, რომ ქართული პოლიცია თავისი ჰარმონიულობით და პროფესიონალიზმით მოწოდების სიმაღლეზე იდგეს.

90-იანი წლების დასაწყისში საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტი ჩამოყალიბდა ქალაქ ქუთაისის შინაგან საქმეთა სამმართველოსთანაც, რომლის გაფართოებული სხდომა გაიმართა 1994 წლის 30 აპრილს. ამთავითვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ინსტიტუტი, რომელსაც გაანდა თავისი დებულება და შეიცავდა შვიდ (7) სექციას, იმ პერიოდისათვის დიდი სიცოცხლისუნარიანობით და ნაყოფიერი შრომით გამოირჩეოდა, რადგან ნგრევის, დაცემის, სამოქალაქო ომის და ძმათა მკვლელობის საშარცხვინო ბატალიები ჯერ კიდევ არ ჩამცხრალიყო და ამ სრულ ქაოსში ვიღაცას ხომ უნდა ეთქვა სიმართლე, ვიღაც ხომ უნდა დამდგარიყო ჭეშმარიტების მხარეს და ამიტომ არ შეიძლება დაგვავიწყდეს ინსტიტუტის ის პირველი ნაბიჯები, რომელსაც ის გაბედულად დგამდა ტყვიის წვიმაში, სიძნელესა და დელეგმაში.

დიახ, ინსტიტუტმა საკმაოდ დიდ გამოცდას გაუძლო ჭეშმარიტად სწორ პოზიციაზე დგომით, მართლის თქმის პრინციპების განხორციელებით. სწორედ ამ ინსტიტუტმა ბევრი, ძალიან ბევრი რამ გააკეთა ქალაქში კრიმინოგენური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და ადამიანთა ცნობიერების გაჯანსაღებისათვის.

1997 წლის მაისიდან კი შეიქმნა იმერეთის სამხარეო შინაგან საქმეთა მთავარი სამმართველოს საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტი. მასში შევიდნენ როგორც ქ. ქუთაისის, ასევე იმერეთის 11 ქალაქისა და რაიონის წარმომადგენლები. ინსტიტუტის

რექტორია ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ლევან სვანაძე, პრორექტორი, კუკური უკლება, სწავლული მდივანია მაია ბარამიძე. ინსტიტუტის წევრთა რაოდენობა კი 27 კაცით განისაზღვრება. უნდა ითქვას რომ ამის გარდა ინსტიტუტს აქვს ფილიალები იმერეთის მხარეში შემავალ ყველა ქალაქსა და რაიონში.

იმერეთის მხარის საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტს გააჩნია თავისი წესდება და დებულება, რომლის მიხედვითაც მისი ორგანიზაციული სტრუქტურა ასეთ სურათს ქმნის: სულ ათამდე სექციაა, რომელთა ხელმძღვანელებს გააჩნიათ მუშაობის საკუთარი გეგმები, სექციები ფართო სპექტრის საქმიანობას ეწევიან.

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ინსტიტუტის გაზეთი "ბექთარი", რომლის რამდენიმე ნომერი დიდი ინტერესით მიიღო მკითხველმა. გაზეთის სარედაქციო კოლეგიას ხელმძღვანელობს ცნობილი ჟურნალისტი ალეკო შენგელია, რომელიც ნეიული პრინციპულობით ცდილობს გაზეთის ფურცლებზე დაამკვიდროს ნამდვილი დემოკრატიულობა და საჯაროობა. გაზეთი დაუნდობლად ჰკიცხავს ორგანოს იმ მუშაკებს, რომლებსაც ჯერ არა აქვთ ბოლომდე გათავისებული დროის მოთხოვნა. გაზეთს არც დღევანდელობის რიტმს თანაშეწყობილ მუშაკთა განსაკუთრებული შემართება და ენთუზიაზმი ავიწყდება და ყველას ღირსეულ პატივს მიაგებს.

დიდი აქტიურობით გამოირჩევა ავტოსაგზაო მოძრაობის უსაფრთხოების პრობლემათა სექციაა (ხელმძღვანელი კ. კენჭაძე), რომლის მუშაობა ნამდვილად იმსახურებას განზოგადებას: სისტემური შეკრებები და შეხვედრები, აზრთა გაცვლა-გამოცვლა, ოპერატიული თათბირები, საგზაო პოლიციის შემადგენლობის ფორმებზე ზრუნვა, მოწინავე ავტოინსპექტორთა წახალისება... ეს ყველაფერი კი ძალზედ პოპულარულს ხდის სექციის ხელმძღვანელის საქმიანობასა და ავტორიტეტს.

არანაკლებ საქმიან ხასიათს ატარებს ნარკომანიისა და ნარკობიზნესისს წინააღმდეგ ბრძოლისა და არასრულწლოვანთა შორის სამართალდამრღვევის პრობლემების შემსწავლელი სექციის მოღვაწეობა, აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ სულ ახლახან მათი ეგიდით მოწვეული იქნა საქალაქო კონფერენცია, ქალაქისა და მხარის ფართო საზოგადოებრივი ძალებისა და ინტელიგენციის წარმომადგენელთა მონაწილეობით, რომელსაც აგრეთვე

ესწრებოდა შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლობაც, საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტის რექტორის მაია დარსიას ხელმძღვანელობით (ამ კონფერენციის ვრცელი ანგარიში განხილულია წინა თავებში).

საქართველოს შს სამინისტროს იმერეთის მხარის პოლიციის მთავარ სამმართველოსთან არსებულ საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტს დადებითი გამოცდილება გააჩნია იდეოლოგიური მუშაობის უკიდურესად ფართო მასშტაბით წარმოების საქმეში. ინსტიტუტის საქმიანობაში დიდ როლს ასრულებს ის, რომ მას სათავეში უდგას ისეთი დიდი ავტორიტეტის მქონე პიროვნება, როგორიცაა პროფესორი ლევან სვანაძე, რომელიც თავის მხრივ აქტიურ მონაწილეობას ღებულობს საქართველოს მასშტაბით მოწყობილ თათბირებსა და კონფერენციებში.

თავისი მუშაობის პრაქტიკულ საქმიანობაში ინსტიტუტი ფართოდ იყენებს იმერეთის მხარეში შემავალ ქალაქებსა და რაიონებთან ახლო კონტაქტებისა და თანამშრომლობის მეთოდებს. ასეთი სახის "გასვლითი ხასიათის" სხდომები ჩატარდა ქალაქ წყალტუბოში, ბაღდათის შს რაიგანყოფილებაში და სხვაგან, სადაც ინსტიტუტის წარმომადგენლები დაესწრნენ პოლიციის ადგილობრივი განყოფილებების რიგითა და ოფიცერთა სპორტულ-სამწყობრო შეჯიბრება-მეცადინეობას. ასეთი ღონისძიება დაგეგმილია მომავალშიც სხვადასხვა რაიონულ თუ საქალაქო განყოფილებებში გასასვლელად.

საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტის წევრთა შეკრება ხდება თვეში ერთხელ, სადაც განიხილება სხვადასხვა პრობლემატური საკითხები. ხშირ შემთხვევაში სხდომას ხელმძღვანელობს მთავარი სამმართველოს უფროსი, პოლიციის გენერალ-მაიორი რუბენ ასანიძე, რომელიც დიდ ინტერესს იჩენს საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტისადმი.

ინსტიტუტის რექტორატმა თავისი დაინტერესების საქმედ აქცია საქართველოს ერთიანობისათვის ბრძოლაში დაღუპულ მეომართა ოჯახებზე ზრუნვის საკითხი. მათ უზრუნველყვეს 26 ქვრივ-ობოლი ოჯახის "მიმაგრება" ქალაქის წარმოება-დაწესებულებათა კმაყოფაზე.

ინსტიტუტი თავისი მუშაობის პრაქტიკაში ხელმძღვანელობს საქართველოს საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტისა და იმერეთის მხარის მთავარი სამმართველოს ოპერატიულ თათბირთა გადაწყვეტილებებით და მითითებებით, ამასთან ერთად ინსტიტუტს

საკუთარი გამოცდილების მდიდარი პრაქტიკა გააჩნია, ამას კი განაპირობებს ინსტიტუტის რექტორატისა და წამყვან მუშაკთა ხანგრძლივი ცხოვრებისეული ტრადიციები. ამიტომაც არის, რომ უფროსი თაობის წარმომადგენლებს თავისი საქმიანობის მუდმივი ინტერესის სფეროში აქვთ დაყენებული ახალგაზრდა კადრებთან სისტემატური კონტაქტებისა და თავისი პრაქტიკული გამოცდილების გაზიარების აუცილებლობა, რაც თავის მხრივ ელინდება იმ ერეთის სამხარეო შს მთავარ სამმართველოს საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტის საქმიანობაში.

ახლა, როცა ქვეყნის დამოუკიდებლობა გადამწყვეტ ფაზაში შედის და როდესაც ასე აქტუალური ხდება ჩვენი ქვეყნის უდიდესი მონაპოვრის დაცვა, როცა ქვეყნის მტრებსა და მოშურნეებს ახრჩობთ ბოღმა და შური, განსაკუთრებული სიფხიზლე და ერთობა გვმართებს. ამიტომაცაა, რომ საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტი ორგანოს მუშაკებისათვის იმ მაღვიძარა საათის როლს ასრულებს, რომლის ხმაზეც ნებისმიერ დროს ფეხზე დგას ქართული პოლიცია და რომელსაც თავის მხრივ სწამს ამ დაძახილისა და მოწოდების.

4. შიდა ქართლი

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის გენერალ-ლეიტენანტ კახა თარგამაძისა და აღნიშნულ სამინისტროსთან არსებული საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტის რექტორის პროფესორ მამია დარჩიას 1996 წლის 29 აპრილის ერთობლივი წერილის საფუძველზე, შიდა ქართლის სამხარეო შს მთავარი სამმართველოს უფროსის, პოლიციის პოლკოვნიკ ნ. დალაქიშვილის 1996 წლის 10 ივლისის 355 ბრძანებით დაარსდა საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტი.

ინსტიტუტის მთავარი მიზანია ყოველმხრივი დახმარება აღმოუჩინოს და ხელი შეუწყოს შინაგან საქმეთა მთავარ სამმართველოს იმ ამოცანათა განხორციელებაში, რომლებიც ეხება მართლწესრიგის განმტკიცებისა და დამნაშავეობათა წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერებას, სამართალდარღვევათა პროფილაქტიკის გაუმჯობესებას, კანონიერების განმტკიცებას და მოსახლეობაში მართლშეგნების ამაღლებას.

საქართველოს საქმართველოს ხელმძღვანელობისა და საქმინისტროს საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტის რეკომენდაციით შიდა ქართლის საქმხარეო შს მთავარი საქმართველოს საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტის რექტორის თანამდებობაზე რეკომენდაცია გაეწია გორში საქართველოს პარლამენტის წარმომადგენლობის ბიუროს უფროსს, რომელსაც დაეკალა დებულების, წესდების, ინსტიტუტის საქმიანობის კონკრეტული ამოცანების ნამოყალიბება და დასამტკიცებლად წარმოდგენა.

ამავე ბრძანებით შიდა ქართლის შინაგან საქმეთა საქმხარეო მთავარ საქმართველოს დაქვემდებარებაში მყოფ საქმართველოებს, განყოფილებებს, საქმსახურსა და ქვედანაყოფს დაეკალათ ხელი შეეწყოთ და დახმარებოდნენ საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტის რექტორატს მუშაობაში.

1996 წლის 20 სექტემბერს ნატარდა შიდა ქართლის შინაგან საქმეთა მთავარ საქმართველოსთან დაარსებული საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტის გაფართოებული საორგანიზაციო სხდომა, რომელსაც ესწრებოდნენ მხარის ადმინისტრაციული ორგანოების პასუხისმგებელი მუშაკები, საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტის წევრები, მხარეში შემავალი რაიონების გორის, ქარელის, კასპის, ხაშურის გამგებლები, პროკურატურის, სასამართლოს და ადვოკატურის პასუხისმგებელი პირები, საქართველოს საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტის ხელმძღვანელები.

სხდომაზე განიხილეს: 1. საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტის მიზნები და ამოცანები; 2. შიდა ქართლის საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტის რექტორის, პრორექტორებისა და სექციების განსაზღვრისა და დამტკიცების შესახებ; 3. შიდა ქართლის შინაგან საქმეთა მთავარ საქმართველოსა და საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტის ყოველთვიური ბეჭდვითი ორგანოს "ქართლის გუშაგის" დაარსების, მისი წესდების განხილვა-დამტკიცებისა და რექტორატის შესახებ.

მოხსენებებით გამოვიდნენ საქართველოს შინაგან საქმეთა საქმინისტროს საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტის რექტორი ია-ია დარნია, შიდა ქართლის შს საქმხარეო მთავარი საქმართველოს უფროსი ნოდარ დალაქიშვილი და ანავე საქმართველოს უფროსის მოადგილე მერაბ გოხელაშვილი. საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტის რექტორია შოთა ჯვარიძე, პრორექტორები არიან მერაბ გოხელაშვილი და გურამ ვაშაკიძე.

საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტის სექციებია:

1. ჰუმანური აღზრდის სექცია თავმჯდომარე შოთა ქურდაძე, პედაგოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი;

2. სამეცნიერო ორგანიზაციებთან, უმაღლეს სასწავლებლებთან ურთიერთობის და მეცნიერების მონაპოვართა გამოყენებადანერგვის პრობლემებზე მუშაობის სექცია თავმჯდომარე ელდარ მამისთვალაშვილი, ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი;

3. ახალგაზრდობასა და არასრულწლოვანთა შორის სამართალდარღვევების პრობლემების შემსწავლელი სექცია - თავმჯდომარე შოთა არსენიძე, პედაგოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი;

4. საგანგებო სიტუაციებისა და კონფლიქტების მოწესრიგების პრობლემების შემსწავლელი სექცია თავმჯდომარე მერაბ გოხელაშვილი, პროფესორი;

5. მასობრივი ინფორმაციის საშუალებებთან ურთიერთობის სექცია - თავმჯდომარე გურამ ვაშაკიძე, პროფესორი;

6. ნარკოლოგიისა და ალკოჰოლიზმის პრობლემების შემსწავლელი სექცია - თავმჯდომარე მარინე განჯელაშვილი, გორის საარაიონთაშორისო ფსიქონევროლოგიური დისპანსერის მთავარი ექიმი;

7. სათბობ-ენერგეტიკული რესურსების მომჭირნეობით გამოყენების შემსწავლელი სექცია - თავმჯდომარე მორის კეველიშვილი, გორისა და გორის რაიონის მაჟორიტარული წესით არჩეული პარლამენტის ბიუროს წამყვანი სპეციალისტი;

8. სოფლის მეურნეობის აღორძინებისა და მთის ზონის მიწების რაციონალურად გამოყენების პრობლემების შემსწავლელი სექცია - თავმჯდომარე ნიკოლოზ ურჯუმელაშვილი, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი, ინჟინერ-მექანიზატორი;

9. საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების პრობლემების შემსწავლელი სექცია თავმჯდომარე ელდარ კახიძე, ინჟინერ-მექანიკოსი;

10. პროფესიული ეთიკისა და ზნეობრივი სრულყოფის სექცია - თავმჯდომარე დიმიტრი დოიჯაშვილი, ადვოკატი, პოლიციის ვეტერანი;

11. ბუნების დაცვის პრობლემების შემსწავლელი სექცია თავმჯდომარე ოთარ ოქროპირიძე, დამსახურებული მეტყევე;

12. პარტიების, საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და მოძრაობებს შორის ურთიერთობის სექცია - თავმჯდომარე ცია-

ლა კობერიძე, გორისა და გორის რაიონის პროკურორების გაერთიანების თავმჯდომარე (10 წევრი);

13. საზოგადოებრივი დამცველის სექცია თავმჯდომარე მაია ბიბილაშვილი, გორის ადვოკატურის ადვოკატი;

ამგვარად, ინსტიტუტში 13 სექციაა 145 წევრით; ხოლო ხაშურის, ქარელისა და კასპის შს რაიგანყოფილებებთან შექმნილი ფილიალების წევრთა რაოდენობის მიმატებით (75) საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტის შიდა ქართლის სამხარეო განყოფილება 220 წევრს და აქტივისტს ითვლის.

დაარსების დღიდან ინსტიტუტმა და გაზეთმა მთავარი აქცენტი გააკეთეს პოლიციის ავტორიტეტის ამაღლების, მისი ცალკეული სამსახურების დადებითი მუშაობის განზოგადების და გამოცდილების დანერგვისათვის. როგორც წესი, ინსტიტუტის რექტორატი, ცალკეული სექციის ხელმძღვანელები აქტიურად მონაწილეობენ სამხარეო ადმინისტრაციის მიერ ტრადიციულ ყოველკვარტალურ, ნახევარწლიურ და ყოველწლიური შედეგების შეჯამებაში. ინსტიტუტის გაზეთში ქვეყნდება შედეგების ვრცელი ანალიზი პრობლემების, ღონისძიებების და ზემდგომ ორგანოებში დასაყენებელი საკითხების გაშუქებით.

ინსტიტუტის რექტორი არნეულია არასრულწლოვანთა საქმეების, მართლწესრიგისა და კანონიერების, ნარკომანიისა და ნარკობიზნესის წინააღმდეგ ბრძოლის სამხარეო კომისიის წევრად, რომელსაც ხელმძღვანელობს საქართველოს პრეზიდენტის რწმუნებული შიდა ქართლის მხარეში. ამავე კომისიებში არიან ახალგაზრდობასთან და ნარკოლოგიისა და ალკოჰოლიზმის პრობლემების შემსწავლელი სექციის ხელმძრვანელები, რაც საშუალებას აძლევს ინსტიტუტს სისტემატურად საქმის კურსში იყოს, როგორც მხარის ადმინისტრაციული ორგანოების, ისე გამგეობების მიერ გაწეულ საქმიანობაზე და შესწავლილი მასალები, დასკვნები და რეკომენდაციები ფართოდ გააცნოს მკითხველთა მრავალრიცხოვან შემადგენლობას.

1996 წლის 20 დეკემბერს გორში ადმინისტრაციული სახლის სხდომათა დარბაზში ჩატარდა სხდომა, რომელიც მიეძღვნა არასრულწლოვანთა დანაშაულობათა პრობლემის განხილვას.

გაფართოებულ სხდომას დაესწრნენ: შიდა ქართლის არასრულწლოვანთა საქმეებისა და მათი სოციალური დაცვის სამხარეო კომისიის წევრები; შიდა ქართლის შინაგან საქმეთა სამხარეო მთავარ სამმართველოსთან არსებული საზოგადოებ-

რივი აზრის ინსტიტუტის წევრები; ქარელის, კასპის, ხაშურის რაიონების გამგებლები; რეგიონის საამართალდამცავ ორგანოთა ხელმძღვანელები; განათლების, კულტურის, სპორტის წარმომადგენლები; სტუდენტები, პრესის, რადიოსა და ტელევიზიის მუშაკები; არასრულწლოვანთა ხაზით მომუშავე პოლიციის ინსპექტორები. სხდომას ესწრებოდნენ: საქართველოს პრეზიდენტის ადგილობრივი მმართველობისა და რეგიონალური პოლიტიკის საკოორდინაციო სამსახურის უფროსი ბადრი ხატიძე და საქართველოს ურბანიზაციისა და მშენებლობის მინისტრი მერაბ ხხენკელი.

დღის წესრიგში ერთი საკითხი იდგა: არასრულწლოვანთა დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში შიდა ქართლის ადმინისტრაციის, საშხარეო კომისიისა და შინაგან საქმეთა სამხარეო მთავარ სამმართველოსთან არსებული საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტის ამოცანების შესახებ.

მოხსენება გააკეთა: საქართველოს პრეზიდენტის რწმუნებულმა შიდა ქართლში ირაკლი ბოჭორიძემ.

მან აღნიშნა, რომ განსახილველ პრობლემას წინ უსწრებდა გაზეთ "ქართლის გუშაგის" სპეციალური ნომრის გამოშვება, რომელიც სამი-ოთხი დღით ადრე დაურიგდათ სხდომის ყველა მონაწილეს. მოხსენების თეზისებში, მიმართვებსა და წერილებში გამოთქმულია კომისიისა და საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტის წევრთა საერთო აზრი, რომელიც ეეუძნება საქართველოს პრეზიდენტის 1996 წლის 1 ივნისის 431 ბრძანებულებას "არასრულწლოვანთა სოციალური დაცვის, პროფესიული მომზადებისა და საამართალდარღვევათა პროფილაქტიკის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ". მან ვრცლად ილაპარაკა სკოლის, ოჯახის, საზოგადოების როლსა და ამოცანებზე. რომლებმაც ხელი უნდა შეუწყონ ახალგაზრდობას ფორმირებაში, მოითხოვა საამართალდამცავ ორგანოთა და არასრულწლოვანთა ხაზით მომუშავე მუშაკთა მუშაობის მკვეთრი გაუმჯობესება, ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტის მუშაობის სტილისა და მეთოდების სრულეოფა. სთხოვა მოწვეულთ გამოეთქვათ კონკრეტული და საქმიანი წინადადებები. მართლაც ბევრმა გამოთქვა თავისი აზრი.

შიდა ქართლის საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტის რექტორმა შოთა ჯვარიძემ - ილაპარაკა საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტის, მისი სექციების მიზნებსა და ამოცანებზე. იმ

როლზე, რომლის შესრულებაც უნდა შეძლოს საზოგადოებრივმა აზრმა ახალგაზრდობის დანაშაულის შემცირებაში. დაბსწრეთ გააცნო საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტის მიერ შემუშავებული მოხსენების თეზისები და მიმართვის ტექსტი და შეიტანა წინადადება, რომ იგი განიხილონ მხარეში შემავალ ყველა რაიონში; გაიშალოს ფართო მუშაობა მის შესასრულებლად.

საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტის ახალგაზრდობისა და არასრულწლოვანთა შორის საამართალდარღვევათა პრობლემების სექციის თავმჯდომარემ, გორის ეკონომიკური ინსტიტუტის დაწყებითი განათლებისა და პედაგოგიკის კათედრის გამგემ, დოცენტმა შოთა არსენიძემ ძირითადად მოიწონა მოხსენებაში წამოჭრილი პრობლემები და დააყენა კონკრეტული საკითხები; კერძოდ, გორის ტელევიზიის 9 არხის გამხრწნელი მოქმედების შესახებ ახალგაზრდებზე. უნდა მოვაწყოთ რეიდები ღამის საათებში კაფე-ბარებში მცირეწლოვანთა გამოსაელინებლად, საკოლმეურნეო ბაზარში უნდა აიკრძალოს მცირეწლოვანთა ვაჭრობა. მან მიზანშეწონილად ჩათვალა შეიქმნას მცირეწლოვანთა მატერიალური დახმარების ფონდი. მკვეთრად უნდა გაძლიერდეს ოჯახისა და სკოლის ურთიერთობა.

საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტის ჰუმანური აღზრდის სექციის თავმჯდომარემ შოთა ქურდაძემ აღნიშნა, რომ მთავარი პრობლემა და სიმძიმე აღზრდისას უნდა გადავიტანოთ ოჯახზე. დღეს სკოლას აღარა აქვს აღზრდის იდეოლოგია. საზოგადოებამ უნდა ამხილოს, აჩვენოს სულიერად დამახინჯებული ბავშვები, ოღონდ მშობლებთან ერთად. არ შეიძლება თანამდებობაზე იყოს კაცი, რომელსაც შვილის აღზრდა არ შეუძლია. მიზანშეწონილად ჩათვალა სექციის წევრებმა, და საერთოდ ინსტიტუტმა, გაშალოს ფართო მუშაობა ადგილზე მისვლით.

შინაგან საქმეთა გორის სამმართველოს არასრულწლოვანთა ინსპექციის უფროსმა ინსპექტორმა შოთა მელაძემ აღნიშნა, რომ ის სიძნელეები, რაც ხელახლა აღზრდასთან არის დაკავშირებული, არ არის დაძლეული; არ გვაქვს საშუალება არასრულწლოვანი გავგზავნოთ სამტრედიაში, ცხინვალში, საგარეჯოში, როგორც ამას ადრე ვაკეთებდით. აღარ არსებობს მშობლებზე ზემოქმედების ფორმებიც, რადგან მოსახლეობის 80-90 პროცენტი არ მუშაობს. მან მოითხოვა ატენის სკოლა-ინტერნატის ბაზაზე 20 ბავშვის დამატებით მიღება და მათი შენახვის უზრუნველყოფა.

ნარკოლოგიისა და ალკოჰოლიზმის პრობლემების შემსწავლელი სექციის თავმჯდომარემ, გორის სარაიონთაშორისო ფსიქონევროლოგიური დისპანსერის მთავარმა ექიმმა მარინე განჯელაშვილმა აღნიშნა, რომ ნარკოლოგია რეფორმების გამო მივიწყებული იყო. ნარკომანთა რაოდენობა გეომეტრიული პროგრესიით იზრდება. დღეს იგი არასრული მონაცემებით 200 ათასს აღწევს. სერიოზული პრობლემაა ქალი-ნარკომანი. ეს ძირითადად კონფლიქტურ ოჯახებში ხდება. ავადმყოფები მოჰყავთ ან მოდიან მშობლების გარეშე, რაც იმაზე მეტყველებს, რომ ბევრმა მშობელმა არ იცის შვილის საქმიანობა. მან შეშფოთება გამოთქვა, რომ თუ ასე გაგრძელდა და საზოგადოებამ არ მიიღო გადამჭრელი ზომები, ვერაფერ გენოფონდს ვერ დავუტოვებთ მომავალს.

საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტის სამეურნეო ორგანიზაციებთან, უმაღლეს სასწავლებლებთან ურთიერთობისა და მეცნიერების მონაპოვართა გამოყენება-დანერგვის პრობლემებზე მუშაობის სექციის ხელმძღვანელმა, ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორმა ელდარ მამისთვალაშვილმა ილაპარაკა სტუდენტებისა და ინსტიტუტების კოლექტივთა ამოცანებზე. ჩვენთან მოიშალა შიშის ფაქტორი, პოლიციის რიდი აღარ გვაქვს. ახალგაზრდობის ცენზით აღზრდა რომ საჭიროა, ეს ცხოვრებამ დაგვიდასტურა. მან მოითხოვა, რომ პატრული უნდა დადიოდეს ქალაქში. მართალია მდგომარეობა სტაბილური ხდება, მაგრამ კონტროლი აუცილებლად მიმაჩნია.

შიდა ქართლის სამხარეო მთავარი სამმართველოს უფროსმა, პოლიციის პოლკოვნიკმა ნოდარ დალაქიშვილმა აღნიშნა, რომ ანალოგიური ღონისძიებანი ხელს შეუწყობენ საზოგადოებაში მართლწესრიგის განმტკიცებისათვის ბრძოლას, ააამაღლებენ პოლიციის ავტორიტეტს და გაზრდიან მის ბრძოლისუნარიანობას. მან ხაზი გაუსვა, რომ პოლიციაში მოხვედრილი დამნაშავე ახალგაზრდა ხშირად დანაშაულის გზას ადგება და მისი სრულყოფილ მოქალაქედ ჩამოყალიბება ძნელდება. მან მოითხოვა არასრულწლოვანთა ხაზით მომუშავე კომისიებისა და ინსპექციების საქმიანობაზე მეტი კონტროლი და დახმარება. დამსწრეთ აღუთქვა, რომ მთავარი სამმართველო და მისი ყველა სამსახური გაგებით მოეკიდებოდა ახალგაზრდების დანაშაულთა აღკვეთისათვის გადადგმულ ყველა ნაბიჯს, რადგან მომავალი თაობის სწორი მიმართულებით აღზრდა სახელმწიფოს გამარჯვების უტყუარი გარანტიაა.

სხდომის მუშაობა შეაჯამა საქართველოს პრეზიდენტის რწმუნებულმა შიდა ქართლში ირაკლი ბოჭორიძემ.

ანალოგიური ღონისძიებანი ნატარდა ხაშურის და ქარელის რაიონებში. ატენის სკოლა-ინტერნატში გაიხსნა უზედამხედველო ბავშვთა კლასი, რომელშიც არასრულწლოვანთა სამსახურის წარმომადგენელთა რეკომენდაციით ნაირიცხა 20 ბავშვი. კომისიას და გაზეთის რედაქციას სისტემატიური კავშირი ჰქონდა სკოლა-ინტერნატის ხელმძღვანელობასთან.

ახალგაზრდობის აღზრდის პრობლემებს მიეძღვნა შიდა ქართლის საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტის შეხვედრა ჟურნალ "საქართველოს ქალის" რედაქციასთან 1997 წლის 29 ივლისს, რომელიც მიეძღვნა შიდა ქართლის მოსახლეობაში ქალთა როლის შემდგომი ამაღლებისა და მომავალი თაობის აღზრდის საკითხებს.

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია შიდა ქართლის საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტის და გაზეთის როლი ნარკომანიისა და ნარკობიზნესის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში, რადგან შიდა ქართლი, მისი რაიონები უშუალოდ ესაზღვრებიან ცხინვალის რეგიონს, რომელიც დღეისათვის, გასაგები მიზეზების გამო, პოლიციის მიერ ვერ კონტროლდება, წარმოადგენს დამნაშავეთა სამყაროს საყრდენს.

1999 წლის სექტემბერში შიდა ქართლის მხარეში საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულის აპარატთან არსებულმა ნარკომანიისა და ნარკობიზნესის წინააღმდეგ ბრძოლის კომისიამ მოისმინა ინსტიტუტის და გაზეთ "ქართლის გუშაგის" მიერ ამ მიმართულებით გაწეული მუშაობის შესახებ. კომისიის სხდომაზე აღინიშნა, რომ ინსტიტუტს და გაზეთს დაარსების დღიდან (1996 წლის აგვისტო) სერიოზული ღონისძიებები აქვს განხორციელებული მხარის მოსახლეობაში ნარკომანიისა და ნარკობიზნესის წინააღმდეგ ბრძოლისა და მოსახლეობის ფართო ფენებში ნარკომანიის მავნეობის პროპაგანდისათვის.

გაზეთის დაარსებისთანავე სარედაქციო წერილში "ნვენი მიზნები და ამოცანები" - სამხარეო მთავარი საქმართველოს უფროსის ნოდარ დალაქიშვილის გამოსვლაში გამახვილებული იქნა ყურადღება ნარკომანიაზე, როგორც საზოგადოებისთვის საშიშ სენზე. 1996 წლის ნოემბერში გაზეთში დაიბეჭდა სტატია პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულთან არსებული კომისიის

მიერ ნარკომანიის და ნარკობიზნესის წინააღმდეგ ბრძოლის კონკრეტული გეგმის თაობაზე.

იმის გათვალისწინებით, რომ 1997 წელი კორუფციისა და ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლის წლად გამოცხადდა, 1997 წლის მარტში ინსტიტუტმა და რედაქციამ გაზეთის ნომერი მიუძღვნეს ნარკომანიასთან ბრძოლას, რომელიც მიმდინარეობდა საქართველოს პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის მიერ წარმოთქმული შეფასებით: "ნარკომანიასთან ბრძოლა ქვეყნის საგარეო და საშინაო პოლიტიკის ნაწილია!"

გაზეთში აისახა შიდა ქართლის მხარის მასშტაბით ჩატარებული რესპუბლიკური მნიშვნელობის ღონისძიება, რომელიც ჩაატარა შიდა ქართლის მხარის ადმინისტრაციამ ნარკომანიისა და ნარკობიზნესის წინააღმდეგ ბრძოლის ბიუროს მიერ შემუშავებული ეროვნული პროგრამის შესაბამისად. პრესაში დაიბეჭდა საქართველოს ხელოვნების, სპორტის ცნობილი მოღვაწეების და ინსტიტუტის მიმართვები მოსახლეობისადმი, ნარკომანიის მიმდევრებისადმი.

1997 წლის ბოლოს საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტმა და მისმა შესაბამისმა სექციამ საერთაშორისო ორგანოებთან, განათლების სისტემის და არასრულწლოვანთა კომისიების მუშაკებთან ერთად ჩაატარა შეხვედრა-სემინარი, რომელზედაც შემუშავდა რეკომენდაციები.

გაზეთი პერიოდულად ბეჭდავს თავის ფურცლებზე მხარეში საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციის მიერ საერთაშორისო ორგანოთა მუშაობის ანალიზს, სადაც სხვა საკითხებთან ერთად განსაკუთრებული ყურადღება მახვილდება ნარკომანიაზე, როგორც საშიშ სენზე და დანაშაულზე და ხდება მათი აღმოფხვრის გზების დასახვა.

გარდა აღნიშნულისა, გაზეთმა დაბეჭდა გორის პროკურორის, შინაგან საქმეთა გორის, ქარელის, ხაშურის, ერედვის და სხვა სამსახურების უფროსთა წერილები. როგორც წესი, პრესაში რეგულარულად შუქდება ნარკომანიის უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის საშხარეო კომისიის სხდომის მასალები, კონკრეტული ფაქტების მითითებით.

საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტის და რედაქციის ერთობლივი გადაწყვეტილებით დაიწყო და დღესაც გრძელდება გაზეთში ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლის ციკლის სერიული გამოქვეყნება რუბრიკით "ვუშველოთ თაშბაქოს მწეველებს,

ალკოჰოლიკებსა და ნარკომანებს ეგრეთ წოდებული "შავი", "თეთრი" და "მწვანე" ურნიხულების ტყვეობისაგან განთავისუფლებაში". 1998 წლის დეკემბერში გამოქვეყნდა საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტის წევრის, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატის გივი ციციშვილის ვრცელი წერილი. აღნიშნული მიმართულებით მუშაობა გრძელდება.

შიდა ქართლის საამხარეო საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტმა თავის ტრადიციულ კვარტალურ შეკრებაზე მიიღო რექტორატის წინადადება მართლწესრიგისა და კანონიერების დაცვა-განმტკიცებისა და ახალგაზრდობის აღზრდის საქმეში დიდი მსოფლიო ომის, შრომისა და პოლიციის ვეტერანთა ფართოდ ჩაბმის თაობაზე.

სერიოზული მუშაობა გაიშალა გორსა და გორის რაიონში წინასწარ შემუშავებული გეგმისა და გრაფიკის მიხედვით, ჩატარდა შეხვედრები ქალაქის საფეიქრო კომბინატის დასახლების, რკინიგზის უბნის, ცენტრალური ნაწილის უბნებში მცხოვრებ ვეტერანებთან. შეხვედრებზე აირჩიეს ვეტერანთა საბჭოები, რომლებიც აკონტროლებენ ომისა და შრომის ვეტერანთა მიერ შეკრებებზე დასმულ წინადადებებს, მოთხოვნებსა და მოსაზრებებს.

ანალოგიური შეხვედრები ჩატარდა სოფლებში - ყელქცეულში, სკრაში, ნიქოზში, ხელდულეთში, კარალეთში და სხვაგან. განსაკუთრებით აღნიშვნის ღირსია ასეთი ღონისძიების ჩატარება ღიახვის ხეობაში - სოფელ თამარაშენში, სადაც შეიკრიბა ქურთის თემის 6 სოფელში მცხოვრები სამამულო ომის 45 მონაწილე.

შეხვედრებმა ცხადყო, რომ ვეტერანები დიდი ძალაა და ისინი მეტ ყურადღებას და თანადგომას საჭიროებენ. აქტივის კომუნალური და საყოფაცხოვრებო სამსახურების მეშვეობით მოხდა მთელი რიგი საკითხების გადაწყვეტა, მაგრამ პრობლემები უამრავია და გადაწყვეტის გზები კი რთული.

საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტის და გაზეთ "ქართლის გუშაგის" საშუალებით ვეტერანთათვის გაიმართა ორი უფასო კონცერტი, რომელშიც მონაწილეობდნენ გ. ერისთავის სახელობის გორის სახელმწიფო დრამატული თეატრისა და ფეიქართა კულტურის სასახლის შემოქმედებითი ძალები.

იმისათვის, რომ ინსტიტუტს მჭიდრო კონტაქტი გაანდეს შიდა ქართლის შინაგან საქმეთა სამხარეო მთავარ სამმართველოსთან, გარდა ცალკეული სამსახურების მუშაობის გაშუქებისა,

პრაქტიკაში დაინერგა პერიოდული შეხვედრები საჯარეო სამმართველოს უფროსთან ნოდარ დალაქიშვილთან, შეხვედრები ეწყობა სექციების ხელმძღვანელების, ცალკეული საჯასურების დონეზე. პრაქტიკაში დაინერგა აგრეთვე შეხვედრა-ინტერვიუები, როცა სამმართველოს ხელმძღვანელი მუშაკები პასუხობენ საინტერესო საკითხებზე.

კონტაქტების კარგი ფორმაა საზოგადოებრიული აზრის ინსტიტუტის რექტორის დასწრება სამმართველოს ორშაბათის ოპერატიულ თათბირებზე, რაც საშუალებას აძლევს რექტორატს შეარჩიოს ინსტიტუტისა და გაზეთის მუშაობის მიმართულებები.

რასაკვირველია, ინსტიტუტის საქმიანობა არ არის დაზღვეული სერიოზული ნაკლოვანებებისა და ხარვეზებისაგან. ეს უპირველეს ყოვლისა, ეხება საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტის ზოგიერთი წევრის პასიურობას, სექციების ნაწილის უმოქმედობას. მეტი უნდა გააკეთონ შიდა ქართლის საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტის ჰუმანური აღზრდის, სათბობ-ენერგეტიკული რესურსების მომჭირნეობით გამოყენების, ბუნების დაცვის პრობლემების შემსწავლელმა სექციებმა.

საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტი და გაზეთი ძირითადად ართმევენ თავს მოვალეობას. საჭიროა მუშაობის შემდგომი სრულყოფა და მეტი მონდომება, რათა უფრო აქტიურად წყვეტდეს იგი ჩვენს წინაშე დასმულ ამოცანებს.

ქვემო ქართლი

ქვემო ქართლის მხარის შინაგან საქმეთა მთავარ სამმართველოსთან არსებული საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტი შეიქმნა 1997 წლის სექტემბერში. მას აქვს დებულება, რომელიც დამტკიცებულია ქვემო ქართლის მხარის შინაგან საქმეთა მთავარი სამმართველოს უფროსის, პოლიციის პოლკოვნიკ თ. ბუკიას მიერ.

დებულების თანახმად, საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტი მოწოდებულია ხელი შეუწყოს ქვემო ქართლის შს მთავარ სამმართველოს იმ ამოცანების განხორციელების საქმეში, რომელიც ეხება მართლწესრიგის განმტკიცებისა და დანაშაულებათა წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერებას, ახდენს საზოგადოებრივი აზრის მობილიზაციას და წარმართავს მას პოლიციის ავტორიტეტის

ამაღლებისა და მისი მუშაკების საქმიანობაზე მართებული წარმოდგენის შესაქმნელად, აბაშს საზოგადოების ფართო ფენებს სამართალდარღვევათა თავიდან ასაცილებლად, საზოგადოებრივი წესრიგის დასამყარებლად, რისთვისაც მჭიდრო კონტაქტს ამყარებს მეცნიერების, ხელოვნების, სოფლის მეურნეობის, განათლების, პოლიტიკური პარტიების, პროფკავშირული და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლებთან.

საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტის რექტორია ზაურ გოგოლაძე, პრორექტორები არიან ამირან დავითაძე და გიორგი კვანტალიანი, სწავლული მდივანი გენრიეტა აბესაძე.

ქვემო ქართლის მხარის შინაგან საქმეთა მთავარ სამმართველოსთან არსებული საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტი აერთიანებს სხვადასხვა სექტორს, რომლებშიც მუშაობა სხვადასხვა მიმართულებით მიმდინარეობს:

1. არასრულწლოვანთა და ახალგაზრდობას შორის სამართალდარღვევათა პრობლემების შემსწავლელი სექტორი ხელმძღვანელი რუსთაველის განათლების სამმართველოს უფროსი ნანა დალაქიშვილი;

2. ნარკომანიისა და ალკოჰოლიზმის პრობლემების შემსწავლელი სექტორი ხელმძღვანელი რუსთაველის მეტალურგიული კომბინატის სამედიცინო კომპლექსის მთავარი ექიმი, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი ბადრი კელენჯერიძე;

3. საგზაო-სატრანსპორტო უსაფრთხოების პრობლემების შემსწავლელი სექტორი ხელმძღვანელი- საქონელმცოდნე-ეკონომისტი, შპს "ირმას" დირექტორი ლევან ხუციშვილი;

4. ეკოლოგიის სექტორი - ხელმძღვანელი მეტალურგიული კომბინატის სამედიცინო კომპლექსის გენერალური დირექტორი თამაზ მაქასარაშვილი;

5. ანტიკორუფციული სექტორი - ხელმძღვანელი სამშენებლო ფირმის უფროსი დავით პაიჭაძე;

6. სოციოლოგიური გამოკვლევის სექტორი - ხელმძღვანელი, სარემონტო-სამშენებლო სამმართველოს უფროსი, ინჟინერ-მშენებელი ჯუმბერ შარაბიძე;

7. პროფესიული ეთიკისა და ზნეობრივი სრულყოფის სექტორი - ხელმძღვანელი ეკონომისტი მაყვალა მუმლაძე;

8. მასობრივი ინფორმაციის საშუალებებთან ურთიერთობის სექტორი - გაზეთ "ახალი თაობის" კორესპოდენტი, ჟურნალისტი დავით ევგენიძე;

9. პარტიებთან, საზოგადოებრივ ორგანიზაციებსა და მოძრაობებთან ურთიერთობის სექტორი, ხელმძღვანელი იურისტი ვლადიმერ სოხაძე;

10. სამეცნიერო ორგანიზაციებთან და უმაღლეს სასწავლებლებთან ურთიერთობის სექტორი - ხელმძღვანელი რუსთავის მერიის აპარატის უფროსი გიორგი კახიანი;

11. საზოგადოებრივი დამცველის სექტორი - ხელმძღვანელი ადვოკატი გიორგი თევზაძე;

12. საგარეო ურთიერთობების სექტორი - ხელმძღვანელი რუსთავის მერის თანაშემწე თეიმურაზ დალაქიშვილი;

13. ბუნების დაცვის სექტორი ხელმძღვანელი რუსთავის ვიცე-მერი ლევან დუგლაძე;

14. ბიზნესისა და ეკონომიკური ურთიერთობების სექტორი - ხელმძღვანელი ეკონომისტი დავით გულარაშვილი.

საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს არასრულწლოვანთა პრობლემატიკას. შექმნილია ახალგაზრდობასა და არასრულწლოვანთა შორის სამართალდარღვევების პრობლემების შემსწავლელი სექტორი, რომელსაც კურირებს რუსთავის განათლების განყოფილების გამგე - ნანა დალაქიშვილი. აქტიურად მოღვაწეობს სექციაში ქვემო ქართლის მხარის განათლების საოლქო განყოფილების მთავარი სპეციალისტი - გენრიეტა აბესაძე. ინსტიტუტის წევრებს მჭიდრო კავშირები აქვთ ბავშვთა ოთახებთან და პოლიციის სამმართველოებსა და რაიგანყოფილებებში არასრულწლოვანთა დანაშაულის ხაზით მომუშავე ინსპექტორებთან.

საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტის წევრები, განსაკუთრებით ახალგაზრდობასა და არასრულწლოვანთა შორის სამართალდარღვევების სექტორის წარმომადგენლები იცნობენ აღრიცხვაზე მყოფ არასრულწლოვანებსა და მათ გამუდმებულ ყურადღებას აქცევენ. ინსტიტუტის წევრები სწავლობენ ბავშვთა სახლებსა და სკოლა-ინტერნატებში მოზარდთა საყოფაცხოვრებო პირობებს. მჭიდრო კავშირი აქვთ სასწავლო დაწესებულებების ხელმძღვანელობასთან.

სექცია გამორჩეულ ყურადღებას უთმობს ქუჩაში უპატრონოდ მიუსაფრად დარჩენილ ბავშვებს, რომლებიც ცხოვრებამ ობლობისათვის, ხანაც ლოთი ან ავადმყოფი მშობლებისათვის გასწირა.

ინსტიტუტის რექტორატის თაოსნობით არასრულწლოვანთა პრობლემებს მიეძღვნა ორი კონფერენცია და ერთი სემინარი. კონფერენციებს შინაგან საქმეთა ორგანოების თანამშრომლებისა

და ინტელიგენციის წარმომადგენლების გარდა ესწრებოდნენ ქვემო ქართლის სკოლების ხელმძღვანელები, პედაგოგები, თავად მიუსაფარი ბოგანო მოზარდები.

ინსტიტუტის წევრები ამ ბავშვებს დამნაშავეებად კი არა, სვეულებრივ მოზარდებად თვლიან, რომელთაც მათი თანატოლების მსგავსად, სითბო, უფროსების მეთვალყურეობა და მ'ხრუნველობა სჭირდებათ.

სექციის წევრები განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ არასრულწლოვანებთან დაკავშირებული სახელმწიფო პროგრამების განხორციელებას. პირველი პროგრამის განხორციელება 1999 წელს დამთავრდა. ამჟამად ძალას იკრებს ახალი პროგრამა, რომელიც 2003 წლამდე იმოქმედებს.

ქვემო ქართლის შინაგან საქმეთა მთავარ სამმართველოში არასრულწლოვანთა ინსპექტორად მუშაობს ქეთინო ლომიძე, რომელიც ამავე დროს გაზეთის კორესპოდენტიცაა. ქ. ლომიძე ჟურნალისტიკიდან მოვიდა პოლიციაში, ამიტომაც იგი პროფესიულად ახერხებს საინტერესო ფაქტებისა და დეტალების საა'კარაო'ხე გამოტანას გაზეთის მე'შვეობით.

ერთ-ერთი ყველაზე აქტიურია ნარკომანიისა და ალკოჰოლიზმის პრობლემების შემსწავლელი კომისია, რომელიც აზუსტებს ფაქტებს იმ პირების შესახებ, რომლებსაც აქვთ მიდრეკილება ნარკომანიისა და ალკოჰოლიზმისაკენ, განსაკუთრებულად ხელს უწყობს მათ ანონიმურ დისპანსერებში სამკურნალოდ, აზუსტებს ნარკოტიკული ნივთიერებების გამავრცელებელ წყაროებს და სახავს ღონისძიებებს მათ აღსაკვეთად.

სექტორი აქტიურად მუშაობს ნარკომანებთან, პოლინარკომანებთან, ტოქსიკომანებთან. ინსტიტუტის წევრებს ამ საქმიანობაში აქტიურად უჭერენ მხარს: ქვემო ქართლის შს მთავარი სამმართველოს ნარკომანიისა და ნარკობიზნესის წინააღმდეგ ბრძოლის განყოფილების უფროსი ბადრი არეშიძე, სხვადასხვა რაიგანყოფილებების შესაბამისი სამსახურის მუშაკები. ინსტიტუტის რამდენიმე კონფერენცია და სემინარი მიეძღვნა ამ ურთულეს პრობლემას.

ინსტიტუტ'ში აქტიურად ფუნქციონირებს საგ'ხაო-სატრანსპორტო უსაფრთხო მოძრაობის პრობლემების შემსწავლელი სექტორი, რომელიც სწავლობს საგ'ხაო მოძრაობასთან დაკავშირებულ ყველა საკითხს.

იგი აქტიურად თანამშრომლობს საგზაო პოლიციის თანამშრომლებთან. ამ თანამშრომლობას ხელს უწყობს ქვემო ქართლის

საგზაო პოლიციის უფროსი, პოლიციის პოლკოვნიკი ანზორ მარგიანი. ინსტიტუტის თანამშრომლები საგზაო პოლიციელებთან ერთად ერთობლივ რეიდებს ატარებენ სამართალდამრღვევი მძღოლების გამოსავლენად. სექტორის წევრები ავლენენ მოწინავე მძღოლებს და აქებენ წინადადებებს მათი წახალისების შესახებ.

ქვემო ქართლში არის ექვსი რაიონი. თითოეულ მათგანში ფუნქციონირებს საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტის, ფილიალი თავისი სექტორებით. თითოეული ფილიალი ცდილობს პირნათლად შეასრულოს თავისი მოვალეობა და გარკვეული წვლილი შეიტანოს ქვეყნის აღმშენებლობის საქმეში.

წალკის რაიონის საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტის ფილიალის რექტორია რაიონის მთავარი ექიმი, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი სტეფანე კარლისლიადისი, პრორექტორები - ადმინისტრაციული პოლიციის უფროსი, პოლიციის მაიორი იგორ აიდინოვი, განათლების განყოფილების გამგე, ღირსების ორდენის კავალერი თეოდორ ეპინოვი, სწავლული მდივანი წალკის გამგეობის თავმჯდომარის მოადგილე თენგიზ შავაძე.

თეთრიწყაროს რაიონის საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტის ფილიალის რექტორია რაიონის მთავარი ექიმი, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი ჭაბუკ იოსელიანი, პრორექტორები თეთრიწყაროს შს რაიგანყოფილების ადმინისტრაციული პოლიციის უფროსი, ვიცე-პოლკოვნიკი შოთა ბექაური, თეთრიწყაროს სკოლის დირექტორი ავთანდილ მელიქიშვილი; სწავლული მდივანი - ექიმი მზია ბეგიაშვილი.

დმანისის რაიონის საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტის ფილიალის რექტორია რაიონის მთავარი ექიმი ნოდარ ბერიძე, პრორექტორები - დმანისის შს რაიგანყოფილების ადმინისტროაციული პოლიციის უფროსი, პოლიციის მაიორი ნოდარ ციხელაშვილი, სკოლის დირექტორი ალექსი ტატუნაშვილი. სწავლული მდივანი: გაზეთ "დმანისის" მთავარი რედაქტორი რაინდი ასლამაზაშვილი.

ბოლნისის რაიონის საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტის ფილიალის რექტორია - გამგეობის აპარატის უფროსი ოთარ აბულაძე, პრორექტორები ბოლნისის შს რაიგანყოფილების ადმინისტრაციული პოლიციის უფროსი, პროლიციის პოლკოვნიკი ვაჟა გუგუნავა, სატყეო მეურნეობის დირექტორი მერაბ ჯაფარიძე; სწავლული მდივანი - ბოლნისის გამგეობის საორგანიზაციო განყოფილების გამგე ნიზამი მამედოვი.

მარნეულის რაიონის საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტის ფილიალის რექტორია ინჟინერ-ტექნოლოგი და იურისტი თემურ

ბერიძე; პრორექტორები - მარნეულის შს რაიგანყოფილების შტაბის უფროსი პოლიციის ვიცეპოლკოვნიკი გიორგი კალანდაძე, თემურ სუპატაშვილი - ბიზნესმენი, სწავლული მდივანი - მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი, მარნეულის რაიონის მთავარი ექიმი თამაზ სანებლიძე.

გარდაბნის რაიონის საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტის ფილიალის რექტორია გარდაბნის რაიონის განათლების განყოფილების გამგის მოადგილე ჯემალ დავითაძე, პრორექტორები ადმინისტრაციული პოლიციის უფროსი, პოლიციის პოლკოვნიკი ჰამლეტ დაშდამიროვი, თენგიზ თუმანიშვილი - სკოლის დირექტორი, სწავლული მდივანი - გარდაბნის რაიონის სოციალური უზრუნველყოფის განყოფილების მთავარი ეკონომისტი.

1997 წლის სექტემბერში დაარსდა ქვემო ქართლის შინაგან საქმეთა მთავარი სამმართველოსთან არსებული საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტის გაზეთი "ალგეთი", რომლის მთავარი რედაქტორია ინსტიტუტის რექტორი, ზაურ გოგოლაძე. გაზეთ "ალგეთის" სარედაქციო საბჭოს თავმჯდომარეა ვაჟა ეგრისელი, საბჭოს წევრები არიან საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსთან არსებული საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტის რექტორი, პროფესორი მამია დარჩია, ქვემო ქართლის მხარის შინაგან საქმეთა მთავარი სამმართველოს უფროსი, პოლიციის პოლკოვნიკი ალეკო ბუკია, რუსთავის შინაგან საქმეთა სამმართველოს უფროსი, პოლიციის პოლკოვნიკი თემურ ანჯაფარიძე, სხვა ცნობილი პიროვნებები.

"ალგეთი" ცდილობს ხელი შეუწყოს ქვემო ქართლის მხარის შს მთავარ სამმართველოსა და მისადმი დაქვემდებარებული რაიგანყოფილებებს იმ ამოცანების განხორციელების საქმეში, რომლებიც ეხება მართლწესრიგის განმტკიცებისა და დანაშაულობათა წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერებას. გაზეთი სისტემატურად ზრუნავს სამართალდარღვევათა თავიდან ასაცილებლად, კანონმდებლობის განსამტკიცებლად, მოსახლეობაში მართლშეგნების ასამაღლებლად.

"ალგეთი" ფართო საზოგადოებას ყოველდღიურ ინფორმაციებს აწვდის შინაგან საქმეთა მთავარ სამმართველოსა და მისი დარგობრივი სამსახურების საქმიანობაზე, ზრუნავს იმაზე, რომ მოსახლეობას სწორი წარმოდგენა შეუქმნას პოლიციის მუშაობაზე. გაზეთი მკითხველს აცნობს მხარის სასამართლოებისა და პროკურატურების საქმიანობას. "ალგეთი" სისტემატურად აშუქებს საგზაო სატრანსპორტო მოძრაობის მდგომარეობასა და კრიმინალურ ქრონიკებს.

"ალგეთი" სისტემატურად აქვეყნებს პოლიციის მუშაობის სამი თვის, ნახევარი წლის, მთელი წლის შედეგებს. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა მხარის ოპერატიული ვითარების ანალიტიკურ შეფასებას. არსებობს მუდმივი რუბრიკები, რომლებშიც სისტემატურად შუქდება არასრულწლოვანთა პრობლემები და ნარკომანიისა და ნარკობიზნესის წინააღმდეგ ბრძოლის ტენდენციები.

გაზეთ "ალგეთს" აქვს სპეციალური რუბრიკა "გალერეა", რომლის სტუმრები არიან მხარის ცნობილი სამართალდამცავები, სამოქალაქო პირები, ცნობილი ადამიანები, რომელთაც თავიანთი წვლილი შეაქვთ ქვეყნის აღმშენებლობაში. რუბრიკის მიზანია, გააცნოს მკითხველს საინტერესო პიროვნებები.

"ალგეთს" აქვს რუბრიკა "გამოძიება", რომელიც საქმის აღძვრიდან სასამართლო პროცესამდე ნაბიჯ-ნაბიჯ რამდენიმე სტატიაში აშუქებს ერთ კონკრეტულ ფაქტს, თავისი ნიუანსებით, პრობლემის წამოწევით.

"ალგეთის" ტრიბუნა არაერთხელ გამოუყენებიათ პოლიციის თანამშრომლებს, ხელმძღვანელ მუშაკებს ამა თუ იმ პრობლემის წამოსაწევად, გადასაჭრელად. "ალგეთის" არაერთ რუბრიკას, წერილს უბრალო მკითხველის გამოხმაურება მოყოლია. არაერთხელ ნამოყალიბებულა სწორი საზოგადოებრივი აზრი.

გაზეთ "ალგეთის" კორესპოდენტები არაერთხელ დასწრებიან პოლიციის მიერ ჩატარებულ რეიდებს, ოპერაციებს და შემთხვევის ადგილიდან გადმოუცია ცოცხალი რეპორტაჟები.

გაზეთის მთელი ნომრები ეთმობა ქვემო ქართლის ცალკეულ რაიონებს, მათ პრობლემებს, პოლიციის მუშაობის სპეციფიკას და თავისებურებებს.

სამართალდამცავთა პრობლემებისა და ოპერატიული ვითარების ჩვენებასთან ერთად "ალგეთის" ფურცლებზე შუქდება მხარის სამეურნეო, ეკონომიკური, პოლიტიკური სიახლენი. "ალგეთი" მჭიდროდ თანამშრომლობს ქვემო ქართლის მხარის რწმუნებულის აპარატთან, პრესცენტრთან, სისტემატურად აქვეყნებს მასალებს ადმინისტრაციის საქმიანობის, რეგიონის პრობლემების შესახებ.

"ალგეთმა" თავისი წვლილი შეიტანა რუსთავის ნახევარსაუკუნოვანი იუბილეს აღნიშვნაში. გაზეთს მოკრძალებული წვლილი შეაქვს მხარის კულტურულ ცხოვრებაში.

"ალგეთი" ყოველივე ამასთან ერთად სისტემატურად აქვეყნებს მხარის კულტურული ცხოვრების სიახლეებს, სპორტის

ახალ ამბებს, ინფორმაციებს თეატრალური ფესტივალების პრემიერების შესახებ.

გაზეთის მთავარი რედაქტორია ზაურ გოგოლაძე, მთავარი რედაქტორის მოადგილე ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი მარინე ცურავა, "ალგეთის" დირექტორია ამირან დავითაძე, მთავარი ბუღალტერი ზეინაბ განესილაძე. გაზეთის კომერციული დირექტორია თემურ რევაზიშვილი. სატირის განყოფილებას ხელმძღვანელობს მწერალი იუმორისტი ვანო ცინცაძე სპორტის განყოფილებას ჟურნალისტი დავით ეგეგნიძე.

"ალგეთის" ავტორები არიან ჟურნალისტები: მარიკა ლიპარტელიანი, თამარ ტატიკიშვილი, ქეთინო ლომიძე, ნანა რევაზიშვილი, ნატო ღონღაძე, მარინა ციხისელი, რაინდი ასლამაზაშვილი, ნონა გოგოლაძე, ცნობილი ადამიანები: გრიგოლ ჟვანია, ალექსანდრე კუჭუხიძე, ამირან ცამციშვილ-ფიცხალაური და სხვები.

"ალგეთის" ფურცლებზე პერიოდულად იბეჭდება გაზეთის სარედაქციო საბჭოს წევრების, მთავარი რედაქტორისა და მისი მოადგილის, პროექტორების სტატიები, წერილები სხვადასხვა საკითხებზე. გაზეთ "ალგეთს" აქვს საკუთარი კომპიუტერული ცენტრი.

გაზეთის კომპიუტერულ მომსახურებას უზრუნველყოფენ "ალგეთის" ბუღალტერი და კადრების განყოფილების გამგე ზეინაბ განესილაძე და ია ღვალაძე.

გაზეთის ყოველი ნომრის გამოსვლის წინ იმართება რედკოლეგიის სხდომა, რომელზედაც იგეგმება მთელი ნომერი, განიხილება თითოეული სტატია, წერილი, გამოხმაურება.

გაზეთს დიდ ფინანსურ და მორალურ დახმარებას უწევენ ქვემო ქართლის მხარის შინაგან საქმეთა მთავარი სამმართველოს უფროსი, პოლიციის პოლკოვნიკი ალეკო ბუკია, კრიმინალური პოლიციის უფროსი, პოლიციის პოლკოვნიკი გიორგი ქეშელაშვილი, რუსთავის შინაგან საქმეთა სამმართველოს უფროსი, პოლკოვნიკი თემურ ანჯაფარიძე.

"ალგეთის" რედკოლეგიის წევრებისა და ავტორებისთვის შნიშვნელოვანია ის, რომ გაზეთის ყოველ ნომერს მკითხველი დიდი ინტერესით მოელის. "ალგეთმა" თავისი არსებობის ხანმოკლე დროის განმავლობაში შეძლო თავისი მოკრძალებული ადგილი დაემკვიდრებინა საზოგადოებაში.

მცხეთა-მთიანეთი

მცხეთა-მთიანეთის მხარეში საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტი ჩამოყალიბდა 1996 წლის აპრილში. წესდება დამტკიცებულია 1997 წლის 10 აპრილს. 1999 წლის თებერვლიდან საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტის რექტორია პროფესორი ვაჟა ხოსიტაშვილი; პრორექტორები: უშანგი აბაშიძე-ბიოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი; გია ნადირაშვილი - სამხარეო შს მთავარი სამმართველოს შტაბის უფროსი; სწავლული მდივანი - თამაზ კორძახია სამხარეო შს მთავარი სამმართველოს არასრულწლოვანთა ინსპექციის უფროსი ინსპექტორი.

ჩამოყალიბდა სექციები:

1. ჰუმანური აღზრდისა და ახალგაზრდებსა და არასრულწლოვანთა შორის სამართალდარღვევების პრობლემების შემსწავლელი სექცია - ხელმძღვანელი თამაზ კორძახია;

2. საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების შემსწავლელი სექცია, ხელმძღვანელი - პავლე ბურდული;

3. მასობრივი ინფორმაციის საშუალებებთან ურთიერთობის სექცია - ხელმძღვანელი - შ. ლებანიძე;

4. საზოგადოებრივი დამცველის, ადამიანის უფლებათა დაცვის სექცია, ხელმძღვანელი - თამარ ბაშარაძე;

5. მეწარმეობის განვითარების ხელისშემშლელი პრობლემების შემსწავლელი სექცია, ხელმძღვანელი - ი. ხოსიტაშვილი.

მცხეთა-მთიანეთის მხარის ხუთივე რაიონში (თიანეთი, ახალგორი, მცხეთა, ყაზბეგი, დუშეთი) შექმნილია საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტის განყოფილებები. 1997 წლის ივლისიდან გამოდის საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტის გაზეთი "თქმა მართლისა", რომლის მთავარი რედაქტორია თამარ ბაშარაძე. გაზეთი კვალიფიციურად აშუქებს მხარეში მიმდინარე სოციალურ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ პროცესებს, უპირველესად კი ხელს უწყობს პოლიციის ურთიერთობას საზოგადოებასთან, შს სამინისტროს სისტემის პრობლემათა გაშუქებას. "თქმა მართლისა" აქტიურად აშუქებს ადამიანის უფლებათა დარღვევის პრობლემებს, აქვეყნებს მასალებს პროკურატურის, სასამართლოს და სხვა სამართალდამცავი ორგანოების მუშაობის შესახებ. 1999 წლის მონაცემებით გაზეთი "თქმა მართლისა" აღიარებულია საუკეთესო გაზეთად მცხეთა-მთიანეთის მხარეში.

საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტმა შეიმუშავა სპეციალური პროგრამა და მუშაობა განახორციელა არასრულწლოვანთა აღზრდის ხაზით. ამ მიზნით მცხეთის რაიონის ყველაზე დიდ სოფელში - დიღომში ჩატარდა ერთობლივი ლექცია - სემინარი ნარკოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ექიმ მაია ბეგიაშვილის აქტიური მონაწილეობით. მოსწავლეებს დაურიგდათ სპეცლიტერატურა, რომელიც უსასყიდლოდ გაიღო ფონდმა "სასოებამ" და ნარკოლოგიის სამეცნიერო-კვლევითმა ინსტიტუტმა. მცხეთა-მთიანეთის მხარის საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტის რედაქტორი და "თქმა მართლისას" რედაქცია შეხვდა ზემო ავჭალის მოზარდთა შრომა-გასწორების კოლონიის ბინადართ. კონტაქტი დამყარდა შსს აკადემიის ხელმძღვანელობასთან და იმ 30 კურსანტთან, რომლებიც მცხეთა-მთიანეთის მხარიდან არიან წარგზავნილნი სასწავლებელში. გაზეთ "თქმა მართლისაში" ხშირად იბეჭდება მასალები აკადემიის კურსანტთა შესახებ; იმ პრობლემებზეც, რომლებიც მომავალ პოლიციელებს აქვთ.

3 რაიონში ჩატარდა სოციოლოგიური გამოკითხვა მოსახლეობაში. შედეგები ასეთია: მოსახლეობის 69 პროცენტი თვლის, რომ პოლიცია ყველაზე სანდოა სხვა სამართალდამცავ სტრუქტურებს შორის და ენდობა შსს თანამშრომლებს. მხარის მოსახლეობის 75 პროცენტი თვლის, რომ კრიმინოგენული სიტუაცია მცხეთა-მთიანეთში საგრძნობლად გამოსწორდა. სოციოლოგიური გამოკითხვის შედეგები სამხარეო პოლიციის უფროსმა, ჯემალ ჯიქურაულმა განიხილა ოპერატიულ თათბირზე, დაისახა ღონისძიებები.

საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტი ხელმძღვანელობს დებულებით, რომლის თანახმად მცხეთა-მთიანეთის მხარის მთავარ სამმართველოსთან არსებული საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტი არის ნებაყოფლობითი საზოგადოებრივი ორგანიზაცია.

ინსტიტუტი:

1. მოწოდებულია ხელი შეუწყოს მცხეთა-მთიანეთის მხარის შინაგან საქმეთა მთავარ სამმართველოს იმ ამოცანების განხორციელების საქმეში, რომელიც ეხება მართლწესრიგის განმტკიცებასა და დანაშაულობათა წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერებას, ახდენს საზოგადოებრივი აზრის მობილიზაციას და წარმართავს მას პოლიციის ავტორიტეტის აშაღლებისა და მისი მუშაკების საქმიანობაზე მართებული, სწორი წარმოდგენის შესაქმნელად,

აბამს საზოგადოების ფართო ფენებს სამართალდარღვევათა თავიდან ასაცილებლად, საზოგადოებრივი წესრიგის დასამყარებლად, რისთვისაც მჭიდრო კონტაქტს ამყარებს მეცნიერების, ხელოვნების, სოფლის მეურნეობის, განათლების, პოლიტიკური პარტიების, პროფკავშირული და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლებთან. გამუდმებით ზრუნავს მცხეთა-მთიანეთის მხარის მთავარი სამმართველოსა და შემოქმედებით ინტელიგენციას შორის მჭიდრო კონტაქტების დასამყარებლად. აწყობს შეხვედრებს მწერლებთან, მხატვრებთან, თეატრისა და კინოს მოღვაწეებთან, კომპოზიტორებთან, ჟურნალისტებთან და სხვა გამოჩენილ პირებთან, რომელთა დახმარებით ჰქმნის პოლიციის მუშაკთა სპორტულ და სხვა სექციებს. ზრუნავს პოლიციის მუშაკების კულტურული დონის ამაღლების, ესთეტიკური გემოვნების განვითარების, სამართლებრივი ცოდნის სრულყოფისა და მართლშეგნების დონის ჩამოყალიბებისათვის, მოქალაქეთა კანონიერი უფლებების ყოველგვარი ხელყოფისადმი შეურიგებელი სულისკვეთებით.

ინსტიტუტის რექტორატი თავის მუშაობას წარმართავს ინსტიტუტის მიერ შემუშავებული და მხარის პოლიციის მთავარი სამმართველოს მიერ დამტკიცებული წლიური სამუშაო გეგმის მიხედვით. ინსტიტუტი მხარის პოლიციის მთავარი სამმართველოს უფროსთან შეთანხმებითა და თანადგომით აწყობს მართლწესრიგის განმტკიცებისა და დამნაშავეობასთან ბრძოლის საკითხებზე სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციებს, პრესკონფერენციებსა და სემინარებს, აქვეყნებს მასალებს ადგილობრივ და რესპუბლიკურ პრესაში, აწყობს რადიო და სატელევიზიო გამოსვლებს დანაშაულობათა წინააღმდეგ პროფილაქტიკური ღონისძიებების გასატარებლად, კონსტრუქციული წინადადებებით დახმარებას უწევს მხარის პოლიციის მთავარ სამმართველოს სამართლებრივი საკითხების გადაწყვეტაში, მონაწილეობას ღებულობს მის მიერ ჩატარებულ ღონისძიებებში, მხარის რაიგანყოფილებებში ეცნობა სამართალდარღვევის ფაქტებს, სწავლობს მხარის საზოგადოებრივ აზრს, საჭიროების შემთხვევაში იღებს გადაწყვეტილებას ამა თუ იმ ფაქტზე. დასაბუთებული რეკომენდაციებითა და წინადადებებით შედის მხარის პოლიციის მთავარი სამმართველოსა და ამ მხარის რაიგანყოფილებებში, მისი მოწონების შემთხვევაში იღებს გადაწყვეტილებას.

ინსტიტუტს ჰყავს რექტორი, რექტორის თანაშემწე, ორი პრორექტორი, სამეცნიერო კვლევითი განყოფილების გამგე, სწავლული მდივანი და მდივან-მემანქანე. ინსტიტუტის რექტორი აირჩევა ყოველ 5 წელიწადში. რექტორად არჩეული პირი დასტურდება მცხეთა-მთიანეთის მხარის შინაგან საქმეთა მთავარი სამმართველოს უფროსის ბრძანებით. ინსტიტუტის ყველა სხვა თანამშრომელს ნიშნავს რექტორი მთავარ სამმართველოს უფროსთან შეთანხმებით.

საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტის დებულება ითვალისწინებს შემდეგი სექტორების შექმნას:

1. ახალგაზრდობისა და არასრულწლოვანთა შორის სამართალდარღვევების პრობლემების შემსწავლელი სექტორი;

2. ნარკომანიისა და ალკოჰოლიზმის პრობლემების შემსწავლელი სექტორი;

3. საგზაო სატრანსპორტო უსაფრთხო მოძრაობის პრობლემების შემსწავლელი სექტორი;

4. შრომისა და უსაფრთხოების ტექნიკის დაცვის პრობლემების შემსწავლელი სექტორი;

5. სოციოლოგიური გამოკვლევის სექტორი;

6. პროფესიული ეთიკისა და ზნეობრივი სრულყოფის სექტორი.

ინსტიტუტის უმაღლესი ორგანოა მის წევრთა საერთო კრება, რომელიც ტარდება წელიწადში ერთხელ, საანგარიშო წლის ბოლოს. ინსტიტუტის რექტორატის სხდომები ტარდება თვეში ერთხელ დადგენილ დღეს.

კახეთი

კახეთის მხარის შინაგან საქმეთა მთავარ სამმართველოსთან საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტი ჩამოყალიბდა 1997 წლის 15 დეკემბერს, შეიქმნა სექტორები:

1. ახალგაზრდობისა და არასრულწლოვანთა შორის სამართალდარღვევების პრობლემების შემსწავლელი სექტორი - 5 კაცის შემადგენლობით (ხელმძღვანელი ლია მუმლაური);

2. ნარკომანიისა და ალკოჰოლიზმის პრობლემების შემსწავლელი სექტორი - 8 კაცის შემადგენლობით (ხელმძღვანელი თამაზ ვეფხიშვილი);

3. ადამიანის უფლებების დაცვის პრობლემების შემსწავლელი სექტორი 5 კაცის შემადგენლობით (ხელმძღვანელი გია ქართველიშვილი);

4. საგზაო-სატრანსპორტო მოძრაობის პრობლემების შემსწავლელი სექტორი - 8 კაცის შემადგენლობით (ხელმძღვანელი ვაჟა სიხარულიძე);

5. შრომის დაცვისა და ეკოლოგიის პრობლემების შემსწავლელი სექტორი - 3 კაცის შემადგენლობით (ხელმძღვანელი ტრისტან ბერიშვილი);

შინაგან საქმეთა რაიონულ განყოფილებებთან შექმნილი ფილიალების ხელმძღვანელები არიან: ახმეტის რაიონის თეიმურაზ კოტორაშვილი; გურჯაანის - გურამ ნათიძე; დედოფლის წყაროს - გენადი სვანიძე; თელავის - თამაზ ჭიბაღაშვილი; ლაგოდეხის მერაბ წიქარიშვილი; სიღნაღის - კარლო ორაგულიძე; საგარეჯოს - კუკური შალვაშვილი; ყვარელის - ოთარ ორთავიძე.

ინსტიტუტის სექტორებსა და რაიონული განყოფილებებთან არსებული ფილიალის ხელმძღვანელები არიან ინსტიტუტის რექტორატის წევრები; მათთან ერთად ინსტიტუტის რექტორატის წევრები არიან შინაგან საქმეთა რაიონული განყოფილებების ადმინისტრაციული პოლიციის უფროსები, კერძოდ: თელავის რაიონის ოთარ იმერლიშვილი; გურჯაანის გივი გურაშვილი; სიღნაღის - ალექსანდრე ნადიკაშვილი; დედოფლის წყაროს - ვაჟა გრიგალაშვილი; ლაგოდეხის ნოდარ მუმლაძე; ყვარელის ზაზა ჩიტიაშვილი; ახმეტის ნუგზარ ბაბთიშვილი; საგარეჯოს კარლო კოჭლამაზაშვილი.

ფილიალები და სექციები მუშაობენ ინსტიტუტის დებულების შესაბამისად. ისინი ადგილებზე სწავლობენ საკითხებს, აწყობენ საუბრებს, მოხსენებებსა და დისპუტებს. მთავარი ყურადღება ექცევა ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლის, არასრულწლოვანთა სამართალდარღვევების აღმოფხვრას.

საკითხების გულმოდგინე შერჩევა, ღონისძიებათა სისტემაში მრავალფეროვანი ფორმების ჩართვა, სათანადო ორგანიზაციული დონის უზრუნველყოფა, - აი, ის ძირითადი დადებითი მახასიათებლები, რითაც სადღეისოდ ძირფესვიანად შეცვალა თავისი მუშაობის სახე კახეთის რეგიონის შს მთავარ სამმართველოსთან არსებულმა საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტმა. ბოლო ხანს ინსტიტუტის როლისა და ამოცანების გაზრდამ, მისი ავტორიტე-

ტის ამაღლებამ მოითხოვა უფრო დახვეწილიყო ინსტიტუტის ფილიალების სტრუქტურა, გაუმჯობესებულიყო საქმიანობის სტილი.

გამომდინარე აქედან, სისტემურად ხდებოდა შინაგან საქმეთა რაიონულ განყოფილებებთან არსებული ფილიალების შემადგენლობის გადახალისება, ფართოვდებოდა სექციების (სექტორების) რაოდენობა. ე.ი. ძირითადი დატვირთვა სწორედ ამ ფილიალებზე გადაეცა. სტრუქტურული ცვლილებები შეეხო რექტორატსაც, სადაც კონკრეტული ფუნქციები განესაზღვრათ როგორც პროორექტორებს, ისე რექტორატის წევრებს. შესამჩნევად ამაღლდა რექტორატის სხდომების ჩატარების ორგანიზაცია, მისი ხარისხი. ამას კი, უპირველესად, ხელს უწყობდა ის, რომ მის მუშაობაში აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ კახეთის სამხარეო შს მთავარი სამმართველოს უფროსი, პოლიციის გენერალ-მაიორი თამაზ თამაზაშვილი, მისი მოადგილე ადმინისტრაციული მუშაობის დარგში ვაჟა მესხიშვილი.

ინსტიტუტის მიერ გეგმაზომიერად ტარდებოდა შეხვედრები მშრომელთა წარმომადგენლებთან, საზოგადოებრიობის ანკეტური გამოკითხვები, სატელევიზიო გადაცემები, რაც კი დაკავშირებული იყო დანაშაულის აღმოფხვრასა და მართლწესრიგის განმტკიცებასთან, განსაკუთრებით წინა პლანზე დგებოდა არასრულწლოვანთა შორის დანაშაულის, ნარკომანიის, ეკოლოგიის, ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების საკითხები.

უთუოდ გამორჩეული ადგილი უნდა მივანიჭოთ იმასაც, რომ ინსტიტუტის მთელი საქმიანობა, დიდი თუ მცირე საქმე გამოწვლილვით ისახებოდა და შუქდებოდა მხარის ადმინისტრაციის, შს მთავარი სამმართველოსა და მასთან არსებული საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტის გაზეთ "სიმართლეში". თუ როგორ, ამაზე საილუსტრაციოდ თვით ამ გაზეთის ნომრები შეგვეშველება.

ნათქვამია, კარგი დასაწყისი საქმის ნახევარიაო, სწორედ ასეთი გეზი აიღო ინსტიტუტის რექტორატმა, რომელმაც გაზეთის გარშემო შემოიკრიბა ფართო აქტივი, შექმნა ძლიერი სარედაქციო კოლეგია, სადაც შევიდნენ კახეთის მხარის შს მთავარი სამმართველოს უფროსი თამაზ თამაზაშვილი, მისი მოადგილე ადმინისტრაციული მუშაობის დარგში ვაჟა მესხიშვილი, ინსტიტუტის რექტორი ტარიელ მუმლაძე, პროფესიონალი ფოტოხელოვანი შალვა შარაშიძე, თელავის და სიღნაღის რაიგანყოფილებების უფროსები ალექსანდრე ონანაშვილი და თემურ ლაზარიაშვილი,

ასევე ომარ კვატაშაძე და მანანა შაახია, მოავარ რედაქტორად დამტკიცდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტის კურსდამთავრებული ნინო მუმლაძე, გაზეთის პასუხისმგებელ მდივნად - ბორის მიშველაძე - ჟურნალისტი, გაზეთში მუშაობის 25 წლის სტაჟის მქონე. რედაქტორებად არჩეულნი იქნენ გამოცდილი ჟურნალისტები ნიკოლოზ იარალიშვილი, ვაჟა მამრიკიშვილი, ნიკო ვაქელიშვილი და მაია სამხარაძე.

ასეთ შემადგენლობას არ გასჭირვებია მკითხველისათვის თვეში ორჯერ მიეწოდებინა გაზეთ "სიმართლის" ნომრები მთელ რიგ აქტუალურ საკითხებზე. და, რაც მთავარია, უპირველესად - კახეთის სამხარეო შს მთავარი სამმართველოს რთულ და დაძაბულ საქმიანობაზე, ანალიზი გაეწია საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტის მუშაობის ძირითად, მააკორდინირებელ მიმართულებებზე. ხოლო თუ რა მიმართულებები ჰქონდა დასახული გაზეთს, იგი თავის პირველსავე ნორმერში ჰქონდა ნამოყალიბებული, რომელიც მკითხველს 1998 წლის იანვარში მიაწოდა: "გაზეთის მიზანი ერთია ხელი შეუწყოს მხარეში მართლწესრიგის განმტკიცებას, მოქალაქეთა უფლებებისა და სამართლებრივი ნორმების დაცვას, აქტუალური ცხოვრებისეული პრობლემებისა და დროის მოთხოვნით წამოჭრილი საკითხების წარმოჩენას". ამავე ნომერში კი საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტის რექტორის ტარიელ მუმლაძის სტატიაში "საზოგადოებრივი აზრი ანგარიშგასაწევია" ვრცელი საუბარია ინსტიტუტის მიზნებსა და ამოცანებზე. ინსტიტუტისა და გაზეთის ერთობლივი, შემოქმედებითი მუშაობის დადებითი ნაბიჯები სახეზეა, სახეზეა ის ნომრებიც, რომლებიც თავად მოგვითხრობენ ამ მიმართულებით გაწეულ საქმიანობაზე.

აქ ერთ მნიშვნელოვან მომენტზეც უნდა შეეგანიროთ ყურადღება, რომელიც სხვებისგან გამოარჩევს ამ ინსტიტუტის გაზეთს. ყველა სახის ორგანიზაციული მხარის გადაწყვეტას თვით გაზეთი იღებს ხოლმე საკუთარ თავზე. კერძოდ, უმეტესწილად მისი საშუალებით ხდება ყველა წვრილმანი ინფორმაციის მიწოდება დაინტერესებული პირებისათვის - ღონისძიებათა ნატარების ადგილი, დრო, დღის წესრიგი, პროგრამა, პროგრამის შინაარსი... მომდევნო ნომრებში კი ვხვდებით უკვე ნატარებული ღონისძიების შედეგებს, ანალიზს, გამოხმაურებებს... ყველაფერ ამას თან ახლავს ცოცხალი, შთამბეჭდავი რუბრიკები, მხატვრული გადაწყვეტა, მდიდარი ფოტომასალა.

სასიამოვნოა იმ ფაქტის წინ წამოწევაც, რომ გაზეთისა და ინსტიტუტის ასეთ მჭიდრო ურთიერთობას თან ახლავს საქმიანი შინაგან საქმეთა მთავარი სამმართველოს უფროსის, პოლიციის გენერალ-მაიორის თამაზ თამაზაშვილისა და მისი ხელმძღვანელი აპარატის მუდმივი თანადგომა და მხარდაჭერა, ეს კი ცხადად ისახება გაზეთში დასტამბულ მათ სტატიებში, რომლებიც ხშირად მეთაური წერილების როლს ასრულებენ.

ერთი სიტყვით, დავასკვნით, რომ გაზეთში გამოქვეყნებული წერილების არეალი ფართოა და მასში ნათლადაა წარმოჩინებული კახეთის სამხარეო შს მთავარ პოლიციასთან არსებული საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტის განვლილი ცხოვრება.

გაზეთში კორესპონდენტთა აქტიური მონაწილეობის შედეგად საკმაო ადგილი ეთმობოდა პოლიციური სამსახურების უკომპრომისო ბრძოლას დანაშაულობის წინააღმდეგ, დანაშაულთა გამოვლინებას, პროფილაქტიკური ღონისძიებების გატარებას მოსალოდნელი დანაშაულობის აღმოსაფხვრელად, მოწინავე პოლიციელთა საქმიანობის წარმოჩენას. მათ გვერდით ქვეყნდებოდა მასალები საზოგადოებრივ ორგანიზაციებზე, საქმიანი თვისებებით გამორჩეულ მოქალაქეებზე, მხარის სასიცოცხლო მექანიზმებზე, რათა პოლიტიკური და სამოქალაქო საკითხები სინქრონულად ყოფილიყო განთავსებული. ეს კი ხელს უწყობდა პოლიციელთა და მოქალაქეთა დაახლოებას. გაზეთი აწყობდა პოლიციელთა შეხვედრებს საზოგადოების წარმომადგენლებთან, იყო სჯა-ბაასი საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე და დანაშაულობათა აღმოსაფხვრელად პროფილაქტიკური ღონისძიებების გატარებაზე.

გაზეთმა ჩაატარა ტესტური გამოკითხვა: "რა უშლით ხელს, როგორ წარმოუდგენიათ პრობლემის გადაწყვეტა, ვინ არ ასრულებს თავის მოვალეობას, ვინ არ იცავს ადამიანის უფლებებს"...

გაზეთში ქვეყნდებოდა მასალები: "მართლწესრიგი უპირველეს ყოვლისა", "მოზარდი რომ სწორ გზაზე დავაყენოთ", "საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტის სადღეისო ამოცანები", "ბრძოლა კორუფციასთან", "ზემო ავჭალის არასრულწლოვანთა კოლონიაში, პატიმარი არასრულწლოვანები" "კრიმინალური ქრონიკა", "ნარკომანია ყველაზე დიდი მტერია", "მძღოლი და ტრანსპორტი", "დავიცვათ შრომის დაცვის მოთხოვნები", "ღვის წესრიგშია ეკოლოგიის დაცვა". "ფრთხილად , წინ მოზარდია", "ალკოჰოლი და მძღოლი", "კანაფისაგან ნარკოტიკები მზადდება" და ა.შ.

და, აი, ასე ერთობლივად, ორივე - ინსტიტუტიც და მისი ორგანოც დღემდე ერთად, ერთგულად ემსახურებიან საქმეს, რომელიც წარმოადგენს ხიდს საზოგადოებასა და პოლიციას შორის. იყო სირთულეები, პრობლემები, მაგრამ ახლა ისინი უკვე ნავლილია. დღეს, როგორც გამოქვეყნებული წერილების ფრონტალური ნაკოთელაც გვარწმუნებს, მათ მიერ გაწეული საქმიანობის მასშტაბი ნამდვილად არ არის მცირე.

2000 წლის დასაწყისიდან ინსტიტუტს ახალი რექტორი, ხოლო გაზეთს ახალი რედაქტორი პროფესიონალი ჟურნალისტი ვალერი ზურაშვილი ხელმძღვანელობს.

შემოქმედებითი მუშაობა გრძელდება.

კახეთის მხარის შინაგან საქმეთა სამმართველოსთან არსებული საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტის დებულება დამტკიცებულია 1997 წლის 8 დეკემბრის სხდომაზე. მასში განსაზღვრულია ინსტიტუტის მიზნები, ამოცანები, უფლებები და მოვალეობები. დებულების მიხედვით ინსტიტუტი:

მოწოდებულია ხელი შეუწყოს კახეთის მხარის შს მთავარი სამმართველოს მართლწესრიგის განმტკიცებასა და დამნაშავეობათა წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერებაში. ინსტიტუტი ახდენს საზოგადოებრივი აზრის მობილიზაციას და წარმართავს მას პოლიციის ავტორიტეტის ამაღლებისა და მისი მუშაკების საქმიანობაზე მართებული, სწორი წარმოდგენის შესაქმნელად. საქმეში აბამს საზოგადოების ფართო ფენებს სამართალდარღვევათა თავიდან ასაცილებლად, საზოგადოებრივი წესრიგის დასამყარებლად, რისთვისაც მჭიდრო კონტაქტს ამყარებს მეცნიერების, ხელოვნების, სოფლის მეურნეობის, განათლების, პოლიტიკური პარტიების, პროფკავშირული და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლებთან.

ინსტიტუტს ჰყავს რექტორი, ორი პროორექტორი, სამეცნიერო-კვლევითი განყოფილების გამგე, სწავლული მდივანი და მდივან-მემანქანე. ინსტიტუტის რექტორი აირჩევა ყოველ 5 წელიწადში. რექტორად არჩეული პირი დასტურდება კახეთის მხარის შს მთავარი სამმართველოს უფროსის ბრძანებით. ინსტიტუტის ყველა სხვა თანამშრომელს ნიშნავს რექტორი მთავარი სამმართველოს უფროსთან შეთანხმებით.

სამეცნიერო-კვლევითი განყოფილება აწარმოებს საზოგადოებრივ აზრთან დაკავშირებული მეცნიერული ხასიათის დაკვი-

რვებას, აღრიცხვასა და გამოკვლევას, პერიოდულად ამუშავებს მეცნიერული ხასიათის თემებს და განსახილველად წარუდგენს რექტორატის სხდომას, ამყარებს კავშირს ინსტიტუტის სექტორებთან, მათ მუშაობაზე მეცნიერული დაკვირვებისა და დასკვნების გასაკეთებლად, ხოლო სწავლული მდივანი განკარგავს ინსტიტუტის დოკუმენტაციას, ამუშავებს მასალებს და განსახილველად გააქვს რექტორატის სხდომაზე.

ინსტიტუტის რექტორატი ამ დებულების შესაბამისად აყალიბებს ცალკეულ სექტორებს და ნიშნავს მათ ხელმძღვანელებს. ინსტიტუტის უმაღლესი ორგანოა მის წევრთა საერთო კრება, რომელიც ტარდება წელიწადში ერთხელ, საანგარიშო წლის ბოლოს. ინსტიტუტის რექტორატის სხდომები ტარდება სამ თვეში ერთხელ დადგენილ დღეს. საჭიროების შემთხვევაში - რექტორატის სხდომის გადაწყვეტილებით, თვეში ერთხელ. საერთო კრებიდან საერთო კრებამდე ინსტიტუტის ხელმძღვანელი ორგანოა რექტორატი, რომლის მუშაობას წარმართავს რექტორი. ინსტიტუტის რექტორი იხილავს და ამტკიცებს სექტორების სამუშაო გეგმებს. რექტორის ადგილზე არყოფნის შემთხვევაში მის მოვალეობას ასრულებს ინსტიტუტის ერთ-ერთი პროორექტორი.

ინსტიტუტის რექტორატის წევრებს შორის ფუნქციებს ანაწილებს რექტორი და ამტკიცებს ინსტიტუტის რექტორატის სხდომა.

საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტის დებულება ითვალისწინებს შემდეგი სექტორების შექმნას:

1. ახალგაზრდობისა და არასრულწლოვანთა შორის სამართალდარღვევების პრობლემების შემსწავლელი სექტორი; 2. ნარკომანიისა და ალკოჰოლიზმის პრობლემების შემსწავლელი სექტორი; 3. საგზაო-სატრანსპორტო მოძრაობის პრობლემების შემსწავლელი სექტორი; 4. შრომის დაცვისა და ეკოლოგიის პრობლემების შემსწავლელი სექტორი; 5. სოციოლოგიური გამოკვლევის სექტორი; 6. ადამიანის უფლებების დაცვის სექტორი.

გურია

ვრცელ ნათელ დარბაზში 150-მდე კაცი შეკრებილა. ერთმანეთის გვერდიგვერდ სხედან ცხოვრებით დაბრძენებული თმადათოვლილი ჭარმაგი ადამიანები, საშუალო ასაკისა თუ მაქსიმალურად მჩქეფარე ახალგაზრდობის საუკეთესო წარმომად-

გენლები - ფაქტიურად ოზურგეთის რაიონისა და საერთოდ გურიის მხარის საზოგადოებრიობის ჭეშმარიტად ფართო სპექტრი.

მართლაც და ვის არ ნახავთ აქ: შემოქმედებითი ინტელიგენციის - მეცნიერების, კულტურისა და ხელოვნების მოღვაწეებს; წარმოების, სოფლის მეურნეობის, ეკონომიკის, ბიზნესის, კომერციის, განათლების სფეროს, ადმინისტრაციული თუ ძალოვანი სტრუქტურების, პროფკავშირების, პოლიტიკური პარტიების მესვეურთ...

დარბაზში საქმიანი, უაღრესად საქმიანი ვითარება სუფევს. ბობოქრობენ ვნებები, ერთმანეთს ეჯახებიან აზრები, პრინციპები და ინტერესები. დაპირისპირებული მხარეები ლოგიკის რკინისებური კანონებით ცდილობენ საწინააღმდეგო მოსაზრებების გაბათილებას. ერთის შეხედვით ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს ამ ხალხისათვის უცნობია ადამიანთა ურთიერთობის ერთ-ერთი უკეთილშობილესი ფორმა - კომპრომისი...

ამ დროს კი ყველაფერი მიმდინარეობს საოცრად კორექტულ, ზრდილობიან, ციკილური სამყაროსათვის მისაღებ ურთიერთაქტივისცემის ატმოსფეროში. აზრთა ჭიდილი კამათის მონაწილეთა ინტელექტის, შინაგანი კულტურისა და ფართო დიაპაზონის ჭეშმარიტი დემონსტრირებაა უპირველეს ყოვლისა.

შეკრების ადგილია ქალაქ ოზურგეთის გამგეობის სხდომათა დარბაზი, ხოლო აუდიტორია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გურიის სამხარეო სამმართველოსთან არსებული საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტის წევრები, რომლებიც აქ 1996 წლის აგვისტოდან დანერგილი ტრადიციისამებრ, კვარტალში ერთხელ იკრიბებიან ხოლმე.

ათჯერ ჩატარდა უკვე ამ დარბაზში ანალოგიური სხდომები და ამ ხნის მანძილზე გარეგნულად აქ თითქმის არაფერი შეცვლილა განწყობა, ატმოსფერო, შემართება ისევ ძველებური, ტრადიციული რჩება. იცვლება მხოლოდ განსახილველ პრობლემათა ნუსხა, რომლის შესაბამისად იცვლება სხდომებზე მოწვეულთა შემადგენლობაც. იმისდა მიხედვით, თუ რა ხასიათისა და პროფილის საკითხი დგას დღის წესრიგში, სხდომებზე იწვევენ განსხვავებული პროფესიის, თანამდებობის, საზოგადოებრივი მდგომარეობისა თუ პოლიტიკური შეხედულების ადამიანებს დარგის რიგითი სპეციალისტიდან დაწყებული თვით პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულსაც კი.

სხდომებზე ტრადიციულად არ იცქერება კიდევ ერთი ორიგინალური, ის, რომ სებისმიერ საკითხზე მსჯელობა აქ, როგორც წესი, საჯაროობის, პლურალიზმისა და მორალურ იურიდიული სამართლიანობის პრინციპებზეა დაფუძნებული და ობიექტური, ოპტიმალურად გათვლილ-გაანგარიშებული საზოგადოებრივი აზრის შემუშავებით მთავრდება.

დიახ, ასეთია თვალის ერთი გადავლებით გურიის შინაგან საქმეთა სამხარეო სამმართველოსთან არსებული საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტი, რომლის დაარსების ინიციატორი და ორგანიზატორია ცნობილი საზოგადო მოღვაწე პროფესორი მამია დარსნა.

ფართო და მრავალისმომცველია ინსტიტუტის დანიშნულება თუ მოქმედების არეალი. იგი ეხმარება და საკმაოდ ეფექტურად უწყობს ხელს სამხარეო სამმართველოს მართლწესრიგის გამტკიცების, დამნაშავეობასთან ბრძოლის გაძლიერების, სამართალდარღვევათა აღმკვეთი პროფილაქტიკური მუშაობის გაუმჯობესების საქმეში.

შინაგან საქმეთა სამმართველოსა და რაიონული განყოფილებებისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობის აუცილებელი პირობაა ობიექტური საზოგადოებრივი აზრის მობილიზება და დამნაშავეობასთან ბრძოლის სფეროში მეცნიერულად დასაბუთებული რეკომენდაციების შემუშავება. ყოველივე ეს კი, სწორედ ინსტიტუტისათვის წარმოადგენს უპირველეს სტრატეგიულ სამოქმედო უბანსა და პრიორიტეტულ მიმართულებას. იგი გამუდმებით ზრუნავს სამმართველოს მუშაკთა და რაიონული განყოფილებების პირადი შემადგენლობის პროფესიული დონისა და კულტურის ამაღლებისათვის , სისტემატურად აწყობს მათს შეხვედრებს გამოჩენილ სახელმწიფო და საზოგადოებრივ მოღვაწეებთან, მწერლებთან, მხატვრებთან, კომპოზიტორებთან, თეატრისა და კინოს მოღვაწეებთან, მეცნიერებთან, ჟურნალისტებთან, განაზოგადებს და ფართო პროპაგანდას უწევს რაიონების, მხარისა და მთლიანად ქვეყნის მასშტაბით შინაგან საქმეთა ორგანოების, მათი თითოეული ღირსეული მუშაკის წარმატებებს. მნიშვნელოვან შედეგებს აღწევს სვენი უახლოესი წარსულის, ცნობილი ნეგატიური მოვლენების პერიოდში, პოლიციასა და საზოგადოებას შორის გარკვეულწილად ჩატეხილი ხიდის აღდგენის საქმეში.

ყველაფერი ამისათვის ინსტიტუტს საინტერესო ხერხებისა და მეთოდების, სამოქმედო ბერკეტების მთელი არსენალი გააჩ-

ნია, რაც საბოლოო ჯამში, ერთმანეთთან ჰარმონიულად შეთანაწყობილ მექანიზმთა მთელს სისტემას წარმოადგენს.

ინსტიტუტის ხელმძღვანელი ბირთვია რექტორატი 11 კაცის შემადგენლობით, რომელთა შორის განსაკუთრებული აქტიურობით გამოირჩევიან რექტორი ბორის შეწირული, პრორექტორი როლანდ თაკაძე, სწავლული მდივანი, რაიონული განათლების განყოფილების გამგე თემურ მოქია; სამეცნიერო ცენტრის ხელმძღვანელი, პროფესორი ვახტანგ ჯაფელი; სოციოლოგიური კვლევის ცენტრის ხელმძღვანელი, ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი აკაკი მუკანაძე; ნარკომანიისა და ნარკობიზნესის წინააღმდეგ ბრძოლის პრობლემების შემსწავლელი სექციის ხელმძღვანელი, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი ლადო გოგუაძე, ახალგაზრდული ბიუროს თავმჯდომარე, ახალგაზრდა მეცნიერთა კლუბის პრეზიდენტი გორა შანიძე და სხვები. რექტორატის წევრი და მისი ერთ-ერთი ყველაზე საიმედო დასაყრდენია გურიის შინაგან საქმეთა სამხარეო სამმართველოს უფროსი, პოლიციის პოლკოვნიკი, ვახტანგ გორგასლის ორდენის კავალერი ვიქტორ გობრონიძე.

ინსტიტუტს ჩოხატაურის რაიონში აქვს ფილიალი, რომელსაც ხელმძრვანელობს მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი, რაიონის მთავარი ექიმი ანტონ ხუნდაძე.

საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტის მთელი საქმიანობა ეფუძნება სექციური მუშაობის პრინციპს. სექციები (სულ ფუნქციონირებს 5 სექცია) სწავლობენ, აანალიზებენ და სამხარეო სამმართველოს ოპერატიულ თათბირზე განსახილველად შეაქვთ რეგიონის ცხოვრების ყველა მეტნაკლებად მნიშვნელოვანი პრობლემები, რომელთა შორის უფრო გლობალური ხასიათისანი, კვარტალში ერთხელ, განიხილება რექტორატის სხდომაზე, ან ინსტიტუტის წევრთა საერთო კრებაზე.

სექციების მიერ აღნიშნულ ფორუმებზე შეტანილი საკითხები, როგორც წესი, სამმართველოსა და მის დაქვემდებარებაში მყოფი სტრუქტურების მესვეურთა უპირველესი ზრუნვის საგანია და არც თუ იშვიათად ფართომასშტაბიანი კომპლექსური ღონისძიებების საფუძველიც ხდება ხოლმე.

მუშაობის სწორედ ასეთი ფორმით წარმართვის შედეგიცაა გარკვეულწილად პოლიციის სამხარეო სამმართველოს მიერ ბოლო პერიოდში გარემოს დაცვის საქმეში არსებული ხარვეზების

აღმოფხვრის, ნარკომანიისა და ნარკობიზნესის წინააღმდეგ ბრძოლის გააქტიურების, არასრულწლოვანთა შორის მუშაობის სრულყოფისა და სხვა მნიშვნელოვან სფეროებში გამოკვეთილი პოზიტიური ტენდენციები. გარკვეული დადებითი შედეგები მოიტანა პოლიციის სამმართველოსა და რაიონული განყოფილებების საქმიანობის ავ-კარგზე ანკეტური თუ ზეპირი გამოკითხვის მეთოდით, მოსახლეობის ობიექტური აზრის დაფიქსირება-გაანალიზებამ. ამან პოლიციის თავკაცებს საშუალება მისცა დაერეგულირებინათ, გამოესწორებინათ და აღმოეფხვრათ არაერთი სერიოზული შეუსაბამობა თუ ხარვეზი. განსაკუთრებით ითქმის ეს პოლიციელების მიერ სამსახურეობრივი ეთიკისა თუ საერთოდ ზნეობრივ-მორალური ნორმების შედარებით მსუბუქი ხასიათის დარღვევების მიმართ.

არც თუ იშვიათად, საზოგადოებრივი აზრის კვლევის პროცესში, ინსტიტუტს უხდება ნვენი დღეგანდელობისათვის ესოდენ დამახასიათებელ სხვადასხვა გაუთვალისწინებელ ყოფით პრობლემებში ნარევა და მათი ოპერატიული გადაწყვეტა. მისი თვალსაჩინო მაგალითია 1999 -2000 სასწავლო წლის დასაწყისში, სახელმძღვანელოების ცენტრალიზებული წესით შემოზიდვის საქმეში წამოჭრილი მატერიალური პრობლემა საწვავის დეფიციტის სახით, რის გამოც ვერ ხერხდებოდა დედაქალაქში სპეციალური ავტომანქანის გაგზავნა, ამას კი, თავის მხრივ, ის უნდა მოჰყოლოდა, რომ რაიონის მოსახლეობას წიგნები "შავ ბაზარზე" სამჯერ და ოთხჯერ უფრო ძვირად უნდა შეეძინა, ვიდრე განყოფილებაში შემოტანილი დაუჯდებოდა.

სწორედ ინსტიტუტის შესაბამისი სექციის მესვეურთა მიერ პოლიციის სამხარეო სამმართველოს ოპერატიულ თათბირზე აღნიშნული საკითხის წამოჭრის შემდეგ გახდა შესაძლებელი აღნიშნული პრობლემის გადაჭრა, რისი ინიციატორი თავად ვიქტორ გობრონიძე იყო.

საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტის საქმიანობის ერთ-ერთი ყველაზე ქმედითი ფორმაა ლექციური პროპაგანდა. პრაქტიკაშია დანერგილი და შესაბამის ეფექტსაც იძლევა რაიონული განყოფილებების პირად შემადგენლობასთან ლექციებისა და ოპერატიული პოლიტიკური ინფორმაციებით რეგულარული გამოსვლები, ქვეყანაში თუ საერთაშორისო არენაზე მიმდინარე პროცესებისა და მოვლენების შესახებ. რექტორატი და ლექტორთა

ჯგუფის ხელმძღვანელობა ამ საქმეში ხშირად იყენებენ მოწვეულ მაღალკვალიფიციურ ლექტორ-მომხსენებლებს, რაც მსმენელთა განსაკუთრებულ ინტერესსა და მოწონებას იმსახურებს.

1999 წლის მაისიდან, ინსტიტუტის შემოქმედებითი მოღვაწეობის არსენალს შეემატა კიდევ ერთი "შორსმსროლელი იარაღი" სამხარეო გაზეთის "პოლიცია და საზოგადოება", რომლის მნიშვნელობასა და ეფექტიანობას გარკვეულწილად ის გარემოებაც ზრდის, რომ იგი ჯერ-ჯერობით ერთადერთი საზოგადოებრივ-პოლიტიკური პერიოდული გამოცემაა მხარის სამივე რაიონის მოსახლეობის ფართო ფენებში რომ ვრცელდება.

ინსტიტუტი, ისევე როგორც მისი გაზეთი, თავიდანვე გასცდა უწყებრივ ჩარჩოებს და ფაქტიურად არამარტო ძალისმიერი სტრუქტურების, არამედ მთლიანად რეგიონის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების შესწავლა-გაანალიზების სამსახურში დგას, რითაც საგრძნობლად უადვილებს ხელისუფლების სამხარეო, რაიონულ და ადგილობრივ სტრუქტურებს მართვის ხერხების სრულყოფას.

აღნიშნულის საილუსტრაციოდ შეიძლება მოვიყვანოთ დღეისათვის ჩვენი ცხოვრების ყველაზე მტკივნეული პრობლემის- კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის დარგში ინსტიტუტის მიერ შემუშავებული საქმიანი წინადადებებისა და რეკომენდაციების დანერგვის კვალობაზე, უკანასკნელ პერიოდში გამოვლენილი გარკვეული დადებითი ტენდენციები, რომლებიც საიმედო საფუძველს ქმნიან ქვეყნის სახელმწიფოებრივ სხეულზე მეტასტაზებივით მოდებული ამ საშინელი სენისაგან განკურნებისათვის.

ერთი სიტყვით, ინსტიტუტი არსებობს, იღვწის, მოქმედებს, სახეზეა გარკვეული შედეგებიც. მარტო იმისი აღნიშვნაც იკმარებდა, რომ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა, დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლა და საერთოდ კრიმინოგენური სიტუაცია, ჯერ-ჯერობით, ერთადერთი უბანია რეგიონის ცხოვრებაში, რომელშიც აშკარა და ხელშესახებია არც თუ უმნიშვნელო პროგრესი. ყველაფერ ამაში კი, საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტს სოლიდური წილი უდევს.

ინსტიტუტის რექტორატი, მთელი მისი კოლექტივი, გარკვეული წარმატებების მიუხედავად, ჯერ კიდევ შორსა დგას იმ აზრისაგან, თითქოს ყველაფერი რიგზე იყოს. რა თქმა უნდა, მუშაობაში შეინიშნება ნაკლოვანებებიც. დასახვეწი და გასა-

უმჯობესებელია საქმიანობის ფორმები და მეთოდები. ალბათ მეტი პრინციპულობა და პროფესიონალიზმია საჭირო. საქმისადმი მეტი შემოქმედებითი მიდგომაცაა აუცილებელი.

მთავარი კი მაინც ის არის, რომ ინსტიტუტის კოლექტივს უდაოდ გააჩნია საჭირო პოტენციალი და შიგა რეზერვები სიიმისოდ, რათა კიდევ მეტი ეფექტიანობით შეასრულოს დაკისრებული მისია.

რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი

რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის სამხარეო შს სამმართველოსთან საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტი შეიქმნა 1998 წლის 3 აგვისტოს დებულების სრული შესაბამისობით, რომელიც დაფიქსირებულია შინაგან საქმეთა სამხარეო სამმართველოს უფროსის ბრძანებით.

საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტის რექტორია გურამ ვაჩაძე, პროორექტორებია: მაია დგვარელი და ამირან ფონჯაიძე; სწავლული მდივანია თამაზ ჯანგიძე; ხოლო გაზეთის რედაქტორია დალი დარახველიძე.

ინსტიტუტს აქვს 5 სექცია, სახელდობრ: 1. ნარკომანიისა და ალკოჰოლიზმის პრობლემების შემსწავლელი; 2. საგზაო მოძრაობისა და უსაფრთხოების პრობლემების შემსწავლელი; 3. ახალგაზრდებსა და არასრულწლოვანთა შორის სამართალდარღვევების პრობლემების შემსწავლელი; 4. პარტიებს, საზოგადოებრივ ორგანიზაციებსა და მოძრაობებს შორის ურთიერთობის შემსწავლელი ; 5. ბუნების დაცვის პრობლემების. შემსწავლელი; 6. საზოგადოებრივი დამცველის ინსტიტუტის დანიშნულების პრობლემების შემსწავლელი. სექციების ხელმძღვანელებად დამტკიცებული არიან: ამირან მურუსიძე, ამირან ხიღეშელი, ნიკო დაკითულიანი, ბეჟან ბარსოსიძე, ამირან ვანაძე, დავსდეშონა გურგენიძე.

საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტის პირველსაკე სხდომაზე (ვაიმართა 1998 წლის 4 აგვისტოს) სექციებს შორის განაწილებული იქნა დავალებანი და დამტკიცდა წლის საშუშაო გეგმა, რომელშიც შეტანილი იქნა შემდეგი საკითხები: 1. კონფერენცია თემაზე "რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის მხარეში ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერება სამართალდამცავი ორგანოებისა და მთელი საზოგადოებ-

რიობის გადაუდებელი ამოცანაა“. 2. ზონების მიხედვით ღონისძიებების ჩატარება თემაზე “საზოგადოებრიობის ამოცანები თანამედროვე ეტაპზე დანაშაულობის წინააღმდეგ ბრძოლაში“.

პირველი ღონისძიება ჩატარდა 1998 წლის ოქტომბერში, მოხსენებებით გამოვიდნენ: ინსტიტუტის რექტორი გურამ ვასაძე, რომელმაც საზოგადოებრიობას ფართოდ გააცნო საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტის მიზნები და ამოცანები და შს სამხარეო სამმართველოს უფროსი რაინდ მეტრეველი, შს ამბროლაურის, ონის, ცაგერის, ლენტეხის რაიონული განყოფილების უფროსები გივი რეხვიაშვილი, გივი მღებრიშვილი, მირიან მეშველიანი, ხვიჩა ქურასბედიანი, რომლებმაც ღრმა ანალიზი გაუკეთეს მხარეში და ცალკეულ რაიონებში არსებულ ვითარებას და ილაპარაკეს ნაკლოვანებათა დაძლევის გზებზე, რამაც ხელი უნდა შეუწყოს ამ სფეროში მუშაობის ორგანიზაციის გაუმჯობესებას.

იმისათვის, რომ საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტის მუშაობამ მიიღოს თანამედროვეობის შესატყვისი ხასიათი, პრაქტიკაში დანერგილია ცალკეულ წარმოება-დაწესებულებებში, ორგანიზაციებსა და მოსახლეობაში ცხოვრებისეული აქტუალური საკითხების შესწავლა ადგილებზე მისვლით, რომელშიც ჩართული არის არამარტო რექტორატი და სექციები, არამედ აქტივი, რომელთა როლიც თანმიმდევრობით იზრდება. ინსტიტუტის წევრთა რაოდენობა 1998 წელს შეადგენდა 100-ზე მეტ კაცს.

რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის მხარის ტერიტორია შეადგენს 4981,5 კვ კილომეტრს, ხოლო მოსახლეობა 53 ათას კაცს. მხარეში შედის ოთხი რაიონი - ამბროლაურის, ონის, ცაგერის და ლენტეხის რაიონები. სამხარეო შს სამმართველო შეიქმნა 1995 წლის აგვისტოში, რომლის დაქვემდებარებაში შედიან ამბროლაურის, ონის, ცაგერისა და ლენტეხის შს რაიონული განყოფილებები. სამმართველოსა და შს რაიონულ განყოფილებებში მუშაობს 254 თანამშრომელი, აქედან 171 ოფიცერი, 59 რიგითი თანამშრომელი, 24 ნებით დაქირავებული პირი.

საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტის რექტორატი, ითვალისწინებს რა ქვეყანაში მიმდინარე ურთულეს მოვლენებს სოციალურ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ სფეროში, საზოგადოებრივი წესრიგის განმტკიცებაში სამართალდამცავი ორგანოების პასუხისმგებლობას, ცდილობს მაქსიმალური მობილიზაცია გაუკეთოს მხარეში შემავალი დაწესებულებების, ორგანიზაციების და

მოსახლეობის საერთო შეხედულებებს ქვეყნის საშინაო და საგარეო მდგომარეობაზე, ღრმა ანალიზი გაუკეთოს მას. დებულებიდან გამომდინარე კომპეტენციის ფარგლებში, შეიმუშაოს საჭირო რეკომენდაციები და თავისი მოსაზრებანი მიაწოდოს მხარეში შემავალი რაიონების მოსახლეობას, საწარმოო-დაწესებულებათა ხელმძღვანელებს, სამართალდამცავ ორგანოებს და ამ გზით განამტკიცონ ურთიერთობა საზოგადოებასა და სამართალდამცავ ორგანოებს შორის. უმთავრესი მიმართულება საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტის საქმიანობისა არის ხელისუფლების მხარდაჭერა და თანადგომა იმ ღონისძიებათა რთული კომპლექსის განხორციელებაში, რისთვისაც იბრძვიან ქვეყნის საკანონმდებლო და აღმასრულებელი სტრუქტურები გარდამავალ პერიოდში სრულიად ახალი ტიპის ეკონომიკური და სახელმწიფოებრივი სისტემის ჩამოყალიბებისათვის. ამისათვის კი, შესაძლებლობის ფარგლებში, მობილიზებულია მხარეში შემავალი რაიონების ყველა ფენის წარმომადგენლობა, რომელთაც აქვთ კვალიფიციური პროფესიული ცოდნა, პრაქტიკული საქმიანობის სტაჟი და ავტორიტეტი.

უნდა ითქვას, რომ ინსტიტუტის შემადგენლობაში ამ მხრივ ერთობ ფართო სპექტრია წარმოდგენილი. თითქმის არ არსებობს დარგი, რომელის წარმომადგენელიც გაერთიანებული არ იყოს ინსტიტუტის შემადგენლობაში, როგორც ყველა უწყების, პირველ რიგში ამ ტიპის ორგანიზაციის ყურადღების ცენტრში, ღგას კრიმინოგენური სიტუაციის შეცვლა, საზოგადოებრივი წესრიგის განმტკიცება, სამართალდამცავი ორგანოების აღმზრდელობითი ფუნქციების წინ წამოწევა - ისეთი ვითარების შექმნა, რომ ახალგაზრდობა არ იქნეს ჩართული საზოგადოებისათვის მეტად საშიშ ისეთ პროცესებში, როგორიცაა ნარკომანია და ნარკობიზნესი, პროსტიტუცია, ბოროტი ხულიგნობა, ძარცვა, ყაჩაღობა. მუშაობის უმთავრეს მეთოდად გამოყენებულია სექციების მიხედვით მხარის რაიონებში ვითარების შესწავლა, მოპოვებული მასალების სექციების სხდომებზე განხილვა, სამხარეო შს სამმართველოს და შს რაიონული განყოფილებების ხელმძღვანელობისათვის გაცნობა იმ დაწესებულებებსა და ორგანიზაციების ხელმძღვანელების თანდასწრებით, სადაც ეს საკითხები იქნა შესწავლილი.

მუშაობა მიმდინარეობს წლიური სამუშაო გეგმის მიხედვით. 1998 წლის მეორე ნახევარში ინსტიტუტის შექმნის შემდეგ სამუშაო გეგმით შესწავლილი და განხილული იქნა საკითხები:

რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის მხარეში ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერება სამართალდამცველ ორგანოებსა და მთელი საზოგადოებრიობის გადაუჭრელი ამოცანაა, საზოგადოებრიობის ამოცანები თანამედროვე ეტაპზე დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლაში. 1999 წლის მარტში ჩატარდა კონფერენცია საქართველოს სახელმწიფოებრიობის შექმნის 3 ათას წლისთავთან დაკავშირებით. ამ საერთო თემიდან განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო საქართველოში სახელმწიფოს წარმოშობის ისტორიულ საფუძვლებს, სახელმწიფოსა და სამართლის და სამართალდამცავი ორგანოების ამოცანებს საზოგადოებრიობის განვითარების დღევანდელ ეტაპზე. 1999 წლის ივნისში შესაბამისი სექციის გაფართოებულ სხდომაზე განხილული იქნა საკითხი: ახალგაზრდობასთან მუშაობის ამოცანები მიმდინარე ეტაპზე. აგვისტოში რექტორატმა მოისმინა ნარკომანიისა და ალკოჰოლიზმის პრობლემების შემსწავლელი სექციის ანგარიში ჩატარებული მუშაობის შესახებ, ხოლო ნოემბერში სამხარეო სამმართველოს პირადი შემადგენლობის გაფართოებულ თათბირზე მოსმენილი იქნა საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების პრობლემების შემსწავლელი სექციის ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ. ამბროლაურის რაიონის შს განყოფილების თანამშრომლებთან ერთად კრიტიკულად იქნა განხილული საკითხი ნიკორწმინდისა და ჭრებალოს სოფლების საკრებულოების ტერიტორიაზე საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის შესახებ.

საზოგადოებრიობის ფართო მონაწილეობით მხარესა და ცალკეულ რაიონებში ფართო სპექტრით იქნა განხილული შს სამხარეო სამმართველოსა და შს რაიონული განყოფილებების მიერ 2000 წლის პირველ კვარტალში ჩატარებული მუშაობის შედეგები. ასევე ფართოდ აღინიშნება საქართველოში სახელმწიფოებრიობის სამი ათასი წლის იუბილე. შექმნილია კონკრეტული დავალებებით კვალიფიციურ პირთა ჯგუფი, რომელიც სწავლობს მხარეში კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერებისა და ახალგაზრდობის კომპლექსური აღზრდის საკითხებს.

ასეთია ზოგადი სქემა. ეხლა შეეხოთ ზოგიერთი საკითხის შესწავლისა და განხილვის პროცედურას, მიღებულ გადაწყვეტილებებსა და შედეგს. ინსტიტუტის შექმნის პირველი დღეებიდან რექტორატი დიდ ყურადღებას უთმობდა ნარკომანიისა და

ალკოჰოლიზმის პრობლემების შესწავლას და აქედან გამომდინარე შესაბამისი სექციის მუშაობას. რექტორატისა და სექციის წევრები 1998 წლის მეორე ნახევარში და 1999 წელს განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდნენ ამ პრობლემების მიმართ საზოგადოებრივი აზრის შესწავლას, აქედან გამომდინარე სათანადო წინადადებების ჩამოყალიბებას და მხარის შს ორგანოებისათვის მიწოდებას. საზოგადოებრივი აზრის შესწავლის მიზნით, რექტორატის, ნარკომანიის და ალკოჰოლიზმის პრობლემების შემსწავლელი სექციის წევრები შეხვდნენ როგორც მხარის შს ორგანოების ნარკომანიისა და ნარკობიზნესის წინააღმდეგ მებრძოლი სამსახურების, კრიმინალური და ადმინისტრაციული პოლიციის სხვა სამსახურების თანამშრომლებს, ისე რაიონების , ქალაქების და სოფლების მოსახლეობას, ხელმძღვანელ მუშაკებს, აქტივს; მოსახლეობისა და ხელმძრვანელი მუშაკებისაგან გამოითქმებოდა აზრი, რომ 1998-1999 წლებში მხარის ტერიტორიაზე მკვეთრად გააქტიურდა ბრძოლა და თითქმის აღიკვეთა ოსეთის ტერიტორიიდან ნარკოტიკების შემოტანის ფაქტები, მაგრამ ამ მიმართებით ყურადღების მოდუნება ერთი წუთით არ შეიძლებოდა და მუდმივად უნდა გაკონტროლდეს დაბა კვაისიდან ონის რაიონის ტერიტორიაზე შემომავალი საავტომობილო გზა, რათა ადგილი არ ექნეს ნარკოტიკების შემოტანის, გადატანის, რეალიზაციისა და მოხმარების მცდელობას; ასევე უნდა გაძლიერდეს ოპერატიულ-პროფილაქტიკური მუშაობა საკურორტო-ტურისტული სეზონის პერიოდში, როცა მხარის რაიონებში შემოდის დიდძალი დამსვენებელი და ტურისტი, რომ ამ პერიოდში აღკვეთოს ნარკოტიკული ნივთიერებების შემოტანის ფაქტები, ხოლო შემოტანის შემთხვევაში გამოვლენილი იქნეს. ამასთან დიდი ყურადღება მიექცა ნარკოტიკული ნივთიერებების შემცველი მცენარეების ნათესების გამოვლინებას.

მხარის მოსახლეობისაგან ასევე გამოითქმებოდა აზრი, რომ ამ წლებში წინა პლანზე წამოიწია ალკოჰოლიზმის პრობლემებმა, მოსახლეობა, უფრო მეტად ღებულობს სპირტიან სასმელებს, რაც იმითაც არის გამოწვეული, რომ მისი გარკვეული ნაწილი დაუსაქმებელია და სოფელ ადგილებში არ ტარდება კულტურულ-სპორტული და სხვა სახის ღონისძიებები, რის გამოც გადაუჭრელია თავისუფალი დროის გამოყენების პრობლემა. საზოგადოებრივი აზრის შესწავლისას გამოთქმული წინადადებები ანალიზდებოდა

სექციის სხდომებზე და მიეწოდებოდა სამმართველოს და რაიონული განყოფილებების ხელმძღვანელობას, რომლებიც თავის მხრივ ითვალისწინებდნენ მას მუშაობაში, ოპერატიული-პროფილაქტიკური ღონისძიებების განხორციელებისას და სამართლიანობა მოითხოვს ითქვას, რომ 1998-1999 წლებში სამმართველოს და რაიონული განყოფილებების ნარკომანიისა და ნარკობიზნესის წინააღმდეგ მებრძოლი და კრიმინალური და ადმინისტრაციული პოლიციის სამსახურების მიერ მკვეთრად გაუმჯობესდა მუშაობა ამ ხაზით. ონის რაიონის ტერიტორიაზე ორგანიზებული იყო თანამშრომელთა სადღეღამისო მორიგეობა, ხორციელდებოდა ოპერატიულ-პროფილაქტიკური ღონისძიებები დაბა კვაისის ტერიტორიიდან ნარკოტიკული ნივთიერების შემოტანის მცდელობის აღკვეთის მიზნით. ამ ხაზით 1998 წელს გამოვლინდა 7, ხოლო 1999 წელს - 10 დანაშაული, აქედან მძიმე კატეგორიისაა 2 დანაშაული; სამხარეო შს სამმართველოს და დაქვემდებარებული შს რაიონული განყოფილებების ნარკომანიისა და ნარკობიზნესის წინააღმდეგ მებრძოლი სამსახურების მიერ სამმართველოს და განყოფილებების სხვა სამსახურებთან ერთად ამ წლებში ნარკოტიკული ნივთიერებების შეძენის, შენახვის და მოხმარების ფაქტებზე დაკავებული იქნა 22 პირი, რომელთა მიმართ გატარდა კანონით გათვალისწინებული ზომები და დაეკისრათ სხვადასხვა სახის სასჯელი, ასევე გატარებული ღონისძიებების შედეგად გამოვლენილი და განადგურებული იქნა ნარკოტიკული ნივთიერების შემცველი 1448 ძირი ველური კანაფი.

საზოგადოებრივი აზრის ინსიტიტუტის რექტორატი ითვალისწინებდა რა იმ გარემოებას, რომ ახალგაზრდობა ადვილად ითვისებს საზოგადოებაში არსებულ ყოველივე ცუდს და ასევე ადვილად ექცევა დანაშაულის მიდრეკილების მქონე პირებისა და ანტისაზოგადოებრივი ელემენტების გავლენის ქვეშ, ასევე იმას, რომ ქვეყნის მშენებლობის დღევანდელ ეტაპზე ახალგაზრდობის სწორად აღზრდა და ეროვნული ინტერესების გათვალისწინებით მისი ჩამოყალიბება დიდი ისტორიული მნიშვნელობის საქმეა, განსაკუთრებულ ყურადღებას უომობდა ახალგაზრდებსა და არასრულწლოვანთა შორის სამართალდარღვევის პრობლემების შემსწავლელი სექციის მუშაობას. ინსტიტუტის შექმნის დღიდან სექცია თავის მუშაობას წარმართავდა სამხარეო შს სამმართველოს და რაიონული განყოფილებების არასრულწლოვანთა საქმე-

ების ინსპექტორებთან, ხელისუფლების ორგანოებთან არსებული არასრულწლოვანთა საქმეების კომისიებთან, განათლების და კულტურის სამხარეო და რაიონულ ორგანოებთან, სასწავლო-დაწესებულებებთან მჭიდრო კავშირში. ამ მუშაობაში ძირითადი ყურადღება ეთმობა ახალგაზრდებსა და არასრულწლოვანთა შორის სამართალდარღვევების პრობლემების შესწავლას.

სექციის წევრები მხარის შს ორგანოების არასრულწლოვანთა საქმეების ინსპექტორებთან და არასრულწლოვანთა საქმეების კომისიის წევრებთან ერთად პერიოდულად გადიან მხარის რაიონების სკოლებსა და სასწავლო-დაწესებულებებში, ახალგაზრდობის თავმოყრის ადგილებში, ხვდებიან მოსწავლე-ახალგაზრდებს, მათ შორის ძნელად აღსაზრდელებს, პედაგოგებს, მშობლებს; მონაწილეობას ღებულობენ აღმზრდელობითი ხასიათის ღონისძიებებში. პრობლემების შესწავლისას მოსწავლე -ახალგაზრდობის, მშობლების, პედაგოგების, სკოლებისა და სასწავლებლების ხელმძღვანელობის, არასრულწლოვანთა საქმეების ინსპექტორთა და კომისიის წარმომადგენელთა მიერ გამოითქმებოდა აზრი, რომ შს და ხელისუფლების ორგანოების, სასწავლო-დაწესებულებათა პედაგოგიური კოლექტივებისა და ხელმძღვანელობის მიერ მხარის რაიონების ტერიტორიაზე ტარდებოდა კომპლექსური აღმზრდელობით-პროფილაქტიკური და სხვა სახის ღონისძიებები ახალგაზრდებსა და არასრულწლოვანებს შორის მოსალოდნელი სამართალდარღვევების აღკვეთა-აცილების მიზნით; მაგრამ დღევანდელი ეკონომიკური გაჭირვება, ხარვეზები და ნაკლოვანებები მოსწავლე-ახალგაზრდობის სწავლისა და აღზრდის საქმეში, ახალგაზრდობის დაუსაქმებლობისა და თავისუფალი დროის გამოყენების პრობლემები არის ძირითადი პრობლემები, რომელთაც უნდა მიექცეს ყურადღება ვინაიდან ისინი ხელს უწყობენ სამართალდარღვევების წარმოშობას.

შესწავლილი მასალები ანალიზდებოდა სექციის სხდომებზე და სათანადო წინადადებები მიეწოდებოდა სამხარეო შს სამმართველოს და შს რაიონულ განყოფილებებს. სექციების მიზანმიმართული მუშაობის შედეგია, რომ 1998-2000 წლებში მხარეში მკვეთრად შემცირდა არასრულწლოვანების მხრიდან ჩადენილი დანაშაულის რაოდენობა, საკმარისია ითქვას, რომ 1999 წელს აღრიცხვაზე იმყოფებოდა 6 არასრულწლოვანი, მათ მიერ ჩადენილია მხოლოდ 4 დანაშაული.

ინსტიტუტის რექტორატი ასევე მნიშვნელოვან ყურადღებას უთმობს ბუნების დაცვის პრობლემების შემსწავლელი სექციის მუშაობას, რადგან მიგვაჩნია, რომ მიწა, წყალი, ტყე, წიაღისეული, სხვა ძირითად საშუალებებთან ერთად არის საწარმოო ძალების განვითარების მატერიალური ბაზა და ასრულებენ ეკონომიკურ ფუნქციას, მაგრამ ამასთან ასრულებენ ეკოლოგიურ ფუნქციასაც. მათი ერთობლიობით იქმნება ის ოპტიმალური ბუნებრივი გარემო, რომელიც აუცილებელია ადამიანთა სიცოცხლისათვის. აქედან გამომდინარე სექცია სამმართველოს და შს რაიონული განყოფილებების ეკოლოგიის პოლიციის სამსახურებისა და ბუნების დაცვის რეგიონალური სამმართველოს თანამშრომლებთან ერთად 1998-2000 წლებში სწავლობდა საზოგადოებრივი აზრს ბუნების დაცვის შესახებ. ისე, როგორც სხვაგანაც, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის მხარის ტერიტორიისათვის დამახასიათებელია გარემოს დაბინძურების ორი სახე სამრეწველო და საყოფაცხოვრებო. 1991 წლის მიწისძვრის შედეგად მწყობრიდანაა გამოსული საწარმოთა გამწმენდი ნაგებობები, რის შედეგადაც სამრეწველო და საყოფაცხ ოვრებო წყლები გაწმენდის გარეშე ჩაედინება მდინარეებში და აბინძურებს მათ.

დღევანდელი ეკონომიკური მდგომარეობის გამო ვერ ხერხდება სამრეწველო და საყოფაცხოვრებო ნაგვის გატანა გამოყოფილ ნაგვსაყრელ ადგილებზე, რომლებიც თავის მხრივ ვერ აკმაყოფილებენ გარემოს დაცვის კანონმდებლობის მოთხოვნებს, რაც იწვევს მდინარეთა სანაპიროებისა და სხვა მიწების დაბინძურებას. ასევე ეკონომიკური მდგომარეობის გამო რეგიონში ვერ ხერხდება ნაპირსამაგრი სამუშაოების ჩატარება, რის გამოც ათობით ჰექტარი სავარგული მიაქვს მდინარეებს.

აღსანიშნავია, რომ არასასურველი მდგომარეობაა წიაღისეულის მოპოვების, გატანის და ტყის კანონმდებლობის დაცვის საქმეში, რიგ შემთხვევაში არ სრულდება ლიცენზიით მიცემული პირობები, რაც გამოიხატება გზებისა და მიწების დაზიანებაში, კარიერების არასწორ ექსპლოატაციაში. ადგილი აქვს ტყის უკანონო ჭრებს, ჭრაგავლილ ფართობებში ხელახალ ჭრებს, არ იწმინდება ტყეკაფები, რეგიონის მოსახლეობა თავისი აზრის გამოთქმისას განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებდა იმაზე, რომ თბილისში, სამინისტროებში გაცემული ფონდების საუძ-

ველზე, რომელშიც გათვალისწინებული არ არის მხარის ინტერ-ესები, სხვადასხვა ფირმებისა და კერძო პირების მიერ მხარის ტერიტორიაზე იჭრება და სათანადო საბუთებით რეგიონის გარეთ გადის დიდი ოდენობით ხე-ტყე, რაც მოსახლეობას არასწოროდ მიაჩნია და უკეთესი იქნებოდა, თუ ფონდები გაიც-ემოდა ადგილზე ხელისუფლების ორგანოების გადაწყვეტილე-ბით ადგილობრივი პირობების გათვალისწინებით, საამხარეო ადმინისტრაციამ და რაიონების გამგებლებმა გაითვალისწინეს მოსახლეობის აზრი და მათი დიდი ძალისხმევის შედეგად მიღწეული იქნა, რომ ამიერიდან ხე-ტყის ფონდების განკარ-გულებელი იქნება ადგილობრივი ხელისუფლება, რითაც ზღვ-არი დაედება ხეტყის რეგიონის ტერიტორიაზე უკანონო ჭრასა და დიდი ოდენობით გატანას.

მოსახლეობის მიერ გამოთქმული აზრი, მათი წინადადებები გადაეცემოდა სამმართველოს და შს რაიონული განყოფილებების ეკოლოგიის პოლიციის სამსახურებს, გარემოს დაცვის რეგიონა-ლურ სამმართველოს, რომლებიც თავის მხრივ მათ ითვა-ლისწინებდნენ მუშაობაში. 1998-2000 წლებში გარემოს დაცვის სფეროში გარემოს დაცვის რეგიონალურ სამმართველოს გამ-ოვლენილი აქვს 100 დარღვევა, ხოლო სამმართველოს და შს რა-იონული განყოფილებების ეკოლოგიის პოლიციის სამსახურების მიერ ეკოლოგიის სფეროში გამოვლენილია 41 დანაშაული, ადმი-ნისტრაციული სამართალდარღვევის 426 ფაქტი. მარტო 1999 წელს ხეტყის უკანონო ჭრის ფაქტზე გამოვლენილია 30 დანაშა-ული, უკანონო თევზაობის ფაქტზე 2, ხოლო მიწის უკანონო მითვისების ფაქტზე - 2 დანაშაული.

ინსტიტუტის რექტორატი გა'ხრდილ ყურადღებას უთმობს საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების პრობლემების შემსწავლე-ლი სექციის მცუშაობას. სექციის წევრები ამ პრობლემის შე-სახებ საზოგადოებრივი აზრის შესწავლისას სამმართველოსა და შს რაიონული განყოფილებების საგზაო პოლიციის თანამშრომ-ლებთან ერთად მხარის ტერიტორიაზე პერიოდულად ხვდებოდნენ მხარის მოსახლეობას, ფეხით მოსიარულეებს, საგზაო მოძრაო-ბის მონაწილეებს, სატრანსპორტო საწარმოების ხელმძღვანელებს, ხელისუფლების ორგანოების წარმომადგენლებს, სადაც გამოით-ქმებოდა აზრი, რომ სამმართველოს და შს რაიონული განყოფილ-

ებების საგზაო პოლიციის სამსახურები რიგ ღონისძიებებს ანხორციელებენ მხარის ტერნიტორიაზე საგზაო მოძრაობის წესების დაცვისა და მისი უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით და მათ მიერ განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა ტექნიკური დათვალიერების გარეშე ან ტექნიკურად გაუმართავი ავტოტრანსპორტის მართვის, სინქარის გადაჭარბების, ავტომანქანის არაფხიზელ მდგომარეობაში მართვის, საგზაო მოძრაობის წესების სხვა ისეთი დარღვევების გამოვლინებას, რაც ხელს უწყობდა ავტოსაგზაო შემთხვევების თავიდან აცილებას. მოსახლეობა გამოთქვამდა აზრს, რომ საავტომობილო გზების მოვლა-პატრონობას არ ექცეოდა სათანადო ყურადღება, რომ ზაფხულის საკურორტო- ტურისტული სეზონის პერიოდში მხარის ტერიტორიაზე ჩამოდის დიდძალი დამსვენებელი, შემოდის დიდი რაოდენობით ტრანსპორტი და საგზაო მოძრაობა ინტენსიური ხდება, რაც უნდა გაითვალისწინონ საგზაო პოლიციის სამსახურებმა და ამ პერიოდში კიდევ უფრო გააქტიურონ და გააუმჯობესონ მუშაობა.

სექცია პრობლემების შესწავლისას მოსახლეობის აზრს, თავის წინადადებებს მიაწოდებდა საგზაო პოლიციის სამსახურებს, რომლებიც მას ითვალისწინებდნენ მუშაობაში.

უნდა აღინიშნოს, რომ ჯერ კიდევ სრული შესაძლებლობით ვერ მუშაობენ პარტიებს, საზოგადოებრივი ორგანიზაციებსა და მოძრაობებს შორის ურთიერთობის და სახალხო დამცველის ინსტიტუტის დანიშნულების პრობლემების შემსწავლელი სექციები. უსახსრობის გამო დღემდე ვერ მოხერხდა გაზეთის გამოშვება, მაგრამ საშხარეო შს სამმართველოს ხელმძღვანელობა ცდილობს და ყოველ ღონეს ხმარობს იმისათვის, რომ 2000 წელს ეს საკითხი მოგვარდეს.

საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტი თავისი შექმნის პირველი დღიდანვე ქმედით დახმარებას უწევდა სამმართველოს და რაიონული განყოფილებების ხელმძღვანელობას მუშაობის გაუმჯობესების საქმეში. ინსტიტუტი არამარტო სწავლობდა და აანალიზებდა საზოგადოებრივ აზრს სხვადასხვა პრობლემების შესახებ, არამედ შესაძლებლობის ფარგლებში მონაწილეობას ღებულობდა ამ პრობლემების მოგვარების საქმეში. ამასთან ინსტიტუტი მნიშვნელოვან ყურადღებას უთმობდა მხარის შს ორ-

განოებისა და მოსახლეობის კავშირურთიერთობის უფრო განმტკიცებას. ამ მუშაობას უფრო მიზანმიმართული და ორგანიზებული ხასიათი მიეცა 1998 წლის მაისის თვიდან, როცა შეიცვალა სამხარეო შს საქმართველოს და შს აბროლაურის, ონისა და ლენტეხის რაიონული განყოფილებების ხელმძღვანელობა, განხორციელდა გარკვეული სტრუქტურული და საკადრო ცვლილებები, მკვეთრად გაუმჯობესდა შრომისა და საშემსრულებლო დისციპლინა, ამაღლდა პირადი შემადგენლობის პასუხისმგებლობა დაკისრებული სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების საქმეში, კიდევ უფრო გაუმჯობესდა კავშირურთიერთობა მხარის მოსახლეობასთან, ხელისუფლების ორგანოებთან, რომელთა მხარდაჭერამ და დახმარებამ უფრო აამაღლა მათი ავტორიტეტი, ამან კი ასახვა პოვა მუშაობის შედეგებში. რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის სამხარეო შინაგან საქმეთა სამმართველოს უფროსად დაინიშნა პოლიციის პოლკოვნიკი თ. ბიჭაშვილი.

ინსტიტუტის უმთავრესი ნაკლი საზოგადოებრივი აზრის შესწავლაში არის კომპანიურობა, სუსტი კავშირი მოსახლეობის ფართო ფენებთან, შრომით კოლექტივებთან, კერძო სექტორებთან, ოჯახებთან, საწარმოთა, ორგანიზაციათა და ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების ხელმძღვანელობასთან.

მხარის საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტს მიანნია, რომ დროა დაისვას საკითხი ხელისუფლების წინაშე, რათა საზოგადოებრივი აზრის შემსწავლელ ინსტიტუტს მიეცეს სახელმწიფო სტატუსი. სახელმწიფომ სამომავლოდ უნდა უზრუნველყოს ამ ინსტიტუტის არა მარტო დაფინანსება, არამედ აქ უნდა მოიყაროს თავი ქვეყნის ინტელიგენციის ყველაზე საუკეთესო კვალიფიციურმა კადრებმა და იგი უნდა იქცეს სამეცნიერო-კვლევით ცენტრად იმის აუცილებელი გათვალისწინებით, რომ მის მიერ საზოგადოებრივი აზრის ფართოდ შესწავლის შედეგად შემუშავებული რეკომენდაციები და პროგრამები დაედოს საფუძვლად ქვეყანაში მოწინავე საზოგადოებრივ-პოლიტიკური აზრის, ადამიანთა მაღალი სულიერებისა და პატრიოტიზმის დამკვიდრებას.

სამცხე-ჯავახეთი

სამცხე-ჯავახეთის რეგიონის შინაგან საქმეთა სამმართველოს საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტი დაარსდა 1999 წლის დეკემბერში.

სამცხე-ჯავახეთის რეგიონის საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტის რექტორად დაინიშნა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალციხის ფილიალის დირექტორის მოადგილე სამეცნიერო მუშაობის დარგში, - რევაზ ჭიღლაძე. პრორექტორები -დოცენტი ლორანდ სიგუა და ალექსანდრე ლეკიშვილი, პოლიციის პოლკოვნიკი, თსუ ახალციხის ფილიალის იურიდიული ფაკულტეტის დეკანი; სწავლული მდივანია მზია მაისურაძე, რექტორატის წევრები არიან:

1. სოსო სხვიტარიძე სამცხე-ჯავახეთის შინაგან საქმეთა სამმართველოს უფროსი, პოლიციის პოლკოვნიკი;

2. ჯულია შირინიანი ახალქალაქის რაიონული გაზეთის რედაქტორი;

3. პეტრე მერაბიშვილი - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი;

4. ზაზა თამარაშვილი - ახალციხის მე-6 საშუალო სკოლის დირექტორი;

5.ნიკოლოზ ჭიღლაძე - თსუ იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტი;

6. ჯემალ ხარიტონაშვილი თსუ ახალციხის ფილიალის ეკონომიკის ფაკულტეტის დეკანი;

ინსტიტუტის გაზეთია "თემიდა" რომელიც რეგულარულად გამოდის (8 გვერდიანი მოცულობით).

საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტში ფუნქციონირებს შემდეგი სექციები:

1. ახალგაზრდებსა და არასრულწლოვანთა შორის სამართალდარღვევების პრობლემების შემსწავლელი სექცია, ხელმძღვანელი ვიქტორ ჯაფიაშვილი, პროფესორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აბასთუმნის ასტროფიზიკურ ობსერვატორიის მთავარი მეცნიერ მუშაკი;

2. ნარკომანიისა და ალკოჰოლიზმის პრობლემების შემსწავლელი სექცია, ხელმძრვანელი გივი ქიმერიძე, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვ-

ატორიის უფროსი მეცნიერ-მუშაკი, თსუ ახალციხის ფილიალის უფროსი მასწავლებელი;

3. საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების პრობლემების შემსწავლელი სექცია, ხელმძღვანელი - დავით ივანიძე, თსუ ახალციხის ფილიალის უფროსი მასწავლებელი;

4. მასობრივი ინფორმაციის საშუალებებთან ურთიერთობის სექცია, ხელმძღვანელი - შალვა კეღოშვილი, უფროსი მასწავლებელი;

5. სამეცნიერო ორგანიზაციებთან და უმაღლეს სასწავლებლებთან ურთიერთობის სექცია, ხელმძღვანელი - სერგო მელიქიძე, თსუ ახალციხის ფილიალის დირექტორის მოადგილე, დოცენტი;

6. ბუნების დაცვის პრობლემების შემსწავლელი სექცია, ხელმძღვანელი - პავლე ნარიმანიშვილი, დოცენტი.

დასკვნის მაგიერ [1]

35 წელი გავიდა მას შემდეგ, რაც საქართველოში შინაგან საქმეთა სამინისტროსთან საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტი ჩამოყალიბდა. ამ მოვლენას უდიდესი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა და დატვირთვა ჰქონდა. მიუხედავად იმჟამინდელი მკაცრ იდეოლოგიურ ჩარჩოებში მოქცეული საზოგადოებრივი ცხოვრებისა, აუცილებლად ცნეს იმის გათვალისწინება, რას ფიქრობდა საზოგადოება საკუთარი ცხოვრების ავ-კარგზე, როგორ ესახებოდა მისი ღირსება-ნაკლოვანებები, როგორ უცქერდა იგი საზოგადოებრივი ყოფის უმთავრეს მარეგულირებელ სახელმწიფოებრივ სტრუქტურას - შინაგან საქმეთა სამინისტროს მუშაობას. როგორც იტყვიან, მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული, "ხმა ღვთისა და ხმა ერისას" გაგონება.

სამართლიანობა მოითხოვს იმის აღნიშვნას, რომ საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტმა დაარსების დღიდანვე მრავალმხრივი და ნაყოფიერი მუშაობა გაშალა. მის ინტერესებში ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების მრავალი სფერო მოექცა, არა ერთს დაანნია თავისი კეთილნაყოფიერი კვალი, ბევრი პრობლემაც პრობლემად დარჩა და ესეც სრულიად ბუნებრივია. ბუნებრივია იმიტომ, რომ ჩვენი საუკუნე დროის მსვლელობისა და ადამიანური ყოფიერების განმსაზღვრელი პროცესების დინების საოცარი სისწრაფით გამოირჩევა. ცხოვრებაში ცვლილებები ისე სწრაფად მიმდინარეობს, რომ სადღეისო პრობლემა თუ ფასეულობა ხვალ-ზეგ უკვე მოძველებული აღმოჩნდება ხოლმე. მათზე რეაგირებაც ძნელი ხდება, რადგან რეაგირება ანალიზს საჭიროებს, ანალიზი დროს მოითხოვს. გაანალიზებული კი უკვე გუშინდელის ანუ წარსულის შეფასებას ნიშნავს. დღევანდელობა კი მხედველობის არეში ჯერ არ არის ხოლმე მოქცეული. და დღევანდელობაზე რეაგირებას, ანალიზისა და შეფასების გზით, ხვალ ვახდენთ ეს ხვალ კი დღეს არა გვაქვს, ზეგ კი დაგვიანებულია... და ასე დაუსრულებლად. ამის ერთი მიზეზი ისაა, რომ ანალიტიკური ფუნქცია უფრო აქვს საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტს, ვიდრე პროგნოზირებისა. მოვლენათა პროგნოზირება - კი, უნდა იყოს მისი მუშაობის მთავარი მიმართულება.

---

1. სტატიას საფუძვლად დაედო პროფესორების გურამ ლორთქიფანიძის, თეიურ ჯაგოდნიშვილის და ოთარ შონიას მიერ წარმოდგენილი მასალა.

ადრე, საბჭოურ სინამდვილეში, როცა ყველაფერი გეგმიურ პრინციპებზე იყო დაფუძნებული, მოვლენათა პროგნოზირება ასე თუ ისე ადვილად ხერხდებოდა.

ცნობილი იყო ადამიანთა სოციალური ჯგუფების ეროგვარი სტერეოტიპები. ამ სტერეოტიპების გათვალისწინებით არც თუ დიდ სიძნელეს წარმოადგენდა რას მოიმოქმედებდა ესა თუ ის სოციალური ჯგუფი, ამ ჯგუფის ცალკეული წარმომადგენელი და რა იყო საჭირო მათი ჩვეულებრივი, კანონმორჩილი მოქალაქის არტახებში მოსაქცევად. ეს ამოცანა ასე თუ ისე სრულდებოდა.

უმთავრესი პრობლემა კი არსებითად მოუგვარებელი დარჩა: შინაგან საქმეთა სამინისტროს სტრუქტურები, ქვედანაყოფები, განყოფილებები მოსახლეობის ფართო ფენებმა ვერ აღიქვა იმ კეთილი, გულისხმიერი, კაცურკაცობით გამორჩეული "კუკარაჩების" სამყაროდ, ნოდარ დუმბაძის ცნობილ მოთხრობაში რომ ვხვდებით. კუკარაჩები პრეისტორიული დინოზაურებივით გადაშენებული აღმოჩნდნენ და წიგნებსა თუ კინოეკრანებს შემორჩნენ.

საზოგადოებასა და სამართალდამცავებს შორის ურთიერთობაში იმ დროისთვის უკვე ბზარი კი არ იყო გაჩენილი, არამედ ვეებერთელა უფსკრული შემოგვაქქროდა. ამის მიზეზები კარგად არის ცნობილი და მათს ანალიზს აღარა აქვს აქტუალური ღირებულება. საბჭოური სინამდვილე, ისტორიად იქცა. ისტორიკოსები ალბათ იტყვიან თავის სიტყვას, გამოიკვლევენ მიზეზებს და თავთავის ადგილს მიუჩენენ.

დღეს ვითარება შეცვლილია. საქართველო თავისუფალი გახდა. დემოკრატიული სახელმწიფოს აღმშენებლობის პირველ ნაბიჯებს ბუნებრივად დიდი სირთულეები ახლავს. ჩვენ ამჟამად სწორედ ამ სირთულეთა წინაშე პირისპირ ვდგავართ, მათი დაძლევა ჩვენი ხვედრი აღმოჩნდა. ფასეულობათა გადაფასების ურთულესი პროცესი მიმდინარეობს, კარგად არის ცნობილი, რომ მატერიალურზე უფრო ძნელი სულიერ ფასეულობათა გამოკვეთა და საზოგადოებრივი ცხოვრების ორიენტირებად ქცევაა. საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტის როლი და დანიშნულება სწორედ ამ ორიენტირების მოძებნაში ხელშეწყობაა. ინსტიტუტმა, პირველ ყოვლისა, საზოგადოების ცნობიერებაში იმ უმთავრესი პრინციპის დამკვიდრებას უნდა შეუწყოს ხელი, რომ დემოკრატია კანონის უზენაესობის აღიარებას ნიშნავს და არა თავნებობას, თავაშვებულობას... ინსტიტუტის "შუამავლობა" სა-

მართალდამცავებსა და საზოგადოებას შორის ამ ნიშნით უნდა წარიმართოს. საამისოდ კი საზოგადოებრივ ცხოვრებაში მიმდინარე პროცესების ანალიზთან და სათანადო რეკომენდაციების შემუშავებასთან ერთად, უფრო მეტად მომავლისკენ უნდა მიმართოს მზერა და მისი პროგნოზირების სიმძიმეც უნდა იტვირთოს.

ამ თვალსაზრისით ერთი გადაუდებელი ამოცანაა იმ პრობლემათა ღრმა ანალიზი და სათანადო რეკომენდაციების შემუშავება, რაც სამართალდამცავისადმი პოლიციელისადმი საზოგადოების დამოკიდებულება, მოსახლეობის ცნობიერებაში პოლიციელის ვინაობის აღქმა-გააზრებაა.

თუ გავიხსენებთ, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ წლებში, ერთხანს ხალხი ისე აღიქვამდა ჩვენს პოლიციას, ლამის როგორც "კუკარაჩებს". მათ, მართალია, ისევ საბჭოური მილიციელების ფორმები ეცვათ, გარეგნულად თითქოს არაფერი შეცვლილიყო. მიუხედავად ამისა, ხალხის ცნობიერებაში ისინი რუსული (საბჭოური) სადამსჯელო ორგანოს ჯარისკაცებად კი არ აღიქმებოდნენ, არამედ, კანონის სადარაჯოზე მდგომ თანამემამულეებად, ქართველ კაცებად. თავად პოლიციელთა საქციელშიც ჩანდა საპასუხო სითბო. ეს სითბო ურთიერთობის სითბოში გადაიზარდა. ამის ერთი მიზეზი, ჩვენი აზრით, ისიც იყო, რომ პოლიცია მართლა ეროვნული გახდა და ამის ერთი ნიშანი იყო ჩვენი ეროვნული დაუწერელი კანონებისადმი პატივისცემა.

როგორც ცნობილია, საბჭოური ცხოვრების წესი ეროვნული ადათ-წესების საზოგადოებაში მოქმედებას არ ცნობდა. ყველაფერი რუსულ ეროვნულთან იყო მისადაგებული. მილიციაც, ბუნებრივია, ანგარიშს არ ან ვერ უწევდა ამ ადათებს და მოსახლეობასთან ურთიერთობაში გაუცხოებას ესეც იწვევდა. ესეც იყო იმის მიზეზი, რომ ქართველ საბჭოთა მილიციელს ხალხი რუსული ადმინისტრაციის სამსახურში მყოფად, რუსულ მოთხოვნათა განმახორციელებლად აღიქვამდა. საქართველოს თავისუფლების პირველ წლებში კი ქართველად ყოფნის ეინმა, როგორც ჩანს, ჩვენს პოლიციელშიც ამოფეთქა. ეს თავისებურება ყოველდღიურ ყოფითს ურთიერთობაშიც გამომჟღავნდა და პოლიციელსა და მოქალაქეს შორის დაახლოების საფუძვლად იქცა. მაგრამ ამგვარი ტენდენცია მყიფე აღმოჩნდა და დიდხანს აღარ გაგრძელებულა. ამის მიზეზი კი ის იყო, რომ შინაგან საქმეთა სამინისტრომ ეს მოვლენა არ აქცია საგანგებო შესწავლა-ანალიზის საგნად,

არ განავითარა და ქვეყნის მოსახლეობასთან ურთიერთობის პოლიტიკის შექმნაში არ გამოიყენა. ეს რთული და ანგარიშგასაწევი ფსიქოლოგიური მოვლენაა.

კანონი, როგორიც არ უნდა იყოს იგი, ადამიანის ქცევის ნებელობის შემზღუდავი ფენომენია. ადამიანის ბუნება კი შეზღუდვას ვერ ეგუება. კანონის შესრულებას იძულების მომენტიც ამიტომ ახლავს. თუ ეს იძულება ადათობრივი ყოფის თავისებურებას გაითვალისწინებს, იგი არ იქნება ძნელად შესაგუებელი. ეს რომ ცხოვრებაში რეალურად განხორციელდეს, ძნელი არ არის. ამისათვის, პირველ რიგში , პოლიცია უნდა იყოს განსწავლული ეროვნული ადათ-წესების რაობაში. ამის სწავლება კი შესაბამის საშუალო თუ უმაღლეს სასწავლებლებში უნდა იქნეს შემოღებული. ესეც გადაუდებელ ამოცანად გვესახება. ამ მიმართულებით თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის და პოლიტექნიკურ უნივერსიტეტში გადადგმულია პირველი ნაბიჯები...

რაკიდა პოლიციელთა განათლების საკითხს შეეხეთ, ერთიც უნდა აღინიშნოს: ჩვენი პოლიციელების განათლების, ინტელექტის დონე, რბილად რომ ვთქვათ, ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს. იმის მიზეზი, რომ საზოგადოება უცხოობს ჩვენს პოლიციას, მისი გაუნათლებლობაცაა. ქართველებს უცხოელთა მიბაძვა ყოველთვის გვჩვეოდა. ეს "სენი" განსაკუთრებით ახლა მოგვეძალა. მიმბაძველობას ვერც პოლიცია ასცდა. თუ ყველაფერში უცხოელ კოლეგებს ბაძავენ, რატომ განათლების დონითაც არ ეტოლებიან მათ? მაშინ, როცა თანამედროვე უცხოური სახელმწიფოების პოლიციელები განათლებით, ინტელექტით გამოირჩევიან, უმეტესობა რამდენიმე უცხო ენასაც კი ფლობს. ჩვენში.... ჩვენ მზადა ვართ ვიზრუნოთ ეროვნული პოლიციის კულტურული დონის ამაღლებაზე.

კანონისადმი პატივისცემა მოქალაქეს პოლიციელმა მარტო შიშის მოგვრით არ უნდა გამოახატვინოს. მან თავისი ინტელექტით უნდა "დათრგუნოს" ურჩი მოქალაქე, რადგან მოქალაქის თვალში თავად პოლიციელია კანონის განსახიერება.

უნებლიეთ თვალწინ წარმოდგება ერთი პატარა შემთხვევა, ქართველ კაცს პარიზში რომ შეემთხვა. ეს ქართველი მისმა ფრანგმა მეგობარმა მანქანის საჭესთან დასვა. მანაც, თბილისში რომ იყო მიჩვეული, მანქანა პარიზის ქუჩებში ისე ატარა, ბოლოს დანიშნულების ადგილს რომ მიაღწია და მანქანა შეაჩერა, თავს

პოლიციელი წაადგა, წესისამებრ მიესალმა, მოიკითხა და უთხრა: - კარგა ხანია უკან მოგყვებით. იმდენჯერ და ისე უხეშად დაარღვიეთ მოძრაობის წესები, რომ ეიფიქრე, რაღაც დიდ გაჭირვებაშია - მეთქი. ხომ მშვიდობაა. პოლიციელის ამგვარმა მოპყრობამ ეს ქართველი ისე გააოგნა, რომ უსიტყვოდ გაუწოდა წესრიგის დამცველს მართვის მოწმობა და ასევე უსიტყვოდ გამოართვა მას სათანადო ჯარიმის ქვითარი. პოლიციელის ინტელექტმა მონუსხა, დათრგუნა ურჩი მძღოლი. კანონის სიდიადე აგრძნობინა და ამ სიდიადეს დაემორჩილა. აბა, ეს ამბავი თბილისში მომხდარიყო! ოღონ წარმოსადგენია, რას ეტყოდა ნვენი საგზაო პოლიციელი, რას უპასუხებდა მძღოლი და რა ლანძღვა-გინებაში გადაიზრდებოდა ყველაფერი.

გასაგებია, რომ დღევანდელი ცხოვრების პირობებიდან გამომდინარე, ძნელია ასეთი პოლიციელის აღზრდა, ძნელია, მაგრამ შესაძლებელია, შესაძლებელია რამდენადმე მაინც. ამ მხრივ ერთ საინტერესო ღონისძიებად შემდეგი გვესახება: ნვენი ორი უნივერსიტეტისა და საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტის ბაზაზე უნდა შეიქმნას პოლიციელთა კულტურულ-ინტელექტური მომზადების კურსები. ამ კურსებზე , დავალდებულების წესით, შინაგან საქმეთა სამინისტროს ის თანამშრომლები, რომელთა კატეგორიაც თავად მინისტრი ან მისი ერთი მოადგილე დაადგენს, ინსტიტუტში ერთი წლის განმავლობაში სამსახურიდან შედარებით თავისუფალ დროს ისწავლიან. შეისწავლიან, ვთქვათ, საქართველოს კულტურის ისტორიას, ქართული ენის სტილისტიკას, ქართულ სიტყვიერებას, საქართველოს კონსტიტუციას, ადამიანის უფლებათა ევროპის საერთაშორისო ინსტიტუტების მიერ შემუშავებულ კოდექსს, ყოვით, ქცევის კულტურას - ქართულ ეტიკეტს.

საამისო კადრები საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტს გაანნია. არსებობს საჭირო სახელმძღვანელოებიც. მაგალითად, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოცენტმა გურამ ჯოლიამ ახლახან შესანიშნავი სახელმძღვანელო გამოსცა ქცევის კულტურაში. ამ სახელმძღვანელოს "ეტიკეტი" ჰქვია, არსებობს ქართული კულტურის ისტორიის საუნივერსიტეტო სახელმძღვანელო . მზადდება სახელმძღვანელო მსოფლიო კულტურის ისტორიაში.

სწავლების ერთი წლის განმავლობაში პოლიციელები პედაგოგთა და ინსტიტუტის ხელმძღვანელთაგან შემდგარ კომისიას ნა-

აბარებენ საჯარო გამოცდა-გასაუბრებას ზემოაღნიშნულ საგნებში და მიიღებენ შესაბამის მოწმობას. ეს მოწმობა პოლიციელის სამსახურში მიღების და დაწინაურების აუცილებელი პირობა უნდა გახდეს.

იმ პირებისათვის, რომლებიც პოლიციაში ჯერ არ მუშაობენ, მაგრამ ასეთი სურვილი აქვთ, საკალდებულო უნდა იყოს ჯერ ამ კურსების გავლა და მუშაობის მხოლოდ ამის შემდეგ დაწყება. სწავლის ფორმის შერჩევა, რასაკვირველია, ძნელი არ იქნება და არც დიდ ფინანსებთან იქნება დაკავშირებული. ამ ყველაფრის განხორციელება სამეურნეო ანგარიშზედაც შეიძლება. სწავლების პროცესში აქტიურ მონაწილეობას მიიღებენ ის პროფესორ-მასწავლებლები, რომლებიც საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტთან თანამშრომლობენ.

საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტის ინტერესთა ერთი მნიშვნელოვანი სფეროა ახალგაზრდობა. ახალგაზრდობის პრობლემები მარადიულ პრობლემებს განეკუთვნება. ამ მხრივ დღევანდელობა მართლაც ერთობ შემაშფოთებელ ვითარებას წარმოგვიჩენს. დამნაშავეობა, ნარკომანია, პროსტიტუცია... დღეს უკვე ჩვეულებრივ, ყოველდღიურ მოვლენებად იქცა. განსაკუთრებით შემაშფოთებელი ის არის, რომ ამ სენმა ჩვენი ახალგაზრდობის უფრო მოწინავე, ე.წ. ელიტარულ ფენებში შეაღწია. ჩვენი უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტობაში შეაღწია.

გახშირდა ისეთი სერიოზული დანაშაულობანი, როგორიცაა დაჭრა, მკვლელობა, თანაც ხშირად შემაძრწუნებელი თავისი ბულციკი, სადისტური ამაზრზენობის გამო.

დღეს ჩვენს ახალგაზრდობას სერიოზული მიხედვა სჭირდება ხშირად გვესმის საზოგადოებაში, აზრს ვიმეორებთ ჩვენ სამეცნიერო ორგანიზაციებთან და უმაღლეს სასწავლებლებთან ურთიერთობის სექციაზე რომ აქტივისტები რეგულარულად ვიკრიფებით გაერთიანებულ სხდომებზე.

ბუზღუნი და საყვედურები ახალგაზრდებისადმი უხსოვარი დროიდან მოისმის მამათა ბაგეთაგან და რაც კიდევ უფრო მეტად საოცარია, ეს ბუზღუნი ათასწლეულიდან ათასწლეულში, საუკუნიდან საუკუნეში, თაობიდან თაობაში აზრის უცვლელად, თითქმის სიტყვასიტყვით გადმოდის.

აი, როგორ გამოხატა თავისი ბუზღუნი დამოკიდებულება ახალგაზრდობისადმი ერთმა ეგვიპტელმა ფარაონმა, რომელიც

ჩვენს წელთაღრიცხვამდე 3500 წლის წინ ცხოვრობდა. საყურადღებოა ისიც, რომ მან თავისი აზრი პირამიდის კედელზე ამოაკვეთინა და ამით, ერთგვარად, ანდერძის მნიშვნელობაც მიანიჭა:

"ახალგაზრდები ჭირვეულნი არიან, უფროსებისადმი ურჩნი და უპატიეცემულონი. ჭეშმარიტება უკუაგდეს, ადათ-წესებს არ სცნობენ. მათი არავის ესმის და არც მათ სურთ, რომ მათი ვინმეს ესმოდეს. ქვეყნიერებას დაღუპვას უქადიან და მისი უკანასკნელი ზღუდე გახდებიან".

როგორ ჰგავს დღევანდელობას ის ვითარება, რომელსაც ფარაონი 3500 წლის წინ შეუწუხებია?

ახლა კიდევ ერთ საბუთს გავეცნოთ, რომელიც 5000 (ხუთი ათასი) წლის წინანდელ ბაბილონურ თიხის დაფას შემოუნახავს:

"ეს ახალგაზრდობა სულის სიღრმემდეა გახრწნილი. ახალგაზრდა ადამიანები მზაკვარნი და დაუდევარნი არიან. ისინი ვერასოდეს დაემსგავსებიან გარდასულ დროთა ახალგაზრდობას. დღევანდელი ახალგაზრდა თაობა ვერ შეძლებს ჩვენი კულტურის შენარჩუნებას".

ეს აზრიც ხომ საოცრად ეხმიანება დღევანდელობას?!

და ბოლოს, კიდევ ერთ ანალოგიურ ძველ სენტენციას მოვუხმოთ:

"მე ყოველგვარი იმედი გადამეწურება ჩვენი ქვეყნის მომავალთან დაკავშირებით, თუ დღევანდელი ახალგაზრდობა მმართველობის სადავეებს ხვალ ხელში აიღებს, რადგან ახალგაზრდობა აუტანელია, თავშეუკავებელია და უბრალოდ - საშინელია".

ეს სიტყვები ძველ ბერძენ პოეტს და სწავლულს ჰესიოდეს ეკუთვნის, რომელიც ძველი წელთაღრიცხვით მეშვიდე საუკუნეში ცხოვრობდა. ჰესიოდეს ეს სიტყვებიც საოცრად მოგვაგონებს ჩვენს სინამდვილეს.

ზემოთ მოყვანილი გამონათქვამები კიდევ ერთხელ ნათელყოფს იმ ჭეშმარიტებას, რომ თაობათა ურთიერთობაში ყველა ეპოქაში არსებობდა ურთულესი პრობლემები. ამ პრობლემებს აგვარებდნენ და მაინც საკითხი მოუგვარებელი რჩებოდა თავისი მარადიულობის გამო. ნათქვამი, რასაკვირველია, სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ ყველაფერი თვითდინებაზე მივუშვათ და მოვლენების პასიური მჭვრეტელნი შევიქმნეთ.

ჩვენ ჩვენს პრობლემებს უნდა შევეჭიდოთ, მათ მოგვარებას ცდა არ უნდა დავაკლოთ. ასეთია საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტის აქტივისტების საერთო აზრი.

და მაინც, თუ დღეს ახალგაზრდობის პრობლემებს დავაკვირდებით, მათი გამომწვეული მიზეზები ასე დაჯგუფდება:

ახალგაზრდობას შორის დაფიქსირებულ დანაშაულია ერთ წყებას სოციალური საფუძველი აქვს. ამ ჯგუფში შედის წვრილმანი დამნაშავეობა (ჯიბის ქურდობა), ქურდობა საერთოდ და პროსტიტუცია.

ქურდობას და პროსტიტუციას სოციალურად გაღატაკებული ფენის ოჯახებიდან გამოსული ახალგაზრდები ეწევიან.

რაც შეეხება ქურდობას, იგი კაცობრიობას იმთავითვე დაჰყოლია თანამგზავრ მოვლენად. ქურდებს ყოველთვის დასდევდნენ და იჭერდნენ სამართალდამცავები, ასახიჩრებდნენ და ქურდები მაინც ქურდობდნენ. ამ მოვლენას, როგორც დღევანდელი მსოფლიო პრაქტიკა გვიჩვენებს, ვერაფერი აღმოფხვრის. სამწუხაროა, არც ჩვენში დღეს არ არსებობს ისეთი მექანიზმი, რომელიც ქურდობის წინააღმდეგ ეფექტურად იმუშავებდა. ამ გარემოებას ისიც ამძაფრებს, რომ დღეს მოსახლეობის ძირითადი ფენა სოციალურად სრულიად დაუცველია, სიღატაკის ზღვარს იქით იმყოფება. ობიექტურები თუ ვიქნებით აღვნიშნავთ საბჭოურ სინამდვილეს, დღევანდელობასთან შედარებით, ერთი დიდი უპირატესობა გააჩნდა. ადამიანი საარსებო სოციალური მინიმუმით უზრუნველყოფილი იყო. დღეს ეს არ არსებობს. დამშეული ადამიანის ცდუნება კი ძალიან იოლია. რასაკვირველია, ქურდობა საბჭოურ სინამდვილეშიც არსებობდა, მაგრამ ქურდს მაშინ იმას მაინც ეუბნებოდნენ, რატომ იპარავ, იმუშავე და პატიოსნად იცხოვრეო. დღეს კი ქურდს ამასაც ვეღარ ეტყვი, იმიტომ, რომ ისეთ პასუხს შემოგიბრუნებს, ხმასაც ვერ ამოიღებ. ჯერ ეროი, სად ვიმუშაო და მეორეც, რომ ვიმუშაო, თავის გამოკვებას კი შევძლებო - რომ გითხრას, რას ეტყვი?! ნაკლებად შემაშფოთებელი არც პროსტიტუციაა. ახალგაზრდა ქალიშვილებს (თითქმის ბავშვებსაც 13-14 წლიდან) პროსტიტუციისკენ გაჭირვება და სიღატაკე უბრო უბიძგებს, ვიდრე ბიოლოგიური ავხორცობა. დედამიწაზე ეს ყველაზე ადრეული პროფესია მას შემდეგ გაჩნდა, როცა ქალს საარსებოდ სხვა საშუალება აღარ დარჩა, გარდა სხეულით ვაჭრობისა. სამწუხაროდ აღნიშნული გარემოება სტუდენტ ახალგაზრდობასაც შეეხო.

საშიში და დამაფიქრებელი დამნაშავეობის მეორე ჯგუფია: მკვლელობანი, დაჭრები, ნარკომანია...

ასეთ დანაშაულთა აბსოლუტური უმეტესობა ისეთ ახალგაზრდობაზე მოდის, რომლებიც ხშირად სოციალურად უზრუნველყოფილი, მდიდარი ოჯახებიდან არიან გამოსული. დამაფიქრებელი აი, ეს არის! რა ხდება? რატომაა, რომ დანაშაულს ისეთი ახალგაზრდები სსადიან, რომლებსაც ყველაფერი აქვთ? მიზეზი ერთია და სრულიად მარტივი! ოჯახის ეკონომიკური სიძლიერე - სიმდიდრე, მით უფრო თუ ამ სიმდიდრეს მამიკოების, დედიკოების მაღალი თანამდებობები, გავლენიანი ფრის ძალმოსილებაც ემატება, ახალგაზრდაში სხვებისგან გამორჩეულობის, სხვებზე მეტობის აზრს ანენს. სიმდიდრე მაქვს, გავლენიანი სანათესაო, ამიტომ ყველაფრის უფლება მაქვს. ეს გრძნობა ახალგაზრდას აყოყოჩებს, თავგასულობას, უტიფრობას უმკვიდრებს ხასიათში. ასე გაშედიდურებული ახალგაზრდა მიიჩნევს, რომ თანატოლებში იგი უნდა იყოს პირველი, მას უნდა ემორჩილებოდნენ სხვები და მერე, როცა თავის მსგავსად გაყოყოჩებული სხვა თანატოლს გადაეყრება, რომელიც ამ "პირველობას" იმავე მიზეზით არ უთმობს, წარმოიქმნება კონფლიქტი - შელაპარაკება, ხხუბი, ხოლო იმის შეგრძნება, რომ თუ დანაშაული ჩავიდინე, მაინც არ დავისჯები, ფული, გავლენიანი დედ-მამა, სანათესაო გადამარჩენსო, არც დანის ტრიალზე ამბობენ უარს და არც იარაღის გამოყენებაზე.

სამწუხაროდ, უამრავი ისეთი ფაქტის მოწმენი ვართ, როგორც ასეთი დამნაშავე-თანატოლის დამჭერელი, მკვლელი ან სულაც უსასჯელოდ გადარჩენილა, ანდა მცირე, ფორმალური სასჯელით "დაუსჯიათ". ეს პრობლემა ძალზე აღელვებს თავად სტუდენტურ აუდიტორიას.

გამოსავალი? შეგახსენებთ, უწინ ასეთ დამნაშავეს, ძალიან ეშინოდა თუნდაც იმიტომ, რომ მისი დანაშაული დედიკოს და მამიკოს კარიერას გაუფუჭებდა. ახლა ამის შიში მოისპო. გამოსავალი კი იმაში უნდა ვეძიოთ, რომ ასეთი ახალგაზრდის მკაცრად დასჯასთან ერთად, მშობელიც უნდა დაისაჯოს, მის წინააღმდეგაც უნდა იქნეს შემოღებული დიდი მორალური სანქციები და დიდი (ათეულ ათასობით ლარის ოდენობით) ფულადი ჯარიმები სახელმწიფოს სასარგებლოდ, სახელმწიფო ბანკში გადახდის მოთხოვნით. ასეთ გაზულუქებულ ახალგაზრდასაც და მშობელსაც დიდი ფულის დაკარგვის შიში თუ შეაჩერებს?

საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტის წევრების აზრით ასევე უნდა მოვექცეთ ნარკომანებსაც. ნარკომანიასთან ბრძოლის ის გზა, რასაც გვთავაზობენ - ნარკომანი ავადმყოფია, მისი დასჯა

არ შეიძლება, მას უნდა ვუმკურნალოთ ნვენ პირობებში - დაფიქრებას მოითხოვს. აქაც დიდი, ოფიციალურად დაკანონებული ფულადი ჯარიმები უნდა დაწესდეს. დააკავეს ახალგაზრდა ნარკოტიკის გამოყენებაზე? - ოჯახს უდიდესი ფულადი ჯარიმა უნდა გადაახდევინონ. რამდენჯერმე რომ მოუწევს ჯარიმის გადახდა და თანაც ეცოდინება, რომ ამ ჯარიმას ვერ გადარჩება, კეთილს ინებებს და ნარკომანობაზე ხელს აიღებს, ხოლო მისი ბედი სხვისთვის მაგალითი შეიქმნება და ხელი აღარ წაუცდება. შეიძლება ეს აზრი გულუბრყვილოდ გამოიყურებოდეს, არაცივილიზებულიც იყოს, მაგრამ ფულით გაყოყონებულ და გამედიდურებულ ადამიანებს სწორედ მთავარი სალოცავი ხატის - ფულის დაკარგვის შიში თუ შეაჩერებს. ნვენს საზოგადოებაში დღეს, სამწუხაროდ, ზემოქმედების უფრო ქმედითი მექანიზმის მოძებნა ძნელია.

იმ მიზნით კი, რომ სამართალდამცავები დაინტერესებული იყვნენ ასეთ ჯარიმათა არსებობით, ფაქტების გამოკვლენით, ჯარიმების სახით ამოღებული თანხები შსს ორგანოებს უნდა რჩებოდეთ ხელფასებზე დანამატებისა თუ პრემიების სახით. ეს საქმესაც წაადგება და სახელმწიფოც თავის სახელმწიფოებრივ ფუნქციას შეასრულებს.

ნვენ, საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტის წევრებ,ს გვამხნევებს, ძალას გვმატებს საქართველოს პრეზიდენტის სიტყვები: "მე დღესაც ვადევნებ თვალყურს შინაგან საქმეთა სამინისტროს საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტის საქმიანობას. გადიან წლები, იცვლებიან თაობები, მაგრამ მუშაობა მიდის.

სამ ათეულ წელზე მეტი ხნის მანძილზე საქართველოში მომხდარი სოციალურ-პოლიტიკური კატაკლიზმების, საზოგადოების ცნობიერებაში კარდინალური ხასიათის ცვლილებების მიუხედავად, შინაგან საქმეთა საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტის ხელმძღვანელობამ, მის შემადგენლობაში გაერთიანებულმა თვალსაჩინო მეცნიერებმა, კულტურის, ხელოვნების, ლიტერატურის, თეატრისა და კინოს ცნობილმა მოღვაწეებმა, განათლების მუშაკებმა, ახალგაზრდობის გამოჩენილმა წარმომადგენლებმა ერთგულად გააგრძელეს წინამორბედთა მემკვიდრეობა.

ამჟამად ისინი იცავენ და ამკვიდრებენ ზოგადსაკაცობრიო იდეალების პრინციპებს, ჰუმანური აღზრდის ნორმებს, ჯანსაღ საზოგადოებრივ აზრს, ხელს უწყობენ შინაგან საქმეთა სამინისტროს წინაშე მდგარი ამოცანებისა და ფუნქციების შესრულებას".

დანართი

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსთან ფუნქციონირებადი საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტის დებულება[1]

თავი 1. ზოგადი დებულებანი

1.1. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსთან ფუნქციონირებადი საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტი (შემდგომში ინსტიტუტი) არის არასამთავრობო, არამომგებიანი საზოგადოებრივი ორგანიზაციის სტატუსის მქონე ფართო საზოგადოებრიობის მოწინავე წარმომადგენლობის: მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეების, განათლების მუშაკების, სხვადასხვა დარგების გამოჩენილი პირების, საზოგადოებრივი და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლების ნებაყოფლობითი გაერთიანება.

1.2. ინსტიტუტი საქმიანობას წარმართავს საქართველოს კონსტიტუციის, მოქმედი კანონმდებლობის, საერთაშორისო ნორმების და საკუთარი წესდების საფუძველზე, ინსტიტუტი უფლებამოსილია ნებაყოფლობის, თანასწორუფლებიანობის, თვითმმართველობის, კანონიერებისა და საჯაროობის პრინციპების შესაბამისად, სამინისტროს ხელმძღვანელობასთან შეთანხმებით, გამოიყენოს სამინისტროს მასალები.

1.3. ინსტიტუტი იურიდიული პირის სტატუსს იძენს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის მიხედვით. წესდების რეგისტრაციის მომენტიდან; აქვს დამოუკიდებელი ბალანსი და სხვა სახის ანგარიშები (მათ შორის სავალუტოც), ბეჭედი, შტამბი, საკუთარი ემბლემა, ბლანკი და იურიდიული პირის სხვა რეკვიზიტები, განკერძოებული ქონება, სასაქონლო-მატერიალური ფასეულობანი და ფულადი სახსრები.

1.4. სახელმწიფო საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, უზრუნველყოფენ ინსტიტუტის უფლებებისა და კანონიერი

---

1. დამტკიცებულია შინაგან საქმეთა სამინისტროსთან ფუნქციონირებადი საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტი რექტორატის 2000 წლის 24 მარტის და ამავე ინსტიტუტის წევრთა გაფართოებულ სხდომებზე 2000 წლის 31 მარტს.

ინტერესების დაცვას; ინსტიტუტის წარმომადგენლები მონაწილეობენ სამინისტროს მიერ გატარებულ ღონისძიებებში, აგრეთვე სამინისტროს კოლეგიის მუშაობაში.

1.5. ინსტიტუტს უფლება აქვს კანონით დადგენილი წესით წარმოადგინოს და დაიცვას თავისი წევრების კანონიერი უფლებები და ინტერესები სხვა სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანიზაციებში. ინსტიტუტის წევრებზე გასცეს საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტის წევრობის მოწმობა.

1.6. ინსტიტუტი იქმნება განუსაზღვრელი ვადით.

1.7. ინსტიტუტი სახელწოდებაა:

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსთან ფუნქციონირებადი საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტი.

თავი 2. ინსტიტუტის მიზნები

2.1. ინსტიტუტის მიზნებია:

ხელი შეუწყოს შინაგან საქმეთა სამინისტროს იმ ამოცანების და ფუნქციების შესრულებაში, რომლებიც:

ა) გააძლიერებს დამნაშავეობის გამომწვევი მიზეზების კვლევას, მიიღებს მეცნიერულად დასაბუთებულ ზომებს დამნაშავეობის პრევენციის მიზნით და გააძლიერებს მის წინააღმდეგ ბრძოლას, განამტკიცებს მართლწესრიგს;

ბ) სისტემატურად შეისწავლის ჰუმანური აღზრდისა და ახალგაზრდებსა და არასრულწლოვანთა შორის სამართალდარღვევების გამომწვევ მიზეზებს, მიიღებს სათანადო ზომებს მათ აღმოსაფხვრელად;

გ) შესაბამის სამმართველოსა და იურიდიულ პირებთან თანამშრომლობით განახორციელებს ღონისძიებებს ნარკოტიკული საშუალებებისა და ფსიქოტროპული ნივთიერებების, პრეკურსორების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლას. ამ მიზნით განსაკუთრებულ ყურადღებას მიაქცევს ნარკომანიის პრევენციის, მკურნალობისა და რეაბილიტაციის ერთიანი სისტემის შექმნას.

დ) ახსნის საგზაო მოძრაობების უსაფრთხოების აუცილებლობას, დამრღვევთა შესახებ შექმნის განკიცხვისა და დაგმობის ატმოსფეროს.

ე) დაიცავს პიროვნების უფლებებს, გაავრცელებს პროფესიული ეთიკისა და ზნეობრივი სრულყოფის პრინციპებს, ითა-

ნამშრომლების სახალხო დამცველის (ობუდსმენის) აპარატთან, პატივს სცემს პატიმართა უფლებებს და შეიმუშავებს მათი შეწყნარების წინადადებებს.

ე) უზრუნველყოფს მასპედიასთან საქმიან მიზანდასახულ ურთიერთობას და ურთიერთთანამშრომლობას.

ზ) მჭიდრო კავშირს დაამყარებს უმაღლესი სასწავლებლების და სამეცნიერო ორგანიზაციების მეცნიერ-თანამშრომლებთან ჯანსაღი, ღია, დემოკრატიული საზოგადოების შესაბამისი საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებისათვის.

თ) ეკოლოგიის პოლიციასთან, ბუნების დაცვის ორგანიზაციებთან თანამშრომლობით ხელს შეუწყობს ამ უბანზე სამართალდარღვევების აღმოფხვრას.

ი) დაეხმარება ეთნოკონფლიქტებში სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს დაღუპულ, დასახიჩრებულ და სოციალურად გაჭირვებულ ოჯახებს, დაიცავს მათ უფლებებს.

კ) ითანამშრომლებს საერთაშორისო და საქართველოში განლაგებულ არასამთავრობო ორგანიზაციებთან, საქართველოს ჯანმრთელობისა დასოციალური დაცვის, ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროების რეგიონულ და ადგილობრივ ქვედანაყოფებთან, მჭიდრო კავშირს დაამყარებს ვაჭრობასა და საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობების სამინისტროს საერთაშორისო ჰუმანიტარული დახმარების კოორდინაციის დეპარტამენტთან საქველმოქმედო საქმიანობის განხორციელების მიზნით.

ლ) მონაწილეობას მიიღებს სემინარებში ადგილობრივ და საერთაშორისო ორგანიზაციებთან ერთად განათლების, ჯანმრთელობის, სოციალური დაცვის და არასამთავრობო ორგანიზაციების კანონმდებლოასთან დაკავშირებით.

თავი 3. ინსტიტუტის ამოცანები

3.1. ინსტიტუტის უმთავრესი ამოცანაა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საქმიანობის, მისი ავტორიტეტის ამაღლების მიზნით საზოგადოების ცნობიერებაში პოლიციის შესახებ დადებითი აზრის ჩამოყალიბება - განმტკიცება, მისი მუშაკების თავდადებული შრომისა და გარჯის დაფასება - უზრუნველყოფის აუცილებლობა.

3.2. პრაქტიკული და თეორიული ხასიათის დახმარება გაუწიოს თანამშრომლებს, იზრუნოს მათი კულტურის დონის ამაღლებისა და ესთეტიკური გემოვნების განვითარებისათვის, განსაკუთრებული ყურადღება დაუთმოს მათ მიერ საშარილებრივი ბაზისური დოკუმენტების შესწავლის საქმეს.

3.3. გამუდმებით ზრუნავდეს და ეხმარებოდეს სამინისტროს ხელმძღვანელობას შემოქმედებით ინტელიგენციასთან, მწერლებთან, მხატვრებთან, თეატრისა და კინოს წარმომადგენლებთან, ახალგაზრდობასთან, მეწარმეებთან კონტაქტის დამყარებასა და განმტკიცებაში.

3.4. პროპაგანდა გაუწიოს სამინისტროს, მისი დეპარტამენტებისა და მთავარი სამმართველოების სამსახუკრების, აგრეთვე სამხარეო, საქალაქო და როაიონული განყოფილებების ყოველდღიურ საბრძოლო და შრომითი საქმიანობის შედეგებს, განსაკუთრებული ყურადღება დაუთმოს სამართალდაცვისათვის გმირულად დაღუპული პოლიციელების თავგანწირვის მნიშვნელობის პროპაგანდას.

3.5. სამინისტროს სხვადასხვა დეპარტამენტების, განყოფილებების მუშაკთა შესახებ საზოგადოებრივ ცნობიერებაში დაფიქსირებული შეხედულებების სოციოლოგიური გამოკვლევების შედეგების გათვალისწინებით დასახოს კონკრეტული ხასიათის ღონისძიებები.

თავი 4. ინსტიტუტის ფუნქციები და უფლებები

4.1. ინსტიტუტი მუშაობას წარმართავს მისივე რექტორატის მიერ შემუშავებული და დამტკიცებული წლიური სამუშაო გეგმის საფუძველზე.

ა) აწყობს სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციებს, ატარებს სემინარებს, კოლოკვიუმებს, ბრიფინგებს, გამსვლელ სესიებს და ა.შ.

ბ) ორგანიზებას უკეთებს სამინისტროს პასუხისმგებელ მუშაკთა და თანამშრომელთა შეხვედრებს მეცნიერებათან, შემოქმედებითი ინტელიგენციის, ახალგაზრდული ორგანიზაციების წარმომადგენლებთან, არასამთავრობო ორგანიზაციების ხელმძღვანელებთან.

გ) აქვეყნებს მასალებს მასმედიის საშუალებებში, აწყობს გამოსვლებს რადიოსა და ტელევიზიაში, აქვეყნებს ბროშურებს, წიგნებს, თემატურ კრებულებს.

დ) ატარებს კონსულტაციებს და მეთოდურად ეხმარება სამინისტროს სამართლებრივი საკითხების გადაწყვეტაში; იღებს მონაწილეობას სამინისტროს ღონისძიებებში მის თანამშრომელთა კვალიფიკაციისა და პროფესიული ოსტატობის ამაღლების საქმეში.

ე) ამყარებს კონტაქტებს უცხოეთის სახელმწიფოებთან მათი დადებითი გამოცდილების გაზიარების მიზნით.

ვ) რეკომენდაციები გშეაქვს სამინისტროს კოლეგიის სხდომაზე განსახილველად, წინადადებით შედის საქართველოს საკანონმდებლო ორგანოებში.

თავი 5. ინსტიტუტის სტრუქტურა

5.1. ინსტიტუტის მართვის ორგანოებია ინსტიტუტის წევრთა კონფერენცია, რექტორატი.

5.2. მართვის უმაღლესი ორგანოა ინსტიტუტის წევრების კონფერენცია, რომელიც მოიწვევა რექტორატის გადაწყვეტილების საფუძველზე ან ინსტიტუტის წევრთა არანაკლებ 1-10 მოთხოვნით, დღის წესრიგის მითითებით.

5.3. კონფერენცია წელიწადში ერთხელ მაინც უნდა ჩატარდეს.

5.4. კონფერენციაზე გადაწყვეტილებების მიღება ხდება ხმათა უმრავლესობით, ღია ან ფარული კენჭისყრით, დამხმარე წევრთა ხმების 2-3 ინსტიტუტის მიზნის, ამოცანების და ფუნქციების შესახებ გადაწყვეტილება საჭიროებს ყველა წევრის ხმათა 4-5. გადაწყვეტილება ნამდვილი იქნება, თუ კონფერენციის მოწვევისას საკითხი დღის წესრიგში იქნება შეტანილი.

5.5. თუ ინსტიტუტის წევრები ვერ ესწრებიან კონფერენციას, მათ შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ კენჭისყრაში წერილობით, ისინი უთანაბრდებიან კონფერენციაზე დამსწრე პირებს.

5.6. კონფერენცია უფლებამოსილია, თუ მას ესწრება ან წერილობით წარმოდგენილია წევრთა უმრავლესობა.

5.7. კონფერენციის განსაკუთრებული უფლებამოსილებაა:

- მიიღოს დებულება, დაამტკიცოს ცვლილებები და დამატებები დებულებაში.

მოისმინოს და დაამტკიცოს რექტორის ან კომისიების ხელმძღვანელების ანგარიში.

განსაზღვროს და დააპტიციოს ინსტიტუტის საქმიანობის მთავარი მიმართულებები და გეგმები.

- აირჩიოს , განსაზღვროს და დააპტიციოს რექტორატის წევრები. რექტორი, პრორექტორები, სწავლული მდივანი.

5.8. კონფერენციას შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ გარკვეული ვადით გადასცეს თავისი უფლებამოსილება რექტორატს ან რექტორს.

5.9. კონფერენციებს შორის ინსტიტუტის მუშაობას ხელმძღვანელობს ინსტიტუტის რექტორატი.

5.10. რექტორატის სხდომები მოიწვევა სისტემატურად.

5.11. რექტორატი უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება თუ რექტორატის სხდომას ესწრება წევრთა 2-3.

5.12. რექტორატის უფლებამოსილება განისაზღვრება ხუთი წლით. მის შემადგენლობაში შედიან რექტორი, პრორექტორები, კომისიის თავმჯდომარეები, სწავლული მდივანი.

რექტორატის განსაკუთრებული უფლებამოსილებაა შეიმუშაოს სპეციალური პროგრამები და პროექტები დებულებით განსაზღვრული ძირითადი მიმართულებების მიხედვით, უხელმძღვანელოს მათ განხორციელებას.

შექმნას საშხარეო შესაბამისი ინსტიტუტები, უხელმძღვანელოს და გააკონტროლოს მათი მუშაობა.

განიხილოს ინსტიტუტის საქმიანობის ყველა ასპექტთან დაკავშირებული საკითხი, გარდა იმ საკითხებისა, რომლებიც ინსტიტუტის კონფერენციას განეკუთვნება.

- მიიღოს ან გარიცხოს ინსტიტუტის წევრები.

5.13. რექტორატის სხდომის გადაწყვეტილებები უნდა გაფორმდეს ოქმით.

5.14. ინსტიტუტის რექტორატთან არსდება კომისიები:

ა)) ახალგაზრდობის პრობლემების შემსწავლელი კომისია.

ბ) ნარკომანიისა და ალკოჰოლიზმის პრობლემების შემსწავლელი კომისია;

გ) საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების პრობლემების შემსწავლელი კომისია;

დ) სამეცნიერო ორგანიზაციებთან და უმაღლეს სასწავლებლებთან ურთიერთობის კომისია;

ე) ჰუმანური აღზრდისა და ახალგაზრდებსა და არასრულწლოვანთა შორის სამართალდარღვევების პრობლემების შემსწავლელი კომისია;

ვ) საზოგადოებრივი დაცველის, პროფესიული ეთიკისა და ზნეობრივი სრულყოფის კომისია;

ზ) საგარეო ურთიერთობის შემსწავლელი და მასობრივი ინფორმაციის საშუალებებთან ურთიერთობის კომისია;

თ) ეთნოკონფლიქტებში დაღუპულ, დასახიჩრებულ და სოციალური დახმარების საჭიროების კომისია;

ი) ბუნების დაცვის პრობლემების შემსწავლელი კომისია;

5.15. რექტორატთან არსებული კომისიები იქმნება და უქმდება რექტორატის გადაწყვეტილებით ქვეყანაში მიმდინარე სოციალურ-პოლიტიკური პროცესების გათვალისწინებით.

ინსტიტუტის რექტორი ხელმძღვანელობს შესაბამისი რეგიონული ინსიტიტუტების მუშაობას, რომლებიც ფუნქციონირებენ თავიანთი დებულებებით, სპეციფიკური თავისებურებების გათვალისწინებით.

თავი 6. რექტორატი თავის შემადგენლობიდან ირჩევს რექტორს, პრორექტორს და სწავლულ მდივანს

6.1. ინსტიტუტის რექტორი ერთპიროვნულად წარმოადგენს ინსტიტუტს მესამე პირებთან ურთიერთობაში.

6.2. რექტორი ნიშნავს რექტორატის სხდომებს და განსაზღვრავს დღის წესრიგს.

6.3. რექტორი არეგულირებს ურთიერთობებს სახელმწიფო და არასამთავრობო სტრუქტურებთან, ხელმძღვანელობს ინსტიტუტის საგარეო პოლიტიკას.

6.4. რექტორის არყოფნის პერიოდში წარმომადგენლობაზე უფრებამოსილება ენიჭება პროორექტორს.

თავი 7. ინსტიტუტის ნევრთა გადაწყვეტილებით ინსტიტუტი შეიძლება გარდაიქმნას სხვა იურიდიულ პირად ან გაერთიანდეს იურიდიულ პირებთან.

Положение

Института общественного мнения, функционирующего при Министерстве внутренних дел Грузии[1]

Глава 1. Общие положения

1.1. Институт общественного мнения, функционирующий при Министерстве внутренних дел Грузии (вдальнейшем Институт), является неправительственным, добровольным, имеющим статус невыйгпрышной общественной организации, объединением представителей широкой общественности: ученых, деятелей литературы и искуства, работников просвещения, выдающихся лиц разных отраслей, общественных и неправительственных организаций.

1.2. Институт в своей деятельности руководствуется Конституцией Грузии, действующим законодательством, международными нормами и собственным уставом. Институт полномочен использовать материалы МВД Грузии с согласия руководства Министерства, согласно принципов добровольности, равноправия, самоуправления, законности и гласности.

1.3. Институт приобретает статус юридического лица согласно установленного законодательством Грузии правила с момента регистрации устава; имеет независимый баланс и другого рода счета (в том числе и валютный), печать, штамп, собственную эмблему, бланк и другие реквизиты юридического лица, обособленную собственность, товарно-материальные ценности и денежные средства.

1.4. Государство, МВД Грузии обеспечивают защиту прав и законных интересов Института, представители Института учав-

---

1. Утверждено на заседаниях ректората Института общественного мнения, ункционирующего при МВД Грузии, от 24 марта 2000 г. и расширенного собрания членов того же Института от 31 марта 2000 г.

ствуют в мероприятиях Министерства, а также в работе Коллегии Министерства.

1.5. Институт имеет право по установленному законом правилу представлять и защищать законные права и интересы своих членов и других государственных и общественных организациях, выдавать членам Института удовтоверения членства Института общественного мнения.

1.6. Институт создается на неопределенный срок.

1.7. Наименование Института:

Институт общественного мнения, функционирующий при Министерстве внутренних дел Грузии.

Глава 2. Цели Института

2.1. Целями Института являются:

а) Исследование причин возникновения преступности, с целью превенции преступности, принятие научно обоснованных мер для усиления борьбы против них, утверждения провопорядка.

б) Систематические изучение проблем гуманного воспитания и причин нарушения провопорядка среди несовершеннолетних и молодежи, принятие мер по их пресечению.

в) При сотрудничестве с соответствующими управлениями и юридическими лицами осуществление мероприятий по борьбе против незаконного оборота наркотических средств и психотропных веществ, прекусоров. С этой целью создание единой системы реабилитации и лечения, превенции наркомании.

г) Объяснение необходимости безопасности дорожного движения, создание атмосферы порицания нарушителей.

д) Защита прав личности, распространение принципов профессиональной этики и морального совершенства; сотрудничество с аппаратом народного защитника (омбуцмена), уважительное отношение с правам заключенных и разработка предложений по их помилованию.

е) Обеспечение деловых и целенаправленных взаимоотношений и сотрудничества с масмедией.

е) Установление тесных контактов с научными работниками вузов и научных организаций для формирования соответствующего здорового открытого демократического общественного мнения.

ж) В сотрудничестве с экологической полицией, природозащитными организациями содействие устранению правонарушений на данном участке.

з) Оказание помощи семьям, пострадавшим в этноконфликтах во время исполнения служебных обязанностей, а также социально нуждающимся и защита их прав.

и) сотрудничать с международными и расположенных в Грузии неправительственными организациями, региональными и местными подразделениями министерств здравохранения и социальной защиты и расселения. Установление теснейших взаимоотношений с департаментом по координации международной гуманитарной помощи, с целью осуществления благотворительной детельности;

к) участие в семинарах совместно с местными и международными организациями в связи с законодательством неправительственных организаций и организаций по просвящению, здравохранению и социальной защите.

Глава 3. Задачи Института

3.1. Основная задача Инстиутта - выработка и утверждение положительного мнения в обществе о полиции, о деятельности МВД и его авторитете, необходимость обеспечения должной оценки беззаветного труда ее работников.

3.2. Оказание практической и теоретической помощи сотрудникам, забота о повышении их культурного уровня и развитии эстетического вкуса, обращение особого внимания делу изучения сотрудниками базисных прововых документов.

3.3. Постоянная забота и оказание помощи руководству Министерства в установлении и утверждении контактов с представителями творческой интелигенции, писателями, художниками, работниками театра и кино, молодежью, промышленниками.

3.4. Пропаганда результатов каждодневной трудовой и боевой деятельности Министерства, его департаментов и служб гравных управлений, а также областных, городских и районных отделений; особое внимание пропаганде значения отваги героически погибших полицейских при защите правопорядка.

3.5. Осуществление мероприятий конкретного содержания на основе итогов социалистических исследований мнений общества о работниках различных департаментов и отделений Министерства.

Глава 4. Функции и права Института

4.1. Институт осуществляет свою работу на основе годового плана работы, составленного ректоратом:

а) проводит научно-практические конференции, семинары, коллоквиумы, брифинги, выездные сессии и т.д.

б) организует встречи ответственных работников и сотрудников Министерства с представителями науки, творческой интеллигенции, молодежных организаций, с руководителями неправительственных организаций;

в) публикует материалы в средствах массовой информации, устраивает выступления на радио и телевидении, издает брошюры, книги, тематические сборники;

г) проводит консультации и оказывает методическую помощь Министерству в решении правовых вопросов; участвует в мероприятиях Министерства по повышению квалификации и профессионального мастерства ее работников.

д) устанавливает контакты с иностранными государствами с целью накопления положительного опыта;

е) вносит для рассмотрения рекомендации на заседаниях коллегии Министерства, вносит предложения в законодательные органы Грузии.

Глава 5. Структура Института

5.1. Органами управления Института являются конференция членов Инстиутта, ректорат.

5.2. Высшим органом управления Института является конференция членов Инстиутта, которая созывается решением ректората на основании требования не меннее 1-10 членов Института, с указанием повестки дня.

5.3. Конференция проводится не реже одного раза в год.

5.4. Решение конференции принимается простым большинством голосов, открытым и тайным голосованием 2-3 голосов присутствующих членов; решение о целях, задачах и функциях требует 4-5 голосов всех членов. Решение будет действительными, если при созыве конференции вопрос будет внесен в повестку дня.

5.5. Если члены Института не имеют возможности присутствовать на конференции, то могут принять участие в голосовании письменно. Они приравниваются к присутствующим лицам.

5.6. Конференция считается полномочной, если присутствует или письменно представленно большинство членов.

5.7. Особые полномочия конференции:

- принятие положения, утверждение изменений и дополнений положения;

выслушивание и утверждение отчетов ректора или руководителей комиссий;

- определение и утверждение основных направлений и планов деятельности Института;

избрание, определение и утверждение членов ректората, ректора, проректоров, ученного секретаря;

5.8. Конференция полномочна полностью или частично, на определенное время, передать свои полномочия ректорату, или ректору.

5.9. Между конференциями работой Института руководит ректорат.

5.10. Заседания ректората проводятся систематически.

5.11. Ректорат уполномочен принимать решения, если на заседании ректората присутствует 2/3 ее членов.

5.12. Срок полномочий ректората - 5 лет. В его состав входят: ректор, проректора, председатели комиссий, ученый секретарь.

Особые полномочия ректората:

- разработка специальных программ и проектов по основанным направлениям, определенным положением; руководство по их осуществлению;

- создание соответствующих краевых институтов, руководство и контроль их работы;

- расмотрение вопросов, связанных со всеми аспектами деятельности Института, кроме тех вопросов, которые относятся к конференции Института;

- принятие или отчисление членов должно оформлтяся протоколом.

5.14. При ректорате Института создаются комиссии:

а) по изучению проблем молодежи;

б) по изучению проблем наркомании и алкоголизма;

в) по изучению проблем безопасности дорожного движения;

г) взаимоотношений с массовой информацией и по внешним взаимоотношениям;

д) взаимоотношений с научными и учебными учреждениями;

е) по гуманному воспитанию и изучению проблем правонарушений среди молодежи и несовершеннолетних;

ж) по общественному защитнику профессиональной этике и нравственному совершенствованию;

з) по изучению внешних сношений и взаимоотношений с средствами массовой информаций;

и) по социальной помощи покалеченным или семьям погибших во время исполнения служебных обязанностей или в этноконфликтах;

к) по изучению проблем защиты окружающей среды.

5.15. Ректор Института, с учетом специфических особенностей, руководит работой соответствующих региональных институтов, которые функционируют согласно собственным положениям.

Глава 6. Ректорат из числа своего состава избирает ректора, проректора и ученого секретаря

6.1. Ректор Института единолично представляет Институт при вдаимоотношениях с первыми лицами.

6.2. Ректор созывает заседания ректората и определяет повестку дня.

6.3. Ректор регулирует взаимоотношения с Институтом, государственными и негосударственными структурами, руководит внешней политикой Института.

6.4. В период отсутствия ректора полномочия по представительству присуждаются проректору.

Глава 7. По решению членов Института Институт может превратиться в другое юридическое лицо или объединиться с другими юридическими лицами.

BY- LAWS
of the Institute of Public Opinion Functioning at the Ministry of Internal Affairs[1]

Chapter 1. General Positions

1.1. The Institute of Public Opinion Functioning at the Ministry of Internal Affairs (further refered as the Institute) is a voluntary union of scientists, artists, writers, teachers, public figures and non-governmental Institutions with the status of non-profit,non-governmental organisation.

1.2. The Institute performs its activities on the basis of the Georgian Constitution, legislation inforce, international standards and present By-Laws. The Institute has right to use the materials of the Ministry with the consent of the Administration in accordance with the principles of free will, equality, self-governance, law and publicity.

1.3. The Institute acquires the status of juridical body in accordance with the legislation in Georgia, after the registration of the By-Laws; it has its own balance and different types of bank accounts (hard currency account among them), seal, stamp, logo, letter-head and other accessories of a juridical body; its own property, facilities, equipments and funds.

1.4. The State and the Ministry of Internal Affairs of Georgia will secure the rights and lawful interest of the Institute. The representatives of the Institute will participate in the activity and measures taken by the Ministry, as well as in the work of its board.

1.5. The Institute has right to defend the lawful rights of its members in other state and public institutions in the manner prescribed By Law. It can give its members the Institute membership cards.

1.6. The Institute is established for an indefinite fime.

1.7. The titbe of the Institute is The Institute of Public Opinion at the Ministry of Internal Affairs of Georgia.

---

1. Approved at the Board meeting of the Public Opinion Institute of the Ministry of Internal Affairs on March 29, 2000 and at the conference of its members on March 31, 2000

1.8. The legal address of the Institute is: 10, Gulua St, Tbilisi, Georgia, 380014.

Ghapter 2. The objectives of the Institute

2.1. The objectives of the Institute are: to assist the Ministry of Internal affairs to carry out the following functions, which: a) will intensify the research of reasons causing crimes; will make scientificaly approved decisions for crime prevention and strengthen combat against it; will intriduce order; b) Will permanently study the reasons causing crime among teenagers and under -aged , and take required measures to eradicate them; c) In co-operation with certain Departments and juridical persons will take measures against illegal circulation of drugs and psychotropic substances. Special attention, in this regard, will be paid to the prevention of drug addiction, to the creation of an unified system for treatment and rehabilitation; d) Will explain the necessity to obey traffic regulations and create atmosphere of reprimand and condemnation for transgressors; e) Will defends human rights of people, propagate principles of professional ethics and moral perfection, will co-operate with the machinery of the Public Defender, will respect the rights of prisoners and will work on the propositions for their mercy; f) Will provide business-like, purposeful relation and co-operation with mass media; g) Will establish close ties with the research officers at higher schools and scientific-research organizations in order to form open and sound public opinion acceptable for democratic society; h) Will assist the ecological police and the nature protection organizations to eradicate infringement of law in this area; I) Will help the families of the employees who died at work or were injured while solving ethnic conflicts, as well as poor families, and defend their rights.

Chapter 3. The Tasks of the Institute

3.1. The main task of the Institute is to create and establish positive opinion about the police in the image of the Public; to appraise dedicated work of its employees in order to raise prestige of the Ministry of Internal Affairs.

3.2. To provide practical and theoretical assistance to the employees, to develop their cultural level and aesthetic taste; special attention must be paid to the study of basic legislative document by them.

3.3. To assist permanently the administration of the Ministry to establish and strengthen ties with intelligentsia, writers, artists, actors,. youth and businessmen.

3.4. To propagandize the daily results of the patrol and work activities of the Ministry and its departments in the regions; Especially the significance of the bravery and heroism of those who died defending law.

3.5. To plan definite measures, taking into account the sociological research of the views fixed in the notion of the employees in the different departments of the Ministry.

Chapter 4. The Functions and the Rights of the Institute

4.1. The Institute functions by the plan worked out and approved by its Board; a) Organizes and conducts scientific and practical conferences, seminars, discussions, briefings, sessions in the regions, etc.; b) Organizes meetings of the key personnel of the Ministry and other employees with scientists, representatives of intelligentsia and youth organizations, heads of non-governmental organizations; c) Publishes materials in mass media, participates in radio and TV programs, publishes books, brochures, thematic collections of articles; d) Conducts consultations and renders methodological assistance to the Ministry to solve legal problems; Participates in the events of the Ministry, as well as in the training and professional upgrading of its personnel; e) Establishes ties with foreign countries to share their positive experience; f) Promotes recommendations for discussios at the board of the Ministry; prepares proposals for the legislative bodies of Georgia.

Chapter 5. The Structure of the Institute

5.1. The administrative body of the Institute is the Conference of the Members and the Board.

5.2. The highest organ of administration is the conference of the Institute members which is held by the decision of the Board or by the request of the Institute members at a rate of 1 out of 10, indicating the agenda.

5.3. The conference is held at least once a year.

5.4. Decisions at the conference are made by 2/3 majority of the votes of the members attending it by open or private voting. Decisions concerning the objectives, tasks and functions of the Institute need 4/5 of the votes of all Institute members. Decision is legal if the issue had been included into agenda of the conference.

5.5. If members of the Institute can not attend the conference they can vote by proxy.

5.6. The quorum of the conference is the majority represented both by attendance and proxies.

5.7. Special rights of the conference are:

- To adopt By-Laws, approve changes and amendments to the By-Laws.

To listen and approve the report of the rector or the heads of the commisions.

To determine and approve the plans and main trends of the Institute's activity.

To select, approve and elect the board members, the rector, Vice-rectors and the secretary.

5.8. The conference can delegate its rights entirely or partially to the Rector or the Board for a certain period of time.

5.9. Between the conferences the Institute is administered by the Board of the Institute.

5.10. Board meetings are held regularly.

5.11. Board can make decisions if it is attended by 2/3 of its members.

5.12. Board is elected for 5 years. It is constituted by the Rector, Vice-rectors, Heads of the Commissions and the Secretary. Special rights of the Board are:

To work out special programs and projects in accordance with the main trends determined in the By-Laws and to supervise their implementation.

- To establish regional Institutes and to supervise and control their activities. To consider any issue which is connected with aspects

of the Institute's activity, expect those, which are the prerogatives of the conference.

- To admit or expel members of the Institute.

5.13. The decisions of the Board must be drawn up in the minutes of the meeting.

5.14. The following commissions are created at the Board of the Institute: a) Commission on the problems of teenagers and under-aged. b) Commission on the problems of alcoholism and drug addiction. c) Commission on the problems of traffic safety. d) Commission on the relations with mass media. e) Commission on the relation with scintific and educational institutions. f) Commission on human (upbringing) education. g) Commission on ethics and moral perfection. h) Public defence commission. i) Commission on foreign relations. j) Commission on social assistance to the killed or injured in ethnic conflicts or at work. k) Commission on environmental protection.

5.15. The Rector of the Institute supervises the activities of related regional Institutes, which function on the basis of their own By-Laws envisaging specific particularities.

Chapter 6. The Board from their Members Elects the Rector, the Vice-Rectors and the Secretary of the Institute.

6.1. Rector of the Institute entirely represents it in the relation with the third persons. 6.2. The Rector appoints the dates for Board meetings and determines the agenda. 6.3. The Rector regulates the relations with the Institute, State and non-governmental organizations. Supervises the foreign policy of the Institute. 6.4. During the absence of the Rector of the Institute, the Vice-rector is given right to represent it.

Chapter 7. The Institute can change from one juridical body into another or unite with other juridical bodies by the decision of the Board.

შინაარსი

საქართველოს პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე.
საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტის სახელოვანი იუბილე 3

ავტორებისაგან 7

თავი პირველი. საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტის
დაარსება და განვითარების ეტაპები
1. საზოგადოებრივი აზრის ადგილი და მნიშვნელობა 9
2. საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტის დაარსება 18
3. საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტის განვითარების
ეტაპები 29

თავი მეორე. საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტის
სტრუქტურა და საქმიანობის მთავარი მიმართულებები
1. სტრუქტურა, მიზნები, ფუნქციები 51
2. არასრულწლოვანებსა და ახალგაზრდობას შორის
მუშაობის კომისია 67
3. ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული
ნივთიერებების და პრეკურსორების უკანონო ბრუნვის
წინააღმდეგ ბრძოლის კომისია 154
4. საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების პრობლემების
შემსწავლელი კომისია 210
5. ბუნების დაცვის პრობლემების შემსწავლელი კომისია 215
6. საგარეო ურთიერთობის შემსწავლელი და მასობრივი
ინფორმაციის საშუალებებთან ურთიერთობის კომისია 225
7. ეთნოკონფლიქტებში დაღუპულ, დასახიჩრებულ და
სოციალური დახმარების საჭიროების კომისია . . 230
8. სახალხო დამცველის, პროფესიული ეთიკისა და ზნეობრივი
სრულყოფის კომისია 233
9. პრესცენტრი 235

თავი მესამე. საზღვაგადღეებრივი აზრის ინსტიტუტები

1. თბილისი . 248
2. სამეგრელო-ზემო სვანეთი 267
3. იმერეთი 279
4. შიდა ქართლი 284
5. ქვემო ქართლი 294
6. მცხეთა-მთიანეთი 302
7. კახეთი 305
8. გურია . . 311
9. რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი 317
10. სამცხე-ჯავახეთი 328

დანართი 330

დასკვნის მაგივრ 340

საქციო საზოგადოება "პირველი სტამბა",
თბილისი, გ. ჩუბინაშვილის ქუჩა №50
ტირაჟი 1000 ცალი
სახელშეკრულებო ფასი
თბილისი 2000